

იურისტის ბიბლიოთეკა

მალხაზ ლომსაძე

სისხლის სამართლის პროცესი

(მეშვიდე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა)

თბილისი
2018

ნაშრომი ძედგეხილია 2005 ხლის 4 ოქტომბერს ძიღებული და 2010 ხლის 1 ოქტომბერს ძალაში შესული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით. მასში სამეცნიერო კვლევითი მეთოდების გამოყენებით ამომწურავადაა განხილული მოქმედი საპროცესო კოდექსის ცალკეული დებულებები, გამოთქმულია კრიტიკული შენიშვნები, დასმულია საკანონმდებლო წინადადებები კანონმდებლობის დახვეწისა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით.

ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის, მეცნიერ იურისტებისათვის, პრაქტიკოსი მუშაკებისათვის და სისხლის სამართლის პროცესის საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

ნაშრომი დაზღვეული ვერ იქნება ხარვეზებისაგან, ამიტომ ყოველგვარ შენიშვნას ავტორი გულითადად მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ო. გამყრელიძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი
ნ. თევდორაძე

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ა. კვაშილავა

სამართლის დოქტორი, პროფესორი
ს. ჭელიძე

ISBN 978-9941-9479-5-7

გამომცემელი: იურიდიული ფირმა
„ბონა კაუსა"

თბილისი, 2018 წ.

ნაშრომი ეძღვნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში დაღუპულ შსს აკადემიის კურსანტთა ნათელ ხსოვნას.

შ ი ნ ა ა რ ს ი

სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი

თავი 1. სისხლის სამართლის პროცესის არსი და ამოცანები, სტადიები, სისტემა და კავშირი სამართლის სხვა დარგებთან 11

1.1. სისხლის სამართლის პროცესის არსი და ამოცანები 11

1.2. სისხლის სამართლის პროცესის სტადიები 14

1.3. პროცესუალური ფუნქციის ცნება და სახეები 15

1.4. სისხლის სამართლის პროცესის სისტემა და სისხლის სამართლის პროცესის კავშირი სამართლის სხვა დარგებთან 16

თავი 2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონი 18

2.1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსი და მნიშვნელობა 18

2.2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება 29

2.3. სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის სახეები და სტრუქტურა 33

2.4. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ახსნა-განმარტება 34

2.5. სისხლის საპროცესო სამართალურთიერთობა 36

2.6. საპროცესო ფორმა 37

2.7. საპროცესო სამართლებრივი გარანტიები 37

2.8. სისხლის საპროცესო სამართალი და მორალის ნორმები 38

თავი 3. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები 41

3.1. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების ცნება და მნიშვნელობა ...41

3.2. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები 42

3.2.1. პიროვნების ღირსების ხელშეუხებლობა 42

3.2.2. უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია 42

3.2.3. ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა 43

3.2.4. სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა 43

3.2.5. სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება 44

3.2.6. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრობითობა 44

3.2.7. სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა 45

3.2.8. სისხლის სამართლის პროცესის სახელმწიფო ენაზე განხორციელება 46

3.2.9. კანონიერება და სასამართლოს დამოუკიდებლობა 47

3.2.10. მტკიცებულება 47

3.2.11. მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევა.....48

3.2.12. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება 48

3.2.13. სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა.....48

3.2.14. ბრალდების წაყენება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე 49

3.2.15. განმეორებითი დაკავების ან მსჯავრის აკრძალვა 49

თავი 4. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები 51
4.1. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა არსი და კლასიფიკაცია 51
4.2. სასამართლო 51

თავი 5. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე მხარეები 59
5.1. ბრალდების მხარე 59
5.2. დაცვის მხარე 64

თავი 6. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები, რომლებიც სასამართლოს და მხარეებს ხელს უწყობენ საქმეზე ობიექტური შეშმარიტების დადგენაში 73
6.1. მოწმე 73
6.2. ექსპერტი 76
6.3. თარჯიმანი 77
6.4. სასამართლოს მეგობარი 78
6.5. დაზარალებული 79
6.6. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.....83

თავი 7. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოებები, პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების წესი და პასუხისმგებლობა სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის 85
7.1. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები, აცილება 85
7.2. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების წესი 88
7.3. საპროცესო პასუხისმგებლობა სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის 90

თავი 8. მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში 95
8.1. მტკიცებითი სამართალი სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების გადასაწყვეტად 95
8.2. ობიექტური ჭეშმარიტება, როგორც მტკიცების მიზანი 95
8.3. მტკიცებულების ცნება. მტკიცებულება – მტკიცების საშუალება 96
8.4. დასაშვები მტკიცებულება. დაუშვებელი მტკიცებულება 97
8.5. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია 104
8.6. მტკიცებულების შეფასება 106

თავი 9. საპროცესო ვადები და ხარჯები. შუამდგომლობა, საჩივარი და მათი განხილვის ზოგადი წესი 109
9.1. საპროცესო ვადები 109
9.2. საპროცესო ხარჯები 110
9.3. შუამდგომლობა და მისი განხილვის ზოგადი წესი 112
9.4. საჩივარი და მისი განხილვის ზოგადი წესი 116

სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის ტესტები 120

სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილი

თავი 10. გამოძიების საფუძვლები 179
10.1. გამოძიების დაწყების მოვალეობა და ინფორმაცია დანაშაულის შესახებ 179
10.2. გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყება ან შეწყვეტის საფუძვლები 182
10.3. შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება და სისხლის სამართლის საქმის გამოყოფა 189

თავი 11. საგამოძიებო მოქმედებები 191
11.1. საგამოძიებო მოქმედების ცნება და სახეები 191
11.2. გამოკითხვა 196
11.3. დაკითხვა 197

თავი 12. სხვა საგამოძიებო მოქმედებები 205
12.1. ამოღება და ჩხრეკა 205
12.2. საბანკო ანგარიშების მონიტორინგი 211
12.3. დათვალიერება 212
12.4. საგამოძიებო ექსპერიმენტი 216
12.5. პირის და ობიექტის ამოსაცნობად წარდგენა 218
12.6. ექსჰუმაცია 220
12.7. საგამოძიებო მოქმედების ფიქსაცია 221

თავი 13. კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები 224
13.1. კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებანი 224
13.2. მოსამართლის განჩინების გარეშე ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება წესი 233
13.3. ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის განადგურება, ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინება 247

თავი 14. ფარული საგამოძიებო მოქმედებები 252
14.1. ფარული საგამოძიებო მოქმედებანი 252
14.2. მოსამართლის განჩინების გარეშე ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება წესი 252
14.3. ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის განადგურება, ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინება 259

თავი 15. სხვა საპროცესო მოქმედებები 275
15.1. სხვა საპროცესო მოქმედებების ცნება და სახეები 275
15.2. ექსპერტიზის დანიშვნა 275

15.3. ნიმუშების აღება 278
15.4. მიყვანა 280
15.5. ქონებაზე ყადაღის დადება 281
15.6. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება 283
15.7. ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერება 285

თავი 16. სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლები. დაკავება, ბრალდებულად ცნობა 287
16.1. სისხლისსამართლებრივი დევნა 287
16.2. პირის ბრალდებულად ცნობა 290
16.3. დაკავება 293
16.4. სისხლის სამართლის პროცესის წარმოება არაიდენტიფი-ცირებული ბრალდებულის, მსჯავრდებულის მიმართ 298
16.5. პირის სამედიცინო დანესებულებაში მოთავსება 299

თავი 17. სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებანი 301
17.1. სასამართლოს განხილვის ცნება და სახეები 301
17.2. სასამართლო განხილვის ძირითადი პრინციპები 301
17.3. სასამართლო სხდომის განაწესი 304
17.4. სასამართლოში საქმის განხილვის მონაწილენი 304
17.5. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქმის არსებითი განხილვის დროს 306
17.6. სასამართლოს საქმიანობა საქმის განხილვის დროს 307
17.7. სასამართლო სხდომის ოქმი 308

თავი 18. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში, აღკვეთის ღონისძიებანი 310
18.1. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში 310
18.2. აღკვეთის ღონისძიებების ცნება და სახეები 310
18.3. აღკვეთის ღონისძიების სახეების დახასიათება 313
18.4. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა და გაუქმება 317
18.5. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრების წესი 321
18.6. მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ 322

თავი 19. საპროცესო შეთანხმება 324
19.1. საპროცესო შეთანხმების არსი 324
19.2. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმა 327
19.3. სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე 329

თავი 20. წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში 335
20.1. წინასასამართლო სხდომა 335
20.2. საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში 341
20.3. მხარისა და მოწმის გამოცხადების შემოწმება და გაფრთხილება 342
20.4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქმის არსებითი განხილვისას 343
20.5. შუამდგომლობის დაყენება და გადაწყვეტა 346
20.6. საქმის განხილვა პროცესის მონაწილეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში 347
20.7. მტკიცებულებათა გამოკვლევის ზოგადი წესი საქმის არსებითი განხილვისას 348
20.8 ნაფიც მსაჯულთა წინასწარი და სასამართლოს თათბირი 351

თავი 21. სასამართლოს განაჩენის დადგენა და მისი აღსრულება 354
21.1. განაჩენის არსი და მნიშვნელობა 354
21.2. განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები 355
21.3. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი, მისი ფორმა და გამოცხადება 357
21.4. განაჩენის დადგენის წესი 361
21.5. განაჩენის სახეები 361
21.6. განაჩენის შედგენა და სტრუქტურა 362
21.7. მსჯავრდებულის ძებნა 366
21.4. განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხების გადაწყვეტა 367

თავი 22. აპელაცია სისხლის სამართლის პროცესში 376
22.1. აპელაციის არსი და ამოცანები, აპელაციის საგანი.....376
22.2. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა, ფორმა და შინაარსი 378
22.3. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტილება.....380
22.4. საქმის განხილვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში 381
22.5. სააპელაციო განაჩენი და შებრუნება საუარესოდ.....382
22.6. სააპელაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი 384

თავი 23. კასაცია სისხლის სამართლის პროცესში 386
23.1. კასაციის არსი, ამოცანები და საგანი 386
23.2. საკასაციო საჩივრის ფორმა, შინაარსი და ვადა 387
23.3. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა 388
23.4. საქმის განხილვა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში 390
23.5. საკასაციო განაჩენი და შებრუნება საუარესოდ 390
23.6. საკასაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი 392

თავი 24. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი 394
24.1. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის არსი და საფუძვლები 394

24.2. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაყენება 395
24.3. შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმება ...396
24.4. სასამართლო სხდომა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო 397

თავი 25. ცალკეული კატეგორიის საქმეთა წარმოება 403
25.1. პროცესი იურიდიული პირისათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს 403
25.2. პროცესი არასრულწლოვანთა საქმეებზე 403
25.2.1.ზოგადი დებულებანი 403
25.2.2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპები 405
25.2.3.არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი და ამ პროცესის მონაწილე პირები 407
25.2.4. არასრულწლოვანი მოწმე და არასრულწლოვანი დაზარალებული 409
25.2.5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ზოგადი წესები 410
25.2.6. არასრულწლოვნის დაკავება, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა 417
25.2.7. არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა და აღკვეთის ღონისძიებები 421
25.2.7.1. არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა 421
25.2.7.2. აღკვეთის ღონისძიებები 423
25.2.8. არასრულწლოვნის სასჯელის დანიშვნა 425

სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილის ტესტები.....426

თავი 1. სისხლის სამართლის პროცესის არსი და ამოცანები, სტადიები, სისტემა და კავშირი სამართლის სხვა დარგებთან

1.1. სისხლის სამართლის პროცესის არსი და ამოცანები

ტერმინი სისხლის სამართლის პროცესი წარმოდგება ორი დამოუკიდებელი სრულიად სხვადასხვა სიტყვისაგან – ქართული „სისხლის სამართლისა" და ლათინური „პროცესისაგან".

ქართულ ენაზე ტერმინი „სისხლის სამართალი" ისტორიულად უკავშირდება მისი განმსაზღვრელი ტერმინის – „სისხლის" პირდაპირ მნიშვნელობას. „სისხლი" პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოებიდან მომდინარეობს. ამ საზოგადოებაში შურისძიება სისხლის აღებით გამოიხატებოდა. დროთა განმავლობაში სისხლის აღება ქონებრივი საზღაურით შეიცვალა, მაგრამ ტერმინი „სისხლი" ისევ დარჩა[1]. ასე, რომ, „სისხლის სამართალი" ნიშნავს დასჯით სამართალს, ხოლო ტერმინი „პროცესი" ლათინურია და ნიშნავს მოძრაობას, წინსვლას, მიმდინარეობას[2].

სისხლის სამართლის პროცესი ან დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებით, ან სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავებით იწყება, რა დროსაც იქმნება სისხლის სამართლის საქმე, სადაც თავს მოიყრის ყველა ის დოკუმენტი რომლებიც შედგება სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას. ე.ი. სისხლის სამართლის საქმე იქმნება დაკავების ოქმის შედგენის ან დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების მომენტიდან. ამის შემდეგ ტარდება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რომლებიც დოკუმენტურად ფორმდება. სისხლის სამართლის საქმეს ქმნის მოცემულ დოკუმენტთა ერთობლიობა. დაკავების ოქმის შედგენისას ან დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, ტარდება საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, როც სისხლის სამართლის საქმის მოძრაობას, წინსვლას ნიშნავს. ამის შემდეგ პროცესის მონაწილეებს წარმოეშობათ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები და ვალდებულებები. სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მონაწილე პირები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების განკარგულებებს, მაგრამ მათ აქვთ აგრეთვე კანონით გათვალისწინებული მთელი რიგი უფლებებისა, რომელთა რეალიზაციაც ხდება გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში. ამ დროს პროცესში მონაწილე პირები ამყარებენ ერთმანეთთან გარკვეულ ურთიერთობებს, რომელსაც სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა ეწოდება, რამდენადაც იგი სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით წესრიგდება, ე.ი. სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით მოწესრიგებულ ურთიერთობას სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა ეწოდება.

---

[1] მ.ლომსაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ.7;

[2] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი მიხეილ ჭაბაშვილი, თბილისი, 1973, გვ.339.

საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა წყდება პროცესის დამთავრებისას, რომლის ორი ფორმა არსებობს: 1) გამოძიებისა ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა და 2) განაჩენის დადგენა.

ამრიგად, სისხლის სამართლის პროცესის დამთავრების ორი ფორმაა გათვალისწინებული მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით.

დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების ან სასამართლო განჩინების გარეშე პირის დაკავებისთანავე საქმე მოდის მოძრაობაში: მასზე ტარდება გამოძიება და სასამართლო განხილვა, ე.ი. მოძრაობაში მოდის სისხლის სამართლის საქმე. სისხლის სამართლის საქმე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორ შემთხვევაში მთავრდება.

ამრიგად, სისხლის სამართლის პროცესი არის სისხლის სამართლის საქმის მოძრაობა დანაშაულის ჩადენის შესახებ ცნობების მიღებიდან ან სასამართლო განჩინების გარეშე პირის დაკავებიდან მის დამთავრებამდე.

სისხლის სამართლის პროცესი ეს არის ის პროცედურა, რომელსაც სისხლის სამართლის საქმე გაივლის დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების ან პირის დაკავების მომენტიდან განაჩენის გამოტანის ან გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მომენტამდე.

სისხლის სამართლის პროცესი თანამედროვე იურისტების მიერ გაგებულია ოთხი მნიშვნელობით:

პირველი მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის სახელმწიფო საქმიანობის განსაკუთრებული სახე;

მეორე მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესისა მდგომარეობს იმაში, რომ მას გააჩნია თავისი სამართლებრივი საფუძვლები – სისხლის საპროცესო სამართალი, რომელიც აერთიანებს სისხლის საპროცესო სამართლებრივ ნორმებს და არეგულირებს სისხლის სამართალწარმოებას. სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები დეტალურად აწესრიგებენ გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობას.

მესამე მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი არის მეცნიერება, რომელიც შედგება ცნებების, შეხედულებების, იდეების, კანონმდებლობის განვითარების მწყობრი სისტემისაგან. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მეცნიერული შეხედულებები არ ყალიბდება ერთხელ და სამუდამოდ დოგმების სახით. ისინი ფართოვდება, ღრმავდება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. ჯერ კიდევ მ. გორკი ამბობდა, მეცნიერება ეს არის არენა ადამიანთა იდეების ბრძოლისა. სისხლის სამართლის პროცესის მეცნიერების საგანი მუდმივ შესწავლაშია. ამ მეცნიერების შესწავლის საგანს წარმოადგენს:

ა) მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ნორმები, ე.ი. სიასხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომლითაც წესრიგდება სისხლის სამართლის საქმის წარმოება;

ბ) სისხლის საპროცესო სამართლის თეორია;

გ) საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების კანონზე დაფუძნებული საქმიანობა და ის ურთიერთობები, რომელიც ყალიბდება პროცესის მონაწილეთა შორის თავიანთი ფუნქციების შესრულების დროს;

დ) საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა. პრაქტიკის განზოგადება აუმჯობესებს გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების მუშაობას, ხელს უწყობს ამ ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაში შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრას.

მეოთხე მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის უმაღლეს იურიდიულ სასწავლებელში სასწავლო საგანი, რომელიც სტუდენტებმა უნდა შეისწავლონ ზოგადსამეცნიერო, კერძო და სპეციალური შემეცნებითი მეთოდების გამოყენებით. სტუდენტების მიმართ სწავლება უნდა განხორციელდეს პრინციპით: „სწავლება უკვე შესწავლილისა".

გარკვეული წლების მანძილზე სისხლის სამართლის პროცესსა და სისხლის საპროცესო სამართალს აიგივებდნენ და ერთმანეთის სინონიმებად იყენებდნენ. ჩვენი აზრით, მოცემული შეხედულება არასწორია. მართალია, მათ შორის ბევრი რამ საერთოა, მაგრამ განსხვავებაც არსებობს. სისხლის საპროცესო სამართალი სამართლის დარგია, რომელიც აერთიანებს იმ სამართლებრივ ნორმებს, რომლითაც წესრიგდება გამოძიების ორგანოების და სასამართლოს საქმიანობა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება-განხილვის დროს. ასე, რომ სისხლის სამართლის პროცესი არის სისხლის სამართლის საქმის მოძრაობა გამოძიებისა და საქმის განხილვის დროს, სისხლის საპროცესო სამართალი კი სამართლებრივი ნორმებია, რომელთა დანიშნულებასაც წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის მოწესრიგება.

სისხლის საპროცესო საქმიანობის სრული დახასიათებისათვის საჭიროა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ცნებები „სისხლის სამართლის პროცესი", „სისხლის სამართალწარმოება", „მართლმსაჯულება" და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა".

ცნებები „სისხლის სამართლის პროცესი" და „სისხლის სამართალწარმოება" თეორიასა და პრაქტიკაში გამოიყენება როგორც ერთმანეთის სინონიმები.

ცნებები „სისხლის სამართლის პროცესი" და „მართლმსაჯულება", მართალია, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან, მაგრამ „მართლმსაჯულება" სისხლის სამართლის პროცესის შემადგენელი ნაწილია და მოიცავს მხოლოდ სასამართლოს საქმიანობას (ვიწრო გაგებით) და უფრო მეტიც, იგი მოიცავს სასამართლო საქმიანობას არა მარტო სისხლის სამართლის საქმეებზე, არამედ საქმიანობას სამოქალაქო საქმეებზეც (ფართო მნიშვნელობით).

„სისხლის სამართლის პროცესსა" და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას" შორის განსხვავება ის არის, რომ ოპერატიულ სამძებრო საქმიანობას ახორციელებს განსაკუთრებული სუბიექტები, როგორც აშკარა, ისე ფარული მეთოდებითა და საშუალებებით, არაპროცესუალური ფორმით, ხოლო სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება პროცესუალური ფორმით.

პროცესუალური ფორმა ეს არის საპროცესო კანონით დადგენილი წესი სისხლის სამართალწარმოებისა და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისა, რომლის შესაბამისად სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირები ახორციელებენ თავიანთ უფლებებს და ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს. მაგალითად, გამოძიებისას პროკურორი ვალდებულია კანონით ზუსტად განსაზღვრული წესისა და ფორმის დაცვით გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, წაუყენოს მას ბრალდება და ა.შ.

საპროცესო ფორმოს მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ:

ა) პროცესის მონაწილეთა საქმიანობაში კანონიერების პრინციპის რეალიზაციის საშუალებაა;

ბ) საპროცესო ფორმა განუწყვეტლად უკავშირდება მთელი საპროცესო საქმიანობის მიზანს, შინაარსს და ხელს უწყობს საქმის ყველა გარემოების სრულ გამოძიებას, საქმის სწორად გადაწყვეტას; ამ ფორმის დარღვევა გავლენას

ახდენს საქმის განხილვა-გაწყტის სისწორეზე, იწვევს მტკიცებულებათა რაუშვებლად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას;

გ) საპროცესო ფორმახელს უწყობს პროცესის მონაწილეების იმ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, რომლებსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. ეს უკანასკნელი რეალურ შესაძლებლობას ანიჭებს ბრალდებულს იდაოს წაყენებულ ბრალდებაზე, იმართლოს თავი გამოძიებისა და სასამართლოს წინაშე და ა.შ.;

დ) საპროცესო ფორმა უზრუნველყოფს ეთიკინ ნორმების დაცვას როგორც გამოძიების პროცესში, ასევე სასამართლო განხილვისას.

1.2. სისხლის სამართლის პროცესის სტადიები

სისხლის სამართლის საქმე მოძრაობისას გადის განსაზღვრულ ეტაპებს (ნაწილებს), რომელსაც სისხლის სამართლის პროცესის სტადიები ეწოდებათ[3].

პროცესის სტადიები ურთიერთდაკავშირებული, სისხლის სამართლის პროცესის შინაარსობრივად განსხვავებული ნაწილებია თავისი ამოცანებით, საპროცესო გადაწყვეტილებებითა და ხასიათით, სამართალწარმოებაში მონაწილე ორგანოებითა და პირებით, პროცესუალური საქმიანობის ფორმით.

პროცესის სტადიების ერთობლიობა ქმნის სისხლის სამართლის პროცესის სისტემას.

სისხლის სამართლის პროცესის სტადიები მკაცრად დაცული თანამიმდევრობით ცვლიან ერთმანეთს.

სისხლის სამართლის პროცესი შეიძლება დავყოთ შემდეგ სტადიებად:

ა) გამოძიების დაწყების სტადია; ბ) გამოძიების სტადია; გ) ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში; დ) წინასასამართლო სხდომის სტადია; ე) საქმის არსებითი განხილვის სტადია; ვ) სასამართლოს განაჩენის დადგენისა და მისი აღსრულების სტადია.

ჩამოთვლილი სტადიები სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი სტადიებია, ვინაიდან იგი უნდა გაიაროს ყოველმა სისხლის სამართლის საქმემ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გამოძიება, ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება.

სისხლის სამართლის პროცესი შეიძლება გაგრძელდეს კიდევ სამი სტადიით: აპელაციის, კასაციის და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის სტადიით. მოცემულ სტადიებს ფაკულტატური სტადიები უნდა ვუწოდოთ, რადგან ამ სტადიებს არ გაივლის ყოველი სისხლის სამართლის საქმე.

გამოძიების დაწყების სტადიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებულნი არიან დაიწყონ გამოძიება დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში.

გამოძიების სტადია არის პროცესის მეორე სტადია, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მხარეები ატარებენ საგამოძიებო მოქმედებებს, აგროვებენ მტკიცებულებებს, რომელთა წარდგენა და გამოკვლევა უნდა მოხდეს სასამართლოში.

---

[3] Советский уголовный процесс, род ред. Н.С. Алексеева и В. З. лукашевича, Ленинград, 1989, ст. 9.

ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის გადაწყვეტა.

წინასასამართლო სხდომის სტადიაზე უნდა გადაწყდეს ყველა ის საკითხი, რომელიც ხელს შეუწყობს სასამართლოს საქმის არსებითი განხილვისათვის.

საქმის არსებითი განხილვის სტადია წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვან სტადიას. ამ სტადიაზე სასამართლო არსებითად განიხილავს საქმეს და იკვლევს მტკიცებულებებს.

სასამართლო განაჩენის დადგენისა და მისი აღსრულების სტადიის დროს სასამართლო წყვეტს ბრალდებულის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის საკითხს, აგრეთვე სასჯელის გამოყენების თუ სასჯელის გამოყენების მიზანშეუწონლობის საკითხს.

აპელაციის სტადიაზე საჩივრდება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც აპელანტს უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მიაჩნია. საჩივრის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო საქმეს განიხილავს არსებითად და იღებს გადაწყვეტილებას.

კასაციის სტადიაზე საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, რომელიც კასატორის აზრით, უკანონოა. საკასაციო საჩივრის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მოუსმენს მხარეებს და იღებს გადაწყვეტილებას.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის სტადიაზე საქმის არსებითი განხილვა უნდა მოხდეს სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ნორმების შესაბამისად.

1.3. პროცესუალური ფუნქციის ცნება და სახეები

სისხლის სამართლის პროცესუალური მოღვაწეობის ძირითად მიმართულებას ეწოდება პროცესუალური ფუნქცია[4].

სისხლის სამართლის პროცესში არსებობს სამი ძირითადი ფუნქცია: ბრალდების, დაცვის და საქმის განხილვა-გადაწყვეტის ფუნქცია.

ბრალდების ფუნქციას ახორციელებენ გამომძიებელი და პროკურორი. ამ დროს გამომძიებელი (პროკურორი) საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ატარებს საგამოძიებო მოქმედებებს, რომლის მიზანია დანაშაულის ნიშნების დადგენა და მისი ჩამდენი პირის (პირების) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა[5].

ბრალდების ფუნქცია სისხლის სამართლის პროცესში ესაა გამომძიებლისა და პროკურორის მიერ იმ საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ კანონიერი საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით მოხდეს იმ მტკიცებულებათა შეკრება, რომელთა ერთობლიობადაასაბუთებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენას ან მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს.

დაცვის ფუნქციას ახორციელებს უშუალოდ ბრალდებული და ადვოკატი. ამ ფუნქციის განხორციელებისას ისინი საპროცესო კოდექსით დადგენილი წეს-

[4] Лобанов А. П. Функции уголовно преследования и защиты в росиском судопроизводстве, Тверъ, 1996, ст. 6

[5] Советский уголовний процесс, Москва, 1982, ст. 68.

ით ატარებენ საპროცესო მოქმედებებს, რომლის მიზანია ბრალდებულის გამართლება ან პასუხისმგებლობის შემსუბუქება[6].

დაცვის ფუნქცია სისხლის სამართლის პროცესში ესაა იმ საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ კანონიერი საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით მოხდეს იმ მტკიცებულებათა შეკრება, რომლებიც პირს ამართლებენ ან ადგენენ მის ქმედებაში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს.

საქმის განხილვა-გადაწყვეტის ფუნქცია აკისრია სასამართლოს. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი[7]. სასამართლო არ ასრულებს ან ბრალდების, ან დაცვის ფუნქციას. მას უკავია ნეიტრალური პოზიცია და მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად უქმნის თანაბარ შესაძლებლობებს ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.

საქმის განხილვა-გადაწყვეტის ფუნქცია სისხლის სამართლის პროცესში ესაა სასამართლოს მიერ მხარეთა მხარეთა წარმოდგენილ და გამოკვლეულ მტკიცებულებათა შეფასება, რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს ბრალდებულის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობა.

1.4. სისხლის სამართლის პროცესის სისტემა და სისხლის სამართლის პროცესის კავშირი სამართლის სხვა დარგებთან

სისხლის საპროცესო კანონმდებლობა შედგება ორი ნაწილისაგან: ზოგადი და კერძო ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავებულნი და ერთობლიობაში ქმნიან სისხლის საპროცესო სამართლის სისტემას.

სისხლის სამართლის პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული სამართლის სხვა დარგებთან. პირველ რიგში იგი კავშირში იმყოფება სისხლის სამართალთან.

სისხლის სამართლის პროცესი და სისხლის სამართალი. სისხლის სამართალი განსაზღვრავს, თუ რა ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას, სისხლის სამართლის პროცესი კი განსაზღვრავს იმ ხერხებსა და საშუალებებს, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს დანაშაულის დადგენას, მის გახსნას, დანაშაულის ჩამდენი პირების მხილებას. სისხლის სამართლის პროცესის არსებობა წარმოუდგენელია სისხლის სამართლის გარეშე, რადგან სისხლის სამართლის ნორმების შეფარდებას, დანაშაულის ნიშნების დადგენას უზრუნველყოფს სისხლის სამართლის პროცესი. საპროცესო სამართალი ემსახურება სისხლის სამართალს. პირველი არ არსებობს მეორის გარეშე. -წერს პროფესორი ოტარ გამყრელიძე.-რომ არ ყოფილიყო სისხლის სამართალი, არ იქნებოდა არც საპროცესო სამართალი, არ წარმოიშობოდა მისი საჭიროება.[8]

[6] Божев В.П. Основные вопросы советского уголовного процесса, Москва, 1978, ст. 8.

[7] Советский уголовный процесс, москва, 1972, ст.13-14.

[8] ო.გამყრელიძე, დასკვნა დოც. გ. ნაჭყებიას სადოქტორო დისერტაციაზე „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი", ჟურნალი „ალმანახი", №13, 200 წ, გვ. 10-11;

სისხლის სამართლის პროცესი და კრიმინალისტიკა. კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებული ყველა ტაქტიკური ხერხი საგამოძიებო მოქმედებებისა გამოიყენება პროცესის ფარგლებში, მის ნორმებთან სრული შესაბამისობით.

სისხლის სამართლის პროცესი და სამოქალაქო სამართლის პროცესი. სისხლის სამართლის პროცესს და სამოქალაქო სამართლის პროცესს შორის ბევრი რამ არის საერთო. ორივე მათგანი წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელების საშუალებას. ორივე სახის პროცესისათვის საერთოა მართლმსაჯულების ძირითადი საფუძვლები და სასამართლო ორგანოები.

საკონტროლო კითხვები:

1) ტერმინი „სისხლის სამართლის პროცესი“ რას გულისხმობს?
2) როდის იწყება და სისხლის სამართლის პროცესი?
3) ჩამოაყალიბეთ სისხლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება
4) როდის მთავრდება სისხლის სამართლის პროცესი?
5) ჩამოაყალიბეთ სისხლის საპროცესო სამართლის ცნება
6) განასხვავეთ სისხლის სამართლის პროცესი სისხლის საპროცესო სამართლისაგან
7) განასხვავეთ ერთმანეთისაგან ტერმინები „სისხლის სამართლის პროცესი“ და „მართლმსაჯულება“
8) განასხვავეთ ერთმანეთისაგან ტერმინები „სისხლის სამართლის პროცესი“ და „ოპერატიულ- სამძებრო საქმიანობა“
9) ჩამოაყალიბეთ პროცესუალური ფორმის ცნება
10) რას სწავლობს სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერების საგანი?
11) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის პროცესის სტადიების ცნება
12) ჩამოაყალიბეთ პროცესუალური ფუნქციის ცნება
13) ჩამოაყალიბეთ ბრალდების ფუნქციის არსი
14) ჩამოაყალიბეთ დაცვის ფუნქციის არსი
15) ჩამოაყალიბეთ საქმის განხილვა-გადაწყვეტის ფუნქციის არსი
16) ჩამოაყალიბეთ სისხლის საპროცესო სამართლის სისტემის ცნება
17) რა კავშირი აქვს სისხლის სამართლის პროცესს სისხლის სამართალთან?
18) რა კავშირი აქვს სისხლის სამართლის პროცესს კრიმინალისტიკასთან?

თავი 2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონი

2.1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსი და მნიშვნელობა

სისხლის სამართლის საპროცესო კანონით განსაზღვრულია საქმის წარმოების წესი დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან საქმის დამთავრებამდე. ამაზე მიუთითებს საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლი, რომლის თანახმად, ეს კოდექსი ადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს.

გამოძიება არის უფლებამოსილი პირის მიერ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთანდაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.

სისხლისსამართლებრივი დევნა ეს არის გამომძიებლის ან პროკურორის მიერ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია მტკიცებულებათა შეგროვება, რომლებიც დაადასტურებენ პირის ბრალეულობას დანაშაულის ჩადენაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, სისხლისსამართლებრივი დევნა არის გამოძიების ორგანოების საქმიანობის ფორმა, რომლის მიზანია ამხილოს პირი დანაშაულის ჩადენაში.

მართლმსაჯულება არის სასამართლო საქმიანობის ფორმა, რომელსაც ახორციელებენ სასამართლოები სისხლის სამართალწარმოების დროს.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მიღებულია 2009 წლის 9 ოქტომბერს, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყო. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის განვითარების სტრატეგიის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია, რომელიც 2005 წელს №549 განკარგულებით მოიწონა საქართველოს პრეზიდენტმა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონპროექტის მიზანი იყო, შეექმნა ახალი საპროცესო კანონმდებლობა, რომელიც აგებული იქნებოდა შეჯიბრებითობის, საჯაროობის, მხარეთა თანასწორობის, მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევის, ბრალდებულის უფლებათა პატივისცემისა და სხვა პროგრესულ პრინციპებზე. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სამართლებრივი ენა მაქსიმალურად მარტივი, ხოლო კოდექსის სტრუქტურა საკმარისად აღსაქმელი უნდა ყოფილიყო როგორც უმაღლესი იურიდიული განათლების, ისე იურიდიული განათლების არმქონე პირისთვისაც კი.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი პირველი მოსმენით პარლამენტმა 2006 წლის დეკემბერში მიიღო. კოდექსი არსებითად განსხვავდება წინამორბედი, 1998 წლის საპროცესო კოდექსისგან. პირველი განსხვავება მდგომარეობს ბრალდების ერთიანი დეფინიციის ჩამოყალიბებაში. ძველი კოდექსი სხვადასხვა სტატუსს ანიჭებდა დაცვის მხარეს სხვადასხვა საპროცესო ეტაპზე, კერძოდ, დაცვის მხარეს უწოდებდა „ეჭვმიტანილს“, „ბრალდებულსა“ და „განსასჯელს“. ახალი კოდექსის ავტორთა აზრით, ამ ტერმინებს შორის განსხვავება მხოლოდ ფორმალურ დადგენილებებს ეყრდნობოდა, ამიტომ კანონმდებელმა შემოიღო ახალი ერთიანი სტა-

ტუსი – „ბრალდებული“, რომელიც მოიცავს „ეჭვმიტანილსაც“ და „განსასჯელსაც“.

კოდექსის ერთ-ერთ მთავარ სიახლეს წარმოადგენს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის არსებითი გარდაქმნა ჩვეულებრივ საგამოძიებო მოქმედებად. ამ სიახლის არსი არის მაქსიმალურად მკაცრი სასამართლო კონტროლის დაწესება ისეთ ღონისძიებებზე, რომელიც პოტენციურად ყველაზე მეტად აღწევს ბრალდებულის თუ სხვა პირის პირად ცხოვრებაში, როგორიცაა ფარული მოსმენა-მიყურადება, ვიზუალური კონტროლი, კონტრულირებული მიწოდება, კონსპირაციული საქმიანობა და სხვა ფარული ღონისძიებები.

ახალმა კოდექსმა გააუქმა გამოძიების დროს მოწმის მიერ ჩვენების სავალდებულოობა. ეს განპირობებულია სასამართლო გამოძიების პრიორიტეტისა და შეჯიბრებითობის პირობებში სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევაზე გაკეთებული აქცენტით.

კოდექსის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება იყოს მხოლოდ საჯარო. პროკურორის მიერ დევნის განხირციელება არ არის საკრეციულობის პრინციპი. ამასთან, აღნიშნული დისკრეცია არ არის შეუზღუდავი – კონკრეტული პირის მიმართ დევნის დაწყება, წარმოება და შეწყვეტა მოწესრიგებული იქნება სავალდებულო მითითებებით – სისხლის სამართლის პოლიტიკით.

კოდექსმა ახლებურად მოაწესრიგა დაზარალებულის სტატუსი და უფლებები – იგი აღარ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის მხარეს, არამედ არის პროცესის მონაწილე. მას გააჩნია ბრალდებისგან ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების ფართო უფლებები, თუმცა აღარ აქვს ძველი კოდექსით გათვალისწინებული მრავალი გასაჩივრებისა და პროცესის მსვლელობაში ჩარევის უფლება. ამასთან, დაზარალებულს შეუძლია ქონებრივი ინტერესების დაცვა სამოქალაქო წესით. სამოქალაქო სარჩელის განხილვა აღარ არის დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შედეგზე.

ახალმა კოდექსმა ჩაოყალიბა მტკიცებულებებისა და მტკიცების წესების ახლებური და მარტივი სისტემა, რომელიც ეყრდნობა ძირითად მტკიცებით სტანდარტებს – გონიერული ეჭვის, დასაბუთებული ვარაუდის, მაღალი ალბათობის ხარისხისა და გონიერული ეჭვს მიღმა (უტყუარი მტკიცებულების) სტანდარტებს. წინამორბედი კოდექსს, ახლისგან განსხვავებით, არ ჰქონდა მკაფიოდ განსაზღვრული სტანდარტები და ეს მის ნაკლოვანებას წარმოადგენდა.

კოდექსი ადგენს წინასასამართლო სხდომის სავალდებულოობას ყველა სისხლის სამართლის საქმეზე და ტარდება ბრალდებულის მოსამართლესთან პირველი წარდგენიდან სამოცი დღის ვადაში. ამასთან, გაუქმებულია საქმის წინასასამართლო გამოძიებაში დაბრუნების შესაძლებლობა. წინასასამართლო სხდომაზე წყდება საქმის არსებითი განხილვისთვის მნიშვნელოვანი მრავალი საკითხი.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთ მთავარ სიახლეს წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, რომელიც მიზნად ისახავს ყველა მოქალაქის პირდაპირ, დემოკრატიულ მონაწილეობას მართლმსაჯულების განხორციელებაში. თორმეტი ნაფიცი მსა-

ჯულისგან შემდგარი სასამართლო, რომლის განსჯადობას მოიცავს მხოლოდ შერჩეულ დანაშაულებს, გადაწყვეტს ბრალდებულის ბრალეულობის საკითხს და მისცემს ან არ მისცემს სასამართლოს რეკომენდაციას სასჯელის შემცირების თაობაზე. მოქალაქე ვალდებულია, მისი მსაჯულად არჩევის შემთხვევაში, მიიღოს მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში, თუ ის პასუხობს ნაფიცი მსაჯულისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, არ აქვს ადგილი შეუთავსებლობას ან უარს არ განაცხადებს ნაფიცი მსაჯულის ფუნქციის განხორციელებაზე კანონით გათვალისწინებული საფუძვლით.

კოდექსით გათვალისწინებულია ნაფიც მსაჯულთა შერჩევისა და მხარეთა მიერ მათი გამორიცხვის საკმაოდ რთული და მოცულობითი სისტემა, რომლის მიზანია მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებელი კოლეგიის შერჩევა. ნაფიცი მსაჯულები, მხარეთა კამათის მოსმენის შემდეგ, სათათბირო ოთახში იღებენ გადაწყვეტილებას პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის შესახებ. გამამტყინებელი ვერდიქტისთვის საჭიროა ცხრა მსაჯულის ხმა. სხვა შემთხვევაში, პირი გამართლებულად უნდა იქნეს ცნობილი. ვერდიქტის გამოტანის შემდეგ, მოსამართლე, ცალკე გამართულ სხდომაზე, მხარეთა მონაწილეობით, მსჯავრდებულს შეურჩევს სასჯელს.

ნაფიც მსაჯულთა გამამართლებელი ვერდიქტი არ საჩივრდება, ხოლო გამამტყუნებელი ვერდიქტი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ კასაციის წესით. როგორც ჩვეულებრივი სასამართლოს, ისე ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი განაჩენი ძალაში შედის მისი გამოცხადებისთანავა, ხოლო განაჩენის გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

კოდექსის ზოგადი განმარტება მოცემულია ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტში, რომლის შესაბამისად, კოდექსი არის განსაზღვრული (ერთგვარიევანი) საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზირებული აქტი. ეს დებულება ვრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზეც.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შედგება რვა კარის, ოცდაათი თავისა და სამას ოცდაცამეტი მუხლისგან.

კოდექსის პირველი თავი ეძღვნება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, მისი ამოცანებსა და მოქმედების სფეროს. სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოსკონსტიტუციითა და საერთაშორიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამოიყენება აგრეთვე საქართველოს დროშით ან ამოსაცნობი ნიშნით საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ საჰაერო თუ საზღვაო ხომალდზე ჩადენილი დანაშაულის გამო, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის დადგენილი. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზედაც.

საქართველოს ტერიტორიაზე საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს თუ საგამოძიებო ორგანოს შუამდგომლობის შესრულებისას შეიძლება ამ სახელმწიფოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებაც, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

მეორე თავში მოცემულია სისხლის სამართლის პროცესისპრინციპები. მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეები ვალდებული არიან სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე დაიცვან პროცესის მონაწილეთა ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე. აგრეთვე დაუშვებელია მუქარა ან ისეთი შეღავათების დაპირება, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული. სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში იძულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დადადგენილი წესით.

პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ბრალმდებელს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე. მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ. პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა.

გამოძიების პროცესში მხარეს არ აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. კერძო საკუთრების ან სხვა მფლობელობის და ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით. საპროცესო მოქმედების ჩამტარებელმა არ უნდა გაამჟღავნოს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია. პირს, რომელსაც ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების უკანონოდ გამჟღავნებით, აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის სრულად ანაზღაურების უფლება.

ბრალდებულს (მსჯავრდებულს, გამართლებულს) აქვს სამართლიანი პროცესის უფლება. ბრალდებულს აქვს უფლება სწრაფი მართლმსაჯულებისა კოდექსით დადგენილ ვადებში. პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ამ უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის. სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს

შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.

სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად. სხდომის დახურვა დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ. სასამართლოში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფოტო-, კინო- და ვიდეოგადაღება და ტრანსლირება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას ახორციელებს სასამართლო ან სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი. სასამართლო უფლებამოსილია გაავრცელოს მის ხელთ არსებული სასამართლო პროცესის ფოტო-, კინო- და ვიდეოგადაღების მასალები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს. დასაშვებია სასამართლო სხდომის სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა სასამართლოს მიერ დადგენილი წესით. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მესამე თავი აწესრიგებს ნორმებს სასამართლოს შესახებ. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმა დაუშვებელია. სასამართლო ვალდებულია კოდექსით დადგენილი წესით, განსჯადობის მიხედვით განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, შუამდგომლობა და საჩივარი.

მეოთხე თავი ეძღვნება პროკურორებსა და გამომძიებლებს. პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა. ამ ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად, პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. იგი კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას, სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

პროკურორი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმდებელი. მას ეკისრება ბრალდების მტკიცების ტვირთი. სასამართლოში თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას იგი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სხდომაში.

გამომძიებელი არის სახელმწიფო თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. პროკურორი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს გამოძიებას, სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით. გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. იგი ვალდებულია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით შეასრულოს პროკურორის მითითება. თუ გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებას, მას უფლება აქვს, საქმე და თავისი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს. ზემდგომი პროკურორი აუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებას ან გამოძიებას სხვა გამომძიებელს ავალებს. აღნიშნულ საკითხზე ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა. გამომძიებელი ვალდებულია შეასრულოს სასამართლოს გან-

ჩინება. კანონის შესაბამისად მის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოსათვის.

მეხუთე თავი აწესრიგებს ნორმებს ბრალდებულისა და ადვოკატის შესახებ. დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი. ბრალდებულს უნდა გადაეცეს დაკავების ოქმის ან, თუ ის არ დაუკავებიათ, – ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი. დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული, და უფლება, დაკავებისას ან დაპატიმრებისას შესაბამის დაწესებულებაში მიყვანისთანავე მიიღოს უფასო სამედიცინო შემოწმება. ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია – უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია. აკრძალულია ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას.

ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, – მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.

მეექვსე თავი ეხება მოწმეებსა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებს. სასამართლოში ჩვენების მიცემისას მოწმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს. სასამართლოში მოწმე დებს რელიგიური ან არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცს:

რელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცის დადების დროს მოსამართლე მიმართავს მოწმეს:

„დაიფიცეთ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ღმერთის წინაშე, რომ მთელი შეგნებით იტყვით მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ.“

მოწმე უპასუხებს:

„ვფიცავ. ღმერთი იყოს ჩემი მფარველი!“

არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცის დადების დროს მოსამართლე მიმართავს მოწმეს:

„დაიფიცეთ, რომ მთელი შეგნებით იტყვით მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ.“

მოწმე უპასუხებს:

„ვფიცავ!“

თუ მოწმე აცხადებს, რომ იგი თავისი რწმენისა თუ სხვა მოსაზრებათა გამო უარს ამბობს ფიცის დადებაზე, მაშინ მან ჩვენება უნდა მისცეს ფიცის შემცველი დადასტურების განხორციელებით. მოსამართლე მიმართავს მოწმეს:

„სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით ადასტურებთ თუ არა, რომ იტყვით მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ?“

მოწმე უპასუხებს:

„დიახ, ვადასტურებ!“

მეშვიდე თავი ეძღვნება დაზარალებულს. დაზარალებულს ენიჭება მონმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა. სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული იურიდიული პირი მონაწილეობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით, რომელსაც ენიჭება დაზარალებულის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.

მერვე თავში მოცემულია სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები და აცილება.

მეცხრე თავი ეხება სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს.

მეათე თავი ეძღვნება მტკიცებულებას, მტკიცების საგანსა და პროცესს. ამ კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია. მტკიცებულება ასევე დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშანთვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა და დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ. მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო. დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მეთერთმეტე თავი ეხება საპროცესო პასუხისმგებლობას სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის. სასამართლოში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირი. სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე, რომელიც უფლებამოსილია დარბაზში დამსწრე პირთა ადგილების გათვალისწინებით შეზღუდოს სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა. სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს მის გაყვანას სასამართლოდან, ამასთანავე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯარიმა ან პატიმრობა.

მეთორმეტე თავი ეხება საპროცესო ვადებსა და ხარჯებს. ვადები გამოითვლება საათებით, დღე-ღამეებით, თვეებით. ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება, გარდა დაკავებისა და პატიმრობის ვადებისა, რომლებიც გამოითვლება წუთებით. საპროცესო ვადაში შედის არასამუშაო დროც, მათ შორის, დასვენებისა და უქმე დღეები.

საპროცესო ხარჯებს მიეკუთვნება:

· ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯი;

· ექსპერტის გამოცხადების და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი;

· თარჯიმნის გამოცხადების და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი;

· მოწმის გამოცხადების ხარჯი;

· ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯი;

· ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხარჯი;

· დაცვის მხარისათვის ბრალდების მხარის მიერ გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯი;

· ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯი;

· მტკიცებულებათა მოპოვების ხარჯი.

მეცამეტე თავში მოცემულია შუამდომლობის, საჩივრისა და მათი განხილვის შესახებ ზოგადი წესები. მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება დააყენონ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ხოლო საჩივრით მხარეს უფლება აქვს, კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გაასაჩივროს სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ქმედება ან გადაწყვეტილება. საჩივარი არ შეიძლება განიხილოს იმ პირმა, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილებაც საჩივრდება.

მეთოთხმეტე თავში მოცემულია გამოძიების საფუძვლები. გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში. დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.

პროკურორი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო. ამ მიზნით ის უფლებამოსილია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები, და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

მეთხუთმეტე თავი ეძღვნება საგამოძიებო მოქმედებებს. მხარეებს ამ კოდექსით დადგენილი წესით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები, გარდა კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. მხარეები საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ კოდექსით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში.

მეთექვსმეტე თავი ეხება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩადენილია დანაშაული, და არსებული ინფორმაცია ადასტურებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობა.

მეჩვიდმეტე თავი ეძღვნება სხვა საპროცესო მოქმედებებს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია წინა თავებში. ამ თავში გათვალისწინებულია ექსპერტიზის დანიშვნის საფუძვლები, საექსპერტო კვლევის ობიექტი, ნიმუშის აღება და აღების საფუძვლები, ქონებაზე ყადაღის დადების მიზანი და საფუძვლები, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების საფუძველი და სხვ.

მეთვრამეტე თავი ეხება სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლებს, დაკავებასა და ბრალდებულად ცნობას. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი სასამართლოში არ საჩივრდება. იგი შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან.

პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. დადგენილების გამოტანის შემდეგ პროკურორი განსაზღვრავს ბრალის წაყენების დროსა და ადგილს. ბრალი წაყენებულ უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 24 საათისა.

დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა. პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად. დამკავებელმა მოხელემ დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა შეადგინოს დაკავების ოქმი. თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე ობიექტური მიზეზით (მიზეზებით) შეუძლებელია, იგი უნდა შედგეს დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე.

მეცხრამეტე თავში მოცემულია სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებები. სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება ზეპირად და საჯაროდ. სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს სასამართლო დახურულ სხდომაზე განიხილავს.

მეოცე თავი ეძღვნება ბრალდებულის პირველ წარდგენას სასამართლოში, აღკვეთის ღონისძიებებს.

ოცდამეერთე თავი ეხება საპროცესო შეთანხმებას. საპროცესო შეთანხმება იდება ზემდგომ პროკურორთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებით. საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, პროკურორს უფლება აქვს, მოითხოვოს ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე. ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების ან ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, ჩადენილი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე, ქმედების მართლსაწინააღმდეგოობა და ბრალეულობის ხარისხი. დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება ადვოკატის უშუალო მონაწილეობისა და მის დადებაზე ბრალდებულის წინასწარი თანხმობის გარეშე. დაუშვებელია ისეთი საპროცესო შეთანხმების დადება, რომელიც ბრალდებულს უზღუდავსუფლებას, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში, მოითხოვოს შესაბამის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

ოცდამეორე თავი ეხება წინასასამართლო სხდომას. წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე არკვევს, ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და რა მოცულობით. მოსამართლე აგრეთვე არკვევს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას.

ოცდამესამე თავი აწესრიგებს სასამართლოში საქმის არსებით განხილვას. სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვა უნდა დაიწყოს წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან არა უგვიანეს 14 დღისა, თუ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხვა ვადას არ განსაზღვრავს ან დამატებით გონივრული ვადა არ არის საჭირო ნაფიც მსაჯულთა შესარჩევად.

ოცდამეოთხე თავი ეძღვნება სასამართლო განაჩენის დადგენასა და განაჩენის აღსრულებას. სასამართლოს განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით. სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. სასამართლოს განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში. სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

ოცდამეხუთე თავი ეხება აპელაციას. სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც აპელანტს უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მიაჩნია. სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს, მსჯავრდებულს. ადვოკატს უფლება აქვს, შეიტანოს სააპელაციო საჩივარი მხოლოდ მაშინ, როდესაც მსჯავრდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმო-

ბის მიღებას. სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილ განაჩენზე სააპელაციო საჩივრის შეტანა დაუშვებელია.

ოცდამეექვე თავი ეხება კასაციას. საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა. განაჩენი უკანონოა, თუ:

· არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რაც არ გამოუვლენია პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოს ან რაც მან დაუშვა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს;

· მსჯავრდებულის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიეცა;

· გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე ან ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას.

საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს, მსჯავრდებულს. ადვოკატს უფლება აქვს, შეიტანოს საკასაციო საჩივარი მხოლოდ მაშინ, როდესაც მსჯავრდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას. მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი მის დაუსწრებლად იქნა გამოტანილი, უფლება აქვს, გაასაჩივროს განაჩენი დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან ერთი თვის ვადაში].

უზენაესი სასამართლო საკასაციო საჩივარს განსახილველად დაუშვებს, თუ:

· საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

· სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

· სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

ოცდამეშვიდე თავში მოცემულია ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადა შეუზღუდავია.

ოცდამეცხრე თავი ეძღვნება პროცესს იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ოცდამეცხრე თავის მიზნებისათვის, იურიდიული პირი ნიშნავს [სამენარმეო (კომერციულ) ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს (მისუფლებამონაცვლეს). იურიდიული პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს ამ კოდექსით დადგენილი ზოგადი წესისა და ოცდამეცხრე თავის შესაბამისად. იურიდიულ პირებზე კოდექსის ნორმები ვრცელდება მათი შინაარსის გათვალისწინებით.

ოცდამეათე თავი ეხება დასკვნით და გარდამავალ დებულებებს. კოდექსი ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად აცხადებს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონის მიღებამდე, ამ კოდექსის მიზნებისათვის, გამოიყენება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ[51]. 333-ე მუხლში მოცემულია კოდექსის ცალკეული ნაწილების ამოქმედების დრო.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონში მოცემულია საპროცესო ნორმები. საპროცესო ნორმა არის სამართლის ნორმის სახე და მისთვის დამახასიათებელია ყველა ის საერთო ნიშანი, რაც სამართლის ნორმას ახასიათებს, მაგრამ ამავე დროს, საპროცესო ნორმას ახასიათებს სპეციფიკა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი ადგენენ დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს. მოცემული ნორმები აგრეთვე აწესრიგებენ იმ ურთიერთობებს, რომელიც აღმოცენდება სისხლის სამართლის პროცესში – მასში მონაწილე ორგანოებსა და ფიზიკურ პირებს შორის. სწორედ სისხლის სამართლის პროცესში ხდება საპროცესო ნორმის რეალიზაცია. სისხლის საპროცესო ნორმებში სახელმწიფო ადგენს ქცევის წესებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფო ზემოქმედებით.

ამრიგად, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმა, როგორც საპროცესო კანონის განხორციელება, არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის წესი პროცესის მონაწილეთათვის, რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ზემოქმედებით და ადგენს დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს, აგრეთვე ამ პროცესში მონაწილე პირებსა და ორგანოებს შორის აღმოცენებულ ურთიერთობებს აწესრიგებს.

სამართლებრივი ნორმები, რომელთაც შეიცავს საპროცესო კანონი, ერთობლიობაში წარმოადგენენ საპროცესო სამართალს, ე.ი. საპროცესო სამართალი არის იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც ადგენენ დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს სისხლის სამართლის საქმეზე.

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები ძირითადად ატარებენ პროცედურულ ხასიათს, ე.ი. ადგენენ პროცედურულ წესებს. მაგალითად, დაკითხვის დაკითხვის პროცედურული წესი, დათვალიერების პროცედურული წესი და ა.შ.

2.2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედების რეალიზაციის სფერო განისაზღვრება სამი განზომილებით: დროით, სივრცით და პირთა წრით.

საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. კანონის ამ განმარტებას სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დროში მოქმედების პრინციპი ეწოდება. მოქმედ კანონად ითვლება ის, რომელიც შევიდა კანონიერ ძალაში და მოქმედებს ამ მომენტისათვის.

გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას მოქმედებს ის ნორმა, რომელიც კანონით დადგენილ ძალაშია შესული.

საპროცესო კანონი ძალას ჰკარგავს შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) გავიდა ვადა, რომლითაც იგი იყო მიღებული (გამოცემული);

ბ) მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს;

გ) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებულია ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტის მიხედვით იწვევს მისი იურიდიული ძალის დაკარგვას.

საპროცესო კანონს აქვს უკუძალა. კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილი ცვლილებები იწვევს წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის გაუქმებას ან შეცვლას, თუ ამით უმჯობესდება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მდგომარეობა.

შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილი ცვლილებები არ გამოიწვევს წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის გაუქმებას ან შეცვლას, თუ ამით უარესდება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მდგომარეობა.

საქართველოს კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

ხარვეზი არსებობს მაშინ, როცა არ არსებობს კონკრეტული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად საპროცესო ნორმა. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ანალოგია. ანალოგია არსებობს მაშინ, როდესაც კონკრეტული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ის ნორმა ან სამართლის საერთო პრინციპები და დებულებები, რომელიც აწესრიგებს მსგავს, მონათესავე ურთიერთობებს.

ანალოგიის ორი სახე არსებობს: კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია.

კანონის ანალოგია გვაქვს მაშინ, როდესაც გამოიყენება ის საპროცესო ნორმები, რომლებიც აწესრიგებს მსგავს, მონათესავე ურთიერთობებს.

სამართლის ანალოგია გვაქვს მაშინ, როდესაც გამოიყენება სამართლის საერთო პრინციპები და დებულებები.

ზოგჯერ ერთსა და იმავე საკითხს აწესრიგებს სხვა და სხვა ნორმები, ასეთ შემთხვევაში სახეზეა ნორმათა კოლიზია და გამოიყენება ის ნორმა, რომელიც უფრო გვიანაა მიღებული.

აქვე არ შეიძლება აღინიშნოს, რომ ზოგჯერ სისხლის სამართლის პროცესში ერთი და იმავე საკითხს აწესრიგებს ზოგადი და სპეციალური ნორმები. ასეთ შემთხვევაში პროცესის მონაწილემ უნდა გამოიყენოს სპეციალური ნორმა. მაგალითად, საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, საჩივრის შეტანა შეიძლება 10 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც მომჩივანისათვის ცნობილი გახდა იმ ქმედების ან გადაწყვეტილების თაობაზე, რომელსაც იგი უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს. მოცემულ მაგალითში სიტყვებში „საჩივრის შეტანა შეიძლება 10 დღის ვადაში" – გამოხატულია ზოგადი ნორმის მოთხოვნა, ხოლო სიტყვებში „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი" – გამოხატულია სპეციალური ნორმის მოთხოვნა. ასევე ზოგადი და სპეციალური ნორმების კომბინაციაა მოცემუ-

ლი 93-ე მუხლის მე-5 ნაწილში, რომლის თანახმად, გამოძიების სტადიაზე შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი დაყენების მომენტიდან არაუგვიანეს 3 დღისა, ხოლო სასამართლოში – დაუყოვნებლივ, გარდა ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ ნორმაშიც სიტყვები „გამოძიების სტადიაზე შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი დაყენების მომენტიდან არაუგვიანეს 3 დღისა, ხოლო სასამართლოში – დაუყოვნებლივ“ – გადმოცემულია ზოგადი ნორმის მოთხოვნა, ხოლო სიტყვებში „გარდა ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა“ – გამოხატულია სპეციალური ნორმის მოთხოვნა. საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლის 1-ლი ნაწილით „განჩინება სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გაასაჩივროს პროკურორმა.“ ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ზოგადი ნორმის მოთხოვნა და გასაჩივრება უნდა მოხდეს 10 დღის ვადაში. საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში“. აქ საჩივრის შეტანის სპეციალური ნორმის მოთხოვნაა გადმოცემული. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლს უნდა დაემატოს მე-3[1] ნაწილი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3[1]. თუ სისხლის სამართლის პროცესში ერთი და იმავე საკითხს აწესრიგებს ზოგადი და სპეციალური ნორმები, გამოიყენება სპეციალური ნორმა“.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოქმედება სივრცეში განისაზღვრება იმ ტერიტორიით, სადაც მას აქვს სავალდებულო ძალა. კანონის სივრცეში მოქმედება მოცემულია საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილში. მასში აღნიშნულია, რომ დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად, სისხლის სამართლის პროცესი საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კანონის სივრცეში მოქმედების ამ წესს ტერიტორიული პრინციპი ეწოდება. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ სახელმწიფოს მიერ გაცემული სისხლის სამართლის საპროცესო კანონი მოქმედებს ყველა იმ საპროცესო მოქმედებებზე, რომელიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტარდება.

საქართველოს ტერიტორიად ითვლება:

ა) ხმელეთი, რომელიც მოქცეულია სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში;

ბ) შიდა წყლები; საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ საქართველოს 1998 წლის 17 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს შიდა წყლებს მიეკუთვნება: ა) მდინარეების, ტბებისა და წყალსატევების წყლები, რომელთა ნაპირი მთლიანად საქართველოს ეკუთვნის; ბ) შავი ზღვის წყლები ხმელეთსა და ტერიტორიული წყლების ასათვლელად დადგენილ სწორ ამოსავალ ხაზებს შორის; გ) საქართველოს პორტის წყლები, რომელიც შემოსაზღვრულია ზღვის მხარეს პორტის ჰიდროტექნიკური ან მისი სხვა მუდმივი ნაგებობის უკიდურეს წერტილებზე გამავალი ხაზით;

გ) საქართველოს ტერიტორიული წყლები; ზემოთ დასახელებული კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიულ წყლებს მიეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი და რომელიც აითვლება იმ წერტილების შემაერთებელი სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომელთა კოორდინატებს შინაგან საქმეთა

მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს ტერიტორიული წყლების სიგანე შეიძლება დადგინდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ხოლო ასეთის არარსებობისას – საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად;

დ) საჰაერო სივრცე სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიისა და წყლების ზემოთ;

ე) საქართველოს კონტინენტური შელფი; ჩვენს მიერ დასახელებული კანონის მე-7 მუხლის თანახმად, კონტინენტური შელფი არის ზღვის ფსკერი, რომელიც ვრცელდება სახმელეტო ტერიტორიის მთელ ბუნებრივ სიგრძეზე ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე 200 საზღვაო მილის მანძილზე იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა, თუ ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე. ცალკეულ შემთხვევებში კონტინენტური შელფის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე. ცალკეულ შემთხვევებში კონტინენტური შელფის გარე საზღვრიდან დგინდება მოსაზღვრე ან მოპირდაპირე სახელმწიფოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით;

ვ) განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა; დასახელებული კანონის მე-6 მუხლის თანახმად, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა არის საზღვაო სივრცე, რომელიც აითვლება იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა და რომელთა სიგანეც არ აღემატება 200 საზღვაო მილს.

საქართველოს სისხლის საპროცესო კანონმდებლობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზეც, თუ ამას ითვალისწინებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

საპროცესო კანონის მოქმედება პირთა წრის მიმართ გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ყველას მიმართ გამოიყენება ერთი – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონი. პირთა წრის ცნების ქვეშ იგულისხმება საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი (საქართველოში მუდმივად მცხოვრები ან უცხო ქვეყანაში მცხოვრები) და უცხო სახელმწიფოს მოქალაქე.

საქართველოს მოქალაქე, რომელიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობს, აგრეთვე საზღვარგარეთ მყოფი მისი ოჯახის წევრები, თუ ნებაყოფლობით არ დათანხმდებიან ადგილსამყოფელი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებას, ექვემდებარებიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას.

თუ საქართველოს ტერიტორიაზე სრულდება უცხო სახელმწიფოს სასამართლო თუ საგამოძიებო ორგანოს შუამდგომლობა, შეიძლება ამ სახელმწიფოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებაც, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

2.3. სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის სახეები და სტრუქტურა. სისხლის სამართლის პროცესის წყაროები

საპროცესო ნორმები იყოფა იმპერატიულ და უფლებამოსილებით ხასიათის ნორმებად.

საპროცესო ნორმა, რომელიც ატარებს ვალდებულებით ხასიათს, წარმოადგენს იმპერატიულ ნორმას. ხოლო ნორმა, რომელიც ადგენს უფლებას და ამ უფლების გამოყენება დამოკიდებულია უშუალოდ პროცესის კონკრეტულ მონაწილეზე, წარმოადგენს უფლებამოსილებით ხასიათის ნორმას.

იმპერატიული ნორმა არის სავალდებულო ან ამკრძალავი ხასიათის.

ნორმა ამკრძალავი ხასიათისაა, თუ იგი პროცესის მონაწილეს უკრძალავს რაიმე ქმედების შესრულებას.

მაგალითად, საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად, საგამოძიებო მოქმედების ჩატარება ღამით დაუშვებელია.

ნორმა სავალდებულო ხასიათისაა, თუ იგი პროცესის მონაწილეს ავალებს რაიმე მოქმედების შესრულებას.

მაგალითად, საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება.

უფლებამოსილებითი ხასიათის ნორმის მაგალითია საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის თანახმად, დაკითხვისას მოწმეს შეუძლია გამოიყენოს დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის შინაარსი ყოველთვის არ ემთხვევა საპროცესო კოდექსის მუხლს. რა თქმა უნდა, არის შემთხვევები, როდესაც ერთ საპროცესო ნორმას შეიცავს საპროცესო კოდექსის რამდენიმე მუხლი და პირიქით, საპროცესო კოდექსის ერთი მუხლი შეიცავს რამდენიმე საპროცესო ნორმას.

ყოველი საპროცესო ნორმა უნდა შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ, თუ მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში ვინ რა უნდა გააკეთოს ან რა მოქმედებისაგან უნდა შეიკავოს თავი და რა შედეგები დადგება, თუ პირი არ მოიქცა ისე, როგორც ეს საპროცესო ნორმითაა დადგენილი. ყოველივე ეს შეადგენს საპროცესო ნორმის სტრუქტურას.

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმა, მისი სტრუქტურის შესაბამისად შეიცავს ჰიპოთეზას, დისპოზიციას და სანქციას.

ჰიპოთეზა – მიუთითებს სამართლის ნორმის მოქმედების პირობებზე.

მაგალითად, საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დასაშვებია იძულების პროპორციული ზომის გამოყენება. ეს ნორმა მაშინ იწყებს ამოქმედებას, თუ წინააღმდეგობის გაწევა მოჰყვება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას.

დისპოზიცია – მიუთითებს მონაწილის ქცევის წესზე.

მაგალითად, საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თუ გამოძიების დაწყების შემდეგ გამოირკვა, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება სხვა საგამოძიებო ორგანოს კომპეტენციაა, გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შემდეგ პროკურორი დაუყოვნებლივ გადააგზავნის საქმეს ქვემდებარეობის მიხედვით. საქმის გადაგზავნა ქვემდებარებისამებრ – დისპოზიციაა.

სანქცია – მიუთითებს იმ შედეგების შესახებ, რაც შეიძლება დადგეს საპროცესო ნორმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ე.ი. სანქცია არის საშუალება იმისა, რომ ის უზრუნველყოფილი იქნეს დისპოზიციის შესრულება, რომ დაცული იყოს საპროცესო ნორმით დადგენილი მოქმედების წესი.

მაგალითად, საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე (სასამართლო) არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას პირს აკისრებს ჯარიმას 100-დან 5000 ლარამდე ოდენობით, რაც პროცესის მონაწილეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან.

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმა გამოხატულებას ჰპოულობს კანონში. ნებისმიერი კანონი, რომელიც შეეხება გამოძიებას, სისხლისამართლებრივ დევნას და სასამართლო განხილვას, ე.ი. შეიცავს საპროცესო ნორმებს, წარმოადგენს სისხლის საპროცესო სამართლის წყაროს.

სისხლის საპროცესო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს. იგი შეიცავს ნორმებს, რომლებიც გვევლინება სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპებად. კონსტიტუციის მე-2 თავში მთელი რიგი მუხლები პროცესუალური ნორმების მატარებელია. კონსტიტუციის მე-17 მუხლში საუბარია ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობაზე, მე-18 მუხლში-ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობაზე, მე-20 მუხლში -ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუვალობაზე, მე-40 მუხლში-უდანაშაულობის პრეზუმფციაზე, 42-ე მუხლში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სასამართლო წესით დაცვაზე და მთელ რიგ პროცესუალურ საკითხებზე.

სისხლის საპროცესო სამართლის წყაროდ გვევლინება საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები. აქედან გამომდინარე, სისხლის საპროცესო სამართლის წყაროდ გვევლინება გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წელს მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია". გარდა ამისა სისხლის საპროცესო სამართლის წყაროდ გვევლინება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია".

სისხლის საპროცესო სამართლის ძირითად წყაროდ გვევლინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც მიღებულია 2009 წლის 9 ოქტომბერს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 ოქტომბერს.

2.4. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ახსნა-განმარტება

ახსნა-განმარტებაში იგულისხმება კანონის ნამდვილი შინაარსის დადგენა, ახსნა მასში მოცემული ტერმინებისა, კანონმდებლის ნებისა და იმ კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გარკვევა, რომელმაც გამოიწვია ამ კანონის მიღება. ახსნა-განმარტება არის ნორმის შესწავლის პროცესი, -წერდა ალ. ვაჩეიშვილი-რომელიც არკვევს ნორმის შინაარსს.[9]

კანონის ახსნა-განმარტების რამდენიმე სახე და ხერხია ცნობილი სამართლის თეორიაში.

[9] ალ. ვაჩეიშვილი, სამართლის ზოგადი თეორია, გამომცემლობა „სამართალი", თბილისი, 2010, გვ.223;

იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ორგანო იძლევა განმარტებას და როგორი სავალდებულო ძალა აქვს მათ განმარტებას, განასხვავებენ კანონის ახსნა-განმარტების სამ სახეს: ლეგალურს, სასამართლოს და მეცნიერულს.

ლეგალური ახსნა-განმარტება, რომელსაც იძლევა ამისათვის კანონით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო.

ასეთი ახსნა-განმარტება არსებითად ნიშნავს ახალი კანონის მიღებას, რომელსაც ისეთივე ძალა აქვს, როგორიც განსამარტავ კანონს. იგი სავალდებულოა ყველასათვის.

სასამართლო ანუ კაზუალური ახსნა-განმარტებას იძლევა სასამართლო ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას. იგი სავალდებულოა მხოლოდ იმ საქმისათვის, რომელთან დაკავშირებითაც არის მიცემული.

მეცნიერულ ანუ დოქტრინულ ახსნა-განმარტებას იძლევა სამეცნიერო დაწესებულებები, მეცნიერები თავიანთ მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებში, სტატიებში, მოხსენებებში.

ახსნა-განმარტების ხერხების მიხედვით ცნობილია გრამატიკული, სისტემატური და ისტორიული ახსნა-განმარტება.

გრამატიკული ახსნა-განმარტების დროს ზუსტი აზრი დგინდება მისი ტექსტის ეტიმოლოგიური, სინტაქსური გარჩევისა და ასევე კანონში ნახმარი სიტყვების, ცნებების, ტერმინების მნიშვნელობის გარკვევის გზით.

სისტემატური ახსნა-განმარტება გამოიხატება კანონის აზრის გარკვევაში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონის საერთო სისტემაში მისი ადგილის დადგენით, შინაარსით მასთან ახლოს მდგომ კანონებთან დაპირისპირებითა და მათგან განცალკევებით. ამ გზით შესაძლებელი ხდება კანონებს შორის წინააღმდეგობის თავიდან აცილება, შესაბამისი კანონის ნამდვილი აზრის გარკვევა.

ისტორიული ახსნა-განმარტების დროს მხედველობაში მიიღება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, რომლებმაც ნორმის გამოცემა განაპირობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ არსებობს აგრეთვე ლოგიკური ახსნა-განმარტება. ჩვენი აზრით, ლოგიკის კანონები ყველა სახის ახსნა-განმარტებისას გამოიყენება და ამიტომ მისი ცალკე გამოყოფა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ახსნა-განმარტება მოცულობის მხრივ შეიძლება იყოს: შეზღუდვითი, გავრცობითი და სიტყვა-სიტყვითი.

შეზღუდვითი ეწოდება ისეთ ახსნა-განმარტებას, რომლის დროსაც კანონი გამოიყენება უფრო მოკლე შინაარსით ან აზრით, ვიდრე კანონის სიტყვა-სიტყვითი აზრია.

გავრცობითი ეწოდება ისეთ ახსნა-განმარტებას, რომლის დროსაც კანონი გამოიყენება სიტყვა-სიტყვითზე უფრო ფართო მნიშვნელობით, ე.ი. კანონის აზრი უფრო ფართოა, ვიდრე მისი ტექსტი.

სიტყვა-სიტყვითი ეწოდება ახსნა-განმარტებას, რომლის დროსაც კანონის აზრი და ტექსტი ერთმანეთს ემთხვევა.

2.5. სისხლის საპროცესო სამართალურთიერთობა

სისხლის სამართლის პროცესი, როგორც საპროცესო ურთიერთობის ფორმა, არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს სისხლის სამართალწარმოების სფეროში და აწესრიგებს საპროცესო საქმიანობას, რომლის მონაწილე პირები აღჭურვილნი არიან უფლებებითა და ვალდებულებებით. საპროცესო სამართალურთიერთობა შეიძლება წარმოიშვას სახელმწიფო ორგანოებს შორის მოხელეებსა და ფიზიკურ პირებს შორის[10].

სისხლის საპროცესო სამართალურთიერთობას ახასიათებს სპეციფიკა, რაც გამოიხატება შემდეგში:

1) საპროცესო სამართალურთიერთობის განსაკუთრებულობა გამოიხატება იმაში, რომ ამ ურთიერთობის ერთ-ერთ სუბიექტად გამოდის სახელმწიფო ორგანო, რომელიც აღჭურვილია ხელისუფლების უფლებამოსილებით. სახელმწიფო ორგანო იურიდიული ფაქტის არსებობისას, ვალდებულია მოახდინოს კანონიერი რეაგირება, თავისი უფლებამოსილების რეალიზაცია.

სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირების კანონიერი გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სხვა ორგანოსა და თანამდებობის პირებისათვის.

2) სისხლის საპროცესო სამართალურთიერთობის სპეციფიკა აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ ამ ურთიერთობის ყველა მონაწილე აღჭურვილია უფლებებითა და განსაზღვრული ვალდებულებებით, რომელთა რეალიზაცია ხდება სამართალურთიერთობისას. სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი არიან დაიცვან პროცესის მონაწილეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები. ამ უფლებებისა და ინტერესების დაცვა გარანტირებულია საპროცესო კანონმდებლობით. სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი არიან პროცესის მონაწილეებს განუმარტონ მათი კანონიერი უფლებები და ვალდებულებები. ამიტომ არის, რომ საპროცესო მოქმედებები გამომძიებლის ან პროკურორის მიერ ტარდება არა მარტო იმის გამო, რომ ისინი წარმოადგენენ დანაშაულის გახსნის, დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენას და დასჯის საშუალებას, არამედ ისინი უნდა წარმოადგენდნენ აგრეთვე პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფის საშუალებას. მაგალითად, გამომძიებელი როდესაც პირს წაუყენებს ბრალდებას, ამავე დროს იგი ვალდებულია, განუმარტოს ბრალდებულს ბრალდების შინაარსი და მისი კანონიერი უფლებები.

3) სისხლის საპროცესო სამართაურთიერთობის შემდეგ სპეციალური ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ობიექტი ამ ურთიერთობისა ეს არის ის, რაზედაც მიმართულია პროცესის მონაწილეების უფლებები და ვალდებულებები სამართალურთიერთობისას.

4) სისხლის საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობათა სისტემაში ცენტრალური და ტიპიური ადგილი უკავია სასამართლოსა და პროცესის მონაწილეების სამართალურთიერთობას მართლმსაჯულების განხორციე-ლებისას.

ასრულებს რა თავის ვალდებულებას სახელმწიფოს, საზოგადოების და პროცესის მხარეების წინაშე, სასამართლო იღებს ზომებს მხარეთა თანასწორობის საწყისებზე, ობიექტურად და მიუკერძოებლად, საქმის ყოველმხრივი და სრული გამოკვლევით გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

---

[10] Божев В.П. Уголовно-процессульные правоотношсиия, москва, 1975, ст. 98.

2.6. საპროცესო ფორმა

სისხლის სამართლის პროცესი ადგენს: სისხლის სამართლის საქმის წარმოების წესს; სტადიების თანამიმდევრობას და ერთი სტადიიდან მეორე სტადიაზე გადასვლის პირობებს; საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებათა ჩატარების საფუძვლებს, პირობებსა და წესს; გადაწყვეტილების შინაარსსა და ფორმას.

სისხლის სამართალწარმოების ან საპროცესო მოქმედებების ჩატარების კანონით დადგენილ წესს საპროცესო ფორმას უწოდებენ[11].

სხვადასხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარების საპროცესო ფორმა (წესი) რეგლამენტირებულია კანონით და აერთიანებს ამ მოქმედებათა მიზნებს, მასში მონაწილე პირების უფლებებსა და ვალდებულებებს, მათი ჩატარების თანამიმდევრობას, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების დამაგრების წესს. საპროცესო ფორმა უზრუნველყოფს მტკიცებულებათა დასაშვებობას. ამიტომ საპროცესო ფორმის (წესების) დარღვევით მიღებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

განსაკუთრებული საპროცესო ფორმა აქვს სხვადასხვა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმის წარმოებას.

საპროცესო ფორმა არის სახელმწიფო მოღვაწეობის სამართლებრივი ფორმის სპეციფიკური სახესხვაობა, რომლის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ იგი ქმნის დეტალურად დარეგულირებულ, მკაცრად სავალდებულო სისხლის სამართლის საქმის წარმოების სამართლებრივ რეჟიმს. ამიტომ არ არის დაშვებული საპროცესო კანონის მოთხოვნის უგულებელყოფა, ხოლო საპროცესო ფორმის ზედმიწევნით დაცვა წარმოადგენს საქმეზე კანონიერი მოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღების აუცილებელ მოთხოვნას. საპროცესო ფორმის მნიშველობა, მისი სოციალური შეფასება მდგომარეობს იმაში, რომ იგი უზრუნველყოფს სისხლის სამართლის პროცესში კანონიერების რეჟიმის დაცვას, ქმნის უტყუარი გადაწყვეტილები მიღების წინაპირობას, შეიცავს საქმეში მონაწილე პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიებს. საპროცესო ფორმა ითვალისწინებს იმ წესებს, რომელსაც აქვს პროცედურული, რიტუალური ხასიათი. ამ წესებს გააჩნია არსებითი მნიშვნელობა. ასე, მაგალითად, იმის წესი, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს, რომელიც ცხადდება საქართველოს სახელით, პროცესის მონაწილეები პატივისცემის ნიშნად ფეხზე მდგომნი ისმენენ.

2.7. საპროცესო სამართლებრივი გარანტიები

საპროცესო სამართლებრივი გარანტიები – ეს არის საპროცესო ნორმით დადგენილი სამართლებრივი საშუალებები, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირებს შეასრულონ დაკისრებული მოვალეობები და განახორციელონ თავიანთი უფლებები[12].

---

[11] Советский уголовный процесс, под ред. Д.С. Карева, Москва, 1968, ст.19.

[12] Уголовный процесс, под ред. Р.А. луринскои, И.В. Тиричева, Ч 1, Москва, 1992. ст. 23.

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს სამართლებრივი გარანტიები უქმნიან შესაძლებლობას შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები და გამოიყენონ უფლებები სისხლის სამართლის პროცესში.

რამდენადაც სისხლის სამართლის საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ მხარედ ყოველთვის გვევლინება სახელმწიფო ორგანო ან თანამდებობის პირი, რომელიც აღჭურვილია ხელისუფლების უფლებამოსილებით, ისინი ვალდებულნი არიან დაიცვან ადამიანთა კანონიერი უფლებები და ინტერესები, ე.ი. რეალურად უზრუნველყონ ადამიანთა უფლებების დაცვა, პირველყოვლისა ბრალდებულის. სამართლებრივ გარანტიებზე მიუთითებს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, დაცვის უფლება გარანტირებულია.

ბრალდებულს უფლება აქვს დაიცვას თავისი უფლებები როგორც პირადად, ასევე ადვოკატის მეშვეობით.

სისხლის სამართლის პროცესში პიროვნების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს წარმოადგენს:

ა) დაკავებულისა და ბრალდებულის უფლება იცოდეს რაშია იგი ბრალდებული, უფლება ისარგებლოს ადვოკატით;

ბ) სასამართლო კონტროლი აღკვეთის ღონისძიების შერჩევასა და გამოყენებაში, აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილება საპროცესო სამართლებრივი იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად;

გ) სასამართლო განხილვის მონაწილე მხარეთა თანასწორუფლებიანობა;

დ) მხოლოდ სასამართლოს უფლება ბრალდებული ცნოს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში;

ე) თანამდებობის პირებისა და სახელმწიფო ორგანოების მოქმედებასა და გადაწყვეტილებებზე სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებების საპროცესო გარანტიები წარმოადგენენ იმ საშუალებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ამ უფლებების ფაქტიურ რეალიზაციას. მაგალითად, ბრალდებულის უფლება იყოლიოს ადვოკატი გარანტირებულია ამ უფლების განმარტებით.

პროცესის მონაწილისათვის უფლებების განმარტება ევალებათ იმ პირებს, რომლებიც აწარმოებენ პროცესს. ისინი ვალდებულნი არიან განუმარტონ საქმეში მონაწილე პირებს უფლებები და უზრუნველყონ ამ უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

ადამიანთა უფლებები გვევლინება საპროცესო სამართლებრივი გარანტიის განსაკუთრებულ სახედ. ამიტომ ორგანოები და პირები, რომლებსაც მიჰყავთ პროცესი, ვალდებულნი არიან მტკიცედ დაიცვან მოქალაქეთა პროცესუალური უფლებები. ისინი დაინტერესებულნი უნდა იყვნენ იმით, რომ პროცესის მონაწილეებმა იცოდნენ და ასრულებდნენ თავიანთ უფლებებს, რის საფუძველზეც შეიძლება მხოლოდ საქმის ობიექტური, ყოველმხრივი და სრული გამოკვლევა, კანონიერი და დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

2.8. სისხლის საპროცესო სამართალი და მორალის ნორმები

სისხლის სამართლის პროცესს, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროს, და საერთოდ ადამიანთა შორის დარეგულირებულ ურთიერ-

თობებს ემსახურება არა მარტო სამართლებრივი, არამედ მორალის ნორმებიც. მორალი, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, აერთიანებს ადამიანთა შეხედულებებს სიკეთეზე, ბოროტებაზე, სამართლიანობაზე, ღირსებებზე, მოვალეობებზე და ა. შ.

მორალისა და სამართლის ნორმები შეხამებულია ერთმანეთთან და მოქმედებენ სისხლის სამართლის პროცესის რეგულირების სფეროში.

მორალისა და სამართლის ნორმები გაცნობიერებულია რა გამომძიებლის, პროკურორისა და მოსამართლის მიერ, გამოიყენება საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას, ბრალდებულთან დამოკიდებულებაში, მოწმესთან, დაზარალებულთან ურთიერთობისას და ა. შ.

სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უმრავლესობა აღმოცენდა მორალურ ნარმოდგენებსა და წესებზე. მორალის ნორმები გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესებში. მაგალითად, საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის თანახმად, თუ პირად ჩხრეკას თან სდევს გაშიშვლება, იგი უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პირმა. ამ დროს დასაშვებია მხოლოდ იმავე სქესის პირთა მონაწილეობა.

მორალის ნორმები პროცესის სუბიექტის ქცევის რეგულატორს წარმოადგენს.

მორალის ნორმები მოქმედებენ საქმის სასამართლოში განხილვის დროსაც. მოსამართლე თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას უნდა იდგეს თავისი მოწოდების სიმაღლეზე, იცავდეს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს, იყოს ობიექტური, სამართლიანი და მიუკერძოებელი.

საკონტროლო კითხვები:

1) რას ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი?
2) ჩამოაყალიბეთ სისხლის საპროცესო სამართლის კანონის ცნება
3) ჩამოაყალიბეთ სისხლის საპროცესო სამართლის ნორმის ცნება
4) რა შემთხვევაში აქვს სისლის სამართლის საპროცესო კანონს უკუძალა?
5) რა შემთხვევაშია დასაშვები სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება?
6) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის სივრცეში მოქმედების არსი
7) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დროში მოქმედების არსი
8) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის პირთა წრის მიმართ მოქმედების არსი
9) ჩამოაყალიბეთ იმპერატიული ხასიათის ნორმის ცნება
10) ჩამოაყალიბეთ უფლებამოსილებითი ხასიათის ნორმის ცნება
11) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ჰიპოთეზის ცნება

12) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის დისპოზიციის ცნება

13) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის სანქციის ცნება

14) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ლეგალური ახსნა-განმარტების არსი

15) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის სასამართლო ანუ კაზუალური ახსნა-განმარტების არსი

16) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მეცნიერული ანუ დოქტრინული ახსნა-განმარტების არსი

17) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის გრამატიკული ახსნა-განმარტების არსი

18) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის სისტემატური ახსნა-განმარტების არსი

19) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისტორიული ახსნა-განმარტების არსი

20) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის შეზღუდვითი ახსნა-განმარტების არსი

21) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის გავრცობითი ახსნა-განმარტების არსი

22) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის სიტყვა-სიტყვითი ახსნა-განმარტების არსი

23) ჩამოაყალიბეთ სისხლის საპროცესო სამართალურთიერთობის ცნება

24) ჩამოაყალიბეთ საპროცესო ფორმის ცნება

25) ჩამოაყალიბეთ საპროცესო სამართლებრივი გარანტიების ცნება

26) დაადგინეთ სისხლის საპროცესო სამართლისა და მორალის ნორმების ურთიერთკავშირი

თავი 3. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები

3.1. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების ცნება და მნიშვნელობა

პრინციპი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითად ამოსავალ დებულებებს, სახელმძღვანელო იდეებს[13].

პრინციპები ჩამოყალიბებულია საქართველოს კონსტიტუციაში, საპროცესო კოდექსში და სხვა საკანონმდებლო აქტებში. ყველა პრინციპი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთიანობაში გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მისაღწევად.

პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს კონსტიტუციაში, კონსტიტუციური პრინციპი ეწოდებათ.

ზოგიერთი პრინციპი გვხვდება სამართლის რამდენიმე დარგში. ასეთ პრინციპებს საერთო სამართლებრივს, ანუ დარგთაშორის პრინციპებს უწოდებენ. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ერთი რომელიმე პრინციპი აქვს სამართლის ორ ან მეტ დარგს.

საერთოსამართლებრივი პრინციპები გამოხატავენ დემოკრატიული ქვეყნების ბუნებას და არსს, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებს.

პრინციპები, რომლებიც გადმოცემულია საპროცესო კოდექსში, დარგობრივ პრინციპებადაა ცნობილი.

სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს ახასიათებთ გარკვეული ნიშნები: 1) სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს აქვთ ობიექტური ხასიათი. მასში ასახულია სამართლებრივი და ზნეობრივი იდეები; 2) სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები წარმოადგენენ სახელმძღვანელო დებულებებს, ყველა მათგანი სავალდებულოა პროცესის მწარმოებელი ორგანოებისა და სამართალწარმოებაში მონაწილე სხვა პირებისათვის. გარდა ამისა, აღნიშნული პრინციპები წარმოადგენენ სახელმძღვანელო იდეებს კანონმდებლისათვის, რადგან ახალი კანონის მიღებისას კანონმდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს ისინი და უზრუნველყოს ახალი კანონის მოთხოვნების შესაბამისობა ამ პრინციპებთან; 3) სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები განმტკიცებულია კანონში, მათ აქვთ ზუსტი ფორმულირება და იმპერატიული ხასიათი.

სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს შემდეგი პრინციპები:

1) პიროვნების ღირსების ხელშეუხებლობის; 2) უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია; 3) ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა; 4) სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; 5) სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება; 6) მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრობითობა; 7) სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა; 8) სისხლის სამართლის პროცესის სახელმწიფო ენაზე განხორციელება; 9) კანონიერება და სასამართლოს დამოუკიდებლობა; 10) მტკიცებულება; 11) მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევა; 12) ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება;

[13] უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი, შემდგენელი მ.ჭაბაშვილი, თბილისი, 1973, გვ. 332;

13) სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა; 14) ბრალის წაყენება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე; 15) განმეორებით დაკავებისა და მსჯავრდების აკრძალვა.

3.2. სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები

3.2.1. პიროვნების ღირსების ხელშეუვალობა

პიროვნების ღირსების ხელშეუვალობა, როგორც სისხლის სამართლის პროცესის პრინციპი, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ნორმატიული აქტებით და საპროცესო კანონმდებლობით.

საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეები ვალდებულნი არიან სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე დაიცვან პროცესის მონაწილეთა ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

საგამოძიებო და სასამართლო მოქმედების ჩატარებისას დაუშვებელია ადამიანის თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე. აგრეთვე დაუშვებელია მუქარა ან ისეთი შეღავათების დაპირება, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული.

პროცესის დროს იძულების ზომის გამოყენება შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

3.2.2. უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია

პრეზუმფცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ვარაუდზე დამყარებულ მოსაზრებას, ხოლო სამართლებრივი თვალსაზრისით – რაიმე ფაქტის აღიარებას სარწმუნოდ, სანამ არ დამტკიცდება მისი მცდარობა[14].

საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.

ბრალდებულს უდანაშაულოდ თვლის კანონი, თუნდაც არსებობდეს ალბათობის მაღალი ხარისხი დამტკიცდეს, რომ მოცემულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. ბრალდებულის დამნაშავეობა უნდა დამტკიცდეს სასამართლო წარმოების წესით, რა დროსაც ტარდება სასამართლო განხილვა. როდესაც სასამართლო დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს და იგი შევა კანონიერ ძალაში, სწორედ მას შემდეგ სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას ბრალდებული ცნოს დამნაშავედ. არც ერთ სახელმწიფო ორგანოს და თანამდებობის პირს არა აქვს უფლება ბრალდებულს მოექცეს, ისე როგორც დამნაშავეს[15].

---

[14] უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი, შემდგენელი მ. ჭაბაშვილი, თბილისი, 1973, გვ. 329;

[15] Ретрухин И.Л., Свобода личности и уголовно-процессуальное принуждение, москва, 1985, ст. 188.

არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ბრალმდებელს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე. ეს მოთხოვნა ვრცელდება როგორც გამოძიებას, ასევე სასამართლო განხილვისას. გამოძიებისას ბრალდების ტვირთი გამომძიებელს ან პროკურორს ეკისრება, ხოლო სასამართლო განხილვისას – პროკურორს, რომელიც სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ეჭვი და ვარაუდი განმარტებული უნდა იყოს ბრალდებულის სასარგებლოდ.

გამოძიების ან სასამართლო განხილვის პროცესში პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა. ე.ი. ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრება შეიძლება შეეფარდოს თუ არსებობს ამის აუცილებლობა.

3.2.3. ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა

ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ მართლზომიერად, ე.ი. თუ ამას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის და საპროცესო კოდექსის სპეციალური ნორმები.

სასამართლო არის ერთადერთი ორგანო, რომლის პრეროგატივაა პირის დამნაშავედ ცნობა და სასჯელის შეფარდება.

პირისათვის სასჯელის შეფარდება დაიშვება მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით და იმ ვადითა და წესით, რაც განაჩენშია განსაზღვრული კანონის საფუძველზე.

თუ გამოძიებისას ან სასამართლო განხილვისას გამოიყენება უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის რომელიმე წესი, უპირატესობა მათ შორის ენიჭება ყველაზე მსუბუქს.

საქმის გამოძიება-განხილვის პროცესში დასაშვებია ბრალდებულის დაპატიმრება კანონით ზუსტად გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წესით. პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, არ შეიძლება გაგრძელდეს კანონის მიერ დადგენილ ვადაზე ზევით.

3.2.4. სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური პრინციპის დაცვა გარანტირებულია.

კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია...

კონსტიტუციით გათვალისწინებული ეს პრინციპი აისახა საპროცესო კანონმდებლობაში, სახელდობრ, მე-7 მუხლში. გამოძიების პროცესში მხარეს არა

აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. კერძო საკუთრების ან სხვა მფლობელობის და ნებისმიერი საშუალებით განხორციელებული კერძო კომუნიკაციის ხელშეუხებლობა გარანტირებულია კანონით.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში კანონი გულისხმობს საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის, მიმოწერის, საფოსტო გზავნილის, პირადი ჩანაწერის, სატელეგრაფო შეტყობინების, სატელეფონო საუბრის, სხვა ტექნიკური საშუალებით გადაცემული ან მიღებული პირადი ხასიათის ინფორმაციის ხელშეუხებლობას.

საპროცესო მოქმედების ჩამტარებელმა არ უნდა გაამჟღავნოს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია.

პირს, რომელსაც ზიანი მიადგა მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამომჟღავნებით, აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის სრული ანაზღაურება.

3.2.5. სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება

სამართლიან პროცესს და სწრაფ მართლმსაჯულებას აღიარებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი. სამართლიანია ის სასამართლო, რომელიც შექმნილია კანონის საფუძველზე და დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია. საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, ბრალდებულს აქვს სამართლიანი პროცესის უფლება. მოცემული მოთხოვნა ვრცელდება როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლო პროცესზე.

ბრალდებულს აქვს სწრაფი მართლმსაჯულების უფლება. პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სწრაფ მართლმსაჯულებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადო მომზადებისათვის.

სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.

3.2.6. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრობითობა

არავინ არ სარგებლობს, პრივილეგიებით კანონისა და სასამართლოს წინაშე, არ შეიძლება ერთი ადამიანის უფლებების ხარჯზე სხვა ადამიანის უფლებების დისკრიმინაცია (ლათ. განსხვავება, თანასწორუფლებიანობის მოსპობა). ეს მოთხოვნა ვრცელდება პროცესის ყველა სტადიაზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მხარეს წარმოადგენს პირი სისხლის სამართლის პროცესში.

საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. თანასწორობის პრინციპი ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მისი რეალიზაცია ხდება მხოლოდ სასამართლოში. თანასწორობა დაცული უნდა იყოს გამოძიების დროსაც გამომძიებლისა და პროკურორის მიერ. ამ მოთხოვნის უგულებელყოფა გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, როგორც თანასწორობის პრინციპის დარღვევა. მხარეებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობები

ისარგებლონ კანონით მინიჭებული უფლებებით და შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები.

პროცესში მონაწილე ორი მხარე – ბრალდებისა და დაცვის ერთმანეთს ეპაექრება. მათ აქვთ თანაბარი უფლებები მტკიცებულებათა მოპოვების, წარმოდგენის თუ გამოკვლევაში მონაწილეობის საკითხებში.

მხარეები სრული თანასწორები არიან მტკიცებულებათა წარმოდგენაში, მათი გამოკვლევისას მონაწილეობის მიღებაში, შუამდგომლობის დაყენებაში.

მხარეს უფლება აქვს კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.

დაცვის მხარე არ არის უფლებამოსილი, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით შემდეგი საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად: ჩხრეკა და ამოღება.

3.2.7. სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა

სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო სხდომაზე განხილვა მიმდინარეობს ღიად და მტკიცებულებათა გამოკვლევა ხდება ზეპირად. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს სასამართლო დახურულ სხდომაზე განიხილავს.

სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ:

ა) პროფესიული, კომერციული ან პირადი საიდუმლოების დაცვის მიზნით

ბ) არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით;

გ) პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის (ახლო ნათესავის) პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ან თუ გამოიყენება პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიება, რომელიც მოითხოვს სასამართლო სხდომის დახურვას;

დ) სქესობრივი დანაშაულის ან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით;

ე) პირადი მიმოწერის და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამაზე თანახმა არ არის პირი.

საჯაროობა მოითხოვს, რომ სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება ჰქონდეს ნებისმიერ პირს, გაშუქდეს მედია საშუალებებით და ა. შ. სასამართლო სხდომაზე 14 წლამდე პირი არ დაიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის პროცესის მონაწილეა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია 14 წლამდე პირს დართოს ნება, დაესწროს სასამართლო სხდომას.

მიუხედავად იმისა, სასამართლო სხდომა დახურულია თუ არა, სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ.

სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში სისხლის სამართლის საქმის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება, სტენოგრაფირება და აუდიო-ჩაწერა ხორციელდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით. კერძოდ, **სასამართლოში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას ახორ-**

ციელებს სასამართლო ან სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი. სასამართლოს შეუძლია გაავრცელოს თავის ხელთ არსებული სასამართლო პროცესის ფოტო-, კინო- და ვიდეოგადაღების მასალები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს. სასამართლო სხდომის სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა დაიშვება სასამართლოს (მოსამართლის) მიერ დადგენილი წესით. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს (მოსამართლის) მოტივირებული გადაწყვეტილებით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან:

ა) დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე;

ბ) როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა;

გ) როდესაც საქვეყნოობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.

3.2.8. სისხლის სამართლის პროცესის სახელმწიფო ენაზე განხორციელება

მსოფლიოს ყოველ ქვეყანას გააჩნია კონკრეტული სახელმწიფო ენა, რომელზეც ქვეყნის შიგნით წარმოებს ოფიციალური დოკუმენტების შედგენა.

კონსტიტუციის მე-8 მუხლში აღნიშნულია, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე აფხაზური. ეს მოთხოვნა ვრცელდება ზოგადად სამართალწარმოებაზე. კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-2 პუნქტში ვკითხულობთ, რომ სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა ასახულია საპროცესო კანონმდებლობის მე-11 მუხლში, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება ქართულ ენაზე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. ეს მოთხოვნა ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი ადგილები დასახლებულია უამრავი მცირე ერებით.

ადგენს რა სახელმწიფო ენას, კონსტიტუცია ამასთან ერთად პროცესის მონაწილეს აძლევს გარანტირებულ უფლებას გამოვიდეს საკუთარ ენაზე ან იმ ენაზე, რომელიც მან სათანადოდ იცის, სისხლის სამართლის პროცესში. ამაზე ლაპარაკობს საპროცესო კანონმდებლობა.

პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, კოდექსით დადგენილი წესით დაენიშნება თარჯიმანი. ეს პრინციპი ვრცელდება როგორც გამოძიებისას, ასევე სასამართლო განხილვისას.

მოწვეული თარჯიმანი სრულყოფილად უნდა ფლობდეს სამართალწარმოების ენას და იმ ენას, რომელ ენაზეც პროცესის მონაწილე იძლევა განმარტებას. თარჯიმნის შრომის ანაზღაურება ხდება სახელმწიფოს ხარჯზე. უცხო ენაზე შექმნილი დოკუმენტი უნდა ითარგმნოს სამართალწარმოების ენაზე თარჯიმნის მიერ.

3.2.9. კანონიერება და სასამართლოს დამოუკიდებლობა

კანონიერებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე, პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის განსჯადობასაც კანონით ექვემდებარება მისი საქმის განხილვა. მოცემული დებულება მოითხოვს მკაცრად იქნეს დაცული განსჯადობის დადგენილი წესი.

კანონიერების არსებობისათვის საჭირო და აუცილებელი პირობაა ის, რომ კანონები სრულდებოდეს ზუსტა და განუხრელად.

კანონიერების პრინციპის გატარება გამორიცხავს თვითნებობასა და უკანონობასპროცესის მონაწილეთა უფლებების დარღვევასა და შეზღუდვას.

სისხლისსამართლებრივ დევნას საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ახორციელებს მხოლოდ პროკურორი. სხვა პროცესის არც ერთი სხვა მონაწილე არ სარგებლობს ამ უფლებით. სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება ორ შემთხვევაში: ან პირის დაკავებისთანავე, ან პირის ბრალდებულად ცნობისთანავე.

საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთნაირია და სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილისათვის.

საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირის კანონიერ ინტერესს პრიორიტეტი აქვს დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესთან შედარებით. პირის კანონიერი ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

კანონიერების პრინციპს პრინციპების პრინციპს უწოდებენ.[16]

3.2.10. მტკიცებულება

მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებენ მის პიროვნებას.

მტკიცებულებას არა აქვს წინასწარი დადგენილი ძალა. ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

---

[16] Строгович М.С.. Курс советского уголовного процесса, Т.1, ст.124.

3.2.11. მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევა

მტკიცებულებათა უშუალობა გამოხატავს მოთხოვნას, რომ მხარეები სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) წარუდგენენ მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომელიც მიღებულია პირველწყაროდან, პირადად აქვთ გამოკვლეული. მხარეები ვერ წარადგენენ სასამართლოში იმ მტკიცებულებებს, თუ მათ არ ჰქონიათ ამ მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა, გარდა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევაში იგულისხმება აგრეთვე, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას შედეგები ფიქსირდება ოქმში უშუალოდ მისი მსვლელობის პროცესში ან დაუყოვნებლივ დამთავრებისთანავე.

მხარეს უფლება აქვს სასამართლოში მოითხოვოს მოწმის უშუალოდ დაკითხვა და წარადგინოს საკუთარი მტკიცებულება.

ზეპირობის პრინციპის ძალით, დასაკითხი პირი ჩვენებას იძლევა ზეპირად, ასევე, კითხვების დასმა, კითხვაზე პასუხის გაცემა უნდა იყოს ზეპირი ფორმით, რაც ფიქსირდება სასამართლო სხდომის ოქმში.

3.2.12. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება

მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლით. საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, არავინ არ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრე განისაზღვრება ამ კოდექსით.

სისხლის სამართლის 371-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე თავისი ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ, და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

ახლო ნათესავის ცნებაში იგულისხმება – მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის – განქორწინებული).

3.2.13. სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა

სისხლისსამართლებრივ დევნას ახორციელებს მხოლოდ პროკურორი; საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, რა დროსაც ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით.

დისკრეციული ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს პირადი შეხედულების მიხედვით, თვითნებურად. თავისი შეხედულებისამებრ მოქმედს.

სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე.

პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებუ-

ლი ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. ხოლო დაკავების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე, პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები ჩამოთვლილია საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში.

როგორც ვხედავთ, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების და შეწყვეტის შესახებ პროკურორი ხელმძღვანელობს კანონით, რომლის შესრულებაც მისთვის სავალდებულოა. ამიტომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი კი არ უნდა სარგებლობდეს დისკრეციული უფლებამოსილებით, არამედ – კანონით.

ჩვენი აზრით, საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„მუხლი 16. სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილება

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ხელმძღვანელობს კანონით.“

3.2.14. ბრალის წაყენება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე

ბრალის წაყენება პირისათვის უნდა მოხდეს დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე. ამას მოითხოვს საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი. ამ მუხლის თანახმად, პირს ბრალი წაეყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

დასაბუთებულ ვარაუდს ბრალდების წაყენების შესახებ იძლევა გამოძიების სტადიაზე შეკრებილი მტკიცებულებათა ერთობლიობა. ბრალდების წაყენება ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ბრალდებული დამნაშავეა.

ბრალდების წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ.

3.2.15. განმეორებითი დაკავების, ბრალის წაყენების ან მსჯავრდების აკრძალვა

დაუშვებელია განმეორებით დაკავება, ბრალის წაყენება და მსჯავრდება. ამაზე მითითებულია საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლში. ამ მუხლის თანახმად, დაუშვებელია პირის განმეორებით დაკავება მხოლოდ ერთი და იმავე მტკიცებულებების ან/და ინფორმაციის საფუძველზე. დაკავებისას მტკიცებულებებად გვევლინება: ბრალდებულის ჩვენება, მოწმის ჩვენება, ნივთიერი მტკიცებულება. ასევე არ შეიძლება დაკავება ერთი და იმავე ინფორმაციის საფუძველზე.

არავის არ შეიძლება განმეორებით წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ კონსტიტუციური პრინციპების ცნება

2) ჩამოაყალიბეთ საერთო სამართლებრივი ანუ დარგთაშორისი პრინციპების ცნება

3) ჩამოაყალიბეთ დარგობრივი პრინციპების ცნება

4) ჩამოაყალიბეთ პიროვნების ღირსების ხელშეუვალობის პრინციპის არსი

5) ჩამოაყალიბეთ უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფციის პრინციპის არსი

6) ჩამოაყალიბეთ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობის პრინციპის არსი

7) ჩამოაყალიბეთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპის არსი

8) ჩამოაყალიბეთ სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის არსი

9) ჩამოაყალიბეთ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპის არსი

10) ჩამოაყალიბეთ სასამართლო სხდომის საჯაროობისა და ზეპირობის პრინციპის არსი

11) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის პროცესის სახელმწიფო ენაზე განხორციელების პრინციპის არსი

12) ჩამოაყალიბეთ კანონიერებისა და სასამართლო დამოუკიდებლობის პრინციპის არსი

13) ჩამოაყალიბეთ მტკიცებულების პრინციპის არსი

14) ჩამოაყალიბეთ მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის პრინციპის არსი

15) ჩამოაყალიბეთ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების პრინციპის არსი

16) ჩამოაყალიბეთ სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობის პრინციპის არსი

17) ჩამოაყალიბეთ დაუსაბუთებელი ვარაუდის საფუძველზე ბრალის წაყენების პრინციპის არსი

18) ჩამოაყალიბეთ განმეორებით დაკავების, ბრალის წაყენების ან მსჯავრდების აკრძალვის პრინციპის არსი

თავი 4. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები

4.1. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა არსი და კლასიფიკაცია

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები, მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ კანონით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები. ასეთ პირებს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები ეწოდებათ, რომლებიც აღჭურვილნი არიან გარკვეული უფლებებით და აკისრიათ ვალდებულებები, რომელთა რეალიზაცია გარანტირებულია კანონით. სისხლის სამართლის საქმეში პროცესის მონაწილეთა როლი, დანიშნულება და მიზანი სხვადასხვაა, რაც პროცესის მონაწილეთა კლასიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება სასამართლო, რომელსაც აკისრია საქმის განხილვა-გადაწყვეტის ფუნქცია.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება მხარეები, რომლებსაც გააჩნიათ საკუთარი ინტერესები სისხლის სამართლის პროცესში. პროცესში მონაწილეობს ბრალდებისა და დაცვის მხარე. ბრალდების მხარეა – გამომძიებელი, პროკურორი. დაცვის მხარეა – ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება პროცესის ის მონაწილეები, რომლებიც სასამართლოს და პროცესის მონაწილე მხარეებს ხელს უწყობენ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. ასეთი მონაწილეებია: მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი, სასამართლოს მეგობარი, დაზარალებული.

პირველ და მეორე ჯგუფში შესული მონაწილეების მოღვაწეობა გამოიხატება სამ ძირითად ფუნქციაში: საქმის განხილვა-გადაწყვეტის, ბრალდებისა და დაცვის ფუნქციაში[17].

განვიხილოთ ცალკეული მონაწილეები ჩვენს მიერ რეკომენდებული ჯგუფების მიხედვით.

4.2. სასამართლო

სასამართლო განხილვა სისხლის სამართლის პროცესის მთავარ სტადიას წარმოადგენს. სასამართლო სისხლის სამართლის პროცესში ახდენს სასამართლო ხელისუფლების რეალიზაციას მართლმსაჯულების საშუალებით.

სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. სწორედ აქ გამოიხატება სასამართლოს საქმის განხილვა-გადაწყვეტის ფუნქცია.

სასამართლოს ეკრძალება უარი თქვას მართლმსაჯულების განხორციელებაზე. იგი ვალდებულია საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, განსჯადობის მიხედვით განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, შუამდგომლობა და საჩივარი.

---

[17] Якупов Р.Х. Уголовний процесс, Москва, 1998, ст. 87.

თუ სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციით არ განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (უკეთესი იქნება თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნაცვლად გამოიყენება ტერმინი სასამართლო ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით), მას პირველი ინსტანციით განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციაში შედის:

ა) ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანა;

ბ) ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა (გამოყენება, შეცვლა და გაუქმება);

გ) გამომძიებლის ან/და პროკურორის უკანონო ქმედების გამო საჩივრის გადაწყვეტა;

დ) საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

ამრიგად, მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილება ამომწურავ ხასიათს არ ატარებს და იგი ფართოვდება საპროცესო კოდექსის კერძი ნაწილის ცალკეულ მუხლებში მოცემული უფლებამოსილებებით.

მოცემულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე ტარდება, ჩატარდება ან ჩატარდა გამოძიება ან საპროცესო მოქმედება. საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს სხვა მაგისტრატმა მოსამართლემ.

მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობისათვის მიკუთვნებული საკითხები შეიძლება განიხილოს სხვა მაგისტრატმა მოსამართლემ ან გამოძიების ადგილის მიხედვით შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ, როდესაც:

1) მაგისტრატი მოსამართლე ადგილზე არ იმყოფება;

2) გამოძიების ადგილი არ ემთხვევა დანაშაულის ჩადენის ადგილს.

კანონი ადგენს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის, სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატის, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია განიხილავს მაგისტრატი მოსამართლისათვის განკუთვნილ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების გამო სააპელაციო საჩივარს.

სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატა განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან მაგისტრატი მოსამართლის განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამო სააპელაციო საჩივარს.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო

გადაწყვეტილების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივარს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განიხილავს სააპელაციო სასამართლოს განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილებების გამო საკასაციო საჩივარს.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების უფლებამოსილება ვრცელდება გარკვეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულზე, რომელსაც ტერიტორიული განსჯადობა ეწოდება.

სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში განიხილება იმ ადგილის მიხედვით, სადაც ბრალდებული პირველად წარედგინა სასამართლოს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს როგორც არსებითი განხილვის შემდეგ, ისე არსებითი განხილვის გარეშე. მოსამართლე არკვევს მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობას, ასეთივე საკითხს, დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში მოსამართლე საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანს განაჩენს.

გამოძიებისას მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე შუამდგომლობას განიხილავს სასამართლო გამოძიების დამთავრების ადგილის მიხედვით.

ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადასცეს სხვა სასამართლოს ორიდან ერთ-ერთ შემთხვევაში:

ა) ამ საქმეში მონაწილე დაზარალებულთა და მოწმეთა უმრავლესობის ადგილსამყოფელის მიხედვით;

ბ) სხვა მიზეზით, რომელიც დაკავშირებულია ნაკლები საპროცესო ხარჯების გაწევასთან.

მაგალითად, გორში მიმავალი სამარშრუტო ტაქსი გაძარცვეს მცხეთაში. დაზარალებულები და მოწმეები გორის მაცხოვრებლებია. ბრალდებულის პირველად წარედგინა მცხეთის რაიონულ სასამართლოს. ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე არსებით განსახილველად სისხლის სამართლის საქმე გადასცეს გორის რაიონულ სასამართლოს.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ სისხლის სამართლის საქმე მისი განსჯადი არ არის, იგი განჩინებით საქმეს განსჯადობის მიხედვით გადასცემს სხვა სასამართლოს.

თუ თანაბარი რანგის სასამართლოებს შორის წარმოიშობა დავა განსჯადობის თაობაზე, ამ საკითხს წყვეტს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ან მაგისტრატი მოსამართლე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად. თუ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმის განხილვისათვის, სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ:

1) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის;

2) საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულისაა.

საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში განიხილება ნაფიცი მსაჯულებისა და მოსამართლის მონაწილეობით.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში სისხლის სამართლის საქმე სააპელაციოს წესით განიხილება კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით. თუმცა კანონი უშვებს გამონაკლისს, როდესაც სააპელაციო წესით სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ ერთპიროვნულად შეიძლება განიხილოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განჩინებისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილებების გამო საჩივრები ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სისხლის სასამართლო საქმეებზე. საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განიხილება კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით, ხოლო დიდ პალატაში – ცხრა მოსამართლის შემადგენლობით.

თუ საქმე კოლეგიურად განიხილება, სასამართლო შემადგენლობის ყველა მოსამართლეს გადაწყვეტილების მიღების თანაბარი უფლება აქვს.

თუ სისხლის სამართლის საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია და ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, საქმეს სასამართლო განიხილავს მის დაუსწრებლად, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

საპროცესო კოდექსში შესულმა ცვლილებებმა დაადგინა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობა საპროცესო კოდექსიც 211-ე მუხლის შესაბამისად ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იქმნება თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებსა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონულ სასამართლოებში. მათი სამოქმედო ტერიტორიები განისაზღვრება იუსიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით..

სასამართლო სხდომას ხელმძღვანელობს სასამართლო სხდომის თავმჯდომარე. სასამართლო სხდომის თავმჯდომარე:

ა) წარმართავს სხდომას;

ბ) წარმართავს სასამართლოს თათბირის მიმდინარეობას;

გ) მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, დაუბრკოლებლად წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებანი;

დ) უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას;

ე)ახორციელებს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

სასამართლო სხდომის აუცილებელი მონაწილეა სასამართლო სხდომის მდივანი. სასამართლო სხდომის მდივანი უფლებამოსილია:

ა) შეამოწმოს გამოცხადდა თუ არა სასამართლო პროცესზე გამოძახებული პირი, და ამის თაობაზე მოახსენოს სასამართლოს;

ბ) სხდომის თავმჯდომარის წინადადებით საჯაროდ წაიკითხოს საპროცესო დოკუმენტი;

გ) აწარმოოს სასამართლო სხდომის ოქმი.

სასამართლო სხდომის მდივანი ვალდებულია:

ა) სრულად და სწორად დააფიქსიროს სასამართლო სხდომის ოქმში სასამართლო მოქმედება და გადაწყვეტილება.;

ბ) სრულად და სწორად დააფიქსიროს სასამართლო სხდომის ყველა მონაწილის მოქმედება, განცხადება, შუამდგომლობა, ჩვენება და ახსნა-განმარტება.

მდივანს უფლება აქვს, ოქმის მომზადებისას გამოიყენოს სტენოგრაფია, დიქტოფონი, და სხვა ტექნიკური საშუალებანი.

სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმთან დაკავშირებით განიხილოს მათი გადაწყვეტის გარეშე. სასამართლო სხდომის მდივანი იძლევა წერილობით განმარტებებს.

სასამართლო პროცესი შეჯიბრობითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპზეა დამყარებული.

სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შექმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.

სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა.

მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.

სასამართლო განხილვისას მოსამართლეს ეკრძალება აზრი გამოთქვას ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე მანამ, სანამ არ გამოიტანს განაჩენს ან სხვა შემაჯამებელ გადაწყვეტილებას.

თუ სასამართლო სხდომაზე ორივე მხარე მონაწილეობს, და ერთი მხარე დააყენებს შუამდგომლობას ან წარადგენს საჩივარს, სასამართლომ უნდა მოისმინოს მეორე მხარის აზრიც დაყენებულ შუამდგომლობას ან წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით.

ზოგჯერ რომელიმე საპროცესო მოქმედების ჩატარება სისხლის სამართლის საქმის განხილვის ადგილზე შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს, ამ მოქმედების ჩასატარებლად დავალება გაუგზავნოს იმავე ან ქვემდგომი დონის სხვა სასამართლოს.

თუ შუამდგომლობა იგზავნება საპროცესო მოქმედების ჩატარების თაობაზე უცხო სახელმწიფოს სასამართლოსა თუ საგამომძიებო ორგანოში, მისი გაგზავნის წესი განისაზღვრება საქართველოსა და ამ სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულებით სამართლებრივი დახმარების შესახებ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 ძირითადი მსაჯულისაგან და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან, გარდა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა სასამართლო შემადგენლობაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კატეგორიის დანაშაულს განიხილავს მოცემული სასამართლო. თუ განიხილება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს 6-ზე ნაკლები მსაჯული, მძიმე დანაშაულის განხილვის შემთხვევაში – 8-ზე ნაკლები, ხოლო განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის განხილვის შემთხვევაში – 10-ზე ნაკლები.

ნაფიც მსაჯულსა და მსაჯულობის კანდიდატს უფლება აქვთ დროულად მიიღონ სახელმწიფოსგან ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან. დღიური, სამგზავრო და სხვა პირადი ხარჯების ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. სასამართლო ნაფიცი მსაჯულების თანხმობით უზრუნველყოფს მათ გადაყვანას მათთვის საგანგებოდ გამოყოფილი ტრანსპორტით მათი საცხოვრებელი ან დროებითი განთავსების ადგილიდან შესაბამის სასამართლომდე და უკან.

თუ ნაფიცი მსაჯული დასაქმებულია და სასამართლოში პროცესში მონაწილეობს, დროის ამ პერიოდში მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ანაზღაურება.

სასამართლო ვალდებულია ინდივიდუალურად გაითვალისწინოს ნაფიცი მსაჯულის კანონიერი ინტერესები. სასამართლო თავისუფლდება მოცემული ვალდებულებისაგან, თუ ნაფიცი მსაჯულის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილებით დაცული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე მართლმსაჯულებისათვის ან მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი. ასეთ შემთხვევაში პირი არ უნდა გათავისუფლდეს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისაგან.

საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია ის მოთხოვნები, რომელიც წაეყენება ნაფიც მსაჯულს. პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში, თუ:

ა) საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულია, როგორც 18 წელს გადაცილებული პირი;

ბ) იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

გ) ცხოვრობს აღმოსავლეთ ან დასავლეთ საქართველოში-იმის შესაბამისად , თუ საქართველოს რომელ ნაწილში მდებარე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში იმართება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი;

დ) შეზღუდული არა აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს არ შეუშლის მის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას.

თუ პირი მოცემული ოთხი მოთხოვნიდან ერთს მაინც არ აკმაყოფილებს, იგი ვერ შეასრულებს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობას.

პირი ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად, თუ არსებობს ნაფიცი მსაჯულის აცილების რომელიმე საფუძველი, ან/და თუ

ა) იგი სახელმწიფო — პოლიტიკური თანამდებობის პირია;

ბ) იგი პროკურორია;

გ) იგი გამომძიებელია;

დ) იგი პოლიციელია;

ე) იგი ადვოკატია;

ვ) იგი მოქმედი სამხედრო მოსამსახურეა;

ზ) იგი სასულიერო პირია;

თ) იგი აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა;

ი) იგი ბრალდებულია;

კ) იგი ნარკოტიკული საშუალებების მცირე ოდენობით მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირია;

ლ) იგი ნასამართლევია.

პირის უფლებაა და არა ვალდებულება უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე:

ა) თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული;

ბ) თუ ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს;

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

დ) თუ ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ;

ე) თუ 70 წელს გადაცილებულია.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ პროცესის მონაწილეების ცნება

2) რა ფუნქცია აკისრია სასამართლოს სისხლის სამართლის პროცესში?

3) ჩამოაყალიბეთ მხარეების ცნება

4) რა უფლებამოსილება აკისრია სასამართლოს სისხლის სამართლის პროცესში?

5)რის განხილვის ვალდებულება აკისრია სასამართლოს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით?

6) რა საკითხების განხილვა შედის მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციაში?

7) რა შემთხვევაში შეიძლება განიხილოს სხვა მაგისტრატმა მოსამართლემ ან გამოძიების ადგილის მიხედვით შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლემ მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობას მიკუთვნებული საკითხები?

8) რომელ საჩივარს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია?

9) რომელ საჩივარს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატა?

10) რომელ საჩივარს განიხილავს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა?

11) რომელ საჩივარს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა?

12) ჩამოაყალიბეთ ტერიტორიული განსჯადობის ცნება

13) რომელი ადგილის მიხედვით განიხილება სასამართლოში სისხლის სამართლის საქმე?

14) რა შემთხვევაშია ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილი მხარის შუამდგომლობით სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადასცეს სხვა სასამართლოს?

15) რა შემთხვევაშია უფლებამოსილი სასამართლო სხვა სასამართლოს გადასცეს სისხლის სამართლის საქმე?

16) თუ თანაბარი რანგის სასამართლოებს შორის წარმოიშვა დავა განსჯადობის თაობაზე, ვინ წყვეტს ამ საკითხს?

17)რომელი დონის მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად?

18) რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე რა შემთხვევაშია უფლებამოსილი დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით?

19) სააპელაციო სასამართლოს რომელი კოლეგია ან პალატა განიხილავს საქმეს ერთპიროვნულად და კოლეგიური წესით?

20) საქართველოს უზენაესი სასამართლოს რომელი პალატა და როგორი წესით განიხილავს საკასაციო საჩივარს?

21)რა უფლებამოსილება აკისრია სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს საქმის განხილვისას?

22) რა უფლებამოსილება აკისრია სასამართლო სხდომის მდივანს საქმის განხილვისას?

23)დანაშაულის კატეგორიის მიხედვით, რამდენი ნაფიცი მსაჯული უნდა უღებდეს მონაწილეობას საქმის განხილვაში?

24) რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ნაფიცი მსაჯული?

თავი 5. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე მხარეები

5.1. ბრალდების მხარე

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარე არის გამომძიებელი და პროკურორი.

პროკურორი. პროკურატურა სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა. სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება ან ბრალდებულად ცნობისთანავე, ან დაკავებისთანავე. ამიტომ დადგენილების გამოტანა ბრალდების წაყენების შესახებ და შუამდგომლობა დაკავების შესახებ პროკურატურის პრეროგატივაა. სისხლის სამართლის პროცესში პროკურორის საქმიანობა გამოიხატება ოთხ ძირითად მიმართულებაში. პროკურორი სისხლის სამართლის პროცესში:

1) ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას;

2) სრული მოცულობით ატარებს დანაშაულის გამოძიებას;

3) ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას;

4) სასამართლოში მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

პროკურორი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფოს სახელით. სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალდებული. მხოლოდ მას ეკისრება ბრალდების მტკიცების მოვალეობა.

სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერისას პროკურორი დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს.

ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია:

ა) გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის უკანონო გადაწყვეტილება;

ბ) გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება;

გ) გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება;

დ) შეიტანოს ცვლილება ქვემდგომი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაში;

ე) შეცვალოს ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება ახალი გადაწყვეტილებით.

პროკურორი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სასამართლო სხდომაში. გამოძიებისას პროკურორის დადგენილების შესრულება სავალდებულოა.

პროკურორი უფლებამოსილია:

ა) საგამოძიებო ქვემდებარობის მოთხოვნათა დაცვით სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაავალოს ამა თუ იმ სამართალდამცავ ორგანოს ან გამომძიებელს; საქმე ჩამოართვას ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს. საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, საგამოძიებო ქვემდებარობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს სხვა საგამოძიებო ორგანოს; გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობიდან ჩამოაშოროს ქვემდგომი პროკურორი და მისი ფუნქციები დააკისროს სხვა პროკურორს;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით;

გ) გამოძიებისას სავალდებულო მითითება მისცეს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს ან/და ქვემდგომ პროკურორს;

დ) მოითხოვს სისხლის სამართლის საქმის მასალები ან მთლიანად სისხლის სამართლის საქმე;

ე) ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, ადამიანის უფლებათა შემზღუდველი საგამოძიებო მოქმედების ან/და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შესახებ სასამართლო განჩინების მისაღებად. აგრეთვე საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს;

ვ) გააუქმოს გამომძიებლის ან ქვემდგომი პროკურორის დადგენილება;

ზ) შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება ან შეაჩეროს სისხლისსამართლებრივი დევნა;

თ) გადაწყვიტოს საჩივარი გამომძიებლის მოქმედების ან/და დადგენილების გამო, ხოლო მისი სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში საჭირო ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს;

ი) შეცვალოს ბრალდება;

კ) ბრალდებულთან დადოს საპროცესო შეთანხმება და სასამართლოში წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე;

ლ) სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით;

მ) სასამართლოში წარადგინოს მტკიცებულება, მონაწილეობა მიიღოს მისი დაშვებობის საკითხის განხილვაში;

ნ) მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს სახელმწიფო ორგანოებიდან დოკუმენტი, თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება;

ო) გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ძებნის შესახებ;

პ) პირი ცნოს დაზარალებულად და განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობები;

ჟ) განახორციელოს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

თუ პროკურორი გამოძიებას აწარმოებს, სარგებლობს გამომძიებლის სრული უფლებამოსილებით .

გამომძიებელი. გარდა პროკურორისა, ბრალდების მხარეს მიეკუთვნება გამომძიებელი. საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გამომძიებელი არის სახელმწიფო მოსამსახურე ან მოხელე, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. პროკურორი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს გამოძიებას, სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით.

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, გამოძიება არის უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.

საგამოძიებო ორგანოებია:

ა.) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები;

ბ.) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები;

გ.) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები;

დ.) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები;

ე.) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები;

მოცემული საგამოძიებო ორგანოები აწარმოებენ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას.

უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, ყველა გამომძიებელს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვს და მათ მიერ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ჩატარებული ყველა საგამოძიებო მოქმედება თანაბარი ძალისაა.

გამომძიებელს, რომელიც უშუალოდ არ იძიებს სისხლის სამართლის საქმეს, უფლება აქვს, პროკურორის დავალებით აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ჩაატაროს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო მოქმედება.

საგამოძიებო ქვემდებარებას განსაზღვრავს საქართველოს გენერალური პროკურორი..

სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას, თუ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის №34 ბრძანებით სხვა რამ არ არის დადგენილი. სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარებას.

პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები: საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს მოსამართლის, სახალხო დამცველის, გენერალური აუდიტორის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, პროკურატურის მუშაკის, პოლიციელის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე.

პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164[1]-ე 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 220-ე, 221-ე, 332-ე — 335-ე, 337-ე—342-ე (გარდა ამ დანართის მე-4 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), 194-ე და 194[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარებას განეკუთვნება:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე, 142[1], 223-ე, 230-ე—235-ე, 252-ე, 308-ე—321[1], 322[1], 322[2], 323-ე—330[5], 331[1], 331[2], 343-ე, 345-ე, 346-ე, 351-ე და 404-ე —410-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები;

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე, 236-ე, 331-ე, 344-ე, 344[1], 353-ე, 353[1], 362-ე—364-ე, 370-ე, 373-ე, 374-ე, 375-ე და 376-ე მუხლებით

გათვალისწინებული დანაშაულები იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დანაშაულები გამოვლენილია საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის მიერ;

გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164[1], 332-ე — 335-ე, 337-ე —342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დანაშაულები გამოვლენილია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ (გარდა დანართის მე-2 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა), 189-ე, 189[1], 190-ე, 192-ე, 192[1], 193-ე, 195[1]-ე—201-ე, 204[1], 205-ე—213-ე, 214-ე (გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილისა) 216-ე—219-ე და 220[1]-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, აგრეთვე 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 220-ე და 221-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დანაშაულები გამოვლენილია ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე—359-ე, 383-ე—392-ე, 394-ე—403-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, აგრეთვე იმ დანაშაულს, რომელიც ჩადენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილებში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების გამომძიებლები იძიებენ საქართველოს იუსტიციის სამანისტროს სისტემის მოსამსახურის (გარდა პროკურატურის მუშაკისა), მათ შორის, კერძო აღმასრულებლის, მიერ ჩადენილ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 333-ე, 335-ე, 337-ე—342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის გამომძიებლები იძიებენ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342[1], 378-ე, 378[1], 378[2], 379-ე, 380-ე და 381-ე (თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობის ნაწილში) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, აგრეთვე სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე მომხდარ დანაშაულს.

თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 383-ე—403-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული ჩადენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის მიერ, დანაშაულს იძიებს ამავე უწყების საგამოძიებო დანაყოფი.

თუ არსებობს კონკურენცია პროკურატურისა და რომელიმე ორგანოს საგამოძიებო ქვემდებარეობას შორის, გამოძიებას ახორციელებს პროკურატურა.

მაგალითად, თუ არსებობს კონკურენცია პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოს გამომძიებლებს შორის საქმე უნდა გმოიძიოს პროკურატურამ.

ერთ წარმოებაში რამდენიმე ბრალდების (ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ) გაერთიანებისას საქმეს იძიებს გამომძიებელი, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება საქმე უფრო მძიმე დანაშაულის თაობაზე.

მაგალითად, მკვლელობის ფაქტზე გამომძიებელმა გოგიძემ დაიწყო გამოძიება, ხოლო ქურდობის ფაქტზე გამომძიებელმა დევიძემ. გამოძიებით დადგინდა, რომ ორთავე დანაშაული ჩაიდინა ბრალდებულმა ეგაძემ. ერთ წარმოება-

ში საქმეების გაერთიანებისას, საქმე უნდა გამოიძიოს გამომძიებელმა გოგიძემ, ვინაიდან მის საგამოძიებო ქვემდებარებას განეკუთვნება საქმე უფრო მძიმე დანაშაულის თაობაზე.

გამოძიებას აწარმოებს გამომძიებელი, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ტერიტორიაზე, სადაც დანაშაული მოხდა.

მაგალითად, თუ დანაშაული მოხდა მცხეთის რაიონის ტერიტორიაზე, საქმეს იძიებს მცხეთის რაიონის ამა თუ იმ უწყების გამომძიებელი.

თუ ჩადენილია რამდენიმე დანაშაული, საქმეს იძიებს გამომძიებელი, რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება ყველაზე მძიმე დანაშაული.

მაგალითად, ერთმა პირმა ჩაიდინა მკვლელობა ხაშურის რაიონში, ქურდობა ქარელის რაიონში, ხოლო ყაჩაღობა გორის რაიონში. ასეთ შემთხვევაში საქმეს გამოიძიებს ხაშურის რაიონის გამომძიებელი, ვინაიდან მის საგამოძიებო ქვემდებარებას განეკუთვნება ყველაზე მძიმე დანაშაული.

თუ გამომძიებელი დაადგენს, რომ ეს საქმე განეკუთვნება მის საგამოძიებო ქვემდებარეობას, იგი ვალდებულია ჩაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებანი და საქმე გადასცეს პროკურორს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით წარმართვისათვის.

მაგალითად, კაცი იმხილება გამოძალვაში და საქმეს იძიებს შს ორგანოს გამომძიებელი. გამოძიებით დადგინდა, რომ მან ჩაიდინა არა გამოძალვა არამედ ქრთამის აღება. ასეთ შემთხვევაში შს ორგანოს გამომძიებელმა უნდა ჩაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებანი და საქმე გადასცეს პროკურორს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით წარმართვისათვის.

დავას საგამოძიებო ქვემდებარეობის შესახებ წყვეტს ზემდგომი პროკურორი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება ადგენს საგამოძიებო ქვემდებარეობის სამ სახეს: საგნობრივს ანუ უწყებრივს, პერსონალურს და ტერიტორიალურს.

საგნობრივი ქვემდებარეობა განსაზღვრავს თუ რომელი დანაშაული რომელმა საგამოძიებო ორგანომ უნდა გამოიძიოს. მაგალითად, სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ დანაშაულებზე გამოძიება უნდა ჩაატარონ თავდაცვის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფების გამომძიებლებმა[18].

პერსონალური ქვემდებარება განსაზღვრავს თუ ვის მიერ ჩადენილი დანაშაული რომელმა უწყებამ უნდა გამოიძიოს[19]. მაგალითად, გენერალური აუდიტი მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე გამოძიება უნდა ჩაატარონ პროკურატურის გამომძიებლებმა.

ტერიტორიალური განსჯადობა განსაზღვრავს მოცემულ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაული, რომელმა გამომძიებელმა უნდა გამოიძიოს. მაგალითად, ჩადენილი დანაშაულის გამო გამოძიება უნდა აწარმოოს იმ გამომძიებელმა, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება ტერიტორიაზე, სადაც დანაშაული მოხდა.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას აწარმოებს გამომძიებელი, რომელიც არის სახელმწიფო მოსამსახურე ან მოხელე, რომელიც უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სისხლის სამართლის საქმის

---

[18] Зинатулин З.З., Салахов М.С., Чулюкин Л.Д. Подследственность уголовных дел, Казань, 1986, ст. 18.

[19] Ларин А.М., Расследование по уголовном делу: процессуалные функции, Москва, 1986, ст. 115.

გამოძიება. თუ პროკურორი უშუალოდ ახორციელებს გამოძიებას, იგი სარგებლობს გამომძიებლის სტატუსით.

გამომძიებელი ვალდებულია:

ა) გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად;

ბ) სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით შეასრულოს პროკურორის მითითება;

გ) შეასრულოს სასამართლოს განჩინება.

თუ გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებას გამოძიებასთან დაკავშირებით, მას უფლება აქვს, საქმე და თავისი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს. ასეთ შემთხვევაში, ზემდგომ პროკურორს შეუძლია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მითითება ან გამოძიება სხვა გამომძიებელს დაავალოს. აღნიშნულ საკითხზე ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა.

საპროცესო კანონის შესაბამისად გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულება სავალდებულოა.

გამომძიებელი უფლებამოსილია:

ა) ჩაატაროს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, გარდა იმ მოქმედებისა, რომლის ჩატარებაც პროკურორის კომპეტენციაა;

ბ) შესაბამის ორგანოს მისცეს წერილობითი მითითება დაკავებულთა და დაპატიმრებულთა გამოძიების ადგილზე მიყვანის შესახებ;

გ) მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და დოკუმენტის წარდგენა;

დ) მოიწვიოს თარჯიმანი, ექსპერტი, ამოსაცნობი პირი;

ე) მისი მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საჩივარი და სისხლის სამართლის საქმის მასალები საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს ან სასამართლოს;

ვ) სხვა გამომძიებლისათვის საგამოძიებო დავალების მიცემის თხოვნით მიმართოს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს;

ვ[1]) სისხლის სამართლის საქმის აღდგენის მიზნით, წერილობით მიმართოს შესაბამის ორგანოს ან დაწესებულებას საჭირო მასალების ან/და ინფორმაციის გადაცემის მოთხოვნით, აგრეთვე სრული მოცულობით ჩაატაროს საპროცესო მოქმედებები.

ზ) განახორციელოს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებანი.

5.2. დაცვის მხარე

დაცვის მხარეს წარმოადგენს ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი.

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-19 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, მსჯავრდებული არის პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

გამართლებული არის პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი.

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, ადვოკატი არის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ინტერესებს და უწევს მათ იურიდიულ დახმარებას.

დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელი დანაშაულის ჩადენაში არსებობს მის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი.

თუ ბრალდებულს დააკავებენ, მას გადაეცემა დაკავების ოქმი, ხოლო თუ იგი არ დაუკავებიათ – ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი.

დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, – ბრალდებულად ცნობისთანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს:

ა) უფლება იყოლიოს ადვოკატი;

ბ) დუმილისა და კითხვაზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება;

გ) უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული;

დ) უფლება დაპატიმრებისას, ხოლო დაკავებისას - მისი მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის დაწესებულებაში მიყვანისთანავე მიიღოს უფასო სამედიცინო შემოწმება.

თუ ბრალდებული თავს აარიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას, ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი გადაეცემა მის ადვოკატს, რაც ითვლება ბრალის წაყენებად.

ბრალდებულს შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება, და თუ ასეთ უფლებას გამოიყენებს იგი, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება. თუ ბრალდებული უქონელია მას აქვს უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს უნდა მიეცეს გონივრული დრო და საშუალება რათა მოემზადოს დაცვისათვის. დაცვისათვის მოსამზადებელ გონივრულ დროში ბრალდებულმა შეიძლება შეისწავლოს სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეარჩიოს მისთვის სასურველი ადვოკატი და ა.შ. ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის მყარდება ურთიერთობა, რაც კონფიდენციალური ხასიათისაა. კანონი კრძალავს ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესებას, რომელიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას.

ბრალდებული საკუთარ ინტერესებს იცავს როგორც ადვოკატის მეშვეობით, ისე უშუალოდ – პირადად. ბრალდებულს უფლება აქვს, უარი თქვას ადვოკატის მომსახურებაზე. ასეთ შემთხვევაში იგი დამოუკიდებლად დაიცავს თავს, რისთვისაც მას სავალდებულოა მიეცეს საკმარისი დრო და საშუალება.

ბრალდებული უარს ვერ იტყვის ადვოკატის მომსახურეობაზე, თუ არსებობს კანონით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა.

ბრალდებულს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება;

ბ) კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;

ბ) მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად;

გ) მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად;

დ) მონაწილეობა მიიღოს მისი შუამდგომლობით ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებაში;

ე) მონაწილეობა მიიღოს მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებაში;

ვ) მონაწილეობა მიიღოს მისი და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებაში;

ზ) მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების დროს.

თ) თუ ბრალდებულმა არ იცის, ან სათანადოდ არ იცის პროცესის ენა, დაკითხვის და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფო ხარჯზე. ეს მოთხოვნა ვრცელდება ისეთი ფიზიკური ნაკლის მქონე ბრალდებულზეც, რომელიც თარჯიმნის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს. მაგალითად, ყრუ-მუნჯებზე;

ი) დაკავებისას ან დაპატიმრებისას, მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და მიიღოს შესაბამისი წერილობითი დასკვნა;

კ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ნებისმიერ დროს, საკუთარი ხარჯით, დაუყოვნებლივ ჩაიტაროს სამედიცინო შემოწმება მის მიერ არჩეული ექსპერტის მიერ;

ლ) დაკავებისთანავე ან დაპატიმრების შემთხვევაში თავისი ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს შეატყობინოს დაკავების ან დაპატიმრების ფაქტი და ადგილსამყოფელი, თავისი მდგომარეობა, ასევე შეატყობინოს კრედიტორს, სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელთა მიმართაც მას სამართლებრივი ვალდებულება აკისრია;

მ) თუ საპროცესო მოქმედების შედეგად მიადგება ზიანი, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უნდა შეეფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფრთხე, რომ იგი:

1) მიიმალება;

2) განაგრძობს შემდგომ დანაშაულებრივ საქმიანობას;

3) მოწმეზე მოახდენს ზემოქმედებას;

4) გაანადგურებს მტკიცებულებას;

5) საფრთხის წინაშე დააყენებს განაჩენის აღსრულებას.

ბრალდებულს და მის ადვოკატს უფლება აქვთ, საპროცესო კოდექსით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნონ ბრალდების მხარის მტკიცებულებებსა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლებს.

ბრალდებულს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის გამოძიებაში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ ან დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით სასამართლო განხილვაში;

გ) დააყენოს შუამდგომლობა და განაცხადოს აცილება;

დ) დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორშიც ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევა ხდება;

ე) გაეცნოს მხარის მიერ შეტანილ საჩივარს და მასზე გამოთქვას მოსაზრება;

ვ) გაეცნოს სასამართლო სხდომის ოქმს და მასზე გამოთქვას შენიშვნა.

ბრალდებულს აქვს გასაჩივრების უფლება. ბრალდებული გამომძიებლის მოქმედებას გაასაჩივრებს პროკურორთან, პროკურორის მოქმედებას და გადაწყვეტილებას – ზემდგომ პროკურორთან. ხოლო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოში. ბრალდებულს (მსჯავრდებულს) აქვს განაჩენისა და სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების და გასასაჩივრებელი გადაწყვეტილებების ასლის მიღების უფლება.

კანონში მოცემული ბრალდებულის უფლებები ამომწურავ ხასიათს არ ატარებს. ბრალდებულს უფლება აქვს განახორციელოს ყველა სხვა უფლება, რომელიც მას საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებით აქვს მინიჭებული.

ბრალდებული უფლებამოსილია არ მიიღოს მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებებში.

თუ ბრალდებული იყენებს ან არ იყენებს თავის უფლებებს, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

ბრალდებულს აქვს უფლება მოიპოვოს მტკიცებულება საკუთარი ხარჯით პირადად ან/და ადვოკატის დახმარებით, რომელსაც აქვს ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა.

თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.

ბრალდებულს შეიძლება შეეზღუდოს უფლება დაესწროს საგამოძიებო მოქმედებას. საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, მოწმის დაკითხვის დროს უარი თქვას ბრალდებულის დასწრებაზე, თუ გამოიყენება მოწმის დაცვის ერთ-ერთი სპეციალური ღონისძიება.

ბრალდებულს დროულად უნდა შეატყობინონ მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი. ბრალდებულს არა აქვს უფლება მოითხოვოს არასაპატიო მიზეზით მისი ჩატარების გადადება. თუ ბრალდებული დაპატიმრებულია და ჰყავს ადვოკატი, ასეთ საგამოძიებო მოქმედებას ესწრება მისი ადვოკატი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ საგამოძიებო მოქმედებაში ბრალდებულის მონაწილეობა აუცილებელია. ასე, მაგალითად, ამოსაცნობად წარდგენაში აუცილებელია ბრალდებულის მონაწილეობა. თუ ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს გონივრულ ვადაში არ ეცნობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, ასეთი საგამოძიებო მოქმედება არ უნდა ჩატარდეს, ხოლო ჩატარებული საგამოძიებო

მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

თუ ადვოკატი საპატიო მიზეზით არ იღებს მონაწილეობას დანიშნულ საგამოძიებო მოქმედებაში, პროკურორი ვალდებულია იმ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, რომელშიც ადვოკატს უნდა მიეღო მონაწილეობა, ერთჯერადად გადადოს გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 დღისა. ამ ვადის გასვლისთანავე პროკურორი საგამოძიებო მოქმედებას ატარებს ადვოკატის მონაწილეობის გარეშე, თუ არ არსებობს კანონით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა. ადვოკატის გამოუცხადებლობა არ იწვევს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გადადებას.

როგორც აღინიშნა, ბრალდებულის ინტერესებს იცავს ადვოკატი. საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, ადვოკატი არის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ინტერესებს და უწევს მათ იურიდიულ დახმარებას.

კანონის შესაბამისად, დაცვა შეიძლება განხორციელდეს ან შეთანხმებით (არჩევით), ან დანიშვნით.

დაცვა შეთანხმებითაა (არჩევითაა) თუ ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას იღებს შეთანხმების საფუძველზე.

ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, – მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.

თუ ბრალდებული შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, სასამართლო განიხილავს გადადების შესახებ ადვოკატის შეცვლის მოტივით, სასამართლო განხილვის გადადება დაუშვებელია, თუ ეს მიზნად ისახავს სასამართლო განხილვის გაჭიანურებას და მისთვის ხელის შეშლას.

თუ ადვოკატი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ ასრულებს დაცვის მოვალეობას, ასეთ შემთხვევაში სასამართლო განხილვის გადადება დაუშვებელია, თუ ეს იწვევს სასამართლო განხილვის გაჭიანურებას და მისთვის ხელის შეშლას.

თუ ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, რაც, სასამართლოს შეფასებით, აჭიანურებს საქმის განხილვას, სასამართლო უფლებამოსილია ბრალდებულს (მსჯავრდებულს) დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით, რაც არ ზღუდავს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) უფლებას, მოიწვიოს ადვოკატი საკუთარი სურვილით. ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სურვილით მოწვეული ადვოკატის სასამართლოში გამოცხადებისთანავე, სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატი უნდა ჩამოსცილდეს საქმის განხილვას, თუ ამას მოითხოვს ბრალდებული (მსჯავრდებული).

თუ ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ადვოკატი საპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში, სასამართლო სხდომას გადადებს არაუმეტეს 10 დღით. თუ ადვოკატი ამ ვადის გასვლის შემდეგ კვლავ არ გამოცხადდა სასამართლოში, იგი დაინიშნება სავალდებულო წესით, ხოლო ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სურვილით მოწვეული ადვოკატის სასამართლოში გამოცხადებისთანავე,

სავალდებულო წესით დანიშნული ადვოკატი უნდა ჩამოსცილდეს საქმის განხილვას, თუ ამას მოითხოვს ბრალდებული (მსჯავრდებული).

სასამართლოს გადაწყვეტილება ადვოკატის სავალდებულო წესით დანიშვნის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს.

ბრალდებულსა და ადვოკატს შორის ურთიერთობა კონფიდენციალური ხასიათისაა. ამავე დროს მათ აქვთ თავისუფალი ურთიერთობის უფლება. კონფიდენციალურია, ასევე, პირის ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან.

დაკავებული ან დაპატიმრებული ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით.

ადვოკატმა დაცვის ყველანაირი კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომელიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას.

ადვოკატს უფლება არა აქვს:

ა) იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ;

ბ) ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბრალდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.

სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და თავის მოწმობას.

ადვოკატს უფლება აქვს:

ა) კანონით დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს;

ბ) მიიღოს მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების, მათ შორის გამოკითხვის ოქმების ასლები;

გ) ისარგებლოს ბრალდებულის ყველა უფლებით და საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

ადვოკატი ვერ ისარგებლებს იმ უფლებებით, რომლებითაც, თვით ამ უფლებათა ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ ბრალდებულმა ისარგებლოს. იგი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს საპროცესო მოქმედების ჩატარების ადგილზე და სასამართლოში.

სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი:

ა) თუ არასრულწლოვანია;

ბ) თუ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა.;

გ) თუ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;

დ) თუ გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;

ე) თუ ჩადენილი ქმედებისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით;

ვ) თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე;

ზ) თუ სისხლის სამართლის საქმეს იხილავს მსაჯულთა სასამართლო;

თ) თუ თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;

ი) თუ გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;

კ) თუ არაიდენტიფიცირებული პირია;

ლ) საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ადვოკატისათვის დაცვის ხარჯებს იხდის ბრალდებული, ან სხვა პირი, მაგრამ დაცვის ხარჯების გადახდა სახელმწიფოს მოუწევს შემდეგ შემთხვევებში, თუ:

ა) გადახდისუუნარო ბრალდებული მოითხოვს ადვოკატის დანიშვნას;

ბ) არსებობს საპროცესო კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა და სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით).

ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე შერჩევისა და დანიშვნის პროცედურა განისაზღვრება „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 3 აგვისტოს №426 ბრძანებით დამტკიცდა პირის გადახდისუუნარობის დადასტურების წესი, რომელიც შემუშავებულია „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და მისი მიზანია საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ, რომლებიც აკმაყოფილებენ „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილ კრიტერიუმებს, სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფა.

პირის გადახდისუუნარობის წესის მიხედვით, პირი გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70000-ზე. ამასთან, ამ გადახდისუუნარო პირის გარდა, გადახდისუუნაროდ ითვლება და სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ენიჭება აგრეთვე პირს, თუ იგი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომლის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 10000-ზე და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:

ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;

ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;

გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირი;

დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი;

ე) მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;

ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;

ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

იურიდიული დახმარების სამსახური მიმართვისთანავე ამოწმებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ის-სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოებულ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში იმ პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელ სარეიტინგო ქულას, ვისაც იურიდიული დახმარება ესაჭიროება სახელწიფოს ხარჯზე.

საჭიროების შემთხვევაში, პირის გადახდისუუნარობის დადგენის მიზნით, იურიდიული დახმარების ბიურო (იურიდიული დახმარების მიმწოდებელი) უფლებამოსილია, მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელიც დაუყოვნებლივ გასცემს ინფორმაციას პირის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული დახმარების ბიუროს (იურიდიული დახმარების მიმწოდებლის) მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე მეტია, ან პირის სტატუსის თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მოტივირებულ წერილთან ერთად უბრუნებს შესაბამის პირს (პროცესის მწარმოებელ ორგანოს).

სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების მიღების მოთხოვნით არასამუშაო დროს მიმართვისას, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, იურიდიული დახმარების ბიურო/მიმწოდებელი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოებრივი ადვოკატის ჩართვას, ხოლო მომდევნო სამუშაო დღეს ამოწმებს იმ პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მჩვენებელ სარეიტინგო ქულას, ვისაც იურიდიული დახმარება ესაჭიროება სახელმწიფოს ხარჯზე.

თუ დადგინდა, რომ პირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე მეტია, ან წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, იურიდიული დახმარების ბიურო/მიმწოდებელი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას პირისთვის სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარების შეწყვეტის შესახებ. გადაწყვეტილების ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის პირს (ორგანოს).

იურიდიული დახმარებით მოსარგებლე პირი სამართალწარმოების შესაბამისი სტადიის დასრულებამდე ჩაითვლება გადახდისუუნაროდ და უნარჩუნდება სახელმწიფოს ხარჯზე იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, მიუხედავად გადახდისუუნაროდ აღიარებისათვის გათვალისწინებული საფუძვლის გაუქმებისა.

თუ არსებობს სახელმწიფო ხარჯზე დაცვის ერთ-ერთი პირობა, პროკურორი ან მოსამართლე ვალდებულია დაუყოვნებლივ მომართოს იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნის დაყენების უფლება აქვს ბრალდებულსაც.

დაცვის სახელმწიფოს ხარჯზე განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიღებს დაცვისათვის საჭირო სხვა ხარჯებსაც, თუ ეს ხარჯები პირდაპირაა დაკავშირებული ბრალდებულის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებასთან.

ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე შერჩევისა და დანიშვნის პროცედურა განისაზღვრება „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოთვალეთ პროცესის მონაწილეები, რომლებიც ბრალდების მხარეა?

2) როდის იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა?

3) ჩამოთვალეთ სისხლის სამართლის პროცესში პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

4) ჩამოთვალეთ სისხლის სამართლის პროცესში ზემდგომი პროკურორის უფლებამოსილება

5) ჩამოთვალეთ სისხლის სამართლის პროცესში პროკურორის უფლებამოსილება

6) ჩამოაყალიბეთ გამოძიების ცნება

7) ჩამოთვალეთ საგამოძიებო ორგანოები

8) ჩამოაყალიბეთ საგნობრივი, პერსონალური და ტერიტორიალური საგამოძიებო ქვემდებარების ცნებები

9) ჩამოთვალეთ გამომძიებლის უფლებამოსილება

10) ჩამოაყალიბეთ ბრალდებულის ცნება

11) ჩამოთვალეთ უფლებები, რომლებიც ბრალდებულს ეცნობება დაკავების მომენტში, ბრალდებულად ცნობისთანავე ან ნებისმიერი დაკითხვის წინ

12) რა უფლებები აქვს ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესში?

13) რა შემთხვევაში უნდა შეეფარდოს ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა?

14) ჩამოაყალიბეთ ადვოკატის ცნება

15) რა უფლებები აქვს ადვოკატს სისხლის სამართლის პროცესში?

16) რა შემთხვევებშია სავალდებულო ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი?

თავი 6. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები, რომლებიც სასამართლოს და მხარეებს ხელს უწყობენ საქმეზე ობიექტური შეშმარიტების დადგენაში

6.1. მოწმე

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის შესაბამისად, მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. პირი მოწმის სტატუსს და უფლება-მოვალეობებს შეიძენს მას შემდეგ, როდესაც მას გააფრთხილებენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ და დადებს ფიცს.

მოწმის დაკითხვა ხდება სასამართლოში. საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში ჩვენების მიცემისას მოწმის სტატუსით სარგებლობენ, მისი უფლებები ენიჭებათ და მისი მოვალეობები ეკისრებათ ასევე გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, დაზარალებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს.

კოდექსის 47-ე მუხლში ჩამოთვლილ პროცესის მონაწილეებზე უნდა გავრცელდეს მოწმის სტატუსი ბრალდებულის გარდა. ბრალდებულს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, ან მისცეს ცრუ ჩვენება, რის გამოც მას ვერ მისცემენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ამიტომ ბრალდებული ვერ ისარგებლებს მოწმის სტატუსით. მოცემული 47-ე მუხლში დროულად უნდა შევიდეს საკანონმდებლო ცვლილება.

მოწმემ დაკითხვამდე ფიცი უნდა დადოს სასამართლოს წინაშე. ფიცი შეიძლება იყოს ან რელიგიური, ან არარელიგიური მნიშვნელობის მქონე.

სასამართლომ ფიცის დადების წინ მოწმეს უნდა აუხსნას ფიცის მნიშვნელობა და განუმარტოს, რომ პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით ცრუ ჩვენებისათვის (მუხლი 370-ე) და ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის (მუხლი 371-ე).

რელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცის დადების დროს მოსამართლე მიმართავს მოწმეს:

„დაიფიცეთ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ღმერთის წინაშე, რომ მთელი შეგნების იტყვით მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ“.

მოწმე უპასუხებს:

„ვფიცავ, ღმერთი იყოს ჩემი მფარველი“.

არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცის დადების დროს მოსამართლე მიმართავს მოწმეს:

„დაიფიცეთ, რომ მთელი შეგნებით იტყვით მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ“.

მოწმე უპასუხებს:

„ვფიცავ!“.

თუ მოწმე აცხადებს, რომ იგი თავისი რწმენისა და სხვა მოსაზრებათა გამო უარს ამბობს ფიცის დადებაზე, მაშინ მან ჩვენება უნდა მისცეს ფიცის შემცვლელი დადასტურების განხორციელებით. მოსამართლე მიმართავს მოწმეს:

„სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით ადასტურებთ თუ არა, რომ იტყვით მხოლოდ სიმართლეს და არაფერს დამალავთ?“.

მოწმე უპასუხებს:

„დიახ, ვადასტურებ!“.

მოწმე ფიცის დადებას ან ფიცის შემცველ დადასტურებას ადასტურებს ტექსტზე ხელმოწერით.

საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის მე-7 ნაწილში საუბარია ბრალდებულის მიერ მოწმის სახით ჩვენების მიცემაზე, რაც ჩვენი აზრით უნდა გაუქმდეს და აისახოს კანონმდებლობაში.

მოწმის უფლება-მოვალეობანი ჩამოყალიბებულია საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად, მოწმეს უფლება აქვს:

ა) იცოდეს, თუ რა საქმის გამოა გამოძახებული;

ბ) თუ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ჩვენება მისცეს მშობლიურ ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე და ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფო ხარჯზე;

გ) გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს, მოითხოვოს მასში შენიშვნების, დამატებებისა და ცვლილებების შეტანა;

დ) არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს;

ე) მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში;

ვ) მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება.

მოწმე ვალდებულია:

ა) გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით;

ბ) უპასუხოს დასმულ შეკითხვებს;

გ) არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ;

დ) დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს;

ე) სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი.

მოწმე შეიძლება იძულებით მოიყვანონ სასამართლოში.

საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს პირის მოწმედ მონაწილეობის გამომრიცხველ გარემოებებს.

მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება:

ა) ადვოკატს – იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;

ბ) ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე, – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

გ) სასულიერო პირს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად.

დ) ბრალდებულის ახლო ნათესავს;

ე) სახალხო დამცველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს;

ე[1]) სახელმწიფო ინსპექტორს-პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლისა და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა მონაცემ-

თა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლის ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახელმწიფო ინსპექტორს;

ვ) საქართველოს პარლამენტის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს;

ზ) მოსამართლეს – იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც სასამართლოს თათბირის საიდუმლოებაა;

თ) ჟურნალისტს – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;

ი) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში;

კ) საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულებისას, თუ იგი არ დათანხმდება მისცეს ჩვენება;

ლ) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრს-იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც წარმომანდგენლობითი ორგანოს წევრს.

არ შეიძლება გამოიკითხოს ან მოწმედ დაიკითხოს პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელოვანი საქმის მქონე გარემოებები და მიაწოდოს ინფორმაცია ან მისცეს ჩვენება.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები, რომელიც გამორიცხავს მოწმედ მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, ბლანკეტური ფორმითაა გადმოცემული საპროცესო კანონმდებლობაში, ამომწურავი ხასიათისაა და მისი გაზრდა-გაფართოება ხელოვნურად არ შეიძლება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა, საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს აძლევს უფლებას მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლოს:

ა) სამედიცინო მუშაკი, თუ მას პროფესიულად ევალება საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა:

ბ) ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სახელმწიფო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი, თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება, არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი;

გ) პირი, რომელიც იმ პირობით არის სამუშაოზე მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას;

დ) კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის მონაწილე პირი (მის პროფესიულ მოვალეობასთან დაკავშირებით), რომლის საქმიანობაც გასაიდუმლოებულია და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება.

ასეთ შემთხვევაში, მოწმე ან მხარე სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების თაობაზე. თუ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდება, ზემოთ ჩამოთვლილი პირები დაიკითხებიან მოწმის დაკითხვის საპროცესო წესით.

გამოკითხვის დროს ინფორმაციის მიწოდება ან მოწმის სახით ჩვენების მიცემა არ ჩაითვლება ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევად, თუ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლს, ჟურნალისტს, სამედიცინო მუშაკსა და იმ პირს,

რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული,რომ არ გაამჟღავნოს კომერციული ან საბანკო საიდუმლოება, აქვთ ინფორმაცია, რომ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ან მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ან მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 139-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 140-ე ან 141-ე მუხლით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 253-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 255-ე მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით, 255[1] ან 255[2] მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და აქვთ სურვილი მოწმის სახით ჩვენების მიცემისა ან გამოკითხვის დროს ინფორმაციის მიწოდებისა.

6.2. ექსპერტი

ექსპერტი არის სპეციალური ცოდნის, ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეზე საჭირო გამოკვლევის ჩასატარებლად და დასკვნის შესადგენად მიწვეულია მხარის ან მხარის შუამდგომლობით სასამართლოს მიერ. გარდა ამისა, ექსპერტი მხარეებსა და სასამართლოს დახმარებას უწევს მტკიცებულებათა აღმოჩენაში, გამოკვლევასა და დემონსტრირებაში.

ექსპერტს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა. ეს არის ზოგადი ხასიათის უფლება-მოვალეობანი. მაგრამ გარდა ამისა, ექსპერტს აქვს სპეციალური ხასიათის უფლება-მოვალეობანი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამრიგად, ექსპერტს აქვს უფრო ფართო ხასიათის უფლება-მოვალეობანი, ვიდრე მოწმეს. მართალია, მოწმის და ექსპერტის უფლება-მოვალეობანი შინაარსობრივად გარკვეულ ნაწილში ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ექსპერტის უფლება-მოვალეობას უფრო ფართო ხასიათს ანიჭებს სპეციალური ნორმა (სსსკ-ის 52-ე მ.). ე.ი. ექსპერტის ყველა უფლება-მოვალეობა არ ემთხვევა მოწმის ყველა უფლება-მოვალეობებს.

ექსპერტი უნდა იყოს მიუკერძოებელი და თავის დასკვნაში ობიექტურად ასახოს ჩატარებული გამოკვლევის შედეგები, მიუხედავად იმისა თუ რომელმა მხარემ მიიწვია იგი. არ არის გამორიცხული მხარის ინიციატივით ჩატარებულმა ექსპერტიზამ მისთვის სასურველი დასკვნა ვერ შეადგინოს.

არ შეიძლება ჩატარდეს ექსპერტიზა იმის თაობაზე, რომ რამდენად სანდოა მოწმე.

ექსპერტის სპეციალური უფლება-მოვალეობანი ჩამოყალიბებულია საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლში, რომლის თანახმად, ექსპერტს უფლება აქვს:

ა) გაეცნოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო მასალას, ამოიწეროს საჭირო ცნობა და გადაიღოს ასლი;

ბ) მოითხოვოს დამატებითი მასალის წარდგენა; გამოკვლევის პროცესში აიღოს მასრის, ტყვიისა და სხვა ობიექტების საცდელი ნიმუში, ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს მოსთხოვოს საექსპერტო კვლევისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია;

გ) უარი თქვას დასკვნის მიცემაზე და ექსპერტიზის გაგრძელებაზე, თუ დასმული საკითხები სცილდება მისი ცოდნის ფარგლებს ან თუ მისთვის წარდგენილი მასალა საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად;

დ) ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორის, გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს ნებართვით დაესწროს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას;

ე) მონაწილეობა მიიღოს ექსპერტიზის საგანთან და საექსპერტო კვლევასთან დაკავშირებული მტკიცებულების გამოკვლევაში;

ვ) მტკიცებულების აღმოჩენის, გამოკვლევისა და დემონსტრირებისათვის გამოიყენოს სამეცნიერო-ტექნიკური საშუალება, სპეციალური ცოდნა და გამოცდილება.

ექსპერტი ვალდებულია:

ა) თუ საექსპერტო კვლევით დადგინდა გარემოება, რომლის შესახებაც ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს ან/და პროცესის სხვა უფლებამოსილ მონაწილეს კითხვა არ დაუსვამს, იგი ასახოს დასკვნაში;

ბ) დაიცვას და საექსპერტო კვლევის შემდეგ ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს დაუბრუნოს კვლევის ობიექტი, თუ საექსპერტო კვლევისას ეს ობიექტი სრულად არ დახარჯულა;

გ) თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძველი, განაცხადოს თვითაცილება.

ყალბი დასკვნისათვის ექსპერტი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით.

6.3. თარჯიმანი

თარჯიმანი არის პირი, რომელიც გამოძახებულია იმის გამო, რომ სისხლის სამართლის პროცესის ენაზე თარგმნოს ტექსტი, პროცესის იმ მონაწილის ჩვენება, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა. თარჯიმანი არის პირი, რომელმაც იცის ენა, რომლიდანაც სისხლის სამართლის პროცესის ენაზე უნდა ითარგმნოს პროცესის მონაწილის ჩვენება ან უცხო ტექსტი და სისხლის სამართლის პროცესის ენა.

ამრიგად, თარჯიმანი სრულყოფილად უნდა ფლობდეს მინიმუმ ორ ენას: პროცესის ენას და იმ ენას, რომლიდანაც უნდა ითარგმნოს პროცესის მონაწილის ჩვენება ან უცხო ენაზე შედგენილი ტექსტი.

თარჯიმნის გამოძახების ორი საფუძველია მოცემული საპროცესო კანონმდებლობაში, სახელდობრ, თარჯიმანს იძახებენ, როცა:

ა) პროცესის მონაწილემ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

ბ) საჭიროა სისხლის სამართლის პროცესის ენაზე ითარგმნოს ტექსტი.

თუ თარჯიმანს გამოიძახებს გამომძიებელი ან პროკურორი, მათ გამოაქვთ დადგენილება, ხოლო თუ გამოძახება ხდება სასამართლოს მიერ, გამოიტანება განჩინება.

თუ პროცესის მონაწილემ არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ასეთ შემთხვევაში თარჯიმანი თარგმნის მონაწილის ჩვენებას და კითხვებს, რომელიც გაუჩნდება მის მიმართ მხარეს.

წესები, რომელიც თარჯიმანს ეხება, იმ პირზედაც ვრცელდება, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები.

პროცესის სხვა მონაწილეს თარჯიმნის მოვალეობის შესრულების უფლება არა აქვს, თუნდაც სრულყოფილად ფლობდეს უცხო ენას.

თუ პროცესში მონაწილე რამდენიმე პირს სჭირდება თარჯიმანი და ისინი სათანადოდ ფლობენ ერთსა და იმავე ენას, თარჯიმნის მოვალეობის შესრულება შეუძლია ერთ პირს.

თარჯიმნის უფლება-მოვალეობანი ჩამოყალიბებულია საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად, თარჯიმანს უფლება აქვს:

ა) თარგმანის დასაზუსტებლად შეკითხვა დაუსვას პროცესის მონაწილეებს;

ბ) გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმს და სასამართლო სხდომის ოქმს;

გ) გამოთქვას შენიშვნა, რომელიც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი;

დ) უარი თქვას თარგმანზე, თუ ამისათვის საჭირო ცოდნა არ გააჩნია.

თარჯიმანი ვალდებულია:

ა) გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოს გამოძახებით.

ბ) ზუსტად და სრულად თარგმნოს ჩვენება და დოკუმენტი;

გ) ხელმოწერით დაადასტუროს თარგმანის უტყუარობა მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმში და სხვა საპროცესო დოკუმენტში;

დ) გამომძიებლის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს გამოძიების მასალა, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შემცველი ცნობები.

განზრახ არასწორი თარგმანისათვის თარჯიმანი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით.

6.4. სასამართლოს მეგობარი

სასამართლოს მეგობარი არის პირი, რომელიც სასამართლოს დახმარებას უწევს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში. სასამართლოს მეგობარი არის დაინტერესებული პირი, მაგრამ არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში. სასამართლოს მეგობარს უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება მოცემულ საქმესთან დაკავშირებით.

წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი არ უნდა იყოს პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა. იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი. წერილობითი მოსაზრება სასამართლომ შეიძლება ან განიხილოს, ან უარი თქვას მის განხილვაზე. თუ წერილობითი მოსაზრება არ არის შედგენილი საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო მას არ განიხილავს.

წერილობით მოსაზრებაში მოყვანილი არგუმენტების გაზიარების ვალდებულება სასამართლოს არ აკისრია.

წერილობითი მოსაზრება მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. იგი შედგენილი უნდა იყოს 3 ეგზემპლარად, რომელთაგან 2 გადაეცემა მხარეებს, ხოლო 1 რჩება მოსამართლესთან.

სასამართლო უფლებამოსილია საქმის არსებით განხილვაზე გამოიძახოს წერილობითი მოსაზრების ავტორი ზეპირი განმარტების მისაცემად სამ შემთხვევაში:

1) საკუთარი ინიციატივით;

2) მხარეთა წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით;

3) საკუთარი ინიციატივით და მხარეთა და წერილობითი მოსაზრების ავტორის წინასწარი თანხმობით.

6.5. დაზარალებული

დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.

დაზარალებულს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა. მაგრამ გარდა ამისა, დაზარალებულს გააჩნია სპეციალური უფლებები. სხვა სპეციალური მოვალეობები დაზარალებულს არ გააჩნია, გარდა იმ მოვალეობებისა, რაც მოწმეს აკისრია.

თუ დაზარალებული იურიდიული პირია, სისხლის სამართლის პროცესში იგი მონაწილეობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მეშვეობით, რომელსაც ენიჭება დაზარალებულის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა. ძველი კანონმდებლობით, დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობდა სამოქალაქო მოსარჩელის სტატუსით[20].

თუ დანაშაულს ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს. გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს უფლება არა აქვთ, უარი უთხრან დაზარალებულის უფლებამონაცვლეს დაზარალებულისათვის მინიჭებული რომელიმე უფლებით სარგებლობაზე. თუ არსებობს დავა ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის, დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება წილისყრით.

თუ დანაშაული შეწყდა მომზადების ან მცდელობის სტადიაზე, დაზარალებულია ის, ვისაც ან რასაც შეიძლებოდა მისდგომოდა ზიანი.

დანაშაულის შედეგად დაზარალებულს შეიძლება მიადგეს ორი ან მეტი სახის ზიანი. მაგალითად, ფიზიკური და მორალური, მორალური და ქონებრივი და ა.შ[21].

პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით ან ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში. თუ პროკურორმა, პირის შეტანილი განცხადება არ დააკმაყოფილა დაზარალებულად (დაზარალებულის უფლებამონაცვლედ) ცნობის თაობაზე, მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს. როგორც კანონის დეფინიციიდან ირკვევა, პროკურორმა პირის მიერ განცხადების შეტანიდან 48 საათში უნდა მიიღოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

---

[20] Строгович М.С.. Курс советского уголовного процесса, Т.1, Москва, 1968, ст. 256.

[21] Якубов М.А. Показания свидетелеи и потерпевших, Москва, 1968, ст. 128.

ა) პირის დაზარალებულად (დაზარალებულის უფლებამონაცვლედ) ცნობის შესახებ;

ბ) პირისათვის დაზარალებულად (დაზარალებულის უფლებამინაცვლედ) ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ზემდგომ პროკურორს. კანონი არაფერს ამბობს უნდა ეცნობოს თუ არა პირს პროკურორის გადაწყვეტილება, აგრეთვე, თუ რა ვადაში უნდა აცნობოს პროკურორმა პირს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და პირისათვის დაზარალებულად (დაზარალებულის უფლებამინაცვლედ) ცნობაზე უარის თქმის შემთხვევაში, რა ვადაში უნდა მიმართოს პირმა ზემდგომ პროკურორს დაზარალებულად (დაზარალებულის უფლებამონაცვლედ) ცნობის თაობაზე. ვფიქრობთ ეს საკანონმდებლო ხარვეზია და დროულად უნდა გამისწორდეს. ე.ი. უნდა განისაზღვროს რა ვადაში უნდა ეცნობოს პირს ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება და რა ვადაში უნდა მიმართოს პირმა ზემდგომ პროკურორს მას შემდეგ, როდესაც მისთვის ცნობილი გახდება ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება დაზარალებულად (დაზარალებულის უფლებამონაცვლედ) ცნობაზე უარის თქმის თაობაზე. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, ე.ი. უარს იტყვის პირის დაზარალებულად (დაზარალებულის უფლებამონაცვლედ) ცნობაზე, ა აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. მოსამართლეს ამ საკითხზე 15 დღის ვადაში გამოაქვს განჩინება ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

თუ პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ, პირადად ან მისი დავალებით გამომძიებელი მიღებულ გადაწყვეტილებას გააცნობს დაზარალებულს და განუმარტავს მას საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა უფლებას და მათ განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, რის შესახებაც ადგენს ოქმს, რომელზეც ხელს აწერენ დაზარალებული და მისი შემდგენი პირი (პროკურორი ან გამომძიებელი). დაზარალებულს უფლება აქვს, შენიშვნა გააკეთოს ოქმზე. თუ დაზარალებული უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი.

თუ პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ გაირკვევა, რომ ამის საფუძველი არ არსებობს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე, რის შესახებაც დაზარალებულს წერილობით ეცნობება. დაზარალებულს უფლება აქვს, პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელის, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასა-

ჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. მოსამართლეს ამ საკითხზე 15 დღის ვადაში გამოაქვს განჩინება ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

დაზარალებულის უფლებები ჩამოყალიბებულია საპრპცესო კოდექსის 57-ე მუხლში, რომლის თანახმად დაზარალებულს უფლება აქვს:

ა) იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი;

ბ) მიიღოს ინფორმაცია ამ კოდექსის 58-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებების შესახებ;

გ) სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას და სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა, ან წერილობით წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია;

დ) უფასოდ მიიღოს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების/განჩინების, განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი;

ე) მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;

ვ) დაიბრუნოს გამოძიებისას და სასამართლო განხილვისას საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული, მისი კუთვნილი ქონება;

ზ) მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას;

თ) მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს;

ი) მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს არ ემუქრება რეალური საფრთხე;

კ) წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს;

ლ) მიმართოს ბრალდების მხარეს სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნით;

მ) მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ;

ნ) ისარგებლოს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

თუ დაზარალებული მოითხოვს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებასა და მასალების გაცნობას და დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნა, ასეთ შემთხვევაში პროკურორი (გამომძიებელი) ადგენს ოქმს კანონით დადგენილი წესით. თუ მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია მის დაკმაყოფილებაზე უარი თქვას, ხოლო თუ ასეთი საფუძველი აღარ არსებობს, პროკურორი (გამომძიებელი) ვალდებულია აცნობოს დაზარალებულს ამის შესახებ და, შე-

საბამისად, მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გააცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები.

დაზარალებულისათვის გამოძიების მიმდინარეობისა და საქმის მასალების გაცნობაზე უარის თქმის შემთხვევაში პროკურორს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება. დაზარალებულს უფლება აქვს, ეს დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.

როგორც საპროცესო კანონში არის მითითებული, დაზარალებულს ეკისრება მოწმის ვალდებულებები, სახელდობრ:

ა) გამოცხადდეს სასამართლო გამოძახებით;

ბ) უპასუხოს დასმულ შეკითხვებს;

გ) არ გაამჟღავნოს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებები, თუ იგი ამის შესახებ გააფრთხილა სასამართლომ;

დ) დაიცვას წესრიგი საქმის სასამართლო განხილვის დროს;

ე) სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე არ დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი.

დაზარალებულისათვის მიყენებული მორალური ზიანი შეიძლება გამოიხატოს შეურაცხყოფაში, პატივისა და ღირსების დამცირებაში, ზნეობრივ ტანჯვაში.

ფიზიკური ზიანი შეიძლება გამოიხატოს ჯანმრთელობის დაზიანებაში, ფიზიკურ ტანჯვაში, ჯანმრთელობის გაუარესებაში.

ქონებრივი ზიანი შეიძლება გამოიხატოს ფასეულობის დაზიანებაში, ფულის მისაკუთრებაში, ქონების განადგურებაში და ა. შ.

ერთი დანაშაულით პირს შეიძლება ერთდროულად მიადგეს რამდენიმე სახის ზიანი.

დაზარალებულს ცრუ ჩვენების მიცემისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით. სისხლისსამართლებრივი დევნა ცრუ ჩვენების მიცემისათვის შეიძლება დაიწყოს მხოლოდ განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

პროკურორმა დაზარალებულს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, წინასწარ უნდა შეატყობინოს შემდეგი საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილი და დრო:

ა) ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან;

ბ) წინასასამართლო სხდომა;

გ) სასამართლოს მთავარი სხდომა;

დ) სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის სასამართლო სხდომა;

ე) სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომა;

ვ) სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომა.

შეტყობინება დაზარალებულს წერილობით უნდა გადაეცეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვაგვარი საშუალებით გადაცემა გონივრულია მოცემულ გარემოებებში და საკმარის დროს იძლევა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

პროკურორი ვალდებულია შეატყობინოს დაზარალებულს, თუ ბრალდებულთან დადებს საპროცესო შეთანხმებას.

6.6. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი პროცესის მონაწილეა, რომელიც სისხლის სამართლის საქმეში შესაძლებელია ჩაერთოს მხოლოდ პროკურორის გადაწყვეტილებით, რა დროსაც ითვალისწინებს მოწმისა და დაზარალებულის ინტერესებს. მოწმესა და დაზარალებულს უფლება არა აქვთ კოორდინატორი სისხლის სამართლის საქმეში ჩართონ საკუთარი ინიციატივით.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საქმეში ჩართვის მიზანს წარმოადგენს:

ა) მოწმისთვის და დაზარალებულისათვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება;

ბ) მათთვის დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება;

გ) ხელახალი ვიქტიმიზაციისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება;

დ) გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა შესაძლებელია როგორც გამოძიების, ისე სასამართლო სტადიაზე.

პროკურორი მიიღებს რა გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვის შესახებ, ამის თაობაზე აცნობებს მას და მიაწვდის ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების და მოწმის/დაზარალებულის საკონტაქტო მონაცემების შესახებ. ასეთ შემთხვევაში კოორდინატორი დაუყოვნებლივ უკავშირდება მოწმეს/დაზარალებულს. მათ უფლება აქვთ უარი განაცხადონ კოორდინატორთან თანამშრომლობაზე.

მოწმის/დაზარალებულის კოორდინატორის უფლებამოსილება განისაზღვრება საპროცესო კოდექსის 582-ე მუხლით. ამ მუხლის შესაბამისად, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი:

ა) პროკურორთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ მოწმესა და დაზარალებულს აწვდის საჭირო ინფორმაციას გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიმდინარეობის შესახებ;

ბ) მოწმესა და დაზარალებულს მათთვის გასაგები ენით განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს და უხსნის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სამართლებრივ პროცედურებს;

გ) გამოძიების მიმდინარეობისას ესწრება მოწმისა და დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებასა და საპროცესო მოქმედებას მოწმის/დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით;

დ) საქმის სასამართლო განხილვისას ესწრება მოწმისა და დაზარალებულის სასამართლოში დაკითხვისა და მათი მონაწილეობით მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს მოწმის/დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით;

ე) მოწმესა და დაზარალებულს აწვდის ინფორმაციას მათთვის საჭირო იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა მომსახურების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება შესაბამის ორგანოსთან/ორგანიზაციასთან დაკავშირებაში.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი საგამოძიებო მოქმედებისა და საპროცესო მოქმედების მიმდინარეობისას უფლება არა აქვს:

ა) მოწმესა და დაზარალებულს დაუსვას კითხვები;

ბ) სხვაგვარად ჩაერიოს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში;

გ) გაახმაუროს საქმესთან დაკავშირებული მისთვის ცნობილი გარემოებები.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ მოწმის ცნება

2) რა უფლებები და მოვალეობები აქვს მოწმეს სისხლის სამართლის პროცესში?

3) ვის არ ეკისრება სისხლის სამართლის პროცესში მოწმის ვალდებულება?

4) ვინ არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ?

5) ვინ შეიძლება გაათავისუფლოს მოწმის ვალდებულებისაგან სასამართლომ?

6) ჩამოაყალიბეთ ექსპერტის ცნება და უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში?

7) ჩამოაყალიბეთ თარჯიმნის ცნება და უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში;

8) ჩამოაყალიბეთ სასამართლო მეგობრის ცნება და უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში;

9) ჩამოაყალიბეთ დაზარალებულის ცნება და უფლებამოსილება სისხლის სამართლის პროცესში;

10) რა გადაწყვეტილება მიიღება პირის დაზარალებულად ცნობის თაობაზე?

11) რა შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე?

12) ვინ შეიძლება იყოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი?

13) როდის ერთვება კოორდინატორი სს საქმეში მონაწილეობის მისაღებად?

14) ჩამოაყალიბეთ კოორდინატორის უფლებები და მოვალეობები?

თავი 7. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოებები, პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების წესი და პასუხისმგებლობა სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის

7.1. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები, აცილება

სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება გამოვლინდეს ისეთი გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ პროცესის ამა თუ იმ მონაწილედ პირის მონაწილეობის უფლებას სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოება წარმოადგენს აცილების ან თვითაცილების საკითხის დაყენებას. აცილება გვაქვს მაშინ, როდესაც პროცესის მონაწილე პროცესის სხვა მონაწილის მიმართ კანონით დადგენილი საფუძვლის არსებობისას დააყენებს საკითხს ჩამოშორდეს სისხლის სამართალწარმოებას, ხოლო თვითაცილება გვაქვს მაშინ, როდესაც პროსესის მონაწილე კანონით დადგენილი საფუძვლის არსებობისას პირადად დააყენებს საკითხს ჩამოშორდეს სისხლის სამართალწარმოებას.

სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები შეეხება მოსამართლეს, ნაფიც მსაჯულს, პროკურორს, გამომძიებელს, სასამართლო სხდომის მდივანს, ადვოკატს, თარჯიმანს. აცილება არ ვრცელდება დაზარალებულზე, მოწმესა და ექსპერტზე.

მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი ან სასამართლო სხდომის მდივანი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ:

ა) კანონით დადგენილი წესით არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული;

ბ) ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა, როგორც ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი, მოწმე;

გ) არის ბრალდებულის, ადვოკატის, დაზარალებულის ოჯახის წევრი[1] ან ახლო ნათესავი[2];

დ) ისინი ერთმანეთის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები არიან;

ე) არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას;

ვ) ამ საქმეზე გამოძიება მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს.

მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას:

ა) სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაში, თუ იგი ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც გამომძიებელი, პროკურორი, წინასასამართლო სხდომის, პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს მოსამართლე ან სასამართლო სხდომის მდივანი (ეს წესი ვრცელდება მოსამართლეზე,

რომელიც მონაწილეობდა სისხლის სამართლის საქმის ახლად გამოვლენილ გარემოებათა განხილვაში);

ბ) მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო შეტანილი საჩივრის განხილვაში.

თუ მოსამართლე ადრე მოცემული საქმის საკასაციო წესით განხილვაში მონაწილეობდა, ეს ვერ გამორიცხავს საქართველოს უზენაეს სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვაში მის მონაწილეობას.

პროკურორისა და გამომძიებლის მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულება სისხლის სამართლის პროცესის არც ერთ სტადიაზე არ აბრკოლებს ამ საქმეში მათ შემდგომ მონაწილეობას.

სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე გამომძიებელი მონაწილეობას ვერ მიიღებს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით ჩასატარებელ საგამოძიებო მოქმედებაში, თუ არ არსებობს დაცვის მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობა.

ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ:

ა) ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მოწმე ან ექსპერტი;

ბ) იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესები ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს;

გ) ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა ამ საქმის გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში.

თარჯიმანს უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში, როცა:

ა) არსებითად დამოკიდებულია სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილეზე და ნათესაური ურთიერთობა აქვს მათთან;

ბ) არსებითად დამოკიდებულია სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილეზე;

გ) ნათესაური ურთიერთობა აქვს სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე მონაწილესთან.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ:

ა) იგი ამ საქმეში მონაწილეობს ან მონაწილეობდა, როგორც გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, სასამართლო სხდომის მდივანი, ბრალდებული, ადვოკატი, დაზარალებული, ექსპერტი, თარჯიმანი ან მოწმე;

ბ) ამ საქმეზე გამოძიება მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს;

გ) მას ნათესაური ურთიერთობა აქვს პროცესის რომელიმე მონაწილესთან.

თუ არსებობს სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის, ნაფიც მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის, სასამართლო სხდომის მდივნის, ადვოკატის, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის, თარჯიმნის ან ექსპერტის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს თვითაცილება შესაბამის თანამდებობის პირთან.

გამომძიებელი თვითაცილების შესახებ განცხადებას აკეთებს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორთან, პროკურორი – მის ზემდგომ პროკურორთან, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას – სასამართლოში.

მოსამართლე თვითაცილების შესახებ განცხადებას აკეთებს სასამართლოს თავმჯდომარესთან.

თვითაცილების შესახებ განცხადებას ადვოკატი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, თარჯიმანი, ექსპერტი აკეთებენ პროკურორთან, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისასა ზემოაღნიშნული პირები და სასამართლო სხდომის მდივანი – სასამართლოში.

თვითაცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.

ექსპერტი თვითაცილების შესახებ განცხადებას აკეთებს მხოლოდ მაშინ, თუ იგი არაკომპეტენტურია.

თუ არსებობს პროცესის რომელიმე მონაწილის მიმართ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება და მას არ განუცხადებია თვითაცილება, მხარეებს უფლება აქვთ დააყენონ აცილების შუამდგომლობა, დაუყოვნებლივ, პირველი შესაძლებლობისთანავე, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება აცილების საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება.

საქმის სასამართლო განხილვისას მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, სასამართლო სხდომის მდივნის, ადვოკატის ან თარჯიმნის აცილების შუამდგომლობას ამისათვის უფლებამოსილი პირები აყენებენ სასამართლოში.

გამოძიებისას გამომძიებლის, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ან თარჯიმნის აცილების შუამდგომლობას მხარე აყენებს პროკურორთან.

გამოძიებისას პროკურორის აცილების შუამდგომლობას ამისათვის უფლებამოსილი პირები აყენებენ მის ზემდგომ პროკურორთან.

ამრიგად, აცილების შესახებ შუამდგომლობის დაყენება შესაძლებელია როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის დროს.

პირს, რომელსაც აცილება მისცეს, აცილების საკითხის განხილვამდე უფლება აქვს, მისცეს განმარტება.

თუ შუამდგომლობა დაყენებულია მოსამართლის აცილების თაობაზე, გადაწყვეტილებას იღებს:

ა) საქმის ერთპიროვნულად განხილვისას, თუ აცილების შუამდგომლობა დაყენებულია საქმის განმხილველი მოსამართლის მიმართ, – ეს მოსამართლე;

ბ) საქმის კოლეგიურად განხილვისას, თუ აცილების შუამდგომლობა დაყენებულია მოსამართლის (მოსამართლეების) მიმართ, – ის მოსამართლე (მოსამართლეები), რომლის (რომელთა) მიმართაც აცილების შუამდგომლობა არ დაყენებულა;

გ) საქმის კოლეგიურად განხილვისას, თუ აცილების შუამდგომლობა დაყენებულია სასამართლოს მთელი შემადგენლობის მიმართ, – საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა;

დ) გამოძიების დროს მოწმის დაკითხვისას, თუ აცილების შუამდგომლობა დაყენებულია მაგისტრატი მოსამართლის მიმართ, -ეს მაგისტრატი მოსამართლე.

გამოძიებისას დაყენებული აცილების შუამდგომლობა უნდა გადაწყდეს 24 საათში, ხოლო სასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობა – დაუყოვნებლივ, სათათბირო ოთახში ან ადგილზე თათბირით.

აცილების შესახებ პროკურორს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს – განჩინება.

საქმის განმხილველი სასამართლოს აცილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას განსახილველად გადასცემს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

თუ აცილებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მთელი შემადგენლობა, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად, საქმე გადაეცემა შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის შესვლიდან 48 საათის განმავლობაში წყვეტს აღნიშნულ საკითხს.

თუ აცილებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს მთელი შემადგენლობა, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად, საქმე გადაეცემა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის შესვლიდან 48 საათის განმავლობაში წყვეტს აღნიშნულ საკითხს.

გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა აცილების შუამდგომლობა, არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გამომძიებლის აცილების შუამდგომლობა, შეიძლება ერთჯერადად, 1 კვირის ვადაში გასაჩივრდეს საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის ზემდგომ პროკურორთან.

სასამართლოს უარი აცილების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე შეიძლება გასაჩივრდეს შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად.

7.2. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების წესი

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეების მიმართ გამოიყენება დაცვის სპეციალური ღონისძიებები, თუ არსებობს საპროცესო კანონით გათვალისწინებული მისი გამოყენების საფუძველი.

საპროცესო კოდექსის 67-ე მუხლის თანახმად, პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება გამოყენებული იქნეს, თუ:

ა) განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვაც თავისი ბუნებით არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;

ბ) პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას;

გ) პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე.

საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლში მოცემულიადაცვის სპეციალური ღონისძიების სახე და ის პირი, რომელიც უფლებამოსილია გამოიყენოს ასეთი ღონისძიება. დაცვის სპეციალური ღონისძიება წარმოადგენს პროცესის მონაწილის და მისი ახლო ნათესავის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების უსაფრთხოების დაცვის გარანტს.

პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების სახეა პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვა.

დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებისა და დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვის უფლებამოსილება აქვს პროკურორს, რაზედაც თანხმობა უნდა მიიღოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილისაგან.

დაცვის სპეციალურ ღონისძიების პროგრამაში შეიძლება ჩაერთოს:

ა.) პროცესის მონაწილე;

ბ.) პირი, რომელიც შეიძლება გახდეს პროცესის მონაწილე;

გ.) პროცესის მონაწილესთან დაკავშირებული პირი;

დ.) იმ პირთან დაკავშირებული პირი, რომელიც შეიძლება გახდეს პროცესის მონაწილე;

ე.) პროცესის მონაწილის ახლო ნათესავი;

ვ.) იმ პირის ახლო ნათესავი, რომელიც შეიძლება გახდეს პროცესის მონაწილე.

დაცვის სპეციალურ ღონისძიების პროგრამაში ჩასართავად საჭიროა იმ პირისგან თანხმობის მიღება, რომლის მიმართაც იგი უნდა გამოიყენონ.

დაცვის სპეციალურ კონკრეტულ ღონისძიებებს იყენებს საქართველოს შსს სპეციალური პროგრამით დადგენილი წესით.

დაცვის კონკრეტული ღონისძიებებია:

ა.) მიკვლევის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება–საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში პროცესის მონაწილის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შემცველი მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროცესის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შეცვლა ან ამოღება;

ბ.) ვინაობის შეცვლა და მასზე ახალი დოკუმენტის გაცემა–ფსევდონიმის მინიჭება, გარეგნობის შეცვლა, ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო ან სხვა დოკუმენტების გასაიდუმლოება;

გ.) უსაფრთხოების ზომების მიღება (პირადი დაცვა, განგაშზე გამოძახება, და სხვა);

დ.) საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა;

ე.) სხვა სახელმწიფოში გაყვანა (რელოკაცია).

პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვისა და დაცვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების პროცედურებს ერთობლივად განსაზღვრავენ საქართველოს იუსტიციისა და შს მინისტრები.

ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენებასთან, გაიღებს სახელმწიფო.

დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს:

ა.) პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება დაცვის სპეციალური ღონისძიება (პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვა);

ბ.) დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ვადა.

მოცემული ღონისძიების გამოყენება შეიძლება უვადოთაც.

დაცვის სპეციალური ღონისძიება არ არის საჯარო, ე.ი ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის. ასეთი გადაწყვეტილება ეცნობება მხოლოდ დასაცავ პირს.

თუ დაცვის სპეციალური ღონისძიება გამოიყენება გარკვეული ვადით და ამოიწურება ეს ვადა, მისი გაგრძელება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ კვლავ არსებობს ასეთი ღონისძიების გამოყენების საჭიროება. ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს ის პროკურორი, რომელმაც გამოიყენა ასეთი ღონისძიება.

თუ დაცვის სპეციალური ღონისძიება გამოიყენება გარკვეული ვადით და ამ ვადის ამოწურვამდე აღარ არსებობს მისი გამოყენების საფუძველი, იგი უნდა გაუქმდეს, რაზედაც გადაწყვეტილებას იღებს ის პროკურორი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მისი გამოყენების შესახებ.

თუ დაცვის სპეციალური ღონისძიება გამოიყენება უვადით და აღარ არსებობს მისი გამოყენების საფუძველი, იგი უნდა გაუქმდეს, რაზედაც გადაწყვეტილებას იღებს ის პროკურორი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მისი გამოყენების შესახებ.

დაცვის სპეციალური ღონისძიების გაუქმების შესახებ ეცნობება დასაცავ პირს.

ამრიგად, დაცვის სპეციალური ღონისძიება შეიძლება ან ავტომატურად გაუქმდეს, ან გააუქმოს პროკურორმა, ან გააგრძელოს იგი.

მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს დაცვის სპეციალურ ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას უნდა მოხდეს მისი აღსრულება, რომელსაც უზრუნველყოფს შსს და აღსრულების შესახებ 3 დღის ვადაში ეცნობება პროკურორს.

7.3. საპროცესო პასუხისმგებლობა სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის

სასამართლო წესრიგის დარღვევისათვის და მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის დაწესებულია პასუხისმგებლობა. სასამართლოში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირი, ხოლო სასამართლო სხდომის დარბაზში – სხდომის თავმჯდომარე, რომელსაც უფლება აქვს დარბაზში დამსწრე პირთა ადგილების გათვალისწინებით შეზღუდოს სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა.

თუ სასამართლო სხდომის დარბაზში დამსწრე პირი სასამართლო სხდომაზე წესრიგს დაარღვევს, არ დაემორჩილება სხდომის თავმჯდომარის განკარგულებას ან უპატივცემულობას გამოხატავს სასამართლოს მიმართ, სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული მოწოდების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ადგილზე თათბირით გამოაქვს შემდეგი ერთ-ერთი გადაწყვეტილება (განკარგულება):

ა) პირის დაჯარიმების შესახებ;

ბ) პირის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ;

გ) პირის დაჯარიმებისა და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ.

თუ სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას სასამართლო შენობაში, სასამართლო მანდატური უზრუნველყოფს მის გაყვანას სასამართლოდან, ამასთანავე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯარიმა ან პატიმრობა.

თუ სხდომის თავმჯდომარის განკარგულება სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ ეხება ბრალმდებელს (პროკურორს) ან ადვოკატს, სისხლის სამართლის საქმის განხილვა გადაიდება. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვა არ გადაიდება, როცა ერთი პირის ბრალდებას ან დაცვას თავიდანვე

რამდენიმე ბრალმდებლის ან ადვოკატი ახორციელებდა. გაძევებული ბრალმდებლის ან ადვოკატის არასათანადო ქცევის შესახებ სასამართლოს გამოაქვს კერძო განჩინება, რომელიც ეგზავნება შესაბამისად საქართველოს მთავარ პროკურატურას ან ადვოკატთა გაერთიანებას.

თუ ბრალდებული გაძევებულ იქნა სასამართლო სხდომის დარბაზიდან, საქმე განიხილება მის დაუსწრებლად, მაგრამ სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება გამოცხადდება მისი თანდასწრებით, ხოლო თუ იგი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, გადაწყვეტილება გამოცხადდება ბრალდებულის გარეშე. ამის შემდეგ გადაეცემა გადაწყვეტილების ასლი. გადაწყვეტილების ასლის გადაცემის ფაქტი უნდა დადასტურდეს ბრალდებულის ხელმოწერით.

სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებული პირი არ დაიშვება იმავე ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დასრულებამდე, თუმცა სასამართლო სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გაძევებულ პირს მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე მისცეს სხდომაზე დაბრუნების შესაძლებლობა. გაძევებული პირი სხდომაზე დაბრუნდება იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი სასამართლო დააკმაყოფილებს ამ პირის საჩივარს სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისი გაძევების უკანონოდ ცნობისა და სხდომაზე მისი დაბრუნების შესახებ.

სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს, მათ შორის, გაძევებულ პირს, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 50-დან 500 ლარამდე ოდენობით, რაზედაც გაიცემა სააღსრულებო ფურცელი. თუ დაჯარიმებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია დაუყოვნებლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა 50-500 ლარის ფარგლებში.

თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ ან იგი გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემლობას სასამართლოს, ან პროცესის მონაწილის, ან მხარის მიმართ, სხდომის თავმჯდომარის მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს პირის დაკავებას და დაკავების ოქმის შედგენას, ამასთანავე, სხდომის თავმჯდომარე ადგენს მიმართვას, რომელშიც აღწერს დარღვევას, და უგზავნის განკარგულების გამოტანაზე უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს). დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელსაც გაეგზავნა მიმართვა და რომელიც უფლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 30 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შესახებ.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირს ერთხელ უკვე ჰქონდა შეფარდებული პატიმრობა სასამართლო წესრიგის დარღვევისათვის, იგი უფლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 60 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შესახებ.

არ შეიძლება საქმის განმხილველმა მოსამართლემ გამოიტანოს განკარგულება დაპატიმრების შესახებ.

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი ან ორზე მეტი მოსამართლეა, განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ დარღვევა მოხდა სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ერთი მოსამართლეა, გან-

კარგულება გამოაქვს უახლოესი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს. თუ სასამართლო წესრიგის დარღვევა მოხდა საქმის მაგისტრატი მოსამართლის მიერ განხილვისას, განკარგულება გამოაქვს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის შემადგენლობაშიცაა ეს მაგისტრი მოსამართლე.

სააპელაციო სასამართლოში განკარგულება გამოაქვს სასამართლოს თავმჯდომარეს, ხოლო თუ დარღვევა მოხდა სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობით გამართულ სხდომაზე, განკარგულება გამოაქვს მის მოადგილეს ან მის მიერ განსაზღვრულ სხვა მოსამართლეს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში, გარდა დიდი პალატისა, საქმის განხილვისას განკარგულება გამოაქვს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარეს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვისას განკარგულება გამოაქვს იმ მოსამართლეს, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში. თუ აუცილებლობა მოითხოვს, დაკავებული პირი შეიძლება გადაეცეს პოლიციას.

თუ დაპატიმრების შესახებ განკარგულება გამოტანილ იქნა პროცესის მონაწილის მიმართ, სასამართლო სხდომა შეიძლება გადაიდოს აღნიშნული ვადით. განკარგულება გამოიტანება ზეპირი მოსმენის საფუძველზე, დაკავებული პირის წარდგენისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა.

სასამართლოში წესრიგის დარღვევის, სასამართლოს მიმართ უპატივცემულობისა ან სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში სასამართლოს მანდატურს უფლება აქვს დააკავოს დამრღვევი პირი, რის თაობაზეც ადგენს დაკავების ოქმს. მანდატური ვალდებულია დაკავებული პირი დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, წარუდგინოს იმავე სასამართლოს თავმჯდომარეს. ეს მოთხოვნა ვრცელდება პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებზე. ხოლო თუ დაკავება განხორციელდა უზენაეს სასამართლოში, დაკავებული პირის წარდგენა უნდა მოხდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილესთან. სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, უფლებამოსილია დაკავებული პირის წარდგენისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, გამოიყენოს მის მიმართ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი.

სასამართლოში წესრიგის დარღვევის გამო გამოტანილი განკარგულება, გარდა დაპატიმრების შესახებ განკარგულებისა, შეიძლება გამოტანილ იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე და იგი შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომელზედაც ვრცელდება განკარგულება. აღნიშნული საჩივრის განმხილველი მოსამართლე განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და გასაჩივრებული განკარგულების უცვლელად დატოვების შესახებ;

ბ) საჩივრის დაკმაყოფილების და პირის დაჯარიმების თაობაზე განკარგულების გაუქმების შესახებ;

გ) საჩივრის დაკმაყოფილების და სხდომაზე პირის დაბრუნების თაობაზე განკარგულების გაუქმების შესახებ;

დ) საჩივრის დაკმაყოფილების და პირის დაჯარიმების შესახებ განკარგულების გაუქმებისა და სხდომაზე მისი დაბრუნების შესახებ.

საჩივარი აჩერებს დაჯარიმების შესახებ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულების აღსრულებას.

სასამართლო სხდომის თავმჯდომარის განკარგულება დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ ბარდება არაუგვიანეს 24 საათისა იმ პირს, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა აღნიშნული ღონისძიება.

პატიმრობის შესახებ საქმის განხილვისას სასამართლო დაკავებულ პირს აცნობებს საქმის განხილვის დროსა და ადგილს. თუ მხარე არ გამოცხადდება ეს არ წარმოადგენს სხდომის გადადების საფუძველს. საქმის განხილვა იწყება სხდომის თავმჯდომარის მოხსენებით, რომელიც აცხადებს, ვის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული პატიმრობა, საქმის განხილვაში მონაწილე პირებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, საჯაროდ კითხულობს წესრიგის დარღვევის თაობაზე შედგენილ მიმართვას და უსმენს საქმის განხილვაში მონაწილე პირებს. ზეპირი მოსმენისას დამრღვევ პირს ან მის ადვოკატს საშუალება ეძლევა, სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი მოსაზრებები და მისცეს განმარტებები დაკავების კანონიერებისა და პასუხისმგებლობის ზომის თაობაზე. მხარეთა მოსმენის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება დაპატიმრების შესახებ. განკარგულების გამომტანი სასამართლო განკარგულების ასლს დაუყოვნებლივ გადასცემს დამრღვევ პირს, ასევე განკარგულების ასლს აღსასრულებლად უგზავნის სამართალდამცავ ორგანოებს. დაკავების ვადა ჩაითვლება პატიმრობის საერთო ვადაში.

ჩვენი აზრით, ნორმაში უნდა აისახოს შემდეგი მოთხოვნა: დაპატიმრების შესახებ განკარგულება უნდა დამზადდეს სამ ეგზემპლარად. მათ შორის ერთი რჩება სასამართლოში, მეორე გადაეცემა დამრღვევ პირს, ხოლო მესამე ეგზავნება აღსასრულებლად სამართალდამცავ ორგანოებს.

დაპატიმრების შესახებ განკარგულება დაუყოვნებლივ შედის ძალაში. იგი შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა პატიმრობა, მისთვის განკარგულების ასლის ჩაბარებიდან 48 საათის ვადაში. აქვე, აუცილებელია საპროცესო კოდექსის ნორმაში აისახოს მოთხოვნა, რომ გასაჩივრება არ აბრკოლებს განკარგულების აღსრულებას. დაპატიმრების შესახებ განკარგულებაზე საჩივარი შედის განკარგულების გამომტან სასამართლოში, ხოლო ეს უკანასკნელი შემოსულ საჩივარს უგზავნის შესაბამის სასამართლოს. პირველი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარის ან მოსამართლის განკარგულება ერთჯერად საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესთან.

თუ სააპელაციო სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან მოსამართლეს გამოაქვს განკარგულება დაპატიმრების შესახებ, მოცემული განკარგულება საჩივრდება ერთჯერადად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარესთან.

თუ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის გამოაქვს განკარგულება დაპატიმრების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს ან პალატის თავმჯდომარეს (გარდა დიდი პალატისა), მოცემული განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში წესრიგის დარღვევის შესახებ მოსამართლის განკარგულება ერთჯერადად საჩივრდება იმ მოსამართლესთან, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში.

დაპატიმრების შესახებ განკარგულებაზე საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე და მისი განხილვის ვადა საჩივრის შეტანიდან 24 საათს არ უნდა აღემატებოდეს. აღნიშნული საჩივრის განმხილველი მოსამართლე განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის და გასაჩივრებული განკარგულების უცვლელად დატოვების შესახებ;

ბ) საჩივრის დაკმაყოფილების, პირის დაპატიმრების შესახებ განკარგულების გაუქმებისა და პატიმრობიდან მისი გათავისუფლების შესახებ.

ამრიგად, სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის გამოიყენება სხდომის დარბაზიდან გაძევება, დაჯარიმება ან დაპატიმრება, რომელთა გამოყენებაც ხელს უწყობს სასამართლოში წესრიგის დაცვას, სასამართლოსადმი პატივისცემით დამოკიდებულებას და სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობას.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანი;

2) რა შემთხვევაში გამოირიცხება თარჯიმნის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში?

3) რა შემთხვევაში გამოირიცხება ადვოკატის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში?

4) პროცესის ამათუიმ მონაწილის მიმართ პროცესის მწარმოებელი რომელი ორგანოები იღებენ გადაწყვეტილებას აცილების თაობაზე?

5) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების წესი საფუძვლები და წესი;

6) ჩამოაყალიბეთ სასამართლოში საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესი.

თავი 8. მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესში

8.1. მტკიცებითი სამართალი სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების გადასაწყვეტად

მხარეები სისხლის სამართლის პროცესში აგროვებენ მტკიცებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულთან. დანაშაული არის წარსულში მომხდარი ფაქტი. ამ გარემოებების დადგენის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათ ადგილი ჰქონდათ წარსულში, შეუძლებელია განმეორებით მათი წარმოება. მათი შემეცნება სურათის აღდგენის გზით ხდება ისე, რომ შეჯერდეს ანმყოსა და წარსულის მოვლენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ობიექტურ სამყაროში. წარსულ მოვლენებზე ცნობები შეიძლება მოგვაწოდოს თვითმხილველმა, გადმოცემული იყოს დოკუმენტში, აისახოს ადამიანის დატოვებულ კვალში, აღმოჩნდეს ავტოტრანსპორტზე და ა.შ. წარსულში მომხდარი მოვლენების აღდგენას სწავლობს ისტორია, არქეოლოგია და სხვა მეცნიერებები.

სისხლის სამართლის პროცესში წარსულში მომხდარი მოვლენის აღდგენა წარმოებს კანონით დადგენილი წესების მკაცრი დაცვით, რაც იძლევა უტყუარი დასკვნის მიღების გარანტიას.

ფაქტობრივი გარემოებების დადგენა სისხლის საპროცესო მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებაა, რის გამოც საპროცესო კანონის გარკვეული ნორმები აწესრიგებენ მომხდარი მოვლენის ფაქტობრივი მონაცემების შეკრების, დამაგრების, შემოწმებისა და შეფასების წესს. სისხლის საპროცესო სამართლის ნორმებს, რომლებიც ადგენენ ამ წესებს, რომლებიც ემსახურება სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა შეკრებას, დამაგრებას, შემოწმებას და შეფასებას – მტკიცებით სამართალს უწოდებენ[22].

მტკიცებითი სამართალი საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას ემსახურება.

მტკიცებით თეორიას, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის მეცნიერების ნაწილს, აქვს თავისი მეთოდოლოგიური და სამართლებრივი შესწავლის საგანი. მტკიცებითი თეორია სწავლობს: მტკიცებულებათა რელევანტურობას; დასაშვებობას და უტყუარობას, მტკიცების საგანს, მტკიცებულებათა კლასიფიკაციას, ცალკეულ მტკიცებულებათა ბუნებას, მტკიცების თავისებურებას პროცესის სხვადასხვა სტადიაზე.

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებითი თეორია იყენებს სხვადასხვა მეცნიერების მიღწევებს, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება ლოგიკა, ფსიქოლოგია, კრიმინალისტიკა, სასამართლო მედიცინა და ფსიქიატრია და სხვა. მტკიცებითი თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განზოგადება.

8.2. ობიექტური ჭეშმარიტება, როგორც მტკიცების მიზანი

ობიექტურ ჭეშმარიტებაში მოიაზრება ადამიანური ცნობიერების ისეთი შინაარსი, რომელიც სწორად გამოხატავს ობიექტურ სინამდვილეს.

---

[22] Теория доказательств в советском уголовном процессе, Москва, 1973, ст. 14.

სისხლის სამართლის პროცესში ჭეშმარიტების დადგენა ნიშნავს შევიცნოთ წარსული მოვლენა და ყოველი გარემოება ისე, როგორც ჰქონდა მას ადგილი სინამდვილეში, რა თქმა უნდა თუ იგი ექვემდებარება აღდგენას.

საქმის გარემოების დადგენა ისე, როგორც მას ადგილი ჰქონდა სინამდვილეში, შეადგენს სისხლის სამართლის პროცესში ობიექტური ჭეშმარიტების შინაარსს.

შემეცნებითი საქმიანობის მეთოდოლოგიური საფუძვლები თავის გამოხატულებას პოულობენ სამართლებრივ მოთხოვნებში. რომ ვიცოდეთ საგანი, აუცილებელია ჩავწვდეთ მის არსს. სისხლის სამართლის პროცესში შემეცნების დიალექტიკური კანონი გამოიხატება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის ჩატარების მოთხოვნაში.

ჭეშმარიტების დადგენის სამართლებრივ გარანტიას იძლევა სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების სისტემა, რომელსაც აქვს განსაზღვრული მნიშვნელობა ჭეშმარიტი დასკვნის გამოტანაში.

ჭეშმარიტების დადგენა პროცესის მონაწილეთა პროცესუალური ფუნქციების დანაწილების საშუალებაა. ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქმის განხილვას პირველი ინსტანციის სასამართლოში. კანონი განსაზღვრავს საქმის განხილვის პირობებს, რომელიც იძლევა საშუალებას უშუალოდ იქნეს შეცნობილი საქმის გარემოებები. ეს პირობებია – ზეპირად, უშუალოდ და მხარეთა თანასწორობის საფუძველზე მოხდეს დამოუკიდებელ სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტა.

ჭეშმარიტების დადგენის გარანტიათა რიცხვში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმას, რომ ზემდგომი სასამართლოები საჩივრის საფუძველზე საქმეს განიხილავენ და ადგენენ ჭეშმარიტ დასკვნას.

8.3. მტკიცებულების ცნება. მტკიცებულება-მტკიცების საშუალება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის პროცესში წარსული მოვლენის შეცნობა წარმოებს გამოკვლევის გზით. წარსულის შემეცნების საშუალებად გვევლინება მტკიცებულება.

ესა თუ ის მოვლენა და მასთან დაკავშირებული გარემოებები აისახება ადამიანის მეხსიერებაში, ნივთზე, დოკუმენტზე და სხვა მატერიალურ საგნებზე. ფიზიკურ ნივთზე დატოვებული კვლები ამა თუ იმ ფორმით ასახავენ წარსულ მოვლენას, ინახავენ ინფორმაციას მის შესახებ. ადამიანი, რომლის გონებაში აისახა წარსული მოვლენა, წარმოადგენს იმ ცნობის მატარებელს, რომელი ცნობებიც აინტერესებთ როგორც ბრალდების მხარეს (გამომძიებელი, პროკურორი), ისე დაცვის მხარეს (ბრალდებული, ადვოკატი).

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა

თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებენ მის პიროვნებას. დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-შინაარსობრივი ფორმით ან/და ფოტო, -კინო, -ვიდეო, -ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.

ნებისმიერი ცნობები შეიძლება გახდეს მტკიცებულება, თუ ისინი ასე თუ ისე დაკავშირებულია მომხდარ მოვლენასთან, თუ მათ საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს რაიმე გარემოება, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღებასთან. თუ მტკიცებულება თავისი შინაარსით ემსახურება წარსული ფაქტის შემეცნებას – შესახებითი (რელევანტური) მტკიცებულება ეწოდება.

მონაცემები, რომელსაც ბრალდების ან დაცვის მხარე მიიღებს, შეიძლება იყოს როგორც უტყუარი, ისე ყალბი. იმის დადგენა, შეესაბამება თუ არა მიღებული მონაცემები სინამდვილეს, წარმოადგენს სასამართლოს (მოსამართლის) ამოცანას. მხოლოდ სინამდვილისა და მიღებული მონაცემების შესაბამისობის დადგენის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ მტკიცებულებაზე, როგორც ფაქტზე. ფაქტის დადგენა შესაძლებელია მტკიცებულებათა ერთობლიობით.

არც ერთ მტკიცებულებას წინასწარ დადგენილი ძალა არ აქვს.

საპროცესო კანონი ადგენს ვინ, საიდან და რა გზით შეიძლება მიიღოს მტკიცებულება. იურიდიული ძალის მქონედ არ ითვლება მტკიცებულება, რომელიც მიღებულია კანონის დარღვევით.

მტკიცებულებათა თეორია იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „მტკიცებულებათა წყაროები“ და „მტკიცებულებათა სახეები“.

მტკიცებულებათა წყაროებია: ადამიანი (ჩვენება), საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება და სხვა.

მტკიცებულებების საფუძველზე მხარეები იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

მტკიცებულებათა საფუძველზე სასამართლო ადგენს:

ა) არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი;

ბ) ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა;

გ) დამნაშავეა თუ არა იგი;

დ) გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე.

8.4. დასაშვები მტკიცებულება. დაუშვებელი მტკიცებულება

მტკიცებით სამართალში განსაკუთრებული ადგილი უკავია მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტას.

თუ მტკიცებულების მოპოვებისას დაცული იყო კანონით დადგენილი წესები (ფორმა), ასეთი მტკიცებულება მტკიცებულებათა თეორიაში ცნობილია დასაშვებ მტკიცებულებად.

იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოთვლილია პირობები, რომლის არსებობის შემთხვევა უნდა ჩაითვალოს მტკიცებულებათა დასაშვებად. ეს პირობების:

1) მტკიცებულება უნდა მოიპოვოს იმ პირმა, რომელიც უფლებამოსილია საქმეზე ჩაატაროს საპროცესო მოქმედებები;

2) მტკიცებულება მიღებული უნდა იყოს საპროცესო კანონით გათვალისწინებული წყაროდან;

3) მტკიცებულების მიღებისას დაცული უნდა იყოს მისი მოპოვების საპროცესო წესი;

4) მიღებული მტკიცებულებების ფიქსაციისას (დამაგრებისას) დაცული უნდა იყოს კანონის ყველა მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ კანონიერი საშუალებებით მოპოვებული მტკიცებულებები აღიარებულია მართლმსაჯულების გარანტიად.

ამრიგად, დასაშვებია მტკიცებულება, რომელიც მიღებულია კანონით გათვალისწინებული წყაროდან და მისი მიღების დროს დაცულია კანონით დადგენილი წესი.

დაუშვებელია მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია:

ა) საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით;

ბ) საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევის საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას;

გ) საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის შესახებ;

დ) საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის შესახებ;

ე) საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.

ბრალმდებელს ეკისრება მტკიცების ტვირთი:

ა) ბრალდების მხარის მტკიცებულების დასაშვებობისა;

ბ) დაცვის მხარის მტკიცებულების დაუშვებლობისა.

მხარე ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მტკიცებულების წარმომავლობის შესახებ.

მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც დასაბუთებული უნდა იყოს. დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

საპროცესო კანონმდებლობა დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევს პრეიუდიციას, ბრალდებულის ჩვენებას, მოწმის ჩვენებას, ნივთიერ მტკიცებულებებს, დოკუმენტს.

ფაქტობრივი გარემოება მტკიცებულებად მიიღება მხოლოდ გამოკვლევის შედეგად. გამონაკლისს წარმოადგენს პრეიუდიცია.

პრეიუდიცია არის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი, რომელიც გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება:

ა) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები;

ბ) განაჩენი ნასამართლობაზე;

გ) სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ პროცესის არცერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ ხდის;

დ) ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.

მხარის ინიციატივით, სასამართლომ შეიძლება უარყოს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს.

ბრალდებულის ჩვენება არის მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ.

ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა და არა ვალდებულება.

ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად არ შეიძლება შეფასდეს:

ა) მის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ფაქტი;

ბ) მის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტი.

ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს. სავალდებულოა ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება დადასტურდეს სხვა მტკიცებულებით.

ბრალდებულის ჩვენებას აქვს ორმაგი ბუნება. პირველი ბუნებით ის არის მტკიცებულებათა სახე, მტკიცებითი ინფორმაციის წყარო, ხოლო მეორე ბუნებით – ბრალდებულის ინტერესების დაცვის საშუალება. ბრალდებულს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

ზოგჯერ ბრალდებული ცდილობს გადააბრალოს ჩადენილი დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირს. ეს არის ბრალდებულის დაცვის ერთ-ერთი საშუალება და ამის გამო ბრალდებულს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა.

თუ ბრალდებული იძლევა სხვა პირის საწინააღმდეგო ჩვენებას იმ ფაქტის შესახებ, რომელშიც ბრალდებული არ მონაწილეობდა, ასეთ შემთხვევაში ბრალდებული უნდა დაიკითხოს მოწმის სტატუსით და ცხადია პასუხს აგებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

ბრალდებულის ჩვენება არის შეტყობინება მისთვის ცნობილ გარემოებებზე, რომლითაც უარყოფს ან ადასტურებს ბრალდებას და დაფიქსირებულია სასამართლო სხდომის ოქმში საპროცესო კანონის მოთხოვნა წესების დაცვით.

ბრალდებულის დაკითხვა უნდა მოხდეს ბრალდების წაყენების შემდეგ, ამიტომ ბრალდებულის ჩვენება უნდა შეეხებოდეს მისთვის წაყენებული ბრალდების შინაარსს.

ბრალდებულის ჩვენება ტრადიციულად იყოფა ორ სახედ: 1) ჩვენებად, რომელიც შეიცავს აღიარებას ბრალზე (მთლიანად ან ნაწილობრივ) და 2) ჩვენებად, რომელიც ამ ბრალდებას უარყოფს.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება ითვლებოდა "მტკიცების მეფედ". განსაკუთრებით ეს ახასიათებდა ინკვიზიციურ პროცესს.

რაში მდგომარეობს ბრალდებულის აღიარებითი ჩვენების მტკიცებითი მნიშვნელობა?

პირველ რიგში, მტკიცებითი მნიშვნელობა აქვს არა ბრალდებულის აღიარების ფაქტს, არამედ კონკრეტულ ინფორმაციას დანაშაულის გარემოებების შესახებ. ბრალდებულის სიტყვიერი აღიარება დანაშაულის ჩადენის შესახებ ისე, რომ არ წარადგინოს რაიმე კონკრეტული ფაქტი, არ შეიძლება განხილულ იყოს

როგორც მტკიცებულება. მტკიცებულებად განხილვა შეიძლება მხოლოდ ისეთი ჩვენებისა, რომელიც იძლევა ცნობებს მომხდარი ფაქტის გარემოებების შესახებ.

მეორე, ეს ცნობები სავალდებულოა დამტკიცდეს საქმეზე შეგროვილი სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით. მხოლოდ ასეთი ჩვენება შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

მოწმის ჩვენება არის მისი შეტყობინება ფაქტობრივ გარემოებათა შესახებ, რომელიც უნდა დადგინდეს საქმეზე დაკითხვის ჩატარების შედეგად, და აისახოს სასამართლო ოქმში საპროცესო კანონის მოთხოვნათა წესების დაცვით. მოწმის ჩვენება ყველაზე უფრო გავრცელებული მტკიცებულების სახეა. ის ფიგურირებს ყველა სისხლის სამართლის საქმეში.

მოწმე ვალდებულია მისცეს ჩვენება. ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოწმე პასუხს აგებს.

მოწმეს შეუძლია მისცეს ჩვენება იმ გარემოებების შესახებ, რომლის თვითმხილველიცაა იგი, ასევე იმ გარემოებებზე, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სხვა პირებისაგან. პირველ შემთხვევაში მოწმის ჩვენება არის პირველადი მტკიცებულება, ხოლო მეორე შემთხვევაში – წარმოებული. მეორე შემთხვევაში მოწმის შეტყობინება მტკიცებულება ვერ იქნება თუ იგი მოწოდებული ფაქტის წყაროს ვერ მიუთითებს. ასევე მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ დადგინდება, რომ მას ფსიქიკური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს, და აღიდგინოს ფაქტები.

თუ მოწმის მიერ გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს მოცემულ ჩვენებებს ან პირის გამოკითხვისას მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასა და მის ჩვენებას შორის არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა მოცემული ჩვენების (ჩვენებების) დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, ხოლო მოწმე პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მოწმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მოწმე შეიძლება საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების წინაშე იძლეოდეს როგორც პირდაპირ, ისე ირიბ ჩვენებას. პირდაპირია ჩვენება, რომელიც ეფუძნება მოწმის აღქმულ ფაქტებსა და გარემოებებს, ხოლო ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელის ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. მაგალითად, ან-ი მოუყვა ბან-ს თუ როგორ ჩაიდინა გან-მა ქურდობა, ხოლო ბან-ი ამის შესახებ მოუყვა გამოძიების ორგანოს. ბან-ის ჩვენება ირიბი მტკიცებულებაა.

ირიბი ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, მაგრამ იგი დასაშვები მტკიცებულება გახდება მაშინ, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში, თუ ან-ის დაკითხვა ჩატარდება და დაადასტურებს ბან-თან საუბრის შინაარსს გან-ის ჩადენილი ქურდობის თაობაზე, ბან-ის ჩვენება დასაშვებ მტკიცებულებაა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ირიბი ჩვენებაა.

სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.

თუ მოწმეს უჭირს სიტყვიერად აღწეროს მოვლენა, რომლის თვითმხილველიც იგი იყო, მას შეუძლია თავისი ჩვენების შესაბამისი ნაწილი ჩამოაყალიბოს სხვა ნიშნობრივი ფორმით. სახელდობრ, ნახაზის, სქემის, ჩანახატის ან სხვა ამგვარი სახით.

ნივთიერი მტკიცებულება არის ნებისმიერი საგანი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მხარეს საკუთარი ინტერესების დასაცავად.

შედარებითი კვლევის ნიმუში არის შენაცვლებადი ნივთიერი მტკიცებულება.

ნივთიერი მტკიცებულება უნდა დათვალიერდეს და დაილუქოს; დათვალიერებისას უნდა გამოვლინდეს და აღიწეროს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშნები. დათვალიერების მიმდინარეობა და შედეგები აისახება ოქმში.

ლუქის მოხსნა და ნივთიერ მტკიცებულებების განმეორებით დათვალიერება დასაშვებია.

საქმის არსებითი განხილვის დროს მხოლოდ ის მტკიცებულებაა დასაშვები, რომლის ავთენტიკურობაც დასტურდება.[23]

დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალა. დოკუმენტები ეს არის სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომელიც დამზადებულია საპროცესო მოქმედების მსვლელობისას ან მოპოვებულია მხარის მიერ და გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში როგორც მტკიცებულების წყარო.

დოკუმენტად აღიარებულია ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით (ასოებით, ციფრებით და სხვა). ყველაზე მეტად გავრცელებულია წერილობითი დოკუმენტები (დაბეჭდილი ან ხელნაწერი ფორმით). დოკუმენტად ითვლება ფოტო, კინო, ვიდეო, ბგერის ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით აღბეჭდილი ინფორმაცია.

სისხლის სამართლის პროცესში დოკუმენტი ჩაითვლება მტკიცებულებად იმ შემთხვევაში, როდესაც მასზე დაფიქსირებულია მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. დოკუმენტი შეიძლება იყოს ოფიციალური ან არაოფიციალური (მაგალითად, პირადი წერილები), პირველადი (დედანი) და წარმოებული (ასლი).

მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ერთდროულად იგი აკმაყოფილებს ორ მოთხოვნას: 1) ცნობილია მისი წარმომავლობა და 2) ის ავთენტიკურია.

დოკუმენტი ან ნივთები მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ:

1) მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა იგი;

2) მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც შექმნა იგი;

3) მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელთანაც ინახებოდა იგი სასამართლოში წარდგენამდე;

4) მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა იგი და რომელთანაც იგი ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე;

5) მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც შექმნა იგი და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.

---

[23] ავთენტიკური ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ნამდვილს, სარწმუნოს, დედნის შესაბამისს.

დოკუმენტი იმავდროულად შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საქმეზე ნივთიერი მტკიცებულება, თუ მას შეუნაცვლებლობის თვისება აქვს.

თუ ამოღებული და სისხლის სამართლის საქმეზე დართული დოკუმენტი საჭიროა მიმდინარე აღრიცხვისათვის, ანგარიშისათვის და სხვა მართლზომიერი მიზნებისათვის, ის ან მისი ასლი შეიძლება კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდეს ან გადაეცეს დროებით გამოსაყენებლად.

ნივთიერი მტკიცებულება ინახება ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავს მის დაკარგვასა და მისი თვისებების შეცვლას.

ნივთიერი მტკიცებულება ინახება სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით, რომელიც არ ნადგურდება, მესაკუთრეს ან მფლობელს არ უბრუნდება ან სახელმწიფოს არ გადაეცემა.

საბანკო დაწესებულებაში ინახება ძვირფასი ლითონები, ქვები (თვლები), ფულის ნიშნები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, თუ მათ ინდივიდუალურ ნიშნებს მტკიცებულების მნიშვნელობა არა აქვს.

ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება ინახებოდეს ასევე სხვა ადგილას.

ნივთიერი მტკიცებულების ბედი უნდა გადაწყდეს როგორც საქმის წარმოების დამთავრებამდე, ასევე წარმოების დამთავრებისას.

სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე საგამოძიებო ორგანო მესაკუთრეს ან მფლობელს უბრუნებს: მალფუჭებად საგნებს, ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში აუცილებელ საგნებს, შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს. მოცემული საგნების და ნივთების დაბრუნება სავალდებულოა. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც მათ ყადაღა აქვთ დადებული. საგამოძიებო ორგანომ მესაკუთრეს ან მფლობელს შეიძლება დაუბრუნოს სატრანსპორტო საშუალებები, თუ მათ ყადაღა არა აქვს დადებული.

თუ ნივთიერი მტკიცებულება არის სატრანსპორტო საშუალება – საგანი, რომელიც მესაკუთრის (მფლობელის) ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან, საქმის მწარმოებელი ორგანო უშუალოდ ან უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით, წერილობით შესთავაზებს საგნის მესაკუთრეს ან კანონიერ მფლობელს, თუ ასეთი პირი ცნობილია, დაიბრუნოს თავისი კუთვნილი საგანი. საგნის მესაკუთრის (კანონიერი მფლობელის) ვინაობის დადგენისთანავე წერილობითი შეტყობინება ეგზავნება მას საგნის დაბრუნების თაობაზე. წერილობითი შეტყობინების მიღება დასტურდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციით ან შეტყობინებაზე საგნის მესაკუთრის (კანონიერი მფლობელის) ხელმოწერით, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შესაბამისად ოჯახის წევრის ან/და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. საგნის მესაკუთრე (კანონიერი მფლობელი) წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 90 დღის ვადაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს თავისი კუთვნილი საგნის დაბრუნებას და ტრანსპორტირებას.

თუ მესაკუთრემ (კანონიერმა მფლობელმა) დადგენილ ვადაში არ დაიბრუნა სატრანსპორტო საშუალება, აგრათვე როდესაც სატრანცპორტო საშუალების მესაკუთრე ან მფლობელი არ არის ცნობილი, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ნივთიერი მტკიცებულების სახით ამოღებული სატრანსპორტო საშუალება უბრუნდება იმ პირს, რომელმაც შეიძინა იგი და შეძენის მომენტისათვის არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის თაობაზე.

მესაკუთრისათვის (კანონიერი მფლობელისათვის) სატრანსპორტო საშუალების დაბრუნებას გამოძიების სტადიაზე უზრუნველყოფს გამომძიებელი დადგენილებით, ხოლო სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე - სასამართლო განჩინებით.

თუ მალეფუჭებადი საგნების, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელი საგნების, შინაური ცხოველებისა და ფრინველების მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი არ არის ცნობილი, არ არსებობს ამ საგნის კანონიერი წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი დაბრუნება შეუძლებელია სხვა მიზეზით, საგანი უნდა ჩაბარდეს შესაბამის პირს (ორგანიზაციას) გამოსაყენებლად, შესანახად, მოსავლელად და მისგან ამ საგნის ამოღებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სასამართლოს შუამდგომლობა საგნის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

თუ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს (კანონიერ მფლობელს), რომლის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა ეს სატრანსპორტო საშუალება, ჩაბარდება შეტყობინება მისი დაბრუნების თაობაზე და იგი არ დაიბრუნებს მას 90 დღის ვადაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პროკურორი სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით, რომელიც, კანონით დადგენილი წესით, წარდგინებიდან არაუგვიანეს 5 დღისა განიხილავს შუამდგომლობას ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით და წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას (განჩინებას):

1)სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ;

2)სატრანსპორტო საშუალების იმ პირისათვის დაბრუნების შესახებ, რომელმაც შეიძინა იგი და შეძენის მომენტისათვის არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის თაობაზე.

მოსამართლის გამოტანილი განჩინების გასაჩივრება შეიძლება ერთჯერადად მისი გამოტანიდან 48 საათში. ასეთი გასჩივრების უფლება აქვს პროკურორს ან დაინტერესებულ პირს.

თუ საგანი მიიქცევა სახელმწიფო საკუთრებაში, მისი განკარგვა უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

როგორც უკვე ვიცით, სისხლის სამართლის პროცესი მთავრდება ორ შემთხვევაში: ან განაჩენის დადგენით, ან სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტით, რა დროსაც უნდა გადაწყდეს ნივთიერი მტკიცებულების ბედი. საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, განაჩენში, სისხლის სამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში ნივთიერი მტკიცებულების საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს:

ა) თუ დანაშაულის იარაღს ან საგანს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს რაიმე ღირებულება, ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია;

ბ) თუ ბრუნვიდან ამოღებულ ნივთს აქვს რაიმე ღირებულება, იგი გადაეცემა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო თუ მას ღირებულება არა აქვს, – ნადგურდება;

გ) სხვა ნივთი, რომელსაც ღირებულება არა აქვს, დაინტერესებულ პირს ან ადმინისტრაციული ორგანოს შუამდგომლობით მას გადაეცემა, ხოლო თუ ასეთი პირი ან ორგანო არ აღმოჩნდა, – ნადგურდება;

დ) დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავალი/ქონება ხმარდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ზიანის ანაზღაურების შემდეგ – საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას, ხოლო თუ ცნობილი არ არის პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, – გადაეცემა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;

ე) დაზარალებულის, გამართლებულის ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი, ბრალდებულისა და იმ პირის გარდა, რომელსაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, უბრუნდება მესაკუთრეს ან მფლობელს.

დავა ნივთიერი მტკიცებულების გამო წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ასეთი დავის შემთხვევაში ნივთიერი მტკიცებულება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ინახება სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში მისი მესაკუთრე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას. ეს წესი არ ვრცელდება იმ ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება საპროცესო კონფისკაციას, განადგურებას და საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას.

8.5. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია

მტკიცებულებათა კლასიფიკაცია წარმოებს იმის მიხედვით, თუ რომელი წყაროდანაა მიღებული იგი; მონაცემები ადასტურებენ თუ უარყოფენ გარემოებებს. ყოველი მტკიცებულება შეიძლება მივაკუთვნოთ ამა თუ იმ ჯგუფს. ამიტომ ცალკეული მტკიცებულება სრულყოფილად უნდა იყოს შესწავლილი.

განასხვავებენ მტკიცებულებათა კლასიფიკაციას შემდეგნაირად:

<u>პირველადი და წარმოებული მტკიცებულება</u>. მტკიცე-ბულებათა დაყოფა პირველად და წარმოებულად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი წყაროებიდან ხდება ინფორმაციის მიწოდება სასამართლოსათვის – პირველი წყაროდან თუ ე.წ. "მეორე ხელიდან". პირველადია მტკიცებულება, მაგალითად, იმ მოწმის ჩვენება, რომელიც უშუალო თვითმხილველია ამა თუ იმ მოვლენის ან ფაქტის. წარმოებულია მტკიცებულება, მაგალითად, იმ მოწმის ჩვენება, რომელიც უშუალო თვითმხილველი არ არის მოვლენის ან ფაქტის, მაგრამ მის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა სხვა პირისაგან, რომელიც თვითმხილველია მომხდარი მოვლენის ან ფაქტის.

წარმოებული მტკიცებულების შემთხვევაში სავალდე-ბულოა დადგინდეს პირველადი წყარო შეტყობინებისა (მაგალითად, თვითმხილველი) და დაიკითხოს იგი. პირველადი წყაროს შეტყობინების შემოწმება უფრო გამარტივებულია და ამავე დროს უტყუარიც.

თუ დასაკითხი პირი ვერ ასახელებს ინფორმაციის წყაროს, ასეთი ჩვენება კარგავს მტკიცებულების მნიშვნელობას და უნდა იქნეს უარყოფილი.

წარმოებული მტკიცებულების მნიშვნელობა არ შეიძლება ხელაღებით უარვყოთ, რადგან ის "მეორე ხარისხის" მტკიცებულებაა.

<u>პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი)</u>. მტკიცებულებათა დაყოფას პირდაპირ და არაპირდაპირ (ირიბ) მტკიცებულებად საფუძვლად უდევს ის გარემოე-

ბა, მტკიცებულება პირდაპირ არის დაკავშირებული თუ არა მომხდარ მოვლენასთან.

მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ კავშირშია მოვლენასთან, პირდაპირ და უშუალოდ ამტკიცებს ან უარყოფს მოვლენას, პირდაპირი მტკიცებულებაა.

მაგალითად, მოწმის ჩვენება, რომ მან უშუალოდ დაინახა მომხდარი მოვლენა ან ფაქტი, ან მოწმის ჩვენება, რომ მომხდარ მოვლენას ან ფაქტს არ ჰქონია ადგილი.

მტკიცებულება, რომელიც უშუალო კავშირში არ არის მოვლენასთან ან ფაქტთან, მაგრამ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში და ობიექტურ კავშირში იძლევა იმის საშუალებას, რომ დადგინდეს ან უარყოფილი იყოს ფაქტი ან მოვლენა, არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებაა.

საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია.

სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.

გამამტყუნებელი და გამამართლებელი. მტკიცებულებების დაყოფას გამამართლებელ და გამამტყუნებელ მტკიცე-ბულებებად საფუძვლად უდევს მიღებული ინფორმაციის შინაარსი. მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს პირის მონაწილეობას დანაშაულში ან სხვაგვარად ამძიმებენ მის პასუხისმგებლობას, – გამამტყუნებელ მტკიცებულებას უწოდებენ. ხოლო მტკიცებულება, რომელიც უარყოფს პირის მონაწილეობას დანაშაულში ან სხვაგვარად ამსუბუქებენ ბრალდებულის მდგომარეობას – გამამართლებელ მტკიცებულებას უწოდებენ.

მტკიცებულება, რომელიც ამძიმებს პირის პასუხისმგებლობას არ შეიძლება იყოს გამამტყუნებელი მტკიცებულება. იგი კი არ ადასტურებს პირის მონაწილეობას დანაშაულში, არამედ ამძიმებს მის პასუხისმგებლობას. ასეთ მტკიცებულებას შეიძლება ვუწოდოთ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი მტკიცებულება.

ასევე იმ მტკიცებულებაზე, რომელიც ამსუბუქებს ბრალდებულის მდგომარეობას შეიძლება ვუწოდოთ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულება და არა გამამტყუნებელი.

ჩვენი აზრით, უნდა შემოვიტანოთ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი მტკიცებულებების ცნება და ჩამოვაყალიბოთ ისინი, აგრეთვე ახლებური განმარტება მივცეთ გამამართლებელ და გამამტყუნებელ მტკიცებულებებს.

მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს პირის მონაწილეობას დანაშაულში - გამამტყუნებელი მტკიცებულებაა. ხოლო მტკიცებულება, რომელიც უარყოფს პირის მონაწილეობას დანაშაულში - გამამართლებელი მტკიცებულებაა.

მტკიცებულება, რომელიც ამძიმებს პირის პასუხისმგებლობას - პასუხისმგებლობის დამამძიმებელი მტკიცებულებაა. მაგალითად, მტკიცებულება ადასტურებს პირის მონაწილეობას ყაჩაღობაში და არა ძარცვაში. მტკიცებულება, რომელიც ამსუბუქებს პირის პასუხისმგებლობას — შემამსუბუქებელი მტკიცებულებაა.

პიროვნული და ნივთიერი. მტკიცებულებათა დაყოფას პიროვნულად და ნივთიერ მტკიცებულებებად საფუძვლად უდევს მტკიცებულებების გარემოებათა აღქმა და მისი გადმოცემა.

პიროვნულია ისეთი მტკიცებულება, რომელიც წერილობით ფორმდება. მაგალითად, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ოქმი.

ნივთიერი მტკიცებულება არის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებასთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს, ე.ი. ნივთიერია მტკიცებულება, რომელიც გამოსახულია მატერიალური ობიექტის სახით. მაგალითად, ნივთები, საგნები, ფული, ძვირფასეულობა და ა.შ.

8.6. მტკიცებულების შეფასება

ყოველი მტკიცებულება შეეხება და დამოკიდებულებაში იმყოფება სხვა მტკიცებულებებთან, მოწმდება მისი დასაშვებობის საკითხი და ასეთი შემოწმების შემდეგ შეფასდება იგი როგორც უტყუარი ან ყალბი მტკიცებულება.

მტკიცებულებათა შეფასება ეს არის გონებრივი, ლოგიკური საქმიანობა, რომლის მიზანია შეფასდეს მტკიცებულების დამოკიდებულება საქმესთან რელევანტულობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, ერთობლიობაში მტკიცებულებები საკმარისია თუ არა დასკვნისათვის პირის დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის შესახებ.

საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის[24], დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით.

სასამართლო მტკიცებულებას აფასებს შინაგანი რწმენით.

თუ არსებობს ეჭვი მტკიცებულების უტყუარობისა და რელევანტურობის თაობაზე, რომ პირი ვცნოთ დამნაშავედ, ასეთი ეჭვი ყოველთვის უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, რა თქმა უნდა თუ ეჭვი არ შეიძლება გაბათილდეს დამატებით მტკიცებულებათა შეკრებით.

არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ნებისმიერი მტკიცებულება შესაძლებელია გააბათილოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოპოვებულმა მტკიცებულებამ.

იმისათვის, რომ ბრალდებულის მიმართ დადგინდეს გამამტყუნებელი განაჩენი და იგი ვცნოთ დამნაშავედ, საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

გონივრულ ეჭვს მიღმა ნიშნავს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარეს აქვს უფლება მოსთხოვოს ბრალდების მხარეს იმ ინფორმაციის გაცნობა, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც იგი აპირებს. დაცვის მხარის ასე-

[24] რელევანტური ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს არსებითს, ფასეულს, მნიშვნელოვანს.

თი მოთხოვნა დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები.

ბრალდების მხარე დააკმაყოფილებს რა დაცვის მხარის მოთხოვნას ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, ამის შემდეგ უფლებამოსილია დაცვის მხარეს მოსთხოვოს იმ ინფორმაციის გადაცემა, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს.

მხარეები ურთიერთმოთხოვნის საფუძველზე იმ მომენტისათვის არსებულ მტკიცებულებებს ერთმანეთს გადასცემენ სრული მოცულობით. თუ ამ მასალების სრული მოცულობით გადაცემა არ მოხდება, ეს გამოიწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლის თაობაზე დგება ოქმი, რომლის ასლიც ეგზავნება სასამართლოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად.

სასამართლომ განჩინებით შეიძლება შეზღუდოს დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ნაწილში, თუ ამას შუამდგომლობით მოითხოვას ბრალდების მხარე. ასეთი შეზღუდვა შეიძლება გაგრძელდეს წინასასამართლო სხდომამდე. წინასასამართლო სხდომაზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია მიეწოდება დაცვის მხარეს.

წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს და სასამართლოს მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.

მხარეებმა საკუთარი ხარჯით უნდა გადასცენ ერთმანეთს ინფორმაცია დოკუმენტის ასლის სახით, სხვა მასალის შემთხვევაში კი – ცნობის სახით. დასაშვებია ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერებაც, თუ ეს არ იწვევს მის ან მასზე არსებული კვალის დაზიანებას ან განადგურებას.

ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე მხარეები ვალდებული არიან მისცენ ერთმანეთს იმ ინფორმაციისა და მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც ისინი აპირებენ, ასევე გადასცენ წერილობითი მტკიცებულებების ასლები.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ მტკიცებითი სამართლის ცნება;
2) ჩამოაყალიბეთ მტკიცებულების ცნება;
3) რას ადგენს სასამათლო მტკიცებულებათა საფუძველზე?
4) ჩამოაყალიბეთ პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დასაშვები მტკიცებულება;
5) რა შემთხვევაში ჩაითვლება მტკიცებულება დაუშვებლად?
6) რა არის პრეიუდიცია?

7) ჩამოაყალიბეთ ბრალდებულის ჩვენების ცნება;

8) ჩამოაყალიბეთ მოწმის ჩვენების ცნება;

9) ჩამოაყალიბეთ ნივთიერი მტკიცებულების ცნება;

10) ჩამოაყალიბეთ დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალის ცნება;

11) როგორ წყდება ნივთიერი მტკიცებულების ბედი საქმისწარმოების დამთავრებამდე?

12) როგორ წყდება ნივთიერი მტკიცებულების ბედი საქმისწარმოების დამთავრების შემდეგ?

13) თუ ნივთიერი მტკიცებულება არის სატრანსპორტო საშუალება, რა ბედი ეწევა მას?

14) ჩამოაყალიბეთ პირველადი და წარმოებული მტკიცებულებების შინაარსი;

15) ჩამოაყალიბეთ პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი) მტკიცებულებების ცნება;

16) ჩამოაყალიბეთ გამამტყუნებელი და გამამართლებელი მტკიცებულებების ცნება;

17) ჩამოაყალიბეთ პიროვნული და ნივთიერი მტკიცებულებების ცნება;

18) ჩამოაყალიბეთ მტკიცებულებათა შეფასების შინაარსი.

თავი 9. საპროცესო ვადები და ხარჯები. შუამდგომლობა, საჩივარი და მათი განხილვის ზოგადი წესი

9.1. საპროცესო ვადები

სისხლის სამართლის პროცესის სწრაფ საშუალებად გვევლინება საპროცესო ვადები. მისი დადგენა და მკაცრი დაცვა ემსახურება სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივ გარემოებათა სწრაფად გამოკვლევას და პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დროულ რეალიზაციას.

ზოგადად საპროცესო ვადებში მოიაზრება გარკვეული დროის მონაკვეთი, რომელშიც უნდა განხორციელდეს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.

პროფესორი რ. იაკუპოვი საპროცესო ვადებს ყოფს ორ დიდ ჯგუფად:

ა) ვადებად, რომლებიც დადგენილია კანონით და ბ) ვადებად, რომელსაც ადგენს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო.

ა.) ვადები, რომელიც დადგენილია კანონით, საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად, გამოითვლება საათებით, დღე-ღამეებით, თვეებით. მაგალითად, საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის თანახმად, დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. იმავე კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ, ხოლო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არაუმეტეს 9 თვისა...

ბ.) ვადები, რომლებიც განისაზღვრება სისხლის სამართლის პროცესში მწარმოებელი ორგანოს მიერ, დამოკიდებულია თვით ამ ორგანოს შეხედულებაზე. მაგალითად, საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად, გამოძიება მიმდინარეობს გონიერულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა.

საპროცესო ვადები ატარებს პროცესის მონაწილეებისათვის სავალდებულო ხასიათს.

ვადების გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება ის დღე-ღამე და ის საათი, რომლებითაც იწყება ვადის დინება, გარდა დაკავებისა და პატიმრობის ვადებისა, რომლებიც გამოითვლება წუთებით.

საპროცესო ვადაში შედის არასამუშაო დროც, მათ შორის დასვენებისა და უქმე დღეები.

დღე-ღამეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო დღე-ღამის 24 საათზე. თვეებით გამოთვლილი ვადა იწურება ბოლო თვის შესაბამის რიცხვში, ხოლო თუ ბოლო თვეს არა აქვს შესაბამისი რიცხვი – ამ თვის ბოლო დღე-ღამეს.

საჩივარი შუამდგომლობა ან სხვა დოკუმენტი ვადის ამოწურვამდე ნებისმიერი საშუალებით უნდა ჩაბარდეს მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს.

სასამართლოს გადაწყვეტილებით ვადა, გაცდენილად არ ჩაითვლება, თუ იგი გაცდენილია დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორის) გამო[25]. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება დაკავებისა და დაპატრიმრების ვადებზე.

[25] ფორს-მაჟორ-ი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ეითარებას, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია; გადაულახავ დაბრკოლებას.

თუ რა შედეგი მოჰყვება გაცდენილ ვადას, ამაზე მიუთითებს საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ჩატარებული საპროცესო მოქმედება ბათილია, თუ გაცდენილი ვადა არ იქნება აღდგენილი.

გაცდენილი ვადის აღდგენა ხდება სასამართლო წესით მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადა, თუ გაცდენილი ვადის აღდგენა არ ინვევს ბრალდებულის უფლებებისა და გარანტიების არამართლზომიერ შეზღუდვას.

გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობა სასამართლოში მხარის მიერ წერილობით უნდა იქნეს შეტანილი საპატიო მიზეზის აღმოფხვრიდან 1 კვირის განმავლობაში. სასამართლო ამ საკითხს იხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, 10 დღის ვადაში.

მტკიცების ტვირთი ვადის საპატიო მიზეზით გაცდენისა ეკისრება იმ პირს, ვინც გააცდინა საპროცესო ვადა.

სასამართლო მოცემული საკითხის განხილვის შემდეგ იღებს ორიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

1) აღადგენს საპატიო მიზეზით გაცდენილ ვადას;

2) უარს იტყვის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლოდ გადაწყვეტილება გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობის თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

9.2. საპროცესო ხარჯები

საპროცესო ხარჯები არის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ფულადი გასავალი.

საპროცესო კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, საპროცესო ხარჯებია:

ა) ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯები;

ბ) ექსპერტის გამოცხადებისა და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი;

გ) თარჯიმნის გამოცხადებისა და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი;

დ) მოწმის გამოცხადების ხარჯი;

ე) ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯი;

ვ) ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხარჯი;

ზ) დაცვის მხარისათვის ბრალდების მხარის მიერ გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯი;

თ) ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯი;

ი) მტკიცებულებათა მოპოვების ხარჯი.

ექსპერტს ან თარჯიმანს ანაზღაურება არ ეძლევა, თუ საქმიანობისათვის სახელმწიფოს მიერ დანიშნული აქვს ხელფასი.

საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლი ადგენს საპროცესო ხარჯების გადახდევინების წესს.

ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯს აანაზღაურებს უშუალოდ ბრალდებული, ხოლო თუ დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება – სახელმწიფო ბიუჯეტი.

მსჯავრდებულს ეკისრება:

1) მისი ან მისი ადვოკატის მიერ დაზარალებულის, მოწმის, თარჯიმნისა და ექსპერტის მოწვევის ხარჯების ანაზღაურება;

2) წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულების შენახვა და გადაგზავნის ხარჯების ანაზღაურება;

3) მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ხარჯების ანაზღაურება;

4) ბრალდების მხარისაგან მიღებული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯების ანაზღაურება.

სასამართლოს უფლება აქვს, გადახდისუუნარობის შემთხვევაში მსჯავრდებული მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს საპროცესო ხარჯების გადახდისაგან.

რამდენიმე პირის მსჯავრდების დროს საპროცესო ხარჯებს თითოეული მათგანი ნაწილობრივად აანაზღაურებს, რა დროსაც სასამართლო ითვალისწინებს:

1) თითოეული მათგანის ბრალის ხარისხს და 2) თითოეული მათგანისთვის დანიშნული სასჯელის სიმკაცრეს.

თუ გარდაიცვლება მსჯავრდებული ან ბრალდებული, მათი მემკვიდრეები თავისუფლდებიან საპროცესო ხარჯების გადახდისაგან.

პროკურორი გამოძიების სტადიაზე ადგენს ცნობას საპროცესო ხარჯებს შესახებ და წარუდგენს საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეს. საპროცესო ხარჯების ცნობა არ წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც ცვლილების შეტანა შეუძლებელია. მასში ცვლილების შეტანა შესაძლებელია საქმის არსებითი განხილვის პროცესში. თუ საქმის არსებითი განხილვისას შეიცვლება საპროცესო ხარჯები, პროკურორი ვალდებულია შესაბამისი ცვლილებები ასახოს ცნობაში და წარუდგინოს სასამართლოს.

თუ სასამართლო განხილვა გადაიდება პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, ხარჯების ანაზღაურება დაეკისრება აღნიშნულ პირს.

სასამართლო ხარჯების გამოანგარიშების მეთოდიკას ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

თუ პროცესის მონაწილე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება სასამართლოში, მას დაეკისრება ჯარიმა სხდომის თავმჯდომარის მეშვეობით, რაც პროცესის მონაწილეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 100 ლარი, ხოლო მაქსიმალური – 500 ლარი. მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება. ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს შეკავებული ხასიათის, მიყენებული ზიანის პროპორციული და უნდა შეესაბამებოდეს პირის ფინანსურ მდგომარეობას.

თუ პირს მიადგა ზიანი უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად, მას აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

დაბოლოს, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9.3. შუამდგომლობა და მისი განხილვის ზოგადი წესი

შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვთ მხარეებს, როდესაც ეს პირდაპირაა გათვალისწინებული საპროცესო კოდექსით. შუამდგომლობის დაყენება შეიძლება როგორც სასამართლოში, ისე პროკურორთან. ამის ნათელი მაგალითია საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შინაარსი, რომლის შესაბამისად, საქმის სასამართლო განხილვისას მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, სასამართლო სხდომის მდივნის, ადვოკატის ან თარჯიმნის აცილების შუამდგომლობას ამისატვის უფლებამოსილი პირები აყენებენ სასამართლოში. გამოძიებისას გამომძიებლის ან თარჯიმნის აცილების შუამდგომლობას მხარე აყენებს პროკურორთან. გამოძიებისას პროკურორის აცილების შუამდგომლობას ამისათვის უფლებამოსილი პირები აყენებენ მის ზემდგომ პროკურორთან. საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, გამოძიების სტადიაზე, მხარეს უფლება აქვს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საქმის მონაწილეთა ან/და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ პირთა მიმართ განსახილველი საქმის გარკვეული მონაცემების საჯაროდ გავრცელებისაგან დაცვის შესახებ.

ამრიგად, შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვთ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, რა დროსაც უნდა იყოს დაცული შუამდგომლობის დაყენების კანონით დადგენილი წესი.

შუამდგომლობა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი ფორმის. წერილობითი შუამდგომლობა უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო ზეპირი შუამდგომლობა შეტანილ უნდა იქნეს ოქმში.

თუ საქმე განიხილება სასამართლოში, შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს იმავე სასამართლო სხდომაზე. წერილობითი შუამდგომლობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს;

ბ) მასში კონკრეტულად უნდა იყოს გადმოცემული ჯერ მოთხოვნა და შემდეგ მოთხოვნის არგუმენტაცია;

გ) იგი უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ საკითხებთან.

შუამდგომლობის განხილვის დაწყებამდე მის დამყენებელ მხარეს უფლება აქვს გამოითხოვოს იგი.

იმავე შინაარსის შუამდგომლობა, რომელზეც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, იმავე სასამართლოში აღარ განიხილება.

შუამდგომლობის დაყენებისა და გადაწყვეტის სხვადასხვა წესი და ვადებია კანონით დადგენილი. ზოგადი ნორმით, გამოძიების სტადიაზე შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა უნდა იქნეს მისი დაყენების მომენტიდან არაუგვიანეს 3 დღისა, ხოლო სასამართლოში-დაუყოვნებლივ, გარდა ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. ეს მოთხოვნა ზოგადი ხასიათისაა და ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ შუამდგომლობის დაყენებისა და გადაწყვეტის სხვა ვადები არაა დაწესებული საპროცესო კანონის კონკრეტული მუხლებით.

სასამართლო სტადიაზე შუამდგომლობის დაყენება შეიძლება როგორც წინასასამართლო სხდომაზე, ისე საქმის არსებითი განხილვის დროს.

ვნახოთ კანონითუ რა ვადებს ადგენს შუამდგომლობის განხილვა-გადაწყვეტისათვის.

საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად, გამოძიებისას დაყენებული აცილების შუამდგომლობა უნდა გადაწყდეს 24 საათში, ხოლო სასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობა-დაუყოვნებლივ, სათათბირო ოთახში ან ადგილზე თათბირით.

საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას, ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გამჩინებით. მოსამართლე შუამდგომლობისა და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას.

საპროცესო კოდექსის 124[1]-ე მუხლი ადგენს საბანკო ანგარიშის მონიტორინგის ჩატარების შესახებ შუამდგომლობის განხილვის 24 საათიან ვადას.

საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლით დადგენილია, რომ გვამის ექსჰუმაციის ჩატარებაზე ნებართვის გაცემის თაობაზე შუამდგომლობით მხარე მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე იხილავს მას დაყენებიდან 48 საათში.

საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის შესაბამისად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს მომსახურების მომწოდებლისაგან მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაციის გამოთხოვის განჩინების მიღების შუამდგომლობით. მოცემული შუამდგომლობის განხილვა-გადაწყვეტა ხდება 24 საათში.

საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით გასცეს განჩინება ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ, რომელსაც სასამართლო განიხილავს 24 საათის ვადაში.

საპროცესო კოდექსის 138-ე მუხლის შესაბამისად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით, გასცეს განჩინება შინაარსობრივ მონაცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ. შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს 24 საათის ვადაში.

როგორც ჩანს, კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე შუამდგომლობები განიხილება 24 საათის ვადაში.

საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის შესაბამისად, თუ საექსპერტო კვლევის ობიექტი მეორე მხარესთან ინახება და ექსპერტიზის ინიციატორი მხარე ნებაყოფლობით ვერ იღებს მას, იგი უფლებამოსილია საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისათვის გადაცემის შუამდგომლობით მიმართოს სასამართ-

ლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. შუამდგომლობა განხილული უნდა იქნეს არა უგვიანეს 48 საათისა.

საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლის შესაბამისად, თუ ნიმუშების აღება არ ინვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას და პირი უარს აცხადებს ნიმუშის ნებაყოფლობით აღებაზე ან პირს უნარი არა აქვს, გამოხატოს ნება მისგან ნიმუშის აღების შესახებ, ნიმუშის აღება ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. ნიმუშის აღებისას შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 48 საათისა.

საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლის შესაბამისად, იძულებით მიყვანა ხდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. სასამართლო იძულებით მიყვანის თაობაზე შუამდგომლობას განიხილავს 48 საათის ვადაში.

საპროცესო კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობასა და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არა უგვიანეს 48 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას.

საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლი ითვალისწინებს ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენებას, რომლის შესაბამისად, ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელსაც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გამოაქვს განჩინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ. ამ მუხლში მითითებული არ არის რა ვადაში უნდა გადაწყდეს შუამდგომლობა. ასეთ დროს გამოიყენება ზოგადი ნორმა, კერძოდ, საპროცესო კოდექსის, 93-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, გამოძიების სტადიაზე შუამდგომლობა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს მისი დაყენების მომენტიდან არა უგვიანეს 3 დღისა, ხოლო სასამართლოში-დაუყოვნებლივ...

საპროცესო კოდექსის 164-ე მუხლის შესაბამისად, ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელსაც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გამოაქვს განჩინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ. ამ მუხლშიც არ არის მითითებული თუ რა ვადაში წყდება შუამდგომლობა და შესაბამისად, ამ დროს გამოიყენება ზოგადი ნორმით დაგენილი შუამდგოლობის გადაწყვეტის წესი (სსსკ-ის 93-ე მუხლი).

საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის შესაბამისად, ...გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე. ამ მუხლშიც არ არის მითითებული თუ რა ვადაში წყდება შუამდგომლობა და შესაბამისად, ამ დროს გამოიყენება ზოგადი ნორმით დაგენილი შუამდგოლობის გადაწყვეტის წესი (სსსკ-ის 93-ე მუხლი).

საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, როდესაც არსებობს ამ კოდექსით დადგენილი საფუძველი, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო მხარის შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობა უნდა გადაწყდეს დაუყოვნებლივ (სსსკ-ის 93-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა მაგისტრატი მოსამართლე ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით იხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობას მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა.

საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა წარდგენიდან 15 დღის ვადაში გამოტანილი უნდა იყოს განაჩენი. ამ მუხლიდან ირკვევა, რომ შუამდგომლობის განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს 15 დღის ვადაში.

საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლის შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა აცილებისა და თვითაცილების შესახებ შუამდგომლობა გადაწყდება დაუყოვნებლივ.

როგორც ვხედავთ, შუამდგომლობის შეტანისა და მისი განხილვა-გადაწყვეტის სხვადასხვა ვადებია დაწესებული საპროცესო კანონმდებლობით.

თუ სასამართლოში საქმე განიხილება სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას შუამდგომლობის დასაყენებლად და დასასაბუთებლად.

თუ სასამართლო განხილვისას დაყენებულია შუამდგომლობა, პოზიციის გამოსახატავად სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

დაყენებული შუამდგომლობის გადაწყვეტის წესს აწესრიგებს საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლი. შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს თუ მასში გადმოცემული მოთხოვნის შესრულება ხელს უწყობს სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების შესრულებას. შუამდგომლობის დაკმაყოფილების უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს, თუ იგი მიმართულია:

1) სისხლის სამართლის პროცესის გაჭიანურებისაკენ;

2) სისხლის სამართლის პროცესის ხელის შეშლისაკენ.

შუამდგომლობის ავტორი მას ზეპირად ასაბუთებს.

თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობს პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე მისი ადვოკატი, მათაც ეძლევათ შესაძლებლობა, მისცენ განმარტებანი და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებანი.

შუამდგომლობის განხილვის შედეგად უფლებამოსილი პირი იღებს სამიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) მისი დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) მისი ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;

გ) მისი უარყოფის შესახებ.

შუამდგომლობის განხილვის შედეგების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მის ავტორს. თუ შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა მის დაკმაყოფილებაზე, მას კანონით დადგენილი წესით გადაეცემა გადაწყვეტილების ასლი.

შუამდგომლობის დაყენებისას, მისი დამყენებელი მხარე სასამართლოს წარუდგენს სისხლის სამართლის საქმის იმ მასალების ასლებს, რომელიც აუცილებელია მისი განხილვისათვის.

ამრიგად, შუამდგომლობა არის პროცესუალური დოკუმენტი ან ზეპირი ფორმით სასამართლოს წინაშე დაყენებული მოთხოვნა საპროცესო მოქმედების ჩატარების თაობაზე, რომელიც უნდა გადაწყდეს კანონით დადგენილი წესით.

9.4. საჩივარი და მისი განხილვის ზოგადი წესი

გადაწყვეტილების გასაჩივრება ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა. საჩივარი არის პროცესის მონაწილის მიერ წერილობითი სახით შეტანილი დოკუმენტი შესაბამის ორგანოში ან თანამდებობის პირთან სასამართლოს, პროკურორის ან გამომძიებლის ქმედებაზე ან გადაწყვეტილებაზე.

საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეს უფლება აქვს, საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ქმედება ან გადაწყვეტილება.

თუ საჩივრდება სასამართლოს ქმედება ან გადაწყვეტილება, საჩივარი შეიტანება გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოში.

საჩივარი უნდა იყოს წერილობითი და დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს.

საჩივარი შეაქვთ იმდენ ეგზემპლარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საჩივრის განხილვაში მონაწილეთათვის მისი გადაცემა.

საჩივრის შეტანა შეიძლება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ე.ი. საჩივრის შეტანა შეიძლება როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის სტადიაზე.

საჩივრის შეტანის სხვადასხვა ვადებია დაწესებული სისხლის სამართლის პროცესში. ზოგადი ნორმით, საჩივრის შეტანა შეიძლება 10 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც მომჩივანისათვის ცნობილი გახდა იმ ქმედებების ან გადაწყვეტილების თაობაზე, რომელსაც იგი უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს, რა თქმა უნდა თუ საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საპროცესო კოდექსის 66-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გამომძიებლის აცილების შუამდგომლობა, შეიძლება ერთჯერადად, 1 კვირის ვადაში გასაჩივრდეს საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის ზემდგომ პროკურორთან.

გამოძიების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება გასაჩივრდეს პროკურორის დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. გასაჩივრების სუბიექტია მხოლოდ დაზარალებული. საჩივარი შეიტანება ზემდგომ პროკურორთან ერთჯერადად, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შემდგომი გასაჩივრება დაუშვებელია.

მაგალითად, ქ. თბილისის პროკურატურის პროკურორმა გამოიტანა დადგენილება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. მისი გასაჩივრება შეიძლება ქ. თბილისის პროკურორთან, ხოლო ამ უკანასკნელის მიღებული გადაწყვეტილება საჩივარზე, აღარ გასაჩივრდება.

სასამართლო სტადიაზე განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გაასაჩივროს პროკურორმა. ასეთ შემთხვევაში საჩივარს განიხილავს ზემდგომი სასამართლო და მირებული გადაწყვეტილების შემდგომი გასაჩივრება დაუშვებელია.

გამიძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების სპეციალური ვადები არაა დაწესებული და ამიტომ საჩივარი შეიტანება ზოგადი ნორმით დადგენილ ვადაში-ე.ი. 10 დღის ვადაში.

გამიძიების პროცესში გადაუდებელი აუცილებლობის დროს შეიძლება სასამართლო განჩინების გარეშე ჩატარდეს საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ასეთ შემთხვევაში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ ეცნობება სასამართლოს, რომელიც ირებს გადაწყვეტილებას ან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის, ან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, მისი გამოტანიდან 48 საათში.

აქ, გადაწყვეტილების სპეციალური ვადებია დაწესებული-48 საათი.

გამოძიების პროცესში ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 48 საათის ვადაში.

გასაჩივრების 48 საათიანი ვადაა დაწესებულიბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების ან გადაყენებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო განჩინებაზე, აგრეთვე ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების ან შეჩერებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე.

საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, პროკურორს უფლება აქვს, ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში, ამ კოდექსით დადგენილი წესით შეიტანოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივარი ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში... მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება გადაწყვეტილების გასაჩივრების 10 დღიანი ვადა. საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება (განჩინება) შეიძლება გასაჩივრდეს 72 საათის ვადაში.

საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლში საუბარია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრებაზე. დასახელებული განჩინების გასაჩივრება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. გასაჩივრების სუბიექტები შეიძლება იყვნენ პროკურორი, ბრალდებული ან/და მისი ადვოკატი.

გასაჩივრების სხვა ვადებზეა საუბარი საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლში, რომლის შესაბამისად მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე 15 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. ეს მუხლი ასევე აწესებს 15 დღიან ვადას ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი მსჯავრდებულმა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე. ამავე მუხლში საუბარია აგრეთვე პროკურორის უფლებაზე 1 თვის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გაუქმების თაობაზე, თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა.

საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის შესაბამისად, თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იზლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, წინა-

სასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. განჩინება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

საპროცესო კოდექსის 302-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

როგორც ვხედავთ, საჩივრის შეტანის სხვადასხვა ვადებია დაწესებული საპროცესო კანონმდებლობით.

ამრიგად, საჩივარი ეს არის სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ქმედებაზე ან გადაწყვეტილებაზე წერილობითი ფორმით შეტანილი საპროტესტო ხასიათის დოკუმენტი.

საჩივარში უნდა აღინიშნოს რა მოთხოვნები იქნა დარღვეული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რით გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა. საჩივარს უნდა დაერთოს მასში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მასალები, მათ შორის, იმ ახალი გარემოებებისა, რომლებიც არ იყო ცნობილი გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას.

საჩივრის გადაწყვეტამდე მის შემტან მხარეს უფლება აქვს, გამოითხოვოს იგი.

საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს პირდაპირაა გათვალისწინებული საპროცესო კოდექსით, ე.ი. საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას. სხვა შემთხვევაში საჩივრის შეტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას აჩერებს, თუ ამას მხარის შუამდგომლობით საჭიროდ მიიჩნევს საჩივრის განმხილველი ორგანო ან პირი.

საჩივარი არ შეიძლება განიხილოს იმ პირმა, რომლის მოქმედება ან გადაწყვეტილებაც საჩივრდება.

საჩივრის განმხილველი ორგანო ან პირი ვალდებულია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა და სხვა პირთა დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღსადგენად.

საჩივარი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე ორგანოსათვის ან პირისათვის საჩივრის გადაცემიდან 3 დღეში, თუ საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საჩივრის განხილვის შედეგად შეიძლება მიღებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის გაუქმების ან შეცვლის შესახებ;

ბ) საჩივრის უარყოფის შესახებ.

სისხლის სამართლის საქმეს უნდა დაერთოს საჩივარი და მიღებული გადაწყვეტილება.

საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მომჩივანს. თუ მომჩივანს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, მას კანონით დადგენილი წესით გადაეცემა გადაწყვეტილების ასლი.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ საპროცესო ვადების ცნება;
2) როგორ ხდება გაცდენილი ვადის აღდგენა?
3) ჩამოაყალიბეთ საპროცესო ხარჯების არსი;
4) ჩამოაყალიბეთ საპროცესო ხარჯების გადახდევინების წესი;
5) ჩამოაყალიბეთ შუამდგომლობის ცნება;
6) რა ფორმისა და შინაარსისაა შუამდგომლობა?
7) ჩამოაყალიბეთ შუამდგომლობის განხილვის წესი;
8) რა გადაწყვეტილება მიიღება შუამდგომლობის განხილვის შემდეგ?
9) რა ფორმისა და შინაარსისაა საჩივარი?
10) რა ვადებში შეიტანება საჩივარი?
11) რა გადაწყვეტილება მიიღება საჩივრის განხილვის შემდეგ?

სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის ტესტები

1.სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს:

ა. დანაშაულის აღკვეთის, სისხლის სამართლებრივი დევნის და წინასწარი გამოძიების განხორციელების წესებს;

ბ. დანაშაულის აღკვეთის, სისხლის სამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს

გ. დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს; (მუხლი 1)

დ. დანაშაულის აღკვეთის, გამოძიებისა და სისხლის სამართლერივი დევნის წესებს.

2.შეიძლება თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამოყენებული იქნეს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე?

ა. შეიძლება, რადგან ამას ჩვენი მიმდინარე კანონმდებლობა ითვალისწინებს;

ბ. შეიძლება, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად; (მუხლი 2, ნაწ.6)

გ. არ შეიძლება, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე (ტერიტორიულობის პრინციპი)

დ. არ შეიძლება, რადგან დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად სისხლის სამართლის პროცესი საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.ჯ. ფრუიძე არის საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს საფრანგეთში ცოლ-შვილთან ერთად და სარგებლობს დიპლომატიური იმუნიტეტით. მისმა ცოლმა, რომელიც ასევე საქართველოს მოქალაქეა გააყალბა საბუთი, რომლის მეშვეობითაც იგი მიღებული იქნა ქ. მარსელში მდებარე ფრანგულ კომპანია „მიშელი“ —ს მენეჯერად. გარკვეული დროის შემდეგ გაირკვა საბუთის სიყალბე და ადგილობრივ პოლიციაში დაიწყო გამოძიება. როდესაც გამოძიებამ ეჭვი მიიტანა ფრუიძის ცოლზე, ცოლი არ დაეთანხმა ფრანგული სისხლის სამართლის საპროცესო კანონის გამოყენებას და მოითხოვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციის ქვეშ დაქვემდებარება. ჰქონდა თუ არა ამის უფლება ფრუიძის ცოლს?

ა. არ ჰქონდა, რადგან იგი იმყოფება საფრანგეთის ტერიტორიაზე, სადაც მოქმედებს საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

ბ. არ ჰქონდა რადგან ის არ სარგებლობს დიპლომატიური იმუნიტეტით;

გ. ჰქონდა რადგან დიპლომატიური იმუნიტეტით მოსარგებლე საქართველოს მოქალაქის ცოლია და თავადაც საქართველოს მოქალაქეა;

დ. ჰქონდა, რადგან საქართველოს მოქალაქე, რომელიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობს, აგრეთვე საზღვარგარეთ მყოფი მისი ოჯახის

ნევრები თუ ნებაყოფლობით არ დათანხმდებიან ადგილსამყოფელი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის გამოყენებას, ექვემდებარებიან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას. (მუხლი 2, ნაწ.7)

4.სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად მხარეს წარმოადგენს:

ა. ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი;

ბ. ბრალდებული, მსჯავრდებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი;

გ. ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი; (მუხლი 3. ნაწ.5)

დ. ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი.

5.სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად დაცვის მხარეს წარმოადგენს:

ა. ეჭვმიტანილი, განსასჯელი, მსჯავრდებული, სამოქალაქო მოპასუხე, მათი ადვოკატი;

ბ. ეჭვმიტანილი, ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი. მუხლი 3, ნაწ.7)

გ. ბრალდებული, მსჯავრდებული, მათი ადვოკატი;

დ. ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი;

6.სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ბრალდების მხარეა;

ა. გამომძიებელი, პროკურორი, დაზარალებული;

ბ. პროკურორი

გ. გამომძიებელი, პროკურორი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე;

დ. გამომძიებელი, პროკურორი.(მუხლი 3, ნაწ.6)

7.სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით (ტერმინთა განმარტება) ადვოკატი არის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს:

ა. ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ინტერესებს და უწევს იურიდიულ დახმარებას; (მუხლი 3, ნაწ.9)

ბ. ბრალდებულის, მსჯავრდებულის ინტერესებს და უწევს იურიდიულ დამხარებას;

გ. ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ინტერესებს და უწევს იურიდიულ დახმარებას;

დ. ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებული, რეაბილიტირებულის ინტერესებს და უწევს იურიდიულ დახმარებას.

8. ქ. ქუთაისის სასამართლომ ბრალდებულ ბუაძეს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე იხელმძღვანელა „დასაბუთებული ვარაუდით“ - ინფორმაციის ერთობლიობით, რომელიც ბრალდების მხარის მიერ იყო წარდგენილი და რომელიც სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს რათა დაესკვნა ბუაძეს მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა და ბრალდებული დააპატიმრა 2 თვით. სწორად იხელმძღვანელა თუ არა მოსამართლემ?

ა. სწორად იხელმძღვანელა, რადგან ბუაძის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ დასკვნა საკმარისია მისი დაპატიმრებისათვის;

ბ. სწორად იხელმძღვანელა, რადგან „დასაბუთებული ვარაუდი“ არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებათა სტანდარტი; (მუხლი 3, ნაწ. 11)

გ. არასწორად იხელმძღვანელა, რადგან „დასაბუთებული ვარაუდი“ არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის განსაზღვრული მტკიცებულებათა სტანდარტი;

დ. არასწორად იხელმძღვანელა, რადგან „დასაბუთებული ვარაუდი“ არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული პირის მიმართ ბრალდების წაყენების სტანდარტი.

9.ბრალდებულ ჯამასპიშვილის მიმართ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეზე პროკურორმა შეადგინა საბრალდებო დასკვნა და საქმე წარმართა სასამართლოში. წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებებით (ალბათობის მაღალი ხარისხით) და მიიჩნია, რომ ჯამასპიშვილის მიმართ წარმოდგენილი იყო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დამაკმაყოფილებელი იყო სხდომის მოსამართლისათვის, რათა ვარაუდის მაღალი ხარისხით იქნეს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რის გამოც საქმეზე არსებითი განხილვისთვის გაგრძელდა წარმოება. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. არ მოიქცა სწორად, რადგან „ალბათობის მაღალი ხარისხი“ ბრალდების წაყენების სტანდარტს წარმოადგენს და არა წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რაც დააკმაყოფილებდა მოსამართლეს ვარაუდის მაღალი ხარისხით გამოეტანა გამამტყუნებელი განაჩენი;

ბ. არ მოიქცა სწორად, რადგან წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობამ არ შეიძლება დააკმაყოფილოს სხდომის მოსამართლე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის;

გ. არ მოიქცა სწორად, რადგან წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა უნდა იყოს რომ

სხდომის მოსამართლისათვის დამაკმაყოფილებელი იყოს, რათა ვარაუდის მაღალი ხარისხით იქნეს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი;

დ. სწორად მოიქცა, რადგან „ალბათობის მაღალი ხარიხი“ არის წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დამაკმაყოფილებელია სხდომის მოსამართლისათვის, რათა ვარაუდის მაღალი ხარიხით იქნეს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. (მუხლი 3, ნაწ.12)

10.დასაბუთებული ვარაუდი არის:

ა. ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებათა სტანდარტი. (მუხლი 3, ნაწ. 11)

ბ. წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დამაკმაყოფილე¬ბელია სხდომის მოსამართლისათვის, რათა ვარაუდის მაღალი ხარისხით იქნეს გამოტანილი გამამტყუ¬ნებელი განაჩენი.

გ. მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია იმ ვარაუდისათვის, რომ განისაზღვროს პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.

დ. სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

11. დევიძის მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამრთლებელი განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა მისი მთლიანად გაუქმების მიზნით, იმ მოტივით რომ საქმეზე იყო საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა დევიძის ბრალეულობაში. საკასაციო სასამართლომ განიხილა პროკურორის საჩივარი და უარი უთხრა მის დაკმაყოფილებაზე, რისთვისაც გამოიტანა შესაბამისი განჩინება. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. დიახ სწორად მოიქცა რადგან საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება;

ბ. დიახ სწორად მოიქცა რადგან საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება ან დადგენილება.

გ. არ მოიქცა სწორად რადგან საკასაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა "გონივრულ ეჭვს მიღმა" სტანდარტით, დაეკმაყოფილებინა პროკურორის საჩივარი და გამოეტანა განჩინება საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების შესახებ.

დ. არ მოიქცა სწორად, რადგან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს განაჩენით, ხოლო განჩინება კი განაჩენის და განკარგულების გარდა ნებისმიერ საკითხზე. (მუხლი 3, ნაწ. 14)

12.სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის მიერ წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე შეტყობინება უნდა წარედგინოს სასამართლოს:

ა. პირველი შესაძლებელობისთანავე.

ბ. დაუყონებლივ.

გ. ნერილობით პირველი შესაძლებლობისთანავე.

დ. პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ პროცესის დაწყებამდე არა უგვიანეს 48 საათისა. (მუხლი 3, ნაწ. 18)

13.ამ მსჯელობებიდან რომელია სწორი:

ა. სისხლის სამართლის პროცესის დროს იძულების გამოყენება დაუშვებელია.

ბ. სისხლის სამართლის პროცესის დროს იძულება დაშვებულია თუ ამით დგინდება, რომ პირის კანონიერ ინტერესს ნაკლები საფრთხე ადგება საჯარო ინტერესთან შედარებით.

გ. სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში იძულება შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. (მუხლი 4. ნაწ.3)

დ. სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში იძულება შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამით არ ზიანდება იძულების ქვეშ მყოფი პირის კანონიერი ინტერესები.

14.ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი

ა. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

ბ. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ უტყუარ და კანონიერ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

გ. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. (მუხლი 13. ნაწ. 2)

დ. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობას.

15.დაასრულეთ ეს მსჯელობა

არავინ არ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს:

ა. საკუთარი თავისა და ახლობლის წინააღმდეგ.

ბ. საკუთარი თავის, ახლობლის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება ამ კოდექსით.

გ. საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება ამ კოდექსით. (მუხლი 15)

დ. საკუთარი თავის წინააღმდეგ.

16. სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა ისარგებლა რა დისკრეციული უფლებამოსილებით იხელმძრვანელა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. სწორად იხელმძღვანელა თუ არა პროკურორმა?

ა. დიახ, რადგან იგი სახელმწიფო ბრალმდებელია.

ბ. დიახ, რადგან სახელმწიფოს ინტერესია გამოავლინოს დამნაშავე და აღკვეთოს დანაშაული, რისთვისაც საჭიროა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება.

გ. არა, რადგან უნდა ეხელმძღვანელა საჯარო ინტერესით.(მუხლი 16)

დ. არა, რადგან უნდა ეხელმძღვანელა ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებების პრინციპებით.

17.გამომძიებელმა კობალაძემ შეადგინა შოთაძის მიმართ ბრალდება ძარცვის კვალიფიკაციით. დაადასტურა ხელმოწერით და გამოცხადდა დაკავებულ შოთაძესთან მისი წაყენების მიზნით. შოთაძემ უარი განაცხადა ბრალდების აღიარებაზე და მის გაცნობაზეც, იმ მოტივით რომ ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. სწორად მოიქცა თუ არა გამომძიებელი კობალაძე?

ა. დიახ, რადგან პირის ბრალდება მისი უფლებამოსილებაა.

ბ. დიახ, რადგან პირის ბრალდება, როგორც პროკურორის ასევე გამომძიებელის უფლებამოსილებაც არის.

გ. არა, რადგან პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. (მუხლი 17, ნაწ.2)

დ. არა, რადგან გამომძიებელის მიერ შედგენილი ბრალდება გაცნობის მიზნით პროკურორს უნდა წარედგინა შოთაძესთვის.

18.ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი:

ა. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

ბ. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი სამართალდამცავი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

გ. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია ცნოს დამნაშავედ ან შეიწყალოს პირი, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე და გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

დ. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. (მუხლი 19, ნაწ.1)

19. ამ დებულებებიდან რომელია არასწორი - რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენციაა:

ა. ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა.

ბ. ადამიანის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისა და იძულებით ღონისძიებასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინების გამოტანა.

გ. კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროცესის მწარმოებელი ორგანოს უკანონო ქმედების გამო საჩივრის გადაწყვეტა.

დ. საქმის არსებითი განხილვა და შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანა. (მუხლი 20, ნაწ.2)

20.მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების გამო საჩივარს ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში განიხილავს:

ა. საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია.

ბ. საქალაქო სასამართლოს სააპელაციო პალატა.

გ. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია. (მუხლი 20, ნაწ.3)

დ. საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატა

21. გოგიტიძემ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის მიზნით, რომლის მოტივაცია იყო ახლად გამოვლენილი გარემოება საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატას. კანონშესაბამისია თუ არა გოგიტიძის მოქმედება?

ა. არა. რადგან უნდა მიემართა პროკურატურისათვის, რომლის დასკვნის შემდგომ გადაწყდებოდა იყო თუ არა საკასაციო პალატის მიერ საჩივრის განხილვის საფუძველი.

ბ. არა, რადგან უნდა მიემართა სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატისათვის, რომელიც კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივარს. (მუხლი 20, ნაწ.6)

გ. დიახ, რადგან უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილებების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივარს

დ. დიახ, რადგან უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივრებს.

22. წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 7 დღისა დაცვის მხარემ სასამართლოს და ბრალდების მხარეს მიაწოდა იმ მომენტისათვის მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად წარდგენასაც სასამართლოში აპირებდა, ამავდროულად გამოიყენა დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლება და არ წარადგინა რამდენიმე ისეთი მტკიცებულება, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი დაცვის უზრუნველსაყოფად. სხდომის თავმჯდომარემ დაცვის მხარეს განკარგულებით დააკისრა ჯარიმა და საპროცესო ხარჯების ანაზღაურება. სწორად მოიქცა თუ არა წინასასამართლო სხდომის მოსამართლე?

ა. დიახ, რადგან დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლება საპროცესო კანონმდებლობითაა გარანტირებული;

ბ. არა, რადგან დაცვის მხარეს არ შეეძლო ეს გაეკეთებინა წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 7 დღისა;

გ. არა, რადგან წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს შეეძლო წერილობით განემარტა დაცვისათვის, რომ დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლებით შეეძლო ესარგებლა მხოლოდ ერთი ისეთი მტკიცებულების წარუდგენლობით, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი დაცვის უზრუნველსაყოფად და გაეფრთხილებინა, რომ ამ შეცდომის გამოსწორება მას შეეძლო წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა; (მუხლი 83, ნაწ. 6)

დ. არა, რადგან წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს ამ საკითხებზე უნდა ემსჯელა და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება დაუშვებლად უნდა ეცნო.

23. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ერთ ერთმა მოსამართლემ მის მიერ განსახილველი საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო დაადგინა საქმის კოლეგიური განხილვა და დაიწყო მისი თავმჯდომარეობითა და ორი მოსამართლის შემადგენლობით. ჰქონდა თუ არა მოსამართლეს ეს უფლება გამოეყენებინა?

ა. ჰქონდა, რადგან ის მოსამართლეა;

ბ. ჰქონდა, რადგან თუ სასამართლოში მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობაა კოლეგიური შემადგენლობით საქმის განხილვისათვის, საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუ საქმის განხილვას და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; (მუხლი 22, ნაწ.2)

გ. არ ჰქონდა, რადგან ის მაგისტრატი მოსამართლეა;

დ. არ ჰქონდა, რადგან ამის უფლება სასამართლო სხდომის თავმჯდომარის კომპეტენციაა.

24. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას იკითხებოდა მოწმე, რომელიც ბრალდების მხარის მიერ იყო გამოძახებული. მას შემდეგ რაც იგი დაკითხა ბრალდების და დაცვის მხარემაც საქმის განმხილველმა მოსამართლემ მოწმეს მხარეებთან შეთანხმებით დაუსვა დამაზუსტებელი შეკითხვა. კანონშესაბამისია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. არა რადგან სასამართლოს ეკრძალება ბრალდების ან დაცვის მხარის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდელად გამოკვლევა;

ბ. არა, რადგან პროცესი შეჯიბრებითია და შეკითხვების დასმის უფლება მხოლოდ მხარეებს გააჩნიათ;

გ. დიახ, რადგან მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად; (მუხლი 25, ნაწ 2)

დ. დიახ, რადგან მოსამართლეს ყოველთვის აქვს უფლება პროცესის მონაწილეს დაუსვას შეკითხვები მას შემდეგ, რაც მას მხარეები დაკითხავენ.

25. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევებში დასვას დამაზუსტებელი კითხვა თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად;

ბ. მოსამართლე უფლებამოსილია დასვას დამაზუსთებელი კითხვა, მას შემდგეგ რაც მხარეები დაასრულებენ კითხვებს;

გ. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევებში დასვას დამაზუსტებელი კითხვა თუ ამას არ აპროტესტებს მხარე;

დ. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევებში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად. (მუხლი 25, ნაწ. 2)

26. დაასრულეთ მსჯელობა:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემადგენლობაში არ უნდა იყოს

ა. ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები — მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები — განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე; (მუხლი 27, ნაწ. 2)

ბ. რვაზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები — მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, თორმეტზე ნაკლები — განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე;

გ. ათზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, თორმეტზე ნაკლები — მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, თოთხმეტზე ნაკლები — განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე;

დ. თორმეტ მსაჯულზე ნაკლები ყველა კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

27. მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ:

ა. წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე;

ბ. წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა; (მუხლი 83, ნაწ. 6)

გ. არა უგვიანეს 5 დღისა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვამდე;

დ. 5 დღით ადრე სასამართლოში საქმის არსებითი განხილვამდე.

28.ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

ა. პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში თუ საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულია, როგორც 18 წელს გადაცილებული პირი;

ბ. პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში თუ ცხოვრობს ტერიტორიაზე რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი.

გ. პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში თუ ბოლო 2 წლის განმავლობაში ცხოვრობს საქართველოში. (მუხლი 29)

დ. იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა.

29. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

ა. პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში თუ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეყვანილია ამომრჩეველთა ერთიან სიაში.

ბ. პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში თუ შეზღუდული არა აქვს ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს არ შეუშლის მის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას.

გ. პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში თუ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა.

დ. პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში თუ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შეყვანილი ნაფიც მსაჯულთა ერთიან სიაში. (მუხლი 29)

30.დაცვის მხარემ ისარგებლა საგამონაკლისო უფლებით და წარადგინა ერთი ისეთი მტკიცებულება, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი დაცვის უზრუნველსაყოფად. რომელ სასამართლოს შეუძლია ამ ტკიცებულების დაუშვებლად ცნობა?

ა. სასამართლოს არ შეუძლია ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა; (მუხლი 83, ნაწ. 3)

ბ. საქმის არსებიად განმხილველ სასამართლოს;

გ. წინასასამართლო სხდომის სასამართლოს;

დ. წინასასამართლო სხდომის სასამართლოს ან საქმის არსებიად განმხილველ სასამართლოს;

31. პროკურორი უფლებამოსილი არ არის:

ა. მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით;

ბ. გააუქმოს გამომძიებელის ან ქვემდგომი პროკურორის დადგენილება;

გ. პირი ცნოს დაზარალებულად და განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობანი;

დ. გამოიტანოს დადგენილება პირის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ. (მუხლი 33, ნაწ.6)

32. რომელი მსჯელობაა არასწორი?

ა. ექსპერტს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი მოვალეობები;

ბ. ექსპერტად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა, მუშაობს საექსპერტო დაწესებულებაში ან აქვს ლიცენზია; (მუხლები 51 და 52)

გ. დაუშვებელია მოწმის სანდოობის შესახებ ექსპერტიზის ჩატარება;

დ. ექსპერტი ვალდებულია დაიცვას და საექსპერტო კვლევის შემდეგ ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს დაუბრუნოს კვლევის ობიექტი თუ საექსპერტო კვლევისას ეს ობიექტი სრულად არ გახარჯულა.

33. გამოძიებისას გამომძიებლის ან თარჯიმნის აცილების შუამდგომლობას მხარე აყენებს:

ა. პროკურორთან; (მუხლი 63, ნაწ. 4)

ბ. ზემდგომ პროკურორთან;

გ. მოსამართლესთან;

დ. გამომძიებელთან.

34. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით მტკიცებულება არის;

ა. გამომძიებელის მიერ მოპოვებული ინფორმაცია;

ბ. დაცვის მხარის მიერ მოპოვებული ინფორმაცია;

გ. კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია; (მუხლი 3, ნაწ. 23)

დ. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მხარეებს გააჩნიათ.

35. რომელი მსჯელობაა სწორი?

ა. ბრალდებულის აღიარებას გააჩნია უპირატესი ძალა მოწმის ჩვენებასთან მიმართებით;

ბ. ნივთიერი მტკიცებულება ყოველთვის უპირატესი ძალის მქონეა მოწმის ჩვენებასთან მიმართებით;

გ. მოწმის ჩვენებას გააჩნია უპირატესი ძალა სასამართლოს განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებასთან მიმართებით;

დ. მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. (მუხლი 13)

36. მოწმის ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს თუ:

ა. მოწმე არასრულწლოვანია;

ბ. მოწმე 70 წლის ასაკს გადაცილებულია;

გ. მოწმე ვერ უთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს; (მუხლი 75, ნაწ. 1)

დ. მოწმე უარს განაცხადებს ფიცის დადებაზე.

37. მოქ. ა. ზოიძე გამოძახებული იქნა ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოში ე. კვანჭიანის ბრალდების განხილვის გამო (სსკ 109 მუხლი). მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე გაირკვა რომ მოქ. ა. ზოიძე პროფესიით ფსიქიატრია. შესაბამისად იგი შეუთავსებლობის გამო არ იქნა დაშვებული ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისათვის. შეეძლო თუ არა ა. ზოიძეს ყოფილიყო ნაფიცი მსაჯული ე. კვანჭიანის ბრალდების სასამართლო განხილვაზე?

ა. შეეძლო, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით შეუთავსებლობის საფუძველი არა ფსიქიატრობა, არამედ ფსიქოლოგობაა;

ბ. შეეძლო, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით სასამართლოში ნაფიცი მსაჯულად მონაწილეობა ყველა ადამიანის სამოქალაქო მოვალეობაა;

გ. არ შეეძლო, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით თუ პირი ფსიქიატრია იგი ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად; (მუხლი 30)

დ.არ შეეძლო რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით იგი არ ახორციელებს ფსიქიატრიულ მომსახურებას.

38. მოქ. გ. მიქაუტაძე გამოძახებული იქნა ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოში დ. ტურაშვილის ბრალდების განხილვის გამო (სსკ 109 მუხლი). მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე გაირკვა რომ გ. მიქაუტაძე ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელ დადებული პირია. შესაბამისად იგი შეუთავსებლობის გამო არ იქნა დაშვებული ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებისათვის. შეეძლო თუ არა გ. მიქაუტაძეს ყოფილიყო ნაფიცი მსაჯული ე. კვანჭიანის ბრალდების სასამართლო განხილვაზე?

ა. შეეძლო, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის შეუთავსებლობის საფუძველი არ არის პირი იყოს ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მომხარებისათვის ადმინისტრაციულ-სახდელდადებული;

ბ. შეეძლო რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის შეუთავსებლობის საფუძველია თუ პირი ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ-სახდელდადებულია;

გ. არ შეეძლო, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის შეუთავსებოლობის ერთ-ერთი

საფუძველია, თუ პირი ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ-სახდელდადებულია; (მუხლი 30)

დ. არ შეეძლო რადგან ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელად პატიმრობაშეფარდებულია.

39. ამ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

პირს უფლება აქვს უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე:

ა. თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული;

ბ. თუ ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს;

გ. თუ ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ;

დ. თუ მისი ასაკი აშკარად შეუშლის ხელს მისი მოვალეობის შესრულებას სისხლის სამართლის პროცესში. (მუხლი 31)

40. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი მსჯელობაა არასწორი?

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად მოწმედ დაკითხვის ვალდებულება არ ეკისრება:

ა. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში;

ბ. დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელს — იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; (მუხლი 51)

გ. სახალხო დამცველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს — იმ ფაქტის გამო, რომელიც გაანდეს როგორც სახალხო დამცველს;

დ. არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ პირს არ ეკისრება მოწმედ დაკითხვის ვალდებულება.

41. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია არასწორი?

მოწმედ დაკითხვისა და საქმისადმი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების, ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება:

ა. ადვოკატს იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით

ბ. ჟურნალისტს პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით

გ. ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლს მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში

დ. პედაგოგს პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. (მუხლი 51)

42. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ბრალმდებელს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე

ბ. მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე მხარეები თანაბრად არიან ვალდებულები ამტკიცონ თავიანთი პოზიციები. მტკიცების ტვირთი აკისრია როგორც ბრალდების ისე დაცვის მხარეს. ბრალმდებელს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე.

გ. სამართლიანი სასამართლოს პრინციპის შესაბამისად დაცვის მხარე ვალდებულია ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ხოლო ბრალდების მხარემ კი საწინააღმდეგო. ბრალდების მხარეს უფლება არა აქვს უარი თქვას ბრალდებაზე

დ. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. (მუხლი 5, ნაწ. 2)

43. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ან/და აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას გამოიყენება მტკიცების შემდეგი სტანდარტი:

ა. დასაბუთებული ვარაუდი; (მუხლი 3, ნაწ.11)

ბ. ალბათობის მაღალი ხარისხი;

გ. გონივრულ ეჭვს მიღმა;

დ. უტყუარი მონაცემები.

44. ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას არის:

ა. დაუშვებელი მტკიცებულება;

ბ. ასეთ განმარტებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს;

გ. სასამართლოს მეგობრის მიერ წერილობით მიცემული განმარტება;

დ. ირიბი ჩვენება. (მუხლი 76, ნაწ. 1)

45. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განასხვავებს "ინფორმაციასა" და "მტკიცებულების" ცნებებს. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს მტკიცებულებას?

ა. დაცვის მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულება; (მუხლი 3, ნაწ. 23)

ბ. პროკურორის მიერ გაკეთებული შიდა სამსახურებრივი სქემა/ნახაზი, რომელიც გამოძიების ვერსიებს უარყოფს ან ადასტურებს;

გ. დაცვის მხარის მიერ სავარაუდო მოწმის ნებაყოფლობითი გამოკითხვის ოქმი;

დ. პროკურორის მიერ სავარაუდო მოწმის ნებაყოფლობითი გამოკითხვის ოქმი;

46. ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

განაჩენში, სისხლის სამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში ნივთიერი მტკიცებულების საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად:

ა. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავალი/ქონება ხმარდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ზიანის ანაზღაურების შემდეგ საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას, ხოლო თუ ცნობილი არ არის პირი, რომელსაც ზიანი მიადგა — უბრუნდება მის მფლობელს; (მუხლი 81, ნაწ.1, ქპ.დ)

ბ. დაზარალებულის, გამართლებულის ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი ან დოკუმენტი, ბრალდებულისა და იმ პირის გარდა, რომელსაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, უბრუნდება მესაკუთრეს ან მფლობელს;

გ. თუ დანაშაულის იარაღს ამ საგანს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება;

დ. თუ დანაშაულის იარაღს ან საგანს აქვს რაიმე ღირებულება, ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია.

47. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

პროცესის დამთავრებისას წარმოშობილი დავა ნივთიერი მტკიცებულების გამო წყდება:

ა. მაგისტრატი მოსამართლის მიერ;

ბ. სისხლის სამართალწარმოების წესით;

გ. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით; (მუხლი 81, ნაწ.2)

დ. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

48. რომელი მსჯელობა არ არის სწორი?

ბრალდებულს სავალდებულოა ჰყავდეს ადვოკატი:

ა. თუ ბრალდებული გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან;

ბ. თუ ბრალდებული თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;

გ. თუ ბრალდებული არაიდენტიფიცირებული პირია;

დ. ბრალდებულთა ინტერესებს შორის არსებობს წინააღმდეგობა და თუნდაც ერთ მათგანს ჰყავს დამცველი (მუხლი 45);

49. ჩამოთვლილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ბრალდებულის აღიარება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

ა. აღიარება დადასტურებულია მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით; (მუხლი 74, ნაწ. 4)

ბ. აღიარების განცხადება მიწოდებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია უშუალოდ ბრალდებულის მიერ;

გ. მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება;

დ. რაიმე განსაკუთრებულ წესს ამ მხრივ საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

50. ბრალდებულ გ. ტორონჯაძის ადვოკატმა მტკიცებულების გამოთხოვის მიზნით მიმართა შპს "აივეგო"-ს, რომლისგანაც ითხოვდა ცნობას მისი კლიენტის სახელფასო განაკვეთის შესახებ, რაზედაც შპს "აივეგომ" არ მიაწოდა აღნიშნული ინფორმაცია. ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს შპს "აივეგოდან" მისი კლიენტის გ. ტორონჯაძის სახელფასო განაკვეთის ინფორმაციის მიღების თაობაზე ისე, რომ აღნიშნული ცნობილი არ გამხდარიყო ბრალდების მხარისათვის. მოსამართლემ იხელმძღვანელა რა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპით ადვოკატის შუამდგომლობა განიხილა ორივე მხარის მონაწილეობით და დააკმაყოფილა იგი. კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. კანონიერია, რადგან მოსამართლე როდესაც ისმენს ერთი მხარის პოზიციას უნდა მოისმინოს მეორე მხარის მოსაზრებაც;

ბ. კანონიერია, მოიქცა რადგან ადვოკატს სასამართლოსადმი ჰქონდა შუამდგომლობით მიმართვის უფლება იმ შემთხვევაში როდესაც იგი დამოუკიდებლად ვერ ატარებს საგამოძიებო მოქმედებას;

გ. უკანონოა, რადგან მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება; (მუხლი 39, ნაწ.2)

დ. უკანონოა, რადგან მოსამართლეს შუამდგომლობა უნდა განეხილა ზეპირი მოსმენის გარეშე.

51. გამოძიების მიერ დანიშნული იქნა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ბრალდებული და მისი ადვოკატი. გამომძიებელმა აღნიშნულის შესახებ წინა დღით შეატყობინა ბრალდებულს და ადვოკატს, რომელთაც ითხოვეს 2 დღიანი ვადა მოსამზადებლად. გამომძიებელმა აღნიშნულზე უარი განუცხადა იმ მოტივით რომ გამოძიების მიერ დანიშნულ დროსა და ადგილას, როდესაც ტარდება საგამოძიებო მოქმედება სავალდებულოა გამოცხადება, ამასთან დაცვის მხარე შეტყობინებული იყო ერთი დღით ადრე. აღნიშნული საკითხი ადვოკატმა გაასაჩივრა წინასასამართლო სხდომაზე და მოითხოვა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა.

კანონიერია თუ არა ადვოკატის მოთხოვნა?

ა. კანონიერია, რადგან თუ ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს გონივრულ ვადაში არ ეცნობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, ასეთი საგამოძიებო მოქმედება არ უნდა ჩატარდეს, ხოლო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი;(მუხლი 40, ნაწ.2)

ბ. კანონიერია, რადგან ადვოკატს აქვს დააყენოს შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომაზე;

გ. უკანონოა, რადგან ადვოკატს უფლება არა აქვს მითითებული მოტივით მოითხოვოს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა;

დ. უკანონოა, რადგან ასეთ შუამდგომლობის დაყენებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

52. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან ბრალდებულის ნების გათვალსინინებით — მისი მშობელი;

ბ. ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან ბრალდებულის ნების გათვალსინინებით — მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი; (მუხლი 41)

გ. ადვოკატს ირჩევს და იყვანს პირი საკუთარი ნების გათვალისწინებით — მისი ახლო ნათესავი ან მეგობარი;

დ. ადვოკატს ირჩევს და იყვანს დაკავებული საკუთარი ნების გათვალისწინებით – მისი ოჯახის წევრი ან ახლობელი.

53. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

ა. ადვოკატის მიერ დაცვის მოვალეობის შესრულების ხანგრძლივად შეუძლებლობის შემთხვევაში სასამართლო განხილვის გადადება დაუშვებელია, თუ ეს იწვევს სასამართლო განხილვის გაჭიანურებას და მისთვის ხელის შეშლას;

ბ. თუ ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლოში, სასამართლო უფლებამოსილია პირველივე გამოუცხადებლობის შემთხვევაში ბრალდებულს (მსჯავრდებულს) დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით, რაც არ ზღუდავს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) უფლებას, მოიწვიოს ადვოკატი საკუთარი სურვილით;

გ. თუ ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ადვოკატი საპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლოში და სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოუცხადებლობა აჭიანურებს პროცესის მიმდინარეობას ან/და ხელს უშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას, სასამართლო უფლებამოისლია ბრალდებულს (მსჯავრდებულს) დაუნიშნოს ადვოკატი სავალდებულო წესით;

დ. ადვოკატის მიერ დაცვის მოვალეობის შესრულების ხანგრძლივად შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლო განხილვის გადადება შესაძლებელია, თუ ბრალდებულს ესაჭიროება დრო სათანადო დაცვის მომზადებისათვის. (მუხლი 42)

54. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

ა. ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალურია და თავისუფალია;

ბ. კონფიდენციალურია ასევე პირის ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან;

გ. დაკავებული ან დაპატიმრებული ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ მოსმენით, დაუშვებელია ვიზუალური დაკვირვება; (მუხლი 43)

დ. დაკავებული ან დაპატიმრებული ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთა შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით.

55. მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

ა. იმ გარემოებათა გამოსავლენად რომელიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს;

ბ. ადვოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ;

გ. ადვოკატს უფლება არა აქვს იმოქმედოს კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში ადვოკატს უფლება აქვს არ შეასრულოს კლიენტის მითითებები; (მუხლი 44, ნაწ.1)

დ. ადვოკატს არა აქვს უფლება, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრალდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.

56. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის ადვოკატმა ბრალდებულის დაცვის განხორციელების მიზნით წარადგინა კლიენტთან დადებული ხელშეკრულება და ორდერი. სწორად მოიქცა თუ არა ადვოკატი?

ა. სწორად მოიქცა, რადგან სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და კლიენტთან დადებული ხელშეკრულებას;

ბ. სწორად მოიქცა, რადგან სისხლის სამართალის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს;

გ. არ მოიქცა სწორად, რადგან სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ბრალდებულის წერილობითი ნებას მოიწვიოს იგი;

დ. არ მოიქცა სწორად, რადგან სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და თავის მოწმობას. (მუხლი 44, ნაწ.2)

57. სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას პროკურორმა იშუამდგომლა რომ მოწმის სახით დაკითხულიყო ადვოკატი ა. რჩეულიშვილი, რომელიც დაცვის განხორციელებამდე ბრალდებულს უწევდა იურიდიულ დახმარებას იმ გარემოების შესახებ რომელიც ადვოკატ ა. რჩეულიშვილისათვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების განევისას. სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა იმ პირობით თუ ადვოკატ ა. რჩეულიშვილისგან მიღებული იქნებოდა თანხმობა მისი მოწმის სახით დაკითვის შესახებ. ადვოკატმა თანხმობა განაცხადა და დაიკითხა. ჰქონდა თუ არა უფლება ადვოკატს მიეცა თანხმობა მის დაკითხვაზე იმ გარემოებების შესახებ, რომელიც ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების განევისას?

ა. ჰქონდა, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარე-

ბას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე — იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით; (მუხლი 50, ნაწ.1, „ბ“ ქვ.პ)

ბ. ჰქონდა, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით მოწმედ დაკითვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე თუ ამას წერილობით ეთანხმება ბრალდებული;

გ. არ ჰქონდა, რადგან სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს ადვოკატი, რომელიც დაცვის განხორციელებამდე უწევდა იურიდიულ დახმარებას ბრალდებულს იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით;

დ. არ ჰქონდა, რადგან ადვოკატი არ შეიძლება დაიკითხოს.

58. მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

მოწმედ დაკითხვისა და საქმისადმი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება:

ა. პროკურორს — იმ გარემოების შესახებ, რომელიც შიდა უწყებრივი გადანყვეტილების საფუძველია; (მუხლი 50, ნაწ. 1)

ბ. მოსამართლეს — იმ გარემოების შესახებ, რომელიც სასამართლო თათბირის საიდუმლოებაა;

გ. ჟურნალისტს — პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;

დ. სახალხო დამცველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს – იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც სახალხო დამცველს.

59. ბრალდებულ ი. გრიგორიანის ბრალდების სასამართლო წესით განხილვისას პროკურორის შუამდგომლობით სხდომაზე მოწმის სახით გამოძახებული იქნა სამედიცინო მუშაკი, რომელიც დაკავშირებული იყო ი. გრიგორიანის ბრალდებით დადგენილ ფაქტებთან. მიუხედავად ამისა სამედიცინო მუშაკი სასამართლოს მიერ გათავისუფლებული იქნა მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან, რადგან მას პროფესიულად ევალებოდა საექიმო საიდუმლოების დაცვა. კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. უკანონოა, რადგან სამედიცინო მუშაკი ფაქტობრივად იყო დაკავშირებული ი. გრიგორიანის ბრალთან და იგი უნდა დაკითხულიყო;

ბ. უკანონოა, რადგან სასამართლოს არა აქვს უფლება გაათავისუფლოს პირი მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან;

გ. კანონიერი, რადგან სასამართლოს უფლება აქვს მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლოს სამედიცინო მუშაკი, თუ მას პროფესიულად ევალება საექიმო (სამედიცინო) საიდუმლოების დაცვა; (მუხლი 50, ნაწ.3, „ბ“ ქვ.პ.)

დ. კანონიერია, რადგან სასამართლოს უფლება აქვს ნებისმიერი პირი გაათავისუფლოს მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან თუ ეს ხელს არ უშლის განაჩენის გამოტანას.

60. მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

სასამართლოს უფლება აქვს მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლოს:

ა. ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი, თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება, არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი;

ბ. პირი, რომელიც სამუშაოზე იმ პირობით არის მიღებული, რომ არ გაამჟღავნებს კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას;

გ. გემის, საჰაერო ჰომალდის კაპიტანი, ასევე მეზღვაური და მასთან გათანაბრებული პირი, თუ მათ გააჩნიათ ინფორმაცია ქვეყნის ეკოლოგიური ან სხვა საიდუმლოების შესახებ და ნაკისრი აქვთ ვალდებულება არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი; (მუხლი 50)

დ. კონტრტერორისტული ან/და სპეციალური ოპერაციის მონაწილე პირი (მის პროფესიულ მოვალეობასთან დაკავშირებით), რომლის საქმიანობაც გასაიდუმლოებულია და ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება

61. რომელი მსჯელობა არის სწორი?

ა. ექსპერტი უნდა იყოს სპეციალური ცოდნითა და ლიცენზიით აღჭურვილი პირი;

ბ. ექსპერტი დასკვნით გამოხატავს იმ მხარის პოზიციას ვინც მოინვია იგი;

გ. ექსპერტი არის პირი რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა და სულ მცირე 10 წლის მუშაობის სტაჟი;

დ. ექსპერტი მიუკერძოებელი უნდა იყოს იმის მიუხედავად, თუ ვინ მოიწვია იგი. (მუხლი 51,ნაწ.2)

62. სასამართლო პროცესზე მოწმის სახით ჩვენება მისცა მოქ. ჟ. ეხვაიამ, რის შემდეგაც დაცვის მხარემ იმ მოტივით რომ ეს მოწმე საქმეზე დაზარალებულად ცნობილი გ. გიორგობიანის ნათესავია მოწმე ჟ. ეხვაიას სანდოობის შესახებ მოითხოვა ექსპერტიზის ჩატარება, რითაც სპეციალური დეტექტორის საშუალებით გაირკვეოდა ცრუობდა თუ არა მოწმე ჟ. ეხვაია. კანონიერია თუ არა ადვოკატის მოთხოვნა?

ა. არ არის კანონიერი, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაუშვებელია მოწმის სანდოობის შესახებ ექსპერტიზის ჩატარება; (მუხლი 51, ნაწ.3)

ბ. არ არის კანონიერი, რადგან მოტივი რომ მოწმე დაზარალებულის ნათესავია არ არის საკმარისი ასეთი სახის ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნისათვის;

გ. კანონირია, რადგან ადვოკატს აქვს უფლება სასამართლოს წინაშე აღძრას შუამდგომლობა სიცრუის გამოვლენის შესახებ ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე;

დ. კანონიერი, რადგან მოწმე დაზარალებულის ნათესავია და იგი დაინტერესებული მხარეა.

63. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?
ექსპერტი ვალდებულია:

ა. თუ საექსპერტო კვლევით დადგინდა გარემოება, რომლის შესახებაც ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს ან/და პროცესის სხვა უფლებამოსილ მონაწილეს კითხვა არ დაუვამს, იგი უნდა ასახოს დასკვნაში;

ბ. დაიცვას და საექსპერტო კვლევის შემდეგ ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს დაუბრუნოს კვლევის ობიექტი, თუ საექსპერტო კვლევისას ეს ობიექტი სრულად არ დახარჯულა;

გ. თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძველი, განაცხადოს თვითაცილება;

დ. მხარის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს ინფორმაცია საექსპერტო კვლევის საგნის შესახებ. (მუხლი 51, ნაწ.2)

64. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?
თარჯიმანს უფლება აქვს:

ა. თარგმანის დასაზუსტებლად შეკითხვა დაუსვას პროცესის მონაწილეებს;

ბ. გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედების ოქმს და სასამართლოს სხდომის ოქმს;

გ. გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტებს, რომელიც მიაჩნია რომ საჭიროა თარჯიმნის მოვალეობის შესრულებისათვის; (მუხლი 54, ნაწ.1)

დ. გამოთქვას შენიშვნა, რომელიც ოქმში უნდა იქნეს შეტანილი.

65. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?
თარჯიმანი ვალდებულია:

ა. გამოცხადდეს გამომძიებლის, პროკურორის, ადვოკატის, სასამართლოს გამოძახებით; (მუხლი 54, ნაწ.2)

ბ. ზუსტად და სრულად თარგმნოს ჩვენება და დოკუმენტი;

გ. ხელმოწერით დაადასტუროს თარგმანის უტყუარობა მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმში და სხვა საპროცესო დოკუმენტში;

დ. გამომძიებელის ან პროკურორის ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს გამოზიების მასალა, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი ცხოვრების შემცველი ცნობები.

66. გამოძიების მიერ დაკავებულ ი. საბანაძეს წარედგინა ბრალდება ყაჩაღობისათვის, რის თაობაზეც პროკურორმა წერილობით შეატყობინა დაზარალებულ მ. ჯორბენაძეს. ევალებოდა თუ არა პროკურორს აღნიშნული?

ა. არ ევალებოდა, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით პროცესის მწარმოებელმა ორგანომ დაზარალებულს წინასწარ უნდა შეატყობინოს ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან, წინასასამართლო სხდომა, სასამართლო მთავარი სხომა, სასამართლო სხდომა სასჯელის შეფარდების შესახებ, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომა; (მუხლი 58, ნაწ.1)

ბ. არ ევალებოდა რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით პროცესის მწარმოებელმა ორგანომ დაზარალებულს წინასწარ უნდა შეატყობინოს მხოლოდ სასამართლო სხდომა სასჯელის შეფარდების შესახებ;

გ. ევალეოდა რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით პროცესის მწარმოებელი ორგანო ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესით;

დ. ევალებოდა, რადგან დაზარალებულს უფლება აქვს იცოდეს თუ როდის და სად წარედგინა პირს ბრალდება იმ საქმეზე, რომელზედაც ის დაზარალებულად არის ცნობილი.

67. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

ა. მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო შეტანილი საჩივრის განხილვაში;

ბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმის განხილვაში მოსამართლის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოება არ არის ადრე ამ საქმის საკასაციო წესით განხილვაში მისი მონაწილეობა;

გ. პროკურორისა და გამომძიებელის მიერ თავიანთი ფუნქციების შესრულება სისხლის სამართლის პროცესის არც ერთ ერთ სტადიაზე არ აბრკოლებს ამ საქმეში მათ შემდგომ მონაწილეობას;

დ. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე გამომძიებელს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა დაცვის მხარის შაუმდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში. (მუხლი 59)

68. სასამართლო განხილვისას გაირკვა რომ არსებობს მოწვეული თარჯიმნის აცილების საფუძველი. ადვოკატმა თარჯიმნის აცილების თაობაზე შუამდგომლობა დააყენა მომდევნო სხდომაზე. სწორად მოიქცა თუ არა ადვოკატი?

ა. არა, რადგან აცილების თაობაზე შუამდგომლობა უნდა დაეყენებინა დაუყონებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მას შემდეგ რაც მისთვის ცნობილი გახდება აცილების საფუძველი; (მუხლი 63, ნაწ.2)

ბ. არა, რადგან ადვოკატს აცილების შუამდგომლობა ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზე უნდა დაეყნებინა;

გ. დიახ, რადგან ადვოკატს აქვს უფლება ააცილოს თარჯიმანი საქმეს;

დ. დიახ, რადგან ადვოკატს სისხლის სამართლის ნებისმიერ სტადიაზე აქვს უფლება დააყენოს შუამდგომლობა თარჯიმნის აცილების თაობაზე.

69. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

პროკურორი ვალდებულია მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით და პროცესის მონაწილის თანხმობით გამოიყენოს პროცესის მონაწილის დაცვის ერთ ან რამდენიმე შემდეგი სპეციალური ღონისძიება:

ა. საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში დაზარალებულის ან მოწმის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებელობის შემცველი მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის, შეცვლა ან ამოღება;

ბ. დაზარალებულის ან მოწმის, ნაფიცი მსაჯულის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო დოკუმენტის და "ა" პუნქტში აღნიშნული დოკუმენტის გასაიდუმლოება;

გ. ფსევდონიმის მინიჭება

დ. ქვეყნის ფარგლების დატოვების უფლების მიცემა. (მუხლი 68)

70. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაცვის სპეციალური ღონისძიებები:

ა. პროცესის მონაწილის, მასთან დაკავშირებული პირის ან/და ოჯახის წევრის მიმართ;

ბ. პროცესის მონაწილის მიმართ, მისი თანხმობით:

გ. პროცესის მონაწილის, მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი ახლო ნათესავის მიმართ, მათი თანხმობით; (მუხლი 68, ნაწ.2)

დ. პროცესის მონაწილის ან/და მისი ახლო ნათესავის მიმართ, მათი თანხმობით.

71. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია არ არის სწორი?

დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს ერთი ან რამდენიმე შემდეგი საფუძვლით:

ა. განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვაც თავისი ბუნებით არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;

ბ. პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონება;

გ. პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე;

დ. საქმე განიხილება განზრახ მკვლელობის ბრალდებით დამამძიმებელ გარემოებებში. (მუხლი 67)

72. გამომძიებელმა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ისე, რომ არ გამოუტანია შესაბამისი დადგენილება გაჩხრიკა საცხოვრებელი ბინა, საიდანაც ამოიღო "მაკაროვის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდით და 3 ვაზნით. აღნიშნული სასამართლო წესით დააკანონა და დაურთო სისხლის სამართლის საქმეს და დანიშნა ბალისტიკური ექსპერტიზა, რომლის დასკვნის შესაბამისად

იარაღი და ვაზნები ვარგისი აღმოჩნდა. გამომძიებელმა ბრალდება წაუყენა პირს ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის კვალიფიკაციით. ბალისიტიკური ექსპერტიზის დასკვნა არის თუ არა დაუშვებელი მტკიცებულება?

ა. არ არის რადგან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გამომძიებელს არ ევალება დადგენილების გამოტანა, რის შემდეგაც მან ყველა საგამოძიებო მოქმედება კანონის დაცვით ჩაატარა;

ბ. არ არის რადგან გამომძიებელმა მიუხედავად იმისა რომ არ გამოუტანია დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ, მაგრამ კანონიერად ცნობისათვის მიმართა მოსამართლეს, ხოლო შემდეგ კი ჩაატარა ექსპერტიზა;

გ. არის, რადგან არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურდიული ძალა არ გააჩნია; (მუხლი 72, ნაწ.1)

დ. არის, რადგან კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელია და მას იურიდიული ძალა არ გააჩნია.

73. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია არ არის სწორი?

გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება:

ა. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი;

ბ. განაჩენი ნასამართლობაზე;

გ. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული; განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება;

დ. ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარე მოტივირებულად შუამდგომლობს. (მუხლი 73, ნაწ. 1)

74. ბრალდებულის ჩვენება არის:

ა. მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ; (მუხლი 74, ნაწ.1)

ბ. მის მიერ გამოძიებისათვის მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ;

გ.მის მიერ გამოძიებასა და სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ;

დ. მის მიერ ოქმში წერილობით დაფიქსირებული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ.

75. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. მხარის მოთხოვნის შემთხვევაში ყველა დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს;

ბ. მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმეტს მტკიცებულებითი ძალა აქვს თუ ცნობილია მისი წარმომავლობა;

გ. მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია; (მუხლი 78, ნაწ.1)

დ. მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმეტს მტკიცებულებითი ძალა აქვს თუ ის დაზიანებული ან სახეშეცვლილი არ არის.

76. გამოძიების მიერ ჩატარებული იქნა შპს "იალქანი" — ს სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების კანონიერება, რად დროსაც სასამართლოს განჩინებით ამოღებული იქნა საბუღალტრო დოკუმენტაცია. შპს "იალქანის" ადვოკატმა 2 კვირის შემდეგ შუამდგომლობით მიმართა გამომძიებელს და მოითხოვა ამოღებული დოკუმენტაციის მის კლიენტისათვის გადაცემა დროებით გამოსაყენებლად. კანონშესაბამისია თუ არა ადვოკატის მოთხოვნა?

ა. არა, რადგან სისხლის სამართლის საქმეში დოკუმენტაცია მხოლოდ დედანის სახით უნდა იყოს ამოღებული ან წარმოდგენილი;

ბ. არა, რადგან ადვოკატს ამოღებული დოკუმენტაციის მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა გამოძიების დასრულებამდე;

გ. დიახ, რადგან თუ დოკუმენტი საჭიროა მიმდინარე აღრიცხვისათვის, ანგარიშგებისათვის და სხვა მართლზომიერი მიზნებისათვის, ის ან მისი ასლი შეიძლება კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს ან გადაეცეს დროებით გამოსაყენებლად; (მუხლი 78, ნაწ.3)

დ. დიახ, რადგან ადვოკატს გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია მოითხოვოს დოკუმენტაციის დაბრუნება თუ ეს ზიანს აყენებს მისი კლიენტის კანონიერ ინტერესებს.

77. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია არ არის სწორი?

განაჩენში, სისხლის სამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში ნივთიერი მტკიცებულების საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს:

ა. თუ დანაშაულის იარაღს ან საგანს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს რაიმე ღირებულება, ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია;

ბ. თუ ბრუნვიდან ამოღებულ ნივთს აქვს რაიმე ღირებულება, იგი გადაეცემა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო თუ მას ღირებულება არა აქვს — ნადგურდება;

გ. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავალი/ქონება ხმარდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ზიანის ანაზღაურების შემდეგ — საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას, შემდეგ კი დაზარალებულს. (მუხლი 81)

დ. დაზარალებულის, გამართლებულის ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი, ბრალდებულისა და იმ პირის გარდა, რომელსაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება უბრუნდება მესაკუთრეს ან მფლობელს.

78. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია არ არის სწორი?

ა. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით;

ბ. მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა;

გ. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა;

დ. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი კანონიერების, ნამდვილობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით. (მუხლი 82)

79. გამოძიების დროს დაცვის მხარემ მოითხოვა იმ ინფორმაციის გაცნობა, რომლის წარდგენასაც ბრალდების მხარე გეგმავდა სასამართლოში. ბრალდების მხარემ 2 დღის შემდეგ გააცნო დაცვის მხარეს ბრალდებულის ნათესავის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის პროცედურა და მისი შედეგები. დაიცვა თუ არა ბრალდების მხარემ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი?

ა. არა, არ დაუცვია, რადგან დაცვის მხარის მიერ დაყენებული მოთხოვნა იმ მტკიცებულების გაცნობის თაობაზე, რომლის წარდგენასაც აპირებდა ბრალდების მხარე სასამართლოში, დაუყონებლივ უნდა შესრულებულიყო; (მუხლი 83, ნაწ.1)

ბ. არა, არ დაუცვია, რადგან ბრალდების მხარემ დაცვის მხარეს უნდა გააცნოს ბრალდებულის ნათესავის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმი და ჩხრეკის შედეგები;

გ. დიახ, დაიცვა, რადგან დაცვის მხარეს გააცნო ის მტკიცებულება, რომლის წარდგენასაც აპირებდა ბრალდების მხარე სასამართლოში - ჩხრეკის შედეგები;

დ. დიახ, დაიცვა, რადგან დაცვის მხარის მოთხოვნა 2 დღის შემდეგ ბრალდების მხარემ დააკმაყოფილა.

80. სასამართლოს პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან.და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ გამოაქვს:

ა. ბრძანება;

ბ. განკარგულება; (მუხლი 85, ნაწ.2)

გ. განჩინება;

დ. დადგენილება.

81. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის პროცესის მწარმოებელ ორგანოს წარუდგენს:

ა. თავის მოწმობას;

ბ. პასპორტს;

გ. ხელშეკრულებას ან ორდერს;

დ. ორდერს და თავის მოწმობას. მუხლი 44, ნაწ.2)

82. მოწმემ ჩვენება მისცა სასამართლო სხდომის დროს, რომლის დამთავრების შემდეგ მოითხოვა ოქმის გაცნობა და მასში უზუსტობის გამო განცხადების შეტანა. მოსამართლემ განმარტა, რომ მოწმე აჭარბებს მის უფლებამოსილებას და მას ამის უფლება არ აქვს. შეაფასეთ მოწმის მოქმედება:

ა. სწორია, მოწმეს აქვს ამის უფლება; (მუხლი 49, ნაწ.1, ქვ.პ. „გ“)

ბ. არ არის სწორი, მოწმეს არა აქვს უფლება შენიშვნები გააკეთოს სხდომის ოქმის შინარსთან დაკავშირებით;

გ. სწორია, მოწმეს შეუძლია ნებისმიერ დროს გააკეთოს განცხადება სხდომის ოქმთან დაკავშირებით.

დ. არ არის სწორი, მოწმეს არა აქვს უფლება გაეცნოს სხდომის ოქმს.

83. ამ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია:

ა. გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება;

ბ. უარი უთხრას ქვემდგომ პროკურორს გადაწყვეტილების გადასინჯვაზე; (მუხლი 33, ნაწ. 3)

გ. შეიტანოს ცვლილება ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებაში;

დ. შეცვალოს ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება ახლით.

84. საპროცესო ხარჯებია:

ა. ბრალდებულის დაკავებისას გაწეული ხარჯი;

ბ. ბრალდებულის სასამართლოში პირველად წარდგენის ხარჯი;

გ. დაცვის მხარის მიერ ბრალდების მხარისათვის გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯი;

დ. დაცვის მხარისათვის ბრალდების მხარის მიერ გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯი; (მუხლი 99, ნაწ. 1, „ზ“ ქვ.პ.)

85. საპროცესო ხარჯებია:

ა. დაცვის მხარის მიერ ბრალდების მხარისათვის გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯი;

ბ. ბრალდებულის დაპატიმრებისას გაწეული ხარჯი;

გ. ბრალდებულის სასამართლოში წარდგენის ხარჯი;

დ. ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯი. (მუხლი 99, ნაწ. 1, „ა“ ქვ.პ.)

86. საპროცესო ხარჯებს არ წარმოადგენს:

ა. ექსპერტის გამოცხადების და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი;

ბ. თარჯიმნის გამოცხადების და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი;

გ. მოწმის გამოცხადების ხარჯი;

დ. დაზარალებულის გამოცხადების ხარჯი. (მუხლი 33)

87. საპროცესო ხარჯებს არ წარმოადგენს:

ა. ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯი;

ბ. ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხარჯი;

გ. ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯი;

დ. დაზარალებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯი. (მუხლი 33)

88. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. თუ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნა საფუძვლიანია იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ მისი მოტივაცია სცილდება სისხლის სამართლის საქმის გარემოებებს – უარი უნდა ითქვას მის დაკმაყოფილებაზე;

ბ. თუ შუამდგომლობა წერილობითი სახით არის და მასში გადმოცემულია ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი შეფასება და მოთხოვნა იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ მას არ გააჩნია ერთ ერთი მაინც – უარი უნდა ითქვას მის დაკმაყოფილებაზე;

გ. თუ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნა პროცესის მწარმოებელი ორგანოსგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუსრულებადია – უარი უნდა ითქვას მის დაკმაყოფილებაზე;

დ. თუ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხვოვნის შესრულება ხელს უწყობს სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებას, იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ შუამდგომლობა მიმართულია სისხლის სამართლის პროცესის გაჭიანურებისაკენ ან მისთვის ხელის შეშლისაკენ – უარი უნდა ითქვას მის დაკმაყოფილებაზე. (მუხლი 94, ნან.1)

89. გამომძიებელმა, რომელიც აწარმოებდა სისხლის სამართლის საქმეს, ამ საქმეზე პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის მშობლებს, პროკურორთან შეთანხმებით, გაუწია რეკომენდაცია, რომ ბრალდებულის ინტერესების დაცვის მიზნით აეყვანათ შპს "არგოდან" კვალიფიციური ადვოკატი.

სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. დიახ, სწორია, რადგან რეკომენდაციის გაწევა არ წარმოადგენს რაიმე იძულებით ღონისძიებას, არამედე ამ შემთხვევაში, ატარებს კანონიერი დახმარების ხასიათს.

ბ. დიახ, სწორია, რადგან ამგვარი რეკომენდაციის გაწევა მოხდა პროკურორთან შეთანხმებით.

გ. არ არის, სწორი, რადგან პროცესის მწარმოებელს არა აქვს ამგვარი რეკომენდაციის გაწევის უფლება. (მუხლი 41)

დ. არ არის სწორი, რადგან ამგვარი რეკომენდაციის გაწევა უნდა მომხდარიყო ბრალდების მხარესთან – პროკურორთან შეთანხმების გარეშე, ვინაიდან გამომძიებელი არის ნეიტრალური პირი.

90. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ოჯახის წევრები არიან:

ა. მეუღლე, მშობელი, შვილი ან გერი;

ბ. მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი ან გერი, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი; (მუხლი 3, ნაწ.3)

გ. მეუღლე, მშობელი, და/ძმა, შვილი ან გერი;

დ. მეუღლე, მშობელი, შვილი და/ძმა, შვილიშვილი.

91. შპს „საადვოკატო ფირმა"-ს სასამართლომ გაუგზავნა მოთხოვნა გამოეყოთ ადვოკატი დანიშვნით განსასჯელ მიქელაძის საქმეზე. საადვოკატო ფირმის ხელმძღვანელმა უარი განუცხადა სასამარლოს იმ მოტივით, რომ ფირმა არ იყო ვალდებული ადვოკატი დანიშვნით გამოეყო და ასეთი მოთხოვნის შესრულების ვალდებულება მხოლოდ სახაზინო წესით (უფასო იურიდიული დახმარების სამსახური) მომუშავე ადვოკატებს ეკისრებოდათ.

სწორია თუ არა საადვოკატო ფირმის ხელმძღვანელის უარი?

ა. არა, სასამართლოს მოთხოვნა სავალდებულოა ყველა ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, მათ შორის ადვოკატთა ამგვარი გაერთიანებებისათვის.

ბ. დიახ, კერძო კომპანიებს ვერ დაავალებს სასამართლო ასეთ მოთხოვნას.

გ. ადვოკატი დანიშვნით გამოიყოფა კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით სახელმწიფო ხარჯზე (უფასო იურიდიული დახმარების სამსახური). (მუხლი 46)

დ. არა, საადვოკატო ფირმის ხელმძღვანელი თავად უნდა გამოსულიყო ასეთ შემთხვევაში პროცესზე.

92. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას. სხვა შემთხვევაში საჩივრის შეტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას აჩერებს, თუ ამას მხარის შუამდგომლობით საჭიროდ მიიჩნევს საჩივრის განმხილველი ორგანო ან პირი; (მუხლი 96)

ბ. საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას;

გ. სისხლის სამართლის პროცესში საჩივრის შეტანა არ აჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას;

დ. ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას თუ ამით არ ზიანდება საჯარო ინტერესი.

93. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

სისხლის სამართლის პროცესში საჩივრის განხილვის შედეგად შეიძლება მიღებული იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის გაუქმების ან შეცვლის შესახებ; (მუხლი 98, ნაწ.1)

ბ. საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

გ. საჩივრის დაუშვებლად მიჩნევის შესახებ;

დ. საჩივრის ავტორისათვის დაბრუნების შესახებ.

94. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით რომელია ღამის დრო?

ა. 21 საათიდან 7 საათამდე;

ბ. 22 საათიდან 6 საათამდე;(მუხლი 3, ნაწ.17)

გ. 23 საათიდან 7 საათამდე;

დ. 23 საათიდან 5 საათამდე;

95. რომელი მსჯელობაა არასწორი?

ა. ექსპერტს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი მოვალეობები

ბ. ექსპერტად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა და საექსპერტო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება, აქვს ლიცენზია; (მუხლები 51, 52)

გ. დაუშვებელია მოწმის სანდოობის შესახებ ექსპერტიზის ჩატარება;

დ. ექსპერტი ვალდებულია დაიცვას და საექსპერტო კვლევის შემდეგ ექსპერტიზის ჩატარების ინიციატორს დაუბრუნოს კვლევის ობიექტი თუ საექსპერტო კვლევისას ეს ობიექტი სრულად არ გახარჯულა.

96. გამოძიებისას გამომძიებლის ან თარჯიმნის აცილების შუამდგომლობას მხარე აყენებს:

ა. მოსამართლესთან;

ბ. ზემდგომ პროკურორთან;

გ. პროკურორთან ; (მუხლი 63,ნაწ. 4)

დ. გამომძიებელთან.

97. სასამართლოს მეგობარი არის:

ა. დაუინტერესებული პირი, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში.

ბ. დაუინტერესებული პირი სისხლის სამართლის პროცესში;

გ. დაინტერესებული ფიზიკური პირი;

დ. დაინტერესებული პირი, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში.(მუხლი 55, ნაწ. 1)

98. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?
პროკურორი უფლებამოსილია:
ა. შეცვალოს ბრალდება;
ბ. სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით;
გ. პირი ცნოს დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ და განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობანი;(მუხლი 33, ნაწ. 6)
დ. გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ძებნის შესახებ.

99. საქმის არსებითი განხილვის დროს მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება მოწმის მიმართ მისი დაკითხვისას დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ, ხოლო ბრალდებულს კი უარი უთხრა ამ მოწმის დაკითხვის დასწრებაზე. კანონიერია თუ არა მოსამართლის გადაწყვეტილება?
ა. კანონიერია, რადგან მოსამართლეს უფლება აქვს, მოწმის დაკითხვის დროს უარი თქვას ბრალდებულის დასწრებაზე, თუ გამოიყენება მოწმის დაცვის ერთ-ერთი სპეციალური ღონისძიება; (მუხლი 40, ნაწ. 1)
ბ. კანონიერია, რადგან მოსამართლეს უფლება აქვს დაკითხვის დროს უარი თქვას ბრალდებულის დასწრებაზე;
გ. უკანონოა, რადგან მოსამართლეს არა აქვს უფლება დაკითხვაში მონაწილეობა აუკრძალოს ბრალდებულს;
დ. უკანონოა, რადგან სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს მხარეთა დასწრებით.

100. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის ადვოკატმა ბრალდებულის დაცვის განხორციელების მიზნით წარადგინა ორდერი. სწორად მოიქცა თუ არა ადვოკატი?
ა. სწორად მოიქცა, რადგან სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს ან კლიენტთან დადებული ხელშეკრულებას;
ბ. სწორად მოიქცა, რადგან სისხლის სამართალის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს;
გ. არ მოიქცა სწორად, რადგან სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ბრალდებულის განცხადებას;
დ. არ მოიქცა სწორად, რადგან სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და თავის მოწმობას. (მუხლი 44, ნაწ. 2)

101. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან რომელი არ არის სწორი?
სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი თუ:
ა. თუ არაიდენტიფიცირებული პირია;
ბ. არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა;

გ. თუ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს შეუშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას;

დ. ბრალდებულს ადვოკატთან დადებული აქვს კონტრაქტი. (მუხლი 45)

102. ქვემოთ მოცემული ჩამონათვალიდან რომელი არ არის სწორი?

სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი თუ:

ა. თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას;

ბ. სამოქალაქო მოსარჩელეს ჰყავს წარმომადგენელი; (მუხლი 45)

გ. გამოტანილია განჩინება (დადგენილება) სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;

დ. გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

103. დაასრულეთ მსჯელობა:

ადვოკატის სახელმწიფო ხარჯზე შერჩევისა და დანიშვნის პროცედურა განისაზღვრება

ა. "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით;

ბ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (კანონით);

გ. "იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით; (მუხლი 46, ნაწ. 5)

დ. "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონით.

104. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობა არის სწორი?

ა. ბრალდებულის მიერ მოწმის სახით ჩვენების მიცემამდე დადებული ფიცი არ ხელყოფს მის უფლებას, არ მისცეს მამხილებელი ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ; (მუხლი 48, ნაწ. 7)

ბ. ბრალდებული არ იძლევა ჩვენებას მოწმის სახით;

გ. ბრალდებული არ დებს ფიცს და არ არის ვალდებული ისაუბროს სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა;

დ. ბრალდებული არ ფრთხილდება ცრუ დასმენასა და შეგნებულად არასწორი ჩვენების მიცემაზე.

105. ბრალდებულ ჯ. თედიაშვილის ბრალდების სასამართლო წესით განხილვისას პროკურორის შუამდგომლობით სხდომაზე მოწმის სახით გამოძახებული იქნა ნოტარიუსი, რომელიც დაკავშირებული იყო ჯ. თედიაშვილის ბრალდებით დადგენილ ფაქტებთან. მიუხედავად ამისა ნოტარიუსი სასამართლოს მიერ გათავისუფლებული იქნა მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან, რადგან მას ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება, არ გამეჟღავნებინა მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი. კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. უკანონოა, რადგან ნოტარიუსი ფაქტობრივად იყო დაკავშირებული ჯ. თედიაშვილის ბრალთან და იგი უნდა დაკითხულიყო;

ბ. უკანონოა, რადგან სასამართლოს არა აქვს უფლება გაათავისუფლოს პირი მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან;

გ. კანონიერია, რადგან სასამართლოს უფლება აქვს მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან გაათავისუფლოს ნოტარიუსი, საჯარო მოსამსახურე, სამხედრო მოსამსახურე და მასთან გათანაბრებული პირი, თუ მათ ნაკისრი აქვთ ვალდებულება, არ გაამჟღავნონ მიღებული ინფორმაციის წყარო და შინაარსი; (მუხლი 50, ნაწ. 3, ქვ.პ. ბ)

დ. კანონიერია, რადგან სასამართლოს უფლება აქვს ნებისმიერი პირი გაათავისუფლოს მოწმის მოვალეობის შესრულებისაგან თუ ეს ხელს არ უშლის განაჩენის გამოტანას.

106. არასამთავრობო ორგანიზაციამ "გამოცდილ იურისტთა კავშირი" — მა, რომელიც არ იყო სასამართლო განხილვის მონაწილე მხარე, გამოიჩინა ინიციატივა და თელავის სასამართლოს, ერთ-ერთ ბრალდების საქმეზე საქმის არსებითად განხილვამდე 5 დღით ადრე გაუგზავნა წერილობითი მოსაზრება ბრალდებულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. ჰქონდა თუ არა უფლება "გამოცდილ იურისტთა კავშირს" ამის უფლება?

ა. ჰქონდა, რადგან დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით;(მუხლი 55, ნაწ. 1)

ბ. ჰქონდა, რადგან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მათ შორის მხარეს, აქვს უფლება სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე 5 დღით ადრე წარადგინოს წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით;

გ. არ ჰქონდა, რადგან გარეშე პირის მიერ სასამართლოში წერილობითი მოსაზრების წარდგენა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით მისი არსებითი განხილვის დაწყებამდე ჩაითვლება მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევად;

დ. არ ჰქონდა, რადგან ამის უფლება მხოლოდ მხარეს გააჩნია.

107. მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

ა. ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს იმ გარემოებათა გამოსავლენად რომელიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას;

ბ. ადვოკატს უფლება არა აქვს, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ;

გ. ადვოკატს უფლება არა აქვს იმოქმედოს კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ., მაგრამ არ არის ვალდებული შეასრულოს მისი უსაფუძვლო მოთხოვნები;(მუხლი 44, ნაწ.1)

დ. ადვოკატს არა აქვს უფლება, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრალდებული არასრულწლოვანია ან აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.

108. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
თარჯიმნის მოვალეობის შესრულების უფლება აქვს:
ა. პირს, რომელიც არ არის პროცესის მონაწილე;(მუხლი 53, ნაწ. 4)
ბ. პროკურორს;
გ. გამომძიებელს ;
დ. ადვოკატს.

109. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?
ა. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი წარმოშობის (წყარო), შესახებობოსა და სამართლიანობის თვალსაზრისით. (მუხლი 82)
ბ. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით;
გ. მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა;
დ. გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

110. მოცემული მსჯელობებიდან რომელია სწორი?
სასამართლოს მეგობრის წერილობითი მოსაზრებებაში მოყვანილი არგუმენტების გაზიარება:
ა. სასამართლოს ვალდებულებაა;
ბ. ავტორის წინასწარი თანხმობით ხდება გაზიარება;
გ. არ არის სასამართლოს ვალდებულება;(მუხლი 55, ნაწ. 3)
დ. საკითხი საპროცესო კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის;

111. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ა. საჩივრის განმხვილელი ორგანო ან პირი ვალდებულია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაუყონებლივ მიიღოს ზომები სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა და სხვა პირთა დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღსადგენად; (მუხლი 97, ნაწ. 2)
ბ. საჩივრის განმხვილელ ორგანოს ან პირს არ ეკისრება ვალდებულება დაუყონებლივ მიიღოს ზომები დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასადგენად;
გ. საჩივრის განმხვილელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს ზომები სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა და სხვა პირთა დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასადგენად;
დ. საჩივრის შეტანა საჩივრის განმხვილელი ორგანოს არ ავალდებულებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე რაიმე ზომების მიღებას.

112. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

საჩივრის განხილვის შედეგად შეიძლება მიღებული იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა. საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

ბ. საჩივრის დაუშვებლად მიჩნევის შესახებ;

გ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან მისი ნაწილის გაუქმებისა ან შეცვლის შესახებ;(მუხლი 98,ნაწ. 1, ქვ,პ. ა)

დ. საჩივრის ავტორისათვის დაბრუნების შესახებ თანდართული მასალებით.

113. რა პირობებშია შესაძლებელი საჩივრის შეტანა პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოქმედების/უმოქმედობის გამო?

ა. საჩივრის შეტანა დაუშვებელია;

ბ. საჩივრის შეტანა შეიძლება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით; (მუხლი 95, ნაწ.5)

გ. საჩივრის შეტანა შეიძლება მხოლოდ წინასწარი გამოძიების სტადიაზე პროკურორთან;

დ. საჩივრის შეტანა შეიძლება წინასასამართლო სხდომის სტადიაამდე, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

114. ბრალდებულის მიერ მოწმის სახით ჩვენების მიცემაზე უარი:

ა. არ შეიძლება შეფასდეს ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად; (მუხლი 48, ნაწ. 7)

ბ. შეიძლება შეფასდეს ბრალდებულის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად;

გ. იწვევს ბრალდებულის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას;

დ. ხელყოფს მის უფლებას, არ მისცეს მამხილებელი ჩვენება საკუთარი თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ;

115. გამომძიებელმა სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ახლობელს გაუწია რეკომენდაცია კონკრეტულ ადვოკატზე.

სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. დიახ, სწორია, რადგან რეკომენდაციის გაწევა არ წარმოადგენს რაიმე იძულებით ღონისძიებას, არამედ ამ შემთხვევაში, ატარებს კანონიერი დახმარების ხასიათს.

ბ. დიახ, სწორია, რადგან ამგვარი რეკომენდაციის გაწევა მოხდა პროკურორთან შეთანხმებით.

გ. არ არის, სწორი, რადგან პროცესის მწარმოებელს არა აქვს ამგვარი რეკომენდაციის გაწევის უფლება. (მუხლი 41)

დ. არ არის სწორი, რადგან ამგვარი რეკომენდაციის გაწევა უნდა მომხდარიყო ადვოკატთან შეთანხმებით.

116. დაასრულეთ მსჯელობა:
დადგენილება არის
ა. გამომძიებელის გადაწყვეტილება ნებისმიერი საკითხზე;
ბ. გამომძიებლის, პროკურორის გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე; (მუხლი 3, ნაწ.16)
გ. გამომძიებლის, პროკურორის გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე, სასამართლოს გადაწყვეტილება განაჩენისა და განჩინების გარდა საკითხებზე;
დ. ადვოკატის შემაჯამებელი ხასიათის გადაწყვეტილება.

117. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ა. პირი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებულად ითვლება ამავე ინსტანციის სასამართლოში ამ ბრალდების საქმესთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის დასრულებამდე; (მუხლი 85, ნაწ. 5)
ბ. პირი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებულად ითვლება ამავე ინსტანციის სასამართლოში მომდევნო სხდომამდე;
გ. პირი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებულად ითვლება ამავე ინსტანციის სასამართლოში და დაშვებული იქნება კამათის ეტაპზე;
დ. პირი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევებულად ითვლება ამავე ინსტანციის სასამართლოში და დაშვებული იქნება მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გამოცხადებისას.

118. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი? პროცესის მონაწილის დაცვისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი სპეციალური ღონისძიება:
ა. ფსევდონიმი;
ბ. საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებელობის შემცველი მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის, შეცვლა ან ამოღება;
გ. გარეგნობის შეცვლა;
დ. დროებით დაცვის მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლების გადაცემა. (მუხლი 68, ნაწ. 3)

119. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ა. ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას. სხვა შემთხვევაში საჩივრის შეტანა გასაჩივრებული გადაწყვტილების აღსრულებას აჩერებს, თუ ამას მხარის შუამდგომლობით საჭიროდ მიიჩნევს საჩივრის განმხილველი ორგანო ან პირი; (მუხლი 96)
ბ. საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას თუ არსებობს მხარის შუამდგომლობა გადაწყვეტილების შეჩერების შესახებ;
გ. სისხლის სამართლის პროცესში საჩივრის შეტანა არ აჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას;

დ. ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას თუ ამით არ ზიანდება დაზარალებული მხარის ინტერესი.

120. ბრადლების მოწმემ დაცვის მიზნით მიმართა პროკურორს დაცვის სპეციალური ღონისძიების სახით პნევმატური იარაღისა და მისი გამოყენების უფლების გადაცემის თაობაზე. პროკურორმა უარი უთხრა მოწმეს მოთხოვნაზე? სწორად მოიქცა თუ არა პროკურორი?

ა. არასწორად მოიქცა, რადგან მოწმეს მიზანი იყო პროცესის მიმდინარეობისას თავდაცვა მოსალოდნელი საფრთხისაგან;

ბ. არასწორად მოიქცა, რადგან პნევმატური იარაღი არის კანონით გათვალისწინებული წესით ნებადართული და მოწმეს ჰქონდა მისი მიღების უფლება;

გ. სწორად მოიქცა, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს პროცესისი მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების ისეთ სახეს, რომელსაც მოწმე ითხოვდა; (მუხლი 68, ნაწ.3)

დ. სწორად მოიქცა, რადგან პროკურორმა მეტი საფრთხე აიცილა ვიდრე მოწმეს შეიძლებოდა რომ პროცესის მსვლელობისას წარმოშობოდა.

121. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

ა. შუამდგომლობა ჩამოყალიბებული უნდა იყოს ზეპირი ფორმით:

ბ. შუამდგომლობა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი; (მუხლი 93, ნაწ. 2)

გ. შუამდგომლობა შეიძლება წარმოდგენილი/გაცხადებული იყო როგორს ზეპირი ისე ვიდეო ან აუდიო სახითაც;

დ. შუამდგომლობა შეიძლება წარმოდგენილი/გაცხადებული იყო როგორც წერილობითი და ზეპირი ისე ვიდეო ან აუდიო სახითაც.

122. სასამართლოს პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ გამოაქვს:

ა. ბრძანება;

ბ. განკარგულება; (მული 85)

გ. განაჩენი;

დ. დადგენილება.

123. საპროცესო ხარჯებს არ წარმოადგენს:

ა. ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯი;

ბ. ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხარჯი;

გ. ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯი;

დ. სამოქალაქო მოსარჩელის წარმომადგენლის ხარჯი. (მუხლი 90, ნაწ.1)

124. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. თუ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნა საფუძვლიანია და ეხება საქმეს იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ მისი მოტივაცია სცილდება სისხლის სამართლის საქმის გარემოებებს – უარი უნდა ითქვას მის დაკმაყოფილებაზე;

ბ. თუ შუამდგომლობა წერილობითი სახით არის და მასში გადმოცემულია ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი შეფასება და მოთხოვნა იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ მას არ გააჩნია ერთ ერთი მაინც – უარი უნდა ითქვას მის დაკმაყოფილებაზე;

გ. თუ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნა პროცესის მწარმოებელი ორგანოსგან ან/და მხარისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუსრულებადია – უარი უნდა ითქვას მის დაკმაყოფილებაზე;

დ. თუ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხვოვნის შესრულება ხელს უწყობს სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების განხორციელებას, იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ შუამდგომლობა მიმართულია სისხლის სამართლის პროცესის გაჭიანურებისაკენ ან მისთვის ხელის შეშლისაკენ – უარი უნდა ითქვას მის დაკმაყოფილებაზე. (მუხლი 94, ნაწ. 1)

125. რა ვადებშია შესაძლებელი საჩივრის შეტანა პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოქმედების/უმოქმედობის გამო?

ა. 5 დღეში;

ბ. საჩივრის შეტანა შეიძლება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. (მუხლი 95, ნაწ. 5)

გ. 10 დღეში;

დ. 15 დღეში იმ მომენტიდან როდესაც მხარისთვის ცნობილი გახდა პროცესის მწარმოებელი ორგანოს მოქმედების/უმოქმედობის შესახებ;

126. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელი არ არის დაცვის ღონისძიების გამოყენებისათვის შუამდგომლობის აღძვრის საფუძველი?

ა. განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვაც თავისი ბუნებით არსებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;

ბ. პროცესიი ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას;

გ. პროცესის მონაწილე დამოკიდებულია დაზარალებულზე; (მუხლი 67)

დ. პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე;

127. დასაბუთებული ვარაუდი არის:

ა. ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადე-

ნა, კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებათა სტანდარტი. (მუხლი 3, ნაწ. 11)

ბ. წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დამაკმაყოფილებელია სხდომის მოსამართლისათვის, რათა ვარაუდის მაღალი ხარისხით იქნეს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

გ. როგორც მოსამართლის ასევე ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის ერთ ერთი საფუძველი;

დ. სასამართლოს მიერ გაამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

128. სავალდებულოა თუ არა პროკურორის მონაწილეობა სასამართლის მიერ სისხლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების, გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას?

ა.სავალდებულოა (სსსკ-ის 33-ე მ. ნაწ. 4)

ბ.არ არის სავალდებულო

გ.დამოკიდებულია პროკურორის სურვილზე

დ.დამოკიდებულია მოსამართლის განკარგულებაზე

129.მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა.კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგით გამოყენება თუ ამით არ ილახება ადამიანის უფლებები (სსსკ-ის მე-2 მუხლის ნაწ.3)

ბ.კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგით გამოყენება თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს სასამართლო

გ. კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგით გამოყენება თუ ეს ემსახურება საჯარო ინტერესებს

დ.კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგით გამოყენება არ დაიშვება

130. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი პროცესის მწარმოებელ ორგანოს წარუდგენს ადვოკატთა კოლეგიის ორდერს

ბ. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი პროცესის მწარმოებელ ორგანოს წარუდგენს პირადობის მოწმობას

გ. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი პროცესის მწარმოებელ ორგანოს წარუდგენს ორდერს და თავის მოწმობას (სსსკ-ის 44-ე მუხლის ნაწ. 2)

დ. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატი პროცესის მწარმოებელ ორგანოს წარუდგენს კლიენტთან შეთანხმების ასლს

131. რამდენ ხანში განიხილავს პროკურორი გამოძიებისას გამომძიებლის მიმართ განცხადებულ აცილების საკითხს?
ა. 72 საათში
ბ. ერთ კვირაში
გ. 24 საათში (სსსკ-ის 64-ე მუხლის ნაწ.3)
დ. 48 საათში

132. სასამართლო გადაწყვეტილება არის:
ა. სასამართლოს (მოსამართლის) განაჩენი, განჩინება, განკარგულება (სსსკ-ის მე-3 მუხლი)
ბ. სასამართლოს ბრძანება
გ. პროკურორის დადგენილება
დ. გამომძიებლის დადგენილება

133. სასამართლო აქტს არ მიეკუთვნება:
ა. განკარგულება
ბ. წარდგინება (სსსკ-ის მე-3 მუხლი)
გ. განჩინება
დ. განაჩენი

134. კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება, თუ:
ა. ამით არ ილახება სახელმწიფოს უფლებები
ბ. ამით არ ილახება საზოგადოების ინტერესები
გ. ამით არ ილახება ადამიანის უფლებები და თავისუფლებები (სსსკ-ის მე-2 მუხლი)
დ. ამით არ ილახება მოქალაქეთა უფლებები

135. ბრალდების მხარე არის:
ა. პროკურორი (სსსკ-ის მე-3 მუხლი)
ბ. დაზარალებული
გ. მოწმე
დ.სასამართლო სხდომის მდივანი

136. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნების შინაარსში არ შედის:
ა. ბრალდებულს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე

ბ. ყველას აქვს უფლება ამტკიცოს თავის უდანაშაულობა (სსსკ-ის მე-5 მუხლი)
გ. არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა
დ. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს

137. სისხლის სამართლის პროცესში რომელი მონაწილის აცილების საკითხი არ წყდება?
ა. პროკურორის
ბ. გამომძიებლის
გ. მოწმის და დაზარალებულის (სსსკ-ის მუხლები 59,60, 61)
დ. მოსამართლის

138. რა სახის დოკუმენტი გამოაქვს აცილების საკითხზე გამომძიებელს და პროკურორს?
ა. განჩინება
ბ. დადგენილება (სსსკ-ის 64-ე მუხლის ნაწ. 4)
გ. მიმართვა
დ. ბრძანება

139. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, სასამართლო გადაწყვეტილებას არ მიეკუთვნება:
ა. ბრძანება (სსსკ-ის მე-3 მუხლი)
ბ. განკარგულება
გ. განჩინება
დ. განაჩენი

140. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ბრალდებული არის პირი:
ა. რომლის მიმართაც მიმდინარეობს სასამართლო განხილვა
ბ. რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული დანაშაული (სსსკ-ის მე-3 მუხლი)
გ. რომლის მიმართაც დაიწყო გამოძიება
დ. რომლის მიმართაც შეტანილია საჩივარი

141. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
იძულებით დაცვა გამოიყენება, როდესაც ბრალდებულს:
ა. არ შესრულებია 20 წელი
ბ. შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 20 წლამდე ვადით
გ. როდესაც ბრალდებულთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე (სსსკ-ის 45-ე მუხლის „ვ“ პუნქტი)

დ. როდესაც მას ჰყავს არასრულწლოვანი შვილები

142. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე მონაწილეობისათვის პროცესის მწარმოებელ ორგანოს წარუდგენს:
ა. მოწმობას
ბ. პასპორტს
გ. ხელშეკრულებას ან ორდერს
დ. ორდერს და თავის მოწმობას (სსსკ-ის 44-ე მუხლის ნაწ.2)

143. წაყენებული ბრალდების ამა თუ იმ ნაწილში სს დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანის უფლება აქვს:
ა. მხოლოდ პროკურორს (სსსკ-ის 33-ე მუხლის „ზ“ პუნქტი)
ბ. პროკურორის თანხმობით გამომძიებელს
გ. მხოლოდ გამომძიებელს
დ. საგამოძიებო ორგანოს უფროსს

144. პროკურორი უფლებამოსილი არ არის:
ა. მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში
ბ. აწარმოოს გამოძიება სრული მოცულობით
გ. საქმე ჩამოართვას ერთ გამომძიებელს და გადასცეს მეორეს
დ. გამომძიებლის ნაცვლად ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება (სსსკ-ის 33-ე მუხლის ნაწ. 6)

145. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ღამის დრო არის:
ა. 12 საათიდან 6 საათამდე
ბ. 9 საათიდან 20 საათამდე
გ. 22 საათიდან 10 საათამდე
დ. 22 საათიდან 6 საათამდე (სსსკ-ის მე-3 მუხლი)

146. სს საქმის დამთავრებამდე გამომძიებელმა მესაკუთრეს დაუბრუნა მალეფუჭებადი საგნები, რომელიც იყო ნივთიერი მტკიცებულება.
ჰქონდა თუ არა გამომძიებელს ამის უფლება?
ა. დიახ, ჰქონდა (სსსკ-ის მე-80 მუხლის ნაწ.1)
ბ. არა, პროცესის დამთავრებამდე არ ჰქონდა
გ. არა, გამომძიებელს უნდა მიემართა სასამართლოსათვის
დ. დიახ, გამომძიებელი ნივთიერ მტკიცებულებას არ ინახავს

147. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
განაჩენი დგინდება:
ა. ბრალდებულისთვის გასაგებ ენაზე
ბ. ქართულ ენაზე (სსსკ-ის მე-11 მუხლი)
გ. პროცესის მონაწილეთა ენაზე
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი

148. შეიძლება თუ არა დოკუმენტი იმავდროულად იყოს სს საქმეზე ნივთიერი მტკიცებულება?
ა. არცერთ შემთხვევაში
ბ. ყველა შემთხვევაში
გ. თუ მას შეუნაცვლებლობის თვისება აქვს (სსსკ-ის 78-ე მუხლის ნაწ. 2)
დ. თუ ის მიღებულია კანონით გათვალისწინებული წყაროდან

149. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
გამოძიების ადგილი არის:
ა. საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის განთავსების ადგილი (სსსკ-ის მე-3 მუხლი პუნქტი 26)
ბ. დანაშაულის ჩადენის ადგილი
გ. გამოძიების დაწყების ადგილი
დ. ბრალდებულის საცხოვრებელი ადგილი

150. წაყენებული ბრალდების ამა თუ იმ ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანის უფლება აქვს:
ა. მხოლოდ პროკურორს. (სსსკ-ის 33-ე მუხლი პუნქტი „ზ")
ბ. პროკურორს ან პროკურორის თანხმობით – გამომძიებელს.
გ. მხოლოდ გამომძიებელს.
დ. მხოლოდ გამომძიებელს – საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელის თანხმობით.

151. საქმის გამოძიებისას ბრალდებული, რომლისგანაც გამომძიებელს ნივთმტკიცებად ამოღებული და საქმეზე დართული ჰქონდა მატერიალური ღირებულების მქონე ნივთი – მობილური ტელეფონი, უეცრად გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით, გამომძიებელმა მის მიმართ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის გარდაცვალების გამო, რაც ეცნობა ბრალდებულის მეუღლეს. ამის შემდეგ, ბრალდებულის მეუღლემ გამომძიებლისაგან მოითხოვა ზემოხსენებული მობილური ტელეფონის დაბრუნება, რაც გამომძიებელმა დადგენილებით დააკმაყოფილა.სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?
ა. დიახ, სწორია. (სსსკ-ის 81-ე მუხლი)
ბ. არა, არ არის სწორი, რადგან, გამოძიების სტადიაზე საქმის შეწყვეტისას, მატერიალური ღირებულების მქონე ნივთმტკიცების გადაცემა ხდება მხოლოდ მოსამართლის დადგენილების საფუძველზე.

გ. არა, არ არის სწორი, რადგან, გამოძიების სტადიაზე საქმის შეწყვეტისას, მატერიალური ღირებულების მქონე ნივთმტკიცების გადაცემა ხდება მხოლოდ პროკურორის დადგენილების საფუძველზე.

დ. არა, არ არის სწორი, რადგან, გამოძიების სტადიაზე საქმის შეწყვეტისას, მატერიალური ღირებულების მქონე ნივთმტკიცების გადაცემა ხდება გამომძიებლის დადგენილებით, ოღონდ პროკურორის აუცილებელი წერილობითი თანხმობით.

152. საქართველოს მოქალაქე, რომელიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობს:

ა. ყველა შემთხვევაში ექვემდებარება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას.

ბ. არც ერთ შემთხვევაში არ ექვემდებარება საქართველოს სისიხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას.

გ. ექვემდებარება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას, თუ ნებაყოფლობით არ დათანხმდა ადგილსამყოფელი ქვეყნის იურისდიქციაზე. (სსსკ-ის მე-2 მუხლი ნაწ. 7)

დ. ყველა შემთხვევაში ექვემდებარება ადგილსამყოფელი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის იურისდიქციას.

153. რაიონული სასამართლოს სხდომაზე პროცესის ჩაშლისაკენ მიმართული მოქმედებების გამო, სხდომის თავმჯდომარის (კერძოდ, მაგისტრატი მოსამართლის) მითითებით, მანდატურმა სათანადო ოქმის შედგენით დააკავა პირი — სხდომაზე დამსწრე მოქალაქე. ვინ არის უფლებამოსილი განიხილოს საკითხი აღნიშნული პირისთვის 30 დღემდე პატიმრობის შეფარდების შესახებ?

ა. ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე.

ბ. თვითონ ეს მაგისტრატი მოსამართლე.

გ. იმ რაიონული სასამართლოს უხუცესი მოსამართლე, რომლის შემადგენლობაშიცაა ეს მაგისტრატი მოსამართლე.

დ. იმ რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, რომლის შემადგენლობაშიცაა ეს მაგისტრატი მოსამართლე. (სსსკ-ის 85-ე მუხლის ნაწ. 9)

154. სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლის (სხდომის თავმჯდომარის) მითითებით, მოსამართლის, მხარეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა მიმართ აშკარა და უხეში უპატივცემულობის გამოხატვის გამო, მანდატურმა დააკავა სხდომის ერთ-ერთი დამსწრე პირი — სათანადო ოქმის შედგენით. ვინაიდან ეს მოხდა შაბათს, დღის ბოლოს, მანდატურმა დაკავებული პირი სიღნაღის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს წარუდგინა უახლოეს ორშაბათს, დილის 1000 საათზე. ვინაიდან სასამართლოს თავმჯდომარე რთული და გახმაურებული საქმის განხილვით იყო დაკავებული, მან დაკავებული პირის მიმართ პატიმრობის გამოყენების საკითხი განიხილა მეორე დღეს, სამშაბათს, 1800 საათზე.

კანონიერია თუ არა მანდატურის და რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოქმედებები საპროცესო ვადების დაცვის თვალსაზრისით?

ა. დიახ, კანონიერია.

ბ. არა, არ არის კანონიერი, რადგან მანდატურს დაკავებული პირი სასამართლოს თავმჯდომარისთვის უნდა წარედგინა არა უგვიანეს 24 საათისა, ხოლო ამ უკანასკნელს ამ პირის საკითხი უნდა განეხილა დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა. (სსსკ-ის 85-ე მუხლის ნაწ. 13)

გ. დიახ, კანონიერია, რადგან დაკავებული პირი სასამართლოს უნდა წარდგენოდა არა უგვიანეს 48 საათისა, ხოლო ამ უკანასკნელს საკითხი უნდა განეხილა არა უგვიანეს 72 საათისა

დ. მანდატურის მოქმედება კანონიერია, რადგან ამ პირის დაკავება მოხდა დღის ბოლოს, მეორე დღე იყო კვირა, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარე მუშაობას იწყებდა სწორედ ორშაბათს, 1000 საათზე. სასამართლოს თავმჯდომარის მოქმედება კი უკანონოა, რადგან მას დაკავებულის მიმართ დაპატიმრების გამოყენების საკითხი უნდა განეხილა არა უგვიანეს 12 საათისა.

155. ამ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილია:

ა. გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება.

ბ. უარი უთხრას ქვემდგომ პროკურორს გადაწყვეტილების გადასინჯვაზე. (სსსკ-ის 33-ე მუხლი ნაწ. 3)

გ. შეიტანოს ცვლილება ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილებაში.

დ. შეცვალოს ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება ახლით.

156. ბრალდებულმა, რომელსაც ბრალად ედებოდა ორი პირის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, რისთვისაც სასჯელად შეიძლება დაინიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა, უარი განაცხადა დამცველზე, ამასთან, მიუთითა, რომ, როგორც იურისტის დიპლომის მქონე პირი, კარგად ერკვეოდა კანონმდებლობაში და თვითონვე დაიცავდა თავის ინტერესებს სასამართლოში. სასამართლომ უარი მიიღო და განაგრძო საქმის განხილვა განსასჯელის დამცველის მონაწილეობის გარეშე. სწორია თუ არა სასამართლოს მოქმედება?

ა. არა, რადგან ბრალდებულმა, მოცემულ შემთხვევაში, დამცველზე თვითონვე კატეგორიულად თქვა უარი და, ამასთან, როგორც იურისტს, თვითონვე შეეძლო საკუთარი ინტერესების დაცვა.

ბ. დიახ, რადგან, ამ შემთხვევაში, სასამართლოს უფლება არ ჰქონდა ბრალდებულისათვის მისი ნების წინააღმდეგ დაენიშნა დამცველი სახელმწიფოს ხარჯზე.

გ. არა, რადგან, ამ შემთხვევაში, სასამართლოს უფლება არ ჰქონდა მიეღო უარი ბრალდებულისათვის დამცველის დანიშვნაზე. (სსსკ-ის 45-ე მუხლის პუნქტი "ე")

დ. არა, რადგან, ამ შემთხვევაში, სასამართლომ კვლავ უნდა სცადოს ბრალდებულთან შეთანხმება და, მისი დარწმუნების გზით, დაუნიშნოს მას დამცველი რაიმე წესით.

157. ბრალდებულის დეკოკატმა სასამართლო სხდომაზე ბრალმდებელს განუცხადა აცილება იმ მოტივით, რომ იგი ამავე საქმეზე, გამოძიების პროცესში, მონაწილეობდა როგორც საპროცესო ხელმძღვანელი.

სწორია თუ არა აცილება?

ა. სწორია, რადგან პროკურორი ასეთ შემთხვევაში ვერ იქნება ობიექტური მისი ხელმძღვანელობით გამოძიებული საქმის განხილვისას.

ბ.არ არის სწორი, რადგან პროკურორის მიერ თავისი ფუნქციების განხორციელება სამართალწარმოების არც ერთ სტადიაზე არ აბრკოლებს ამ საქმეში მის შემდგომ მონაწილეობას. (სსსკ-ის 95-ე მუხლის ნაწ. 5)

გ.სწორია, რადგან ამგვარ საქმეზე ბრალდებას მხარი უნდა დაუჭიროს ზემდგომმა პროკურორმა, ან მის მიერ დანიშნულმა სხვა რომელიმე პროკურორმა.

დ. სწორია, რადგან გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი არ შეიძლება თვითონვე ახორციელებდეს ბრალდების მხარდაჭერას სასამართლოში საქმის განხილვისას.

158. თუ გამომძიებელი დაადგენს, რომ მისთვის გადაცემული სისხლის სამართლის საქმე არ განეკუთვნება მის საგამოძიებო ქვემდებარეობას, იგი ვალდებულია:

ა. ჩაატაროს წინასწარი გამოძიება სრულად და საქმე გადასცეს პროკურორს, ქვემდებარეობისამებრ წარსამართავად.

ბ. ჩაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებანი და საქმე გადასცეს შემდგომი გამოძიებისათვის იმ საგამოძიებო ორგანოს, რომელსაც ექვემდებარება ეს საქმე.

გ. ჩაატაროს ძირითადი საგამოძიებო მოქმედებანი და საქმე გადასცეს შემდგომი გამოძიებისათვის შესაბამის საგამოძიებო ორგანოს, ქვემდებარეობისამებრ.

დ. ჩაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებანი და საქმე გადასცეს პროკურორს, ქვემდებარეობის მიხედვით წარმართვისათვის.

159. ერთ წარმოებაში რამდენიმე ბრალდების (ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ) გაერთიანებისას, საქმეს იძიებს გამომძიებელი:

ა. რომელიც იძიებდა უფრო მეტი პირის ბრალდების საქმეს.

ბ. რომელიც იძიებდა საქმეს უფრო მძიმე დანაშაულის თაობაზე.

გ. რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება საქმე უფრო მძიმე დანაშაულის თაობაზე.

დ. რომლის საგამოძიებო ქვემდებარეობასაც განეკუთვნება უფრო ადრე დაწყებული საქმე რომელიმე დანაშაულის თაობაზე.

160. სასამართლოს სხდომაზე, პროცესის ჩაშლისაკენ მიმართული მოქმედებების გამო, დაკავებულ პირს დაპატიმრება შეეფარდება

ა. 60 დღე-ღამით.

ბ. 15 დღე-ღამემდე ვადით.

გ. 30 დღე-ღამემდე ვადით. (სსსკ-ის 85-ე მუხლის ნაწ.7)
დ. 7 დღე-ღამით.

161. გამომძიებელმა, რომელიც აწარმოებდა სისხლის სამართლის საქმეს, ამ საქმეზე პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის მშობლებს, პროკურორთან შეთანხმებით, გაუწია რეკომენდაცია, რომ დამცველად აეყვანათ კვალიფიციური ადვოკატი.

სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. დიახ, სწორია, რადგან რეკომენდაციის გაწევა არ წარმოადგენს რაიმე იძულებით ღონისძიებას, არამედე ამ შემთხვევაში, ატარებს კანონიერი დახმარების ხასიათს.

ბ. დიახ, სწორია, რადგან ამგვარი რეკომენდაციის გაწევა მოხდა პროკურორთან შეთანხმებით.

გ. არ არის, სწორი, რადგან პროცესის მწარმოებელს არა აქვს ამგვარი რეკომენდაციის გაწევის უფლება. (სსსკ-ის 41-ე მუხლი)

დ. არ არის სწორი, რადგან ამგვარი რეკომენდაციის გაწევა უნდა მომხდარიყო ბრალდების მხარესთან – პროკურორთან შეთანხმების გარეშე, ვინაიდან გამომძიებელი არის ნეიტრალური პირი.

162. თერჯოლის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, პროკურორის მოთხოვნით, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით, გამოიტანა დასაბუთებული დადგენილება მთლიანად დახურული სასამართლო სხდომის ჩატარების შესახებ. შემდგომში მხარეებს არ დაუყენებიათ შუამდგომლობა დადგენილების გაუქმებისა და ღია სასამართლო სხდომის ჩატარების შესახებ და მოსამართლემ ამავე დახურულ სასამართლო სხდომაზე გამოაცხადა გამამართლებელი განაჩენი. კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. დიახ, რადგან მოსამართლემ გამოიტანა დასაბუთებული და კანონიერი დადგენილება.

ბ. არა, რადგან სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით სხდომის მთლიანად დახურულად გამოცხადება დაუშვებელია.

გ. არა, რადგან სასამართლო განაჩენი, განჩინება, დადგენილება ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ ცხადდება. (სსსკ-ის მე-10 მუხლი)

დ. დიახ, რადგან მხარეებს არ დაუყენებიათ შუამდგომლობა დადგენილების გაუქმების შესახებ.

163. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის სწორი? კანონში კონკრეტულად მითითებულ გარემოებათა არარსებობის არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მოწმედ გამოიძახონ და დაკითხონ:

ა. ჟურნალისტი.

ბ. სამედიცინო მუშაკი. (სსსკ-ის 50-ე მუხლი)

გ. ადვოკატი, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევს პირს.

დ. იმ პირის წარმომადგენელი, რომლის მიმართაც გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

164. რაიონული სასამართლოს სხდომაზე, მოსამართლის (სხდომის თავმჯდომარის) მიმართ აშკარა უპატივცემლობის გამოხატვის გამო, პირის მიმართ შეფარდებული დაპატიმრება საჩივრდება:

ა. ამავე მოსამართლესთან.

ბ. ამავე სასამართლოს თავმჯდომარესთან.

გ. ზემდგომი (სააპელაციო) სასამართლოს თავმჯდომარესთან. (სსსკ-ის 85-ე მუხლის ნაწ. 16)

დ. ზემდგომი (სააპელაციო) სასამრთლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

165. ალიევა დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შენახვისათვის. მან ბრალდებულის სახით დაკითხვისას განაცხადა, რომ არ ფლობდა სამართალწარმოების ენას და მოითხოვა თარჯიმნის მომსახურება. ამავე დროს მან უარი განაცხადა ადვოკატზე, რადგან მას ჰქონდა უმაღლესი იურიდიული განათლება და თავს თვითონ დაიცავდა. გამომძიებელმა ალიევა დაკითხა თარჯიმნის მონაწილეობით. სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. გამომძიებლის მოქმედება სწორია, რადგან როდესაც ბრალდებულმა არ იცის სამართალწარმოების ენა, მის დაკითხვაში აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს თარჯიმანი, ხოლო ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულო არ არის.

ბ. გამომძიებლის მოქმედება არ არის სწორი, რადგან თუ ბრალდებულმა არ იცის სამართალწარმოების ენა, იგი უნდა დაიკითხოს თარჯიმნის და ადვოკატის მონაწილეობით. (სსსკ-ის 45-ე მუხლი პუნქტი "პ")

გ. გამომძიებლის მოქმედება სწორია, რადგან თუ ბრალდებულს არ სურს ადვოკატის მონაწილეობა დაკითხვაში, მისი მოწვევა სავალდებულო არ არის, მიუხედავად იმისა, იცის თუ არა მან სამართალწარმოების ენა.

დ. გამომძიებლის მოქმედება არ არის სწორი, რადგან ბრალდებულის დაკითხვა ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებლად უნდა ესწრებოდეს ადვოკატი.

166. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

დაკავებულს ბრალდება უნდა წარედგინოს არა უგვიანეს:

ა. 12 საათისა.

ბ. 48საათისა (სსსკ-ის 74-ე მუხლის ნაწ. 5)

გ. 24საათისა.

დ. დაკავებისას

167. სასამართლო სხდომაზე იხილებოდა შაორშაძის ბრალდების საქმე, რომელსაც იცავდა სამი ადვოკატი. ბრალდებას მხარს უჭერდნენ პროკურორები: ასათიანი და ვერულიძე. პროცესის მსვლელობისას, ბრალდებულის ადვოკატმა ღუდუშაურმა და პროკურორმა ვერულიძემ, ერთმანეთს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხოფა, რის გამოც, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით, ისინი გაძევებულ იქნენ. ამის შემდეგ საქმის განხილვა გაგრძელდა და შაორშაძის მიმართ დადგინდა გამამტყუნებელი განაჩენი. შეაფასეთ სხდომის თავმჯდომრის მოქმედება.

ა. სხდომის თავმჯდომარს მოქმედება უკანონოა, რადგან მას არ ჰქონდა უფლება გაეძევებინა პროკურორი და ადვოკატი.

ბ. უკანონოა, რადგან ამ შემთხვევაში, პროკურორის და ადვოკატის გაძევების გამო მას საქმის განხილვა უნდა გადაედო სხვა დროისათვის.

გ. კანონიერია, რადგან თუ სასამართლოს გადაწყვეტილება, გაძევების შესახებ, ეხება ბრალდებულს, ან ადვოკატს, საქმის მოსმენა გადაიდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ერთი პირის ბრალდებას ან დაცვას თავიდანვე ახორციელებდა რამდენიმე ბრალდებული ან რამდენიმე ადვოკატი. (სსსკ-ის 85-ე მუხლის ნაწ. 3)

დ. კანონიერია, რადგან პროკურორის და დამცველის გაძევება, არც ერთ შემთხვევაში, არ შეიძლება გახდეს საქმის განხილვის გადადების საფუძველი.

168. ჭელიძე, მისი ბრალდების საქმის სასამართლო განხილვის დროს, არ ცხადდებოდა სასამართლოში არასაპატიო მიზეზით. მოსამართლემ განსასჯელს, წინასწარ გამოძიებაში შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო, შეუცვალა პატიმრობით, თუმცა ამის წინააღმდეგი იყო ბრალდების მხარე (პროკურორი). კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. მოსამართლის მოქმედება უკანონოა, რადგან მას ჯერ უნდა გამოეტანა განჩინება, განსასჯელის იძულების წესით მოყვანის შესახებ და შემდეგ შეეცვალა შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება, უფრო მკაცრით.

ბ. კანონიერია, რადგან თუ ბრალდებული არღვევს შერჩეულ აღკვეთის ღონისძიებას, მოსამართლეს უფლება აქვს, თავისი შეხედულებისამებრ შეუცვალოს შერჩეული აღკვეთის ღონისძიება უფრო მკაცრით.

გ. უკანონოა, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს, თავისი განჩინებით, საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე, მხოლოდ ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეუძლია შეცვალოს აღკვეთის ღონისძიება უფრო მკაცრით. (სსსკ-ის 33-ე მუხლის პუნქტი "ე")

დ. კანონიერია, რადგან ამ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო მხარეთა პოზიციებით არ არის შეზღუდული და გადაწყვეტილებას იღებს პირადი რწმენით.

169. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმის ერთპიროვნულად განხილვის დროს, ვის აქვს მოსამართლის აცილების საკითხის გადაწყვეტის უფლება?

ა. მხარეთა შუამდგომლობით, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეებს.

ბ. ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

გ. პროკურორის შუამდგომლობით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

დ. თვითონ საქმის განმხილველ მოსამართლეს. (სსსკ-ის 64-ე მუხლის ნაწ. 2, პუნქტი "ა")

170. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ახლო ნათესავად არ ითვლება:

ა.შვილობილი.

ბ.შვილიშვილი.
გ. ქვისლი. (სსსკ-ის მე-3 მუხლი ნაწ.2)
დ. დისშვილი.

171. ს. ნიორაძის მკვლელობის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულის უფლებების მინიჭება ერთდროულად მოითხოვეს გარდაცვლილის დედამ, მამამ და ძმამ. გამომძიებელმა დადგენილებით დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნო გარდაცვლილის დედა, რომელიც პრეტენდენტებს შორის ასაკით ყველაზე უფროსი იყო. სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. სწორია, რადგან ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობილი უნდა იქნეს მათ შორის ასაკით ყველაზე უფროსი.

ბ. არ არის სწორი, რადგან ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში, დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება წილისყრით. (სსსკ-ის 56-ე მუხლის ნაწ. 3)

გ. არ არის სწორი, რადგან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს.

დ. სწორია, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში უპირატესი უფლებით სარგებლობს გარდაცვლილის დედა.

172. გამომძიებელმა, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების წარმოებისას, როგორც დანაშაულის თვითმხილველი, მოწმედ დაკითხა მამა დავითი (სასულიერო პირი). სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. სწორია, რადგან სასულიერო პირი მოწმედ უნდა დაიკითხოს ნებისმიერ შემთხვევაში.

ბ. არ არის სწორი, რადგან მოწმედ შეიძლება დაიკითხოს სასულიერო პირი, ოღონდ ამისათვის აუცილებელია საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წინასწარი თანხმობა.

გ. სწორია, რადგან მოწმედ შეიძლება დაიკითხოს სასულიერო პირი, გარდა იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად. (სსსკ-ის 50-ე მუხლის ნაწ. 1 პუნქტი "გ")

დ. არ არის სწორი, რადგან არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს სასულიერო პირი.

173. სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებს:

ა. გამოძიების დაწყების მომენტში.

ბ. მხოლოდ წინასწარი გამოძიების დროს.

გ. მხოლოდ სასამართლოს განხილვის დროს.

დ. გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. (სსსკ-ის მე-2 მუხლი ნაწ. 1)

174. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. კანონმდებლობაში ხარვეზების არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ ილახება სისხლის სამართლის პროცესის ინტერესები.

ბ. კანონმდებლობაში ხარვეზების არსებობისას სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება დაუშვებელია.

გ. კანონმდებლობაში ხარვეზების არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ ილახება ადამიანის უფლებები. (სსსკ-ის მე-2 მუხლი ნაწ. 3)

დ. ყველა შემთხვევაში, კანონმდებლობაში ხარვეზების არსებობისას, სისხლის სამართლის საპროცესო ანალოგიით გამოყენება სავალდებულოა.

175. სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას პროკურორმა გამომძიებელს დაავალა საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რომელსაც არ დაეთანხმა გამომძიებელი, დავალება უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია და ამის თაობაზე აცნობა წერილობით ზემდგომ პროკურორს. ზემდგომმა პროკურორმა გააუქმა ქვემდგომი პროკურორის მითითება. კანონიერია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. კანონიერია, რადგან ამ შემთხვევაში გამომძიებელს ქონდა ამგვარად მოქცევის უფლება. (სსსკ-ის 37-ე მუხლის ნაწ. 3)

ბ. უკანონოა, რადგან ამ შემთხვევაში გამომძიებელს არა აქვს უფლება თავისი მოსაზრება აცნობოს პროკურორს.

გ. უკანონოა, რადგან ამ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გამომძიებელთა ჯგუფის უფროსი.

დ. კანონიერია, რადგან ყველა შემთხვევაში გამომძიებელი ვალდებულია თავისი მოსაზრებას აცნობოს ზემდგომ პროკურორს.

176. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გაასაჩივრონ ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, დამცველმა, დაზარალებულმა, მისმა წარმომადგენელმა, სამოქალაქო მოსარჩელემ, სამოქალაქო მოპასუხემ და მათმა წარმომადგენლებმა დადგენილების ასლის მიღებიდან:

ა. 15 დღე-ღამის განმავლობაში.

ბ. 7 დღე-ღამის განმავლობაში.

გ. 1 თვეში.

დ. 10 დღე-ღამის განმავლობაში. (სსსკ-ის 95-ე მუხლის ნაწ. 6)

177. საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს განსახილველად დაეწერა სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოცემული იყო მისი ნათესავი. ამის გამო მან მიიჩნია, რომ არ ჰქონდა ამ სისხლის სამართლის საქმის განხილვის უფლება, რის გამოც წერილობით მიმართა სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს საქმის აცილების (ჩამოცილების) შესახებ. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნული შუა-

მდგომლობა არ დააკმაყოფილა და საქმე დაუბრუნა იმავე მოსამართლეს. კანონიერია თუ არა სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოქმედება?

ა. უკანონოა, რადგან აცილების საფუძველი აშკარა იყო და მას საქმე უნდა გაეგზავნა სხვა მოსამართლისათვის.

ბ. უკანონოა, რადგან სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს საკითხის (შუამდგომლობის) გადაწყვეტა უნდა დაევალებინა იმავე საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარისთვის.

გ. კანონიერია, რადგან სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს არ ჰქონდა ამ საკითხის გადაწყვეტის უფლება – აცილების (თვითაცილების) საკითხი უნდა გადაეწყვიტა თვითონ საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს, თავისი მოტივირებული განჩინებით. (სსსკ-ის 62-ე მუხლის ნაწ. 1)

დ. კანონიერია, რადგან საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს აცილების საფუძველს იმის გამო, რომ ბრალდებული იყო მხოლოდ ნათესავი და არა ახლო ნათესავი.

178. რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განსახილველად მიიღო სისხლის სამართლის საქმე მისი ნათესავის ბრალდების შესახებ. ამის გამო, მან შუამდგომლობით მიმართა ამავე სასამართლოს თავმჯდომარეს, აღ საქმის მისგან ჩამოცილების (აცილების) შესახებ. სწორია თუ არა მოსამართლის გადაწყვეტილება?

ა. სწორია.

ბ. არ არის სწორი, რადგან მას უნდა მიემართა შუამდგომლობით არა რაიონული სასამართლოს ვთავმჯდომარისათვის, არამედ სააპელაციო სასამართლოსათვის.

გ. არ არის სწორი, რადგან, ამ შემთხვევაში აცილების საფუძველია არა ნათესაობა, არამედ ახლო ნათესაობა.

დ. არ არის სწორი, რადგან, აცილების (თვითაცილების) საკითხი უნდა გადაეწყვიტა თვითონ მოსამართლეს, თავისი მოტივირებული განჩინებით. (სსსკ-ის 62-ე მუხლის ნაწ. 1)

179. რაიონული პროკურატურის გამომძიებელმა, რომელიც იძიებდა საქმეს არასრულწლოვნის მიმართ, ხულიგნობის ნიადაგზე ჩადენილი ჯგანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების თაობაზე, აღნიშნულ დანაშაულში ბრალდება წაუყენა 17 წლის არასრულწლოვანს. ამ უკანასკნელმა, ბრალდების წარდგენისას, უარი განაცხადა უკვე მოწვეული დამცველის მომსახურებაზე იმ მოტივით, რომ საქმე მარტივი იყო და მას დამცველი არ სჭირდებოდა – თვითონვე დაიცავდა თავის უფლებებს, მით უმეტეს, რომ მთლიანად აღიარებდა დანაშაულს. გამომძიებელმა მიიღო უარი და ბრალდებული დაკითხულ იქნა დამცველის მონაწილეობის გარეშე.

სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. არა, რადგან ეჭვმიტანილს ჩადენილი ჰქონდა მძიმე, განზრახი დანაშაული, ამასთან, არასრულწლოვნის მიმართ.

ბ. არა, რადგან გამომძიებელს, ამ შემთხვევაში, არ ჰქონდა უფლება მიეღო ბრალდებულის უარი დამცველზე, რადგან იგი იყო არასრულწლო-

ვანი და ექვემდებარებოდა იძულებით დაცვას. (სსსკ-ის 45-ე მუხლის პუნქტი"ა")

გ. დიახ, რადგან ბრალდებულს ბრალი არ ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში და, ამდენად, იგი იძულებით დაცვას არ ექვემდებარება.

დ. დიახ, რადგან არასრულწლოვანი ბრალდებული 16 წელს იყო გადაცილებული, აღიარებდა დანაშაულს და, ამასთან, ნებაყოფლობით აცხადებდა უარს დამცველზე.

180. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან,სისხლის სამართლის პროცესში გამოსაყენებელ სასამართლო აქტებს არ მიეკუთვნება :

ა.განკარგულება.

ბ. წარდგინება. (სსსკ-ის მე3 მუხლი)

გ. განჩინება

დ. განაჩენი

181. ქვემოთ მითითებულთაგან, რომელია არასწორი?

ორგანოს, რომელიც პროცესს ანარმოებს, უფლება არა აქვს მიიღოს ბრალდებულის უარი დამცველის დანიშვნაზე, თუ:

ა.ბრალდებულთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე.(სსსკ-ის 45-ე მუხლის პუნქტი "ვ")

ბ.ბრალდებული იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია.

გ.პროცესის მონაწილის მიმართ გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიება (გარდა ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიებისა).

დ. დაზარალებულის ან სამოქალაქო მოსარჩელის ინტერესებს იცავს მისი წარმომადგენელი.

182. სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულება დაშვებულად მიიჩნევა, თუ:

ა. მიღებულია იმ პირის მიერ, რომელიც უფლებამოსილია შეკრიბოს მტკიცებულებანი. (სსსკ-ის 73-ე მუხლის პუნქტი "ა")

ბ. მიღებულია კანონით გაუთვალისწინებელი წყაროდან.

გ. მიღებულია იმ პირისაგან, რომელმაც არ დაარღვია კანონი, შეუძლია მიუთითოს რა წყაროებიდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები.

დ. მიღებულია კანონით გათვალისწინებული წყაროდან.

183. სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს, ბრალდებულმა უ. გაჯიევმა განაცხადა, რომ სათანადოდ არ ესმის სამართალწარმოების ენა. სასამართლომ იმ დღეს ვერ უზრუნველყო ბრალდებული უ. გაჯიევი თარჯიმნით და სხდომა განაგრძო. რა დროსაც სხდომის თავმჯდომარემ თვითონ შეასრულა თარჯიმნის მოვალეობა.

კანონიერია თუ არა სხდომის თავმჯდომარის მოქმედება?

ა. უკანონოა, რადგან საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლეს უფლება არა აქვს შეასრულოს თარჯიმნის მოვალეობა. სასამართლოს უნდა გამოეტანა განჩინება თარჯიმნის გამოძახების შესახებ. (სსსკ-ის 53-ე მუხლის ნაწ. 1, პუნქტი "ა")

ბ. კანონიერია, რადგან საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ გადაუდებელ შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია შეასრულოს თარჯიმნის მოვალეობა, თუ მან იცის განსასჯელისთვის გასაგები ენა.

გ. უკანონოა, რადგან განსასჯელი თვითონ არის ვალდებული, უზრუნველყოს თავისი თავი თარჯიმნით.

დ. კანონიერია, რადგან განსასჯელმა არ იცის სამართალწარმოების ენა.

184. საქმის სასამართლოში განხილვის დროს დაზარალებულმა იშუამდგომლა აღკვეთის ღონისძიება გირაო ბრალდებულ მიქიასთვის შეეცვალათ დაპატიმრებით. სასამართლომ განიხილა და დააკმაყოფილა დაზარალებულის მოთხოვნა.

ჰქონდა თუ არა სასამართლოს უფლება დაზარალებულის მოთხოვნით შეეცვალა აღკვეთის ღონისძიების სახე უფრო მკაცრი ღონისძიებით?

ა. არა, არ ჰქონდა.

ბ. დიახ, ჰქონდა.

გ. არა, ამ მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს. (სსსკ-ის 33-ე მუხლის პუნქტი "ე")

დ. დიახ, სასამართლოს ამ მოთხოვნით შეიძლება მიმართოს როგორც ბრალდების მხარემ, ისე დაცვის მხარემაც.

185. გამოძიების დროს, არასრულწლოვანმა ბრალდებულმა ბერიძემ თავი ცნო დამნაშავედ და საქმის ირგვლივ მისცა განმარტებები, ხოლო ადვოკატის მონაწილეობაზე გამომძიებელს უარი განუცხადა. გამომძიებელმა სახელმწიფოს ხარჯზე დაუნიშნა დამცველი.

კანონიერია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. კანონიერია, რადგან გამომძიებელს უფლება არა აქვს მიიღოს არასრულწლოვან ბრალდებულის უარი დამცველზე. (სსსკ-ის 45-ე მუხლის პუნქტი "ა")

ბ. უკანონოა, რადგან სისხლის სამართლის საქმეში დამცველის მონაწილეობა, დასაშვებია მხოლოდ შეთანხმებით.

გ. უკანონოა, რადგან დამცველი სახელმწიფოს ხარჯზე ინიშნება პროკურორის, ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

დ. კანონიერია, რადგან გამომძიებელი უფლებამოსილია დანიშნოს დამცველი სახელმწიფოს ხარჯზე, თუ ბრალდებული აღიარებს და ცნობს თავს დამნაშავედ.

186. სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პატიმრობის გამოყენების შესახებ განკარგულება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს დაპატიმრებული პირის მიერ, მისთვის შესაბამისი განკარგულების ჩაბარებიდან:

ა. 12 საათის განმავლობაში.

ბ. 24 საათის განმავლობაში.

გ. 48 საათის განმავლობაში. (სსსკ-ის 85-ე მუხლის ნაწ.18)

დ. 72 საათის განმავლობაში.

187. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

დაზარალებულად პირის ცნობის თაობაზე ერთი დონის ახლო ნათესავებს შორის დავის შემთხვევაში, დაზარალებულის უფლებამონაცვლე განისაზღვრება:

ა. გამომძიებლის გადაწყვეტილებით.

ბ. პროკურორის გადაწყვეტილებით.

გ. წილისყრით.(სსსკ-ის 56-ე მუხლის ნაწ.3)

დ. მონაცვლეობით.

189. ამ მოთხოვნათაგან რომელია არასწორი (ზედმეტი):

ექსტრადიციის მოთხოვნა უცხო სახელმწიფოს მოქალაქის მიმართ:

ა. შეიძლება გადაიცეს ტექნიკური საშუალების გამოყენებით, შემდეგ კი დადასტურდეს წერილობით.

ბ. უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ხელსეკრულებით დადგენილ რეკვიზიტებს.

გ. უნდა მომდინარეობდეს კომპეტენტური ორგანოდან.

დ. ქმედება, რომელიც ექსტრადიციის მოთხოვნის საფუძველი იყო, არ უნდა ითვლებოდეს საქართველოში დანაშაულად. (სსსკ-ის 50-ე მუხლი ნაწ.1)

190. დაზარალებულმა მისცა ჩვენება გამოძიებას, სადაც ამხილა მისი შვილის მკვლელობაში ბობოხიძე, თუმცა დაზარალებულმა ვერ მიუთითა მოწოდებული ფაქტის წყარო. ჩაითვლება თუ არა ასეთი შეტყობინება მტკიცებულებად?

ა. დიახ, ყველა შემთხვევაში დაზარალებულის შეტყობინება მტკიცებულებაა.

ბ. არა, არ ჩაითვლება. (სსსკ-ის 76-ე მუხლის ნაწ. 2)

გ. დიახ, დაზარალებული არ არის ვალდებული მიუთითოს წყარო.

დ. არა, დაზარალებული დაინტერესებული მხარეა და მისი შეტყობინება არ არის მტკიცებულება.

191. მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა.სისხლის სამართალწარმოებისას გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებს, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. (სსსკ-ის მე-2 მუხლი ნაწ. 1)

ბ. სისხლის სამართალწარმოებისას გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებდა მოკვლევის დროს.

გ. სისხლის სამართალწარმოებისას გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც არ მოქმედებს, გამოძიების და სასამართლო განხილვის დროს.

დ. სისხლის სამართალწარმოებისას გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებდა დაკავების დროს.

192. სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილი ცვლილებები იწვევს წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის გაუქმების ან შეცვლას, თუ ამით:

ა. უარესდება ბრალდებულის მდგომარეობა.

ბ. უმჯობესდება ბრალდებულის ან მსჯავრდებულის მდგომარეობა. (სსსკ-ის მე-2 მუხლი ნაწ.2)

გ. უმჯობესდება დაზარალებულის მდგომარეობა.

დ. უარესდება მსჯავრდებულის მდგომარეობა.

193. ამ მსჯელობათაგან რომელია არასაწორი (მცდარი)?

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის თავმჯდომარესთან ერთჯერადად საჩივრდება განკარგულება დამრღვევის მიმართ პატიმრობის გამოყენების შესახებ, რომელიც გამოტანილ იქნა;

ა. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის მიერ. (სსსკ-ის 85-ე მუხლის ნაწ.18)

ბ. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

გ. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ.

დ. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის მიერ.

194. საქმის სასამართლოში განხილვისას დამსწრე პირი ჩავარდა ემოციაში და დაიწყო სასამართლოს, ადვოკატისა და მართლმსაჯულების ლანძღვა, ცდილობდა პროცესის ჩაშლას, გამოხატავდა აშკარა უპატივცემულობას სასამართლოსა და მხარეებისადმი, რის გამოც სასამართლო მანდატურმა დააკავა იგი, შეადგინა შესაბამისი ოქმი, ხოლო სხდომის თავმჯდომარემ შეადგინა მიმართვა, რომელშიც აღწერა დარღვევა და გაუგზავნა განკარგულების გამოტანაზე უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს). დაკავებული დამსწრე 10 საათში წარედგინა შესაბამის სასამართლოს, რომელმაც დაკავებული დააპატიმრა 25 დღით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისია თუ არა პროცედურა?

ა. არ არის კანონშესაბამისი, რადგან თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ ან იგი გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს, პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ, იმავე სხდომის თავმჯდომარეს უნდა დაეპატიმრებინა;

ბ. არ არის კანონშესაბამისი, რადგან თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ ან იგი გამოხატავს აშკარა ან/და

უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს, პროცესის მონაწილის ან მხარის მიმართ, სხდომის თავმჯდომარის მითითებით გამოიძახება პოლიცია, რომელიც უზურნველყოფს პირის დაკავებას და დაკავების ოქმის შედგენას, ამასთანავე პოლიციის მუშაკი ადგენს მიმართვას შესაბამისი რაიონის პროკურატურისადმი, რის შემდეგაც შუამდგომლობის სახით დაკავებული პირი დაუყონებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელსაც მიმართა შუამდგომლობით პროკურორმა და რომელიც უფლებამოსილი გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 30 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შესახებ;

გ. კანონშესაბამისია, რადგან თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ ან იგი გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს, პროცესის მონაწილი ან მხარის მიმართ, სხდომის თავმჯდომარის მითითებით სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს პირის დაკავებას და დაკაევების ოქმის შედგენას, ამასთანავე, სხდომის თავმჯდომარე ადგენს მიმართვას, რომელშიც აღწერს დარღვევას, და უგზავნის განკარგულების გამოტანაზე უფლებამოსილ სასამართლოს (მოსამართლეს). დაკავებული პირი დაუყონებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 24 საათისა, უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელსაც გაეგზავნა მიმართვა და რომელიც უფლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 30 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შესახებ. (სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-7 ნაწ.)

დ. კანონშესაბამისია, რადგან თუ სასამართლო სხდომაზე პირის ქმედება მიმართულია პროცესის ჩაშლისაკენ ან იგი გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას სასამართლოს, პროცესის მონაწილი ან მხარის მიმართ, სხდომის თავმჯდომარე ატყობინებს ქალაქის (რაიონის) პროკურორს, რომლის შუამდგომლობაც წარედგინება უფლებამოსილ სასამართლოს. სასამართლოში არაუგვიანეს 24 საათისა წარმოდგენილია კანონდამრღვევი პირი, რომლის მიმართაც სასამართლოს მიერ გამოიტანება განკარგუელება.

195. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. დაპატიმრების შესახებ განკარგულება საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის დაუყონებლივ შედის ძალაში. იგი შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოიყენებულ იქნა პატიმრობა, სათანადო წესით მისთვის განკარგულების ასლის ჩაბარებიდან 48 საათის ვადაში; (სსსკ-ის 85-ე მუხლის მე-16 ნაწ.)

ბ. დაპატიმრების შესახებ განკარგულება საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის დაუყონებლივ შედის ძალაში. იგი შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოიყენებულ იქნა პატიმრობა, სათანადო წესით მისთვის განკარგულების ასლის ჩაბარებიდან 24 საათის ვადაში;

გ. დაპატიმრების შესახებ განკარგულება საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის დაუყონებლივ შედის ძალაში და იგი არ საჩივრდება;

დ. დაპატიმრების შესახებ განკარგულება საპროცესო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და წესრიგის დარღვევისათვის დაუყონებლივ შედის ძალაში. იგი შეიძლება გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოიყენებულ იქნა პატიმ-

რობა, სათანადო წესით მისთვის განკარგულების ასლის ჩაბარებიდან 72 საათის ვადაში;

196. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?
საპროცესო ხარჯებია:
ა. ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ხარჯი;
ბ. ექსპერტის გამოცხადების და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი;
გ. ნივთიერი მტკიცებულების შენახვისაა და გადაგზავნის ხარჯი;
დ. დაზარალებულზე მიყენებული ზიანის ხარჯი. (სსსკ-ის 90-ე მუხლის 1-ლი ნაწ.)

197. ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?
ა. შუამდგომლობა წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით:
ბ. შუამდგომლობა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი; (მუხლი 93-ე, ნაწ.2)
გ. შუამდგომლობა შეიძლება წარმოდგენილი/გაცხადებული იყო როგორს ზეპირი ისე ვიდეო ან აუდიო სახითაც;
დ. შუამდგომლობა შეიძლება წარმოდგენილი/გაცხადებული იყო როგორც წერილობითი და ზეპირი ისე ვიდეო ან აუდიო სახითაც.

198. დაასრულეთ მსჯელობა
დასაბუთებული ვარაუდი არის:
ა. ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებათა სტანდარტი; (სსსკი-ს მუხლი მე-3, მე-11ნაწ.)
ბ. მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია იმ ვარაუდისათვის, რომ განისაზღვროს პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა;
გ. წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დამაკმაყოფილებელია სხდომის მოსამართლისათვის, რათა ვარაუდის მაღალი ხარისხით იქნეს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი;
დ. სასამართლოს მიერ გაამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

199. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი:
ა. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა და გამოიტანოს სამართლიანი განაჩენი.

ბ. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი სამართალდამცავი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

გ. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია ცნოს დამნაშავედ ან შეიწყალოს პირი, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე და გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

დ. სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. (სსსკ-ის მუხლი მე-19, 1-ლი ნაწ.)

200. დაასრულოთ მსჯელობა:

მაგისტრატი მოსამართლის განსჯადობისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების გამო საჩივარს ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში განიხილავს:

ა. საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია.

ბ. საქალაქო სასამართლოს სააპელაციო პალატა.

გ. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია. (სსსკ-ის მე-20 მუხლი, მე-3 ნაწ.)

დ. საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატა

თავი 10. გამოძიების საფუძვლები

10.1. გამოძიების დაწყების მოვალეობა და ინფორმაცია დანაშაულის შესახებ

საქართველოში დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, გათვალისწინებულია გამოძიების ინსტიტუტი, ე.ი. უფლებამოსილი პირის მიერ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, **რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.**

გამოძიების დაწყება წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის პირველ სტადიას.

ამ სტადიაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები ან თანამდებობის პირები იღებენ ინფორმაციას დანაშაულებრივი ქმედების (მომზადება, მცდელობა, დამთავრებული დანაშაული) შესახებ და იწყებენ გამოძიებას.

გამოძიების დაწყება არის პირველი და სავალდებულო სტადია სისხლის სამართლის პროცესის, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს სისხლის სამართლის საქმე. გამოძიების დაწყება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით წარმოადგენს სახელმწიფოს რეაგირების ფორმას.

გამოძიების დროული დაწყება წარმოადგენს გამოძიების წარმატებულად ჩატარების საშუალებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი წარმოებს "ცხელ კვალზე". და პირიქით, შემოსულ ინფორმაციაზე დაგვიანებულ რეაგირებას შეიძლება მოყვეს მტკიცებულებათა განადგურება და ხშირად გამოძიების წარუმატებლად ჩატარების საფუძველია.

საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან დაიწყონ გამოძიება. თუ გამოძიება დაიწყო გამომძიებელმა, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს. როგორც ზემოთ ვთქვით, გამოძიება არის უფლებამოსილი პირის მიერ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება.

საპროცესო კოდექსში აღნიშნულია, თუ ვის აქვს გამოძიების დაწყებისა და ჩატარების ექსკლუზიური კომპეტენცია-პროკურორს ან გამომძიებელს. გამომძიებლის და პროკურორის გარდა არც ერთ სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირს არა აქვს ვალდებულება ჩაატაროს გამოძიება.

გამოძიების დაწყება, როგორც ინსტიტუტი, არ წარმოადგენს საპროცესო მოქმედებას და მას არ აქვს გადაწყვეტილების ან დოკუმენტის სახე. ეს არის ეტაპი, რის შემდეგაც, სათანადო საფუძვლის არსებობის პირობებში, პროკურორი და გამომძიებელი ვალდებულნი ხდებიან ჩაატარონ ნებისმიერი საპროცესო მოქმედება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, რაც ამ მომენტამდე შეუძლებელი იქნებოდა.

საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად, გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.

გამოძიების დაწყების მომენტად უნდა ჩაითვალოს დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების დრო.

როგორც აღინიშნა, საპროცესო კანონის მიხედვით გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც:

ა) გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს;

ბ) გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს;

გ) გამოქვეყნდა მასმედიაში.

დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია გამომძიებელს ან პროკურორს შეიძლება მიაწოდოს ფიზიკურმა (მათ შორის საქართველოს მოქალაქემ, საქართველოში სტატუსის მქონემ, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, ბრალის აღიარებით გამოცხადებულმა) ან იურიდიულმა (საჯარო ან კერძო სამართლის) პირმა, სახელმწიფო ან თვითმმართველმა ორგანოებმა, თანამდებობის პირმა და ა.შ.

სისხლის სამართლის პროცესის დროს გამოვლენილი ცნობები ახალი დანაშაულის შესახებ თავისთავად წარმოადგენს გამოძიების დაწყების საფუძველს. მაგალითად, გამომძიებელმა, რომელიც ცდილობდა დანაშაულთან დაკავშირებული დოკუმენტების მოპოვებას, ჩხრეკისას აღმოაჩინა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც პირს უკანონოდ ჰქონდა შეძენილი და რომელსაც უკანონოდ ინახავდა. თუ „ახალი დანაშაული" უკავშირდება უკვე გამოძიებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეს, მაშინ საქმეები ერთიანდება, ხოლო თუ ასეთი კავშირი დადგენილი არ არის, გამოძიება ტარდება დამოუკიდებლად, ცალკე სისხლის სამართლის საქმის სახით.

დანაშაულის შესახებ ინფორმაციის წარმომდგენს არ ევალება, სამართლებრივად ზუსტად შეაფასოს ქმედება, რომელიც მას დანაშაულად მიაჩნია. საკმარისია ფაქტების ისე წარმოდგენა, რომ პროკურორის ან გამომძიებლისათვის ნათლად წარმოჩინდეს ცალკეული დანაშაული. ინფორმაცია არ უნდა იყოს ძალიან ზოგადი და უნდა ემყარებოდეს ფაქტებს. მაგალითად, თუ ინფორმაციის ავტორი მიუთითებს მხოლოდ იმას, რომ ესა თუ ის თანამდებობის პირი ყაჩაღია, ეს არ არის საკმარისი ამ თანამდებობის პირის მიმართ ყაჩაღობის კვალიფიკაციით დაიწყონ გამოძიება. ინფორმაციაში დასახელებული დანაშაულებრივი ფაქტები იმგვარად უნდა იყოს წარმოდგენილი, რომ პროკურორმა ან გამომძიებელმა მაქსიმალურად ზუსტად შეძლოს დანაშაულის ფაქტის წარმოსახვა და დანაშაულის კვალიფიკაციის განსაზღვრა.

<u>ამრიგად, გამოძიების დაწყების საფუძველია საპროცესო კანონით გათვალისწინებული წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია დანაშაულის შესახებ[26].</u>

პირს, რომელიც დანაშაულის შესახებ განაცხადებს, უფლება აქვს, მიიღოს დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი წერილობითი ცნობა.

დანაშაულის შესახებ ინფორმაცია შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი ან სხვაგვარად დაფიქსირებული. იმ შემთხვევაში, როცა მიღებულია ზეპირი ცნობა, განცხადების მიმღები ვალდებულია შეადგინოს ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ განმცხადებელი და განცხადების მიმღები თანამდებობის პირი. ზეპირი ან წერილობითი ცნობა წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმის პირველად დოკუმენტს. ზეპირი ცნობა წერილობითთან შედარებით გაცილებით სრულყოფილი და მეტად ინფორმაციულია, რადგან პროკურორს ან გამომძიებელს უშუალო კონტაქტი აქვს ავტორთან, გასაუბრებისა და ოქმის შედგენის პროცესში

---

[26] Учебник уголовного процесса, под ред. А.С. Ковликова, Москва, 1995, ст. 132.

მას შეუზღია, დააზუსტოს ცალკეული გარემოებები და შემთხვევის დეტალები. დანაშაულის შესახებ ზეპირი ცნობის ოქმის შედგენისა აუცილებელია გარკვეული მოთხოვნების დაცვა. კერძოდ, მასში უნდა აისახოს ოქმის შედგენის დრო და ადგილი, განმცხადებლისა და განცხადების მიმღების ვინაობა, უნდა მიეთითოს საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, როგორც ოქმის შედგენის საფუძველზე, მაქსიმალურად ზუსტად იქნეს აღწერილი განმცხადებლის მოსაზრებები დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით. ზეპირ თუ წერილობით ცნობას ესმება შტამპი, რომელზედაც აღინიშნება, რომ ის წაროადგენს ინფორმაციას დანაშაულის შესახებ და მითითებულია სისხლის სამართლის საქმის ნომერი. გამომძიებელი უფლებამოსილია ანონიმური ცნობის საფუძველზე დაიწყოს გამოძიება. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პროკურორი ან გამომძიებელი, ამ შემთხვევაში, არ არიან ვალდებულნი დაიწყონ გამოძიება. გამოძიების დაწყება მათ უფლებამოსილებას შეადგენს და კონკრეტული ფაქტის სუბიექტურ ხედვაზეა დამოკიდებული.

ასეთ პირობებში გადაწყვეტილების მიღების უმთავრესი ფაქტორი უნდა გახდეს ის, თუ რამდენად სარწმუნოა ანონიმურ ცნობაში დასახელებული გარემოებები და რამდენად შესაძლებელია მათი გადამოწმება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების გზით. მაგალითად, თუ ანონიმურ ცნობაში მითითებულია, რომ ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელე თავის უკანონო შემოსავლებს ათეთრებს კონკრეტულ ბანკში (რეკვიზიტების მითითებით), ბუნებრივია, ამ ფაქტის გადამოწმება შესაძლებელია და გამოძიება აუცილებლად უნდა დაიწყოს. მაგრამ, თუ ცნობაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებისათვის ცნობილმა პირმა საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაზიდა ნარკოტიკული საშუალებები, ბუნებრივია, ასეთი ცნობა ნაკლებად სარწმუნოა და მისი გადამოწმებაც შეუძლებელია, რის გამოც გამოძიების დაწყება არ არის მიზანშეწონილი.

კანონი კატეგორიულად კრძალავს პირის მიმართ განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ ანონიმური ცნობის საფუძველზე, ე.ი. არ შეიძლება პირის დაკავება ან ბრალდებულად ცნობა, თანამდებობიდან გადაყენება, ქონებაზე ყადაღას დადება და ა.შ. მხოლოდ ანონიმური ცნობის საფუძველზე.

თუ 14 წლის ასაკიდან იძლევა პირი ინფორმაციას დანაშაულის ჩადენის შესახებ, მას ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებენ ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

თუ გამოძიების შემდეგ გამოიკვეთება, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება სხვა საგამოძიებო ორგანოს კომპეტენციაა, გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შემდეგ პროკურორი დაუყოვნებლივ გადაგზავნის საქმეს ქვემდებარეობის მიხედვით. საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში მიიღება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის №34 ბრძანებით გათვალისწინებული დებულებები სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე.

გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებებში არ იგულისხმება მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები. აქ იგულისხმება ის მოქმედებები, რომელთა ჩატარება გართულდება, დაგვიანდება, შეუძლებელი ან არაეფექტური გახდება ვიდრე საქმე ქვემდებარე-

ბისამებრ გაიგზავნება. მაგალითად, თუ პირი დაკავებულია და გამოძიება გაეკუთვნება სხვა უწყების საგამოძიებო ქვემდებარებას, ცხადია, საქმის ამ მომენტში გადაგზავნაუარყოფითად იმოქმედებს ბრალდების წარდგენის დროსა და ხარისხზე. საქმის საგამოძიებო ქვემდებარების გადაგზავნის შესახებ პროკურორს გამოაქვს დადგენილება.

გამოძიების ორგანოების ქვემდებარება მკაცრადაა შემოსაზღვრული და გამიჯნული ერთმანეთისაგან.

საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად, გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა. აქ გასათვალისწინებელია სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები. ამ დებულების გათვალისწინებით,შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

გამოძიება უნდა დამთავრდეს შემდეგ ვადებში:

ა) 2 წლამდე იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც სს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 2 წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) 6 წლამდე სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ) 10 წლამდე მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

დ) 15 წლამდე სამოხელეო დანაშაულის ჩადენიდან, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს;

ე) 25 წლამდე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პროკურორი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო. ამ მიზნით ის უფლებამოსილია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები, და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსკ-ის 374-ე მუხლით.

სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის მონაწილეთა ან/და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ პირთა მიმართ განსახილველი საქმის გარკვეული მონაცემების საჯაროდ გავრცელებისაგან დაცვის შესახებ, თუ ეს გამომდინარეობს მართლმსაჯულებისა და მხარეთა ინტერესებიდან. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ეს მოთხოვნა არ უნდა გავრცელდეს ბრალდებულის მიმართ, რაც უნდა აისახოს კანონმდებლობაში.

10.2. გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარი ან შეწყვეტის საფუძვლები

თუ დაიწყო გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა, ეს ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ საქმეზე აუცილებლად გამოტანილი იქნება განაჩენი. საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბებულია გარემოებები, რომლებიც საფუძველი გახდება გამოძიებისა ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებისა. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები

ჩამოყალიბებულია საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლში. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები ძირითადად იყოფა ორ ჯგუფად: მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საპროცესო კანონმდებლობით მტკიცედაა განსაზღვრული გარემოებები, რომელთა არსებობისას გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს. განვიხილოთ ეს საფუძვლები ცალ-ცალკე.

ა) თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება; ეს იმას ნიშნავს, რომ პირს ბრალად ედება რაიმე დანაშაულის ჩადენა, მაგრამ გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ქმედებას ადგილი არ ჰქონია. მაგალითად, სახელმწიფო მოხელეს ბრალად ედება, რომ ქრთამი აიღო, მაგრამ აღმოჩნდება, რომ თურმე მისთვის ვალი დაუბრუნებიათ. ცხადია, ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება უნდა შეწყდეს.

ბ) თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო; ეს იმას ნიშნავს, რომ ქმედებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მაგრამ ჩადენილია მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ რომელიმე გარემოებაში. მაგალითად, აბულაძემ მოკლა მეზობლის – ბერიძის ძვირადღირებული ძაღლი, რომელიც ცდილობდა ბავშვის დაკბენას (უკიდურესი აუცილებლობა); მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. მეტყევე პირი შევიდა ანი-ს ეზოში, რომ შეემოწმებინა, ჰქონდა მას თუ არა ნებართვა ხე-ტყის დასამზადებლად. აღმოჩნდა, რომ ან-ს ამის უფლება არ ჰქონია, მაშინ პარ-მა გადაწყვიტა სათანადო აქტი შეედგინა, ხოლო უკანონოდ დამზადებული ხე-ტყე სათანადო დანესებულებაში გადაეტანა. ანმა წინააღმდეგობა გაუწია, ხოლო დედამისმა პარ-ს თავში ჯოხი დაჰკრა. თავის დასაცავად პარ-ი შეეცადა დარტყმა თოფის კონდახით აეცდინა, მაგრამ ჯოხს აცდენილი კონდახი ან-ის დედას მოხვდა და იდაყვის ძვალი გაუტეხა.[27] ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო (აუცილებელი მოგერიება).

გ) თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას; ეს იმას ნიშნავს, რომ პირის მიერ განხორციელებული ქმედება დანაშაულს წარმოადგენდა, მაგრამ გამოვიდა ახალი კანონი, რომელმაც ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა გააუქმა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. „ასეთი ქმედების დასჯა - წერდა თ. წერეთელი - მხოლოდ იმიტომ, რომ მას ძველი კანონი სჯიდა, არა მარტო ეწინააღმდეგება სამართლიანობის იდეას, არამედ მიზანშეწონილიც არის მართლმსაჯულების ერთიანობის თვალსაზრისით."[28]

დ) თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი; ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სცნო არაკონსტიტუციურად.

ე) თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა; ხანდაზმულობა ნიშნავს კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლას, რომლის შემდეგ დანაშაულის ჩამდენი არ შეიძლება მიცემულ იქნეს პასუხისგებაში. ხანდაზმულობის ვადები, დანაშაულის კატეგორიების მიხედვით დადგენილია. საქართველოს სსკ-

---

[27] თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, თბილისი, 1988, გვ. 104.

[28] საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 32.

ის 366-ე მუხლით) დადგენილია სასჯელის სახით ჯარიმა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან თავისუფლების აღკვეთა ვადით 1 წლამდე. ამ დანაშაულის ჩადენისათვის პირი რომ გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ამ დანაშაულის ჩადენიდან სსკ-ის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად უნდა გავიდეს 2 წელი.

ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენიდან პირის ბრალდების წაყენებამდე. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.

ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

~~ვ) თუ გაცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს ჩადენილი ქმედებისათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;~~ ამნისტიას ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 77-ე მუხლი, რომელსაც აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ. თუ ამნისტიის აქტი ათავისუფლებს დამნაშავეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ასეთ შემთხვევაში სისხლის-სამართლებრივი დევნა ან/და გამოძიება უნდა შეწყდეს.

~~ზ) თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იმავე ბრალდების გამო ან/და სასამართლოს განჩინება იმავე ბრალდებით სისხლის-სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე;~~ ამ გარემოებების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის პირი არ შეიძლება ორჯერ იქნეს დასჯილი.

~~თ) თუ არსებობს პროკურორის დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ;~~

~~ი) თუ პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;~~

~~კ) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი);~~

~~ლ) ქმედითი მონანიების გამო (საქართველოს სსკ-ის 68-ე, 322-ე, 164^1-ე, 203-ე, 221-ე, 223-ე, 236-ე, 260-ე, 323-ე, 223^1, 223^2-ე, 223^4-ე, 236-ე, 260-ე, 339-ე, 339^1-ე, 348^1-ე, 370-ე, 371-ე, 375-ე, 388-ე და 389-ე მუხლების შენიშვნებით გათვალისწინებული შემთხვევებში);~~

საქართველოს სსკ-ის 203-ე მუხლის შენიშვნა ითვალისწინებს იმ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტას, თუ მან ჩაიდინა პროფესიული სპორტული შეჯიბრების ან/და კომერციულ-სანახაობითი კონკურსის მონაწილის ან ორგანიზაციის მოსყიდვა და ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოს.

საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლის შენიშვნა ათავისუფლებს პირს, რომელმაც ჩაიდინა კომერციული მოსყიდვა და ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოს ამის შესახებ.

საქართველოს სსკ-ის 223-ე მუხლი ათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ჩაიდინა უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ან უკანონო მონაწილეობა და ამის შემდეგ ნებაყოფლობით შეწყვიტა შეიარაღებულ ფორმირებაში საქმიანობა და

ჩააბარა იარაღი, თუ რა თქმა უნდა, მის მიერ განხორციელებულ ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის შენიშვნა ათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი ნივთიერების მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, და ამის შემდეგ ის ნებაყოფლობით ჩააბარებს ზემოთ ჩამოთვლილ საგნებს, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის შენიშვნა ათავისუფლებს პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ მან ჩაიდინა ნარკოტიკული სასუალების ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა და ამის შემდეგ ნებაყოფლობით ჩააბარებს ჩამოთვლილ ნივთიერებებს, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

საქართველოს სსკ-ის 323-ე მუხლის შენიშვნა ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილე პირს, რომელიც ხელისუფლების ორგანოს დროული გაფრთხილებით ან სხვაგვარად შეუწყობს ხელს ტერორისტული აქტის თავიდან აცილებაში და თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.

საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის შენიშვნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს ქრთამის მიმცემს, თუ მას ქრთამი გამოსძალეს ან თუ მან ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს.

საქართველოს სსკ-ის 370-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი ან თარჯიმანი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თუ იგი გამოძიების პროცესში ანდა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე ნებაყოფლობით განაცხადებს მის მიერ ცრუ ჩვენების ან ყალბი დასკვნის მიცემის ან/და განზრახი არასწორად თარგმნის შესახებ.

საქართველოს სსკ-ის 371-ე მუხლის შენიშვნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს პირს, რომელმაც უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე თავის ან ახლო ნათესავის საწინააღმდეგოდ, და ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლის შენიშვნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს პირს, რომელმაც წინასწარ შეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის დანაშაული და ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების პასუხისმგებელი პირი.

საქართველოს სსკ-ის 388-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით სამხედრო მომსახურე, რომელიც პირველად ჩაიდენს სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვებას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება გამოწვეული იყო მძიმე ვითარებით.

საქართველოს სსკ-ის 389-ე მუხლის შენიშვნა ითვალისწინებს, რომ სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მომსახურე, რომელიც პირველად ჩაიდენს დეზერტირობას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართ-

ლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დეზერტირობა გამოწვეული იყო მძიმე ვითარებით.

მ) თუ ვითარება შეიცვალა; ამ გარემოების გამოვლენისას დანაშაულის ჩამდენი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დადგინდა, რომ ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეუწონელია ვითარების შეცვლის გამო. ვითარების შეცვლა ნიშნავს გარეგანი პირობების ისეთ შეცვლას, რის გამოც ისპობა ქმედების სოციალური საშიშროება. ვითარების შეცვლა დანაშაულის ჩამდენი პირის ნებისაგან დამოუკიდებლად მომხდარი ობიექტური ცვლილება უნდა იყოს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს თუნდაც ლოკალური ხასიათი. ანუ, საკმარისია ვითარების შეცვლა კონკრეტული დასახლებული პუნქტის, დაწესებულების ან ოჯახის მასშტაბით. მაგალითად, სახელმწიფოში ან მის რომელიმე ნაწილში საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გაუქმება უკარგავს საშიშროებას ისეთ მოქმედებას, რომელიც ითვლება დანაშაულად საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამო.[29]

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები ეხება როგორც გამოძიების, ისე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილია ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობა იწვევს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ამ შემთხვევაში დაკავშირებულია ქმედების სუბიექტთან.

სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ:

ა) პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი დაწესებულია საქართველოს სსკ-ის 33-ე მუხლით, რომლის თანახმად, ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია 14 წელი. დანაშაულის სუბიექტის ასაკის დადგენა ხდება ნებისმიერი ხელმისაწვდომი მტკიცებულების, მათ შორის, ოფიციალური დოკუმენტის, სპეციალისტის დასკვნის, მშობლის ან სხვა პირისგან მიღებული ცნობების ან სხვა ინფორმაციის საფუძველზე. თუ დადგინდა არასრულწლოვანი პირის სავარაუდო ასაკი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად მხედველობაში მიიღება სავარაუდო ასაკის მინიმალური ზღვარი.[30]

მაგალითად, ბინაში შეღწევით ქურდობა ჩაიდინა 13 წლის აბესაძემ. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, ვინაიდან პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ბ) პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით; მაგალითად, შიზოფრენიით დაავადებულმა პირმა სიცოცხლე მოუსპო სხვა პირს.

გ) ბრალდებული გარდაიცვალა; ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება. არ არის გამორიცხული, ისეთი შემთხვევა, როდესაც

---

[29] სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., 2008, გვ. 109.

[30] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015 წ., გვ. 344.

დანაშაული ჯგუფურადაა ჩადენილი და ერთი ბრალდებული გარდაიცვლება. ასეთ შემთხვევაში გარდაცვლილი ბრალდებულის მიმართ წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო სხვა დანარჩენი ბრალდებულების მიმართ გრძელდება სისხლისსამართლებრივი დევნა. თუ დანაშაული ჩადენილია ჯგუფურად და ერთი პირია ბრალდებული, ხოლო დანარჩენი პირები დადგენილი არ არის და ბრალდებული გარდაიცვლება, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდება გარდაცვლილი ბრალდებულის მიმართ, ხოლო საქმეზე გამოძიება გრძელდება.

ამრიგად, გამოძიების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ყოველთვის არ არის გამოძიების შეწყვეტის საფუძველი.

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 322[1]-ე, 344-ე და 362-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია პირის მიერ საქართველოს სსკ-ის 143[1]-ე ან/და 143[2]-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო, ეს იმას ნიშნავს, რომ პირზე, რომელიც არის ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უკანონოდ გადაკვეთა, ასევე ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება ჩაიდინა, არ ვრცელდება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქმედება მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლად ყოფნის გამო.

მოცემულ შემთხვევაში პირს არა აქვს სხვაგვარად მოქმედების საშუალება, რაც გამორიცხავს ბრალს.

როგორც ვხედავთ, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა". "ბ" და "დ" ქვეპუნქტებში ჩამოთვლილია ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ ბრალს და შესაბამისად იწვევენ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

ჩვენი აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი უნდა გახდეს შეცდომა, ბრძანების ან განკარგულების შესრულება და ბრალის გამომრიცხველი სხვა კანონიკური გარემოებანი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს თუ:

ა) სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილია ბრალის გამომრიცხველ გარემოებებში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე – 38-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები);

ბ) ბრალდებული გარდაიცვალა."

სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა აგრეთვე არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ეს ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.

სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების შეწყვეტა უნდა მოხდეს გამოძიების სტადიაზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა როგორც გამოძიებით, ისე სასამართლო განხილვის სტადიაზე.

თუ გამოძიების სტადიაზე გამოვლინდა გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას დადგენილებით გამოძიებისა ან/და სისხლისსამართლებრივი დევ-

ნის შეწყვეტის შესახებ. თუ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა შეურაცხადმა პირმა, ასეთი გადაწყვეტილება არ მიიღება. ამ დადგენილების ასლს პროკურორი უგზავნის დაზარალებულს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირის ვადაში. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს შეატყობინოს ამის შესახებ და კანონით დადგენილი წესით შედგინოს ოქმი. ასეთი დადგენილების გამოტანის უფლება გამომძიებელს მინიჭებული არა აქვს. მისი გასაჩივრების ერთჯერადი უფლებით სარგებლობს დაზარალებული. მოცემული დადგენილება უნდა გასაჩივრდეს მისი გამომტანი პროკურორის ზემდგომ პროკურორთან. აქვე არ შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ თუ საქმეზე გამოძიებას ატარებს პროკურორი, იგი სარგებლობს გამომძიებლის უფლებამოსილებით და არ აქვს უფლება გამოიტანოს დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. ასეთ გადაწყვეტილებას იღებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა. ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

თუ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება იმის გამო, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება შეურაცხმა ჩაიდინა, პროკურორი ვალდებულია მიმართოს განსჯადობის მიხედვით შესაბამის სასამართლოს შუამდგომლობით მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

თუ სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სასამართლოში, მას გამოაქვს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რომელიც შეიძლება გაასაჩივროს პროკურორმა. საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს – სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო პალატაში, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

სასამართლო უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. თუ საჩივარი განხილული იყო ზეპირი მოსმენით, ასეთ შემთხვევაში მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი ცხადდება.

სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების საჩივართან დაკავშირებით გამოტანილი განჩინება არ გასაჩივრდება.

პროკურორის გამოტანილი დადგენილება გამოძიებისა ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ეცნობება ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს.

10.3. შეწყვეტილი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლება. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება და სისხლის სამართლის საქმის გამოყოფა

დღის წესრიგში შესაძლოა დაისვას შეწყვეტილი გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების საკითხი.

თუ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება გააუქმა ზემდგომმა პროკურორმა ან დადგენილება/განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გააუქმა სასამართლომ და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს. ამ შემთხვევაში საქართველოს მთავარი პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სისხლისსამართლებრივი დევნის განახლებისა და სხვა საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს. კანონმდებელმა არ გაითვალისწინა გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების სავალდებულო წინაპირობები, რითაც გარკვეული დისკრეცია დაუტოვა სასამართლოსა და პროკურორს, ანუ, ამ შემთხვევაში, გამოძიების (სისხლისსამართლებრივი დევნის) განახლების წინაპირობაა ზემდგომი პროკურორის (სასამართლოს) გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების) გაუქმება. ასეთ შემთხვევაში პროკურორს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს განჩინება შეწყვეტილი სისხლისამართლებრივი დევნის განახლების შესახებ.

სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების შესახებ წერილობით ეცნობება ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს.

ზოგჯერ შეიძლება სისხლის სამართლის საქმის გამოძიება- განხილვისას გამოვლინდეს ისეთი გარემოება, რომელის გახდება ორი ან მეტი სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების საფუძველი. სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება შეიძლება მოხდეს როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის სტადიაზე. გამოძიების სტადიაზე სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანება ხდება პროკურორის დადგენილებით, ხოლო სასამართლო სტადიაზე – მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით[31].

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება- განხილვისას დადგეს საკითხი, ერთი სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებისათვის სხვა, ახალი სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის თაობაზე. სისხლის სამართლის საქმიდან ახალი სისხლის სამართლის საქმის ცალკე წარმოებისათვის გამოყოფა შეიძლება მოხდეს როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის სტადიაზე.

გამოძიების სტადიაზე პროკურორს უფლება აქვს დადგენილებით სისხლის სამართლის საქმიდან გამოყოს საქმე ცალკე წარმოებისათვის, ხოლო სასამართლო განხილვის სტადიაზე სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე ნარმოებისათვის სისხლის სამართლის საქმის გამოყოფა ხდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით.

---

[31] Шарафутдинов М.Ф. Соединеные и выделение уголовних дел и материалов в советском уголовном процессе, Уфа, 1990, ст. 32.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ გამოძიების არსი;
2) ჩამოთვალეთ გამოძიების დაწყების საფუძვლები;
3) ჩამოაყალიბეთ გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები და წესი;
4) ჩამოაყალიბეთ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები და შინაარსი;
5) ჩამოაყალიბეთ განრიდებისა და მედიაციის შინაარსი;
6) ჩამოაყალიბეთ სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების შეწყვეტის წესი გამოძიების სტადიაზე;
7) ჩამოაყალიბეთ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის წესი სასამართლო სტადიაზე;
8) ჩამოაყალიბეთ სისხლისსამართლებრივი დევნის განახლების საფუძველი და წესი;
9) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების საფუზველი და წესი;
10) ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის საფუძველი და წესი.

თავი 11. საგამოძიებო მოქმედებები

11.1. საგამოძიებო მოქმედების ცნება და სახეები

გამოძიება წინ უძღვის სასამართლო განხილვას. გამოძიების პროცესში შეგროვებული მტკიცებულებების გამოკვლევა ხდება სასამართლოში მხარეთა თანასწორობისა შეჯიბრობითობის პრინციპების დაცვით, რომლის საფუძველზე მოსამართლე (სასამართლო) ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას, ე.ი. არკვევს მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოებას სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის პროცესი არის საპროცესო მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა ერთობლიობა.

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს საპროცესო გადაწყვეტილება, საპროცესო მოქმედება და საგამოძიებო მოქმედება. საპროცესო გადაწყვეტილება არის პროცესის მწარმოებელი პირის გადაწყვეტილება ამა თუ იმ საკითხზე. მაგ.: გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

საგამოძიებო მოქმედება მტკიცებულებათა მოპოვებისაკენ მიმართული საპროცესო მოქმედებაა.

საპროცესო მოქმედება ისეთი მოქმედებაა, რომელიც ტარდება საპროცესო კანონის ფარგლებში. საპროცესო მოქმედება უფრო ფარო ცნებაა ვიდრე საგამოძიებო მოქმედება. საპროცესო მოქმედება მოიცავს საგამოძიებო მოქმედებასაც. საგამოძიებო მოქმედების მიზანი თუ მტკიცებულების მოპოვებაა, ზოგიერთი საპროცესო მოქმედება ამ მიზანს არ ატარებს. მაგალითად, ნიმუშების აღება, ქონებაზე ყადაღას დადება და სხვა.

დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ მხარეებმა უნდა ჩაატარონ კანონით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებები, რათა დაიცვან საკუთარი ინტერესები.

თითოეული საგამოძიებო მოქმედება გათვალისწინებულია კანონით და მისი ჩატარების წესი რეგლამენტირებულია საპროცესო კოდექსით. სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს პრინციპი "ყველაფერი აკრძალულია, რაც არ არის ნებადართული".

საგამძიებო მოქმედებებია:

ა) გამიკითხვა;

ბ) დაკითხვა;

გ) ჩხრეკა;

დ) ამოღება;

ე) დათვალიერება;

ვ) საბანკო ანგაღიშების მონიტორინგი:

ზ) საგამოძიებო ექსპერიმენტი;

თ) პირისა და ობიექტების ამოსაცნობად წარდგენა;

ი) ექსჰუმაცია;

კ) კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედე-

ბები (დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა, ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება, შინაარსობრივი მონაცემების მოპოვება);

ლ) ფარული საგამოძიებო მოქმედებები (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა. ინფორმაციის მოხსნა დ აფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული სისტემიდან და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლი, ფარული ვედეო და აუდიო ჩაწერა, კინოდა ფოტო გადაღება, ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით).

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგადი წესი მოცემულია საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების სუბიექტებია მხარეები, რომლებსაც გააჩნიათ თანაბარი უფლება-მოვალეობები. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დაცული უნდა იყოს მისი ჩატარების წესი და ფარგლები. თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება სურს დაცვის მხარეს, ასეთ შემთხვევაში იგი წარადგენს სასამართლოში დასაბუთებულ შუამდგომლობას საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე სასამართლო განჩინების გაცემის თაობაზე. თუ სასამართლო გასცემს განჩინებას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, საგამოძიებო მოქმედებას ატარებს ის გამომძიებელი, რომელის მოცემული საქმის გამოძიებას არ აწარმოებს. გამომძიებელი უნდა შეარჩიოს საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელმა და მისი ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები დაცვის მხარეს უნდა ეცნობოს შუამდგომლობით მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე. ამ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ბრალდებულს ეკისრება. ბრალდებული გათავისუფლდება ხარჯების გადასახადისაგან იმ შემთხვევაში, თუ იგი სასამართლოს წარუდგენს მტკიცებულებებს, რომლებითაც დასტურდება მის მიერ ამ ხარჯების ანაზღაურების შეუძლებლობა. დაცვის მხარეს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს თავისი მოთხოვნით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში.

ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედებებისა ჩატარებასთან დაკავშირებით დაცვის მხარის უფლებები ბრალდების მხარის უფლებებთან შედარებით შეზღუდულია. საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაცვის მხარე გადაუდებელი აუცილებლობისას ვერ ჩაატარებს საკუთარი დადგენილების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას და ვერ მიმართავს სასამართლოს მისი კანონიერად ცნობის თაობაზე.

საგამოძიებო მოქმედებაში შეიძლება ჩაებან მონაწილეები, თუ ამის თაობაზე კანონშია მითითებული. საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე მისი ჩამტარებელი პირი მონაწილეებს განუმარტავს უფლება-მოვალეობებს და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესს, და უზრუნველყოფს მათი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას.

საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის განჩინებით, გამომძიებლის (პროკურორის) დადგენილებით ან გამომძიებლის დადგენილებისა და სასამართლო განჩინების გარეშე.

სასამართლო განჩინებით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებებია:

ა) დაკითხვა, გამოძიების სტადიაზე;

ბ) ჩხრეკა;

გ) ამოღება;

დ) დათვალიერება, რომელიც კერძო საკუთრებას ეხება და მესაკუთრე ამის თანახმა არ არის;

ე) ექსჰუმაცია;

ვ) საბანკო ანგარიშის მონიტორინგი;

ზ) კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები;

თ) ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

გამომძიებლის/პროკურორის დადგენილებით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებებია:

ა) ჩხრეკა გადაუდებელი აუცილებლობისას,

ბ) ამოღება გადაუდებელი აუცილებლობისას;

გ) გადაუდებელი აუცილებლობისას კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები (დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა, ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება, შინაარსობრივი მონაცემების მოპოვება);

დ) გადაუდებელი აუცილებლობისას ფარული საგამოძიებო მოქმედებები (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია; გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი; ფარული ვიდეო და აუდიო ჩაწერა, კინოდა ფოტო გადაღება; ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს).

სასამართლო განჩინებისა და გამომძიებლის დადგენილების გარეშე შეიძლება ჩატარდეს შემდეგი საგამოძიებო მოქმედებები:

ა) გამოკითხვა,

ბ) დათვალიერება;

გ) საგამოძიებო ექსპერიმენტი;

დ) ამოსაცნობად წარდგენა;

ე) პირადი ჩხრეკა, რომელიც ტარდება დაკავებისას (121-ე მ. ნაწ. მე-2) ან ჩხრეკის ან/და ამოღების ადგილზე მყოფი პირის პირადი ჩხრეკა, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან დამლა ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი (120-ე მ. ნაწ. მე-8).

თუ საგამოძიებო მოქმედება ტარდება გამომძიებლის დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით, გამომძიებელი მას აცნობს იმ პირს, რომლისთვისაც დადგენილების (განჩინების) შესრულება სავალდებულოა, რასაც იგი ადასტურებს ხელმოწერით.

საგამოძიებო მოქმედებების ღამით ჩატარება დაუშვებელია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.

ღამის დროა 22 საათიდან 6 საათამდე დროის პერიოდი. საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს გონივრულ ვადაში, რომელსაც ადგენს მისი ჩამტარებელი პირი.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის კვალისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებები და მეთოდები.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, დასაშვებია იძულების პროპორციული (თანაბარი) ზომის გამოყენება.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ქირურგიული ან სამედიცინო გამოკვლევის სხვა მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება, რომლებიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ამ პირის თანხმობით. თუ ამ პირს 16 წელი არ შესრულებია ან იგი ფსიქიკურადაა დაავადებული, აუცილებელია მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობა ან სასამართლოს განჩინება.

მხარე ატარებს საგამოძიებო მოქმედებას ექსპერტის მონაწილეობით თუ იგი დაკავშირებულია განსაკუთრებულ პროფესიულ ცოდნასთან.

თუ საგამოძიებო მოქმედება ითვალისწინებს გაშიშვლებას, ექსპერტი და მხარე უნდა იყვნენ იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის შესამოწმებელი.

საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. მოსამართლემ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნის საკითხი უნდა გადაწყვიტოს არაუგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე, მას შემდეგ, როდესაც მიიღებს შუამდგომლობას და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს იმ მხარის მონაწილეობით, რომელმაც დააყენა მოცემული შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე.

კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემზღუდავი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შეიძლება სასამართლოს განჩინების გარეშე, თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე თანახმაა თანამესაკუთრე ან მფლობელი ან კომუნიკაციის ერთი მხარე.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლო განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) მისი შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის გვარი;

გ) პირი, რომელმაც მას შუამდგომლობით მიმართა;

დ) განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, იმის ზუსტი მითითებით, თუ რა არის მისი არსი და ვისზე ვრცელდება ის;

ე) განჩინების მოქმედების ვადა;

ვ) პირი ან ორგანო, რომელმაც უნდა შეასრულოს განჩინება;

ზ) მოსამართლის ხელმოწერა, დამოწმებული სასამართლოს ბეჭდით.

ჩხრეკისა და ამოღების განჩინებაში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ის უძრავ-მოძრავი ქონება, სადაც ნებადართულია საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, და ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მას ფლობს (თუ მისი ვინაობა ცნობილია);

ბ) ფიზიკური პირი, რომლის პირადი ჩხრეკაც უნდა ჩატარდეს;

გ) ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები სავარაუდო საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი და მისი გვარეობითი ნიშნები;

დ) წინააღმდეგობის გაწევისას იძულების პროპორციული ზომის გამოყენების უფლება.

ჩხრეკის და ამოღების განჩინება ძალადაკარგულია, თუ ეს საგამოძიებო მოქმედება არ დაწყებულა 30 დღის ვადაში.

კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული გზავნილის დაყადაღების და ამოღების განჩინებაში აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს:

ა) იმ პირის სახელი და გვარი, რომელსაც ეგზავნება დასაყადაღებელი გზავნილი;

ბ) გამგზავნის სახელი და გვარი, მისამართი (თუ ის ცნობილია);

გ) დაყადაღებული გზავნილის სახე;

დ) ყადაღის დადების ვადა;

ე) იმ დაწესებულების დასახელება, რომელსაც ევალება დააკავოს გზავნილი;

ვ) გამოძიების უფლება, დაათვალიეროს და ამოიღოს გზავნილი.

სასამართლო განჩინებით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც, თუ არსებობს მისი ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა. ე.ი. ამ უფლებით ვერ სარგებლობს დაცვის მხარე, რაც გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსიდან.

გადაუდებელი აუცილებლობაა:

ა) როდესაც საგამოძიებო მოქმედების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება;

ბ) როცა საგამოძიებო მოქმედების დაყოვნება შეუძლებელს გახდის გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებას;

გ) როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად);

დ) როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ პროკურორი საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმის მასალებს (ან მათ ასლებს), რომელიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას, გადასცემს მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა იგი ან გამოძიების ადგილის მიხედვით.

მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლეს უფლება აქვს შუამდგომლობა განიხილოს მხარეთა (თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია) და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას. მოსამართლეს უფლება აქვს განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩაატარა.

მასალების განხილვის შემდეგ სასამართლო გამოაქვს ორიდან ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

ა) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;

ბ) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

შუამდგომლობის საფუძველზე გამოტანილი სასამართლოს განჩინება საჩივრდება განჩინების აღსრულებიდან 48 საათის ვადაში სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიაში. განჩინების გასაჩივრების ვადა აითვლება განჩინების აღსრულებიდან.

11.2. გამოკითხვა

გამოკითხვა საპროცესო კანონმდებლობაში სრულიად ახალი საგამომძიებო მოქმედებაა, რომელსაც ითვალისწინებს საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლი. **გამოკითხვა არის იმ პირისაგან საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ნებაყოფლობით მიღება, რომელსაც შეიძლება იგი ფლობდეს.**

დაუშვებელია გამოსაკითხი პირის იძულება:

1) წარმოადგინოს მტკიცებულება;

2) გასცეს ინფორმაცია.

გამოსაკითხ პირს უფლება აქვს:

ა) საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით;

ბ) თავის წინააღმდეგ არ გასცეს ინფორმაცია;

გ) უფლებების შესახებ განმარტება მიიღოს გამოკითხვის დაწყებამდე.

გამოკითხვის წინ უნდა დადგინდეს გამოსაკითხი პირის ვინაობა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია, რაც უნდა აისახოს ოქმში.

გამოკითხვის შესახებ დგება ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს: გამოსაკითხი პირის სახელი, გვარი, ასაკი, მოქალაქეობა, განათლება, სამუშაო ადგილი, საქმიანობა ან/და თანამდებობა, საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, მისი ურთიერთობა ბრალდებულთან თუ დაზარალებულთან, მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი, მისი დამოკიდებულება სასამართლოში გამოცხადებისა და ჩვენების მიცემისადმი.

გამოკითხვის ჩამტარებელი მხარე ვალდებულია გამოსაკითხ პირს განუმარტოს, რომ გამოკითხვა ნებაყოფლობითი ხასიათისაა, რაც აგრეთვე ოქმში უნდა აღინიშნოს.

გამოსაკითხი პირი გამოკითხვაზე როგორც თანხმობის, ისე უარის თქმის შემთხვევაში ვალდებულია გამომკითხველს თავისი პირადი მონაცემების შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს.

თუ გამოსაკითხი პირი გამოკითხვაზე განაცხადებს თანხმობას, იგი ვალდებულია გამოკითხვის ჩამტარებელ მხარეს საქმესთან დაკავშირებით მისთვის ცნობილი გარემოებების შესახებ სწორი ინფორმაცია მიაწოდოს.

გამოკითხვის ჩამტარებელი მხარე ვალდებულია გამოსაკითხი პირი წერილობით გააფრთხილოს ცრუ დასმენისათვის და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსკ-ის 370-ე და 373-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის გამო, რაც აღინიშნება გამოკითხვის ოქმში.

თუ გამოკითხვას ბრალდების მხარე ატარებს, გამოსაკითხი პირის მიერ გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია განუმარტოს გამოსაკითხ პირს, რომ ის შეიძლება დაბარებულ იქნეს მაგისტრატ მოსამარ-

თლესთან ჩვენების მისაცემად, რომ ჩვენების მიცემა სავალდებულოა და ამ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს გამოსაკითხი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც აღინიშნება გამოკითხვის ოქმში.

გამოკითხვისას შესაძლებელია ხმის ან/და გამოსახულების ჩამწერი ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რის შესახებაც გამოსაკით პირს წინასწარ უნდა ეცნობოს.

ეს დებულებები ვრცელდება ბრალდებულზეც, თუ სხვა, განსხვავებული წესი არ არის დადგენილი საპროცესო კოდექსის სპეციალური მუხლებით.

გამოკითხვას გააჩნია როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მხარეები. გამოკითხვის ნეგატიურ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გამოსაკითხმა პირმა შესაძლებელია საერთოდ არ მოგვაწოდოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ცნობა და გართულდეს საქმეზე მტკიცებულებათა შეკრება. გამოკითხვის პოზიტიურ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გამოკითხვის შედეგად მიღებული სწორი ინფორმაციის საფუძველზე გაადვილდეს მტკიცებულებათა მოპოვება. მაგალითად, ან-მა გამოკითხვის შედეგად გამომძიებელს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ბან-თან მკვლელობის იარაღი ინახება.

ამრიგად, გამოკითხვა ეს არის მხარისათვის ნებაყოფლობით ინფორმაციის მიწოდება იმ პირის მიერ, რომელიც შეიძლება ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ცნობებს.

11.3. დაკითხვა

დაკითხვა წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ საგამოძიებო მოქმედებას, რომელიც ტარდება უკლებლივ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე. ხშირად დაკითხვა წარმოადგენს მტკიცებულებების მოპოვებისა და შემოწმების ძირითად საშუალებას. დაკითხვის სუბიექტებია გამომძიებელი, პროკურორი და ადვოკატი.

დაკითხვა არის ინფორმაციის მიცემა სასამართლოსათვის სისხლის სამართლის საქმის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ. დაკითხვისას გროვდება ინფორმაცია ფაქტობრივი მონაცემების შესახებ[32].

დაკითხვისას აუცილებელია დამყარდეს ფსიქოლოგიური კონტაქტი დაკითხვის სუბიექტსა და დასაკითხ პირს შორის, რაც წარმოადგენს ინორმაციის მიღების აუცილებელ წინაპირობას.

დაკითხვისას ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება ხელს უწყობს კომუნიკაბელური ურთიერთობისა და ემოციური ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას.

დაკითხვის სუბიექტსა და დასაკითხი პირის კონტაქტში იგულისხმება ისეთი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს ჩამოყალიბება, რომელიც დასაკითხ პირს ნდობით განაწყობს დაკითხვის სუბიექტისადმი და აღუძრავს სურვილს მიაწოდოს გარკვეული ინფორმაცია.

გასათვალისწინებელია, რომ დასაკითხი პირი ყოველთვის არ არის დაინტერესებული დაკითხვის სუბიექტისადმი ობიექტური ინფორმაციის მიწოდებაში. ასეთი პირი დაკითხვის სუბიექტში ხედავს თავის პროცესუალურ „მეტოქეს". ამიტომ არცთუ იშვიათად ის არ მიდის კონტაქტზე. დაკითხვის სუბიექტი უნდა ეცადოს გადალახოს ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება.

[32] Р.Х. Якуров, уголовный рроцесс, Москва, 1998, ст. 261.

იმისათვის, რომ დამყარდეს ფსიქოლოგიური კონტაქტი დასაკითხ პირთან, დაკითხვის სუბიექტმა კარგად უნდა შეისწავლოს მისი ფსიქოლოგიური თავისებურებები-პიროვნული და მორალური თვისებები, მიდრეკილებები, ინტერესები, კავშირები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ კონკრეტული მიზეზების გარკვევას, რაც ხელს უშლის კონტაქტის დამყარებას და სწორი ჩვენების მიცემას-პირადი დაინტერესება, ნათესავების და ახლობლების გავლენა, არასწორად გაგებული რაიმე ინტერესი, დამნაშავის და მისი ოჯახისადმი შეცოდების გრძნობა და სხვა.

ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებას ხელს უწყობს დაკითხვის სუბიექტის ობიექტურობა, დასაკითხი პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა. დაკითხვისას დაკითხვის სუბიექტი უნდა ესწრაფვოდეს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც განაწყობს დასაკითხ პირს მისცეს სწორი და სრული ჩვენება. მნიშვნელოვანია მაგალითად, ბრალდებულის დარწმუნება იმაში, რომ დანაშაული მაინც გაიხსნება და დაკითხვის სუბიექტი დაინტერესებულია არა ბრალდებულის პასუხისგებაში მიცემის ფაქტით, არამედ მისი რეალური ბრალეულობის დადგენით.

ამ მიზნით დაკითხვისას საჭიროა ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ დასაკითხი პირის მამხილებელ გარემოებებზე, არამედ გამამართლებელ ან ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებებზეც. ბრალდებულის შუამდგომლობები გარკვეული გარემოებების შესწავლის შესახებ არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ.

ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბრალდებულისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების განმარტებას. სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით უნდა განიმარტოს, რომ ასეთი მოქმედება მხედველობაში მიიღება სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის დროს.

ზოგჯერ კონტაქტის დამყარებას ხელს უშლის დასაკითხი პირის ხასიათის თავისებურება-ზედმეტი მორცხვობა, ჩაკეტილობა, უნდობლობა, აღელვება და სხვა. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ დაკითხვის სუბიექტმა არ იჩქაროს უშუალოდ დაკითხვაზე გადასვლა. მიზანშეწონილია უფრო ახლოს გაეცნოს დასაკითხ პირს, ვიდრე ამის შესახებ საანკეტო მონაცემებსია მითითებული, გავესაუბროთ მისთვის საინტერესო თემებზე და სხვა.

ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად საჭიროა დაკითხვის საფუზვლიანი მომზადება:

ა) კარგად უნდა იქნეს შესწავლილი საქმის მასალები და მასში არსებული მტკიცებულებები, მომზადდეს ისინი დაკითხვისას გამოსაყენებლად;

ბ) განისაზღვროს ის გარემოებები, რომელთა თაობაზეც საჭიროა ჩვენების მიღება;

გ) კარგად იქნეს შესწავლილი დასაკითხი პირის ფსიქოლოგიური თავისებურებები და გაირკვეს პროცესის სხვა მონაწილეებთან მისი დამოკიდებულება;

დ) შემუსავდეს დაკითხვის გეგმა;

ე) უზრუნველყოფილ იქნას უფლებამოსილი პირის მონაწილეობა დაკითხვაში.

ფსიქოლოგიური ურთიერთობა განპირობებულია დაკითხვის სუბიექტისა და დასაკითხი პირის განსხვავებული მიზნებით და ინტერესებით, რაც განსაზღვრავს მათი ურთიერთობის კონფლიქტურ ხასიათს.

დაკითხვისას კონფლიქტური ურთიერთობის მოზეზი შეიძლება იყოს დასაკითხი პირის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა, დასაკითხი პირის არასწორი რეაქცია დაკითხვის სუბიექტის კანონიერ მოქმედებაზე, აგრეთვე დაკითხვის სუბიექტის არასწორი მოქმედება-დაუსაბუთებელი ეჭვი, უტაქტობა და სხვა.

უკონფლიქტო სიტუაციას ადგილი აქვს ისეთი მოწმეების და დაზარალებულის დაკითხვისას, რომელთაც არ აინტერესებთ საქმის ბედი. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ფსიქოლოგიური დაპირისპირება არ აესებობს.

კონფლიქტური სიტუაციები, ფსიქოლოგიური ურთიერთდაპირისპირება არაკეთილსინდისიერ პირებთან (ასეთები არიან ცრუ ჩვენების მიმცემები) ართულებს დაკითხვის პროცესს.

ასეთ პირებთან ფსიქოლოგიური ურთიერთდაპირისპირებისას აუცილებელია გამოყენებულ იქნეს დაკითხვის სუბიექტის პროცესუალური მდგომარეობით განპირობებული უპირატესობები-საქმის მასალების ცოდნა, დასაკითხი პირის პიროვნების შესწავლა და მისი სუსტი მხარეების გამოვლენის შესაძლებლობა, დაკითხვისათვის შესაფერისი დროის შერჩევა, მოულოდნელობის ფაქტორის გამოყენება და სხვა.

რა თქმა უნდა დაკითხვის სუბიექტს არა აქვს უფლება გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო მეთოდები. შემთხვევითი არაა, რომ დაუშვებლად მიიჩნევა მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია როგორც კანონით გაუთვალისწინებელი წყაროდან, ასევე კანონით გაუთვალისწინებელი მეთოდებით.

ძლიერ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს დასაკითხ პირზე ცრუ ჩვენებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილება დაიძულებით მოყვანის შესახებ განმარტება.

ჩვენება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ძალდაუტანებლად. საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე. აგრეთვე დაუშვებელია მუქარა ან ისეთი შეღავათების დაპირება, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული.

დაკითხვა ყოველთვის იყო და არის მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საგამოძიებო მოქმედება. თითქმის არ არსებობს სისხლის სამართლის საქმე დაკითხვის გარეშე.

დაკითხვა შეიძლება გამოძიების ან სასამართლო განხილვის სტადიაზე.

გამოძიების დროს პირის მოწმედ დაკითხვის წესი. გამოძიების დროს მოწმის დაკითხვა ხდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. მოწმის დაკითხვა უნდა მოხდეს გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. გამოძიების დროს მოწმედ შეიძლება დაკითხულ იქნეს პირი, თუ:

ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს;

ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას;

გ) გონივრული ძალისხმევის მიუხედავად, საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროდან მოპოვება შეუძლებელია;

დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ბრალდების მხარის შუამდგომლობით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება ასევე დაიკითხოს გამოსაკითხი პირი, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა, რომ მოცემული პირი ფლობს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციას და უარს ამბობს გამოკითხვაზე. ასეთ შემთხვევაში, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირის მოწმედ დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი, რომელიც უფლებამოსილია მაგისტრატ მოსამართლეს შუამდგომლობით თავად მიმართოს ან შუამდგომლობით მიმართვა გამომძიებელს დაავალოს. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოწმის დაკითხვას ვერ დაესწრება დაცვის მხარე.

მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ჩვენების მიცემა სავალდებულოა და მასზე უარის თქმა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

თუ არსებობს გამოძიების სტადიაზე პირის მოწმედ დაკითხვის საფუძველი, მხარე შუამდგომლობით მიმართავს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ან მოწმის ადგილსამყოფლის მიხედვით. შუამდგომლობაში აღინიშნება მოწმის სახელი და გვარი, მისამართი და პირის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია (მოქალაქეობა, სამუშაო ადგილი და სხვა), აგრეთვე მისი მოწმედ დაკითხვის საფუძველი.

მაგისტრატი მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე და იღებს ორიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან

ბ) შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

თუ შუამდგომლობა დაკმაყოფილდება, მოწმე უნდა დაიკითხოს გონივრულ ვადაში, მაგრამ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ეს ვადა დაკითხვის ინიციატორ მხარესთან შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს, თუ მოწმე დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება სასამართლოში. დაუშვებელია მოწმის ღამით დაკითხვა. დაწყებული დაკითხვა ღამის დადგომისთანავე უნდა შეწყდეს და მეორე დღისთვის უნდა გადაიდოს. ცხადია ისმის კითხვა, როგორ უნდა დაადგინოს პროცესის მწარმოებელმა ორგანომ ღამის დადგომა? ასეთ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოს საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-17 ნაწილით, რომლის შესაბამისად, ღამე არის დრო 22 საათიდან 6 საათამდე.

თუ მაგისტრატი მოსამართლე უარს იტყვის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას და მას უგზავნის/გადასცემს დაკითხვის ინიციატორ მხარეს. მოცემული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ერთჯერადად, მისი გამოტანიდა 24 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, მისი შეტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში განჩინება ეგზავნება საჩივრის ავტორს და გასაჩივრებული განჩინების მაგისტრატ მოსამართლეს. ამ შემთხვევაში მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვა უნდა დაიწყოს გონივრულ ვადაში, მაგრამ მაგისტრატი მოსამართლისათვის განჩინების გადაცემიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ეს ვადა დაკითხვის ინიციატორ მხარ-

ესთან შეთანხმებით შეიძლება გაგრძელდეს, თუ მოწმე დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება სასამართლოში.

თუ დაკმაყოფილდა მოწმის დაკითხვის თაობაზე შუამდგომლობა, სასამართლო მოწმედ დასაკითხ პირს იძახებს უწყებით, ტელეფონით ან კომუნიკაციის სხვა ტექნიკური საშუალებით. გამოძახების შესახებ უწყებაში/სხვა შეტყობინებაში აღნიშნული უნდა იყოს, ვინ, რა მიზნით, ვისთან და რა მისამართზე არის გამოძახებული, ზუსტი დრო, როდესაც ის უნდა გამოცხადდეს, აგრეთვე რა შედეგი მოჰყვება არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას. მოწმის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას მოჰყვება მისი იძულების წესით მოყვანა. დაკითხვის ინიციატორ მხარეს უფლება აქვს მოწმედ დასაკითხი პირის წერილობითი თანხმობით თავად უზრუნველყოს მაგისტრატ მოსამართლესთან მისი წარდგენა.

მოწმის დაკითხვა მხარეთა მონაწილეობით ტარდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს;

ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას;

გ) გონივრული ძალისხმევის მიუხედავად, საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროდან მოპოვება შეუძლებელია;

დ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით;

ე) დასაკითხი პირი გამოძახებულია „სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი წესით.

თუ დაკითხვაზე არ გამოცხადდება დაკითხვის ინიციატორი მხარე, მოწმე არ დაიკითხება. მეორე მხარის გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს დაკითხვის პროცესს.

მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე ან/და სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების, პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობითა და მოსამართლის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაკითხვა წარმოებულ იქნეს მეორე მხარის წინასწარ ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. ასეთ შემთხვევაში გამოძიების დროს მოწმის მიერ მიცემული ჩვენება საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ შესაძლებელია მისი ხელახლა დაკითხვა.

მოწმეს უფლება აქვს საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით.

გამოძიების სტადიაზე პირის მოწმედ დაკითვა მიმდინარეობს დახურულ სასამართლო სხდომაზე, რა დროსაც გამოიყენება დაკითხვის ზოგადი წესი.

მოწმის დაკითხვის დასრულებისთანავე მაგისტრატი მოსამართლე დაკითხვის ინიციატორ მხარეს გადასცემს მოწმის ჩვენებას როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით.

დაცვის მხარეს უფლება აქვს წინასასამართლო სხდომაზე დააყენოს შუამდგომლობა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ დაკითხული პირის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ პირი მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ კანონის არსებითი დარღვევით დაიკითხა.

გამოძიების სტადიაზე დასაკითხი პირის ადგილამყოფლის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე შეიძლება ასევე დაიკითხოს პირი, თუ:

ა) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების, ინდივიდუალური შეთანხმების ან ნაცვალგების პირობების საფუძველზე შემოსულია უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ;

ბ) დასაკითხი პირი გამოძახებულია „სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით დადგენილი წესით.

გამოძიების სტადიაზე პირის მოწმედ დაკითხვის წესები არ ვრცელდება ბრალდებულზე.

<u>დაკითხვის ზოგადი წესი</u>. დაკითხვის დაწყებამდე სასამართლო ადგენს მოწმის ვინაობას. სასამართლო, ფიცის დადების შემდეგ, მოწმეს განუმარტავს უფლება-მოვალეობებს, რა საქმეზეა გამოძახებული, რომ ვალდებულია თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით, და აფრთხილებს ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე, ასევე განუმარტავს, რომ იგი ვალდებული არ არის, მისცეს დანაშაულის ჩადენაში თავისი ან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენება. სასამართლო ასევე ადგენს, რა დამოკიდებულება აქვს მოწმეს ბრალდებულთან და დაზარალებულთან.

დაკითხვის დაწყებისთანავე მოწვევის ინიციატორმა მხარემ მოწმეს უნდა შესთავაზოს, თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით. დასაკითხი აყალიბებს ჩვენებას თავისუფალი თხრობის ფორმით, რომლის შეწყვეტა დაუშვებელია, მაგრამ თუ დასაკითხი პირი საუბრობს იმ გარემოებებზე, რომელიც აშკარად არ ეხება საქმეს, მოსამართლეს მხარის შუამდგომლობით შეუძლია მისი შეჩერება. მოწმის ასეთ ჩვენებას ჩვენების თავისუფალი თხრობა ეწოდება.

ამის შემდეგ დასაკითხ პირს მისი ჩვენების შევსებისა და დაზუსტების მიზნით შეიძლება დაკითხვის ინიციატორმა დაუსვას შეკითხვები.

შემავსებელია კითხვა ისეთი გარემოების შესახებ, რაზეც დასაკითხმა პირმა ჩვენების თავისუფალი გადმოცემის დროს არაფერი თქვა, რაც მან გამოტოვა ამა თუ იმ მოსაზრებით.

დამაზუსტებელია კითხვა, რომელიც აკონკრეტებს რაიმე გარემოების შესახებ მიცემულ ჩვენებას.

როდესაც მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვას აწარმოებს მხარე, რომლის ინიციატივითაა გამოძახებული მოწმე, ასეთ დაკითხვას პირდაპირი დაკითხვა ეწოდება.

პირდაპირი დაკითხვისას დაუშვებელია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა.

პირდაპირი დაკითხვის შემდეგ მოწინააღმდეგე მხარე უფლებამოსილია აწარმოოს მოწმის ჯვარედინი დაკითხვა. ე.ი. ჯვარედინი დაკითხვაა ისეთი დაკითხვა, რომელსაც აწარმოებს ის მხარე, რომლის ინიციატივითაც მოწმე არ გამოუძახებიათ.

მოწმე შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ იმ გარემოებების შესახებ, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის.

თუ საჭიროა მოწმის სანდოობის დადგენა, შეიძლება მას დაუსვან კითხვა ნასამართლეობის შესახებ.

მოწმე ჩვენებას იძლევა სიტყვიერად. თუ მოწმეს უჭირს სიტყვიერად აღწეროს მოვლენა, რომლის თვითმხილველიც იგი იყო, მას შეუძლია თავისი ჩვენება ჩამოაყალიბოს სხვა ნიშნობრივი ფორმით, სახელდობრ, ნახაზის, სქემის, ჩანახატის ან სხვა ამგვარი სახით.

დაკითხვისას მოწმეს უფლება აქვს გამოიყენოს მის ხელთ არსებული დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ამას ძირითადად მიმართავენ მაშინ, როდესაც დასაკითხი პირი თანამიმდევრობით ვერ აყალიბებს ჩვენებას ან თუ მოწმეს შეიძლება გადაავიწყდეს რაიმე გარემოება.

მხარეებს შეუძლიათ დასაკითხ პირს მოსთხოვონ დოკუმენტი, ჩანაწერი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელსაც იგი იყენებდა დაკითხვისას, ხოლო შემოწმების შემდეგ დაუბრუნონ მას ან დაურთონ საქმეს.

დაკითხვისას მხარეებს შეუძლიათ მოწმეს წარუდგინონ საქმეზე დართული საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. იგი ძირითადად გამოიყენება მაშინ, როდესაც ამით შესაძლებელია სწორი ჩვენების მიცემა, მოწმისათვის რაიმე გარემოების მოგონება, ე.ი. აღდგენა.

დაკითხვის განსხვავებული წესებია დადგენილი ყრუ-მუნჯის და მძიმედ დაავადებულის.

ყრუ-მუნჯისა და მძიმედ დაავადებულის გამოკითხვა/დაკითხვა. ყრუ-მუნჯისა და მძიმედ დაავადებულის გამოკითხვა/დაკითხვის წესს ადგენს საპროცესო კოდექსის 117-ე მუხლი.

ყრუ-მუნჯის გამოკითხვა/დაკითხვაში მონაწილეობას იღებს თარჯიმანი, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა. თუ დასაკითხი პირი ყრუა, მისთვის შეკითხვების დასმა შეიძლება წერილობით, ხოლო თუ ის მუნჯია, მას შეუძლია შეკითხვებზე პასუხები წერილობით გასცეს.

მძიმედ დაავადებული გამოკითხვა/დაიკითხება მხოლოდ ექიმის ნებართვით. თუ საჭიროა, მძიმე ავადმყოფის დაკითხვა უნდა მოხდეს ექიმის თანდასწრებით.

სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს მოწმის დაკითხვის წესი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოწმის დაკითხვა შეიძლება როგორც გამოძიების სტადიაზე, ისე საქმის არსებითი განხილვის დროს. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს მოწმის დაკითხვის წესს ადგენს საპროცესო კოდექსის 118-ე მუხლი. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას დაიკითხება როგორც ბრალდების, ისე დაცვის მოწმე.

ბრალდების მოწმის დაკითხვას იწყებს ბრალდების მხარე. როდესაც ბრალდების მხარე ამოწურავს შეკითხვებს, ამის შემდეგ დაკითხვას აგრძელებს დაცვის მხარე. დაცვის მხარემ შეიძლება დასვას საკონტროლო კითხვა.

საკონტროლოა კითხვა, რომელიც დაესმევა მოწმეს იმისათვის, რომ შემოწმდეს განსაზღვრული გარემოებების შესახებ მის მიერ მიცემული ჩვენების სისწორე.

დაცვის მოწმის დაკითხვას იწყებს დაცვის მხარე, აგრძელებს ბრალდების მხარე.

მოწმე უნდა დაიკითხოს სხვა მოწმეთაგან განცალკევებით. ამასთანავე, სასამართლო იღებს ზომებს, რათა ერთ საქმეზე გამოძახებულ მოწმეებს დაკითხვის დამთავრებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ. დაკითხვის დასრულების შემდეგ მოსამართლემ უნდა განუმარტოს მოწმეს სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება.

საქმის არსებითი განხილვისას არ დაიკითხება ის მოწმე, რომელიც დასაკითხად ვერ გამოცხადდება სასამართლოში შემდეგი გარემოებების გამო:

ა) არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს;

ბ) იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას;

გ) ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით;

ასეთ შემთხვევაში, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ქვეყნდება მისი წინასასამართლო ჩვენება. ეს ჩვენება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დადასტურდება პირის ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ საგამოძიებო მოქმედების ცნება;

2) რა განსხვავებაა საგამოძიებო მოქმედებებსა და საპროცესო მოქმედებებს შორის?

3) რომელია სასამართლო განჩინებით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები?

4) რომელია გამომძიებლის დადგენილებით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები?

5) რომელია საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ტარდება სასამართლო განჩინებისა და გამომძიებლის დადგენილების გარეშე?

6) რა რეკვიზიტებს შეიცავს განჩინება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ?

7) ჩამოაყალიბეთ გადაუდებელი აუცილებლობის ცნება და საფუძველი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს;

8) ჩამოაყალიბეთ გადაუდებელი აუცილებლობისას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესი;

9) ჩამოაყალიბეთ გამოკითხვის ჩატარების საფუძველი და წესი;

10) ჩამოაყალიბეთ დაკითხვის ცნება, ჩატარების საფუძველი და წესი;

11) ჩამოაყალიბეთ არასრულწლოვნის დაკითხვის წესი;

12) ჩამოაყალიბეთ ყრუ-მუნჯისა და მძიმედ დაავადებულის დაკითხვის წესი;

თავი 12. სხვა საგამოძიებო მოქმედებები

12.1. ამოღება და ჩხრეკა

ჩხრეკა და ამოღება საგამოძიებო მოქმედებებია და ატარებენ იძულების ღონისძიების ბუნებას, რადგან მათი ჩატარებით იზღუდება ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, დაცული და გარანტირებული საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტებით.

ჩხრეკა და ამოღება ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. არსებობს სასამართლო კონტროლის ორი ფორმა:

ა) წინასწარი ანუ „სანებართვო“;

ბ) შემდგომი ანუ „შემოწმებითი“.

წინასწარი ანუ „სანებართვო“ სასამრთლო კონტროლი გულისხმობს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე მოსამართლის (სასამართლო) განჩინების მიღებას წინასწარ, საგამოძიებო მომედების ჩატარებამდე (საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის მიღებ მის დაწყებამდე).

შემდგომი ანუ „შემოწმებითი“ სასამართლო კონტროლი გულისხმობს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას მოსამართლის (სასამართლო) განჩინების გარეშე გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე და საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონერების საკითხის შემოწმების მიზნით, მოსამართლისათვის (სასამართლოსათვის) შესაბამისი მასალების წარდგენას კანონით დადგენილ წესით და ვადაში.

ამოღება და ჩხრეკა საგამოძიებო მოქმედებებია და მიმართულია მტკიცებულებათა მოპოვებისაენ. ამოღება და ჩხრეკა ტარდება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე.

ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, აღმოაჩინონ და ამოღონ:

ა) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი;

ბ) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი;

გ) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთიერება;

დ) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

ჩხრეკის ჩატარება შეიძლება აგრეთვე ძებნილი პირისა და გვამის აღმოსაჩენად.

ჩხრეკა და ამოღების უფლებით სისხლის სამართლის პროცესში სარგებლობს მხოლოდ ბრალდების მხარე, ე.ი. გამომძიებელი და პროკურორი.

ამოღება არის გამომძიებლის ან პროკურორის მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის იმ პირისათვის ჩამორთმევა, რომელთანაც ინახება იგი და მათი ძებნა საჭირო არ არის.

ამოღების დროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი უნდა ჩამოერთვას პირს ან ამოღებულ იქნეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ისინი ინახება გარკვეულ ადგილზე ან გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის.

ამოღების ჩატარებისათვის საჭიროა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების (წინაპირობების) არსებობა.

ამოღების ჩატარების ფაქტობრივ საფუძვლებში იგულისხმება დასაბუთებული ვარაუდი, რომ საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცვე-

ლი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე ან გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის.

ამოღების სამართლებრივი საფუძვლებია:

ა) მოსამართლის (სასამართლოს) განჩინება ამოღების ჩატარების შესახებ;

ბ) პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილება ამოღების ჩატარების შესახებ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში.

ამოღება შეიძლება ჩაატაროს გამომძიებელმა ან პროკურორმა. იმისათვის რომ დაიგეგმოს ამოღების ჩატარება, საჭირო არ უნდა იყოს ამოღების ობიექტის ძებნა, ე.ი. ზუსტად უნდა იყოს დადგენილი:

ა) ამოღების ჩატარების ადგილი;

ბ) ამოსაღები ობიექტი.

მაგალითად, მოწმის ჩვენება მტკიცებულებაა და იძლევა ინფორმაციას, რომ გატაცებული საგანი შეინახა მეგობრის სარდაფში და ასახელებს მისამართს.

ამოღების ადგილის წინასწარ დადგენაში ყოველთვის არ იგულისხმება ამოსაღები ობიექტის ზუსტი ადგილმდებარეობის წინასწარი ცოდნა. მაგალითად, თუ ამოღებული უნდა იქნეს დაწესებულების საბუღალტრო დოკუმენტაცია, არ არის აუცილებელი, წინასწარ ზუსტად ვიცოდეთ ოფისის რომელ სართულზე, რომელ ოთახშია განთავსებული ამოსაღები დოკუმენტაცია. მთავარია, გარკვეული იყოს, რომ ეს დოკუმენტაცია ინახება დაწესებულების ოფისში.

იმისათვის, რომ ჩატარდეს საგნის ამოღება, ამოსაღები საგნის ადგილმდებარეობასთან ერთად წინასწარ უნდა იყოს გარკვეული ამოსაღები საგნის ინდივიდუალური ნიშნები. მაგალითად, ამოსაღებია მკვლელობის მცდელობის შედეგად დაზარალებულის ტანსაცმელი და წინასწარ ცნობილია, კონკრეტულად რა უნდა იქნეს ამოღებული, ტარდება ამოღება. მაგრამ, თუ ამოღებული უნდა იქნეს ბრალდებულის ტანსაცმელი და კონკრეტულად არ არის ცნობილი, რა ტანსაცმელი უნდა იქნეს ამოღებული, ე.ი. ცნობილია ტანსაცმლის მხოლოდ სავარაუდო აღწერილობა და სავარაუდებელია მასზე დანაშაულის კვალი (სისხლი), ტარდება ჩხრეკა.

იმისათვის, რომ დოკუმენტის ამოსაღებად დაიგეგმოს ამოღების ჩატარება, აუცილებელი არ არის ამოსაღები დოკუმენტების ზუსტი რაოდენობისა და ინდივიდუალური ნიშნების წინასწარი ცოდნა. მაგალითად, საბუღალტრო დოკუმენტაციის ამოსაღებად ტარდება ამოღება და არა ჩხრეკა, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტების ზუსტი რაოდენობა და ზუსტი დასახელება შეიძლება უცნობი იყოს. ამ შემთხვევაში საკმარისია ამოსაღები დოკუმენტაციის ნიშნების ცოდნა, რომელი წლისაა დოკუმენტაცია და რა სახისაა იგი.

ამოღება შეიძლება გადაიზარდოს ჩხრეკაში, თუ:

ა) ამოღებისას უარს განაცხადებენ ამოსაღები ობიექტის წარდგენაზე, მათი ზუსტი ადგილსამყოფელის მითითებაზე და საჭირო გახდება მათი ძებნა;

ბ) ამოსაღები ობიექტი წარმოდგენილი იქნა არასრულად;

გ) ამოღების დროს გამოიკვეთა სხვა დანაშაულის ნიშნები და წარმოიშვება სხვა ობიექტის ამოღების აუცილებლობა და მათ ნებაყოფლობით არ წარადგენენ.

ჩხრეკა არის გამომძიებლის ან პროკურორის მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის იმ პირისათვის იძულებით ჩამორთმევა, რომელთანაც ინახება იგი და მათ აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა[33].

---

[33] Р.Х. Якуров, уголовный рроцесс, Москва, 1998, ст. 252.

ჩხრეკის დროს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება და ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი იძულებით უნდა ჩამოერთვას პირს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე ან გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა.

ჩხრეკა ყველა შემთხვევაში ატარებს იძულებით ხასიათს.

ამოღებას და ჩხრეკას გააჩნია საერთო მიზანი. სახელდობრ, მათი მიზანია, რომ აღმოაჩინონ და ამოიღონ:

ა) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი;

ბ) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი;

გ) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთიერება;

დ) ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

განსხვავება ჩხრეკისა და ამოღებას შორის შემდეგში მდგომარეობს:

1) ჩხრეკის დროს წარმოებს გადამალული ობიექტების მოძებნა, ხოლო ამოღების დროს წარმოებს ობიექტების ნებაყოფლობით გაცემა ან იძულებით ჩამორთმევა;

2) ჩხრეკა ყოველთვის ატარებს იძულებით ხასიათს, ხოლო ამოღება – ნებაყოფლობითი ხასიათისაა, ხოლო ზოგჯერ იძულებით ხასიათს ატარებს.

ჩხრეკის ჩატარებისათვის საჭიროა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების (წინაპირობების) არსებობა.

ჩხრეკის ჩატარების ფაქტობრივ საფუძვლებში იგულისხმება დასაბუთებული ვარაუდი, რომ საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე ან გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა.

ჩხრეკის სამართლებრივი საფუძვლებია:

ა) მოსამართლის (სასამართლოს) განჩინება;

ბ) პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილება ჩხრეკის ჩატარების შესახებ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში;

გ) თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები, დამკავებელ თანამდებობის პირს უფლება აქვს, ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით ჩაატაროს პირადი ჩხრეკა სასამართლოს განჩინების გარეშე, რაც აღინიშნება დაკავების ოქმში.

ამრიგად, ამოღების და ჩხრეკის საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე ან გარკვეულ პირთან.

ამოღება და ჩხრეკა ისეთი საგამოძიებო მოქმედებებია, რომლებიც ზღუდავენ კონსტიტუციით გათვალისწინებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება შეივიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების წესი საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლშია ჩამოყალიბებული.

ამოღებისა და ჩხრეკის წესი. ამოღებისა და ჩხრეკის დაწყებამდე გამომძიებელი ამოწმებს საგამოძიებო მოქმედებაში ჩაბმულ მონაწილეებს, განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების წესებს. ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარება ღამით, გადაუდებელი აუცილებლობის გარეშე, დაუშვებელია. ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარებისას შეიძლება გამოიყენონ დანაშაულის კვალისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციისა და ამოღების მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებები და მეთოდები. გამომძიებელს (პროკურორს) უფლება აქვს საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად შეივიდეს საცავში, სადგომში, სათავსში ან სხვა მფლობელობაში, ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე.

ამოღებისა და ჩხრეკის დაწყების წინ გამომძიებელი ვალდებულია სასამართლოს განჩინება, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – დადგენილება გააცნოს პირს, რომელთაგანაც ტარდება ამოღება და ჩხრეკა.

გამომძიებლის (პროკურორის) დადგენილების (განჩინების) გაცნობის ფაქტს პირი ადასტურებს ხელმოწერით.

გამომძიებელს უფლება აქვს, ამოღების ან ჩხრეკის ადგილზე მყოფ ან იქ მისულ პირებს ამოღების ან ჩხრეკის დამთავრებამდე აუკრძალოს წასვლა, ერთმანეთთან ან სხვა პირთან ურთიერთობა, რაც აღინიშნება ოქმში.

განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – დადგენილების წარდგენის შემდეგ გამომძიებელი პირს, რომელთაგანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა, სთავაზობს ამოსაღები საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემას. ამოსაღები ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება ოქმში (ჩხრეკის), ხოლო მის ნებაყოფლობით გადაცემაზე უარის თქმის ან მისი არასრულად გადაცემის შემთხვევაში ამოღება ხდება იძულებით.

ჩხრეკისას იძებნება და ამოიღება ის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელიც აღნიშნულია განჩინებაში ან დადგენილებაში. ასევე ამოღებული უნდა იქნეს ინფორმაციის შემცველი ყველა სხვა ობიექტი, რომელსაც შესაძლოა მტკიცებულების მნიშვნელობა ჰქონდეს ამ საქმისათვის ან რომელიც აშკარად მიუთითებს სხვა დანაშაულზე, აგრეთვე სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

ჩხრეკისა და ამოღების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, თუ შესაძლებელია, ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მონაწილე პირებს, შემდეგ ამოღებულ უნდა იქნეს, დაწვრილებით აღიწეროს, დაილუქოს და შესაძლებლობის შემთხვევაში შეიფუთოს. შეფუთულ ნივთზე ლუქის გარდა აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, რომლებიც მონაწილეობდნენ საგამოძიებო მოქმედებაში. არ დაილუქება დოკუმენტი, რომლის ამოღებაც ხდება მისი შინაარსის გამო.

ამოღების და ჩხრეკის ჩატარებისას გამომძიებელს უფლება აქვს გააღოს დაკეტილი საცავი, სადგომი, და სათავსი, თუ გასაჩხრეკი უარს ამბობს ნებაყოფლობით გააღოს ისინი.

დასაშვებია ჩხრეკის ან/და ამოღების ადგილზე მყოფი პირის პირადი ჩხრეკა, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდო, რომ მან დამალა ამოსაღები საგანი,

დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ასეთი შემთხვევა ითვლება გადაუდებელ აუცილებლობად და პირადი ჩხრეკა ტარდება სასამართლოს განჩინების და გამომძიებლის დადგენილების გარეშე. მოცემული შემთხვევა პირადი ჩხრეკის სახეა. ჩხრეკის ან/და ამოღების კანონიერებას ამოწმებს სასამართლო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით. კერძოდ, ჩატარებული პირადი ჩხრეკის დაკანონება ხდება საერთო წესით. გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობის შუამდგომლობით პროკურორი საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათში მიმართავს სასამართლოს გამოძიების ადგილის ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილის მიხედვით.

იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში ამოღება ან ჩხრეკა უნდა ჩატარდეს მისი ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის დასწრებით.

დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგნის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს.

პირადი ჩხრეკა. ცოცხალ პირს უტარდება პირადი ჩხრეკა, რომელსაც აწესრიგებს საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლი.

თუ არსებობს ჩხრეკის საფუძველი, პროკურორს, გამომძიებელს, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უფლება აქვს დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას პირადი ჩხრეკით ამოიღონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელიც აღმოჩენილია:

ა) პირის ტანსაცმელზე;

ბ) მის ხელთ არსებულ ნივთში;

გ) სატრანსპორტო საშუალებაში;

დ) სხეულზე ან სხეულში.

პირად ჩხრეკაზე ვრცელდება ჩხრეკისათვის საპროცესო კანონით (სსსკ-ის 120-ე მუხლი) დადგენილი წესი.

ამგვარი პირადი ჩხრეკის ჩასატარებლადაც (ისევე როგორც სხვა ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად) დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს აწესებს[34]. სასამართლოს განჩინების ან გამომძიებლის დადგენილების გარეშე პირადი ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ:

ა) დაკავებულს აქვს იარაღი;

ბ) დაკავებული აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები.

ჩხრეკის შედეგები აღინიშნება დაკავების ოქმში. ამ შემთხვევაში ოქმი პირადი ჩხრეკის თაობაზე არ დგება. პირადი ჩხრეკის კანონიერებას ამოწმებს სასამართლო 112-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. კერძოდ, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკის კანონიერად ცნობის შუამდგომლობით პროკურორი საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათში მიმართავს სასამართლოს გამოძიების ადგილის ან საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილის მიხედვით.

---

[34] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ. 393;

დამკავებელი ფიზიკური პირი უფლებამოსილია განაიარაღოს დაკავებული.

თუ პირად ჩხრეკას თან სდევს გაშიშვლება, იგი უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პირმა. ამ დროს დასაშვებია მხოლოდ იმავე სქესის პირთა მონაწილეობა.

ამოღება და ჩხრეკა დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან. ამოღებისა და ჩხრეკის სპეციფიკური წესია დადგენილი დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან.

დაუშვებელია დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მისი ოჯახის მიერ დაკავებული შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში ამოღების ან ჩხრეკის ჩატარება. ამრიგად, ამოღებისა და ჩხრეკის განსაკუთრებული წესი მოქმედებს:

ა) დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე;

ბ) დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირზე;

გ) დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის მიერ დაკავებულ შენობაზე;

დ) დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის ოჯახის წევრის მიერ დაკავებულ შენობაზე;

ე) დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის სატრანსპორტო საშუალებაზე;

ვ) დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის ოჯახის წევრის სატრანსპორტო საშუალებაზე.

იმისათვის, რომ ჩატარდეს დიპლომატიური წარმომადგენლობის ტერიტორიაზე, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, მის ან/და მისი ოჯახის წევრების მიერ დაკავებულ შენობასა და სატრანსპორტო საშუალებაში ამოღება და ჩხრეკა, აუცილებელია ამ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობა ან თხოვნა.

ამოღების ან ჩხრეკის ჩასატარებლად დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელის თანხმობის გამოთხოვა ხდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით.

დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან ამოღების და ჩხრეკის ჩატარებას სავალდებულოა ესწრებოდეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. ხოლო თუ ამოღება და ჩხრეკა ტარდება დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში, საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე, ამოღებას ან ჩხრეკას ასევე უნდა ესწრებოდეს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ან წარმომადგენელი.

ჩხრეკა, ამოღება და დაყადაღება მასმედიის, გამომცემლობის რედაქციაში, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რელიგიური, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების სათავსებში. დაუშვებელია მასმედიის, გამომცემლობის რედაქციაში, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რელიგიურ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და პოლიტიკური პარტიის სათავსებში არსებული იმ საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა სამეცნიერო, საგანმანათლებლო ობიექტის ჩხრეკა, ამოღება ან/და დაყადაღება, რომლის მიმართაც არსებობს საჯაროდ გავრცელების გონივრული მოლოდინი.

ეს აკრძალვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამოსაღები საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი დანაშაულის საგანი ან იარაღია.

სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება ჩხრეკის, ამოღების ან/და დაყადაღების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს აშკარა და დამაჯერებელი დასაბუთება, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება არ გამოიწვევს საქართველოს კონსტიტუციით დაცული სიტყვის, აზრის, სინდისის თავისუფლების, აღმსარებლობის, რწმენის ან გაერთიანების უფლების ხელყოფას. ეს საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს ეფექტიანი და ამ უფლებათა და თავისუფლებათა ყველაზე მინიმალურად შემზღუდველი ფორმით.

დაბოლოს, ამოღებული ობიექტის დაბრუნების წესს აწესრიგებს საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლი. თუ ამოღებული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი გამომძიებელმა (პროკურორმა) სასამართლოში მტკიცებულებად არ წარადგინა, იგი, როგორც წესი, უბრუნდება იმ პირს, რომლისგანაც იქნა ამოღებული.

თუ დაბრუნებულ საგანთან, დოკუმენტთან, ნივთიერებასთან ან ინფორმაციის შემცველ სხვა ობიექტთან დაკავშირებით მესამე პირი პრეტენზიას აცხადებს, დავა განიხილება სამოქალაქო წესით.

12.2. საბანკო ანგარიშების მონიტორინგი

საბანკო ანგარიშების მონიტორინგი სიახლეა საპროცესო კანონმდებლობაში. საბანკო ანგარიშის მონიტორინგის ჩატარებისათვის აუცილებელია ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების ერთდროული არსებობა. ფაქტობრივ საფუძვლებში იგულისხმება დასაბუთებული ვარაუდი, რომ:

1) პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს საბანკო ანგარიშის (ანგარიშების) გამოყენებით;

2) საჭიროა ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების მოძიება (იდენტიფიცირება).

სამართლებრივ საფუძველში იგულისხმება საბანკო ანგარიშის მონიტორინგის შესახებ სასამართლოს განჩინება.

ფაქტობრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით საბანკო ანგარიშების მონიტორინგის შესახებ განჩინების გამოტანის თაობაზე. მოსამართლე შუამდგომლობისა და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს შუამდგომლობის დამყენებელი მხარის მონაწილეობით. განჩინების გამოტანის შემდეგ ბანკი ვალდებულია ითანამშრომლოს გამომძიებასთან და მას მიმდინარე რეჟიმში მიაწოდოს ინფორმაცია ერთი ან რამდენიმე საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელ ორგანოს უნდა ეცნობოს ასეთი ოპერაციის შესრულებისთანავე. მაგალითად, თუ პირს ანგარიშზე თანხა ჩაერიცხა.

საქმის მწარმოებელ ორგანოს უნდა ეცნობოს ინფორმაცია ოპერაციის შესრულებამდე შემდეგ შემთხვევებში, თუ განხორციელდა:

ა.)საბანკო ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა;

ბ.)საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა;

გ.) საბანკო ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა და გატანა.

ამრიგად, საბანკო ანგარისის მონიტორინგის დროს სისხლის სამართლის მწარმოებელ ორგანოს ერთი ან რამდენიმე საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ოპერაციის შესრულებისთანავე, ხოლო საბანკო ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის ან/და გატანის შემთხვევაში-ოპერაციის შესრულებამდე.

საბანკო ანგარიშების მონიტორინგის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა მოპოვების აუცილებელ ვადას.

12.3. დათვალიერება

დანაშაულის სწრაფი გახსნის საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს საგამოძიებო მოქმედებათა სწორად შერჩევა და ჩატარება.

დათვალიერება იყო და არის პირველდაწყებითი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება. იგი ტარდება გამოძიების წარმოებისას , როდესაც შემთხვევის ადგილზე შეიძლებოდა დარჩენილიყო კვალი, ნივთიერი მტკიცებულება, ან საჭიროა შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევა[35].

დათვალიერება ნიშნავს იმას, რომ დანაშაულის ჩადენის ან მისი ნიშნების აღმოჩენის ადგილზე აღმოჩენილ იქნას დანაშაულის კვალი ან ნივთიერი მტკიცებულება, აგრეთვე გარკვეულ იქნეს შემთხვევის ადგილის ვითარება და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოება.

დათვალიერება არის ზოგადი ცნება. იგი მოიცავს შემთხვევის ადგილის, საცავის, სადგომის, სათავსის, გვამის, საგნის, დოკუმენტის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალიერებას. დათვალიერების სახეების კლასიფიკაცია შეიძლება მოვახდინოთ თანმიმდევრობის, ობიექტებისა და მოცულობის მიხედვით. თანმიმდევრობის მიხედვით არსებობს პირველადი და განმეორებითი დათვალიერება. ობიექტის მიხედვით არსებობს შემთხვევის ადგილის, გვამის, ადგილმდებარეობის, შენობის, საგნის, დოკუმენტის და სხვა ობიექტის დათვალიერება. მოცულობის მიხედვით არსებობს ძირითადი და დამატებითი დათვალიერება.

დათვალიერების სუბიექტებია მხარეები.

დათვალიერების მიზანია:

ა) დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენა;

ბ) შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევა.

თუ დათვალიერება ეხება კერძო საკუთრებას, ის ტარდება სასამართლოს განჩინებით. განჩინების გამოტანის საფუძველია მხარის შუამდგომლობა დათვალიერების ჩატარების ნებართვის თაობაზე. სასამართლოს განჩინების მიღება არ არის აუცილებელი, როდესაც ან მხარე ატარებს დათვალიერებას გადაუდე-

[35] Р.Х. Якуров, уголовный рроцесс, Москва, 1998, ст. 261.

ბელი აუცილებლობის შემთხვევაში, ან მესაკუთრე (მფლობელი) წერილობით გამოხატავს თანხმობას.

გადაუდებელი აუცილებლობისას დათვალიერების ჩატარების შემთხვევაში, მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა დათვალიერება ან გამოძიების ადგილის მიხედვით, დათვალიერების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა წარედგინოს შუამდგომლობა მისი კანონიერების შემოწმების შესახებ და უნდა გადაეცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლებიც ასაბუთებს დათვალიერების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. როგორც კანონის დეფინიციიდან ჩანს (იგულისხმება 112-ე მუხლი), გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებს ვერ იყენებს დაცვის მხარე. მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენითაც. ასე ხდება ძირითადად იმ შემთხვევაში როცა სასამართლოს წინაშე წარდგენილი მასალებში აღმოსაფხვრელია ბუნდოვნება, ან როდესაც მასალები არასრულყოფილადაა წარმოდგენილი და დეთალების დაზუსტება მოითხოვს განმარტებებს.

დათვალიერების დროს აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, თუ შესაძლებელია, ამოღებამდე უნდა წარედგინოს ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს, შემდეგ ამოღებულ იქნეს, დაწვრილებით აღიწეროს, დაილუქოს და შესაძლებლობის შემთხვევაში შეიფუთოს. შეფუთულ ნივთზე ლუქის გარდა აღინიშნება თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, რომლებიც მონაწილეობდნენ დათვალიერებაში. დათვალიერებაში მონაწილე პირს უფლება აქვს, მხარის ყურადღება მიაპყროს ყველაფერს, რამაც მისი აზრით, შეიძლება ხელი შეუწყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოვლენას.

თუ ამოღებული საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დასათვალიერებლად საჭიროა დიდი დრო ან დამატებითი ტექნიკური საშუალება, საგამოძიებო მოქმედება შეიძლება გაგრძელდეს გამოძიების ჩატარების ადგილზე.6

დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს ტექნიკური საშუალებებით, თუ ეს არ გამოიწვევს საგნის, დოკუმენტის, ნივთიერებისა თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ან მასზე არსებული კვალის განადგურებას ან დაზიანებას.

დათვალიერება შეიძლება ამოიწუროს პირველადი დათვალიერებით, მაგრამ შეიძლება მოხდეს აგრეთვე დამატებითი ან განმეორებითი დათვალიერება.

პირველადი დათვალიერება არის უფრო ეფექტიანი საგამოძიებო მოქმედება, რადგან იგი ტარდება მაქსიმალურად სწრაფად და ოპერატიულად. ამ შემთხვევაში კვალი, ნივთიერი მტკიცებულება, შემთხვევის ვითარება, როგორც წესი, არის უცვლელი, რაც საშუალებას იძლევა ობიექტურად ავსახოთ ყოველივე და მივიღოთ უტყუარი ინფორმაცია.

დამატებით დათვალიერებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ცალკეული კვალი თუ ნივთიერი მტკიცებულება, ან საერთოდ არ იყო, ან უხარისხოდ იყო დათვალიერებული.

განმეორებით დათვალიერებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პირველადი დათვალიერება ჩატარებული იყო უხარისხოდ.

შემთხვევისა და სხვა ადგილის დათვალიერება. შემთხვევის ადგილის დათვალიერება არის საგამოძიებო მოქმედება, რომლის დროსაც ხდება დანა-

შაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენა, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევა.

შემთხვევის ადგილი ის ტერიტორიაა, სადაც მოხდა დანაშაული ან აღმოჩენილია მისი კვალი. არ არის გამორიცხული ერთი და იმავე დანაშაულზე რამდენიმე შემთხვევის ადგილი დაფიქსირდეს. მაგალითად, დანაწევრებული გვამის დროს შეიძლება სხეულის ნაწილები სხვა და სხვა ადგილას იყოს გადამალული, ან ისეთ ადგილებზე იყოს აღმოჩენილი, რომელ ტერიტორიაზეც სხვადასხვა გამომძიებლების უფლებამოსილებები ვრცელდება. სწორედ ასეთ ტერიტორიაზე უნდა მოხდეს შემთხვევის ადგილის დათვალიერება. შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიხედვით შეიძლება „ცხელ კვალზე" განხორციელდეს დანაშაულის ჩამდენი პირის მოძებნა და დაკავება.

დათვალიერების დამთავრებამდე შემთხვევის ადგილი დაცული უნდა იყოს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება განისაზღვროს შემთხვევის ადგილის საზღვრები, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის გარემოება, რომ დასათვალიერებელმა ადგილმა მთლიანად მოიცვას ყველა ის კვალი და ნივთიერი მტკიცებულება, რასაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს საქმისათვის.

თუ ჩადენილია საქართველოს სსკ-ის 276-ე ან 281-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული და არსებობს მტკიცებულების განადგურების, დაკარგვის ან დაზიანების საშიშროება, შემთხვევის ადგილის დაცვის უზრუნველმყოფ უფლებამოსილ თანამდებობის პირს შემთხვევის ადგილის დათვალიერების დაწყებამდე შეუძლია მტკიცებულების ფიქსაცია ტექნიკური საშუალების გამოყენებით და შენახვა.

საცხოვრებელ, სამსახურებრივ სადგომში ან დახურულ ტერიტორიაზე თუ დათვალიერებას ეწინააღმდეგება მისი მფლობელი პირი, მხარე შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის თაობაზე განჩინების მისაღებად. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს კანონით გათვალისწინებული საფუძველის არსებობისას დათვალიერების ჩასატარებლად გამოაქვს განჩინება, რომელიც ხელმოწერით უნდა გააცნონ პირს, რომლის ბინაშიც ტარდება დათვალიერება, ხოლო თუ დათვალიერება ტარდება იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში – მის ხელმძღვანელს ან წარმომადგენელს.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც, რის შესახებაც მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული დათვალიერება, ან მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით, დათვალიერების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა წარედგინოს შუამდგომლობა მისი კანონიერების შემოწმების შესახებ და უნდა გადაეცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს დათვალიერების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. მოსამართლე მასალების შემოსვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას.

გვამის დათვალიერება. გვამის გარეგნულ დათვალიერებას ატარებს მხარე. მასში სავალდებულოა მონაწილეობა მიიღოს ექსპერტმა.

იმ შემთხვევაში, როდესაც გვამის ამოცნობა ვერ ხერხდება, გვამის დაქტილოსკოპირება (თითის ანაბეჭდის აღება) და ნიმუშების აღება სავალდებუ-

ლოა. ეს იმის გამო ხდება, რომ გაადვილდეს მისი შემდგომი ამოცნობა ან პიროვნების დადგენა.

ამოუცნობი გვამის დამარხვა ან კრემაცია პროკურორის ნებართვის გარეშე დაუშვებელია. მოცემული მოთხოვნიდან გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როცა საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

თუ გვამის დათვალიერება ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ამ შემთხვევაში გამოიყენება საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებები, ე.ი. გვამის დათვალიერება ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. მოსამართლემ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნის საკითხი უნდა გადაწყვიტოს არაუგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე, მას შემდეგ, როდესაც მიიღებს შუამდგომლობას და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს იმ მხარის მონაწილეობით, რომელმაც დააყენა მოცემული შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე.

კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემზღუდავი გვამის დათვალიერების ჩატარება შეიძლება სასამართლოს განჩინების გარეშე, თუ გვამის დათვალიერების ჩატარებაზე თანახმაა თანამესაკუთრე ან მფლობელი ან კომუნიკაციის ერთი მხარე.

სასამართლო განჩინებით ჩასატარებელი გვამის დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც, თუ არსებობს მისი ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა.

გადაუდებელი აუცილებლობაა:

ა) როდესაც საგამოძიებო მოქმედების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება;

ბ) როცა საგამოძიებო მოქმედების დაყოვნება შეუძლებელს გახდის გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებას;

გ) როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად);

დ) როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული გვამის დათვალიერების შესახებ პროკურორი ამ საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმის მასალებს (ან მათ ასლებს), რომელიც ასაბუთებს გვამის დათვალიერების ჩატარების აუცილებლობას, გადასცემს მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა იგი ან გამოძიების ადგილის მიხედვით.

მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლეს უფლება აქვს შუამდგომლობა განიხილოს მხარეთა (თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია) და იმ პირის მონაწილეობით, რომლსაც შეეზღუდა საკუთრების ან მფლობელობის უფლება. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული გვამის დათვალიერების კანონიერებას. მოსამართლეს უფლება აქვს განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც გვამის დათვალიერება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩაატარა.

12.4. საგამოძიებო ექსპერიმენტი

ექსპერიმენტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ცდას. საგამოძიებო ექსპერიმენტს ატარებს მხარე.

საგამოძიებო ექსპერიმენტი საგამოძიებო მოქმედებაა, რომელიც მიღებული ინფორმაციისა და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიების შემოწმების მიზნით, სპეციალური საცდელი მოქმედებებისაგან შედგება.

ამრიგად, საგამოძიებო ექსპერიმენტი იმას ნიშნავს, რომ დაკითხული/გამოკითხული პირის ჩვენება/ინფორმაცია და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიის შესამოწმებლად ტარდება ცდა, რომელიც ადასტურებს ჩვენების/ინფორმაციის ან ვერსიის სისწორეს ან უარყოფს მას.

შემოწმება ნიშნავს ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის არსებობის ან არარსებობის დადგენას იმ კონკრეტულ ვითარებაში, რა დროსაც ეს მოვლენა მოხდა.

მხარე საგამოძიებო ექსპერიმენტს ატარებს იმ მიზნით, რომ, შემოწმდეს:

1) მიღებული ინფორმაცია (ჩვენება);

2) გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსია.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების გადაწყვეტის შემდეგ მხარე იწყებს მომზადებას ამ საგამოძიებო მოქმედებისათვის. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე გასვლამდე მხარემ უნდა განსაზღვროს საცდელი მოქმედებების ჩატარების პირობა და მისი შინაარსი; დაადგინოს საცდელი მოქმედებების რიგითობა; გადაწყვიტოს ექსპერიმენტის ჩატარების დრო; შეარჩიოს ექსპერიმენტის ჩატარების ადგილი; შეარჩიოს ექსპერიმენტში მონაწილე პირები და უზრუნველყოს მათი გამოცხადება ექსპერიმენტის ჩატარების ადგილზე; მოამზადოს სატრანსპორტო საშუალებები.

საგამოძიებო ექსპერიმენტში შეიძლება მოიწვიონ ექსპერტი, ხოლო საცდელ მოქმედებათა ჩატარებაში შეიძლება ჩააბან სხვა პირები.

საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობისათვის შეიძლება მოიწვიონ პირი, რომლის ინფორმაციაც (ჩვენებაც) უნდა შემოწმდეს. საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეობის უფლება აქვთ მხარეებს. მნიშვნელოვანია ექსპერიმენტში მონაწილე პირთა ინსტრუქტაჟი. საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილე პირს უნდა გააცნონ ექსპერიმენტის მიზანი და ჩატარების წესი. თითოეულმა მონაწილემ უნდა იცოდეს თუ სად იქნება და რას გააკეთებს იგი საცდელი მოქმედებების დროს.

ექსპერიმენტის ჩატარებისას გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

ა) ესპერიმენტის ჩატარება მსგავსად დამახასიათებელ დროსთან;

ბ) ექსპერიმენტის ჩატარება იმ ადგილზე , სადაც მოხდა გამოსაკვლევი მოვლენა;

გ) რეალური კლიმატური პირობების და ექსპერიმენტალური მოვლენის მსგავსება;

დ) საცდელი მოქმედების ჩატარება იმავე ხელოვნური განათების ქვეშ, რასაც ადგილი ჰქონდა რეალური მოვლენის დროს;

ე) ვითარების კონსტრუქცია საცდელი მოქმედების ჩასატარებლად;

ვ) ექსპერიმენტის დროს ნამდვილი ან მსგავსი საგნების გამოყენება;

ზ) საცდელი მოქმედებების ტემპების მსგავსება ნამდვილი მოვლენის ტემპთან;

თ) ხმების პირობების მიმსგავსება, ხმაურის ხასიათი, მისი ტონალობა, ძალის და ა.შ.;

ი) იმ პირობების გათვალისწინება, რომელიც არ ექვემდებარება რეკონსტრუქციას.

თუ ექსპერიმენტი ტარდება გამოსაკვლევი გარემოების აღსადგენად, იგი უნდა შეესაბამებოდეს შესამოწმებელ ინფორმაციას (ჩვენებას) ან ვერსიას. ამისათვის იმ პირს, რომლის ინფორმაციაც (ჩვენებაც) მოწმდება, სთავაზობენ, აღიდგინოს შემთხვევის ვითარება, რომლის მონაწილე ან თვითმხილველიც თავად იყო. მაგალითად, თუ მოწმე ამბობს, რომ ყვირილის ხმა გაიგონა 500 მეტრის მოშორებით ან დაინახა დანაშაულის ჩადენის შემთხვევა, იგი უნდა დააყენონ 500 მეტრის დაშორებით შემთხვევის ადგილიდან და ჩაატარონ ცდა შესაძლებელი იყო თუ არა მისი აღქმა. საჭიროების შემთხვევაში ექსპერიმენტი ტარდება არაერთგზის.

საგამოძიებო ექსპერიმენტი მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული იმ ვითარებასთან, რომელშიც ხდებოდა აღსადგენი შემთხვევა. მაგალითად, ამინდი, განათება, ტემპერატურა, ხილვადობა და სხვა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ვითარებას.

თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება ინფორმაციის (ჩვენების) ადგილზე შემოწმების მიზნით, საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე მხარე საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილის თანდასწრებით კითხულობს შესამოწმებელ ინფორმაციას (ჩვენებას), და სთავაზობს ინფორმაციის (ჩვენების) მიმცემ პირს დაადასტუროს ან დააზუსტოს მოცემული ინფორმაცია (ჩვენება), რასაც თან ახლავს გარკვეულ მოქმედებათა დემონსტრირება და მის მიერ მიცემული ინფორმაციის (ჩვენების) დაზუსტება.

რამდენიმე პირის ინფორმაციის (ჩვენების) ერთდროულად ადგილზე შემოწმება დაუშვებელია.

პირი, რომლის ინფორმაციაც (ჩვენებაც) ადგილზე მოწმდება, განმარტებას იძლევა სხვათა ჩაურევლად, კარნახისა და პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვის გარეშე.

საგამოძიებო ექსპერიმენტის მონაწილეს შეუძლია:

ა) დასვას კითხვები;

ბ) მოითხოვოს მოქმედების გამეორება;

გ) მონაწილეობა მიიღოს აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტის, კვალის თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტების დათვალიერებაში;

დ) მხარის და სხვა მონაწილეთა ყურადღება მიაპყროს, მისი აზრით, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებს.

თუ საგამოძიებო ექსპერიმენტი ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ამ შემთხვევაში გამოიყენება საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებები, ე.ი. საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. მოსამართლემ შუამდგომლობაში გადმოცემული მოთხოვნის საკითხი უნდა გადაწყვიტოს არაუგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე, მას შემდეგ, როდესაც მიიღებს შუამდგომლობას და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციას. მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს იმ მხარის მონაწილეობით, რომელმაც დააყენა მოცემული შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე.

კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემზღუდავი საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება სასამართლოს განჩინების გარეშე, თუ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაზე თანახმაა თანამესაკუთრე ან მფლობელი ან კომუნიკაციის ერთი მხარე.

სასამართლო განჩინებით ჩასატარებელი საგამოძიებო ექსპერიმენტი შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც, თუ არსებობს მისი ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა.

გადაუდებელი აუცილებლობაა:

ა) როდესაც საგამოძიებო მოქმედების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება;

ბ) როცა საგამოძიებო მოქმედების დაყოვნება შეუძლებელს გახდის გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებას;

გ) როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად);

დ) როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის შესახებ პროკურორი ამ საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმის მასალებს (ან მათ ასლებს), რომელიც ასაბუთებს გვამის დათვალიერების ჩატარების აუცილებლობას, გადასცემს მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა იგი ან გამოძიების ადგილის მიხედვით.

მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლეს უფლება აქვს შუამდგომლობა განიხილოს მხარეთა (თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია) და იმ პირის მონაწილეობით, რომლსაც შეეზღუდა საკუთრების ან მფლობელობის უფლება. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის კანონიერებას. მოსამართლეს უფლება აქვს განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც გვამის დათვალიერება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩაატარა. ამ შემთხვევაში გამოიყენება საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებები.

12.5. პირის და ობიექტის ამოსაცნობად წარდგენა

გამოძიებისას ზოგჯერ მიმართავენ პირის ან საგნის ამოსაცნობად წარდგენას. პირის (ობიექტის) ამოცნობა იმას ნიშნავს, რომ ამომცნობს ჯერ გამოკითხავენ/დაკითხავენ, ხოლო შემდეგ წარუდგენენ ამოსაცნობს სხვა პირებთან (სხვა ობიექტებთან) ერთად იმის დასადგენად, რომელია ის პირი (ობიექტი) ვის (რის) შესახებაც ადრე მან მისცა ჩვენება[36].

---

[36] Р.Х. Якуров, уголовный рроцесс, Москва, 1998, ст. 261.

გამოძიების დროს რომ ჩატარდეს ამოცნობა, საჭიროა ამის შესახებ თანხმობა განაცხადოს ამომცნობმა პირმა.

ამოსაცნობად წარდგენამდე ამომცნობი კანონით გათვალისწინებული წესით უნდა გამოიკითხოს/დაიკითხოს ობიექტის ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისების თაობაზე და იმ გარემოების შესახებ, რომელშიც მას შეხება ჰქონდა ამოსაცნობ ობიექტთან.

ამოცნობა შეიძლება: ცოცხალი ადამიანის, საგნის და გვამის. ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს: ვიზუალური დაკვირვებით, ვიზუალური დაკვირვების გარეშე და ფოტოსურათით.

ამოცნობისას ამომცნობმა უნდა განმარტოს, რა ნიშან-თვისებით ამოიცნო ამოსაცნობი ობიექტი.

ცოცხალი პირის ამოცნობისას, ამომცნობს ამოსაცნობი უნდა წარედგინოს იმავე სქესის არანაკლებ 2 ისეთ პირთან ერთად, რომლებიც ერთმანეთისაგან და ამოსაცნობისაგან მკვეთრად არ განსხვავდებიან გარეგნობითა და ტანსაცმლით. ამის შემდეგ შეიძლება ამოსაცნობი და სხვა პირები წარუდგინონ ამომცნობს.

საგნის ამოცნობისას ობიექტი ამომცნობს უნდა წარედგინოს არანაკლებ 2 სხვა ერთგვაროვან საგანთან ერთად. ამომცნობს სთავაზობენ მიუთითოს ობიექტი, რომლის ამოცნობაც შეუძლია, და განმარტოს, რა ნიშან-თვისებით ამოიცნო იგი.

როცა ამომცნობისათვის იმ ობიექტის ფიზიკურად წარდგენა შეუძლებელია, რომლის ამოცნობაც უნდა მოხდეს, ამოცნობა შეიძლება ჩატარდეს ფოტოსურათით. ასეთ შემთხვევაში ამომცნობს უნდა წარედგინოს არანაკლებ 3 სხვა ფოტოსურათი, რომლებზეც აღბეჭდილი ობიექტებიც მკვეთრად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამოსაცნობისაგან.

ამოცნობა არ ტარდება, ხოლო ჩატარებული ამოცნობა დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამომცნობი მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც საკმარისი არ არის ამოსაცნობი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის, ან თუ ამომცნობს მიანიშნეს ამოსაცნობ ობიექტზე. ამომცნობის მიერ ამოსაცნობი ობიექტის განმეორებით ამოცნობა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინა ამოცნობა ფოტოსურათით ჩატარდა.

გვამის, მისი ნაწილის, აგრეთვე ისეთი ობიექტის არსებობისას, რომლის ანალოგიური საგნის შერჩევაც შეუძლებელია, ამოცნობა ტარდება მხოლოდ წარმოდგენილი ობიექტის მიხედვით.

ამოცნობის ჩატარება აუცილებელი არ არის, თუ ამომცნობი ასახელებს ამოსაცნობი პირის პერსონალურ მონაცემებს, რომლებითაც შესაძლებელია მისი ზუსტი იდენტიფიცირება. პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი მონაცემი, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებად ან იდენტიფიცირებულ ფიზიკურ პირს. მაგალითად, სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საბანკო ინფორმაცია, ტელეფონის ნომერი, ელ-ფოსტა, ინფორმაცია მის საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ ან სხვა მონაცემი, რომლითაც შესაძლებელია პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით იდენტიფიცირება, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური მახასიათებლებით.

12.6. ექსჰუმაცია

ექსჰუმაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მიწიდან. ექსჰუმაცია სისხლის სამართლის პროცესში ნიშნავს საფლავიდან გვამის ამოღებას. გვამის ამოღება ტარდება საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად. **ამრიგად, ექსჰუმაცია არის საგამოძიებო მოქმედება, რომელიც გამოიხატება დამარხვის ადგილიდან გვამის ამოღებაში, მისი შემდგომი ამოცნობის, დათვალიერების ან ექსპერტიზის ჩატარების მიზნით.** ექსჰუმაციის ჩასატარებლად მხარე შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს. სახელდობრ, შუამდგომლობით მხარე მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე იხილავს მას დაყენებიდან 48 საათში. სასამართლოს განჩინება ექსჰუმაციის ჩატარების თაობაზე არ საჩივრდება.

ექსჰუმაციის ჩატარების შესახებ განჩინება სავალდებულოა დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციისათვის (თუ ასეთი არსებობს), გარდაცვლილის ნათესავებისათვის და სხვა პირებისათვის.

ექსჰუმაციას მხარე ატარებს კანონით (სსსკ-ის 112-ე მუხლი) დადგენილი წესით გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს განჩინების საფუძველზე. ექსჰუმაცია შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც, თუ არსებობს მისი ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა.

გადაუდებელი აუცილებლობაა:

ა) როდესაც საგამოძიებო მოქმედების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება;

ბ) როცა საგამოძიებო მოქმედების დაყოვნება შეუძლებელს გახდის გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებას;

გ) როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად);

დ) როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ექსჰუმაციის შესახებ პროკურორი ამ საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმის მასალებს (ან მათ ასლებს), რომელიც ასაბუთებს გვამის დათვალიერების ჩატარების აუცილებლობას, გადასცემს მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა იგი ან გამოძიების ადგილის მიხედვით.

მოსამართლე მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. მოსამართლეს უფლება აქვს შუამდგომლობა განიხილოს მხარეთა (თუ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია) და იმ პირის მონაწილეობით, რომლსაც შეეზღუდა საკუთრების ან მფლობელობის უფლება. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული ექსჰუმაციის კანონიერებას. მოსამართლეს უფლება აქვს განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც გვამის დათვალიერება სასამართლოს განჩინების გარეშე ჩაატარა.

ექსჰუმაციაში მონაწილეობას იღებს ექსპერტი და დასაფლავების ადმინისტრაციის წარმომადგენელი (თუ ასეთი არსებობს). ექსჰუმაციაში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა.

გარდაცვლილის ნათესავებს უფლება აქვთ დაესწრონ ექსჰუმაციას.

12.7. საგამოძიებო მოქმედებების ფიქსაცია

საგამოძიებო მოქმედებების ფიქსაცია აუცილებელია. განასხვავებენ ფიქსაციის ორ სახეს: ძირითადს და დამატებითს. ძირითადს მიეკუთვნება ოქმი, ხოლო დამატებითს – ყოველივე ის, რაც დაფიქსირებული იყო ტექნიკური საშუალებების გამოყენების შედეგად და ერთვის ოქმს დანართის სახით (ფოტო, კინო და ვიდეო გადაღების ფირები, ფოტოსურათები, დამზადებული გეგმები და სქემები, თითის ანაბეჭდები და ტვიფრები და ა. შ.).

საგამოძიებო მოქმედების ოქმს ადგენს მოქმედების ჩამტარებელი პირი, რომელიც დგება უშუალოდ საგამოძიებო მოქმედების მსვლელობისას ან მისი დამთავრებისთანავე.

საგამოძიებო მოქმედების ოქმი შეიძლება დაიწეროს ხელით ან შედგეს ტექნიკური საშუალებით.

საგამოძიებო მოქმედების ოქმში აღნიშნული უნდა იყოს: საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი და თარიღი; მისი დაწყებისა და დამთავრების დრო; საგამოძიებო მოქმედების ჩატარების პირობები; იმ პირის თანამდებობა და გვარი, რომელმაც ჩაატარა საგამოძიებო მოქმედება; საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა სახელები და გვარები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – მათი მისამართებიც. ოქმში ჩამოყალიბებული უნდა იყოს მხარის მოქმედებების თანამიმდევრობა, საქმისათვის არსებითი გარემოებები, აგრეთვე საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა განცხადებები და შენიშვნები.

თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოყენებული იყო ხმის ან/და გამოსახულების ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით ჩაწერა, დამზადდა კვალის ანაბეჭდი ან ტვიფარი, შედგა ნახაზი ან სქემა, საგამოძიებო მოქმედების ოქმში უნდა აღინიშნოს გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მახასიათებლები, მათი გამოყენების შესახებ საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებს წინასწარ უნდა ეცნობოს და ამის თაობაზე აღინიშნოს ოქმში. ზემოთ მითითებული ინფორმაციის შემცველი მასალა უნდა დაილუქოს, დადასტურდეს საგამოძიებო მოქმედების მონაწილეთა ხელმოწერებით და დაერთოს საქმეს.

საგამოძიებო მოქმედების ოქმი ამოსაცნობად წარედგინება საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილეს. მათვე უნდა განემარტოთ, რომ უფლება აქვთ, გამოთქვან შენიშვნა, დამატება ან შესწორება, რომელიც ოქმში აისახება. ოქმში შეტანილი ყველა შენიშვნა, დამატება და შესწორება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ხელმოწერით. ოქმის ასლი გადაეცემა საგამოძიებო მოქმედების მონაწილე მხარეებს.

საგამოძიებო მოქმედების ოქმს ხელს აწერს საგამოძიებო მოქმედების ყველა მონაწილე. თუ საგამოძიებო მოქმედების მონაწილე უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ამ ფაქტის შესახებ ოქმში კეთდება აღნიშვნა, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი. ოქმის ხელმოწერაზე უარის მთქმელ პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განემარტოს ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი, რომელიც ასევე აღინიშნება ოქმში. თუ საგამოძიებო მოქმედების მონაწილე ფიზიკური ნაკლის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ აწერს ხელს ოქმს, მოიწვევა გარეშე პირი, რომელიც ხელმოწერით მის ნაცვლად ადასტურებს ოქმს.

ზემოთ ნათქვამი ეხებოდა ოქმის შედგენის ზოგად წესს. გარდა ამისა, კანონი განსაზღვრავს ცალკეული საგამოძიებო მოქმედების შედგენის თავისებურებას.

გამოკითხვის ოქმში უნდა აისახოს გამოსაკითხი პირის სახელი, გვარი, ასაკი, მოქალაქეობა, განათლება, სამუშაო ადგილი, სამუშაო ან/და თანამდებობა, საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, მისი ურთიერთობა ბრალდებულთან თუ დაზარალებულთან, მისი მიერ მოცემული ინფორმაციის შინაარსი, მისი დამოკიდებულება სასამართლოში გამოცხადებისა და ჩვენების მიცემისათვის.

ყადაღის, ჩხრეკის ან/და ამოღების ოქმში უნდა მიეთითოს: რა ადგილას და რა ვითარებაშია აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი; ის ნებაყოფლობითაა გადაცემული თუ იძულებითაა ჩამორთმეული. ყველა ობიექტი ოქმში უნდა აღიწეროს რაოდენობის, წონის, ღირებულების (თუ ეს შესაძლებელია), ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებების მითითებით. თუ ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას საცდეს გაენადგურებინათ ან გადაემალათ მოსაძებნი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, ან/და თუ გასაჩხრეკმა ან სხვა პირმა წინააღმდეგობა გასწია, ეს უნდა აღინიშნოს ოქმში. ამოღების ან ჩხრეკის ოქმის ასლი გადაეცემა პირს, რომელთანაც ჩატარდა ამოღება ან ჩხრეკა, ან მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – სახლის მფლობელს ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენელს, რომელიც ამოღებას ან ჩხრეკას ესწრებოდა. თუ ამოღება ან ჩხრეკა ჩატარდა იურიდიული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მფლობელობაში ან დიპლომატიური წარმომადგენლის ტერიტორიაზე, ოქმის ასლი გადაეცემა შესაბამისად ამ საგამოძიებო მოქმედების დამსწრე იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს ან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს.

კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული გზავნილის დაყადაღების, დათვალიერების და ამოღების, შეჩერებული გზავნილის დათვალიერების ოქმში აღინიშნება, კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული რომელი გზავნილი დაათვალიერეს და ამოიღეს, რომელი უნდა გადაეცეს ადრესატს, რა დროით უნდა შეჩერდეს და რა ვადით, რომელი კორესპონდენციის ასლი გადაიღეს, რა ტექნიკური საშუალება გამოიყენეს და რა გამოვლინდა ამის შედეგად.

დათვალიერების ოქმში უნდა აღიწეროს ყველა აღმოჩენილი კვალი, საგანი, დოკუმენტი თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, ინდივიდუალური ან/და გვარეობითი ნიშან-თვისებების მითითებით. ოქმში უნდა აღინიშნოს რა დროს, როგორ ამინდში და როგორი განათების პირობებში ჩატარდა დათვალიერება, რა ტექნიკური საშუალება იქნა გამოყენებული და რა შედეგი იქნა მიღებული, ვინ მონაწილეობდა, რა საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი დაილუქა. ოქმში ასევე უნდა აღინიშნოს ლუქის ინდივიდუალური ნიშნები და სად გაიგზავნა დათვალიერების შემდეგ გვამი ან/და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ობიექტი. ამოღებული ობიექტის მფლობელს გადაეცემა ოქმის ასლი. საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოღების შემთხვევაში ცალკე ოქმი არ დგება და ეს საგამოძიებო მოქმედება აღიწერება დათვალიერების ოქმში.

საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმში უნდა აღინიშნოს: რა მიზნით, სად და რა პირობებში, ვისი თანდასწრებით და მონაწილეობით ჩატარდა ექსპერიმენტი; კონკრეტულად რით გამოიხატა შემთხვევის ვითარების აღდგენა; რა ში-

ნაარსისაა ადგილზე მიღებული ინფორმაცია (ჩვენება); რა საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი იქნა აღმოჩენილი, დათვალიერებული და ამოღებული; რა დააზუსტა პირმა თავის ინფორმაციაში (ჩვენებაში); რა საცდელი მოქმედებები, როგორი თანამიმდევრობით, ვის მიერ, რამდენჯერ ჩატარდა და რა შედეგი იქნა მიღებული.

ამოსაცნობად წარდგენის ოქმში აისახება ამომცნობის, აგრეთვე ამოსაცნობად წარდგენილი სხვა ობიექტის ინდივიდუალური ან/და გვარეობითი ნიშან-თვისებები.

ექსპუმაციის დროს დათვალიერების ან ამოცნობის ჩატარებისას ცალკე ოქმი არ დგება და ამ საგამოძიებო მოქმედების შინაარსი აღინიშნება ექსპუმაციის ოქმში.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ ამოღების ჩატარების საფუძველი და წესი;

2) ჩამოაყალიბეთ ჩხრეკის ჩატარების საფუძველი და წესი;

3) ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების წესი დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში და დიპლომატიურ წარმომადგენელთან;

4) ჩხრეკის, ამოღებისა და დაყადაღების წესი მასმედიაში, გამომცემლობის რედაქციაში, საგანმანათლებლო, რელიგიური, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და პოლიტიკური პარტიების სათავსებში;

5) ჩამოაყალიბეთ საბანკო ანგარიშის მონიტორინგის ჩატარების საფუძველი და წესი;

6) ჩამოაყალიბეთ დათვალიერების ჩატარების საფუძველი და ზოგადი წესი;

7) ჩამოაყალიბეთ შემთხვევისა და სხვა ადგილის დათვალიერების ჩატარების საფუძველი და წესი;

8) ჩამოაყალიბეთ გვამის დათვალიერების ჩატარების საფუძველი და წესი;

9) ჩამოაყალიბეთ საგამოძიებო ექსპერიმენტის ცნება, ჩატარების საფუძველი და წესი;

10) ჩამოაყალიბეთ პირისა და ობიექტის ამოსაცნობად წარდგენის ცნება, ჩატარების საფუძველი და წესი;

11) ჩამოაყალიბეთ პირისა და ობიექტის ამოსაცნობად წარდგენის ცნება, საფუძველი და წესი;

12) რა რეკვიზიტებს შეიცავს ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ოქმის შინაარსი?

თავი 13. კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები

13.1. კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი წვლილი შეიტანა მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა თუ ხელობის ამათუიმ დარგის განვითარებაში. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება დღეს კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებაა. თუმცა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებამ თავისი უარყოფითი შედეგიც გამოიღო. მან ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენის ახალი მეთოდების დანერგვას. დანაშაულის ჩამდენმა პირებმა კომპიუტერული სისტემის გამოყენებით დაუწყეს დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელება, რამაც დღის წესრიგში დააყენა საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტილიყო ასეთი დანაშაულის გამოვლინებისა და აღმოფხვრის გზების გამონახვა. კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები სიახლეა ქართული სისხლის საპროცესო კანონმდებლობაში, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 30 სექტემბრიდან, რამაც შესაძლებლობა მისცა გამოძიების ორგანოებს მოეპოვებინათ კომპიუტერული მონაცემები, რომლებსაც შემდგომში მტკიცებულებად გამოიყენებდნენ სასამართლოში.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებებია:

1. დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა;
2. ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება;
3. შინაარსობრივი მონაცემების მოპოვება.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შეიძლება მოითხოვოს მხოლოდ პროკურორმა იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ:

1. კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი; ან

2. პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით.

როგორც ვხედავთ, კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვის უფლებით სარგებლობს მხოლოდ პროკურორი. ცხადია დაისმევა კითხვა, კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვის უფლება რატომ არ აქვს დაცვის მხარეს? თუ კომპიუტერული მონაცემები შეიცავს მტკიცებულებას, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად, როგორ უნდა იმოქმედოს დაცვის მხარემ? ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მოთხოვნა წინააღმდეგობაშია ამავე კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილთან, რაც დროულად უნდა გამოსწორდეს. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, მხარე უფლება-

მოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

2.დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელის არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემულ საქმის გამოძიებას აწარმოებს. გამომძიებელი უნდა შეარჩიოს საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელმა და მისი ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები დაცვის მხარეს უნდა ეცნობოს შუამდგომლობით მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე. ამ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ბრალდებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული სასამართლოს წარუდგენს მტკიცებულებებს, რომლებითაც დადასტურდება მის მიერ ამ ხარჯების ანაზღაურების შეუძლებლობა“.

კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებული მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი).

კომპიუტერული მონაცემი არის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.

განვიხილოდ კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული ცალკეული საგამოძიებო მოქმედებები.

დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. ხოლო თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს მომსახურების მიმწოდებლისაგან მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაციის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

მომსახურების მომწოდებელი არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს შესაძლებლობით, ურთიერთობა განახორციელონ კომპიუტერული სისტემის საშუალებით, ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ამუშავებს ან ინახავს კომპიუტერულ მონაცემებს ამგვარი საკომუნიკაციო მომსახურების ან ასეთი მომსახურების მომხმარებელთა სახელით. მომხმარებელი არის პირი რომელიც იყენებს კომპიუტერულ სისტემას.

მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაცია არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მომსახურების მომწოდებელი ინახავს კომპიუტერული მონაცემების ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელიც დაკავშირებულია მისი მომსახურების მომხმარებელთან, განსხვავდება ინტერნეტტრაფიკისა და შინაარ-

სობრივი მონაცემებისაგან და რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დადგინდეს/განისაზღვროს:

ა) გამოყენებული კომუნიკაციის მომსახურების ტიპი, გამოყენებული ტექნიკური საშუალებები და მომსახურების დრო;

ბ) მომხმარებლის ვინაობა, საფოსტო და საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის და სხვა საკონტაქტო ნომრები, ანგარიშისა და გადასახადების შესახებ ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე;

გ) დამონტაჟებული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ადგილმდებარეობის თაობაზე არსებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე.

ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით, გასცეს განჩინება ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ. ასეთ შემთხვევაში მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ითანამშრომლოს გამოძიებასთან და დაეხმაროს მას მიმდინარე რეჟიმში ინტერნეტტრაფიკის იმ მონაცემთა შეგროვებაში ან ჩაწერაში, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კონკრეტულ კომუნიკაციებთან.

ინტერნეტტრაფიკის მონაცემი არის კომუნიკაციებთან დაკავშირებული და კომპიუტერული სისტემის მიერ გენერირებული ნებისმიერი კომპიუტერული მონაცემი, რომელიც კომუნიკაციათა ჯაჭვის ნაწილია, მიუთითებს კომუნიკაციის წყაროს, დანიშნულების ადგილს, მიმართულებას, დროს, თარიღს, ზომას, ხანგრძლივობას, ძირითადი მომსახურების ტიპს.

შუამდგომლობა უნდა ითვალისწინებდეს მომსახურების მომწოდებლის ტექნიკურ შესაძლებლობებს ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვებისა და ჩაწერისათვის. ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვებისა და ჩაწერის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მოპოვებისათვის აუცილებელ ვადას.

შინაარსობრივი მონაცემების მოპოვება. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით, გასცეს განჩინება შინაარსობრივ მონაცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ, რომლითაც მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ითანამშრომლოს გამოძიებასთან და დაეხმაროს მას მიმდინარე რეჟიმში შინაარსობრივ მონაცემთა შეგროვებაში ან ჩაწერაში, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კონკრეტულ კომუნიკაციებთან.

შუამდგომლობა უნდა ითვალისწინებდეს მომსახურების მიმწოდებლის ტექნიკურ შესაძლებლობებს შინაარსობრივ მონაცემთა მიმდინარე შეგროვებისა და ჩაწერისათვის. შინაარსობრივ მონაცემთა მიმდინარე შეგროვებისა და ჩაწერის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის საქმეზემტკიცებულების მოპოვებისათვის აუცილებელ ვადას.

ვინაიდან დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა, ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება და შინაარსობრივი მონაცემების მოპოვება წარმოადგენენ კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებს, ამის შემდეგ მხოლოდ ამ ტერმინს გამოვიყენებთ.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებზე ვრცელდება ის დებულებები, რომლებიც გამოიყენება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები სიახლეა საპროცესო კანონმდებლობაში. მისი ჩატარება დაიშვება მაგისტრატი მოსამართლის განჩინების საფუძველზე.

ერთ სისხლის სამართლის საქმეზე შეიძლება ერთდროულად ჩატარდეს რამდენიმე სახის კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ყველა კატეგორიის დანაშაულის გამოძიებისას როდი დაიშვება. ასეთ შეზღუდვას საპროცესო კანონი აწესებს. კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება დაიშვება იმ შემთხვევაში თუ გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს შემდეგ ერთ-ერთი დანაშაულის გამო:

1) მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე (ე.ი იმდანაშაულზე რომლის ჩადენისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაულზე, რომლის ჩადენისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით. ე.ი. მძიმე დანაშაულის დროს სასჯელის სახით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადა ხუთ წელს აღემატება, მაგრამ არ აღემატება ათ წელს ან ისეთ განზრახ დანაშაულზე, რომლის ჩადენისთვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა;

2) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 117-ე, ნაწ. 1-ლი);

3) ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება (მუხლი 134-ე);

4) სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ (მუხლი 139-ე, ნაწ. მე-2);

5) სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან (მუხლი 140-ე);

6) გარყვნილი ქმედება (მუხლი 141-ე);

7) თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მუხლი 143-ე, ნაწ.1-ლი);

8) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა (მუხლი 1433-ე, ნაწ. 1-ლი);

9) თაღლითობა (მუხლი 180-ე, ნაწ. 1-ლი);

10) გამოძალვა (მუხლი 181-ე, ნაწ. 1-ლი);

11) წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება (მუხლი 186-ე, ნაწ. მე-2);

12) ნივთის დაზიანება ან განადგურება (მუხლი 187-ე, ნაწ. მე-2);

13) ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია (მუხლი 198-ე, ნაწ. 1-ლი);

14) ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (მუხლი 210-ე, ნაწ. 1-ლი);

15) პროსტიტუციაში ჩაბმა (მუხლი 253-ე, ნაწ. 1-ლი);

16) არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში;

17) ძეგლებისა და სხვა კულტურული ფასეულობების საქართველოდან უნებართვო გატანა (მუხლი 259[4]);

18) კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა (მუხლი 284-ე);

19) კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება (მუხლი 285-ე, ნაწ. 1-ლი);

20) კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა (მუხლი 286-ე);

21) სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა (მუხლი 287-ე);

22) გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა (მუხლი 288-ე, ნაწ. 1-ლი და მე-2);

23) მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევა (მუხლი 289-ე);

24) ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა (მუხლი 290-ე);

25) წყლის დაბინძურება (მუხლი 292-ე);

26) ზღვის დაბინძურება (მუხლი 293-ე);

27) ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება (მუხლი 294-ე);

28) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება (მუხლი 295-ე);

29) საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა (მუხლი 296-ე);

30) მიწის გაუვარგისება (მუხლი 297-ე);

31) წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა (მუხლი 298-ე);

32) წიაღით უკანონოდ სარგებლობა (მუხლი 299-ე);

33) უკანონო თევზჭერა (მუხლი მე-300);

34) უკანონო ნადირობა(მუხლი 301-ე);

35) საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ადგილსამყოფლის მოშლა (მუხლი 302-ე);

36) ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა (მუხლი 303-ე);

37) ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება (მუხლი 304-ე, ნაწ. 1-ლი);

38) დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა (მუხლი 305-ე);

39) საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე (მუხლი 306-ე);

40) საბოტაჟი (მუხლი 318-ე, ნაწ. 1-ლი);

41) ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა (მუხლი 322[1]-ე, ნაწ. 1-ლი და მე-2);

42) კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (მუხლი 340-ე);

43) სამსახურებრივი სიყალბე (მუხლი 341-ე).

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება ტარდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს ზემოთ დასახელებული რომელიმე დანაშული (დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი, ან პირი იღებს ან გასცემს დანაშაულან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებას.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში თუ ამას ითვალისწინებს საპროცესო კანონმდებლობა და მისი ჩატარება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღწეულ იქნას ლეგიტიმური მიზანი[37]. საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს:

ა) ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება;

გ) ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება დემოკრატიულ საზოგადოებაში ტარდება აუცილებლად იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალებაა.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთ-ერთ შემდეგ შემთხვევაში:

ა) როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია;

ბ) როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები (ინტენსივობა) ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საპროცესო ფორმას. როგორც ზემოთ აღინიშნა, **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით. პროკურორი მოტივირებული შუამდგომლობით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის თაობაზე.

---

[37] ლეგიტიმური ლათინური სიტყვაა და ნიშნავს კანონიერს, დაკანონებულს, რაიმე უფლების ან რწმუნების კანონიერების აღიარებას ან დამტკიცებას.

პროკურორი შუამდგომლობში მიუთითებს შემდეგ გარემოებებს, რომლებიც ადასტურებენ რომ:

ა) გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება ზემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი დანაშაულის გამო;

ბ) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს ზემოთ დასახელებული რომელიმე დანაშაული („დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი“), ან პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს;

გ) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და არის დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად - ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად - აუცილებელი, მისი მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალება;

დ) მოთხოვნილი **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

პროკურორის შუამდგომლობაში აგრეთვე უნდა აისახოს ინფორმაცია იმ საგამოძიებო მომედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შუამდგომლობის წარდგენამდე ჩატარდა საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და რომლითაც დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული. პროკურორის შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს ის მასალები, რომლებიც ადასტურებენ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას.

მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობასა და მისი დასაბუთებისათვის საჭირო, თანდართული მასალის სასამართლოში წარდგენიდან განიხილავს არაუგვიანეს 24 საათისა. შუამდგომლობა, როგორც წესი, განიხილება ზეპირი მოსმენით, ერთპიროვნულად დახურულ სასამართლო სხდომაზე. თუმცა მოსამართლეს შეუძლია შუამდგომლობა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს. თუ შუამდგომლობა განიხილება ზეპირი მოსმენით, პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა. შუამდგომლობის განხილვის შემდეგ მაგისტრატი მოსამართლე მიიღებს განჩინებით ორიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ;

ბ) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

მაგისტრატი მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, ერთი რჩება სასამართლოში, ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელთაგან ერთი მიეწოდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახემწიფო ორგა-

ნოს, ხოლო ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სასამართლოს მიერ მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. მოსამართლის განჩინების ეგზემპლარები შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს წარედგინება განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით. თუ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ ან მისი ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ განჩინება მოსამართლემ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანა, სასამართლოს მიერ ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს.

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 321-ე ნაწილის შესაბამისად, ზედამხედველი მოსამართლე არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე აკონტროლებს:

ა) სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებას და ჩაწერას სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ჩატარებას კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით;

ბ) ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებს ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემით;

გ) გეოლოკაციის დროში განსაზღვრისა და მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის მოქმედების განხორციელებას გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარის სახელმწიფო ინსპექციის სამსახურისათვის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს მოცემული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას. ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენების შემთხვევაში. ეს წესი არ ვრცელდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახუხურის მიერ წარმოებულ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ჩატარდება **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება.

თუ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოსათვის წარდგენილი **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო

მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინება ბუნდოვან-უზუსტობას შეიცავს, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან შესაბამის საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს.

განჩინების გამომტანი სასამართლო პროკურორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში, ან საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას.

თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის ელექტრონული სახით და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტებში ან/და სარეზოლუციო ნაწილში მონაცემი ან რეკვიზიტი ერთმანეთს არ ემთხვევა, სახელმწიფო ინსპექტორი ამის თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით აცნობებს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს. ინფორმაციის მიღებისთანავე პროკურორი წერილობით მიმართავს განჩინების გამომტან სასამართლოს, რომელიც მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას. სასამართლო ვალდებულია მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრიდან 24 საათის ვადაში უზრუნველყოს ამ განჩინების სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის მიწოდება. ეს წესი არ ვრცელდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახუხურის მიერ წარმოებულ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ჩატარდება **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება.

თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის ელექტრონული სახით ან/და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს, სახელმწიფო ინსპექტორი ამის თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით აცნობებს სააააგენტოს, რომელიც თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან/და შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს. ინფორმაციის მიღებისთანავე პროკურორი წერილობით მიმართავს განჩინების გამომტან სასამართლოს, რომელიც მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას. სასამართლო ვალდებულია მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრიდან 24 საათის ვადაში უზრუნველყოს ამ განჩინების სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის მიწოდება. ეს წესი არ ვრცელდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახუხურის მიერ წარმოებულ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ჩატარდება **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს,

სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარის ზედამხედველი მოსამართლისათვის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს მოცემულ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებულ** საგამოძიებო მოქმედებას. ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა.

თუ ზედამხედველი მოსამართლისათვის ელექტრონული სახით და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტებში ან/და სარეზოლუციო ნაწილში მონაცემი ან რეკვიზიტი ერთმანეთს არ ემთხვევა, ზედამხედველი მოსამართლე ამის თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით აცნობებს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან/და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. ინფორმაციის მიღებისთანავე პროკურორი წერილობით მიმართავს განჩინების გამომტან სასამართლოს, რომელიც მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას. სასამართლო ვალდებულია მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრიდან 24 საათის ვადაში უზრუნველყოს ამ განჩინების ზედამხედველი მოსამართლისათვის მიწოდება.

თუ ზედამხედველი მოსამართლისათვის ელექტრონული სახით ან/და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს, ზედამხედველი მოსამართლე ამის თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით აცნობებს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან/და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. ინფორმაციის მიღებისთანავე პროკურორი წერილობით მიმართავს განჩინების გამომტან სასამართლოს, რომელიც მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას. სასამართლო ვალდებულია მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრიდან 24 საათის ვადაში უზრუნველყოს ამ განჩინების ზედამხედველი მოსამართლისათვის მიწოდება.

13.2. მოსამართლის განჩინების გარეშე კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება წესი

საპროცესო კანონი ითვალისწინებს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას/დაწყებას მაგისტრატი მოსამართლის განჩინების გარეშე პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარება ნაკარნახევია

გადაუდებელი აუცილებლობით. გადაუდებელი აუცილებლობაა მაშინ, როდესაც **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დაყოვნებამ შეიძლება:

ა) გამოიწვიოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება;

ბ) შეუძლებელი გახადოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.

კანონი აყალიბებს რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება. კანონის შესაბამისად, პროკურორის დადგენილება უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკვიზიტებს (დადგენილების შედგენის თარიღი და ადგილი; მითითება საქართველის სსკ-ის იმ მუხლზე, რომლითაც მიმდინარეობს გამოძიება; პროკურორის სახელი და გვარი, ხელმოწერა; საიდუმლოების აღმნიშვნელი გრიფი; ბეჭედი), ხოლო დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ობიექტის/ობიექტების (პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება), აგრეთვე განსახორციელებელი **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების სახის შესახებ და უნდა განსაზღვრავდეს მოქმედების განხორციელების პერიოდს (მისი დაწყებისა და დასრულების თარიღებისა და დროის მითითებით), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შემთხვევაში პროკურორის დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს აგრეთვე მითითებას **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ობიექტის/ობიექტების ტექნიკური იდენტიფიკატორის/იდენტიფიკატორების სულ მცირე ერთი შესაბამისი მონაცემის შესახებ. პროკურორი ვალდებულია **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა/ტარდება აღნიშნული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს შუამდგომლობით გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული/მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. შუამდგომლობაში პროკურორმა უნდა დააასაბუთოს, რომ ნამდვილად ჩადენილია ის დანაშაული, რომლისთვისაც დასაშვებია **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და იმ გარემოებების არსებობა, რომლებმაც განაპირობა **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებლად ჩატარება/დაწყება. მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობას განიხილავს მისი სასამართლოსთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს, შესაბამისი და აუცილებელი იყო თუ არა აღნიშნული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარება/დაწყება, და განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ჩატარებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;

ბ) მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის და მისი ჩატარების ვადის არაუმეტეს 48 საათამდე გაგრძელების შესახებ. ეს ვადა აითვლება პროკურორის დადგენილებაში მითითებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების დაწყების დროიდან;

გ) ჩატარებული/მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის, მისი შეწყვეტის, შედეგების გაუქმებისა და მის შედეგად მოპოვებული მასალის/ინფორმაციის განადგურების შესახებ.

გადაწყვეტილების მიღებამდე მოსამართლეს უფლება აქვს უფლებამოსილი ორგანოდან გამოითხოვოს გამოთხოვის მომენტისათვის მოპოვებული მასალის ელექტრონული ეგზემპლარი. მასალის გაცნობის შემდეგ მოსამართლე უზრუნველყოფს დადგენილი წესით მის განადგურებას.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილებას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 12 საათისა პროკურორი ან პროკურორის დავალებით გამომძიებელი მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარუდგენს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. პროკურორის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობისას **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას. ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა. ეს წესი არ ვრცელდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახუხურის მიერ წარმოებულ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ჩატარდება **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება.

თუ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოსთვის წარდგენილი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომლებიც უზრუნველყოფენ დადგენილებაში არსებულ ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში **კომპიუტერ-**

ულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილებას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებასა და სარეზოლუციო ნაწილს, **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 12 საათისა პროკურორი ან პროკურორის დავალებით გამომძიებელი მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარუდგენს ზედამხედველ მოსამართლეს. გადაუდებელი აუცილებლობისას **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შესახებ პროკურორის დადგენილება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო ინყებს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას. ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინება დება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სასამართლოში, ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელთაგან ერთი მიეწოდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს, და ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სასამართლოს მიერ მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. მოსამართლის განჩინების ეგზემპლარები შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს წარედგინება განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით. თუ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების** კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ განჩინება მოსამართლემ სახელმწიფო ინსპექტორის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანა, სასამართლო ერთ განჩინებას (მე-4 ეგზემპლარი), რომელიც შეიცავს მხოლოდ ნრეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს.

ასეთ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს შუამდგომლობით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება აღნიშნული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. სასამართლოს მიერ შესაბამისი განჩინების მიღების შემდეგ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს. **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას ანადგურებს შესაბამისი საქ-

მის გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი ან სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი ან მათი ზემდგომი პროკურორი, იმ მოსამართლის ან იმ სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ დგება ოქმი რომელსაც ხელს აწერს შესაბამისი პროკურორი და მოსამართლე. შესაბამისი პროკურორისა და მოსამართლის ხელმოწერებით დადასტურებული ოქმი გადაეცემა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/პერსონალური მონაცემების განადგურების კომისიას და აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრში.

თუ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებით გამოვლინდა სხვა დანაშაულის ნიშნები, რომელზედაც არ მიმდინარეობს გამოძიება, ამ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არის სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი, ხოლო ამ ინფორმაციის ახალ საქმეზე დასაშვებ მტკიცებულებად ცნობის საკითხი გადაწყდება საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესით.

საპროცესო კანონი მიუთითებს იმ მოთხოვნებზე, რაც უნდა აისახოს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინებაში. განჩინებაში მოსამართლემ უნდა დაასაბუთოს, რომ არსებობს გარემოებები, რომელებიც საფუძველია **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** მოქმედების ჩატარებისა და **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე გადაუდებლად ჩატარების/დაწყების აუცილებლობისა. მოსამართლის განჩინებაში უნდა მიეთითოს: განჩინების ნომერი, მისი შედგენის თარიღი და ადგილი; მოსამართლის სახელი და გვარი, ხელმოწერა; საიდუმლოების აღმნიშვნელი გრიფი; ბეჭედი.

მოსამართლის სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიეთითოს:

ა) პირი, რომელმაც მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა;

ბ) სისხლის სამართლის საქმის ნომერი, რომელზედაც უნდა ჩატარდეს, ჩატარდა ან მიმდინარეობს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება;

გ) განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ან ჩატარებული/მიმდინარე საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული, რა სახის **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაა ნებადართული ან რომელი ასეთი მოქმედებაა კანონიერად ცნობილი;

დ) დროის რა მონაკვეთში (დაწყებისა და დასრულების თარიღებისა და დროის მითითებით) უნდა ჩატარდეს ან ჩატარდა **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება;

ე) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ობიექტი?ობიექტები;

ვ) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემთხვევაში-ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის?ობიექტების ტექნიკური იდენტიფიკატორის/იდენტიფიკატორების სულ მცირე ერთი შესაბამისი მონაცემი, რომლის/რომელთა კონტროლი უნდა განხორციელდეს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ადგილი;

თ) საჭიროების შემთხვევაში, ვისზე ვრცელდება ეს საგამოძიებო მოქმედება;

ი) შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო, რომელმაც უნდა განახორციელოს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება;

კ) უფლებამოსილი საგამოძიებო ორგანო, რომელსაც უნდა გაეცნოს და გადაეცეს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა;

ლ) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების გაგრძელების შემთხვევაში-იმ განჩინების რეკვიზიტები, რომლის საფუძველზედაც მიმდინარეობს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება;

მ) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის საჭირო სხვა მონაცემები.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემაზე ან ჩატარებული/მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობაზე უარის თქმის შესახებ მოსამაართლის განჩინებაში უნდა მიეთითოს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობით არ დასტურდება **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამიძიებო მოქმედების ჩატარების საფუძვლები და **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებლად ჩატარების/დაწყების აუცილებლობა. მოსამართლის განჩინებაში უნდა აღინიშნოს:

ა) პირი, რომელმაც მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა;

ბ) სისხლის სამართლის საქმის ნომერი, რომელზედაც უნდა ჩატარდეს, ჩატარდა ან მიმდინარეობს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება;

გ) განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ან ჩატარებული/მიმდინარე საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული, რა სახის **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაა ნებადართული ან რომელი ასეთი მოქმედებაა კანონიერად ცნობილი;

დ) დროის რა მონაკვეთში (დაწყებისა და დასრულების თარიღებისა და

დროის მითითებით) უნდა ჩატარდეს ან ჩატარდა **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება;

ე) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ობიექტი?ობიექტები;

ვ) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემთხვევაში-ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის?ობიექტების ტექნიკური იდენტიფიკატორის/იდენტიფიკატორების სულ მცირე ერთი შესაბამისი მონაცემი, რომლის/რომელთა კონტროლი უნდა განხორციელდეს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ადგილი;

თ) საჭიროების შემთხვევაში, ვისზე ვრცელდება ეს საგამოძიებო მოქმედება;

ი) შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო, რომელმაც უნდა განახორციელოს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება;

კ) უფლებამოსილი საგამოძიებო ორგანო, რომელსაც უნდა გაეცნოს და გადაეცეს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა;

ლ) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების გაგრძელების შემთხვევაში-იმ განჩინების რეკვიზიტები, რომლის საფუძველზედაც მიმდინარეობს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება;

მ) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის საჭირო სხვა მონაცემები.

ნ) მოსამართლის გადაწყვეტილება **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ან ჩატარებული/მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობაზე უარის თქმის და მის შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადები მკაცრადაა რეგულირებული საპროცესო კანონმდებლობით. კანონის შესაბამისად **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება გაიცემა იმ ვადით, რომელიც საჭიროა გამოძიების მიზნის მისაღწევად, მაგრამ არაუმეტეს 1 თვისა. თუ ეს ვადა საკმარისი არ აღმოჩნდება, დასაშვებია მისი გაგრძელება. **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობით მიმართავს მოსამართლეს, რომლის საფუძველზე, მოსამართლე დადგენილი წესით გააგრძელებს მას, მაგრამ არაუმეტეს 2 თვისა. პროკურორის შუამდგომლობაში უნდა აისახოს ინფორმაცია დაწყებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესახებ და მიეთითოს, რის გამო ვერ მოხერხდა გამოძიებისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება. **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შეიძლება კიდევ ერთხელ გააგრძელოს მოსამართლემ

არაუმეტეს 3 თვისა საქართველოს მთავარი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება საჯაროდ არ ცხადდება. მოსამართლის განჩინება ძალას კარგავს მისი მიღებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება არ დაიწყო.

პირს, რომლისთვისაც მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას ცნობილი გახდა მის მიმართ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, შეუძლია **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება ერთჯერადად გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 48 საათის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ჩატარებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობა საფუძველია ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობისა. სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება საფუძვლად დაედოს საპროცესო კანონის (კოდექსის მე-7 მუხლი, ნაწ. მე-3) მოთხოვნას პირისთვის მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამჟღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

გასაჩივრების სხვა წესია დადგენილი ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სამართალწაროების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი პირისათვის, რომ მის მიმართ ხორციელდებოდა **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება. პირი, რომლისთვისაც მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა მის მიმართ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, შეუძლია **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში. თუ სააპელაციო სასამართლო უკანონოდ ცნობს ჩატარებულ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებას, ეს შეიძლება მიჩნეულ იქნეს საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ გარემოებად განაჩენის გადასინჯვისათვის, თუ ამ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს. სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება საფუძვლად დაედოს საპროცესო კოდექსით (კოდექსის მე-7 მუხლი, ნაწ. მე-3) გათვალისწინებულ მოთხოვნას პირის მიერ მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამჟღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

პირის საჩივარში, რომლისთვისაც სამართალწარმოებისას ან სამართალწარმოების დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა მის მიმართ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შესახებ, უნდა აღინიშნოს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის დადგენილი წესის დარღვევის შესახებ. საჩივარი შეიტანება განჩინების გამომტან სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია საჩივარს განიხილავს მისი შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა. სააპელაციო სასამართლო შეტყობინებით უზრუნველყოფს მომჩივნის და ბრალდების მხარის მონაწილეობას საჩივრის განხილვაში. მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება და მოთხოვნის შემთხვევაში მომჩივანს და ბრალდების მხარეს გადაეცემა.

საპროცესო კანონმდებლობა ადგენს გარკვეული პირების მიმართ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესს. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მოსამართლის და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებას ატარებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის განხორციელება კონტროლდება კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ალექტრონული სისტემით.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის სათანადოდ დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ ორგანოს და შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

საპროცესო კოდექსი **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ ორგანოს ვალდებულებას აკისრებს აღრიცხოს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული გარკვეული მონაცემები. ეს მონაცემებია:

ა) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების დაწყებისა და დასრულების დრო;

ბ) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ობიექტი;

გ) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას-**კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ობიექტის ტექნიკური იდენტიფიკატორი;

დ) მოსამართლის განჩინების ან/და პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი გამომძიებლის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. პროკურორი ვალდებულია **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს შსაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს, რომელიც ვალდებულია შეწყვიტოს ფარული საგამოძიებო მოქმედების წარმოება.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება შეწყდება, თუ:

ა) შესრულდება **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანა;

ბ) დადგინდება გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, რომ ამ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანის შესრულება ობიექტურად შეუძლებელია ან **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს;

გ) შეწყდება გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა;

დ) გავა **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა.

თუ გავიდა **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერებიდან 3 დღეში არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი, აქ მითითებული ვადის გასვლისთანავე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო წყვეტს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებას.

თუ გავიდა **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ დადგენილებაში მითითებული 48-საათიანი ვადა, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო სასამართლოს განჩინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაწყებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების 48-საათიანი ვადის ამოწურვისთანავე წყვეტს ფარულ საგამოძიებო მოქმედებას.

კანონით გათვალისწინებული საფუძვლების შემთხვევაში, **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შეჩერების უფლება აქვთ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს, სახელმწიფო ინსპექტორს და ზედამხედველ მოსამართლეს.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება შეაჩეროს სახელმწიფო ინსპექტორმა კონტროლის ელექტრონული სისტემით შემდეგი ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას, თუ:

ა) მისთვის კანონით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

ბ) მისთვის კანონით დადგენილი წესით, მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი არ არის **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ განჩინების ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

გ) მისთვის კანონით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

დ) მისთვის კანონით დადგენილი წესით, მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი არ არის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

ე) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს;

ვ) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მონაცემი ერთმანეთს არ ემთხვევა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება შეიძლება შეაჩეროს ზედამხედველმა მოსამართლემ ელექტრონული სისტემით შემდეგი ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას, თუ:

ა) მისთვის კანონით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

ბ) მისთვის კანონით დადგენილი წესით, მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი არ არის **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ განჩინების ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

გ) მისთვის კანონით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

დ) მისთვის კანონით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის პროკურორის დადგენილების მატერიალური (დოკუმენტური) სახის ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

ე) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს;

ვ) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის რეკვიზიტებსა და სარეზოლუ-

ციო ნაწილში და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მონაცემი ერთმანეთს არ ემთხვევა.

თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედება შეაჩერა ზედამხედველმა მოსამართლემ, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო მისი შეჩერების შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის პროკურორს ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ა" ან „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, ზედამხედველი მოსამართლისთვის მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარის წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის მინდობას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, ზედამხედველი მოსამართლისათვის განჩინების ეგზემპლარის მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს სასამართლო.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, ზედამხედველი მოსამართლისათვის პროკურორის დადგენილების მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს პროკურორი ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, ზედამხედველი მოსამართლისათვის პროკურორის დადგენილების მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს პროკურორი ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ე" ან „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, პროკურორის დადგენილებაში საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მონაცემის შესაბამისი წესით მითითებას და ამ დადგენილების სააგენტოსა და ზედამხედველი მოსამართლისათვის წარდგენას უზრუნველყოფს პროკურორი ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ა" ან „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავ-**

შირებული საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს მოსამართლის განჩინების ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის ზედამხედველი მოსამართლისათვის ამ კოდექსით დადგენილი ზოგადი წესით მიწოდების პროგრამულად დადასტურებისთანავე.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს ზედამხედველი მოსამართლის მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემით სასამართლოს განჩინების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „დ“, „ე“ ან „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებას ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო აგრძელებს ზედამხედველი მოსამართლის მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემით პროკურორის დადგენილების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე.

სახელმწიფო დაცვის ინსპექტორის მიერ მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შეჩერების შემთხვევაში ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო მისი შეჩერების შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარის წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის განჩინების ეგზემპლარის მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს სასამართლო.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის პროკურორის დადგენილების მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს პროკურორი ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ე“ ან „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებუ-

ლი საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, პროკურორის დადგენილებაში ამ კოდექსის 143 3 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მონაცემის შესაბამისი წესით მითითებას და ამ დადგენილების სააგენტოსა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის წარდგენას უზრუნველყოფს პროკურორი ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს მოსამართლის განჩინების ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის ამ კოდექსით დადგენილი ზოგადი წესით მიწოდების პროგრამულად დადასტურებისთანავე.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემით სასამართლოს განჩინების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე.

მიმდინარე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „დ“, „ე“ ან „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემით პროკურორის დადგენილების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე.

შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე ადგენს ოქმს, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სამართლებრივი საფუძველი, მისი დაწყებისა და დასრულების დრო, ოქმის შედგენის ადგილი, ჩატარებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების სახე და მისი ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები, **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი, **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ობიექტი, ხოლო ამ საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას - აგრეთვე **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ობიექტის ტექნიკური იდენტიფიკატორი. ოქმი გადაეცემა შესაბამის უფლებამოსილ საგამოძიებო ორგანოს, რომელიც დაუყოვნებლივ წარუდგენს მას პროკურორს, **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრს და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. თუ ოქმი შედგენილ იქნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების დასრულების შესახებ, ოქმი გადაეცემა შესაბამის უფლებამოსილ საგამოძიებო ორგანოს, რომელიც დაუყოვნებლივ წარუდგენს მას პროკურორს, **კომპიუტერ-**

ულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრს და ზედამხედველ მოსამართლეს. ოქმი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გადაეცემა აგრეთვე დაცვის მხარეს.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას, პროკურორის/მოსამართლის მოთხოვნის შემთხვევაში, **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია გასცეს შუალედური ოქმი.

თუ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შეჩერებიდან 3 დღეში არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა ნადგურდება კანონით დადგენილი წესით, რომელზეც შემდეგ ქვეთავში ვისაუბრებთ.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი ორგანო, აგრეთვე საგამოძიებო ორგანო ან პირი ვალდებულია, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმალურად შეზღუდოს იმ კომუნიკაციისა და პირის მონიტორინგი, რომელთაც გამოძიებასთან კავშირი არ აქვთ.

სასულიერო პირის, ადვოკატის, ექიმის, ჟურნალისტისა და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არ უკავშირდება შესაბამისად მათ მიერ სასულიერო მოღვაწეობის ან პროფესიული საქმიანობის დროს კანონით დაცული ინფორმაციის მოპოვებას.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ადვოკატის პირადი კომუნიკაციის შესახებ უნდა გაიმიჯნოს ადვოკატსა და კლიენტს შორის განხორციელებული კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციისაგან. ადვოკატსა და კლიენტს შორის განხორციელებული კომუნიკაციის შინაარსი, რომელიც ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.

13.3. კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის განადგურება, კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინება

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, პროკურორის გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს:

ა) **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ, თუ მას არა აქვს ღირებულება გამოძიებისათვის;

ბ) იმ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარდა და, მიუხედავად სასამართლოს მიერ მისი კანონიერად ცნობისა, ბრალდების მხარემ საპროცესო კანონით დადგენილი წესით არ წარუდგინა ის მტკიცებულებად საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს;

გ) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ის მასალა, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად უნდა განადგურდეს.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა, რომელსაც სასამართლო დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობს, განადგურდება საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე განაჩენის გამოტანიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ. ეს მასალა განადგურებამდე სასამართლოს სპეციალურ საცავში ინახება. დაუშვებელია ვინმეს მიერ აღნიშნული მასალის გაცნობა, ასლის გადაღება და გამოყენება, გარდა მისი მხარეთა მიერ საპროცესო უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებისა.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა, რომელიც საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად დაერთვის, შეინახება სასამართლოში ამ სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული მასალა დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის სათანადოდ დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სასამართლოს ადმინისტრაციას, სადაც განადგურებამდე ინახებოდა ეს მასალა.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს თუ მას გამოძიებისათვის ღირებულება არ აქვს. **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას ანადგურებს შესაბამისი საქმის გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი ან სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი ან მათი ზემდგომი პროკურორი, იმ მოსამართლის ან იმ სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ დგება ოქმი რომელსაც ხელს ანერს შესაამისი პროკურორი და მოსამართლე. შესაბამისი პროკურორისა და მოსამართლის ხელმოწერებით დადასტურებული ოქმი გადაეცემა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ხოლო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე - ზედამხედველ მოსამართლეს და აისახება **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრში.

იმ შემთხვევებში თუ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოებული ინფორმაცია ინახება სასამართლოში, **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ მასალას ანადგურებს ის მოსამართლე ან იმ სასა-

მართლოს მოსამართლე, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების დასრულებამდე ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ გამომძიებელს, პროკურორს და მოსამართლეს (თუ ეს ინფორმაცია არსებითად უკავშირდება მათ მიერ განსახილველ საკითხს).

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაცვის მხარეს მიეწოდება საპროცესო კოდექსით დადგენილი მტკიცებულებათა მიწოდების წესის შესაბამისად, აგრეთვე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას.

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს პირს, რომლის მიმართაც ჩატარდა აღნიშნული **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედება. ამ პირს ასეთი ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად გადაეცემა მოსამართლის განჩინება მის მიმართ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, აგრეთვე ის მასალა, რომლის საფუძველზედაც მიიღო მოსამართლემ ამგვარი გადაწყვეტილება, და განემარტება უფლება აღნიშნული განჩინება გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში. გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როდის ეცნობოს პირს მის მიმართ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და გადაეცეს შესაბამისი განჩინება და მასალა, სამართალწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ, იღებს პროკურორი.

თუ პროკურორი გადაწყვეტს, რომ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან 12 თვის ვადაში პირს არ აცნობოს მის მიმართ ამ მოქმედების ჩატარების შესახებ, იგი ვალდებულია აღნიშნული ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 72 საათისა შუამდგომლობით მიმართოს იმ სასამართლოს, რომლის მოსამართლემაც მიიღო განჩინება **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, და მოითხოვოს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისათვის მიწოდების გადავადება არაუმეტეს 12 თვისა. შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა იყოს ის საფრთხე, რომელიც პირისათვის შეტყობინებით შეექმნება **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, ამოცანის შესრულებას და სამართალწარმოების ინტერესებს. მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს მისი წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში, საკუთარი შეხედულებისამებრ, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილ-

ვისას მოსამართლე შეტყობინებით უზრუნველყოფს შესაბამისი პროკურორის მონაწილეობას განხილვაში. მისი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას. განხილვის შედეგად მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილების და **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე შესაბამისი პირისათვის შეტყობინების გადავადების შესახებ ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებასა და ამგვარი ინფორმაციის მიწოდების გადავადებაზე უარის თქმის შესახებ. პროკურორი ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს პირის მიმართ **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ამ პირისათვის შეტყობინების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 72 საათისა, აღნიშნული ვადის არაუმეტეს 12 თვით გაგრძელების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ადგენს **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებების რეესტრს, რომელშიც აისახება **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია, კერძოდ: **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობების და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც არ ეხებოდა პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავდა ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად განადგურდა (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი პირადი ცხოვრების შესახებ, არ შეიძლება გახმაურდეს ან გამოყენებულ იქნეს რაიმე მიზნით. ასეთი ინფორმაციის შენახვა დაუშვებელია და იგი დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს. აღნიშნული ინფორმაციის განადგურების შესახებ ეცნობება საქართველოს მთავარ პროკურორს და სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც განხორციელდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, ან სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს გამოაქვეყნოს სტსტისტიკური ინფორმაცია **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობების და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც არ ეხებოდა პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავდა ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად განადგურდა.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფაქტობრივი საფუძველი;

2) ჩამოაყალიბეთ კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სამართლებრივი საფუძველი;

3) ჩამოაყალიბეთ კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გამოთხოვის წესი;

4) რა მიზანს ემსახურება კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება?

5) რა შემთხვევაში ტარდება კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება?

6) ჩამოაყალიბეთ კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საპროცესო ფორმა;

7) ჩამოაყალიბეთ კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მონაცემის სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენებაზე უარის თქმის წესი;

8) ჩამოაყალიბეთ კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლო განჩინების შინაარსი;

9) რა ვადაში უნდა ჩატარდეს კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება?

10) საგამოძიებო მოქმედების დასრულებამდე, რა ვადაში და რა წესით საჯაროვდება კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება?

11) საგამოძიებო მოქმედების დასრულების შემდეგ, რა ვადაში და რა წესით საჯაროვდება კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება?

12) ჩამოაყალიბეთ საჩივრის შინაარსი;

13) რა შემთხვევაში წყდება კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება?

14) რა შემთხვევაში ნადგურდება კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია?

15) რა ვადაში ნადგურდება კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა?

16) რა წესით მიეწოდება კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია?

17) კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ ვის ეცნობება და რა წესით ხდება ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრება?

თავი 14. ფარული საგამოძიებო მოქმედებები

14.1. ფარული საგამოძიებო მოქმედებები

ფარული საგამოძიებო მოქმედებები სიახლეა საპროცესო კანონმდებლობაში. მისი ჩატარება დაიშვება მაგისტრატი მოსამართლის განჩინების საფუძველზე.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების სახეებს მიეკუთვნება:

ა) სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა;

ბ) ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია;

გ) გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა (მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის რეალურ დროში მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტით განსაზღვრა);

დ) საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი;

ე) ფარული ვიდეო- და აუდიოჩაწერა, კინო- და ფოტოგადაღება;

ვ) ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს.

ერთ სისხლის სამართლის საქმეზე შეიძლება ერთდროულად ჩატარდეს რამდენიმე სახის ფარული საგამოძიებო მოქმედება. მაგალითად, ბრალდებულზე შეიძლება დაწესდეს სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა და ფარული ვიდეოჩაწერა.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ყველა კატეგორიის დანაშაულის გამოძიებისას როდი დაიშვება. ასეთ შეზღუდვას საპროცესო კანონი აწესებს. ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება დაიშვება იმ შემთხვევაში თუ გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს შემდეგ ერთ-ერთი დანაშაულის გამო:

1) მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე (ე.ი იმდანაშაულზე **რომლის ჩადენისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაულზე, რომლის ჩადენისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით. ე.ი. მძიმე დანაშაულის დროს სასჯელის სახით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადა ხუთ წელს აღემატება, მაგრამ არ აღემატება ათ წელს ან ისეთ განზრახ დანაშაულზე, რომლის ჩადენისთვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა;**

2) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 117-ე, ნაწ. 1-ლი);

3) ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება (მუხლი 134-ე);

4) სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ (მუხლი 139-ე, ნაწ. მე-2);

5) სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან (მუხლი 140-ე);

6) გარყვნილი ქმედება (მუხლი 141-ე);

7) თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მუხლი 143-ე, ნაწ.1-ლი);

8) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა (მუხლი 1433-ე, ნაწ. 1-ლი);

9) თაღლითობა (მუხლი 180-ე, ნაწ. 1-ლი);

10) გამოძალვა (მუხლი 181-ე, ნაწ. 1-ლი);

11) წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება (მუხლი 186-ე, ნაწ. მე-2);

12) ნივთის დაზიანება ან განადგურება (მუხლი 187-ე, ნაწ. მე-2);

13) ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია (მუხლი 198-ე, ნაწ. 1-ლი);

14) ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენება (მუხლი 210-ე, ნაწ. 1-ლი);

15) პროსტიტუციაში ჩაბმა (მუხლი 253-ე, ნაწ. 1-ლი);

16) არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში;

17) ძეგლებისა და სხვა კულტურული ფასეულობების საქართველოდან უნებართვო გატანა (მუხლი 2594);

18) კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა (მუხლი 284-ე);

19) კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება (მუხლი 285-ე, ნაწ. 1-ლი);

20) კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა (მუხლი 286-ე);

21) სამუშაოს წარმოებისას გარემოს დაცვის წესის დარღვევა (მუხლი 287-ე);

22) გარემოსათვის საშიში ნივთიერებისადმი ან ნარჩენისადმი მოპყრობის წესის დარღვევა (მუხლი 288-ე, ნაწ. 1-ლი და მე-2);

23) მიკრობიოლოგიური ან სხვა ბიოლოგიური აგენტისადმი ან ტოქსინისადმი მოპყრობის წესის დარღვევა (მუხლი 289-ე);

24) ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა (მუხლი 290-ე);

25) წყლის დაბინძურება (მუხლი 292-ე);

26) ზღვის დაბინძურება (მუხლი 293-ე);

27) ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერების ანდა სხვა ნარჩენის ან მასალის ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც ეს ევალება (მუხლი 294-ე);

28) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება (მუხლი 295-ე);

29) საქართველოს კონტინენტური შელფის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის კანონმდებლობის დარღვევა (მუხლი 296-ე);

30) მიწის გაუვარგისება (მუხლი 297-ე);

31) წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა (მუხლი 298-ე);

32) წიაღით უკანონოდ სარგებლობა (მუხლი 299-ე);

33) უკანონო თევზჭერა (მუხლი მე-300);

34) უკანონო ნადირობა(მუხლი 301-ე);

35) საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველის ან ველური მცენარის ადგილსამყოფლის მოშლა (მუხლი 302-ე);

36) ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა (მუხლი 303-ე);

37) ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება (მუხლი 304-ე, ნაწ. 1-ლი);

38) დაცული ტერიტორიის რეჟიმის დარღვევა (მუხლი 305-ე);

39) საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე (მუხლი 306-ე);

40) საბოტაჟი (მუხლი 318-ე, ნაწ. 1-ლი);

41) ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა (მუხლი 322[1]-ე, ნაწ. 1-ლი და მე-2);

42) კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (მუხლი 340-ე);

43) სამსახურებრივი სიყალბე (მუხლი 341-ე).

ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს ზემოთ დასახელებული რომელიმე დანაშული (დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი, ან პირი იღებს ან გასცემს დანაშაულან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებას.

ფარული საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაში თუ ამას ითვალისწინებს საპროცესო კანონმდებლობა და მისი ჩატარება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღწეულ იქნას ლეგიტიმური მიზანი[38]. საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს:

ა) ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება;

გ) ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

ფარული საგამოძიებო მოქმედება დემოკრატიულ საზოგადოებაში ტარდება აუცილებლად იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩატარება გამოწვეულია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და ის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალებაა.

ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთ-ერთ შემდეგ შემთხვევაში:

ა) როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება შეუძლებელია;

ბ) როდესაც სხვა საშუალებით გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვება გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

---

[38] ლეგიტიმური ლათინური სიტყვაა და ნიშნავს კანონიერს, დაკანონებულს, რაიმე უფლების ან რწმუნების კანოიერების აღიარებას ან დამტკიცებას.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფარგლები (ინტენსივობა) ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საპროცესო ფორმას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ფარული საგამოძიებო მოქმედება ტარდება მოსამართლის განჩინებით. პროკურორი მოტივირებული შუამდგომლობით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემის თაობაზე.

პროკურორი შუამდგომლობში მიუთითებს შემდეგ გარემოებებს, რომლებიც ადასტურებენ რომ:

ა) გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება ზემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი დანაშაულის გამო;

ბ) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს, რომლის მიმართაც უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება, ჩადენილი აქვს ზემოთ დასახელებული რომელიმე დანაშაული („დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი"), ან პირი იღებს ან გადასცემს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას, ან დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირი იყენებს პირის საკომუნიკაციო საშუალებებს;

გ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება გამონაკლისია გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებით და არის დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად - ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უწესრიგობის ან დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესების ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად - აუცილებელი, მისი მიღწევის შესაფერისი და პროპორციული საშუალება;

დ) მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული იქნება გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ის ინფორმაცია, რომლის სხვა საშუალებით მოპოვება შეუძლებელია ან გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას საჭიროებს.

პროკურორის შუამდგომლობაში აგრეთვე უნდა აისახოს ინფორმაცია იმ საგამოძიებო მომედების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შუამდგომლობის წარდგენამდე ჩატარდა საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და რომლითაც დასახული მიზანი ვერ იქნა მიღწეული. პროკურორის შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს ის მასალები, რომლებიც ადასტურებენ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას.

თუ ტარდება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა იმ ტერიტორიაზე, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ვალდებულია გამოიყენოს კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ან ნახევრად სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა.

თუ ტარდება ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული სისტემიდან და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალების ინსტალაცია იმ ტერიტორიაზე, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ვალდებულია გამოიყენოს კომუნი-

კაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული, ნახევრად სტაციონარული ან არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა.

თუ ტარდება გეოლოკაციის რეალურ ვდროში განსაზღვრა იმ ტერიტორიაზე, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ვალდებულია გამოიყენოს კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების სტაციონარული ან/და არასტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა.

მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობასა და მისი დასაბუთებისათვის საჭირო, თანდართული მასალის სასამართლოში წარდგენიდან განიხილავს არაუგვიანეს 24 საათისა. შუამდგომლობა, როგორც წესი, განიხილება ზეპირი მოსმენით, ერთპიროვნულად დახურულ სასამართლო სხდომაზე. თუმცა მოსამართლეს შეუძლია შუამდგომლობა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს. თუ შუამდგომლობა განიხილება ზეპირი მოსმენით, პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა. შუამდგომლობის განხილვის შემდეგ მაგისტრატი მოსამართლე მიიღებს განჩინებით ორიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ;

ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

მაგისტრატი მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, ერთი რჩება სასამართლოში, ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელთაგან ერთი მიეწოდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახემწიფო ორგანოს, ხოლო ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სასამართლოს მიერ მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. მოსამართლის განჩინების ეგზემპლარები შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს წარედგინება განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით. თუ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ ან მისი ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ განჩინება მოსამართლემ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანა, სასამართლოს მიერ ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 სააათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს.

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 321-ე ნაწილის შესაბამისად, ზედამხედველი მოსამართლე არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე აკონტროლებს:

ა) სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებას და ჩაწერას სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ჩატარებას კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით;

ბ) ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობებს ელექტრონული კომუნიკაცი-

ის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემით;

გ) გეოლოკაციის დროში განსაზღვრისა და მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის მოქმედების განხორციელებას გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით.

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარის სახელმწიფო ინსპექციის სამსახურისათვის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას. ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენების შემთხვევაში. ეს წესი არ ვრცელდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახუხურის მიერ წარმოებულ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ჩატარდება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა.

თუ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოსათვის წარდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინება ბუნდოვან-უზუსტობას შეიცავს, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან შესაბამის საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს.

განჩინების გამომტანი სასამართლო პროკურორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში, ან საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას.

თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის ელექტრონული სახით და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტებში ან/და სარეზოლუციო ნაწილში მონაცემი ან რეკვიზიტი ერთმანეთს არ ემთხვევა, სახელმწიფო ინსპექტორი ამის თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით აცნობებს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს. ინფორმაციის მიღებისთანავე პროკურორი წერილობით მიმართავს განჩინების გამომტან სასამართლოს, რომელიც მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას. სასამართლო ვალდებულია მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრიდან 24 საათის ვადაში უზრუნველყოს ამ განჩინების სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის მიწოდება. ეს წესი არ ვრცელდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახუხურის მიერ წარმოებულ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ჩატარდება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა.

თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის ელექტრონული სახით ან/და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს, სახელმწიფო ინსპექტორი ამის თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით აცნობებს სააგენტოს, რომელიც თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან/და შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს. ინფორმაციის მიღებისთანავე პროკურორი წერილობით მიმართავს განჩინების გამომტან სასამართლოს, რომელიც მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას. სასამართლო ვალდებულია მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრიდან 24 საათის ვადაში უზრუნველყოს ამ განჩინების სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის მიწოდება. ეს წესი არ ვრცელდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახუხურის მიერ წარმოებულ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ჩატარდება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარის ზედამხედველი მოსამართლისათვის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს მოცემულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას. ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა.

თუ ზედამხედველი მოსამართლისათვის ელექტრონული სახით და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი ფარული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტებში ან/და სარეზოლუციო ნაწილში მონაცემი ან რეკვიზიტი ერთმანეთს არ ემთხვევა, ზედამხედველი მოსამართლე ამის თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით აცნობებს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან/და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. ინფორმაციის მიღებისთანავე პროკურორი წერილობით მიმართავს განჩინების გამომტან სასამართლოს, რომელიც მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას. სასამართლო ვალდებულია მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრიდან 24 საათის ვადაში უზრუნველყოს ამ განჩინების ზედამხედველი მოსამართლისათვის მიწოდება.

თუ ზედამხედველი მოსამართლისათვის ელექტრონული სახით ან/და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი ფარული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს, ზედამხედველი მოსამართლე ამის თაობაზე ელექტრონული სისტემის მეშ-

ვეობით აცნობებს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან/და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. ინფორმაციის მიღებისთანავე პროკურორი წერილობით მიმართავს განჩინების გამომტან სასამართლოს, რომელიც მიმართვის მიღებიდან 12 საათის ვადაში უზრუნველყოფს მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას. სასამართლო ვალდებულია მოსამართლის განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრიდან 24 საათის ვადაში უზრუნველყოს ამ განჩინების ზედამხედველი მოსამართლისათვის მიწოდება.

14.2. მოსამართლის განჩინების გარეშე ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება წესი

საპროცესო კანონი ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას/დაწყებას მაგისტრატი მოსამართლის განჩინების გარეშე პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება ნაკარნახევია გადაუდებელი აუცილებლობით. გადაუდებელი აუცილებლობაა მაშინ, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დაყოვნებამ შეიძლება:

ა) გამოიწვიოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება;

ბ) შეუძლებელი გახადოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.

კანონი აყალიბებს რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება. კანონის შესაბამისად, პროკურორის დადგენილება უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკვიზიტებს (დადგენილების შედგენის თარიღი და ადგილი; მითითება საქართველის სსკ-ის იმ მუხლზე, რომლითაც მიმდინარეობს გამოძიება; პროკურორის სახელი და გვარი, ხელმოწერა; საიდუმლოების აღმნიშვნელი გრიფი; ბეჭედი), ხოლო დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის/ობიექტების (პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება ფარული საგამოძიებო მოქმედება), აგრეთვე განსახორციელებელი ფარული საგამოძიებო მოქმედების სახის შესახებ და უნდა განსაზღვრავდეს მოქმედების განხორციელების პერიოდს (მისი დაწყებისა და დასრულების თარიღებისა და დროის მითითებით), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების შემთხვევაში პროკურორის დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს აგრეთვე მითითებას ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის/ობიექტების ტექნიკური იდენტიფიკატორის/იდენტიფიკატორების სულ მცირე ერთი შესაბამისი მონაცემის შესახებ. პროკურორი ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა/ტარდება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს შუამდგომლობით გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო

მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. შუამდგომლობაში პროკურორმა უნდა დააასაბუთოს, რომ ნამდვილად ჩადენილია ის დანაშაული, რომლისთვისაც დასაშვებია ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და იმ გარემოებების არსებობა, რომლებმაც განაპირობა ფარული საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებლად ჩატარება/დაწყება. მოსამართლე პროკურორის შუამდგომლობას განიხილავს მისი სასამართლოსთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა. შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს, შესაბამისი და აუცილებელი იყო თუ არა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარება/დაწყება, და განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;

ბ) მიმდინარე ფარული საგამიძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის და მისი ჩატარების ვადის არაუმეტეს 48 საათამდე გაგრძელების შესახებ. ეს ვადა აითვლება პროკურორის დადგენილებაში მითითებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყების დროიდან;

გ) ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის, მისი შეწყვეტის, შედეგების გაუქმებისა და მის შედეგად მოპოვებული მასალის/ინფორმაციის განადგურების შესახებ.

გადაწყვეტილების მიღებამდე მოსამართლეს უფლება აქვს უფლებამოსილი ორგანოდან გამოითხოვოს გამოთხოვის მომენტისათვის მოპოვებული მასალის ელექტრონული ეგზემპლარი.მასალის გაცნობის შემდეგ მოსამართლე უზრუნველყოფს დადგენილი წესით მის განადგურებას.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილებას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 12 საათისა პროკურორი ან პროკურორის დავალებით გამომძიებელი მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარუდგენს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. პროკურორის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობისას სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარების შესახებ, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას. ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა. ეს წესი არ ვრცელდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახუხურის მიერ წარმოებულ იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ჩატარდება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა.

თუ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოსთვის წარდგენილი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება ბუნდოვანებაუზუსტობას შეიცავს, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორ-

განო ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომლებიც უზრუნველყოფენ დადგენილებაში არსებულ ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილებას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ დადგენილებაში მითითებული დაწყების დროიდან არაუგვიანეს 12 საათისა პროკურორი ან პროკურორის დავალებით გამომძიებელი მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარუდგენს ზედამხედველ მოსამართლეს. გადაუდებელი აუცილებლობისას სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ პროკურორის დადგენილება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სააგენტოს მიერ მისი მიღებისთანავე მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს ელექტრონული ეგზემპლარის სახით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის პროგრამულად მიწოდების დადასტურებისთანავე სააგენტო იწყებს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებასა და ჩაწერას. ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდების წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც გამოიყენება სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობა.

ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინება დგება 4 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სასამართლოში, ორი გადაეცემა შუამდგომლობის წარმდგენ პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომელთაგან ერთი მიეწოდება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს, და ერთი განჩინება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, სასამართლოს მიერ მიეწოდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. მოსამართლის განჩინების ეგზემპლარები შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს წარედგინება განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით. თუ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების და ჩაწერის კანონიერად/უკანონოდ ცნობის შესახებ განჩინება მოსამართლემ სახელმწიფო ინსპექტორის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოიტანა, სასამართლო ერთ განჩინებას (მე-4 ეგზემპლარი), რომელიც შეიცავს მხოლოდ ნრეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, განჩინების გამოტანისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, მატერიალური (დოკუმენტური) სახით მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს.

ასეთ შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს შუამდგომლობით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება, ან გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ. სასამართლოს მიერ შესაბამისი განჩინების მიღების შემდეგ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას ანადგურებს შესაბამისი საქმის გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი ან სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი ან მათი ზემდგომი პროკურორი, იმ მოსამართლის ან იმ სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ დგება ოქმი რომელსაც ხელს აწერს შესაბამისი პროკურორი და მოსამართლე. შესაბამისი პროკურორისა და მოსამართლის ხელმოწერებით დადასტურებული ოქმი გადაეცემა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/პერსონალური მონაცემების განადგურების კომისიას და აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრში.

თუ ფარული საგამოძიებო მოქმედებით გამოვლინდა სხვა დანაშაულის ნიშნები, რომელზედაც არ მიმდინარეობს გამოძიება, ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია არის სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი, ხოლო ამ ინფორმაციის ახალ საქმეზე დასაშვებ მტკიცებულებად ცნობის საკითხი გადაწყდება საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესით.

საპროცესო კანონი მიუთითებს იმ მოთხოვნებზე, რაც უნდა აისახოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინებაში. განჩინებაში მოსამართლემ უნდა დაასაბუთოს, რომ არსებობს გარემოებები, რომელებიც საფუძველია ფარული მოქმედების ჩატარებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე გადაუდებლად ჩატარების/დაწყების აუცილებლობისა. მოსამართლის განჩინებაში უნდა მიეთითოს: განჩინების ნომერი, მისი შედგენის თარიღი და ადგილი; მოსამართლის სახელი და გვარი, ხელმოწერა; საიდუმლოების აღმნიშვნელი გრიფი; ბეჭედი.

მოსამართლის სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიეთითოს:

ა) პირი, რომელმაც მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა;

ბ) სისხლის სამართლის საქმის ნომერი, რომელზედაც უნდა ჩატარდეს, ჩატარდა ან მიმდინარეობს ფარული საგამოძიებო მოქმედება;

გ) განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ან ჩატარებული/მიმდინარე საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული, რა სახის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაა ნებადართული ან რომელი ასეთი მოქმედებაა კანონიერად ცნობილი;

დ) დროის რა მონაკვეთში (დაწყებისა და დასრულების თარიღებისა და დროის მითითებით) უნდა ჩატარდეს ან ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება;

ე) ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი?ობიექტები;

ვ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემთხვევაში-ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის?ობიექტების ტექნიკური იდენტიფიკატორის/იდენტიფიკატორების სულ მცირე ერთი შესაბამისი მონაცემი, რომლის/

რომელთა კონტროლი უნდა განხორციელდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ადგილი;

თ) საჭიროების შემთხვევაში, ვისზე ვრცელდება ეს საგამოძიებო მოქმედება;

ი) შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო, რომელმაც უნდა განახორციელოს ფარული საგამოძიებო მოქმედება;

კ) უფლებამოსილი საგამოძიებო ორგანო, რომელსაც უნდა გაეცნოს და გადაეცეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა;

ლ) ფარული საგამოძიებო მოქმედების გაგრძელების შემთხვევაში-იმ განჩინების რეკვიზიტები, რომლის საფუძველზედაც მიმდინარეობს ფარული საგამოძიებო მოქმედება;

მ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის საჭირო სხვა მონაცემები.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემაზე ან ჩატარებული/მიმდინარე ფარული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობაზე უარის თქმის შესახებ მოსამაართლის განჩინებაში უნდა მიეთითოს, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობით არ დასტურდება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძვლები და ფარული საგამოძიებო მოქმედების მოსამართლის განჩინების გარეშე, გადაუდებლად ჩატარების/დაწყების აუცილებლობა. მოსამართლის განჩინებაში უნდა აღინიშნოს:

ა) პირი, რომელმაც მოსამართლეს შუამდგომლობით მიმართა;

ბ) სისხლის სამართლის საქმის ნომერი, რომელზედაც უნდა ჩატარდეს, ჩატარდა ან მიმდინარეობს ფარული საგამოძიებო მოქმედება;

გ) განკარგულება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ან ჩატარებული/მიმდინარე საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული, რა სახის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაა ნებადართული ან რომელი ასეთი მოქმედებაა კანონიერად ცნობილი;

დ) დროის რა მონაკვეთში (დაწყებისა და დასრულების თარიღებისა და დროის მითითებით) უნდა ჩატარდეს ან ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება;

ე) ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი/ობიექტები;

ვ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შემთხვევაში-ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის?ობიექტების ტექნიკური იდენტიფიკატორის/იდენტიფიკატორების სულ მცირე ერთი შესაბამისი მონაცემი, რომლის/რომელთა კონტროლი უნდა განხორციელდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელების ადგილი;

თ) საჭიროების შემთხვევაში, ვისზე ვრცელდება ეს საგამოძიებო მოქმედება;

ი) შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო, რომელმაც უნდა განახორციელოს ფარული საგამოძიებო მოქმედება;

კ) უფლებამოსილი საგამოძიებო ორგანო, რომელსაც უნდა გაეცნოს და გადაეცეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა;

ლ) ფარული საგამოძიებო მოქმედების გაგრძელების შემთხვევაში-იმ განჩინების რეკვიზიტები, რომლის საფუძველზედაც მიმდინარეობს ფარული საგამოძიებო მოქმედება;

მ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის საჭირო სხვა მონაცემები;

ნ) მოსამართლის გადაწყვეტილება ფარული საგამოძიებო მოქმედების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ან ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობაზე უარის თქმის და მის შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადები მკაცრადაა რეგულირებული საპროცესო კანონმდებლობით. კანონის შესაბამისად ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ მოსამართლის განჩინება გაიცემა იმ ვადით, რომელიც საჭიროა გამოძიების მიზნის მისაღწევად, მაგრამ არაუმეტეს 1 თვისა. თუ ეს ვადა საკმარისი არ აღმოჩნდება, დასაშვებია მისი გაგრძელება. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობით მიმართავს მოსამართლეს, რომლის საფუძველზე, მოსამართლე დადგენილი წესით გააგრზელებს მას, მაგრამ არაუმეტეს 2 თვისა. პროკურორის შუამდგომლობაში უნდა აისახოს ინფორმაცია დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მონაცემების შესახებ და მიეთითოს, რის გამო ვერ მოხერხდა გამოძიებისათვის საკმარისი მონაცემების მოპოვება. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა შეიძლება კიდევ ერთხელ გააგრძელოს მოსამართლემ არაუმეტეს 3 თვისა საქართველოს მთავარი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება საჯაროდ არ ცხადდება. მოსამართლის განჩინება ძალას კარგავს მისი მიღებიდან 30 დღის გასვლის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში ფარული საგამოძიებო მოქმედება არ დაიწყო.

პირს, რომლისთვისაც მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას ცნობილი გახდა მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება ერთჯერადად გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 48 საათის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობა საფუძველია ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობისა. სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება საფუძვლად დაედოს საპროცესო კანონის (კოდექსის მე-7 მუხლი, ნაწ. მე-3) მოთხოვნას პირისთვის მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამჟღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

გასაჩივრების სხვა წესია დადგენილი ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სამართალწაროების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი პირისათვის, რომ მის მიმართ ხორციელდებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედება. პირი, რომლისთვისაც მოცემულ საქმეზე სამართალწარმოების დასრულების შემდეგ ცნობილი

გახდა მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, შეუძლია ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინება გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში. თუ სააპელაციო სასამართლო უკანონოდ ცნობს ჩატარებულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებას, ეს შეიძლება მიჩნეულ იქნეს საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ გარემოებად განაჩენის გადასინჯვისათვის, თუ ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს. სააპელაციო სასამართლოს მიერ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება საფუძვლად დაედოს საპროცესო კოდექსით (კოდექსის მე-7 მუხლი, ნაწ. მე-3) გათვალისწინებულ მოთხოვნას პირის მიერ მისი პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების/პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვებით, შენახვით ან გამჟღავნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

პირის საჩივარში, რომლისთვისაც სამართალწარმოებისას ან სამართალწარმოების დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ, უნდა აღინიშნოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის დადგენილი წესის დარღვევის შესახებ. საჩივარი შეიტანება განჩინების გამომტან სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია საჩივარს განიხილავს მისი შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა. სააპელაციო სასამართლო შეტყობინებით უზრუნველყოფს მომჩივნის და ბრალდების მხარის მონაწილეობას საჩივრის განხილვაში. მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას. საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება საჯაროდ ცხადდება და მოთხოვნის შემთხვევაში მომჩივანს და ბრალდების მხარეს გადაეცემა.

საპროცესო კანონმდებლობა ადგენს გარკვეული პირების მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესს. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, მოსამართლის და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩატარდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის განჩინებით, საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე.

ფარულ საგამოძიებო მოქმედებას ატარებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებას და ჩაწერას სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის განხორციელება კონტროლდება კონტროლის ელექტრონული სისტემითა და კონტროლის სპეციალური ალექტრონული სისტემით.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის სათანადოდ დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ ორგანოს და შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

საპროცესო კოდექსი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ ორგანოს ვალდებულებას აკისრებს აღრიცხოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული გარკვეული მონაცემები. ეს მონაცემებია:

ა) ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებისა და დასრულების დრო;

ბ) ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი;

გ) ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას-ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის ტექნიკური იდენტიფიკატორი;

დ) მოსამართლის განჩინების ან/და პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი გამომძიებლის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. პროკურორი ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს შსაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს, რომელიც ვალდებულია შეწყვიტოს ფარული საგამოძიებო მოქმედების წარმოება.

ფარული საგამოძიებო მოქმედება შეწყდება, თუ:

ა) შესრულდება ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანა;

ბ) დადგინდება გარემოებები, რომლებიც ადასტურებს, რომ ამ ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ განჩინებით გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანის შესრულება ობიექტურად შეუძლებელია ან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას გამოძიებისათვის არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს;

გ) შეწყდება გამოძიება ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა;

დ) გავა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა.

თუ გავიდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვადა ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერებიდან 3 დღეში არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი, აქ მითითებული ვადის გასვლისთანავე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო წყვეტს ფარულ საგამოძიებო მოქმედებას.

თუ გავიდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ დადგენილებაში მითითებული 48-საათიანი ვადა, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო სასამართლოს განჩინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაწყებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების 48-საათიანი ვადის ამოწურვისთანავე წყვეტს ფარულ საგამოძიებო მოქმედებას.

კანონით გათვალისწინებული საფუძვლების შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერების უფლება აქვთ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს, სახელმწიფო ინსპექტორს და ზედამხედველ მოსამართლეს.

ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება შეაჩეროს სახელმწიფო ინსპექტორმა კონტროლის ელექტრონული სისტემით შემდეგი ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას, თუ:

ა) მისთვის კანონით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

ბ) მისთვის კანონით დადგენილი წესით, მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი არ არის სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ განჩინების ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

გ) მისთვის კანონით დადგენილი წესით მიწოდებული არ არის პროკურორ-

ის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

დ) მისთვის კანონით დადგენილი წესით, მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი არ არის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

ე) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს;

ვ) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მონაცემი ერთმანეთს არ ემთხვევა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება შეიძლება შეაჩეროს ზედამხედველმა მოსამართლემ ელექტრონული სისტემით შემდეგი ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას, თუ:

ა) მისთვის კანონით დადგენილი წესით მინოდებული არ არის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

ბ) მისთვის კანონით დადგენილი წესით, მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი არ არის სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ განჩინების ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

გ) მისთვის კანონით დადგენილი წესით მინოდებული არ არის პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

დ) მისთვის კანონით დადგენილი წესით მინოდებული არ არის პროკურორის დადგენილების მატერიალური (დოკუმენტური) სახის ეგზემპლარი, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს;

ე) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ან მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტები ან/და სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანება-უზუსტობას შეიცავს;

ვ) მისთვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში და მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენილი პროკურორის დადგენილების რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილში საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მონაცემი ერთმანეთს არ ემთხვევა.

თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედება შეაჩერა ზედამხედველმა მოსამართლემ, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო მისი შეჩერების შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის პროკურორს ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, ზედამხედველი მოსამართლისათვის მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარის წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის მიწოდებას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, ზედამხედველი მოსამართლისათვის განჩინების ეგზემპლარის მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს სასამართლო.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, ზედამხედველი მოსამართლისათვის პროკურორის დადგენილების მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს პროკურორი ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, ზედამხედველი მოსამართლისათვის პროკურორის დადგენილების მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს პროკურორი ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ე“ ან „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, პროკურორის დადგენილებაში საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მონაცემის შესაბამისი წესით მითითებას და ამ დადგენილების სააგენტოსა და ზედამხედველი მოსამართლისათვის წარდგენას უზრუნველყოფს პროკურორი ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ა“ ან „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს მოსამართლის განჩინების ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის ზედამხედველი მოსამართლისათვის ამ კოდექსით დადგენილი ზოგადი წესით მიწოდების პროგრამულად დადასტურებისთანავე.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს ზედამხედველი მოსამართლის მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემით სასამართლოს განჩინების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „დ“, „ე“ ან „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში

ფარულ საგამოძიებო მოქმედებას ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო აგრძელებს ზედამხედველი მოსამართლის მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემით პროკურორის დადგენილების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე.

სახელმწიფო დაცვის ინსპექტორის მიერ მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერების შემთხვევაში ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო მისი შეჩერების შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის პროკურორს ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ წარმომადგენელს.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ა" ან „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის მოსამართლის განჩინების ელექტრონული ეგზემპლარის წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის განჩინების ეგზემპლარის მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს სასამართლო.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის პროკურორის დადგენილების მატერიალური (დოკუმენტური) სახით წარდგენას, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, უზრუნველყოფს პროკურორი ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ე" ან „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში მისი შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრას, კერძოდ, პროკურორის დადგენილებაში ამ კოდექსის 143[3] მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული მონაცემის შესაბამისი წესით მითითებას და ამ დადგენილების სააგენტოსა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის წარდგენას უზრუნველყოფს პროკურორი ან შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ა" ან „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს მოსამართლის განჩინების ან პროკურორის დადგენილების ელექტრონული ეგზემპლარის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის ამ კოდექსით დადგენილი ზოგადი წესით მიწოდების პროგრამულად დადასტურებისთანავე.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემით სასამართლოს განჩინების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე.

მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების ზემოთ ჩამოთვლილი „დ", „ე" ან „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შეჩერების შემთხვევაში ფარულ საგამოძიებო მოქმედებას სააგენტო აგრძელებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ კონტროლის ელექტრონული სისტემით პროკურორის დადგენილების მიღების პროგრამულად დადასტურებისთანავე.

შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე ადგენს ოქმს, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სამართლებრივი საფუძველი, მისი დაწყებისა და დასრულების დრო, ოქმის შედგენის ადგილი, ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების სახე და მისი ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებები, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი, ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი, ხოლო ამ საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას - აგრეთვე ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის ტექნიკური იდენტიფიკატორი. ოქმი გადაეცემა შესაბამის უფლებამოსილ საგამოძიებო ორგანოს, რომელიც დაუყოვნებლივ წარუდგენს მას პროკურორს, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრს და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. თუ ოქმი შედგენილ იქნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულების შესახებ, ოქმი გადაეცემა შესაბამის უფლებამოსილ საგამოძიებო ორგანოს, რომელიც დაუყოვნებლივ წარუდგენს მას პროკურორს, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრს და ზედამხედველ მოსამართლეს. ოქმი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გადაეცემა აგრეთვე დაცვის მხარეს.

ფარული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობისას, პროკურორის/მოსამართლის მოთხოვნის შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია გასცეს შუალედური ოქმი.

თუ ფარული საგამოძიებო მოქმედების შეჩერებიდან 3 დღეში არ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა ნადგურდება კანონით დადგენილი წესით, რომელზეც შემდეგ ქვეთავში ვისაუბრებთ.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი ორგანო, აგრეთვე საგამოძიებო ორგანო ან პირი ვალდებულია, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმალურად შეზღუდოს იმ კომუნიკაციისა და პირის მონიტორინგი, რომელთაც გამოძიებასთან კავშირი არ აქვთ.

სასულიერო პირის, ადვოკატის, ექიმის, ჟურნალისტისა და იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არ უკავშირდება შესაბამისად მათ მიერ სასულიერო მოღვაწეობის ან პროფესიული საქმიანობის დროს კანონით დაცული ინფორმაციის მოპოვებას.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ადვოკატის პირადი კომუნიკაციის შესახებ უნდა გაიმიჯნოს ადვოკატსა და კლიენტს შორის განხორციელებული კომუნიკაციის შესახებ ინფორმაციისაგან. ადვოკატსა და კლიენტს შორის განხორციელებული კომუნიკაციის შინაარსი, რომელიც ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.

14.3. ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის/მასალის განადგურება, ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინება

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, პროკურორის გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს:

ა) ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგ, თუ მას არა აქვს ღირებულება გამოძიებისათვის;

ბ) იმ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარდა და, მიუხედავად სასამართლოს მიერ მისი კანონიერად ცნობისა, ბრალდების მხარემ საპროცესო კანონით დადგენილი წესით არ წარუდგინა ის მტკიცებულებად საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს;

გ) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული ის მასალაც, რომელიც არ ეხება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად უნდა განადგურდეს.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა, რომელსაც სასამართლო დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობს, განადგურდება საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე განაჩენის გამოტანიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ. ეს მასალა განადგურებამდე სასამართლოს სპეციალურ საცავში ინახება. დაუშვებელია ვინმეს მიერ აღნიშნული მასალის გაცნობა, ასლის გადაღება და გამოყენება, გარდა მისი მხარეთა მიერ საპროცესო უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებისა.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა, რომელიც საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად დაერთვის, შეინახება სასამართლოში ამ სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული მასალა დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის სათანადოდ დაცვისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სასამართლოს ადმინისტრაციას, სადაც განადგურებამდე ინახებოდა ეს მასალა.

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს თუ მას გამოძიებისათვის ღირებულება არ აქვს. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას ანადგურებს შესაბამისი საქმის გამოძიებაზე საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი ან სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი ან მათი ზემდგომი პროკურორი, იმ მოსამართლის ან იმ სასამართლოს მოსამართლის თანდასწრებით, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების შესახებ დგება ოქმი რომელსაც ხელს აწერს შესაბამისი პროკურორი და მოსამართლე. შესაბამისი პროკურორისა და მოსამართლის ხელმოწერებით დადასტურებული ოქმი გადაეცემა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, ხოლო სახ-

ელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე - ზედამხედველ მოსამართლეს და აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო რეესტრში.

იმ შემთხვევებში თუ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია ინახება სასამართლოში, ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ მასალას ანადგურებს ის მოსამართლე ან იმ სასამართლოს მოსამართლე, რომელმაც ან რომლის მოსამართლემაც მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ან გადაუდებელი აუცილებლობისას მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ.

ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებამდე ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ გამომძიებელს, პროკურორს და მოსამართლეს (თუ ეს ინფორმაცია არსებითად უკავშირდება მათ მიერ განსახილველ საკითხს).

ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია დაცვის მხარეს მიეწოდება საპროცესო კოდექსით დადგენილი მტკიცებულებათა მიწოდების წესის შესაბამისად, აგრეთვე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას.

ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს პირს, რომლის მიმართაც ჩატარდა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება. ამ პირს ასეთი ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად გადაეცემა მოსამართლის განჩინება მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, აგრეთვე ის მასალა, რომლის საფუძველზედაც მიიღო მოსამართლემ ამგვარი გადაწყვეტილება, და განემარტება უფლება აღნიშნული განჩინება გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღნიშნული ინფორმაციის და განჩინების გასაჩივრების უფლების შესახებ განმარტების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში. გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როდის ეცნობოს პირს მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და გადაეცეს შესაბამისი განჩინება და მასალა, სამართალწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ისე მისი დასრულების შემდეგ, იღებს პროკურორი.

თუ პროკურორი გადაწყვეტს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებიდან 12 თვის ვადაში პირს არ აცნობოს მის მიმართ ამ მოქმედების ჩატარების შესახებ, იგი ვალდებულია აღნიშნული ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 72 საათისა შუამდგომლობით მიმართოს იმ სასამართლოს, რომლის მოსამართლემაც მიიღო განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, და მოითხოვოს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ინფორმაციის შესაბამისი პირისათვის მიწოდების გადავადება არაუმეტეს 12 თვისა. შუამდგომლობაში დასაბუთებული უნდა იყოს ის საფრთხე, რომელიც პირისათვის შეტყობინებით შეექმნება ფარული საგამოძიებო მოქმედების ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, ამოცანის შესრულებას და სამართალწარმოების ინტერესებს. მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს მისი წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში, საკუთარი შეხედულებისამებრ, ზეპირი მოსმენით ან მის

გარეშე. შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვისას მოსამართლე შეტყობინებით უზრუნველყოფს შესაბამისი პროკურორის მონაწილეობას განხილვაში. მისი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას. განხილვის შედეგად მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილების და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე შესაბამისი პირისათვის შეტყობინების გადავადების შესახებ ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებასა და ამგვარი ინფორმაციის მიწოდების გადავადებაზე უარის თქმის შესახებ. პროკურორი ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს პირის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ამ პირისათვის შეტყობინების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 72 საათისა, აღნიშნული ვადის არაუმეტეს 12 თვით გაგრძელების თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ადგენს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრს, რომელშიც აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია, კერძოდ: ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობების და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც არ ეხებოდა პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავდა ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განადგურდა (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც არ ესება პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავს ცნობებს მისი პირადი ცხოვრების შესახებ, არ შეიძლება გახმაურდეს ან გამოყენებულ იქნეს რაიმე მიზნით. ასეთი ინფორმაციის შენახვა დაუშვებელია და იგი დაუყოვნებლივ უნდა განადგურდეს. აღნიშნული ინფორმაციის განადგურების შესახებ ეცნობება საქართველოს მთავარ პროკურორს და სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც განხორციელდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, ან სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით.).

საქართველოს უზენაესი სასამართლო ვალდებულია ყოველი წლის ბოლოს გამოაქვეყნოს სტსტისტიკური ინფორმაცია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობების და სასამართლოთა მიერ მათზე მიღებული განჩინებების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე ინფორმაცია, რომელიც არ ეხებოდა პირის დანაშაულებრივ საქმიანობას, მაგრამ შეიცავდა ცნობებს მისი ან სხვა პირის პირადი ცხოვრების შესახებ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განადგურდა.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფაქტობრივი საფუძველი;

2) ჩამოაყალიბეთ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების სამართლებრივი საფუძველი;

3) ჩამოაყალიბეთ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გამოთხოვის წესი;

4) რა მიზანს ემსახურება ფარული საგამოძიებო მოქმედება?

5) რა შემთხვევაში ტარდება ფარული საგამოძიებო მოქმედება?

6) ჩამოაყალიბეთ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საპროცესო ფორმა;

7) ჩამოაყალიბეთ ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მონაცემის სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენებაზე უარის თქმის წესი;

8) ჩამოაყალიბეთ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლო განჩინების შინაარსი;

9) რა ვადაში უნდა ჩატარდეს ფარული საგამოძიებო მოქმედება?

10) საგამოძიებო მოქმედების დასრულებამდე, რა ვადაში და რა წესით საჯაროვდება ფარული საგამოძიებო მოქმედება?

11) საგამოძიებო მოქმედების დასრულების შემდეგ, რა ვადაში და რა წესით საჯაროვდება ფარული საგამოძიებო მოქმედება?

12) ჩამოაყალიბეთ საჩივრის შინაარსი;

13) რა შემთხვევაში წყდება ფარული საგამოძიებო მოქმედება?

14) რა შემთხვევაში ნადგურდება ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია?

15) რა ვადაში ნადგურდება ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა?

16) რა წესით მიეწოდება ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია?

17) ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ ვის ეცნობება და რა წესით ხდება ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრება?

თავი 15. სხვა საპროცესო მოქმედებები

15.1. სხვა საპროცესო მოქმედებების ცნება და სახეები

საპროცესო მოქმედება არის სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის მოქმედება, რომელიც ტარდება საპროცესო კოდექსით დადგენილი პროცედურის ფარგლებში. საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი მოქმედება არის საპროცესო მოქმედება. საპროცესო მოქმედება უფრო ფართო ცნებაა ვიდრე საგამოძიებო მოქმედება და ეს უკანასკნელი წარმოადგენს საპროცესო მოქმედების ნაირსახეობას.

თითოეული საპროცესო მოქმედება გათვალისწინებულია და მისი წარმოების წესი რეგლამენტირებულია საპროცესო კოდექსით.

საპროცესო მოქმედებებზე ვრცელდება ყველა ის მოთხოვნა, რაც გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსის მე-17 თავით.

სხვა საპროცესო მოქმედებების სახეებია: 1) ექსპერტიზის დანიშვნა; 2) ნიმუშების აღება; 3) მიყვანა; 4) ქონებაზე ყადაღის დადება; 5) ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება; 6) ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერება.

15.2. ექსპერტიზის დანიშვნა

ექსპერტიზა არის სპეციალური ცოდნის გამოყენებით გამოკვლევის ჩატარება და წერილობითი დასკვნის გამოტანა სისხლის სამართლის საქმეზე, მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ.

ექსპერტიზა სპეციალური ცოდნის გამოყენების მეტად კვალიფიციური ფორმაა. იგი მნიშვნელოვნად აფართოებს გამოძიებისა და სასამართლოს შემეცნებით შესაძლებლობას თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური არსენალის გამოყენებით. ამდენად ექსპერტიზა არის საქმის არსებითი გარემოების დადგენის საკმაოთ ეფექტური საშუალება. ექსპერტიზა მუდმივად ვითარდება კვლევის ახალი მეთოდიკის შექმნისა და არსებულის სრულყოფის გზით და სულ უფრო მეტ გამოყენებას პოულობს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში.

ექსპერტიზის ობიექტია ფაქტებისა და მოვლენების შესახებ ინფორმაციის შემცველი მატერიალური საგნები ან ადამიანები. ესენია ნივთიერი მტკიცებულებები, დოკუმენტები, გვამები და მათი ნაწილები და ა.შ.

ექსპერტიზას პირობითად ათ კლასად ყოფენ:

1) კრიმინალისტიკური;
2) სამედიცინო და ფსიქოფიზიოლოგიური;
3) საინჟინრო-ტექნიკური;
4) საინჟანრო-სატრანსპორტო;
5) საინჟანრო-ტექნოლოგიური;
6) ეკონომიკური;
7) ბიოლოგიური;
8) ეკოლოგიური;
9) სასოფლო-სამეურნეო;
10) ხელოვნებათმცოდნეობითი.

თავისმხრივ თითოეული კლასი იყოფა გვარებად, ხოლო ეს უკანასკნელი კი ექსპერტიზის ცალკეულ სახეებად და ქვესახეებად.

ექსპერტიზა საგამოძიებო მოქმედებაა და გამოიხატება ექსპერტის წინაშე ისეთი კითხვების დასმაში, რომელზე პასუხის გაცემაც მოითხოვს სპეციალურ ცოდნასა და სპეციალური კვლების ჩატარებას[39].

ექსპერტიზა ტარდება შემდეგ შემთხვევებში:

1) თუ მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სათანადო დარგის ან ამა თუ იმ ხელობის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა;

2) თუ სხეულს ან ინფორმაციის შემცველ ობიექტს აჩნევია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალი, ნიშანი ან თავისებურება, რომლის სწორად გაგება და აღქმა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია.

ექსპერტიზის დანიშვნა ხდება მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით.

საექსპერტო კვლევა უტარდება ამა თუ იმ ობიექტს. თუ საექსპერტო კვლევის ობიექტი მეორე მხარესთან ინახება, იგი ვალდებულია გადასცეს ობიექტი ექსპერტიზის ინიციატორ მხარეს. საექსპერტო კვლევის ობიექტის გადაცემის შესახებ მეორე მხარეს უნდა წარედგინოს მოთხოვნა. თუ მხარე ნებაყოფლობით ვერ იღებს, იგი უფლებამოსილია საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისათვის გადაცემის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 48 საათისა. შუამდგომლობის განხილვის დრო და ადგილი სასამართლომ უნდა აცნობოს მხარეებს. თუ შუამდგომლობის ავტორი არ გამოცხადდება სასამართლოში დანიშნულ დროსა და ადგილზე, ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება. კანონი სასამართლოს უფლებას ანიჭებს შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული სასამართლო განჩინება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მიუხედავად იმისა სასამართლო დააკმაყოფილებს შუამდგომლობაში გადმოცემულ მოთხოვნას თუ არა.

ექსპერტიზის ჩატარების შესახებ გამომძიებელს ან პროკურორს გამოაქვს დადგენილება, დაცვის მხარეს მიმართვა, რომელიც სავალდებულოა სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებისათვის, ექსპერტისათვის და იმ პირისათვის, რომელიც საექსპერტო კვლევის ობიექტია.

ექსპერტიზის ჩატარების შესახებ გამომძიებლის (პროკურორის) დადგენილება და დაცვის მხარის მიმართვა შინაარსობრივად ერთნაირი უნდა იყოს. ამ ორივე სახის პროცესუალურ დოკუმენტში უნდა აღინიშნოს: ექსპერტიზის დანიშვნის საფუძველი, ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები, საექსპერტო დაწესებულების დასახელება ან იმ პირის გვარი, რომელსაც დაევალა ექსპერტიზის ჩატარება.

დაცვის მხარეს უფლება აქვს კანონით (სსსკ-ის 46-ე მუხლი) დადგენილ ფარგლებში და დადგენილი წესით მოითხოვოს მისი ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯების სახელმწიფოს ხარჯზე ანაზღაურება.

ექსპერტს ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილებასთან ან მიმართვასთან ერთად უნდა გადაეცეს საექსპერტო კვლევის ობიექტი. საექსპერტო კვლევის ობიექტი შეიძლება იყოს ნივთიერი მტკიცებულება, გვამი, დოკუმენტი და ა. შ.

---

[39] Р.Х. Якуров, уголовный процесс, Москва, 1998, ст. 255.

საექსპერტო კვლევის ობიექტი ექსპერტს უნდა გადაეცეს შეფუთული და დალუქული სახით, რა თქმა უნდა თუ მისი მოცულობა თვისება ამის საშუალებას იძლევა.

საექსპერტო კვლევის ობიექტი შეიძლება დაიხარჯოს იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა საექსპერტო კვლევისათვის. თუ ექსპერტიზა დამთავრდება და დარჩება დაუხარჯავი ობიექტი, იგი შეფუთული და დალუქული სახით უნდა დაუბრუნდეს პირს ან ორგანოს, რომელმაც დანიშნა ექსპერტიზა. თუ საექსპერტო კვლევის ობიექტი ექსპერტიზის ჩატარებამდე ინახებოდა მხარესთან, იგი უკან უბრუნდება მას ექსპერტიზის დამთავრებისთანავე.

ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ ექსპერტი წერილობითი ფორმით იძლევა დასკვნას, რომელსაც ადასტურებს ხელმოწერით. ექსპერტის დასკვნის ფორმებს მიეკუთვნება: ექსპერტის კატეგორიული დასკვნა; ექსპერტის წინაშე დასმული საკითხების გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ დასკვნა; ექსპერტის სავარაუდო დასკვნა.

ექსპერტის კატეგორიული დასკვნის შემდეგი ფორმები არსებობს: კატეგორიული დადებითი დასკვნა; კატეგორიული უარყოფითი დასკვნა; დასკვნა ჯგუფური კუთვნილების შესახებ; პირობითი დასკვნა; ექსპერტის წინაშე დასმული საკითხების გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ დასკვნა; ექსპერტის სავარაუდო დასკვნა.

კატეგორიული დადებითი დასკვნაა, როდესაც ექსპერტი ადასტურებს კონკრეტული ფაქტის ან მოვლენის არსებობას. მაგალითად, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდი დატოვებულია ბაქრაძის მარჯვენა ხელის ცერი თითით.

კატეგორიული უარყოფითი დასკვნაა, როდესაც ექსპერტი არ ადასტურებს კონკრეტული ფაქტის ან მოვლენის არსებობას. მაგალითად, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი თითის ანაბეჭდი არ ემთხვევა ბაქრაძის ხელების რომელიმე თითის ანაბეჭდს.

ჯგუფური კუთვნილების დადგენის შესახებ დასკვნაა, როდესაც ექსპერტი საშუალებას იძლევა მივაკუთვნოთ გამოსაკვლევი ობიექტი გარკვეულ ჯგუფს, სისტემას, სახეს, ზომას. მაგალითად, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი ტყვია გასროლილია მაკაროვის სისტემის იარაღიდან.

პირობითი დასკვნაა, კატეგორიული დასკვნის ისეთი ფორმა, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული პირობების არსებობასთან. მაგალითად, კალაძეს შეეძლო საგზაო შემთხვევის აცდენა, თუ ავტომობილი მიდიოდა 60 კმ/სთ სიჩქარით და მას არ შეეძლო საგზაო შემთხვევის აცდენა, თუ ავტომობილი მიდიოდა 100 კმ/სთ სიჩქარით.

ექსპერტის წინაშე დასმული საკითხების გადაწყვეტის შეუძლებლობის შესახებ დასკვნაა, როდესაც ექსპერტს არ შეუძლია კონკრეტული ფაქტის ან მოვლენის დადასტურება.

ექსპერტის სავარაუდო დასკვნაა, დასკვნის ისეთი ფორმა, როდესაც ექსპერტი გამოთქვამს ვარაუდს ფაქტის ან მოვლენის არსებობის შესახებ. მაგალითად, კალაძეს ჯანმრთელობის დაზიანება მიყენებული აქვს მძიმე ბლაგვი საგნის დარტყმით.

როგორც ზემოთ ითქვა, ექსპერტი ადგენს დასკვნას ჩატარებული საექსპერტო გამოკვლევის თაობაზე. თუ რა შინაარსისა უნდა იყოს დასკვნა, ამაზე მიუთითებს საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახ-

მად, ექსპერტის დასკვნაში უნდა აღინიშნოს ექსპერტის ვინაობა (სახელი, გვარი, განათლება, სპეციალობა, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება, სამუშაო ადგილი და თანამდებობა), ის, რომ ექსპერტი გააფრთხილეს განზრახ არასწორი დასკვნის მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი, ვინ ესწრებოდა მას, რა მასალები გამოიყენა, რა საგანი, დოკუმენტი, ნიმუში ან სხვა ობიექტი გამოიკვლია, რა გამოკვლევა ჩაატარა და რა მეთოდები გამოიყენა ექსპერტმა, დასაბუთებული პასუხები დასმულ კითხვებზე, ექსპერტის ინიციატივით დადგენილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებანი.

ექსპერტის დასკვნას თან უნდა დაერთოს გამოკვლევის ჩატარების შემდეგ დარჩენილი ნივთები, ნიმუშები, ფოტოსურათები, სქემები და სხვა მასალები, რომლებიც ადასტურებს ექსპერტის დასკვნას.

როდესაც ექსპერტის დასკვნას მიიღებს ექსპერტიზის ინიციატორი მხარე, ის დაუყოვნებლივ გადაეცემა მეორე მხარეს, თუ იგი ამას მოითხოვს.

15.3. ნიმუშების აღება

ნიმუშების აღება ძირითადად ტარდება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იყოს ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარება. ნიმუშების აღების წესს აწესრიგებს საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლი. ნიმუშის აღება ტარდება მხარის მიერ. მხარეს უფლება აქვს, აიღოს ადამიანის, გვამის, ცხოველის, ნივთიერების, საგნის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის თვისებების ამსახველი ნიმუში.

თუ ნიმუშის აღებისათვის აუცილებელია ქირურგიული ან სამედიცინო საშუალებების გამოყენება, ნიმუშს იღებს ექსპერტი.

ნიმუშის აღება, რომელიც არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული.

ნიმუშების აღება ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნიმუშის აღება არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას და პირი უარს აცხადებს ნიმუშების ნებაყოფლობით აღებაზე ან პირს უნარი არ აქვს, გამოხატოს ნება მისგან ნიმუშების აღების შესახებ.

სასამართლო განჩინებით ჩასატარებელი ნიმუშების აღება შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც გამომძიებლის დადგენილებით, თუ არსებობს მისი ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა. ე.ი. ამ უფლებით ვერ სარგებლობს დაცვის მხარე, რაც გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსიდან.

გადაუდებელი აუცილებლობაა:

ა) როდესაც ნიმუშების აღების დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება;

ბ) როცა ნიმუშების აღების დაყოვნება შეუძლებელს გახდის გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვებას;

გ) როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების

ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად);

დ) როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ნიმუშების აღების დაწყებიდან 12 საათის განმავლობაში (ხოლო თუ ამ ვადის ამოწურვა არასამუშაო დროს ემთხვევა-ამ დროის გასვლიდან არაუგვიანეს 1 საათისა) პროკურორმა ნიმუშის აღების შესახებ უნდა შეატყობინოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით ან სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა საპროცესო მოქმედება, უნდა წარუდგინოს მას შუამდგომლობა ნიმუშის აღების კანონიერების შემოწმების შესახებ და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლების ასაბუთებს ამ საპროცესო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას.

მოსამართლე საქმის მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს პროკურორისა და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საპროცესო მოქმედება, ე.ი. შუამდგომლობის განხილვა დასაშვებია როგორც ზეპირი მოსმენით, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

მასალების განხილვის შემდეგ სასამართლო გამოაქვს ორიდან ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

ა) ჩატარებული ნიმუშების აღების კანონიერად ცნობის შესახებ;

ბ) ჩატარებული ნიმუშების აღების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

შუამდგომლობის საფუძველზე გამოტანილი სასამართლოს განჩინება საჩივრდება განჩინების აღსრულებიდან 48 საათის ვადაში.

ნიმუშის აღება, რომელიც ინვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული. ნიმუშის აღებაზე საჭიროა მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობა თუ პირს, რომლისგანაც ხდება ნიმუშის აღება 16 წელი არ შესრულებია ან თუ ის ფსიქიკურადაა დაავადებული. თუ ასეთი პირები უარს აცხადებენ ნიმუშის აღებაზე, ასეთი საპროცესო მოქმედების ჩატარება დაიშვება სასამართლოს განჩინებით.

ნიმუშების აღების შესახებ მხარე შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 48 საათისა. შუამდგომლობის განხილვის დრო და ადგილი ეცნობება მხარეებს. შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლო განჩინება არ გასაჩივრდება.

დაბოლოს, თუ როგორ უნდა მოხდეს ნიმუშის აღების შედეგის ფიქსაცია, ამაზე არაფერს ამბობს საპროცესო კანონმდებლობა. აქ შესაძლებელია განვიხილოთ ორი ვარიანტი. პირველი – იგი ჩაითვალოს საკანონმდებლო ხარვეზად და დროულად გამოსწორდეს. მეორე – გამოყენებული იქნეს საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება და ნიმუშების ფიქსაცია მოხდეს ოქმში.

15.4. მიყვანა

მხარე უფლებამოსილია დააყენოს შუამდგომლობა სასამართლო სხდომაზე თავისი მოწმის გამოძახების შესახებ. თუ ასეთი შუამდგომლობა დაკმაყოფილდება, სასამართლო იძახებს მოწმეს, რომელიც ვალდებულია გამოცხადდეს ზუსტად დანიშნულ დროს და ადგილას. გამოუცხადებლობის შემთხვევაში იგი შეიძლება იძულებით მიიყვანონ.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მიყვანა ატარებს საპროცესო სამართლებრივ იძულებით ხასიათს.

მიყვანის მიზანია უზრუნველყოფილ იქნეს საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში ან სასამართლო სხდომაში მოწმის მონაწილეობა, თუ იგი უარს ამბობს ნებაყოფლობით გამოცხადებაზე.

ექსპერტიზის ინიციატორი მხარე ვალდებულია უზრუნველყოს ბრალდებულის, დაზარალებულისა და მოწმის ექსპერტთან მიყვანა, თუ აუცილებელი გახდა მათი სხეულის ან ფსიქიკის გამოკვლევა ან თუ აუცილებლად იქნა მიჩნეული ექსპერტიზაზე აღნიშნულ პირთა დასწრება. თუ მიყვანა ნებაყოფლობით არ ხერხდება, მაშინ მისი მიყვანა უნდა მოხდეს იძულებით. ასეთ შემთხვევაში მხარე შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით იძულებით მიყვანის თაობაზე. შუამდგომლობა განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 48 საათისა. შუამდგომლობის განხილვის დრო და ადგილი ეცნობება მხარეებს. შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს განჩინება არ გასაჩივრდება. გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის მიყვანა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს განჩინებით.

ამრიგად, მიყვანა გამოიყენება სასამართლოში მოწმის სტატუსით დასაკითხად გამოძახებული პირის მიმართ.

მიყვანის შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იყოს: მისაყვანი პირის სახელი, გვარი, საპროცესო მდგომარეობა, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილი; მისი მიყვანის საფუძველი; როდის და სად უნდა მიიყვანონ პირი; ვის ევალება მისი მიყვანა.

მიყვანის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება გადაეცემა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოს.

როდესაც მისაყვან პირს აღმოაჩენენ, უფლებამოსილი თანამდებობის პირი მას ხელწერილით აცნობებს სასამართლოს განჩინებას მიყვანის შესახებ და მიჰყავს განჩინებაში მითითებულ ორგანოში (პირთან). ამასთანავე, განჩინებაზე უნდა გაკეთდეს ჩანაწერი პირის აღმოჩენის დროისა და ადგილის, მიყვანის დროს, აგრეთვე მიყვანასთან დაკავშირებით მისი განცხადებისა და საჩივრების შესახებ.

მიყვანის შესახებ გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს გონივრულ ვადაში.

თუ უფლებამოსილი თანამდებობის პირი დაადგენს, რომ პირის მიყვანა შეუძლებელია, იგი მიყვანის შესახებ გადაწყვეტილებაზე წერილობით მიუთითებს ამის მიზეზებს და გადაწყვეტილებას აღსრულების გარეშე უბრუნებს მიყვანის ინიციატორს.

ამრიგად, მიყვანა ატარებს საპროცესო სამართლებრივ იძულებით ხასიათს, რომელიც ხორციელდება მხარის შუამდგომლობით სასამართლოს განჩინების საფუძველზე მოწმის სტატუსით სასამართლოში დასაკითხი პირის მიმართ მიმართ.

15.5. ქონებაზე ყადაღის დადება

ქონებაზე ყადაღა წარმოადგენს სისხლის საპროცესო იძულების ღონისძიებას, რომელიც სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად.

ქონებაზე ყადაღის დადება ვრცელდება ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებაზე.

ამრიგად, ყადაღა შეიძლება დაედოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს.

ქონებაზე ყადაღის დადება მიზნად ისახავს უზრუნველყოფილ იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენება-ქონების შესაძლო ჩამორთმევა.

ქონებაზე ყადაღის დადება შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის მონაცემები, რომ:

ა) ქონებას გადამალავენ;

ბ) ქონებას დახარჯავენ;

გ) ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.

ყადაღა შეიძლება აგრეთვე დაედოს საბანკო ანგარიშებს. საპროცესო კოდექსი უშვებს სასამართლოს მიერ ეკვივალენტური ღირებულების ქონების დაყადაღების შესაძლებლობასაც. საპროცესო კოდექსის შესაბამისად, თუ არსებობს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ ამ ქონების მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლოს უფლება აქვს დააყადაღოს ამ ქონების ექვივალენტური ღირებულების ქონება.

თუ ბრალდებული თანამდებობის პირია, პროკურორი ვალდებულია სასამართლოს წინაშე დააყენოს შუამდგომლობა:

ა) თანამდებობის პირის ქონებაზე, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების თაობაზე;

ბ) თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს სახელით დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეჩერების თაობაზე;

გ) სარჩელის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

ქონებაზე ყადაღის დადება ასევე გამოიყენება სსკ 323-ე—330-ე და 331[1]-ე მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაულის ან სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისას, აგრეთვე მათი აღკვეთის უზრუნველსაყოფად, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ეს ქონება გამოყენებული იქნება დანაშაულის ჩასადენად.

სასამართლოს შეუძლია ასევე ყადაღა დაადოს ქონებას, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ეს კორუფციული, რეკეტული ან ქურდული სამყაროს წევრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონებაა ან/და ამ ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული ან/და იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.

ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის დებულებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საპროცესო კოდექსს.

ქონებაზე ყადაღის დადებისას მესაკუთრეს უფლებამოსილება ეზღუდება, სახელდობრ, ქონებაზე ყადაღის დადება მესაკუთრეს ან მფლობელს უკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — აგრეთვე ქონებით სარგებლობას.

საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლი ასახელებს ქონებას, რომელზეც ყადაღის დადება არ შეიძლება. ასეთი ქონებაა პირისათვის საჭირო კვების პროდუქტები, სათბობი, პროფესიული საქმიანობის ინვენტარი და სხვა საგნები, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს.

ყადაღის დადების საფუძველია მხარის შუამდგომლობა. მხარე ადგენს და გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს უგზავნის დასაბუთებულ შუამდგომლობას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციას.

მოსამართლე შუამდგომლობისა და მისი განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის შესვლიდან არა უგვიანეს 48 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. თუმცა მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს შუამდგომლობის დამყენებელი მხარის მონაწილეობით. ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება. მოცემულ საკითხზე მიღებული სასამართლოს განჩინება არ გასაჩივრდება.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონებას გადამალავენ ან გაანადგურებენ, პროკურორს უფლება აქვს, გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

ამრიგად, გადაუდებელი აუცილებლობისას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დადგენილების გამოტანის უფლებით სარგებლობს მხოლოდ პროკურორი. ამ უფლებით არ სარგებლობს სხვა არც ერთი პროცესის მონაწილე. მოცემულ დებულებაში პროკურორის ცნების ქვეშ იგულისხმება ის პროკურორი, რომელიც საპროცესო ხელმძღვანელობას უწევს გამომძიებელს ან საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის ზემდგომი პროკურორი.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დადგენილების აღსრულებიდან 12 საათის განმავლობაში, ხოლო თუ ამ ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო დროს, მაშინ ამ დროის გასვლიდან არა უგვიანეს 1 საათისა, პროკურორმა ყადაღის დადების თაობაზე უნდა შეატყობინოს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს ან იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა საპროცესო მოქმედება, უნდა წარუდგინოს შუამდგომლობა ყადაღის კანონიერების შემოწმების შესახებ და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები ან მათი ასლები, რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. სასამართლო მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს პროკურორის და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება.

სასამართლოს განჩინება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გადაეცემა გასაჩივრების უფლების მქონე პირს განჩინების გამოცემიდან 48 საათის განმავლობაში და საჩივრდება კანონით დაგენილი წესით. განჩინების გასაჩივრების სუბ-

იქტებია: პროკურორი, ბრალდებული, პირი რომლის ქონებრივი უფლებები შეიძლება დაირღვეს განჩინების შედეგად და ადვოკატი. განჩინების გასაჩივრების ვადა აითვლება უფლებამოსილი პირისათვის მისი გადაცემის მომენტიდან.

თუ ქონების დაყადაღების შესახებ იმ პირისათვის გასაჩივრების ვადაში არ გახდა ცნობილი, რომელსაც ეხება ქონების დაყადაღება, მაშინ ეს ვადა სასამართლომ შეიძლება აღადგინოს საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ გამოიწვევს ბრალდებულის უფლებებისა და გარანტიების არამართლზომიერ შეზღუდვას. ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვადის გამცდენ პირს.

ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინების (დადგენილების) აღსრულების წესი მოცემულია საპროცესო კოდექსის 157-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად, მხარე სასამართლოს განჩინებას, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – პროკურორის დადგენილებას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ წარუდგენს იმ პირს, რომელთანაც არის ქონება, და მოითხოვს ამ ქონების გადმოცემას. თუ ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარი ითქვა ან არსებობს სარწმუნო მონაცემები, რომ მთელი ქონება არ გადმოცემულა, ტარდება ჩხრეკა ამ კოდექსით დადგენილი წესით.

ყადაღის დადებისას განისაზღვრება, რა საგანსა და ფასეულობას უნდა დაედოს ყადაღა განჩინებაში (დადგენილებაში) აღნიშნული თანხის ფარგლებში.

ქონებაზე ყადაღის დადებაში შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს ექსპერტმა, რომელიც განსაზღვრავს ქონების ღირებულებას.

დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა და იმ ქონების ღირებულება, რომელსაც ყადაღა ედება, განისაზღვრება საშუალო საბაზრო ფასებით.

ფულად ანაბარზე ყადაღის დადებისას წყდება საანაბრო ოპერაციები. თუ საკუთრება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით არის შეძენილი ან გაზრდილი, ყადაღა შეიძლება დაედოს მთელ ქონებას ან მის მეტ წილს. ყადაღა ედება ბრალდებულის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის, დაკავშირებული პირის ან/და რეკეტული დაჯგუფების ქონებას (მათ შორის, იურიდიული პირისა და მისი შვილობილი კომპანიების ქონებას), მიუხედავად ბრალდებულის წილისა ამ ქონებაში, თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ ეს ქონება ან მისი ნაწილი რეკეტულია.

ქონებაზე ყადაღის დადება ფიქსირდება ქონებაზე ყადაღის დადების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს მასში მონაწილე ყველა პირი.

ყადაღადადებული ქონება, გარდა უძრავი და დიდგაბარიტიანი საგნებისა, ამოღებულ უნდა იქნეს.

ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინების მოქმედების ორი ვადაა დაწესებული. სახელდობრ, ქონებას ყადაღა დაედება:

ა) განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე;

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე.

15.6. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება

ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება წარმოადგენს საპროცესო მოქმედების ერთ-ერთ სახეს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ

ბრალდებულს გადააყენებენ თანამდებობიდან (სამუშაოდან) ვიდრე სისხლის სამართლის საქმეზე არ მიიღება უკანასკნელი გადაწყვეტილება.

ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული ან თანამდებობაზე (სამუშაოზე) დარჩენით:

ა) ხელს შეუშლის გამოძიებას;

ბ) ხელს შეუშლის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას;

გ) განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას.

ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელსაც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გამოაქვს განჩინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ.

ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ განჩინებაში მითითებული უნდა იყოს: თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადასაყენებელი პირის ვინაობა, მისი თანამდებობა (სამუშაო ადგილი), თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების საფუძველი, ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების მოთხოვნა, რომელიც დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელს ეგზავნება.

სასამართლოს განჩინება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ სავალდებულოა შესაბამისი დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის. იგი ვალდებულია სასამართლოს განჩინება შემოსვლისთანავე, დაუყოვნებლივ აღასრულოს და ეს შეატყობინოს შესაბამის სასამართლოს.

მოსამართლეს უფლება აქვს, გამოიტანოს განჩინება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ.

სასამართლოს განჩინება ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების ან გადაყენებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში პროკურორის ან ბრალდებულის მიერ.

საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლით მოწესრიგებულია ზოგიერთი პირის თანამდებობიდან გადაყენების (თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელების) წესი. ამ მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატების, საქართველოს სახალხო დამცველის, მოსამართლის, გენერალური აუდიტორის თანამდებობიდან გადაყენების (თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელების) საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოთ ჩამოთვლილ პირთა თანამდებობიდან გადაყენების (თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისგან ჩამოცილების) მოთხოვნით მიმართვის უფლება აქვს საქართველოს მთავარ პროკურორს.

15.7. ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერება

საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერება არის საპროცესო მოქმედება, რომელიც ვრცელდება ბრალდებულზე, ძებნილ ბრალდებულზე, მსჯავრდებულზე და ძებნილ მსჯავრდებულზე.

ბრალდებულს ან მსჯავრდებულს საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედება შეუჩერდება თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ აღნიშნული პასპორტის გამოყენებით იგი შეძლებს:

ა) საქართველოდან გასვლას;

ბ) საზღვარგარეთ გადაადგილებას.

ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელსაც საკმარისი საფუძველის არსებობისას გამოაქვს განჩინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს განჩინება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრდეს.

საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების შესახებ სასამართლოს განჩინებაში უნდა აღინიშნოს: განჩინების შედგენის თარიღი და ადგილი; რომელი თანამდებობის პირი ან ორგანოა უფლებამოსილი, აღასრულოს განჩინება; პასპორტის მფლობელის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი; პასპორტის ნომერი, პასპორტის გამცემი ორგანო და პასპორტის გაცემის თარიღი.

საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერება გულისხმობს ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოდან გასვლის ან საზღვარგარეთ გადაადგილების უფლების შეზღუდვას. საქართველოს მოქალაქის პასპორტი ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი, რომლის მოქმედებაც შეჩერდა, არ შეიძლება გამოყენებულ (მიღებულ) იქნეს, როგორც საქართველოდან გასვლისათვის ან საზღვარგარეთ გადაადგილებისათვის საკმარისი (საჭირო) დოკუმენტი.

საპროცესო კოდექსის 165-ე მუხლი ითვალისწინებს ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების ვადას. მოცემული მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედება შეჩერდება განაჩენის აღსრულებამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე. ჩვენი აზრით, აქაც დაშვებულია საკანონმდებლო ხარვეზი. საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერება პირველ შემთხვევაში უნდა მოხდეს არა განაჩენის აღსრულებამდე, არამედ სასჯელის სრულ მოხდამდე. მსჯავრდებულმა თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს საქართველოს მოქალაქის პასპორტი საქართველოდან გასვლისათვის ან საზღვარგარეთ გადასაადგ-

ილებლად, ამაზე ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. მოცემული ხარვეზიც დროულად უნდა აღმოიფხვრას.

ბრალდებულისათვის (ძებნილი ბრალდებულისათვის), მსჯავრდებულისათვის (ძებნილი მსჯავრდებულისათვის), საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედება შეჩერდება:

1) სასჯელის სრულ მოხდამდე;

2) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე.

პროკურორი უფლებამოსილია ზემოთ მითითებულ ვადაზე ადრე, ნებისმიერ დროს გამოიტანოს დადგენილება საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების გაუქმების შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს.

პირს, რომლის საქართველოს მოქალაქის პასპორტის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედებაც შეჩერდა, უფლება აქვს, აცნობოს სახელმწიფო სერვისის განვითარების სააგენტოს აღნიშნული პასპორტის მოქმედების შეჩერების გაუქმების შესახებ.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ სხვა საპროცესო მოქმედებების ცნება და სახეები;
2) ჩამოაყალიბეთ ექსპერტიზის ცნება, ჩატარების საფუძველი და წესი;
3) ჩამოაყალიბეთ ექსპერტის დასკვნის სახეები და შინაარსი;
4) ჩამოაყალიბეთ ნიმუშის აღების ცნება, ჩატარების საფუძველი და წესი;
5) ჩამოაყალიბეთ მოყვანის ცნება, საფუძველი და ჩატარების წესი;
6) ჩამოაყალიბეთ ქონებაზე ყადაღის დადების ცნება, საფუძველი და ჩატარების წესი;
7) ჩამოაყალიბეთ ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების ცნება, საფუძველი და ჩატარების წესი;
8) ჩამოაყალიბეთ ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერების ცნება, საფუძველი და ჩატარების წესი.

თავი 16. სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი, დაკავება, ბრალდებულად ცნობა

16.1. სისხლისსამართლებრივი დევნა

სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება სრულიად განსხვავებული ცნებებია. გამოძიების საფუძველია ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის შესახებ, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველია პირის დაკავება ან ბრალდების წაყენება. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ავტომატურად არ ნიშნავს გამოძიების შეწყვეტას, ხოლო გამოძიების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა. მოცემულ საკითხზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი პროცესის მონაწილეების განხილვისას და ამაზე აქ აღარ გავამახვილებთ ყურადღებას.

სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ).

გამოძიების მსვლელობისას ხშირია შემთხვევები, როდესაც გარდაუვალია სისხლის სამართლის საქმის მოძრაობის შეჩერება, რომელსაც სამართლებრივ ენაზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება ჰქვია.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების არსი სისხლის სამართლის საქმის მოძრაობის დროებით გაჩერებაში მდგომარეობს.

რუსი პროფესორი რ. იაკუპოვი სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებას ტრადიციულად "სისხლის სამართლის საქმეზე შესვენებას" უწოდებს[40]. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების ინსტიტუტს გამომძიებელი მოცემულ საქმეზე გადაჰყავს პასიურ მდგომარეობაში, უმოქმედობაში. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შემდეგ უპირველესად საგამოძიებო მოქმედებების შემდგომი ჩატარება წყდება. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება არ უნდა იყოს გაგებული გამოძიების შესვენების პასიურ პერიოდად. ამ დროს შეიძლება დაისვას საკითხი პირისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის ან უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ, გამოთხოვილ იქნეს თანხმობა კანონით გათვალისწინებული პირებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე და სხვა.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება არ ნიშნავს მის დამთავრებას. იგი განსხვავდება დამთავრებისაგან, როგორც თავისი არსით, ისე სამართლებრივი შედეგებით, რომლის არსში მოცემული თემის სრული განხილვის შემდეგ გავერკვევით. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება საქმის წარმოების დროებით შეჩერებაა.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების აუცილებელი პირობაა დადგენილ იქნეს ქმედება, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. თუ გამოსაკვლევი ქმედება დადგენილი არ არის ან მოკლებულია მართლსანინააღმდეგო ხასიათს, სისხლისსამართლებრივი დევნა და წინასწარი გამოძიება წყდება.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი არის იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც აჩერებს სისხლის სამართლის საქმის მოძრაობას.

---

[40] Р.Х. Якуров, уголовный рроцесс, Москва, 1998, ст. 272.

საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და სასამართლო განხილვა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეჩერდეს:

ა) თუ საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თანხმობა არ მისცა სახელმწიფო ინსპექტორის, გენერალური აუდიტორის, მოსამართლის იმ ვადით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

ბ) თუ დაისვა უცხოელისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის საკითხი — საკითხის დასმის დღიდან მის ოფიციალურად გადაწყვეტამდე;

გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 ან/და 143^2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ — მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში;

დ) თუ კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე სასამართლომ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს — მიმართვის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების ეს საფუძვლები ამომწურავია და მისი ხელოვნურად გაზრდა-გაფართოება დაუშვებელია. სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერებისათვის საკმარისია ერთ-ერთი საფუძვლის არსებობა. რაიმე სხვა საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება დაუშვებელია.

სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება შეჩერდეს გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლო განხილვის სტადიაზე.

ზემოთ მითითებული რომელიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში გამოძიებისას პროკურორი, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას – სასამართლო მხარის შუამდგომლობით იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სასამართლო განხილვის შეჩერების შესახებ.

გამოძიების სტადიაზე თუ აღარ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძველი სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს. თუ ეს გარემოება გამოვლინდება სასამართლო განხილვის სტადიაზე, სასამართლოში სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს.

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საპროცესო კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებულ წესს განსაზღვრავს შემდეგი პირების მიმართ:

ა) საქართველოს პრეზიდენტის;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრის;

გ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის;

დ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის;

ე) საქართველოს საერთო სასამართლოს სხვა მოსამართლის;

ვ) გენერალური აუდიტორის;

ზ) საქართველოს სახალხო დამცველის;

თ) სახელმწიფო ინსპექტორის;

ი) დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის;

კ) აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იმ წარმომადგენლის, რომელიც თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას სისხ-

ლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად სარგებლობს იმუნიტეტით.

დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარს პროკურორი აფორმებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებით, რომლის გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია კონსულტაცია გაიაროს დაზარალებულთან და შეადგინოს ოქმი კანონით დადგენილი წესით, ხოლო დადგენილების გამოტანის შემთხვევაში გაუგზავნოს მისი ასლი დაზარალებულს დადგენილების გამოტანიდან 1 კვირის ვადაში.

დაზარალებულს უფლება აქვს, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული; ან

ბ) დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა.

ამ შემთხვევაში, თუ ზემდგომი პროკურორი არ დააკმაყოფილებს საჩივარს, დაზარალებულს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. სასამართლოს განჩინება გამოაქვს 15 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

თუ ზემდგომმა პროკურორმა ან სასამართლომ გააუქმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილება და არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს. ამ შემთხვევაში საქართველოს მთავარი პროკურორი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სხვა საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს. მითითებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობება დაზარალებულს.

პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ფაქტზე, თუ პირი (განრიდების სუბიექტი) შეასრულებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთს ან რამდენიმეს:

ა.) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება;

ბ.) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსათვის გადაცემა;

გ.) მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება;

დ.) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი;

ე.) საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე;

ვ) ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში-ძალადობრივი დამოკიდებულებისა ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა.

ჩგანრიდება არ გამოიყენება პირის მიმართ, თუ მას ჩადენილი აქვს ადამიანით ვაჭრობა (143[1]-ე მ.); არასრულწლოვნით ვაჭრობა (143[2]-ე მ.); ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა (143[3]-ე მ.); მძევლად ხელში ჩაგდება (144-ე მ.); წამება (144[1]-ე მ.); წამების მუქარა (144[2]-ე მ.); დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (144[3]-ე მ.); აგრეთვე სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრული დანაშაულებიდან ერთი მაინც.

თუ პირი (განრიდების სუბიექტი) არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს, დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

ჩგანრიდების გამოყენების წესი განსაზღვრულია კოდექსის 168[2]-ე მუხლით, რომლის თანახმად, პირისათვის (განრიდების სუბიექტისათვის) განრიდების შეთავაზება ხორციელდება წერილობითი ფორმით, რომელშიც მოცემულია განრიდების პირობები, მათი შესრულების დრო, ადგილი და საშუალება.

პირს (განრიდების სუბიექტს) წერილობით განემარტება რომ განრიდების პირობების შესრულება ნებაყოფლობითია და ის სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით.

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი კონსულტაციას გადის დაზარალებულთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ჩგანრიდება, როგორც წესი, გამოიყენება წინასასამართლო სხდომის გამართვამდე, თუმცა მისი გამოყენება შეიძლება წინასასამართლო სხდომის შემდეგაც, თუ მხარეები განრიდების გამოყენების მიზნით სასამართლოს მიმართავენ შუამდგომლობით საქმის პროკურორისათვის დაბრუნების თაობაზე. სასამართლო, ასეთ შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას საქმის პროკურორისათვის დაბრუნების თაობაზე ან ან უარს აცხადებს მასზე. შაქმის პროკურორისათვის დაბრუნების შემდეგ, იგი ბრალდებულს შესთავაზებს განრიდებას.

ჩგანრიდება არ გამოიყენება იმ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც აღკვეთის ღონისზიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.

ჩგანრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ხელმძღვანელობს საპროცესო კოდექსითა და სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით.

16.2. პირის ბრალდებულად ცნობა

საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.

უსაფუძვლოდ ბრალდებულად ცნობა უკანონოა, რომელიც უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს და იწვევს მკაცრ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლით იმ თანამდებობის პირის მიმართ, ვინც ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს. ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შემდეგ მტკიცებულებათა შეკრების პროცესი კვლავ გრძელდება, ამიტომ საქმე ჯერ დამთავრებულად არ შეიძლება ჩაითვალოს და პირს დამნაშავე ეწოდოს.

ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. სწორედ ამ მომენტიდან ითვლება პირი ბრალდებულად. და იძენს ბრალდებულის საპროცესო სტატუსს.

ამრიგად, ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანის უფლებით აღჭურვილია მხოლოდ პროკურორი. პირი ბრალდებულად ითვლება მხოლოდ ასეთი დადგენილების გამოტანის შემდეგ.

პირის ბრალდებულად ცნობა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანა, ბრალდების წაყენება, ანუ ბრალდებულისათვის ბრალდების შესახებ დადგენილების შინაარსის გაცნობა, ბრალდებულისათვის ბრალდების შესახებ დადგენილების ასლის გადაცემა და ბრალდებულისათვის უფლება-მოვალეობათა განმარტება.

დადგენილების გამოტანის შემდეგ პროკურორი განსაზღვრავს ბრალის წაყენების დროსა და ადგილს. ბრალი წაყენებულ უნდა იქნეს დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს 24 საათისა.

ბრალდების შესახებ დადგენილება შედგება შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. ბრალდების შესახებ დადგენილების შინაარსს ადგენს საპროცესო კანონმდებლობა. ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს:

ა) ბრალდებულის სახელი და გვარი, მამის სახელი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი, პირადი ნომერი;

ბ) ბრალდების ფორმულირება — ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

გ) გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა;

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული.

თუ ჩადენილია რამდენიმე დანაშაული, ცალ-ცალკე უნდა იყოს მითითებული თითოეული ამ დანაშაულის კვალიფიკაცია.

დადგენილების შესავალი და აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილის შემდეგ მოდის სარეზოლუციო ნაწილი, რომელიც უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილებას პირის ბრალდების თაობაზე.

დადგენილების შინაარსის გაცნობამდე უნდა მოხდეს ბრალდებულის დაბარება უწყებით (ფოსტით, კურიერის ან სხვა პირის მეშვეობით), ან სხვა საშუალებით (სატელეფონო შეტყობინებით). პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი ბრალდების შესახებ დადგენილებას გააცნობს ბრალდებულსა და მის ადვოკატს (თუ ბრალდებულის ინტერესებს ადვოკატი იცავს), რომლებიც ხელმოწერით ადასტურებენ დადგენილების გაცნობისა და მისი მიღების ფაქტს. დადგენილების ასლი ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხით გადაეცემა ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს. თუ ბრალდებული ან მისი ადვოკატი უარს ამბობს დადგენილების გაცნობისა და მისი ასლის მიღების ფაქტის ხელმოწერით დადასტურებაზე, დადგენილებზე აღინიშნება ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი. მაგალითად, „ბრალდებულმა (ადვოკატმა) უარი განაცხადა ბრალდების შესახებ დადგენილების გაცნობასა და მისი ასლის მიღებაზე და აღნიშნა ხელმოწერაზე უარის თქმის შემდეგი მიზეზი...“.

თუ ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მას ან მის ახლო ნათესავს ეძლევა გონივრული ვადა ადვოკატის ასაყვანად. თუ იგი ამ ვადაში არ აიყვანს ადვოკატს, ბრალდებულს ადვოკატი დაენიშნება სავალდებულო წესით. პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი ბრალის წასაყენებლად იძახებს ბრალდებულის ადვოკატს და გააცნობს ბრალდების შესახებ დადგენილებას, რაც ჩაითვლება ბრალის წაყენებად. ბრალდებულის ადვოკატი წერილობით ადასტურებს ბრალდების გაცნობის ფაქტს, ხოლო ბრალდებულის მიმართ პროკურორმა უნდა გამოაცხადოს ძებნა.

არაა აუცილებელი გამოძიება დასრულდეს იმავე ბრალდებით, რომლითაც თავდაპირველად იქნა წაყენებული. გამოძიების პროცესში შეძლება გამოვლინდეს ბრალდების შეცვლის საფუძველი. ასეთ შემთხვევაში პროკურორს გამოაქვს ახალი დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. ახალ დადგენილებაში ბრალდების შესახებ სავალდებულოა იმის მითითება, რომ გაუქმებულია თავდაპირველი გადაწყვეტილება ბრალდების შესახებ. ბრალდების შეცვლის შემდეგი ვარიანტები შეიძლება შეგვხვდეს პრაქტიკაში:

ა) ბრალდების შეცვლა უფრო მძიმე ბრალდებით; მაგალითად, პირს ბრალად ედებოდა ძარცვის ჩადენა და საქმეზე შეკრებილმა მტკიცებულებებმა ცხადყო, რომ ჩადენილია ყაჩაღობა; ან ძარცვასთან ერთად პირი იმხილება სხვა დანაშაულის ჩადენაში;

ბ) ბრალდების შეცვლა უფრო მსუბუქი ბრალდებით; მაგალითად, პირს ბრალად ედებოდა განზრახ მკვლელობის ჩადენა და საქმეზე შეკრებილმა მტკიცებულებებმა ცხადყო, რომ ჩადენილია მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, ან პირს ბრალად ედებოდა დანაშაულის იდეალური ერთობლიობის ჩადენა და ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენა გამოირიცხა.

პროკურორი შეცვლის რა ბრალდებას, შეიძლება სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტოს ბრალდების ამა თუ იმ ნაწილში.

კანონით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის განსაკუთრებული წესია დადგენილი. ასეთ პირთა პასუხისგებაში მიცემისათვის საჭიროა სხვადასხვა ორგანოებიდან ან თანამდებობის პირებიდან მიღებულ იქნეს თანხმობა. კერძოდ:

ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის თანხმობა;

ბ) სახელმწიფო ინსპექტორისა და გენერალური აუდიტორის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობა;

გ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრისა და საქართველოს საერთო სასამართლოს სხვა მოსამართლის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობა.

დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არა უმეტეს 9 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წაუყენებიათ ახალი ბრალი. კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, თუ ახალი ბრალდება არ იქნა წაყენებული აღნიშნული ვადის გასვლისთანავე წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ და გამორიცხავს მომავალში მისთვის იმავე ბრალის წაყენებას.

პირს უფლება აქვს, ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში, საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით შეიტანოს სისხლისსა-

მართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივარი. საჩივარი შეიტანება ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. საჩივარი განიხილება მისი შესვლიდან 3 დღე-ღამის ვადაში. სასამართლო უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. საჩივრის დაკმაყოფილება არის ამ პირის მიმართ აღნიშნულ ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი, რომელიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს, მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი. სასამართლოს განჩინება მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში გასაჩივრდეს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

16.3. დაკავება

დაკავება თავისი არსით წარმოადგენს კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლების ხელშეუვალობის შეზღუდვას. დაკავება არის საპროცესო მოქმედება, რომელიც ხასიათდება თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთით და გამოიყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ:

ა) პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;

ბ) პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში;

გ) პირი გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას;

დ) პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

თუ არსებობს დაკავების საფუძველი, პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით პირის დაკავების თაობაზე განჩინების მისაღებად. სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე და გამოიტანს განჩინებას პირის დაკავების თაობაზე, რომელიც არ გასაჩივრდება.

პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად.

ამრიგად, პირმა ბრალდებულის საპროცესო სტატუსი შეიძლება შეიძინოს ორგვარად: ან ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანით, ან დაკავებით.

პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე შესაძლებელია, თუ:

ა) პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე;

ბ) პირი დაინახეს დანაშაულის ჩადენის ადგილას და მის მიმართ დაუყოვნებლივ ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი დაკავების მიზნით;

გ) პირზე, მასთან ან მის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი;

დ) პირი დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ იგი თვითმხილველმა ამოიცნო;

ე) პირი შესაძლოა მიიმალოს;

ვ) პირი ძებნილია.

პირი ძებნილად ითვლება მას შემდეგ, როდესაც პროკურორი გამოიტანს დადგენილებას ბრალდებულის (მსჯავრდებულის) ძებნის შესახებ, ან გამამტყუნებელი განაჩენის დამდგენი პირველი ინსტანციის სასამართლო გამოიტანს განჩინებას პოლიციის ორგანოების მეშვეობით მსჯავრდებულის ძებნისა და მოყვანის შესახებ.

პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა, ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა.

საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლში ჩამოთვლილია ის პირები, რომლებსაც აქვთ დაკავების უფლება. დაკავების უფლება აქვს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს იმ თანამშრომელს, რომელიც:

ა) ასრულებს ოპერატიულ ფუნქციებს;

ბ) ასრულებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას;

გ) აწარმოებს გამოძიებას;

დ) ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას.

ჩამოთვლილ პირთა დაკავების უფლება ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მათ არ აკისრიათ ასეთი ვალდებულება. პირს, რომელსაც აქვს დაკავების უფლება და პროფესიული ფუნქციის შესრულებისას აღმოაჩენს დაკავების საფუძველს, მისი დაკავების კანონით მინიჭებული უფლება გადაიქცევა დაკავების ვალდებულებად. თუ დაკავებას ახორციელებს მოქალაქე (კერძო პირი), იგი სარგებლობს დამნაშავის შეპყრობის უფლებით, რა დროსაც უნდა დაიცვას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული დამნაშავის შეპყრობის მართლზომიერების პირობები.

საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლი ადგენს იმ პირთა წრეს, რომლებიც სარგებლობენ იმუნიტეტით დაკავებისას. არ შეიძლება დაკავებულ იქნენ:

ა) დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები;

ბ) საქართველოს პრეზიდენტი;

გ) საქართველოს პარლამენტის წევრი;

დ) გენერალური აუდიტორი;

ე) საქართველოს სახალხო დამცველი;

ვ) მოსამართლე;

ზ) სახელმწიფო ინსპექტორი.

ჩამოთვლილ პირთაგან შეზღუდული იმუნიტეტით სარგებლობენ საქართველოს პარლამენტის წევრი, გენერალური აუდიტორი, საქართველოს სახალხო დამცველი, მოსამართლე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, ხოლო შეუზღუდავი იმუნიტეტით საქართველოს პრეზიდენტი, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები (შეუზღუდავი იმუნიტეტი).

აქედან გამომდინარე, არცერთი საფუძვლით არ შეიძლება დაკავებულ იქნენ:

ა) დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი და მისი ოჯახის წევრები;

ბ) საქართველოს პრეზიდენტი.

დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე დაკავება გამოიყენება:

ა) საქართველოს პარლამენტის წევრის;

ბ) გენერალური აუდიტორის;

გ) საქართველოს სახალხო დამცველის;

დ) მოსამართლის;

ე) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის.

დაკავების წესი ჩამოყალიბებულია საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად, თუ არსებობს დაკავების საფუძველი, დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს გასაგები ფორმით შეატყობინოს ეს, განუმარტოს:

ა) რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული;

_ბ) აცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე;

გ) დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება;

დ) უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული:

ე) რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში.

ყველა ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა გააკეთა მისი უფლებების შესახებ განმარტების მიღებამდე, დაუშვებელი მტკიცებულებაა.

კანონი არ ლაპარაკობს დაკავებულისათვის უფლებათა განმარტების რაიმე სპეციფიკურ საპროცესო ფორმაზე. მასში მითითებულია მხოლოდ, რომ ამ უფლებათა განმარტება მოხდეს „გასაგები ფორმით". ასეთი განმარტების მიცემა დაკავებისას, როგორც წესი, დაკავების ადგილზე ზეპირი წესით ხდება. შემდგომში ეს უფლებები წერილობითი ფორმით აისახება დაკავების ოქმში.

დამკავებელმა მოხელემ დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში.

დამკავებელ მოხელეს უფლება აქვს, ჩაატაროს პირადი ჩხრეკა სასამართლოს განჩინების და დადგენილების გარეშე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან/და აპირებს თავიდან მოიშოროს, დააზიანოს ან გაანადგუროს მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საგანი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რაც აღინიშნება დაკავების ოქმში. ამ შემთხვევაში ოქმი პირადი ჩხრეკის თაობაზე არ დგება, მაგრამ მისი ჩატარების კანონიერებას ამოწმებს სასამართლო, კანონით დადგენილი წესით.

დაკავების ადგილას მიყვანისთანავე დაკავებულის ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის დასადგენად უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ და უნდა შედგეს სათანადო ცნობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამას მოითხოვს დაკავებული.

დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში დაკავებულს დადგენილება არ გადაეცა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

დაკავების ვადა, ანუ შეპყრობის (ფაქტობრივად დაკავების) მომენტიდან აღრიცხული დრო ითვლება ბრალდებულის პატიმრობის ვადაში. ჩვენი აზრით, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაკავების ვადა ითვლება განაჩენით დანიშნული სასჯელის (თავისუფლების აღკვეთის) მოხდის ვადაში.

დაკავება ფორმდება დაკავების ოქმით. ოქმი უნდა შეადგინოს დამკავებელმა მოხელემ დაკავებისთანავე, დაუყოვნებლივ. თუ დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე ობიექტური მიზეზით (მიზეზებით) შეუძლებელია, იგი უნდა შედგეს დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე.

დაკავების ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ვინ, სად, როდის, რა ვითარებაში, რომელ საფუძველზეა დაკავებული;

ბ) დაკავებულის ფიზიკური მდგომარეობა დაკავების მომენტში;

გ) რომელი დანაშაულის ჩადენაშია დაკავებული პირი ბრალდებული;

დ) პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში დაკავებული პირის მიყვანის ზუსტი დრო;

ე) საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხა;

ვ) შესაბამის შემთხვევაში ის ობიექტური მიზეზი (მიზეზები), რომლის (რომელთა) არსებობის გამოც შეუძლებელი იყო დაკავების ოქმის შედგენა დაკავებისთანავე (თუ დაკავების ოქმი შედგა არა დაკავების ადგილზე, არამედ დაკავებულის პოლიციის (ან სხვა) დაწესებულებაში მიყვანის შემდეგ).

დაკავების ოქმს ხელს აწერენ: თანამდებობის პირი, რომელმაც პირი დააკავა, დაკავებული და მისი ადვოკატი (მისი ყოფნის შემთხვევაში). ბრალდებულის პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე ოქმს ხელს აწერს პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს უფლებამოსილი პირი. დაკავებულს გადაეცემა დაკავების ოქმის ასლი. ოქმის ასლის ჩაბარების დასადასტურებლად დაკავებულმა პირმა უნდა მოაწეროს ხელი დაკავების ოქმის შესაბამის გრაფაში. ოქმზე ხელმოწერა და მისი ასლის ჩაბარება დაკავებულის უფლებაა და არა ვალდებულება. მან შეიძლება ხელი არ მოაწეროს ოქმს. ასეთ შემთხვევაში დამკავებელი თანამდებობის პირი აკეთებს ოქმზე შესაბამის აღნიშვნას, მაგალითად: „დაკავებულმა უარი განაცხადა ოქმის ხელმოწერაზე". ამავე დროს, დაკავებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, განმარტოს ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი. თუ დაკავებისას ჩატარდა პირის პირადი ჩხრეკა, ამ საგამოძიებო მოქმედების თაობაზე ცალკე ოქმი არ დგება და ჩხრეკის მიმდინარეობა და შედეგები აისახება დაკავების ოქმში.

კანონი ადგენს დაკავების წესის დარღვევის გამო დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლების ვალდებულების შემთხვევებს. თავისუფლება შეზღუდული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, თუ:

1) დაკავებისას პირს არ განემარტა ამ კოდექსის უფლებები და არ გადაეცა დაკავების ოქმის ასლი;

2) დაკავების ოქმი შედგენილია არსებითი დარღვევით.

საპროცესო კანონით დადგენილია დაკავებისაგან გათავისუფლების საფუძველი და წესი. ამ საკითხს აწესრიგებს საპროცესო კოდექსის 176-ე მუხლი. დაკავებულის გათავისუფლების ხუთი საფუძველია ჩამოთვლილი კანონში. დაკავებული უნდა გათავისუფლდეს, თუ:

ა) არ დადასტურდა ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული;

მაგალითად, სახელმწიფო მოხელე აბესაძე დააკავეს ქრთამის აღებისათვის, მაგრამ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები არ ადასტურებენ ამას და ადგენს, რომ აბესაძეს ვალი დაუბრუნეს.

ბ) არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ;

მაგალითად, ჩადენილია ისეთი დანაშაული, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, რაც გამორიცხავს მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას. პირს შეეფარდა გირაო.

გ) გავიდა დაკავების საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადა;

მაგალითად, თუ აბესაძის დაკავებიდან გავიდა 48 საათი და მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

დ) არ იქნა მიღებული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის თანხმობა დაკავებაზე;

ე) დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი.

ვ) სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მისაღწევად დაკავება აღარ არის აუცილებელი.

დაკავებული თავისუფლდება პროკურორის ან მოსამართლის გადაწყვეტილებით.

დაკავებული თავისუფლდება დაკავებულთა ყოფნის ადგილის უფროსის დადგენილებით, თუ გავიდა დაკავების ვადა.

გათავისუფლებისას დაკავებულს გადაეცემა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ასლი.

დაკავებულს უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი სრული მოცულობით აუნაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, მიუხედავად იმისა, დაკავებული გაამართლეს თუ მსჯავრი დასდეს.

პროკურორს უფლება აქვს გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის დაკავების ადგილიდან დროებით მისი გამოყვანის თაობაზე, თუ ბრალდებულის მონაწილეობის მიღება აუცილებელია საგამოძიებო მოქმედებაში. მაგალითად, ბრალდებულის მონაწილეობა აუცილებელია ამოცნობის, ექსპერიმენტის და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც ჩასატარებელია ისეთი საგამოძიებო მოქმედება, რომელში მონაწილეობაც მოითხოვს დაკავებულის თანხმობას. ასეთ შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება დაკავებული ბრალდებულის გამოყვანის შესახებ მხოლოდ იმ პირობით, თუ წინასწარ მიიღებს დაკავებული ბრალდებულის წერილობით თანხმობას საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის შესახებ. დაკავებულს საგამოძიებო მოქმედების დასრულებისთანავე, დაუყოვნებლივ აბრუნებენ დაკავების ადგილას.

დაკავების შესახებ შეტყობინების გაგზავნის სხვადასხვა წესებია დადგენილი საქართველოს მოქალაქისა და უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ.

პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი ვალდებულია პირის დაკავების, დაპატიმრების ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ არა უგვიანეს 3 საათისა შეატყობინოს ეს მისი ოჯახის რომელიმე წევრს, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს — რომელიმე ნათესავს ან ახლობელს, დაპატიმრების ან სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შემთხვევაში კი აგრეთვე შეატყობინოს სამუშაო ან სწავლის ადგილას.

თუ დაკავებული, დაპატიმრებული ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი უცხო სახელმწიფოს მოქალაქეა, არა უგვიანეს 3 საათის ვადაში უნდა შეატყობინონ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამისი სახელმწიფოს საკონსულოს.

თუ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ პირს ჰყავს არასრულწლოვანი შვილი, ხანდაზმუ-

ლი მშობელი, ან მის კმაყოფაზეა სხვა პირი, რომელიც ზედამხედველობისა და დახმარების გარეშე რჩება, პროკურორი და სასამართლო ვალდებული არიან ისინი სამეურვეოდ გადასცენ ნათესავს, სხვა პირს ან შესაბამის დაწესებულებას, ხოლო თუ პირს უზედამხედველოდ რჩება ქონება, — განახორციელონ მისი დაცვის ღონისძიება.

გატარებულ ღონისძიებათა შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ პირს, რის თაობაზედაც გამომძიებელი ან პროკურორი ადგენს ცნობას, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს დაერთვის, ან/და კეთდება ჩანაწერი სასამართლო სხდომის ოქმში.

16.4. სისხლის სამართლის პროცესის წარმოება არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის, მსჯავრდებულის მიმართ

არაიდენტიფიცირებულად ითვლება პირი, რომლის ვინაობა დაუდგენელია და იგი უარს აცხადებს საკუთარი ვინაობის გამხელაზე ან ფიზიკურო ნაკლის თუ სხვა ობიექტურ გარემოებათა გამო შეუძლებელი ხდება მისი ვინაობის დადგენა.

დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არაიდენტიფიციებული პირის მიმართ გამომძიებელი ან პროკურორი ადგენს ოქმს, რომელშიც შესაბამისი ექსპერტების მონაწილეობით აღიწერება პირის ყველა შესაძლო გარეგნული ნიშანი (სავარაუდო ასაკი, სქესი, სიმაღლე, თმის ფერი, თვალების ფერი, გარეგნობისა და იერის სხვა თავისებურებანი), რომლებითაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება. ოქმს უნდა დაერთოს პირის ფოტოსურათი. სასურველი იქნება თუ დამზადდება დაკავებული პირის ანფასი, მარჯვენა და მარცხენა პროფილები. საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელი პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობით პირს შესაძლებელია მიენიჭოს პირობითი სახელი ციფრების ან/და ასოების იმგვარი კომბინაციით, რომელიც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან შესაძლებელს გახდის ამ პირის იდენტიფიცირებას შემდგომი საპროცესო მოქმედებების დროს. არაიდენტიფიცირებული პირის პირობითი სახელი არ შეიძლება იყოს ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველი და შეურაცხმყოფელი.

არაიდენტიფიცირებული პირის მიმართ ყველა შემდგომი საპროცესო მოქმედება ტარდება სრული მოცულობით, დაუბრკოლებლად. ამასთანავე, ყველა საპროცესო მოქმედება არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის, მსჯავრდებულის მიმართ ტარდება ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობით. დანიშნული ადვოკატის ხარჯებს ანაზღაურებს სახელმწიფო.

არაიდენტიფიცირებული პირის ბრალდებიდან არა უგვიანეს 3 დღე-ღამისა საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ინიშნება სამედიცინო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლითაც სხვა საკითხებთან ერთად უნდა დადგინდეს ამ პირის ფსიქიკური მდგომარეობა, სისხლის ჯგუფი, სხვა ბიომეტრული მონაცემები და უნდა განხორციელდეს დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია.

გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან უზრუნველყონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გონივრული ღონისძიების გატარება ამ მუხლში აღნიშნული პირის იდენტიფიცირების მიზნით (მისი სახელის, გვარის, ასაკის, მოქალაქეობისა და შერაცხადობის დასადგენად).

თუ არაიდენტიფიცირებული პირის ვინაობა დადგინდება სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, გამომძიებელი, პროკურორი, სასამართლო ვალდებული არიან ამ გარემოებას 48 საათის განმავლობაში შეუსაბამონ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული შემაჯამებელი გადაწყვეტილებები.

არაიდენტიფიცირებული პირის მიმართ განაჩენის დადგენამდე სასამართლო ვალდებულია დარწმუნდეს, რომ გატარებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გონივრული ღონისძიება აღნიშნული პირის იდენტიფიცირებისათვის.

განაჩენი უნდა გადაისინჯოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, თუ არაიდენტიფიცირებული პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის შემდეგ დადგინდება მისი ვინაობა და ეს გარემოება გავლენას ახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე ან სასჯელის ზომაზე ან იწვევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა ასეთი გარემოებების დადგენა იწვევს შებრუნებას საუარესოდ.

16.5. პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება

სამედიცინო დაწესებულებაში ათავსებენ იმ ბრალდებულს, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დანაშაულის ჩადენისას იგი შეურაცხი იყო ან მისი ჩადენის შემდეგ გახდა შეურაცხი და საჯარო უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვს მის სამედიცინო დაწესებულებაში იზოლირებას. პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს პროკურორი ან ადვოკატი. მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, 48 საათის ვადაში და მიიღებს გადაწყვეტილებას. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას პირის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე. მიღებული გადაწყვეტილება (შუამდგომლობის დაკმაყოფილება ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა) არ გასაჩივრდება.

სასამართლოს განჩინება პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე გამოიტანება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებისაგან დამოუკიდებლად.

პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ სასამართლოს განჩინებაში უნდა აღინიშნოს: სამედიცინო დაწესებულებაში მოსათავსებელი პირის სახელი, გვარი და საპროცესო მდგომარეობა; სამედიცინო დაწესებულების დასახელება, რომელშიც პირი თავსდება.

ბრალდებული შეიძლება სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსდეს არა უმეტეს 20 დღის ვადით.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, ექიმთა დასკვნის საფუძველზე, რომლებიც სტაციონარულ ექსპერტიზას ატარებენ, ეს ვადა შეიძლება სასამართლოს განჩინებით გაგრძელდეს კიდევ 10 დღით. ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია, თუნდაც სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირი ამაზე თანახმა იყოს.

თუ პირი ერთ სისხლის სამართლის საქმეზე რამდენჯერმე იყო მოთავსებული სამედიცინო დაწესებულებაში, ამ დაწესებულებაში მისი ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.

ბრალდებული ან მისი ადვოკატი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ. სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

ბრალდებულის სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადა ჩაითვლება პატიმრობის ვადაში, გარდა მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადისა.

საკონტროლო კითხვები:

1) რა განსხვავებაა სისხლისსამართლებრივ დევნასა და გამოძიებას შორის?

2) პროცესის რომელი მონაწილეს აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის უფლება?

3) ჩამოთვალეთ სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების საფუძვლები;

4) ჩამოაყალიბეთ განრიდების საფუძველი და წესი;

5) რა არის პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველი?

6) რა რეკვიზიტებს შეიცავს დადგენილება ბრალდების შესახებ?

7) რა განსაკუთრებული წესებია დადგენილი ზოგიერთი ტანამდებობის პირების ბრალდებისას?

8) ჩამოაყალიბეთ დაკავების ცნება და საფუძვლები;

9) ჩამოთვალეთ სასამართლო განჩინების გარეშე პირის დაკავების საფუძვლები;

10) ჩამოთვალეთ დაკავების სუბიექტები;

11) ჩამოთვალეთ პირები, რომლებიც დაკავებისას სარგებლობენ იმუნიტეტით;

12) რას ნიშნავს შეზღუდული და შეუზღუდავი იმუნიტეტი?

13) დაკავებისას რას განუმარტავენ დაკავებულს?

14) რა შემთხვევაში უტარებენ დაკავებულს პირადი ჩხრეკისას?

15) დაკავების რა ვადებია დაწესებული?

16) რა დოკუმენტი დგება დაკავებისას და რა აისახება მასში?

17) ჩამოთვალეთ დაკავებულის გათავისუფლების საფუძვლები;

18) ვის და რა ვადაში ეცნობება პირის დაკავების შესახებ?

19) ჩამოაყალიბეთ არაიდენტიფიცირებული ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიმართ საქმის წარმოების თავისებურებანი;

20) ჩამოაყალიბეთ პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების საფუძველი და წესი.

თავი 17. სასამართლო განხილვის ზოგადი დებულებანი

17.1. სასამართლო განხილვის ცნება და მიზნები

სასამართლო განხილვა არის სისხლის სამართლის პროცესის სასამართლო სტადია. სასამართლო განხილვის სტადიაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განიხილება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე. ბრალდებულის დამნაშავეს ან უდანაშაულოდ ცნობა უნდა მოხდეს მხოლოდ სასამართლო განხილვის ჩატარების შემდეგ. სასამართლოს გადაწყვეტილება განსასჯელის დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის შესახებ ასახვას პოულობს განაჩენში. ამ საკითხს სასამართლო წყვეტს მართლმსაჯულების განხორციელებისას. სასამართლო განხილვის დროს სრულდება სისხლის სამართლის პროცესის ყველა პრინციპის რეალიზაცია, აგრეთვე პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა.

სასამართლო განხილვისას წარმოებს გამოძიებისას შეკრებილი ყველა მტკიცებულებების გამოკვლევა, რომელიც მიმდინარეობს მხარეთა მონაწილეობით.

სასამართლო განხილვა მიმდინარეობს ღიად, საჯაროდ. იგი შედგება ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული სასამართლო სტადიებისაგან. საპროცესო კანონმდებლობა არეგულირებს სასამართლო განხილვისას ერთი სტადიიდან მეორე სტადიაზე გადასვლის პროცესუალურ წესს.

17.2. სასამართლო განხილვის ძირითადი პრინციპები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ხდება სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების რეალიზაცია. საერთო პრინციპების გარდა, სასამართლო განხილვისას მოქმედებს ისეთი სპეციალური სასამართლო პრინციპები, როგორიცაა: სასამართლო სხდომის საჯაროობა, საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობა, სასამართლო განხილვის უწყვეტობა. ყველა ეს პრინციპი სპეციფიკურია იმის გამო, რომ იგი დამახასიათებელია არა მთლიანად სისხლის სამართლის პროცესისათვის, არამედ მოქმედებს მხოლოდ სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

სასამართლოში საქმის განხილვის ძირითადი პრინციპები უშუალოდ კავშირშია, გამომდინარეობს და შეესაბამება პროცესის ზოგად პრინციპებს.

ა) **სასამართლო სხდომის საჯაროობა.** საჯაროობის პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო სხდომა ტარდება საჯაროდ და ზეპირად. სხდომის დარბაზში დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ მსურველ პირს. სასამართლოსხდომის საქვეყნოობა-წერდა ი. სტეცოვსკი-კანონისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მიმართ დამოკიდებულების ყველაზე უფრო თვალსაჩინო და შთამბეჭდავი დემონსტრაციაა[41].

სასამართლო სხდომა, კანონით დადგენილ შემთხვევებში, შეიძლება სრულიად დაიხუროს, ხოლო მხარის შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით იგი შეიძლება სრულიად ან ნაწილობრივ დაიხუროს.

---

[41] Ю.И. Стецовский, Судевная власть, Москва, 2000, ст.158.

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს სასამართლო ყველა შემთხვევაში დახურულ სხდომაზე განიხილავს. ეს არის კანონის იმპერატიული მოთხოვნა და ასეთ შემთხვევაში საქმის ღიად განხილვა ყოვლად დაუშვებელია, მიუხედავად იმისა, ამას მოითხოვენ თუ არა მხარეები. აქ სასამართლო ვერ გაითვალისწინებს მხარის პოზიციას.

სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ:

ა) პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით;

ბ) პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის (ახლო ნათესავის) პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ან თუ გამოიყენება პროცესის მონაწილის დაცვის ის სპეციალური ღონისძიება, რომელიც მოითხოვს სასამართლო სხდომის დახურვას;

გ) სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით;

დ) პირადი მიმოწერის და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამაზე თანახმა არ არის პირი.

მოსამართლეს აქვს უფლება წესრიგის დაცვის მიზნით, საკუთარი ინიციატივით ნაწილობრივ ან სრულად დახუროს სასამართლო სხდომა.

თუ სასამართლო გამოიტანს განჩინებას სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ, მიუხედავად ამისა, მოსამართლე უფლებამოსილია ამ საქმეში დაზარალებულად ცნობილ პირს მისცეს სხდომაზე ან სხდომის ნაწილზე დასწრების უფლება.

თუ დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს ისეთი გარემოების საჯაროდ განხილვას, რომელიც საჯაროდ არ უნდა გაცხადდეს, და სხდომის დახურვის შუამდგომლობას მოწინააღმდეგე მხარე არ ეთანხმება, ეს საკითხი დახურულ სხდომაზე განიხილება.

მოსამართლე ვალდებულია საჯაროდ გამოაცხადოს, თუ რომელი საფუძვლით დახურა სასამართლო სხდომა.

სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს დახურულ სხდომაზე დამსწრე პირი, არ გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ამ სხდომაზე გახდა ცნობილი.

სასამართლო სხდომაზე 14 წლამდე პირი არ დაიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის პროცესის მონაწილეა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია 14 წლამდე პირს დართოს ნება, დაესწროს სასამართლო სხდომას.

შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის ნებართვით.

სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია არ დაუშვას სასამართლო სხდომაზე პირი, რომელიც შეუფერებელ ფორმაში ან მდგომარეობაში გამოცხადდა.

ბ) **საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობა.** ამ პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი სისხლის სამართლის საქმე უნდა იყოს მოსმენილი და განხილული ერთი და იმავე სასამართლო შემადგენლობის მიერ. თუ რომელიმე მოსამართლეს არ შეუძლია სხდომაში მონაწილეობის მიღება, მას ცვლიან იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლით და საქმის განხილვა იწყება ხელახლა. აღნიშნული მოთხოვნა იმის საწინდარია, რომ მოსა-

მართლეები პირადად აღიქვამენ საქმის მასალას, ეცნობიან მტკიცებულებებს, ისმენენ მოწმეთა დაკითხვას, რის საფუძველზეც მათ გამოუმუშავდებათ თავიანთი შინაგანი რწმენა. აღნიშნული პრინციპიდან კანონი უშვებს ერთ გამონაკლისს. სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საქმეზე შეიძლება დაინიშნოს სათადარიგო მოსამართლე, რომელიც საქმის არსებითი განხილვაისას იმყოფება სასამართლო სხდომის დარბაზში, ეცნობა მტკიცებულებებს, ისმენს მოწმეთა დაკითხვებს და შეცვლის საქმეში მონაწილე მოსამართლეს მისი სასამართლო შემადგენლობიდან გასვლის შემთხვევაში. ასეთ დროს საქმის განხილვა გრძელდება. შეიძლება ისე დასრულდეს სასამართლო განხილვა, საჭირო არ გახდეს სათადარიგო მოსამართლის მონაწილეობა საქმის განხილვაში.

გ) სასამართლო განხილვის ადგილი და უწყვეტობა. სასამართლო განხილვა მიმდინარეობს სასამართლო სხდომის დარბაზში. სასამართლო სხდომის დარბაზს გარეთ მხარეთა შუამდგომლობით შეიძლება ჩატარდეს სასამართლო განხილვა შემთხვევის ან სხვა ადგილის, ნაგებობის, ტრანსპორტის ან სხვა ისეთი ობიექტის დათვალიერების მიზნით, რომლის სასამართლო სხდომის დარბაზში მიტანაც შეუძლებელია, აგრეთვე დასაკითხი პირის მძიმე ავადმყოფობის გამო ან სხვა ობიექტური მიზეზით. მოცემული ჩამონათვალი შეიძლება გაიზარდოს და გაფართოვდეს ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე.

სასამართლო განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად, გარდა შესვენებისა მდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით შესაძლებელია მხოლოდ პროცესის მონაწილის გამოუცხადებლობის, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, აგრეთვე საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში. საქმის განხილვის გადადების პერიოდში სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს სხვა სისხლის სამართლის საქმე (შუამდგომლობა, საჩივარი).

18 საათის შემდეგ შესაძლებელია სასამართლომ მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გადადოს საქმის განხილვა.

მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს წინასწარ მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლო განხილვის სხდომის თარიღს შეცვლის (დადგენილ თარიღზე ადრე ან გვიან დანიშვნის) შესახებ, რის თაობაზეც უნდა აცნობოს მეორე მხარეს. სასამართლო შუამდგომლობას, განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

მხარეებს უფლება აქვთ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ერთობლივად, წინასწარ მიმართონ სასამართლოს დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის შეცვლის (დადგენილ თარიღზე ადრე ან გვიან დანიშვნის) შესახებ. სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

ეს ვადა არ გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეებზე ორ შემთხვევაში. კერძოდ, თუ:

ა) ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას;

ბ) ბრალდებულის მიმართ გამოცხადებულია ძებნა.

17.3. სასამართლო სხდომის განაწესი

სასამართლო სხდომის ჩატარების საქმის განხილვაში მონაწილე და სხდომის დარბაზში მყოფმა პირებმა უნდა დაიცვან კანონით დადგენილი ქცევის წესები. მოცემული მოთხოვნის შესრულება ამაღლებს სასამართლო განხილვის კულტურას და დარბაზში მყოფ პირებს განაწყობს სასამართლოსადმი პატივისცემით. როდესაც სასამართლო შედის სხდომის დარბაზში, სასამართლო სხდომის მდივანი აცხადებს: „აბრძანდით, სასამართლო მობრძანდება!", ხოლო გასვლისას: „აბრძანდით, სასამართლო მიბრძანდება!". ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე სასამართლო სხდომის ყველა დამსწრე ფეხზე დგება.

სასამართლო განხილვის მონაწილე სასამართლოს თავაზიანად და პატივისცემით მიმართავს, რის შემდეგაც ფეხზე ამდგარი აკეთებს საჭირო განცხადებას. სასამართლოში ქცევის წესებიდან გამონაკლისი დასაშვებია სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვით.

17.4. სასამართლოში საქმის განხილვის მონაწილენი

სასამართლო სხდომა იწყება მოსამართლის მოხსენებით საქმის განხილვის დაწყების შესახებ, როდესაც საქმე ერთპიროვნულად განიხილება, ხოლო თუ საქმე კოლეგიური წესით განიხილება – მომხსენებელი მოსამართლის მოხსენებით საქმის განხილვის დაწყების შესახებ.

საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს სასამართლო განხილვაში მონაწილე შესაძლო პირთა წრეს. თითოეული მონაწილის საპროცესო მდგომარეობა ზუსტადაა განსაზღვრული. ამიტომ სასამართლო განხილვაში მონაწილე პირთა წრის მიზნები და მათი გამოუცხადებლობის შედეგები რეგლამენტირებულია კანონით.

სასამართლო განხილვაში მხარეთა მონაწილეობა სავალდებულოა. მხარე ვალდებულია დადგენილ დროს გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე. იგი ვალდებულია საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, სასამართლო განხილვამდე შეატყობინოს სასამართლოს საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესახებ.

მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია სასამართლო განხილვაში ამავე მხარემ მონაწილეობა მიიღოს დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს.

სასამართლო განხილვის მონაწილე მხარეებს გააჩნიათ სპეციფიკური ამოცანები, უფლებები და ვალდებულებები. მათ გააჩნიათ თანაბარი უფლებები მტკიცებულებების წარმოდგენის, მათ გამოკვლევაში მონაწილეობის მიღების და შუამდგომლობის განცხადების საკითხთან დაკავშირებით.

პროცესის მონაწილეებს, რომლებსაც უკავიათ ურთიერთსაპირისპირო პროცესუალური პოზიცია, მხარეები ეწოდებათ.

ბრალდებულის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში. ბრალდებულის მონაწილეობა პირველი ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვისას წარმოადგენს მისი დაცვის უფლების ერთ-ერთ რეალურ განხორციელებას, ხელს უწყობს მტკიცებულებების ყოველმხრივ და სრულყოფილ

გამოკვლევას. სწორედ ამიტომ საქმის განხილვა სასამართლოში, როგორც წესი, მიმდინარეობს ბრალდებულის მონაწილეობით.

კანონი ითვალისწინებს განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვის შესაძლებლობას. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.

თუ დაპატიმრებული ბრალდებული სასამართლო სხდომაზე არ იქნა წარმოდგენილი ტრანსპორტირების განუხორციელებლობის გამო, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 10 დღისა, და ამის თაობაზე აცნობებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორს, რომელიც ვალდებულია მომდევნო სხდომაზე უზრუნველყოს ბრალდებულის წარმოდგენა და სასამართლოს აცნობოს ბრალდებულის ტრანსპორტირების განუხორციელებლობის მიზეზი.

პროკურორის და ადვოკატის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და მათი გამოუცხადებლობის შედეგები. ადვოკატი წარმოადგენს სასამართლოში საქმის განხილვის სრულუფლებიან მონაწილეს. მისი მონაწილეობა სასამართლოში ისახავს მხოლოდ ერთ მიზანს: დაიცვას ბრალდებულის ინტერესები. დამცველს აქვს ისეთივე უფლებები, როგორიც პროკურორს (ბრალმდებელს).

თუ ადვოკატი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, სასამართლო ბრალდებულს დაუნიშნავს ადვოკატს სახელმწიფოს ხარჯზე და გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა. ეს ვადა დადგენილია იმის გამო, რომ ადვოკატმა შეძლოს საქმის მასალების გაცნობა, რომ სრულყოფილად განახორციელოს ბრალდებულის დაცვა. მომდევნო სხდომაზე სასამართლო უფლებამოსილია კიდევ ერთხელ გადადოს საქმის განხილვა არა უმეტეს 5 დღისა, თუ დაცვის მხარე წარმოადგენს მოტივირებულ შუამდგომლობას, რომელშიც დასაბუთებულია დამცველის გამოუცხადებლობის ობიექტური მიზეზი. შუამდგომლობის წარმოუდგენლობის, წარმოდგენილი შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის ან დაკმაყოფილების შემდეგ ადვოკატის კვლავ გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომა გრძელდება იურიდიული დახმარების შესაბამისი სამსახურის ადვოკატის მონაწილეობით.

თუ საქმე განიხილება ორი ან მეტი ბრალდებულის მიმართ და სასამართლო სხდომაზე რომელიმე მათგანის ადვოკატი არ გამოცხადდა, სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვა განაგრძოს სხვათა მიმართ, თუ ეს არ შელახავს იმ ბრალდებულის ინტერესებს, რომლის ადვოკატიც არ გამოცხადდა და გავლენას არ მოახდენს მტკიცებულებათა გამოკვლევის სისრულესა და ობიექტურობაზე. ამასთანავე, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ადვოკატისთვის მისი მონაწილეობის გარეშე წარმოებული სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობა.

სასამართლო განხილვაში პროკურორის მონაწილეობა სავალდებულოა. სასამართლო განხილვაში პროკურორი მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

პროკურორი თუ არ გამოცხადდება სასამართლოში მონაწილეობის მისაღებად, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა. სასამართლო პროკურორის გამოუცხადებლობის თაობაზე აცნობებს მთავარ პროკურატურასა და ზემდგომ პროკურორს, რომელიც ვალდებულია მომდევნო სხდომაზე უზრუნველყოს პროკურორის მონაწილეობა და სასამართლოს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი.

17.5. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქმის არსებითი განხილვის დროს.

თუ სასამართლო განხილვისას გამოვლინდება საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი მაინც, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო მხარის შუამდგომლობით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან ერთად, სასამართლო აუქმებს გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას, აგრეთვე წყვეტს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა საკითხს.

კანონის ეს მოთხოვნა სავსებით სამართლიანია. მოსამართლე საქმის არსებითი განხილვის დროს ინარჩუნებს ნეიტრალურ მდგომარეობას. თუ არსებობს სისახლისსამსრთლებრივი დევნი შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული საფუძველი და მხარე არ დააყენებს შუქამდგომლობას, სასამართლო საქმის განხილვას დაასრულებს და გამოიტანს შესაბამის განაჩენს: ან გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით, ან გამამართლებელ განაჩენს.

როგორც კანონის შინაარსიდან ჩანს, დაუშვებელია სასამართლომ საკუთარი ინიციატივით შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

თუ დადგინდა, რომ ბრალდებული სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას შეურაცხი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობით შეწყვეტს მის მიმართ სისხლისამართლებრივ დევნას. ამასთანავე, საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძვლის არსებობისას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განჩინებით გადაწყვიტოს ამ პირისათვის იძულებითი მკურნალობის ჩატარების საკითხს. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანოდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

შეურაცხი პირის მიმართ მოსამართლე განჩინებით განსაზღვრავს იძულებითი ფსიქიატრიულინმკურნალობის ვადას. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს. მკურნალობის ვადის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა;

ბ) ბრალდებულის საკუთარი თავისთვის ან/და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარის ან/და ძალადობის შემცველი ქცევის რისკის ხარისხი, რომელთა შეფასებაც მოცემულია ბრალდებულის შერაცხადობის თაობაზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში.

ამასთანავე, განჩინებაში მითითებული უნდა იყოს, რომ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა შეიძლება შეწყდეს დადგენილ ვადაზე ადრე, თუ მისი გამოყენების საფუძვლები აღმოიფხვრება, რაც დადასტურებული უნდა იყოს ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შერაცხადი იყო, მაგრამ მისი ჩადენის შემდეგ შეურაცხი გახდა, სასამართლოს გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც განსაზღვრავს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდას შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.

თუ დადგინდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც დასრულებულია სამართალწარმოება, აღენიშნება ფსიქიკური აშლილობის ნიშნები, მისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევის საკითხი რეგულირდება „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონისა და პატიმრობის კოდექსის შესაბამისად. მსჯავრდებულის გამოჯანმრთელების შემთხვევაში მის მიერ სასჯელის მოხდა გრძელდება საერთო წესით.

მოსამართლე რეაგირებისათვის მიმართავს შესაბამის გამოძიების ორგანოს შემდეგ შემთხვევებში, თუ:

ა) სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა წამება;

ბ) სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა დამამცირებელი მოპყრობა;

გ) სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა არაადამიანური მოპყრობა;

დ) ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს.

მოსამართლე უფლებამოსილია განჩინებით დაავალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს ასეთი ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება, თუ:

ა) პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება;

ბ) მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა ან შესაძლოა განხორციელდეს წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა.

17.6. სასამართლოს საქმიანობა საქმის განხილვის დროს

სასამართლო სხდომაზე განჩინების გამოტანის წესი. სასამართლო განხილვის დროს, განაჩენის გარდა, ყველა გადასაწყვეტ საკითხზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება სათათბირო ოთახში გაუსვლელად. გამოტანილი განჩინება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

სასამართლო უფლებამოსილია განჩინება გამოიტანოს სათათბირო ოთახში.

ამრიგად, სასამართლომ განჩინება შეიძლება გამოიტანოს როგორც სათათბირო ოთახში გაუსვლელად, ასევე სათათბირო ოთახში.

სასამართლოს განჩინება ცხადდება საჯაროდ.

სასამართლოს თათბირი და კენჭისყრა კოლეგიური განხილვის დროს.

სასამართლოს თათბირი მიმდინარეობს სათათბირო ოთახში. სასამართლოს თათბირი საიდუმლოა. სათათბირო ოთახში აკრძალულია კომუნიკაციის ყოველგვარი ტექნიკური საშუალებით სარგებლობა.

სასამართლოს შეუძლია საქმის განხილვასთან დაკავშირებული საკითხები გადაწყვიტოს ადგილზე თათბირით.

სასამართლოს თათბირსა და კენჭისყრაში მონაწილეობს მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლე.

სხდომის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს სასამართლოს თათბირს და აყალიბებს საკითხებს, რომლებზედაც გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული.

სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით. ერთხმად მიიღება გადაწყვეტილება სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ.

მოსამართლეს არა აქვს უფლება, თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. სხდომის თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს.

თუ სასამართლოს თათბირის დროს საკითხზე განსხვავებული აზრი წარმოიშობა, პირველად კენჭი ეყრება ბრალდებულის სასარგებლო პოზიციას.

თუ მოსამართლე სამართლებრივ საკითხზე კენჭისყრისას უმცირესობაშია, იგი ვალდებულია წერილობით ჩამოაყალიბოს განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრი წარედგინება სხდომის თავმჯდომარეს და დაერთვის გადაწყვეტილებას.

სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება. სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზეპირად ცხადდება. გადაწყვეტილება ორი სახისაა: ზეპირი ან წერილობითი. ზეპირი გადაწყვეტილება ფიქსირდება სასამართლო სხდომის ოქმში, ხოლო წერილობითი დაერთვის ოქმს, რის შესახებაც ოქმში აღნიშვნა კეთდება.

სასამართლო გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

17.7. სასამართლო სხდომის ოქმი

სასამართლო სხდომის შესახებ დგება ოქმი. ოქმი წარმოადგენს მნიშვნელოვან პროცესუალურ დოკუმენტს, რომელიც დგება სასამართლოში საქმის განხილვის დროს. ოქმი შეიძლება შედგეს სტენოგრაფიისა და სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. ოქმში სრულად აისახება სასამართლო პროცესის მიმდინარეობა.

ოქმი უნდა მომზადდეს და მას ხელი უნდა მოაწერონ სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ და მდივანმა სასამართლო სხდომის დამთავრებიდან ან, სხდომის გადადების შემთხვევაში, სხდომის გადადებიდან არა უგვიანეს 5 დღისა, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მხარეებს. ოქმს ხელს არ აწერს სასამართლო შემადგენლობის სხვა მოსამართლეები, თუ საქმე განიხილება კოლეგიური წესით.

სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს ოქმის მხარეებისათვის გაცნობის შესაძლებლობა.

კანონი განსაზღვრავს ყველა იმ შენიშვნის განხილვა-გადაწყვეტის წესს, რომლებსაც გამოთქვამენ მხარეები სასამართლო სხდომის ოქმის გაცნობის შემდეგ. ასეთი შენიშვნების გაკეთება მხარეებს შეუძლიათ 5 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც სასამართლო სხდომის თავმჯდომარე და მდივანი ოქმს ხელს მოაწერენ. ამ შენიშვნებს 5 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს ამ საქმის განმხილველი სასამართლო.

სასამართლო განიხილავს შენიშვნებს და გამოიტანს განჩინებას, რომლითაც ადასტურებს შენიშვნების სისწორეს ან უარყოფს მათ. ოქმზე გაკეთებული მხარის შენიშვნები და ამ შენიშვნებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება (განჩინება) დაერთვის საქმეს. შენიშვნების წარმდგენ მხარეს შეუძლია სასამართლოს განჩინება გაასაჩივროს განაჩენთან ერთად.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ სასამართლო განხილვის არსი;

2) რა მიზნებს ემსახურება სასამართლო განხილვა?

3) რას გულისხმობს სასამართლო სხდომის საჯაროობის პრინციპის არსი?

4) რას გულისხმობს საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობის პრინციპის არსი?

5) რას გულისხმობს სასამართლო განხილვის დაგილის და უწყვეტობის პრინციპის არსი?

6) რა იგულისხმება სასამართლო სხდომის განაწესის არსში?

7) რა შედეგები მოყვება სასამართლოში ბრალდებულის გამოუცხადებლობას?

8) რა შედეგები მოყვება სასამართლოში პროკურორისა და ადვოკატის გამოუცხადებლობას?

9) ჩამოაყალიბეთ საქმის არსებითი განხილვის დროს სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის წესი;

10) ჩამოაყალიბეთ სასამართლო სხდომაზე განცინების გამოტანის წესი;

11) კოლეგიური განხილვის დროს სასამართლოს თათბირის და კენჭისყრის როგორი წესია დადგენილი?

12) სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების როგორი წესია დადგენილი?

13) რა შინაარსისაა სასამართლო სხდომის ოქმი?

თავი 18. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში, აღკვეთის ღონისძიებანი

18.1. ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში

პირის დაკავების მომენტიდან არა უგვიანეს 48 საათისა პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

მოსამართლეს შეუძლია სასამართლო სხდომა ჩაატაროს დაკავებულთა მოთავსების ადგილას განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის დაკავებულთა მოთავსების ადგილიდან სასამართლოში მიყვანა შეუძლებელია:

ა) მისი ავადმყოფობის გამო;

ბ) სტიქიური უბედურების გამო;

გ) ობიექტური მიზეზით.

ამრიგად, სასამართლო სხდომის ჩატარება შეიძლება როგორც სასამართლოში, ისე ბრალდებულის ყოფნის ადგილას. ბრალდებულის ყოფნის ადგილი შეიძლება იყოს საპატიმრო ადგილი, დაკავების ადგილი, სამედიცინო დაწესებულება და ა.შ.

თუ დაკავებიდან 48 საათში არ წარედგინება მაგისტრატ მოსამართლეს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა მაგისტრატი მოსამართლე ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით:

ა) არკვევს ბრალდებულის ვინაობას;

ბ) არკვევს ესმის თუ არა ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესის ენა;

გ) ბრალდებულს განუმარტავს ბრალდების არსს და მის უფლებებს, მათ შორის, წამებისა და არაჰუმანური მოპყრობისათვის საჩივრის (სარჩელის) შეტანის უფლებას;

დ) ბრალდებულს აცნობებს ბრალდებით გათვალის-წინებული სასჯელის სახეს და ზომას;

ე) არკვევს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას და მხარეთა თანხმობის შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

ვ) იხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობას;

ზ) ბრალდებულისგან არკვევს, აქვს თუ არა რაიმე საჩივარი ან შუამდგომლობა მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით;

თ) ახორციელებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა მიმდინარეობს უწყვეტად.

18.2. აღკვეთის ღონისძიების ცნება და სახეები

აღკვეთის ღონისძიებებში მოიაზრება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულება, რომელიც გამოიყენება ბრალდებულის მიმართ[42]. აღკვეთის

[42] Дувинский А.Я., Сербулов А.М., Меры пресечения в советском уголовном процессе, Киев, 1980, ст.28.

ღონისძიება გამოიყენება კანონით დადგენილი წესით, ბრალდებულის მიერ სასამართლოში გამოუცხადებლობის, მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობისა და განაჩენის თავის არიდების აღკვეთის მიზნით. საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანია:

ა) ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას;

ბ) აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება.

სასამართლო ყოველთვის უნდა შეეცადოს გამოიყენოს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, თუ შესაძლებელია ამით მიღწელ იქნეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი. ბრალდებულს პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ზემოთ დასახელებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

აღკვეთის ღინისძიების გამოყენებისას ერთდროულად უნდა არსებობდეს მისი გამოყენების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ:

ა) ბრალდებული მიიმალება;

ბ) ბრალდებული არ გამოცხადდება სასამართლოში;

გ) ბრალდებული გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას;

დ) ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

ამრიგად, დასაბუთებული ვარაუდი რომ ბრალდებული მიიმალება, ბრალდებული არ გამოცხადდება სასამართლოში, ბრალდებული გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ბრალდებული ჩაიდენს ახალ დანაშაულს, წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივ საფუძველს, ხოლო მისი გამოყენების სამართლებრივი საფუძველია სასამართლო განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

პროკურორი როდესაც წარადგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა. საკითხის შეფასებისას არსებობს თუ არა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ აუცილებელი არ არის ფაქტების არსებობა, ე.ი. პირმა უკვე განახორციელა ქმედებები, რომელიც წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. ამ საკითხის გადასაწყვეტად საკმარისია არსებობდეს ამ ქმედებათა შესაძლო განხორციელების დასაბუთებული ვარაუდი. დასაბუთებული ვარაუდი შეიძლება შექმნას პირის მიერ რაიმე ქმედების განხორციელებამ. მაგალითად, დაკავებისას პირი ცდილობდა გაქცევას, მიმალვას, მტკიცებულების განადგურებას და ა.შ. ან პირი ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს მოწმეებზე იმ მიზნით, მათ სასამართლოს მისცენ არასწორი ჩვენება ან უარი თქვან ჩვენების მიცემაზე. ასეთ შემთხვევაში არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი კვლავ გააგრძელებს მსგავს ქმედებებს.

პირის ქმედება ერთდროულად შეიძლება ქმნიდეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველსაც და ახალი დანაშაულის ჩადენის ნიშნებსაც. მაგალითად, პირი დაემუქრა მოწმეს სიკვდილით თუ მისთვის სასარგებლო ჩვენებას არ მისცემდა. ასეთი შემთხვევა წარმოადგენს მუქარისათვის გამოძიების დაწყების საფუძველსა და ვარაუდს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა.

დასაბუთებული ვარაუდი არსებობს მაშინაც, როდესაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, საქმეზე შეკრებილი ფაქტობრივი გარემოებები, ბრალდებულის პიროვნება და სხვა გარემოებათა ერთობლიობა ქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ პირმა შეიძლება განახორციელოს აღნიშნული ქმედება.

სასამართლოს უფლება აქვს ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

როდესაც წყდება საკითხი აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების თაობაზე, სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა:

ა) ბრალდებულის პიროვნება;

ბ) მისი საქმიანობა;

გ) ასაკი;

დ) ჯანმრთელობის, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა;

ე) მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება;

ვ) ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი;

ზ) სხვა გარემოებები.

პირის მიერ მისთვის შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ამ პირმა შეიძლება კვლავ დაარღვიოს აღკვეთის ღონისძიება, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას. აღკვეთის ღონისძიების დარღვევაში იგულისხმება მიმალვა, არ გამოცხადება, მტკიცებულებათა განადგურება, პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედება, ახალი დანაშაულის ჩადენა და ა.შ. ახალი დანაშაულის ჩადენა აღკვეთის ღონისძიების ყველაზე უხეში დარღვევაა, რადგანაც შერჩეული აღკვეთის ღონისძიებით ვერ იქნა მიღწეული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი-ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება.

აღკვეთის ღონისძიების სახეებია: 1) გირაო; 2) შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ; 3) პირადი თავდებობა; 4) სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა; 5) პატიმრობა.

აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულის მიმართ შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს:

ა) პირის ვალდებულება, დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში;

ბ) გარკვეული საქმიანობისა თუ პროფესიის განხორციელების აკრძალვა;

გ) სასამართლოში, პოლიციაში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება;

დ) სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა;

ე) ელექტრონული მონიტორინგი;

ვ) ვალდებულება გარკვეულ ადგილას ყოფნისა გარკვეულ საათებში ან უამისოდ;

ზ) გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა;

თ) აკრძალვა გარკვეულ პირებთან შეხვედრისა სპეციალური ნებართვის გარეშე;

ი) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება;

კ) სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად, მათ შორის, გარკვეულ ადგილზე შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა, თუ პირის მიმართ დევნა დაწყებულია ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდებით.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი ღონისძიებების ჩამონათვალი საპროცესო კოდექსში სანიმუშოა და მისი გაზრდა-გაფართოება შესაძლებელია. სწორედ ამაზე მიუთითებს საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილში გადმოცემული სიტყვები „აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულის მიმართ შეიძლება ასევე გამოყენებული იქნეს: ... სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად, მათ შორის, გარკვეულ ადგილზე შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა, თუ პირის მიმართ დევნა დაწყებულია ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდებით“.

18.3. აღკვეთის ღონისძიების სახეების დახასიათება

გირაო. გირაოს გამოყენების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს პროკურორს. გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება. ფულადი თანხა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეაქვს ბრალდებულს ან მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა პირს. გირაოს შემტანი პირი სასამართლოს აძლევს წერილობით ვალდებულებას ბრალდებულის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში დროულად გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე. თუ ფულადი თანხის ნაცვლად შეტანილია უძრავი ქონება, მას დაედება ყადაღა. თუ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, პროკურორი უფლებამოსილია, ჩგირაოს შეფარდების თაობაზე შუამდგომლობის აღძვრასთან ერთად, მოითხოვოს ქონების დაყადაღება, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ სასამართლომ მიიღოს ერთი დოკუმენტი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და ქონების დაყადაღების თაობაზე. გირაოს მიღების შესახებ დგება ოქმი, რომლის ერთი ასლი გადაეცემა გირაოს შემტანს.

როდესაც პროკურორი წარადგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების თაობაზე, იქვე მიუთითებს გირაოს თანხის ოდენობას ლარებში და მისი შეტანის ვადას. გირაოს თანხის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ ბრალდებულს, მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა პირს შეუძლია გირაოს თანხის ნაცვლად შეიტანოს ფულადი თანხის ეკვივალენტური უძრავი ქონება.

გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება:

ა) ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით;

ბ) ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობით.

გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს 1 000 ლარზე ნაკლები. კანონი არ ადგენს გირაოს თანხის ზედა ზღვარს.

გირაოს შეტანის წინ მის შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებით განსაზღვრული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში რა შედეგი დადგება.

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მიმართავს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით.

თუ ბრალდებულმა დადგენილ ვადაში არ უზრუნველყო სასამართლოს მიერ გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანა ან უძრავი ქონების შეტანა, პროკურორი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით, ვიდრე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაო სრულად ან ნაწილობრივ (მაგრამ არანაკლებ 50%-ისა) არ შეიტანება. გირაოს სრული მოცულობის, ან ნაწილობრივ შეტანამდე ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების შერჩევის შემთხვევაში არ იგულისხმება, რომ ბრალდებულის მიმართ ერთდროულად შერჩეულია აღკვეთის ღონისძიების ორი სახე-დაპატიმრება და გირაო. "საგირავნო პატიმრობის" ვადა ათვლას იწყებს პირის დაკავებიდან. გირაოს შეტანას ადასტურებს სასამართლო ან პროკურორი.

ამრიგად, გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიება, მოქმედებას იწყებს ბრალდებულის ან სხვა პირის მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის, ან მისი ეკვივალენტი მოძრავი ან უძრავი ქონების ქონების შეტანის შემდეგ, ანუ რეალურად ბრალდებული პატიმრობაში იმყოფება მანამ, სანამ მის მიმართ მოქმედებას არ დაიწყებს აღკვეთის სხვა ღონისძიება, ე.ი. გირაო.

ბრალდებულს, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეეცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, თუ მან დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი. ამავე განჩინებით გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო უძრავი ქონება გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, აღსასრულებლად მიიქცევა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

თუ არ დარღვეულა გირაოს ვალდებულების მოთხოვნები და სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, მისი აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულიად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება ბრალდებულს ან მისი სახელით გირაოს შემტანს.

თუ ბრალდებულის სასარგებლოდ გირაოს შემტანი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე წერილობით მიმართავს შესაბამისად პროკურორს

ან სასამართლოს, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას და მის დროულად გამოცხადებას გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში, გირაოს შემტანს 1 თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული ინფლაციის მაჩვენებლის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება, ხოლო ბრალდებულის მიმართ შეიძლება შეირჩეს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

გირაოს შემტანს გირაოს თანხა დაუბრუნდება მას შემდეგ, როდესაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნულ ბიუროში წარადგენს საქმის განმხილველი სასამართლოს ან პროკურორის გადაწყვეტილებას.

თუ ბრალდებული კეთილსინდისიერად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, პროკურორს უფლება აქვს გირაოს თანხის შემცირების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილის ან განსჯადობის მიხედვით. გამოძიების ეტაპზე შუამდგომლობა განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე, მისი წარდგენიდან 24 საათში.

შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით.

პირადი თავდებობა. პირადი თავდებობისას სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებას.

თავდებთა რაოდენობას განსაზღვრავს სასამართლო.

პირადი თავდებობა დასაშვებია მხოლოდ თავდების შუამავლობით ან თანხმობით, აგრეთვე ბრალდებულის თანხმობით.

თავდებს უნდა გააცნონ:

ა) ბრალდების არსი, რომელთან დაკავშირებითაც შერჩეულია ეს აღკვეთის ღონისძიება;

ბ) სასჯელი, რომელიც შეიძლება დაენიშნოს ბრალდებულს;

გ) პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრება თავდებს, თუ ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც გამოყენებულ იქნა თავდებობა.

გარდა ამისა, თითოეული თავდები იძლევა ხელწერილს თავდებობის შესახებ, რომელიც დაერთვის სისხლის სამართლის საქმეს.

თავდებს შეუძლია უარი თქვას ნაკისრ ვალდებულებაზე, მანამ სანამ არ გამოვლინდება ის საფუძველი, რომელსაც მისი პასუხისმგებლობა მოსდევს. თავდებს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში უფლება არა აქვს, თავი იმართლოს იმით, რომ ბრალდებულის საქციელის კონტროლის შესაძლებლობა არ ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის მოქმედებას.

თუ ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც გამოყენებულ იქნა თავდებობა, თითოეულ თავდებს მხარის შუამდგომლობით სასამართლომ შეიძლება დააკისროს ჯარიმა 100 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით.

სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა. ბრალდებული, რომელიც არის სამხედრო ვალდებული, საკონტრაქტო (პროფესიული) ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურე, სასამართლოს გან-

ჩინებით შეიძლება გადაეცეს სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დანესებულების სარდლობის მეთვალყურეობაში.

სარდლობის მეთვალყურეობა გულისხმობს შეიარაღებული ძალების წესდებით გათვალისწინებული ზომების მიღებას ბრალდებულის სათანადო ქცევის და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად.

ამ სახის აღკვეთის ღონისძიების მოქმედების პერიოდში სამხედრო მოსამსახურეს აქვს გარკვეული შეზღუდვები. სახელდობრ, ამ აღკვეთის ღონისძიების მოქმედების პერიოდში:

ა) ბრალდებული არ უნდა დაინიშნოს გუშაგად და სხვა პასუხსაგებ განანესში;

ბ) ბრალდებულს უნდა ჩამოერთვას მშვიდობიან დროში იარაღის ტარების უფლება;

გ) ბრალდებული არ უნდა გაიგზავნოს ნაწილის გარეთ მარტო სამუშაოდ;

დ) ბრალდებული არ უნდა განთავისუფლდეს ნაწილიდან და უნდა იმყოფებოდეს სამხედრო მეთაურებისა და უფროსების მეთვალყურეობაში.

სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობას უნდა განემარტოს იმ ბრალდების არსი, რომელთან დაკავშირებითაც შერჩეულია ეს აღკვეთის ღონისძიება.

სასამართლოს განჩინება ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, შეცვლისა თუ გაუქმების შესახებ სავალდებულოა სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობისათვის.

სარდლობა ვალდებულია დააწესოს მეთვალყურეობა სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი და ამის შესახებ ატყობინებს პროკურორს ან სასამართლოს.

სამხედრო მეთაური (უფროსი), რომელიც მეთვალყურეობს ბრალდებულს, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს ამ ბრალდებულის არასათანადო ქცევის შესახებ, რომლის თავიდან ასაცილებლადაც შერჩეულ იქნა ეს აღკვეთის ღონისძიება. ამ შემთხვევაში პროკურორის შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს ბრალდებულის მიმართ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

პატიმრობა. პატიმრობა ნიშნავს სასამართლოს განჩინებით კანონით დადგენილი ვადით საპყრობილეში მოთავსებას.

პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული:

ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;

ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა;

გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. პატიმრობის 9 თვის გასვლის შემდეგ, ბრალდების მხარეს (პროკურორს) უფლება აქვს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს სხვა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, ან ბრალდებულის მიმართ არ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება. ასეთ შემთხვევაში, გამოძიება და სასამართლო განხილვა გაგრძელდება დადგენილი წესით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. ბრალდებულის პატიმრობის ვადის ათვლის ორი წესია დადგენილი:

1) როდესაც პატიმრობის ვადა აითვლება დაკავების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე;

2) თუ დაკავება არ მომხდარა, დაპატიმრების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

ბრალდებულის პატიმრობის ვადა გრძელდება საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. მხარეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით აღნიშნული ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელების ან შემცირების შესახებ, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს. მეორე მხარე უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს სასამართლოს შუამდგომლობის წარდგენიდან 3 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

ბრალდებულებს ერთი და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ცალ-ცალკე ათავსებენ. საგამოძიებო იზოლატორის ადმინისტრაცია ვალდებულია მიიღოს ზომები არ დაუშვას მათი ერთმანეთთან ურთიერთობა. გამომძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს წესი შეიძლება გავრცელდეს სხვა ბრალდებულებზედაც.

მსჯავრდებული შეიძლება პენიტენციური დაწესებულებიდან გადაიყვანონ საგამოძიებო იზოლატორში ან დატოვონ საგამოძიებო იზოლატორში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, თუ ის არის მოწმე, დაზარალებული ან ბრალდებული სხვა საქმეში.

იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ტერიტორიულად დაშორებულია პენიტენციური დაწესებულებისგან და ბადრაგირების განხორციელება გართულებულია, სასამართლოს განჩინებით შესაძლებელია ბრალდებული საქმის განხილვისას დროებით მოთავსდეს უახლოეს პენიტენციურ დაწესებულებაში ან დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც მასზე ზედამხედველობას განახორციელებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

18.4. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა და გაუქმება

საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლით მოწესრიგებულია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხი.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, შეცვლა და გაუქმება ხდება სასამართლოს განჩინებით, რა დროსაც გამოიყენება საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული განსჯადობა. აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა შესაძლებელია ასევე წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვისას, ამ კოდექსით დადგენილი წესით.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი სასამართლოს მიმართავს დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს, ხოლო აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობისა როგორც პროკურორს, ისე დაცვის მხარეს.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორის შუამდგომლობას მოსამართლე განიხილავს მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გაუქმების საკითხები განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სასამართლო სხდომის დახურვის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლები. კერძიდ, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს სასამართლო ყველა შემთხვევაში დახურულ სხდომაზე განიხილავს. ეს არის კანონის იმპერატიული მოთხოვნა და ასეთ შემთხვევაში საქმის ღიად განხილვა ყოვლად დაუშვებელია, მიუხედავად იმისა, ამას მოითხოვენ თუ არა მხარეები. აქ სასამართლო ვერ გაითვალისწინებს მხარის პოზიციას.

სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ:

ა) პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით;

ბ) პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის (ახლო ნათესავის) პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ან თუ გამოიყენება პროცესის მონაწილის დაცვის ის სპეციალური ღონისძიება, რომელიც მოითხოვს სასამართლო სხდომის დახურვას;

გ) სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით;

დ) პირადი მიმოწერის და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამაზე თანახმა არ არის პირი.

მოსამართლეს აქვს უფლება წესრიგის დაცვის მიზნით, საკუთარი ინიციატივით ნაწილობრივ ან სრულად დახუროს სასამართლო სხდომა.

მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, მხარეთა მონაწილეობით. მოსამართლე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს, რა შუამდგომლობა განიხილება, ასახელებს პროცესის მონაწილეებს და არკვევს, არის თუ არა აცილებები. შუამდგომლობის ავტორი ასაბუთებს მას. შემდეგ სიტყვა ეძლევა მეორე მხარეს, რის შემდეგაც მხარეები უფლებამოსილი არიან ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები. მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

მხარე უფლებამოსილია სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია.

შუამდგომლობაში უნდა აისახოს ბრალდებულის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ბრალდების არსი, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია თუ მტკიცებულება, რომელსაც ემყარება ბრალდება, და მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება. შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს განჩინება.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია სათანადო საფუძვლის მითითებით მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) დააკმაყოფილოს შუამდგომლობით მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება;

ბ) საერთოდ არ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება;

გ) უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება და ბრალდებულს შეურჩიოს სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინებაში უნდა აღინიშნოს:

ა) განჩინების შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) მოსამართლის, პროკურორის, ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ვინაობა;

გ) წარდგენილი ბრალდების არსი;

დ) მითითება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან მასზე უარის თქმის შესახებ;

ე) რა არის განჩინების არსი და ვისზე ვრცელდება იგი;

ვ) მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც მოსამართლე დარწმუნდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების აუცილებლობაში;

ზ) რომელი თანამდებობის პირი ან ორგანოა ვალდებული, შეასრულოს განჩინება;

თ) მისი გასაჩივრების წესი;

ი) მოსამართლის ხელმოწერა (მათ შორის ელექტრონული) და სასამართლოს ბეჭედი.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება დგება 5 ეგზემპლარად, მათ შორის 1 ეგზემპლარი რჩება სასამართლოში, ხოლო 1 ეგზემპლარი გადაეცემა ბრალდებულს ან მის ადვოკატს, 1-გამომძიებელს, 1-პროკურორს, 1-აღკვეთის ღონისძიების აღმასრულებელ დაწესებულებას, ხოლო იმ მსჯავრდებულისათვის, რომელსაც შეფარდებული აქვს არასაპატიმრო სასჯელი, ან პირობით მსჯავრდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების 1 ეგზემპლარი ეგზავნება - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს.

მხარე უფლებამოსილია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მაგისტრატი მოსამართლე შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხს. შუამდგომლობის განხილვა შედგება ორი ეტაპისაგან: 1) შუამდგომლობის დასაშვებობის შემოწმება და 2) შუამდგომლობის არსებითი განხილვა.

შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი უნდა გადაწყდეს ყველა შემთხვევაში მიუხედავად იმისა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, შეცვლას თუ გაუქმებას მოითხოვს მხარე.

ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას დასაშვებობის ეტაპზე განიხილება შემდეგი საკითხები:

ა) შუამდგომლობა შეტანილია თუ არა უფლებამოსილი პირის მიერ;

ბ) რა ახალი არსებითი მნიშვნელობის საკითხებია დასმული შუამდგომლობაში;

გ) რა ახალი მტკიცებულებებია წარმოდგენილი, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობაზე.

მოსამართლე შუამდგომლობის დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს განჩინებით.

საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე შუამდგომლობის განხილვის შემდეგ იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;

გ) შუამდგომლობის უარყოფის შესახებ.

თუ შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა მის დაკმაყოფილებაზე, მას გადაეცემა განჩინების ასლი.

შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში სასამართლო ატარებს ზეპირ მოსმენას.

ნებისმიერ შემთხვევაში, მხედველობაშია მისაღები ის, რომ შუამდგომლობა განხილული უნდა იქნეს მისი წარდგენიდან 24 საათში. ეს ვადა მოიცავს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის, მისი არსებითი განხილვის დაწყების, დასრულებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოცხადებას. ამ ვადის ათვლა იწყება შუამდგომლობის წარდგენის მომენტიდან. შუამდგომლობა წარდგენილად ითვლება კანცელარიაში მისი რეგისტრაციის თარიღიდან (რიცხვი, თვე, საათისა და წუთის მითითებით).

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარეს ეკისრება.

დაპატიმრების შერჩევის შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს შეიძლება წარედგინოს ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაშიც, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით. ასეთ შემთხვევაში დაპატიმრების შემდეგ ბრალდებული გამოძიების ადგილას მიყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა უნდა წარედგინოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 15 დღით:

ა) სტიქიური უბედურების დროს;

ბ) სხვა დაუძლეველი ძალის მოქმედებისას;

გ) ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების დროს, რაც დადასტურებულია სამედიცინო ცნობით, რის გამოც შეუძლებელია ბრალდებულის წარდგენა შესაბამის სასამართლოში.

თუ ძებნილი ბრალდებული, რომლის მიმართაც შერჩეულია დაპატიმრება, დააკავეს უცხოეთში, იგი უნდა წარედგინოს შესაბამის სასამართლოს საქართველოში გამოძიების ადგილზე ჩამოყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა.

მოსამართლე ისმენს მხარეთა განმარტებებს, რის შემდეგაც იღებს გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, შეცვლის ან ძალაში დატოვების შესახებ.

სასამართლო აცხადებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ გამოტანილი განჩინების სარეზოლუციო ნაწილს. თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებ-

ული, მოსამართლე ზეპირად, მოკლედ განუმარტავს მხარეებს, თუ რა მტკიცებულებების საფუძველზე გამოიყენა მან აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა და რატომ მიიჩნია, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით აღკვეთის ღონისძიების მიზანი ვერ მიიღწეოდა.

18.5. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრების წესი

საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრების წესს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს (მაგისტრატი მოსამართლის) განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივროს მხარეებმა, ე.ი. პროკურორმა ან ბრალდებულმა ან/და ბრალდებულის ადვოკატმა. როგორც ჩანს, ასეთი საჩივრის შეტანის უფლება აქვს ბრალდებულსაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრალდებული როგორც საჩივრის ავტორი ხელს უნდა აწერდეს საჩივარს. ე.ი. საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების მხოლოდ ერთ ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობას მისი გამოტანიდან 48 საათში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ მიღებული განჩინება საჩივრის თაობაზე საბოლოოა და მისი შემდგომი გასაჩივრება აკრძალულია.

საჩივარი შეიტანება განჩინების გამომტან სასამართლოში, რომელიც ამ საჩივარსა და მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. გასაჩივრება არ წარმოადგენს განჩინების აღსრულების შეჩერების საფუძველს.

საჩივარში უნდა აღინიშნოს, რა მოთხოვნები იქნა დარღვეული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას და რით გამოიხატა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა. საჩივარში შესაძლოა ასევე მიეთითოს, რა არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია ან არ შეაფასა პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომლებსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე.

საჩივრის განხილვის დღე და დრო გონივრულ ვადაში ეცნობება მხარეებს.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, მისი შეტანიდან არა უგვიანეს 72 საათისა. მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, წყვეტს:

ა) საჩივარი შეტანილია თუ არა სათანადო უფლების მქონე პროცესის მონაწილის მიერ კანონით დაგენილ ვადაში (48 საათში) განსჯადობის მიხედვით

ბ) დაცულია თუ არა საჩივრის შედგენის კანონით დადგენილი წესი;

გ) გამოიკვლია თუ არა ან შეაფასა თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლომ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე.

საჩივრის განხილვა შედგება ორი ეტაპისაგან: 1) საჩივრის დასაშვებად შემოწმება და 2) საჩივრის არსებითი განხილვა.

საჩივრის დასაშვებობის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს განჩინება.

საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საჩივრის განხილვის შედეგად შეიძლება მიღებული იქნეს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ;

ბ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილის გაუქმების შესახებ;

გ) გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ;

დ) საჩივრის უარყოფის შესახებ.

თუ საჩივრის შემტანს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე, მას გადაეცემა განჩინების ასლი.

საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში მოსამართლე ატარებს ზეპირ მოსმენას კანონით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით. საჩივრის განხილვის 72 საათიან ვადაში შედის საჩივრის დასაშვებობის საკითხი, მისი არსებითი განხილვის დაწყება, დასრულება და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოცხადება. ამ ვადის ათვლა იწყება საჩივრის შეტანის მომენტიდან. საჩივარი შეტანილად ითვლება კანცელარიაში მისი რეგისტრაციის თარიღიდან (თვე, რიცხვი, საათი და წუთის მითითებით). ამ დროს მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, სასამართლოს დაუმტკიცოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების არამართლზომიერება ან მიზანშეწონილობა. მოსამართლე უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს საჩივარი, რომელიც არ შეეხება აღკვეთის ღონისძიების შესახებ განჩინებას.

საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული განჩინება მზადდება 5 ეგზემპლარად. დედანი რჩება სააპელაციო სასამართლოში, ხოლო საჩივრის განხილვის შედეგად გამოტანილი განჩინების ასლები გადაეცემა მხარეებს, ეგზავნება გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს და განჩინების აღმასრულებელ ორგანოს. მიღებული განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე აცხადებს გამოტანილი განჩინების სარეზოლუციო ნაწილს და ზეპირად, მოკლედ განუმარტავს მხარეებს გამოტანილი განჩინების საფუძვლებს.

18.6. მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ

თუ მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმება არ არის დადებული, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ მაგისტრატი მოსამართლე განსაზღვრავს წინასასამართლო სხდომის თარიღს, რა დროსაც იგი ითვალისწინებს:

ა) მხარეთა პოზიციას;

ბ) საქმის სირთულეს;

გ) საქმის მოცულობას.

მოსამართლემ მხარეებს საკმარისი დრო და საშუალება უნდა მისცეს დაცვისა და ბრალდების მოსამზადებლად.

წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან (თუ ის არ დაუკავებიათ) არა უგვიანეს 60 დღისა. მხა-

რეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით აღნიშნული ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელების ან შემცირების შესახებ, რის თაობაზეც უნდა აცნობოს მეორე მხარეს. მეორე მხარე უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს სასამართლოს შუამდგომლობის წარდგენიდან 3 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე. მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

საკონტროლო კითხვები:

1) რა არის სასამართლოსი ბრალდებულის პირველი წარდგენის საფუძველი?

2) სად ტარდება სასამართლო სხდომა ბრალდებულის პირველი წარდგენისას?

3) რა საკითხებს არკვევს მაგისტრატი მოსამართლე ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სასამართლო სხდომაზე?

4) რა მიზნები აქვს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას?

5) ჩამოაყალიბეთ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლები;

6) რა გარემოებებს ითვალისწინებს მაგისტრატი მოსამართლე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას?

7) ჩამოთვალეთ აღკვეთის ღონისძიების სახეები;

8) ბრალდებულის მიმართ, რა სახის ღონისძიებების გამოყენება შეიძლება შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად?

9) ჩამოაყალიბეთ გირაოს ცნება, გამოყენების საფუძველი და წესი;

10) ჩამოაყალიბეთ არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემის ცნება, გამოყენების საფუძველი და წესი;

11) ჩამოაყალიბეთ პირადი თავდებობის ცნება, გამოყენების საფუძველი და წესი;

12) ჩამოაყალიბეთ სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობის ცნება, გამოყენების საფუძველი და წესი;

13) ჩამოაყალიბეთ პატიმრობის ცნება, გამოყენების საფუზველი და წესი;

14) ჩამოაყალიბეთ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების გამოყენების წესი;

15) რა მონაცემები აისახება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობაში?

16) რა აღინიშნება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინებაში?

17) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ გასაჩივრების რა წესია დადგენილი?

თავი 19. საპროცესო შეთანხმება

19.1. საპროცესო შეთანხმების არსი

ყოველი სისხლის სამართლის საქმე არსებითად უნდა განიხილოს სასამართლომ განსჯადობის მიხედვით, მაგრამ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა განაჩენის გამოტანა შეიძლება საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

საქმის არსებითი განხილვა გულისხმობს სასამართლო პროცესს საქმის განილვის დაწყების შესახებ მოსამართლის მოხსენებიდან განაჩენის გამოტანამდე. საქმის არსებითი განხილვისას ჩასატარებელია მთელი რიგი საპროცესო მოქმედებებისა: 1) სასამართლო სხდომის დაწყება; 2) სასამართლო შემადგენლობის გამოცხადება; 3) აცილების საკითხის გადაწყვეტა; 4) ბრალდებულის ვინაობის დადგენა და უფლებების განმარტება; 5) აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის საკითხის გადაწყვეტა; 6) შუამდგომლობის დაყენება და გადაწყვეტა; 7) მხარეთა შესავალი სიტყვები; 8) მტკიცებულებათა გამოკვლევა; 9) მხარეთა დასკვნითი სიტყვები; 10) რეპლიკა და 11) ბრალდებულის საბოლოო სიტყვა.

საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს სისხლის სამართლის საქმე სასამართლოში ამ პროცედურებს არ გადის, სასამართლოს განაჩენი გამოაქვს საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

საქმის არსებითი განხილვისას სასამართლომ შეიძლება შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ან გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, ან გამამართლებელი განაჩენი, საქმის არსებითი განხილვის გარეშე სასამართლომ შეიძლება დაადგინოს მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენი.

საქმის არსებითი განიხლვის დროს დადგენილი განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით, ხოლო საქმის არსებითი განხილვის გარეშე სასამართლოს დადგენილი განაჩენი არ გასაჩივრდება.

საპროცესო შეთანხმება შეიძლება გაფორმდეს პირის ბრალდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

საპროცესო შეთანხმების გაფორმება ბრალდებულის უფლებაა.

სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება. საპროცესო შეთანხმების თაობაზე დაისმევა საკითხი თუ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე.

ამრიგად, საპროცესო შეთანხმების აუცილებელი წინაპირობაა ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება. ამის შემდეგ ბრალდებული უთანხმდება პროკურორს სამიდან ერთ-ერთ პირობაზე: სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ბრალდების ნაწილობრივ მოხსნაზე.

ზემოთ ჩამოთვლილ პირობებზე შეთანხმება სავალდებულოა იმისათვის, რომ გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება,ე.ი. ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება და შეთანხმება სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე არის საპროცესო შეთანხმების ძირითადი პირობა. მაგრამ, ჩამოთვლილ პირობების გარდა საპროცესო შეთანხმებას გააჩნია ფაკულტატური პირობებიც, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე. ბრალდებული პროკურორს, აგრეთვე შეიძლება შეუთანხმდეს შემდეგ ფაკულტატურ პირობებზე:

ა) თანამშრომლობაზე;

ბ) ზიანის ანაზღაურებაზე;

გ) თანამშრომლობაზე და ზიანის ანაზღაურებაზე.

მოცემულ პირობებს ფაკულტატური უნდა ვუწოდოთ იმის გამო, რომ ასეთ პირობებზე შეთანხმება აუცილებელი არ არის, იგი შეიძლება გამოყენებული იქნეს ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეზე.

საპროცესო შეთანხმება ფორმდება პროკურორსა და ბრალდებულს (მსჯავრდებულს) შორის. საპროცესო შეთანხმების გაფორმების შეთავაზება შეუძლია როგორც პროკურორს, ისე ბრალდებულსა და მის ადვოკატს. თუმცა პროკურორი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე, თუ არ არსებობს ზემდგომი პროკურორის წინასწარი წერილობითი თანხმობა. მხარეთა შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება უნდა დაამტკიცოს სასამართლომ. ეს შეიძლება განხორციელდეს სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ ეტაპებზე:

ა) ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სასმართლო სხდომაზე;

ბ) წინასასამართლო სხდომაზე;

გ) პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას;

დ) სააპელაციო განხილვისას;

ე) საკასაციო განხილვისას.

სასამართლო განხილვის ეტაპზე მოსამართლე მხარეებთან არკვევს ხომ არ არსებობს მათ შორის საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა.

საპროცესო შეთანხმების გაფორმების გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორი პირველ რიგში უნდა დარწმუნდეს:

ა) ჰყავს თუ არა ბრალდებულს ადვოკატი;

ბ) აცხადებს თუ არა ზემდგომი პრიკურორი თანხმობას საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე;

გ) აცხადებს თუ არა ბრალდებული თანხმობას საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.

ვიდრე საპროცესო შეთანხმება გაფორმდება პროკურორი ვალდებულია:

ა) გააფრთხილოს ბრალდებული საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ;

ბ) განუმარტოს ბრალდებულს, რომ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირი გამოკვლევის გარეშე გამოაქვს;

გ) განუმარტოს ბრალდებულს, რომ საპროცესო შეთანხმების დადება არ ათავისუფლებს ბრალდებულს სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან.

განსაკუთრებულ შემთხვევაში საქართველოს მთავარ პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით ბრალდებული სრულად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან. სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება.

თუ რა ითვლება განსაკუთრებულ შემთხვევად კანონში არაა მითითებული. ეს უნდა შეფასდეს ყოველ სისხლის სამართლის საქმეზე. განსაკუთრებულ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს: განსაკუთრებული თანამშრომლობა, მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება, დანაშაულში ბრალდებულის უმნიშვნელო მონაწილეობა და სხვა.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს:

ა) ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება;

ბ)დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების თაობაზე;

გ) ბრალდებულისათვის ბრალის ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე.

ამ დროს მან უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, რომელის დროსაც მხედველობაში მიიღება:

ა) სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები;

ბ) ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე;

გ) დანაშაულის ხასიათი;

დ) ბრალდებულის ბრალეულობის ხარისხი;

ე) ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროება;

ვ) ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები;

ზ) ბრალდებულის ნასამართლობა;

თ) ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობა;

ი) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევა.

დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება:

ა) თუ არ არსებობს ბრალდებულის წინასწარი თანხმობა;

ბ) თუ მასში სავალდებულოდ არ მონაწილეობს ადვოკატი;

ბ) იგი უზღუდავს ბრალდებულის უფლებას, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

საპროცესო შეთანხმების შესახებ დგება საპროცესო შეთანხმების ოქმი, რომელშიც აისახება პროკურორსა და ბრალდებულს (მის ადვოკატს) შორის მოლაპარაკების მთელი პროცესი. ოქმს ადგენს პროკურორი და ხელს აწერს ორივე მხარე (პროკურორი, ბრალდებული, ადვოკატი).

ოქმში მითითებული უნდა იყოს, რომ:

ა)ბრალდებულისათვის ცნობილია წარდგენილი ბრალდების არსი და მისთვის გათვალისწინებული სასჯელი;

ბ) ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ცნობს;

გ) ბრალდებული თანხმობას აცხადებს საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებულ სასჯელის სახესა და ზომაზე;

დ) ბრალდებულისთვის ცნობილია საპროცესო შეთანხმების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი;

ე) ბრალდებულისათვის ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემთხვევაში, მოსამართლეს განაჩენი გამოაქვს მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის დროს.[43]

ოქმის დედანი პროკურორთან რჩება, ხოლო ასლი ბრალდებულსა და მის ადვოკატს გარაეცემა. ბრალდებულსა და მის ადვოკატს უფლება აქვთ, საპროცესო შეთანხმების ოქმზე გამოთქვან შენიშვნები., რომელიც თან ერთვის ოქმს. საპროცესო შეთანხმების ქმს ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებული და მისი

[43] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი,2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისი, 2015, გვ.636.

ადვოკატი, აგრათვე ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

19.2. სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმა

თუ პროკურორი, ბრალდებული და მისი ადვოკატი შეთანხმდებიან საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე, შუამდგომლობას წერილობით ადგენს პროკურორი, რომელიც ბრალდებულის განცხადებასთან ერთად უნდა წარედგინოს სასამართლოს. თუ სასამართლოს შუამდგომლობა წარედგინება გამოძიების სტადიაზე, მას თან ერთვის სისხლის სამართლის საქმე. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს:

ა) ბრალდებულის სახელი და გვარი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი;

ბ) ბრალდების ფორმულირება — ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

გ) მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა;

დ) ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობის შემთხვევაში-თანამშრომლობის ფორმა და შინაარსი;

ე) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლებითაც გათვალისწინებულია შესაბამისი დანაშაული;

ვ) პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელის სახე და ზომა;

ზ) მითითება, იმის თაობაზე, რომ თუ რა შედეგები მოყვება საპროცესო შეთანხმებას და რომ, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირი გამოკვლევის გარეშე გამოაქვს და საპროცესო შეთანხმება არ გაათავისუფლებს სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან ბრალდებულს, აგრეთვე საქართველოს მთავარი პროკურორის ან მის მოადგილის დასაბუთებული შუამდგომლობის თაობაზე მითითება, რომელიც ბრალდებულს სრულად ან ნაწილობრივ გაათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

შუამდგომლობას ხელს აწერენ პროკურორი, ბრალდებულის ადვოკატი და ბრალდებული, აგრეთვე ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

როგორც აღვნიშნეთ, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს ბრალდებულის წერილობითი განცხადება, რომელზეც ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ხელმოწერა იქნება დაფიქსირებული.

ბრალდებულის წერილობით განცხადებაში უნდა აღინიშნოს:

ა) რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანაზე თანხმობა ბრალდებულმა ნებაყოფლობით განაცხადა ადვოკატისაგან იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ;

ბ) ბრალდებული სრულყოფილად აღიქვამს საპროცესო შეთანხმების შინაარსს;

გ) ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ცნობს;

დ) ბრალდებული საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე თანხმობას ნებაყოფლობით აცხადებს;

ე) ბრალდებულისათვის ცნობილია საპროცესო შეთანხმების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები.

შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე და საპროცესო შეთანხმების ოქმი საჯაროა, გარდა იმ ნაწილისა, რომელშიც მითითებულია ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია. ამ ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ:

ა) მის ხელმომწერ პირებსა;

ბ) სასამართლოს;

გ) იმ ბრალდებულს (მის ადვოკატს), რომლის შესახებაც სხვა ბრალდებული საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოძიებას მამხილებელ ინფორმაციას აწვდის.

საპროცესო შეთანხმების შინაარსი სრულად ინდა იყოს ხელმისაწვდომი იმ ბრალდებულისათვის (მისი ადვოკატისათვის), რომლის წინააღმდეგაც აწვდის ინფორმაციას ის ბრალდებული, რომელიც თანამშრომლობს პროკურორთან.

პროკურორის შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე თან უნდა დაერთოს საპროცესო შეთანხმების ოქმი.

საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით და დამტკიცდეს სასამართლოს მიერ. საპროცესო შეთანხმება უნდა აისახოს სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში.

სასამართლო ვალდებულია საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე დარწმუნდეს, რომ:

ა) საპროცესო შეთანხმება დადებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე;

ბ) საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით არის დადებული და ბრალდებული ნებაყოფლობით აღიარებს ბრალს;

გ) ბრალდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების, მათ შორის, ნასამართლობის, სამართლებრივ შედეგებს;

დ) ბრალდებულს ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა;

ე) ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება;

ვ) ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს;

ზ) ბრალდებულისათვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ;

თ) ბრალდებული აცნობიერებს, რომ, თუ სასამართლომ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი საპროცესო შეთანხმების განხილვისას სასამართლოს მიაწვდის;

ი) ბრალდებული აცნობიერებს, რომ მას აქვს შემდეგი უფლებები:

ი.ა) დაცვის უფლება;

ი.ბ) საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის უფლება;

ი.გ) სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლება;

კ) ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს;

ლ) საპროცესო შეთანხმებაში ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობაა ასახული;

მ) ბრალდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.

მოსამართლეს ვალდებულება აკისრია ბრალდებულს განუმარტოს, რომ თუ შეიტანს საჩივარს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე, ეს არ გახდება კანონის საფუძველზე დადებული საპროცესო შეთანხმების ხელის შემშლელი გარემოება.

19.3 სასამართლოს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე

მიიღებს რა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობას, საპროცესო შეთანხმების ოქმს, განცხადებას საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ და სისხლის სამართლის საქმის მასალებს, სასამართლო უფლებამოსილია, მისი განხილვის შედეგად მიიღოს შემდეგი ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

1) საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე;

2) საქმის პროკურორისათვის დაბრუნების თაობაზე;

3) კანონით დადგენილი წესით საქმის არსებითი განხილვის თაობაზე.

საკითხს საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე იხილავს შესაბამისი სასამართლო კანონით დადგენილი განსჯადობის მიხედვით.

სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე ამოწმებს:

ა) დასაბუთებულია თუ არა ბრალდება;

ბ) არსებობს თუ არა კანონით გათვალისწინებული

გარემოებები, რომელიც იძლევა საპროცესო შეთანხმების საფუძველს;

გ) კანონიერი და სამართლიანი არის თუ არა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი.

სასამართლომ არ უნდა დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, თუ მას მიაჩნია, რომ დამარწმუნებელი პასუხები ვერ მიიღო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემდეგ გარემოებებზე:

ა) საპროცესო შეთანხმება დადებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე;

ბ) საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით არის დადებული და ბრალდებული ნებაყოფლობით აღიარებს ბრალს;

გ) ბრალდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების, მათ შორის, ნასამართლობის, სამართლებრივ შედეგებს;

დ) ბრალდებულს ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა;

ე) ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება;

ვ) ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს;

ზ) ბრალდებულისათვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ;

თ) ბრალდებული აცნობიერებს, რომ, თუ სასამართლომ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი საპროცესო შეთანხმების განხილვისას სასამართლოს მიაწვდის;

ი) ბრალდებული აცნობიერებს, რომ მას აქვს შემდეგი უფლებები:

ი.ა) დაცვის უფლება;

ი.ბ) საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის უფლება;

ი.გ) სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლება;

კ) ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს;

ლ) საპროცესო შეთანხმებაში ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობაა ასახული;

მ) ბრალდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარდგენილია საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები, ე.ი. მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა ობიექტურ პირს, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე, დამარწმუნებელი პასუხები მიიღო ზემოთ ჩამოთვლილ (სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილი) გარემოებებზე და მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. აღნიშნული განაჩენი გამოიტანება 15 დღის ვადაში მას შემდეგ, როდესაც პროკურორი წარადგენს ასეთ შუამდგომლობას.

თუ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე იხილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა და სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმება წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების შედეგად არის დადებული, იგი საქმეს ზემდგომ პროკურორს გადასცემს. ზემდგომი პროკურორი საპროკურორო საქმიანობის განხორციელების ვალდებულებას სხვა პროკურორს აკისრებს.

სასამართლო პროკურორს საქმეს უბრუნებს შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს;

ბ) თუ დაადგენს, რომ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა კანონის მოთხოვნათა დარღვევით არის წარდგენილი.

პროკურორისათვის საქმის დაბრუნებამდე სასამართლო მხარეებს სთავაზობს, შუამდგომლობის სასამართლო სხდომაზე განხილვისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. თუ სასამართლოს საპროცესო შეთანხმების პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი საქმეს პროკურორს უბრუნებს.

ბრალდებულს უფლება აქვს უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე ნებისმიერ დროს, ვიდრე სასამართლო გამოიტანს განაჩენს. განაჩენის გამოტანის შემდეგ საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმა დაუშვებელია.

მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები.

დაუშვებელია ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების მის საწინააღმდეგოდ გამოყენება თუ:

ა) სასამართლო გააუქმებს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენს;

ბ) ბრალდებული თვითონ განაცხადებს უარს საპროცესო შეთანხმებაზე.

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენი, კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე და გასაჩივრებას ექვემდებარება საპროცესო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

თუ სასამართლო უარს იტყვის საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, მხარეს უფლება აქვს მოცემული გადაწყვეტილება გაასაჩივროს 15 დღის ვადაში შემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

მხოლოდ მსჯავრდებულის უფლებაა შეიტანოს საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გაუქმების თაობაზე ასეთი, განაჩენის გამოტანიდან 15 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში თუ

ა) საპროცესო შეთანხმება იძულებით, მუქარით, ძალადობით, დაშინებით ან მოტყუებით დაიდო;

ბ) ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება;

გ) საპროცესო შეთანხმება ისე დაიდო, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს;

დ) საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნები.

თუ მსჯავრდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმების პირობა, პროკურორი უფლებამოსილია დარღვევის გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში შეიტანა საჩივარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე.

თუ ზემდგომი სასამართლო გაუქმებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო განაჩენს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ საქმე დაუბრუნდება პროკურორს.

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ განაჩენის დამოწმებული ასლები განაჩენის გამოტანიდან 3 დღის ვადაში გადაეცემა მსჯავრდებულს, მის ადვოკატს და პროკურორს.

საპროცესო შეთანხმების დადებამდე პროკურორი ვალდებულია გაიაროს კონსულტაცია დაზარალებულთან და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადება, რის შესახებაც პროკურორი ადგენს ოქმს.

ვიდრე დამტკიცდება საპროცესო შეთანხმება სასამართლოს მიერ, დაზარალებულს უფლება აქვს, სასამართლოს წერილობით ან სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს ზეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა.

დაზარალებულს უფლება არ აქვს გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება, რაც არ ართმევს უფლებას, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი.

საქართველოს მთავარ პროკურორს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის თაობაზე, განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც:

ა) ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ან/და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა;

ბ) ბრალდებულის უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები.

დასახელებული შუამდგომლობა გამოიტანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულსა (მსჯავრდებულსა) და საქართველოს მთავარ პროკურორს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ.

განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებისას საქართველოს მთავარმა პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესები. კერძოდ:

ა) სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები;

ბ) ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე;

გ) დანაშაულის ხასიათი;

დ) ბრალდებულის ბრალეულობის ხარისხი;

ე) ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროება;

ვ) ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები;

ზ) ბრალდებულის ნასამართლობა;

თ) ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობა;

ი) დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევა.

თუ მსჯავრდებულთან ხდება შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ მთავარმა პროკურორმა დამატებით მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის მოუხდელი ვადა.

განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება იდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) დანაშაულის გახსნა ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია აღნიშნული თანამშრომლობით;

ბ) ამ დანაშაულის გახსნის საჯარო ინტერესი აღემატება პირის პასუხისგებაში მიცემის, მისთვის სასჯელის დაკისრების ან მის მიერ სასჯელის მოხდის ინტერესს.

განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში აღინიშნება, რომ თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) არ ითანამშრომლებს საგამოძიებო ორგანოებთან, შეთანხმება მისი პირობების შესაბამისად ბათილად ჩაითვლება. შეთანხმებას ხელს აწერენ ბრალდებული (მსჯავრდებული), მისი ადვოკატი და საქართველოს მთავარი პროკურორი.

შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბრალდებული სრულად თავისუფლდება სასჯელისაგან, თუმცა იგი ითვლება ნასამართლევად.

თუ დაკმაყოფილდება შუამდგომლობა მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ, სასამართლო იღებს სამიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

1) მსჯავრდებულის სასჯელის შემცირების თაობაზე.

2) სასჯელის სახის შეცვლის თაობაზე.

3) მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების თაობაზე.

ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება დაუშვებელია ისეთ დანაშაულთა საქმეებზე, როგორიცაა:

1) წამება (მუხლი 144^1-ე);

2) წამების მუქარა (მუხლი 144^2-ე);

3) დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (მუხლი 144^3-ე).

მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ შუამდგომლობას განიხილავს განაჩენის გამომტანი პირველი ინსტანციის სასამართლო ზეპირი მოსმენით. თუმცა სასამართლო უფლებამოსილია ეს შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ საპროცესო შეთანხმების არსი;

2) საპროცესო შეთანხმების დადებამდე, რა გარემოებებს იღებს მხედველობაში პროკურორი?

3) საპროცესო შეთანხმების შესახებ რა სახის დოკუმენტი დგება და რა აისახება მასში?

4) რა აისახება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობაში?

5) საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე რა საკითხებში უნდა დარწმუნდეს სასამართლო?

6) რა გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის შემდეგ?

7) რა საკითხს ამოწმებს სასამართლო საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე?

8) რაში უნდა დარწმუნდეს სასამართლო, რომ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება?

9) რა შემთხვევებში უბრუნებს სასამართლო საქმეს პროკურორს საპროცესო შეთანხმების საკითხის გადაწყვეტისას?

10) შესაძლებელია თუ არა საპროცესო შეთანხმებაზე უარი თქვას ბრალდებულმა?

11) თუ სასამართლო უარს იტყვის საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, შესაძლებელია თუ არა მისი გასაჩივრება და რა ვადაში?

12) რა ვადაში შეიძლება შეიტანოს საჩივარი მსჯავრდებულმა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განჩინების გაუქმების თაობაზე?

13) სად, რა ვადასა და საფუძვლით შეიძლება შეიტანოს საჩივარი პროკურორმა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გაუქმების თაობაზე?

14) საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ განაჩენის დამოწმებული ასლები განაჩენის გამოტანიდან ვის და რა ვადაში გადაეცემა?

15) ვის და რა საფუძვლით აქვს უფლება სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ან მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის თაობაზე?

16) რა გარემოებებს ითვალისწინებს მთავარი პროკურორი განსაკუთრებული თანამსრომლობის შესახებ შეთანხმების დადებისას?

17) თუ დაკმაყოფილდება შუამდგომლობა მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ, სასამართლო რა სახის გადაწყვეტილებას იღებს?

18) რომელ დანაშაულთა საქმეებზეა დაუშვებელი ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება?

თავი 20. წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში

20.1 წინასასამართლო სხდომა.

წინასასამართლო სხდომა წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტადიას. ამ სტადიის არსი იმაში გამოიხატება, რომ მოსამართლე არკვევს და რწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა და შესაძლებელია თუ არა სისხლის სამართლის საქმის დაუბრკოლებელი განხილვა სასამართლოში.

წინასასამართლო სხდომა საქმის სასამართლო განხილვის მნიშვნელოვანი ეტაპია. ეს არის სისხლის სამართლის პროცესის დამაკავშირებელი რგოლი გამოძიებასა და საქმის არსებით განხილვას შორის.

წინასასამართლო სხდომა გაიმართება მას შემდეგ, როდესაც დამთავრდება გამოძიება. მოსამართლე გამართავს წინასასამართლო სხდომას ყველა სისხლის სამართლის საქმეზე (გარდა საპროცესო შეთანხმებისა) მანამ, სანამ საქმის არსებითი განხილვა დაიწყება პირველი ინსტანციის სასამართლოში.

წინასასამართლო სხდომის სტადიას ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი. კერძოდ, წინასასამართლო სხდომის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ მოსამართლე ამ სტადიაზე წინასწარ არ წყვეტს ბრალეულობის საკითხს. ამ საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს საქმის არსებითი განხილვის შემდეგ, განაჩენის დადგენის დროს. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დანაშაულობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“.

წინასასამართლო სხდომის დროს მოსამართლის გადაწყვეტილება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, ატარებს წინასწარ ხასიათს და არ არის სავალდებულო სასამართლოსათვის. საქმის არსებითი განხილვის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის მიმართ ჩატარდა წინასასამართლო სხდომა, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

წინასასამართლო სხდომის შემდეგი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ამ სტადიაზე მართალია წარმოეებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე საკითხის გადაწყვეტა, მაგრამ არ წყდება საკითხი მათი რელევანტურობისა და უტყუარობის შესახებ. ამ ეტაპზე წყდება მხოლოდ ერთი საკითხი: არის თუ არა წარმოდგენილი მტკიცებულებები ბრალდების მხარის მიერ, რომელიც იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა.

მართალია, წინასასამართლო სხდომის სტადიაზე მოსამართლე უფლებამოსილია საბოლოოდ შეაფასოს მტკიცებულებანი და შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ ამ შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებანი ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა.

წინასასამართლო სხდომის თავისებურება აგრეთვე იმაში გამოიხატება, რომ ამ სტადიაზე განხილულ უნდა იყოს შუამდგომლობები, რომლებიც წარმოდგენილია მხარეების მიერ სასამართლოს წინაშე და ეხება საქმეს. ასეთი შუამდგომლობებია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების, საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის, მოწმეების გამოძახების, სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების, შეწყვეტის, გამოყოფის შესახებ და ა.შ.

ყველა აღძრული შუამდგომლობა განხილულ უნდა იყოს წინასასამართლო სხდომის სტადიაზე და მიღებულ იქნეს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

დაბოლოს, წინასასამართლო სხდომის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ამ სტადიაზე უნდა გადაწყდეს საკითხი არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის თაობაზე. ამ დროს წყდება ისეთი ორგანიზაციული საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საქმის არსებითი განხილვის მომზადებასთან.

როგორც აღინიშნა, წინასასამართლო სხდომა საქმის სასამართლო განხილვის მნიშვნელოვანი ეტაპია. იგი წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს გამოძიებასა და საქმის არსებით განხილვას შორის. წინასასამართლო სხდომა მიზნად ისახავს ისეთი პირობების შექმნას რომ დაუბრკოლებლად ჩატარდეს საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში.

წინასასამართლო სხდომა როგორც უკვე აღინიშნა, უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან (თუ ის არ დაუკავებიათ) არაუგვიანეს 60 (სამოცი) დღისა. მხარეთა მონაწილეობით წინასასამართლო სხდომაზე განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები. სხდომა შედგება შესავალი, ძირითადი და შემაჯამებელი ნაწილებისაგან[44].

ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში ხდება მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე საკითხის გადაწყვეტისას.

სხდომის შესავალ ნაწილში, თუ ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის, წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე:

ა) ბრალდებულს განუმარტავს ბრალდების არსს, და ამ ბრალდებით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომას;

ბ) არკვევს, ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავეს წარდგენილ ბრალდებაში, და რა მოცულობით;

გ) არკვევს საპროცესო შეთანხმების დადგენის შესაძლებლობას;

დ) ვალდებულია ბრალდებულს განუმარტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები და მასთან დაკავშირებული ბრალდებულის უფლებები;

ე) არკვევს, თანახმაა თუ არა ბრალდებული, რომ მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს. თუ ბრალდებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარს არ განაცხადებს, მოსამართლე ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღს. მხარეთა პოზიციის გარკვევის შემდეგ, იწყება წინასასამართლო სხდომის ძირითადი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს მხარეთა შუამდგომლობების დაყენებისა და განხილვის ეტაპს. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს და წყვეტს კანონით გათვალისწინებულ საკითხებს,

---

[44] მ. ტურავა, სამართლებრივი მართლწერა(შუამდგომლობები, საჩივრები),ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (გასაჩივრების პროცედურები), გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2012, გვ. 110

რომელიც არ არის ამომწურავად ჩამოთვლილი, მაგრამ სანიმუშო ხასიათისაა. წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე:

ა) განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე;

ბ) განიხილავს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან გაუქმების შესახებ;

გ) განიხილავს შუამდგომლობას საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით;

დ) განიხილავს მხარეთა სხვა შუამდგომლობებს;

ე) წყვეტს არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის საკითხს.

ამ უკანასკნელი საკითხის გადაწყვეტა, ე.ი. არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს წინასასამართლო სხდომის შემაჯამებელ ნაწილს. წინასასამართლო სხდომის მთავარი დანიშნულება სწორედ პირის მიმართ წაყენებული ბრალდების მთავარ სასამართლო სხდომაზე განსახილველად დაშვების საკითხის გადაწყვეტაა. არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდება რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა.

თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას, რომელიც ერთჯერადად მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ან ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინებაზე შეტანილი საჩივრის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში განხილვა შესაძლებელია როგორც ზეპირი მოსმენით, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე.

თუ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინებას სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გაუქმდება, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია საქმეს უბრუნებს გადაწყვეტილების მიმღები რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის მიღებიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოფს წინასასამართლო სხდომის გამართვას კანონით გათვალისწინებული საკითხების გადასაწყვეტად.

თუ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიიღებს გადაწყვეტილებას მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე, იგი შეიძლება გაასაჩივროს მხარემ ერთჯერადად 5 დღის ვადაში გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით, ხოლო ეს უკანასკნელი სააპელაციო სასამართლოს უგზავნის საჩივარს, საქმის მასალებსა და წინასასამართლო სხდომის ოქმს. საჩივარს მისი შესვლიდან 5 დღის ვადაში განიხილავს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე.

წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე ემზადება საქმის არსებითი განხილვისათვის, რა დროსაც მხარეთა მონაწილეობით:

ა) განსაზღვრავს საქმის არსებითი განხილვის სხდომის დაწყების თარიღს;

ბ) საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსაწვევ პირებს უგზავნის სასამართლო უწყებებს;

გ) ამტკიცებს მხარეების მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხას, ასევე მათგან მიღებულ იმ მტკიცებულებათა ჩამონათვალს რომლებსაც მხარეები სადავოდ არ ხდიან;

დ) ბრალდებულს რომელიც პატიმარი არ არის წერილობით განუმარტავს საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგებს;

ე) იღებს სხვა ზომებს სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისათვის მოსამზადებლად.

თუ საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე მოსამართლე 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ადგენს ნაფიც მსაჯულობის კანდიდატთა სიას არაუმეტეს 300 პირის შემადგენლობით, რომელთაც შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მიენიჭება რიგითი ნომერი. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე არანაკლებ 20 დღით ადრე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს საცხოვრებელი ადგილის მისამართზე ეგზავნებათ მოსამართლის მიერ დამტკიცებული კითხვარი, რომელსაც იგი ამტკიცებს მხარეებთან მოთათბირების საფუძველზე. ცალკეული კანდიდატი ვალდებულია უპასუხოს კითხვებს და 5 დღის ვადაში დაუბრუნოს მოსამართლეს შვსებული კითხვარი. მოსამართლე ვალდებულია შევსებული კითხვარები მიღებიდან 5 დღის ვადაში მხარეებს გადასცეს.

18 წელს მიღწეულ ერთიან მოქალაქეთა სიას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ყოველწლიურად არაუგვიანეს პირველი ივლისისა უგზავნის შესაბამის სასამართლოს.

სასამართლო ვალდებულია შეატყობინოს მხარეებს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ადგილისა და დროის შესახებ, რომლებსაც უფლება აქვთ დაესწრონ მსაჯულების შერჩევის პროცედურას. მხარეს უფლება აქვს ერთჯერადად 24 საათის განმავლობაში გაასაჩივროს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილება ან მოქმედება, რომელსაც უკანონოდ მიიჩნევს. საჩივარი შეიტანება საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარესთან, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს მას საჩივრის შეტანიდან 24 საათის განმავლობაში.

შერჩეული ნაფიცი მსაჯულების კანდიდატთა სიაში მიეთითება პირის გვარი და სახელი. სიას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე. მოცემული სიის ასლები გადაეცემა მხარეებს.

ნაფიცი მსაჯულების კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომის დაწყებამდე ეგზავნებათ უწყება, სადაც მითითებულია სხდომის დაწყების დრო, ადგილი და გამოცხადების სავალდებულობა. ნაფიც მსაჯულთა შრჩევის პირველ სხდომაზე გამოძახების უწყება ეგზავნება ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის პირველ 150 კანდიდატს რიგითი ნომრების მიხედვით.

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია სასამართლოს უწყების მიღებიდან 2 დღის განმავლობაში აცნობოს თუ არსებობს კანონით განსაზღვრული აცილების საფუძველი.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა ღიაა. სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია დახუროს სხდომა თუ არსებობს მისი დახურვის კანონით გათვალისწინებული საფუძველი. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომას ხსნის სხდომის თავმჯ-

დომარე, რის შემდეგაც სხდომის მდივანი აცხადებს მსაჯულობის კანდიდატთა ვინაობას.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლოში მსაჯულობის 50-ზე ნაკლები კანდიდატი გამოცხადდება, მოსამართლე უფლებამოსილია დაიწყოს სხდომა და მსაჯულთა შერჩევის პროცედურა.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე თავმჯდომარე:

ა) წარადგენს საკუთარ თავს, და სხდომის მდივანს;

ბ) მიმართავს მსაჯულობის კანდიდატებს და განუმარტავს მათ მოწვევის მიზანს;

გ) აცხადებს რომელი საქმე განიხილება და მსაჯულობის კანდიდატებს გააცნობს წარდგენილ ბრალდების შინაარსს;

დ) მსაჯულობის კანდიდატებს განუმარტავს კანონს, რომელიც გამოყენებული იქნება საქმის განხილვისას;

ე) აცხადებს საქმის განხილვაში მონაწილე მხარეებს;

ვ) განსაზღვრავს სხდომის ხანგრძლივობას და სხვა პროცედურულ საკითხებს.

სასამართლო მსაჯულობის კანდიდატებს მიაწვდის მხარეთა მონანილეობით მომზადებულ განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე.

ამის შემდეგ სასამართლოში ხდება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის, აცილების და თვითაცილების საკითხის გადაწყვეტა.

მსაჯულობის კანდიდატის აცილების უფლება აქვთ მხარეებს, რომელიც შეიძლება იყოს დასაბუთებული ან დაუსაბუთებელი. აცილების შესახებ შუამდგომლობა მხარემ უნდა დააყენოს ნაფიც მსაჯულობის კანდიდატობის შერჩევის სხდომაზე სხდომის თავმჯდომარის წინაშე. მხარეს უფლება აქვს დააყენოს შუამდგომლობები განუსაზღვრელი რაოდენობის დაუსაბუთებელი აცილების შესახებ და განსაზღვრული რაოდენობის დაუსაბუთებელი აცილების შესახებ. კანონი მიუთითებს აცილების საკითხის დაყენების თანმიმდევრობას. კერძოდ, მხარეები პირველად აყენებენ შუამდგომლობებს დასაბუთებული აცილების შესახებ, ხოლო შემდეგ-შუამდგომლობებს დაუსაბუთებელი აცილების შესახებ. აცილების უფლებას პირველი ახორციელებს ბრალდების მხარე, ხოლო შემდეგ - დაცვის მხარე.

მოსამართლე ამოწმებს ყველა გარემოებას, რომელიც შეიძლება გახდეს მსაჯულობის კანდიდატის აცილების (თვითაცილების) საფუძველი, და მხარეებს საშუალებას აძლევს, შეკითხვები დაუსვან მსაჯულობის კანდიდატებს და წარმოადგინონ დამატებითი მასალები აცილების თაობაზე.

მოსამართლეს უფლება აქვს მხარეებს მოსთხოვოს იმ შეკითხვების წინასწარ წარმოდგენა, რომლებიც უნდა დაუსვან მსაჯულობის კანდიდატებს.

მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია სწორი და ამომწურავი პასუხები გასცეს მისთვის დასმულ შეკითხვებს, წარმოადგინოს სხვა აუცილებელი ინფორმაცია, მისი და განსახილველი საქმის მონაწილეების ურთიერთობის თაობაზე, აგრეთვე ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საქმის ობიექტურად და მიუკერძოებლად განხილვაში.

მხარის მიერ მსაჯულობის კანდიდატისთვის დასმული შეკითხვები არ უნდა ხელყოფდეს მის პერსონალურ მონაცემებს, პროფესიულ ან/და კომერციულ საიდუმლოებას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ეს აუცილებელია მსაჯულობის ინტერესებისათვის. მსაჯულობის კანდიდატს შეიძლება მოეთხოვოს

აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ მხარის დასაბუთებული მოთხოვნის არსებობისას. თუ აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მის ინტერესებს, მსაჯულობის კანდიდატი ინფორმაციას აწვდის მხოლოდ უშუალოდ სხდომის თავმჯდომარესა და მხარეებს.

თუ არსებობს ნაფიც მსაჯულის მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულის უფლებამოსილების განხორციელებაში, მსაჯულობის კანდიდატს შეუძლია მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ და მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომელიც გახდა თვითაცილების დაყენების საფუძველი. დაყენებული შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს. მხარეებს უფლება აქვთ, გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება მსაჯულობის კანდიდატის თვითაცილების საკითხზე.

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ თვითაცილების შესახებ დაყენებული შუამდგომლობების განხილვის შედეგად მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. მოსამართლე აცილების შესახებ საკითხს განიხილავს ცალკე, მხოლოდ პროკურორისა და ადვოკატის მონაწილეობით, ცხდომაზე დამსწრე პირთა მიერ სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვების გარეშე. მსაჯულობის კანდიდატმა, რომლის მიმართაც გადაწყდა აცილების საკითხი უნდა დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი.

თუ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პირველ სხდომაზე ვერ შეირჩა ყველა ნაფიცი მსაჯული, მოსამართლე გადადებს სხდომას არაუმეტეს 10 დღისა და კანონით დადგენილი წესით მოიწვევს დარჩენილ კანდიდატებს მოქალაქეთა ერთიანი სიიდან. თვითაცილებისა და აცილების შემდეგ თუ მსაჯულობის კანდიდატთა რაოდენობა სიაში 14-ზე ნაკლებია, მოსამართლე გადადებს სხდომას არაუმეტეს 10 დღით და მოიწვევს დამატებით არაუმეტეს 100 კანდიდატს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის საპროცესო კოდექსით დადგენილ რაოდენობამდე შესავსებად.

თუ ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას, მხარეს 10 დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლება აქვს. თუ ბრალდება არ ითვალისწინებს სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას – მხარე უფლებამოსილია განაცხადოს 6 დაუსაბუთებელი აცილება.

თუ საქმეში ორი ან მეტი ბრალდებულია, თითოეულ მათგანს დამატებით 3 კანდიდატის დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლება ეძლევა. იგივე უფლება ეძლევა ბრალდების მხარეს. თითოეული რომელიმე ბრალდებული სრულად არ გამოიყენებს აცილების განცხადების საკუთარ კოტას, მისი გამოყენების უფლება ენიჭება იმავე საქმეში სხვა ბრალდებულს. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარე სარგებლობს იმდენივე დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლებით, რამდენითაც ისარგებლა ყველა ბრალდებულმა საერთო ჯამში.

აცილების შემდეგ დარჩენილი მსაჯულობის კანდიდატთაგან თორმეტს სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს ნაფიც მსაჯულად, ხოლო დანარჩენი ორი საქმის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს როგორც სათადარიგო მსაჯული. საქმის სირთულიდან გამომდინარე მოსამართლე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უფრო მეტი სათადარიგო მსაჯულის დამტკიცების შესახებ. ეს გადაწყვეტილება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

სათადარიგო მსაჯული ესწრება სასამართლო სხდომას, მაგრამ მას უფლება არა აქვს, გამოხატოს საკუთარი აზრი, გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულზე და დაესწროს სასამართლოს თათბირს. მას უფლება არა აქვს გამოაცხადოს საკუთარი აზრი, გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულებზე, ან მომაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში, გარდა ისეთი შემთხვევისა, თუ მან შეცვალა ნაფიცი მსაჯული, რომელიც გამოვა ძირეთადი შემადგენლობიდან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო თათბირი თავიდან იწყება.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს საქმის განხილვის დღეს, რომელიც არ უნდა იყოს არაუგვიანეს შერჩევის პროცედურის დასრულებიდან მესამე დღეს.

20.2 საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში

სასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვა (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილება) უნდა დაიწყოს წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს 14 დღისა. თუმცა მოცემული ვადა შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, როდესაც მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო სხვა ვადას განსაზღვრავს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯადობას მიეკუთვნება ბრალდების საქმეები შემდეგ დანაშაულებზე: განზრახ მკვლელობა (108-ემ), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (109-ე მ), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების კვალიფიციური შემადგენლობა (117-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-6 და მე-8 ნაწ.), ძალადობა (126-ე მ. ნაწ. მე-2), ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა (135[1]-ე მ), თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143-ე მ, წან. მე-2- მე-4), ადამიანით ვაჭრობა (143[1]-ე მ), არასრულწლოვნით ვაჭრობა (143[2]-ე მ), ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა (143[3]-ე მ), მძევლად ხელში ჩაგდება (144-ე მ), წამება (144[1]-ე მ), წამების მუქარა (144[2]-ე მ), დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (143[3]-ე მ, ნაწ. მე-2), უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში (146-ე მ, ნაწ. მე-2), განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (147-ე მ), უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (149-ე მ), ფალსიფიკაცია (197-ე მ, ნაწ. მე-4), ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია (198-ე მ, ნაწ. მე-3), აფეთქება (229-ემ.).

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ განიხილავს საქმეს, როდესაც ბრალდებული შუამდგომლობს, რომ საქმე განხილულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. ამ შემთხვევაში საქმეს საქმეს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობა უნდა უზრუნველყოფდეს მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას.

საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით დაადგინოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატანა ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში. ეს ხდება მაშინ თუ შეუძლებელია საქმის სამართლიანად და ობიექტურად განხილვის უზრუნველყოფა:

ა) მასმედიით მისი ინტენსიური გაშუქების გათვალისწინებით.

ბ) საქმისადმი კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულების გათვალისწინებით.

საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო სხდომას წარმართავს სხდომის თავმჯდომარე.

20.3. მხარისა და მოწმის გამოცხადების შეძოწმება და გაფრთხილება

საქმის არსებითი განხილვისას სასამართლოში მხარეები უზრუნველყოფენ საკუთარი მოწმეების გამოცხადებას სასამართლოში.

თუ მხარე არ აპირებს რომელიმე პირის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში, სასამართლოს მიერ ამ პირის საკუთარი ინიციატივით გამოძახება და დაკითხვა დაუშვებელია.

სასამართლო სხდომის მდივანი არკვევს გამოცხადდნენ თუ არა სასამართლოში მხარეები და მოწმეები. თუ რომელიმე გამოძახებული პირი არ გამოცხადებულა სასამართლოში, სასამართლო სხდომის მდივანი არკვევს გამოუცხადებლობის მიზეზებს. მხარეთა და მოწმეთა გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლო სხდომის მდივანი მოახსენებს სასამართლოს. ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს პროცესის მონაწილეებს და სხდომაზე დამსწრე პირებს, რომ წესრიგის დაცვის მიზნით სასამართლოს მითითება სავალდებულოა შესასრულებლად, ასევე განმარტავს თუ რა ღონისძიებები გამოიყენება სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ.

გამოცხადების შემოწმების შემდეგ მოწმედ დასაკითხი პირები, გარდა ბრალდებულისა ტოვებენ სასამართლო სხდომის დარბაზს. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გასცეს აღნიშნული პირების მიმართ მათთვის განკუთვნილ ოთახში გაყვანის განკარგულება და იღებს ზომებს, რომ დაკითხვამდე მათ ერთმანეთთან კონტაქტი არ ჰქონდეთ.

ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას ვინ უჭერს მხარს ბრალდებას და ვინ ახორციელებს დაცვას. სხდომის თავმჯდომარე მხარეებს ეკითხება ხომ არ აქვთ მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის, სხდომის მდივნის, თარჯიმანის ან პროცესის სხვა მონაწილის აცილების საფუძველი. ასევე განუმარტავს მათ აცილება მისცენ, როგორც ცალკეულ მოსამართლეებს, ისე სასამართლოს მთელ შემადგენლობას.

სხდომის თავმჯდომარე პროცესის მონაწილეებს განუმარტავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს.

სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ან წარმოდგენილია სწორედ ის ბრალდებული ვის მიმართაც საქმე იხილება. ამ მიზნით სხდომის თავმჯდომარე ადგენს ბრალდებულის ვინაობას, მის სახელს, გვარს, დაბადების წელს, თვეს, რიცხვსა და ადგილს.

როდესაც სასამართლო დარწმუნდება რომ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა ან წარმოდგენილია ის ბრალდებული, ვის მიმართაც იხილება საქმე, სხდომის თავმჯდომარე განუმარტავს:

ა) ბრალდების არსს;

ბ) ინკრიმინირებული ქმედების კვალიფიკაციას;

გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმსა და მაქსიმუმს, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებთ;

დ) უფლებას, ჩვენება მისცეს. თუ საქმეში მონაწილეობს რამდენიმე ბრალდებული, ასეთი განმარტება ეძლევა თითოეულ მათგანს.

სხდომის თავმჯდომარე არკვევს, ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ და თუ სცნობს, რაში.

ბრალდებულს უნდა განემარტოს:

ა) შეზღუდული არ არის გამოძიების დროს მის მიერ ბრალის აღიარებით ან უარყოფით;

ბ) არ არის ვალდებული პასუხი გასცეს დასმულ კითხვას.

გ) დუმილის უფლებით სარგებლობა არ შეიძლება მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

სხდომის თავმჯდომარე არკვევს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენებს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დებულებებს საპროცესო შეთანხმების შესახებ.

თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანამდე თავისი ინიციატივით პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც განიხილავს აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხს. ეს ორთვიანი ვადა აითვლება წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების, შეცვლის ან გაუქმების კანონით დადგენილი წესითა და სტანდარტით (მუხლი 206).

ასეთი წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის ვადა 2 თვეს აღემატება.

20.4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქმის არსებითი განხილვისას

სხდომის გახსნისას და სათათბირო ოთახში გასვლამდე სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს ზეპირ განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე, რომელიც არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, საპროცესო კოდექსს და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. ეს განმარტებები ნაფიც მსაჯულებს წერილობითი ფორმითაც გადაეცემა.

აღნიშნული განმარტებები წერილობითი სახით გონივრული ვადით ადრე უნდა გადაეცეს მხარეებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან სხდომის თავმჯდომარეს მიმართონ მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შუამდგომლობით. თუ მხარეები ამ უფლებას არ გამოიყენებენ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე, სხდომის თავმჯდომარის განმარტებათა სამართლიანობა და კანონიერება არ შეიძლება გახდეს საკასაციო საჩივრის საფუძველი.

სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს მოკლედ განუმარტოს სხდომაზე განხილული ყველა მტ-

კიცებულების შეფასების წესი, რა დროსაც მას ეკრძალება რაიმე ფორმით თავისი პირადი შეხედულების გამოხატვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტაც ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას განეკუთვნება.

სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს:

ა) ბრალდების შინაარსს და მის სამართლებრივ საფუძველს;

ა') ბრალდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის დადასტურების აუცილებლობას, ამ ქმედების ობიექტური შემადგენლობის თითოეული ელემენტის არსებობის დამტკიცების ჩათვლით; განზრახვისა და გაუფრთხილებლობის არსსა და მნიშვნელობას; მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხავ გარემოებებს;

ბ) მტკიცებულებათა შეფასების ძირითად წესს;

გ) უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნებას, იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი გონივრული ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება, აგრეთვე გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის შინაარსს;

დ) რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებულ კანონს და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას;

ე) რომ სხდომის მიმდინარეობისას მათ უფლება აქვთ აწარმოონ და გამოიყენონ ჩანაწერები;

ვ) რომ ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რომ არცერთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვისი მითითებით, რომ ვერდიქტი არ უნდა იქნეს გამოტანილი ვარაუდის საფუძველზე ან დაუშვებელი მტკიცებულებათა გამოყენებით;

ზ) თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე ვერდიქტის გამოტანის წესს;

თ) რომ ჯერ კენჭი უნდა უყარონ ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი ვერ მიიღება კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს, ბრალდების სიმძიმის მზარდი თანმიმდევრობით;

ი) რომ მათ ხელი უნდა მოაწერონ თვითოეული ბრალდებისათვის წარდგენილი ვერდიქტის ფორმებიდან მხოლოდ ერთს, გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმას.

სხდომის თავმჯდომარე განმარტების დამთავრებისას ნაფიც მსაჯულებს შეახსენებს, რომ მათ ფიცი დადეს.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებების მოსმენის შემდეგ ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, სხდომის თავმჯდომარეს წერილობით დაუსვან დამატებითი შეკითხვები. დამატებით განმარტებების მიცემა ხდება ზეპირად და წერილობითი სახითაც გადაეცემა.

თუ მხარე შუამდგომლობს სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია განუმარტოს ნაფიც მსაჯულებს რომ ბრალდებულმა შესაძლოა ჩაიდინა შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომლის შემადგენლობის ელემენტებს შეიცავს წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაულის ელემენტები, ამ შემთხვევაში ნაფიც მსაჯულებს დამატებით წარედგინებათ გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმა და მოსამართლე მათ განუმარტავს, თუ რა არის საერთო და განმასხვავებელი ბრალდებით გათვალისწინებულ დანაშაულსა და მეორე - შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულს შორის.

საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ნაფიცი მსაჯულის შეცვლას სათადარიგო მსაჯულით. სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულს ათავისუფლებს მისი მოვალეობის შესრულებისაგან და მის ნაცვლად ნაფიც მსაჯულად ნიშნავს მსაჯულთა სიაში მომდევნო სათადარიგო მსაჯულს, თუ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ:

ა) ნაფიც მსაჯულს არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობა;

ბ) გამოვლინდა მისი აცილების საფუძველი;

გ) ნაფიცმა მსაჯულმა დაარღვია საპროცესო კოდექსის მოთხოვნები.

თუ ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა ნაფიც მსაჯულთა საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, სხდომის თავმჯდომარე იწყებს მსაჯულთა ხელახალ შერჩევას და საქმის განხილვა საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით იწყება თავიდან.

სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან წილისყრის საფუძველზე ნიშნავს უფროს მსაჯულს.

უფროს მსაჯული თავმჯდომარეობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სახელით წერილობითი შეკითხვით მიმართავს სხდომის თავმჯდომარეს, აჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგებს, ადგენს შესაბამის დოკუმენტს, ხელს აწერს ვერდიქტს და სასამართლო სხდომაზე აცხადებს მას.

უფროსი მსაჯული გათავისუფლების შემთხვევაში მსაჯულთა სასამართლო თავის შემადგენლობიდან წილისყრის საფუძველზე ირჩევს ახალ უფროს მსაჯულს.

ნაფიცმა და სათადარიგო მსაჯულებმა სავალდებულოა დადონ ფიცი, რაც უნდა მოხდეს მას შემდეგ, როდესაც დაინიშნება (აირჩევა) უფროსი მსაჯული. ფიცის ტექსტს კითხულობს სხდომის თავმჯდომარე: "ვფიცავ, პატიოსნად და მიუკერძოებლად ალვასრულო ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა, გავითვალისწინო ყველა კანონიერი მტკიცებულება, გადაწყვეტილება მივიღო შინაგანი რწმენის საფუძველზე, როგორც შეეფერება სამართლიან ადამიანს."

ფიცის ტექსტის წაკითხვის შემდეგ მსაჯულთა სიაში რიგითობის მიხედვით ყოველი მსაჯული ამბობს: "ვადასტურებ"

ასეთივე წესით დებენ ფიცს სათადარიგო მსაჯულები. ფიცის დადების პროცედურა შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. ნაფიცი მსაჯული ფიცს ფეხზე ამდგარი დებს. ფიცის დადების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს მათ უფლება-მოვალეობებს, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 235-ე და 236-ე მუხლებით.

ნაფიც მსაჯულს უფლება აქვს თავის წერილობით მიმართვაზე მიიღოს:

ა) სასამართლოსაგან განმარტება გამოსაყენებელი კანონის თაობაზე;

ბ) წინასწარი ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ;

გ) სასამართლო სხდომის დროს დამატებითი განმარტება: სხდომის თავმჯდომარისგან – კანონის შესახებ, მოწმეთაგან – ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მხარეთაგან – დასკვნითი სიტყვების შესახებ;

დ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ოთახიდან დროს დამატებით გასვლამარტება მოსამართლისაგან კანონის შესახებ.

მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს გარკვეული სხდომის მიმდინარეობის ჩანაწერების გაკეთების უფლებას. ნაფიც მსაჯულების სასამართლო ოთახში გა-

ვლამდე ეძლევათ სასამართლო სხდომის ოქმი, გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც ეხება დაუშვებელ მტკიცებულებებს.

ნაფიც სათადარიგო მსაჯულებს ეკრძალებათ:

ა) სხდომის მიმდინარეობისას სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვება;

ბ) ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით;

გ) განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა სხვა პირებთან ურთიერთობა;

დ) განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ;

ე) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა.

ვ) სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევა და სხდომის თავმჯდომარის შესაბამისი მითითებების შეუსრულებლობა.

ნაფიცი მსაჯული ვალდებულია დაესწროს განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო სხდომებს და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს.

მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) მიერ საპროცესო კოდექსით განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს ნაფიც მსაჯულებს პასუხისმგებლობის შესაძლო ზომების შესახებ, აგრეთვე მათ განუმარტავს, რომ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გაათავისუფლებს მათ ნაფიც მსაჯულთა მოვალეობისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ნაფიც მსაჯულებს საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე განსახილველი საქმესთან არსებითი კავშირის მქონე საკითხებზე.

ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ:

ა) ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში ყოფნის შესახებ;

ბ) ბრალდებულის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის შესახებ;

გ) ბრალდებულის ნასამართლეობის შესახებ;

დ) ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არ აქვს ბრალის დამტკიცებასთან.

ბრალდებულის ნასამართლეობის შესახებ ნაფიც მსაჯულებს ეცნობებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნასამართლეობა არის ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ან/და გამიზნული არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად.

20.5. შუამდგომლობის დაყენება და გადაწყვეტა

მას შემდეგ რაც გაირკვევა მხარეთა გამოცხადების საკითხი სასამართლო სხდომაზე, სხდომის თავმჯდომარე არკვევს აქვთ თუ არა მათ შუამდგომ-

ლობა. ერთგვაროვანი სახის შუამდგომლობები სასამართლოს ერთად წარმოედგინება. მაგალითად, თუ ბრალდებული შუამდგომლობით ითხოვს რამდენიმე პირის მოწმობის სახით გამოძახებასა და დაკითხვას მისი გამართლების მიზნით, ყველა მოსაწვევი მოწმის სახელი და გვარი, საცხოვრებელი სახლის მისამართი აისახება ერთ შუამდგომლობაში. პირი, რომელიც დააყენებს შუამდგომლობას, ვალდებულია მიუთითოს, რა გარემოებათა დასადგენად არის დაყენებული შუამდგომლობა. მაგალითად, თუ ბრალდებული მოითხოვს ჯანმრთელობის ცნობის დართვას სისხლის სამართლის საქმეზე, ვალდებულია მიუთითოს, რომ მოცემული ცნობა ადასტურებს ბრალდებულის ყოფნას სამკურნალო დაწესებულებაში იმ დროს, როდესაც მოხდა დანაშაული და რისთვისაც წარედგინა ბრალდება.

საქმის არსებითი განხილვის დროს დამატებითი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში სასამართლო, მხარის შუამდგომლობით იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს იმ მიზეზებს, რის გამო არ მოხდა მოცემული მტკიცებულების წარდგენა საქმის არსებით განხილვამდე. ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მტკიცებულების დასაშვებობის საკითხი ნაფიცი მსაჯულების გარეშე განიხილება.

თუ სასამართლომ დასაშვებად სცნო წარდგენილი დამატებითი მტკიცებულება სასამართლოს შეუძლია გონივრული ვადით გადადოს საქმის განხილვა მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თუ მხარეს დაცვის ან ბრალდების პოზიციის მოსამზადებლად დამატებითი დრო ესაჭიროება.

შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვისას არსებითად ახალი მტკიცებულების მოპოვების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, თუ ამ მტკიცებულების მოპოვება ან მისი მოპოვების შესახებ შუამდგომლობის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით დაყენება მანამდე ობიექტურად შეუძლებელი იყო. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში მტკიცებულების მოპოვება ხდება საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით.

საქმის არსებითი განხილვისას ახალი მტკიცებულებების გამოკვლევა ხდება საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესის დაცვით, სასამართლოში საქმის აღსრულებითი განხილვის თავისებურების გათვალისწინებით.

20.6 საქმის განხილვა პროცესის მონაწილეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში

ბოლო საკითხი, რომელიც განხილული და გადაწყვეტილი უნდა იყოს სასამართლოში ვიდრე მხარეები წარმოთქვამენ შესავალ სიტყვებს, არის საკითხი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა საქმის არსებითი განხილვის დაწყება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში არ გამოცხადებულა პროცესის მონაწილე. ასეთ შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე იღებს ორიდან ერთ-ერთს შემდეგ გადაწყვეტილებათაგან:

ა) საქმის არსებითი განხილვის გაგრძელების შესახებ;

ბ) საქმის არსებითი განხილვის გადადების შესახებ.

თუ დაადგენს, რომ პირი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლოში სხდომის თავმჯდომარე მას განკარგულებით დააკისრებს ჯარიმას 100-

დან 500 ლარამდე ოდენობით. დაჯარიმება პირს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისაგან. ე.ი მოცემული დებულება ვრცელდება მოწმის სახით დასაკითხი პირის მიმართ (მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი, დაზარალებული). ეს განკარგულება არ გასაჩივრდება. მხარეს აქვს უფლება მოსამართლეს წინაშე დააყენოს შუამდგომლობა გამოძახებული პირის იძულებით მოყვანის თაობაზე. განკარგულება დაჯარიმების შესახებ არ გასაჩივრდება.

საქმის არსებითი განხილვის გადადების შემთხვევაში სასამართლო მხარეებს ჰკითხავს გამოცხადებული მოწმის დაკითხვის შესაძლებლობაზე. ამ წესით დაკითხულ მოწმეს მხარის შუამდგომლობით გამოიძახებენ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

20.7. მტკიცებულებათა გამოკვლევის ზოგადი წესი საქმის არსებითი განხილვისას

სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას სხდომის თავმჯდომარე ჯერ ბრალდების მხარეს აძლევს უფლებას წარადგინოს ბრალდების შესავალი სიტყვა. ამის შემდეგ ადვოკატსა და ბრალდებულს ეძლევათ უფლება, წარადგინონ დაცვის შესავალი სიტყვა.

თუ მხარე მზად არ არის წარადგინოს შესავალი სიტყვა, სხდომის თავმჯდომარე მხარეს შესავალი სიტყვის წარსადგენად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

მტკიცებულებათა გამოკვლევა იწყება მხარეების მიერ შესავალი სიტყვების წარდგენის შემდეგ.

საპროცესო კანონი ადგენს მტკიცებულებათა გამოკვლევის თანმიმდევრობას. იგი საშუალებას იძლევა საქმის არსებითი განხილვა წარიმართოს უფრო მიზანსწრაფულად.

პირველად იკვლევენ ბრალდების მხარის, ხოლო შემდეგ – დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. მხარე თვითონ განსაზღვრავს გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობასა და მოცულობას.

ბრალდების მხარის მიერ წარდენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს დაცვის მხარე და პირიქით, დაცვის მხარის წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს ბრალდების მხარე.

თუ მოწმე არ გამოცხადდა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მისაცემად, შეიძლება მისი გამოკითხვით მიღებული ინფორმაცია ან გამოძიების დროს მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე მიღებული ინფორმაციის/ჩვენების აუდიო-ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) საქმის არსებითი განხილვის დროს შეიძლება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მოწმე გარდაიცვალა და ჩვენება მიცემულია საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;

ბ) თუ მოწმე არ იმყოფება საქართველოში და ჩვენება მიცემულია საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;

გ) თუ მოწმის ადგილსამყოფელი უცნობია და ჩვენება მიცემულია საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;

დ) თუ ამოწურულია მოწმის სასამართლოში წარდგენის გონივრული შესაძლებლობა.

არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს აღნიშნული მტკიცებულება, ე.ი. გამოკითხვით მიღებული ინფორმაცია ან გამოძიების დროს მიცემული ჩვენება, რომელიც საჯაროდ იქნა წაკითხული საქმის არსებითი განხილვის დროს, აგრეთვე საქმის არსებითი განხილვის დროს მოსმენილი ინფორმაციის/ჩვენების აუდიო-ან ვიდეოჩანაწერი.

თუ მოწმე გამოცხადდა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების მისაცემად, მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მისი გამოკითხვის ოქმის ან მის მიერ გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენების მთლიანად ან ნაწილობრივ საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე ამ ჩვენების აუდიო-ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება). სასამართლო ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

დისტანციურ დაკითხვა გვაქვს მაშინ, როდესაც მოწმის დაკითხვა ხდება ტექნიკური საშუალების გამოყენებით იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან. დაკითხვის ასეთ ხერხს მიმართავენ მაშინ, როდესაც მოწმე სასამართლოდან შორი მანძილითაა დაშორებული და შეუძლებელია მისი სასამართლოში გამოცხადება, ან იმყოფება უცხო ქვეყანაში, ან მძიმე ავადყოფია, ან არსებობს სხვა ობიექტური გარემოება რომელიც შეუძლებელს ხდის მოწმის სასამართლოში გამოცხადებასა და დაკითხვას. დისტანციური დაკითხვა ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, რა დროსაც იყენებენ ტექნიკურ საშუალებას. დისტანციური დაკითხვა ტარდება საქმის განმხილველი სასამართლოდან ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან, რაც წინასწარ ეცნობება მხარეებს.

მოწმის დაკითხვა შეიძლება პირდაპირი და ჯვარედინი წესით.

პირდაპირია ისეთი დაკითხვა, როდესაც დაკითხვას აწარმოებს ის მხარე, რომელმაც დასაკითხი პირი გამოიძახა.

ჯვარედინია ისეთი დაკითხვა, როდესაც დაკითხვას აწარმოებს ის მხარე, რომელსაც დასაკითხი მოწმე არ გამოუძახია.

პირდაპირი დაკითხვისას დაუშვებელია პასუხის მიმანიშნებელი შეკითხვების დასმა. თუ დაისმევა მიმანიშნებელი კითხვა, მხარეს უფლება აქვს, დააყენოს მიმანიშნებელი შეკითხვების განრიდების ან/და ასეთი შეკითხვისა და მასზე პასუხის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

შეკითხვების დასასმელად და დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად სხდომის თავმჯდომარე მხარეს (მოწმეს) განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

პირდაპირი დაკითხვისას აკრძალული მიმანიშნებელი შეკითხვის დასმა, შესაძლებელია ჯვარედინი დაკითხვისას.

პირდაპირი დაკითხვის მსგავსად, შეკითხვის (შეკითხვების) დასასმელად და დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად სხდომის თავმჯდომარე მხარეს (მოწმეს) განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

მხარეს უფლება აქვს, აწარმოოს ხელახალი პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა. თუ წარმოებს ხელახალი პირდაპირი დაკითხვა, მხარე შეზღუდულია ჯვარედინი დაკითხვის ფარგლებით, ხოლო ჯვარედინი დაკითხვისას – ხელახალი პირდაპირი დაკითხვის ფარგლებით.

მოწმის დაკითხვის დროს სადავო შეკითხვებს მხარის შუამდგომლობით განარიდებს სხდომის თავმჯდომარე.

თუ ბრალდებული წინააღმდეგია, აკრძალულია:

ა) საქმის არსებით განხილვამდე ბრალდებულის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა;

ბ) საქმის არსებით განხილვამდე ბრალდებულის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება);

გ) საქმის არსებით განხილვამდე ბრალდებულის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებად გამოყენება.

მიცემული ინფორმაციის საჯაროდ წაკითხვაზე ან მისი აუდიო ან ვიდეო ჩანაწერის მოსმენაზე (დემონსტრირებაზე) ბრალდებულის უარი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

ეს შეზღუდვა არ ვრცელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

მხარეს უფლება აქვს, სხდომის თავმჯდომარის თანხმობით მოახდინოს საქმეში არსებული მტკიცებულების სხდომაზე დემონსტრირება. შაქმის არსებითი განხილვისას მხოლოდ ის მტკიცებულებაა დასაშვები მტკიცებულება, რომლის ავთენტიკურობაც1 დასტურდება (ავთენტიკური ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ნამდვილს, სარწმუნოს, პირველწყაროზე დამყარებულს, დედნის შესაბამისს).

თუ მტკიცებულება წერილობითი ფორმითაა წარმოდგენილი, მას საჯაროდ კითხულობს მხარე.

მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, წარადგინონ დასკვნითი სიტყვები.

დასკვნითი სიტყვის წარდგენამდე ბრალდების მხარეს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით უარი თქვას ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე, ან არსებული ბრალდება შეცვალოს უფრო მსუბუქი ბრალდებით.

თუ პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე მთლიანად ან ბრალდების ნაწილზე, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ბრალდებაში ან ბრალდების ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

ბრალდების მხარეს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის თანხმობით ბრალდებაზე ან ბრალდების ნაწილზე, ან არსებული ბრალდების უფრო მსუბუქი ბრალდებით შეცვლის თაობაზე საკითხი დააყენოს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე.

ბრალდების მხარის მიერ უარყოფილი ბრალდება ან ბრალდების ნაწილი და ის მტკიცებულებები, რომლებსაც ის ეყრდნობა, არ შეიძლება ხელახლა წარედგინოს იმავე ბრალდებულის მიმართ.

დასკვნით სიტყვას პირველად წარადგენს ბრალდების მხარე, ხოლო შემდეგ დაცვის მხარე. მხარეებს უფლება არა აქვთ ბრალდების ან დაცვის დასკვნით სიტყვაში დაიმოწმონ მტკიცებულება, რომელიც სასამართლოში არ გამოკვლეულა.

თუ საქმეში მონაწილებს რამდენიმე ბრალმდებელი, ადვოკატი ან ბრალდებული, მაშინ სხდომის თავმჯდომარე მათ სთავაზობს, შეათანხმონ გამოსვლათა რიგითობა. თუ პროცესის მონაწილეები ვერ თანხმდებიან გამოსვლათა რიგითობის თაობაზე ტარდება წილისყრა.

დასკვნითი სიტყვისათვის სხდომის თავმჯდომარე მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას.

მას შემდეგ, რაც დასკვით სიტყვას წარმოადგენენ მხარეები, მათ უფლება აქვთ, კიდევ ერთხელ, სხდომის თავმჯდომარის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში, რეპლიკის სახით, მოკლედ გამოთქვან საწინააღმდეგო აზრი ან/და შენიშვნა. რეპლიკა არის მოკლედ გამოთქმული აზრი ან შენიშვნა. საბოლოო რეპლიკის უფლება ნებისმიერ შემთხვევაში აქვს დაცვის მხარეს.

მხარეთა მიერ დასკვნითი სიტყვების წარდგენისა და რეპლიკით გამოსვლის შემდეგ ბრალდებულს უფლება აქვს გამოვიდეს საბოლოო სიტყვით. ბრალდებულის საბოლოო სიტყვა წარმოადგენს მისი დაცვის ერთერთ ეფექტურ საშუალებას. საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას ბრალდებული არ შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული დროით, მაგრამ სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს შეაჩეროს ბრალდებული, როცა იგი ისეთ გარემოებებს ეხება, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან.

ბრალდებულის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა სასამართლოს უფლება აქვს გადაწყვეტილება მიიღოს ადგილზე თათბირით.

20.8 ნაფიც მსაჯულთა წინასწარი და სასამართლოს თათბირი

თუ სასამართლო მსვლელობისას წამოჭრილ საკითხებში ვერ ერკვევიან ნაფიცი მსაჯულები, სასამართლო სხდომის დასრულებამდე მოცემული საკითხების უკეთესად გასარკვევად შეიძლება ჩატარდეს ნაფიც მსაჯულთა წინასწარი თათბირი. ნაფიც მსაჯულთა წინასწარი თათბირი ტარდება ნაფიც მსაჯულთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნა წარედგინება საქმის განმხილველი სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც მოცემულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს განჩინებით. წინასწარი თათბირი უნდა მიმდინარეობდეს ყველა ნაფიცი და სათადარიგო მსაჯულის მონაწილეობით. მოსამართლემ წინასწარ უნდა განუმარტოს მსაჯულებს მათი ეს უფლება და ის, რომ არ მიიღონ გადაწყვეტილება საქმის სრულ განხილვამდე.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებების მიღების შემდეგ ნაფიცი მსაჯულები გადიან სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად, სადაც ნაფიც მსაჯულთა გარდა არავის არა აქვს უფლება იმყოფებოდეს იქ და რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე.

ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, შეწყვიტონ თათბირი მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობით.

ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის მიერ უფროსი მსაჯული თანმიმდევრულად აყენებს ღია კენჭისყრაზე თითოეულ საკითხს სხდომის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული რიგითობით და ფორმულირებით. ჯერ კენჭი ყრება ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს, ხოლო თუ გამამართლებელი ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანმიმდევრობით.

თითოეული ნაფიცი მსაჯული გამოხატავს თავის დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას საკითხისადმი. ნაფიც მსაჯულს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ნაფიცი მსაჯული ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მოსამართლეს, თუ რომელიმე მსაჯული:

ა) თავს იკავებს ხმის მიცემისაგან;

ბ) უგულვებელყოფს მოსამართლის მიერ მიცემულ მითითებებს;

გ) ითვალისწინებს იმ მტკიცებულებებს რომელიც არ გამოკვეულა სასამართლოში;

დ) გამოხატავს აშკარა მიკერძოებას;

ე) სხვაგვარად აშკარად არღვევს კანონს.

ამ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია გააფრთხილოს ნაფიცი მსაჯული და მის მიერ დარღვევის განმეორების შემთხვევაში დაითხოვოს იგი. და შეცვალოს სათადარიგო მსაჯულით. მოსამართლე ასევე უფლებამოსილია ამავე საფუძვლით დაითხოვოს ნაფიც მსაჯულთა სრული შემადგენლობა და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი.

ნაფიცი მსაჯულები ხმას აძლევენ მსაჯულთა სიაში მათი რიგითობის მიხედვით. უფროსი მსაჯული ხმას აძლევს ბოლოს და აჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგებს.

თუ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას ან თათბირის პროცესში ნაფიცი მსაჯული მიიჩნევს, რომ სჭირდება დამატებითი განმარტებები კანონის, ფაქტობრივი გარემოებების, დასკვნითი სიტყვის შესახებ, იგი სხდომის თავმჯდომარეს ერთჯერადად წერილობით წარუდგენს დამატებითი განმარტებების თაობაზე მოთხოვნას შესაბამისი კითხვების მითითებით. სხდომის თავმჯდომარე საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მხარეთა პოზიციის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ წინასასამართლო სხდომის არსი;

2) რა საკითხები განიხილება წინასასამართლო სხდომის შესავალ ნაწილში?

3) რა საკითხები წყდება წინასასამართლო სხდომის ძირითად ნაწილში?

4) რა საკითხი წყდება წინასასამართლო სხდომის შემაჯამებელ ნაწილში?

5) ჩამოაყალიბეთ წინასასამართლო სხდომაზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის წესი;

6) რა საკითხებს წყვეტს სასამართლო მხარეთა მონაწილეობით საქმის არსებითი განხილვის მზადების პროცესში?

7) ნაფიც მსაჯულთა შერჩევის როგორი წესია დაწესებული?

8) წინასასამართლო სხდომის დასრულებიდან, რა ვადაში გაიმართება საქმის არსებითი განხილვა?

9) რას არკვევს სასამართლო სხდომის მდივანი საქმის არსებითი განხილვის დაწყებისთანავე?

10) საქმის არსებითი განხილვისას, რა განმარტებებს აძლევს სხდომის თავმჯდომარე ბრალდებულს?

11) რას განუმარტავს სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს?

12) რა ეკრძალებათ ნაფიც სათადარიგო მსაჯულებს?

13) რა ინფორმაცია არ უნდა ეცნობოთ ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს?

14) საქმის არსებითი განხილვისას როგორ უნდა დააყენონ მხარეებმა შუამდგომლობა და როგორ უნდა გადაწყდეს იგი?

15) რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება საქმის არსებითი განხილვისას პროცესის მონაწილეთა გამოუცხადებლობას?

16) საქმის არსებითი განხილვისას, როგორი თანმიმდევრობითა და წესით ხდება მტკიცებულებათა გამოკვლევა?

17) როგორი წესით მიმდინარეობს ნაფიც მსაჯულთა წინასწარი და სასამართლოს თათბირი?

18) რა შემთხვევებში ხდება გამიკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის ან გამოძიების დროს მიცემული მოწმის ჩვენების გამოქმეყნება საქმის არსებითი განხილვის დროს?

თავი 21. სასამართლოს განაჩენის დადგენა და მისი აღსრულება

21.1. განაჩენის არსი და მნიშვნელობა

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის ნაწილის თანახმად, განაჩენი არის პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას.

განაჩენი წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესში უკანასკნელ, შემაჯამებელ გადაწყვეტილებას. განაჩენის დადგენა წარმოადგენს სასამართლო განხილვის დასკვნით და გადამწყვეტ ნაწილს.

განაჩენი ეს არის პროცესუალური აქტი, რომელშიც ასე თუ ისე სრული ფორმით ხდება სასამართლოს პროცესუალური ფუნქციის რეალიზაცია – სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია[45].

განაჩენი ეს არის სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლების აქტი. საპროცესო კოდექსის 258-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით. განაჩენი ატარებს ინდივიდუალურ, სამართალგამოყენებით ხასიათს. განაჩენი თავისი სამართლებრივი ბუნებით, როგორც სისხლის სამართლის პროცესის სხვა გადაწყვეტილებები, წარმოადგენს სამართლის ნორმების საფუძველზე შექმნილ აქტს.

სასამართლოს განაჩენი უნდა აკმაყოფილებდეს საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლში ჩამოყალიბებულ სამ მოთხოვნას. სახელდობრ, იგი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.

სასამართლო განაჩენი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტიტუციის, საპროცესო კოდექსის და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სისხლის სამართლის პროცესში.

სასამართლო განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეული, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

სასამართლოს განაჩენს გააჩნია შემდეგი მნიშვნელობა: პრეიუდიციული, პროცესუალური და სოციალური.

სასამართლოს განაჩენის პრეიუდიციული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება სავალდებულო უნდა იყოს სხვა სასამართლოსათვის, თუ იგი იკვლევს იგივე გარემოებებს. პრეიურიდიციებს აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა სხვა სამართლაგამოყენებითი ორგანოებისათვის მანამ, სანამ არ იქნება კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ანულირებული კანონით დადგენილი წესით.

სასამართლოს განაჩენის პროცესუალური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გვევლინება სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების

[45] Лупинская П.А., решение в уголовном судопроизводстве, Москва, 1976, ст. 39.

ძირითად აქტად. ჯერ ერთი მის გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოების მოღვაწეობა პროცესის მონაწილეობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შედეგამდე მიჰყავს. მეორე, განაჩენი რომელიც დადგენილია, წარმოადგენს მართლმსაჯულების პირველ საფეხურს, რომლის მეშვეობითაც მსჯავრდებულს ეძლევა შესაძლებლობა მისი გასაჩივრების შემთხვევაში დაიცვას საკუთარი უფლებები და კანონიერი ინტერესები, რომლის გარეშე შეუძლებელია მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირება.

სასამართლოს განაჩენის სოციალური მნიშვნელობა აერთიანებს შემდეგს: ა) ამ აქტში სასამართლო ხელისუფლება გამოხატავს ჩადენილი ქმედების სოციალურ საშიშროებას სახელმწიფოს სახელით; ბ) განაჩენით სასამართლო საზოგადოებას უჩვენებს დანაშაულებრივი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდაუვალობის ეფექტურობას; გ) განაჩენი წარმოადგენს საზოგადოებაში სამართლებრივი შეგნების ფორმირების საშუალებას; დ) განაჩენის გამოტანა აღადგენს და განამტკიცებს კანონიერებას და მართლწესრიგს.

21.2. განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები

განაჩენის დადგენისას სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საკითხები. ეს საკითხები სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ზუსტად და თანმიმდევრობით, როგორც ეს ჩამოთვლილია საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლში. ამ მუხლში ჩამოთვლილი საკითხები ამომწურავია. დასახელებული მუხლის თანახმად, განაჩენის დადგენისას სასამართლო თანმიმდევრობით წყვეტს შემდეგ საკითხებს:

ა) ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება; უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ნამდვილად მოხდა თუ არა მოვლენა, რომლის გამოც ჩატარდა გამოძიება და სასამართლო განხილვა. მოცემული ქმედების ნიშნები ემთხვევა თუ არა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილს მუხლში ან მუხლის ნაწილში აღნერილ ქმედების ნიშნებს. თუ არ დადასტურდება მოცემული საკითხი, ეს იქნება გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი. თუ მოცემული საკითხი დადასტურდება, სასამართლო გადადის შემდეგი საკითხის განხილვაზე.

ბ) არის თუ არა ბრალდებულის ქმედება მართლსაწინააღმდეგო; მიმდინარე საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ ქმედება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით; ასევე უნდა დადგინდეს, ხომ არ არის მოცემულ ქმედებაში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოების მართლზომიერების ნიშნები. თუ მეორე საკითხი არ დადასტურდება, სასამართლოს გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი. მოცემული საკითხის ამოწურვის შემდეგ სასამართლო გადადის შემდეგი საკითხის განხილვაზე.

გ) შეერაცხება თუ არა ბრალდებულს ბრალად ჩადენილი ქმედება; ამ საკითხის განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს ქმედება შეერაცხება თუ არა პირს, არის თუ არა პირი იმ ასაკის მიღწეული რომლიდანაც დგება პასუხისმგებლობა მოცემული ქმედებისათვის, პირი ხომ არ იყო ქმედებისას ფსი-

ქიკურად დაავადებული, პირმა ხომ არ შეასრულა სავალდებულო ბრძანება ან განკარგულება; ხომ არ შეიყვანეს პირი შეცდომაში და ჩაადენინეს ქმედება, ხომ არ იყო ქმედება ჩადენილი ფიზიკური იძულებით; ქმედება ხომ არ არის ფსიქიკური ძალადობით ჩადენილი, რაც პირს შესაძლებლობას უსპობდა სხვაგვარი მოქმედებისა. მოცემული საკითხის განხილვის შემდეგ სასამართლო გადადის შემდეგი საკითხის განხილვაზე;

დ) უნდა დაისაჯოს თუ არა ბრალდებული მის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის; ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა დაადგინოს: ხომ არ არის გამოცემული ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელისგან; ხომ არ გასულა ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა; ახალი კანონი ხომ არ აუქმებს ქმედების დანაშაულობას; ხომ არ აიღო პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელი; პირმა ხომ არ განახორციელა ქმედითი მონანიება; და სხვა. ამის შემდეგ სასამართლო გადადის შემდეგი საკითხის განხილვაზე.

ე) რა სასჯელი უნდა დაენიშნოს ბრალდებულს და რა ზომით; ამ საკითხის განხილვისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათს და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსანინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, მის მიერ ზიანის ანაზღაურებას, დაზარალებულთან ბრალდებულის შერიგებას. ამის შემდეგ სასამართლო ბრალდებულს სასჯელს დაუნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით დადგენილ სანქციის ფარგლებში. მოცემული საკითხის გადაწყვეტის შემდეგ სასამართლო გადადის შემდეგი საკითხის განხილვაზე.

ვ) უნდა მოიხადოს თუ არა ბრალდებულმა დანიშნული სასჯელი; სასამართლომ ამ საკითხის გადაწყვეტისას უნდა დაადგინოს ხომ არ არსებობს სასჯელის მოხდიდან პირობით ვადამდე გათავისუფლების საფუძველი, ხომ არ დაავადებულა პირი ავადმყოფობით რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას. ამის შემდეგ სასამართლო გადადის შემდეგი საკითხის განხილვაზე.

ზ) შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებების საკითხს; ამ საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო არკვევს დადებულია თუ არა ბრალდებულის ქონებაზე ყადაღა; დადებით შემთხვევაში აუქმებს ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ გადაწყვეტილებას.

თ) როგორი იქნება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი; ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლით (გადაწყვეტილება ნივთიერი მტკიცებულების შესახებ სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებისას).

ი) ვის და რა რაოდენობით უნდა დაეკისროს საპროცესო ხარჯების ანაზღაურება; ამ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ხელმძღვანელობს საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლით.

თუ პირი მსჯავრდებულია რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში, სასამართლო თითოეული დანაშაულის მიხედვით ცალ-ცალკე და მთლიანად წყვეტს ზემოთ აღნიშნულ საკითხებს.

თუ დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე პირს ედება მსჯავრი, ზემოთ განხილული საკითხები უნდა გადაწყდეს ყოველი ბრალდებულის მიმართ ცალ-ცალკე.

21.3. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი[46], მისი ფორმა და გამოცხადება

თუ საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემადგენლობა, მოსამართლის მიერ განაჩენის დადგენამდე, ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ ვერდიქტი.

ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებებს იღებენ ფაქტების შესახებ, სხდომის თავმჯდომარის მიერ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებისა და განმარტებების საფუძველზე.

თუ ბრალდებულს წარდგენილი აქვს რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდება, ნაფიცმა მსაჯულებმა თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უნდა წარადგინონ უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხი. ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტებს იღებენ ერთხმად.

თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 4 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილებების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილებები მომდევნო 8 საათის განმავლობაში მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 8 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 10 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 7 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 9 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 6 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 8 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 5 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 7 ან 6 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 4 ხმით.

თუ ბრალდებულს ბრალი ედება ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც შეიძლება დაინიშნოს უვადო თავისუფლებით აღკვეთა, ვერდიქტი მიღებული უნდა იქნეს ერთხმად.

თუ ნაფიც მსაჯულებს არ შესწევთ უნარი, მიაღწიონ საერთო შეთანხმებას, სხდომის თავმჯდომარე კიდევ ერთხელ განუმარტავს ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტის მნიშვნელობას და სთხოვს უფროს ნაფიც მსაჯულს, სხდომის თავმჯდომარეს მოახსენოს არის თუ არა ისეთი მსაჯული, რომელიც უარს აცხადებს მსჯელობაში მონაწილეობის მიღებაზე ან რომელსაც აქვს ინტერესი საქმის მიმართ, რის შესახებაც არ განაცხადა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს. აღნიშნული განმარტების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მიმართავს ნაფიც მსაჯულებს, დაბრუნდნენ სათათბირო ოთახში და გამოიტანონ ვერდიქტი კანონის შესაბამისად.

თუ სათათბირო ოთახში დაბრუნების შემდეგ ნაფიცი მსაჯულები მობრძანდნენ 3 საათის განმავლობაშიც ვერ მიიღებენ ვერდიქტს ხმათა უმრავლესობით, მოსამართლე დაითხოვს მათ სრულ შემადგენლობას და დანიშნავს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღს. თუ არც ამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესწევს უნარი, მიიღოს გადაწყვეტილება საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მაშინ ბრალდებული გამართლებულად ითვლება.

სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და

---

[46] ვერდიქტი-ფრანგული და ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებას.

გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმების უფლებამოსილება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ იგი არ ეთანხმება ნაფიც მსაჯულთა მიერ მოწმის ჩვენების სანდოობის შეფასებას ან რომელიმე მტკიცებულების მნიშვნელობას. უფროსი მსაჯული ავსებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის ფორმას, რომელშიც შეაქვს კენჭისყრის საერთო შედეგები და რომელსაც ყველა ნაფიცი მსაჯული ადასტურებს ხელმოწერით.

სხდომის თავმჯდომარემ ყოველ ბრალდებულზე უნდა მოამზადოს ვერდიქტის ორი ფორმა, რომლებიც ნაფიც მსაჯულებს წარედგინება: ერთი – გამამართლებელი ვერდიქტის, მეორე – გამამტყუნებელი ვერდიქტის.

გამამართლებელი ვერდიქტის ფორმა შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ საქმეზე (საქმის ნომერი და დასახელება) ბრალდებული (სახელი და გვარი) არ ცნო დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით (ნაწილით, ქვეპუნქტით) (ნომერი) გათვალისწინებული დანაშაულის (დასახელება) ჩადენაში;

გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმა შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ საქმეზე (საქმის ნომერი და დასახელება) ბრალდებული (სახელი და გვარი) სცნო დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით (ნაწილით, ქვეპუნქტით) (ნომერი) გათვალისწინებული დანაშაულის (დასახელება) ჩადენაში.

უფროსი მსაჯულის მიერ ვერდიქტის ხელმოწერის შემდეგ ნაფიცი მსაჯულები ბრუნდებიან სასამართლო სხდომის დარბაზში და უფროსი მსაჯული სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს ვერდიქტს.

სხდომის თავმჯდომარემ უნდა წაიკითხოს ვერდიქტი და უნდა დარწმუნდეს შემდეგში:

ა) ვერდიქტი თითოეულ ბრალდებულზე სწორი კენჭისყრის შედეგად არის მიღებული.

ბ) არ არის აშკარა წინააღმდეგობა ვერდიქტის ფორმებს შორის.

გ) ვერდიქტი გამოტანილია ყველა წარდგენილ ბრალდებაზე.

თუ სხდომის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ვერდიქტის ფორმა არ შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, იგი ვერდიქტს უბრუნებს უფროს მსაჯულს და მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა დაბრუნებას სათათბირო ოთახში შეცდომების გასასწორებლად.

შეცდომების გასწორების შემდეგ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა უკან ბრუნდება სხდომის დარბაზში, და უფროსი მსაჯული აცხადებს ვერდიქტს. ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობისათვის მადლობას უხდის ნაფიც მსაჯულებს და დაითხოვს მათ,

თუ ვერდიქტი მთლიანად გამამართლებელია, დაპატიმრებული ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია გამამართლებელი ვერდიქტის გამოცხადებისთანავე გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.

გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოცხადებისთანავე სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომის თარიღს, რომელიც უნდა გაიმართოს ვერდიქტის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 3 დღისა.

თუ საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მხარეები სასამართლოს წარუდგენენ მოსაზრებებს სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით, რა დროსაც ითვალისწინებენ:

ა) საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობას;

ბ) სხვა წარმოდგენილ მტკიცებულებებს;

გ) შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს;

თუ არც ერთი მხარე არ განაცხადებს უარს, სასჯელის დანიშვნის სხდომა იმართება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ესეიგი სასჯელის დანიშვნის სხდომა იმართება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე ამას ეთანხმება.

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სასჯელის დანიშვნის სხდომაზე შესაძლებელია დაშვებულ იქნეს საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებაც, თუ ამის შესახებ მხარე შუამდგომლობს.

თუ სასჯელი დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელი შემსუბუქების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვარის 2/3-ზე მეტი. მაგალითად, ძარცვისათვის (სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა 3-5 წლამდე. თუ ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი ბრალდებულს დაუნიშნოს თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით.

თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელის მინიმალური ზღვარი აღემატება მაქსიმალური ზღვარის ორ მესამედს, მსჯავრდებულს ენიშნება მინიმალური სასჯელი.

თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის დამძიმების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვარის 2/3-ზე ნაკლები. მაგალითად, ყაჩაღობისთვის (სსკ-ის 179-ე მუხლის 1 ნაწილი) დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა 5-7 წლამდე. თუ ნაფიც მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის დამძიმების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი ბრალდებულს დაუნიშნოს თავისუფლების აღკვეთა 4 წელზე ნაკლები ვადით.

თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ შესწევს უნარი, მიიღოს სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია სასჯელს ნიშნავს სხდომის თავმჯდომარე.

მხარეს უფლება აქვს გამოხატოს პოზიცია მოწინააღმდეგე მხარის მიერ სასჯელთან დაკავშირებით წარდგენილ მოსაზრებაზე.

სხდომის თავმჯდომარე ბრალდებულს სასჯელს უნიშნავს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით.

სასჯელის დანიშვნის სხდომაზე სხდომის თავმჯდომარეს გამოაქვს განაჩენი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უნდა ეყრდნობოდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს.

სხდომის თავმჯდომარემ ეჭვი არ უნდა შეიტანოს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტში და არც სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციაში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის დადგენისას სხდომის თავმჯდომარე არ ასაბუთებს ვერდიქტს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი ნაფიც მსაჯულთა მიერ სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით მოტივირებული უნდა იყოს მხოლოდ სასჯელის ნაწილში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მხარეს შეუძლია ერთჯერადად საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ:

ა) სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო;

ბ) სხდომის თავმჯდომარემ მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რითაც არსებითად დაირღვა შეჯიბრობითობის პრინციპი;

გ) სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა.

დ) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას მთლიანად ან ნაწილობრივ არ დაეყრდნო ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს.

ე) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს.

ვ) სასჯელი უკანონოა ან/და აშკარად დაუსაბუთებელია.

ზ) სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია.

საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში საქმე ხელახლა განხილვისათვის გადაეცემა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალ შემადგენლობას, თუ:

ა) სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო;

ბ) სხდომის თავმჯდომარემ მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რითაც არსებითად დაირღვა შეჯიბრობითობის პრინციპი;

გ) სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა.

დ) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას მთლიანად ან ნაწილობრივ არ დაეყრდნო ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს.

ე) სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს.

თუ: ა) სასჯელი უკანონოა ან/და აშკარად დაუსაბუთებელი, ან ბ) სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია, მაშინ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენს სასჯელის ნაწილში გააუქმებს სააპელაციო სასამართლო და განაჩენით დაადგენს ახალ სასჯელს, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება.

21.4. განაჩენის დადგენის წესი

სასამართლოში საქმე განიხილება ერთპიროვნულად ან კოლეგიურად. საქმის კოლეგიურად განხილვისას განაჩენის დადგენას წინ უძღვის მოსამართლეთა თათბირი, რომელსაც ხელმძღვანელობს და წარმართავს სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე. იგი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საკითხის დასმა და გადაწყვეტა. თავმჯდომარე მოსამართლეთა წინაშე სვამს გადასაწყვეტ საკითხებს, იმ თანმიმდევრობით როგორც ეს მითითებულია საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლში. ამავე თანამიმდევრობით უნდა გადაწყვიტოს საკითხები მოსამართლემ, რომელიც განიხილავს ერთპიროვნულად სისხლის სამართლის საქმეს.

კოლეგიური წესით სასამართლო განხილვისას, გადასაწყვეტ თითოეულ საკითხზე პირველად კენჭს უყრიან მოსამართლის იმ გადაწყვეტილებას რომელიც ყველაზე სასიკეთოა ბრალდებულისთვის. თუ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის გამართლება მოითხოვა ერთმა მოსამართლემ, ხოლო ორ სხვა მოსამართლეს სხვადასხვა აზრი აქვს ამ დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ, მოსამართლის ხმა, რომელიც მოითხოვს გამართლებას, უერთდება ორი სხვა მოსამართლიდან იმ მოსამართლის ხმას, რომლის გადაწყვეტილებაც ბრალდებულისათვის ყველაზე სასიკეთოა.

მაგალითად, კოლეგიურად აბესაძე, ბუაძე და გელაძე განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეს ბრალდებულ დევაძის მიმართ, დანაშაულით გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. აბესაძე თავმჯდომარეობს სხდომას. თუ ბუაძემ მოითხოვა ბრალდებულ დევაძის გამართლება სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილით, გელაძემ 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა ხოლო აბესაძემ თავისუფლების შეზღუდვა 2 წლის ვადით, ასეთ შემთხვევაში ბუაძის ხმა შეუერთდება აბესაძის ხმას, ვინაიდან აბესაძის გადაწყვეტილება გელაძის გადაწყვეტილებასთან შედარებით უფრო სასიკეთოა ბრალდებულ დევიძისათვის.

21.5 განაჩენის სახეები

კანონი განასხვავებს განაჩენის ორ სახეს: გამამართლებელს და გამამტყუნებელს. ბრალდებული ან ცნობილი იქნება დამნაშავე დანაშაულის ჩადენაში, ან გამართლდება.

სასამართლოს განაჩენი შეიძლება ბრალდების ზოგ ეპიზოდში გამამტყუნებელი იყოს, ხოლო ბრალდების სხვა ეპიზოდში-გამამართლებელი. ასეთ შემთხვევაში მაინც გამამტყუნებელი განაჩენი დგინდება.

ა) გამამტყუნებელი განაჩენი. გამამტყუნებელი განაჩენი დგინდება იმ პირობით, როცა სასამართლო განხილვისას დამტკიცდება განსასჯელის ბრალეულობა. საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის თანახმად გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ.

გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს.

კანონის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

გამამტყუნებელი განაჩენი არის სამი სახის: 1) მოსახდელი სასჯელის დანიშვნით; 2) სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით; 3) სასჯელის დაუნიშნავად.

1) გამამტყუნებელი განაჩენი მოსახდელი სასჯელის დანიშვნით დგინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც სასამართლო მივა დასკვნამდე რომ ბრალდებულს ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში და მან უნდა მოიხადოს სასჯელი. მოსახდელი სასჯელის დანიშვნით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს სასჯელის სახე, ზომა და სასჯელის მოხდის ვადის დაწყება. პირის დაკავების, პატიმრობისა და ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ვადა ითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში.

2) გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით მხოლოდ მაშინ დგინდება თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის:

ა) გამოცემულია ამნისტიის აქტი, რომელიც პირს ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან;

ბ) გასულია ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;

გ) ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას;

დ) პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი;

ე) პირმა განახორციელა ქმედითი მონანიება;

ვ) "საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა" ან "ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება" ჩადენილია პირის მიერ "ადამიანით ვაჭრობის" ან/და "არასრულწლოვნით ვაჭრობის" დანაშაულში დაზარალებულად ყოფნის გამო.

3) გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად დგინდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ბრალდებული გარდაიცვალა.

ბ) გამამართლებელი განაჩენი. გამამართლებელი განაჩენი დგინდება მხოლოდ მაშინ როდესაც სასამართლო განხილვისას დადასტურდება ბრალდებულის სრული უდანაშაულობა მისთვის წაყენებულ ბრალდებაში.

კანონის მოთხოვნაა, რომ გამამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს გამართლებულის უდანაშაულობის გამომრიცხავ ან მისი სახელის გამტეხ ფორმულირებებს.

21.6 განაჩენის შედგენა და სტრუქტურა.

განაჩენი დგება სამართალწარმოების ენაზე, ცხადი და გასაგები ფრაზებით. განაჩენს ადგენს ის მოსამართლე, რომელიც განიხილავს საქმეს, ხოლო თუ საქმე კოლეგიურად განიხილებოდა, რეკომენდებულია შეადგინოს თავმჯდომარემ, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთ-ერთმა მოსამართლემ.

განაჩენი შედგება შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

განაჩენს ხელს აწერს მისი გამომტანი მოსამართლე, ხოლო თუ საქმე კოლეგიურად განიხილებოდა, მას ხელი უნდა მოაწეროს ყველა მოსამართლემ, გარდა იმ მოსამართლისა რომელსაც განსხვავებული აზრი აქვს.

განაჩენში შეტანილი შესწორება განაჩენის გამოცხადებამდე წინასწარ უნდა შეათანხმოს და ხელმოწერით დაადასტუროს ყველა მოსამართლემ.

როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი განაჩენის შესავალი ნაწილი შინაარსობრივად არ განსხვავდება ერთიმეორისაგან.

განაჩენის შესავალი ნაწილი. განაჩენის შესავალ ნაწილში აღინიშნება:

ა) რომ განაჩენი დადგენილია საქართველოს სახელით.

ბ) განაჩენის დადგენის დრო და ადგილი.

გ) განაჩენის დამდგენი სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი ბრალმდებელი და ადვოკატი.

დ) ბრალდებულის პერსონალური და მასთან დაკავშირებით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ცნობები.

ე) სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც ბრალდებულს ბრალი წაუყენეს.

გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი. გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დადგენილად სცნო. დანაშაულის ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი მიზანი და შედეგი. განაჩენში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა და მოტივი რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე. ამასთანავე განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები, ხოლო თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლოდაა მიჩნეული ან დანაშაულის კვალიფიკაცია არასწორია – ბრალდებულის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის საფუძველი და მოტივები.

სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს აგრეთვე:

ა.) სასჯელის სახე და ზომა;

ბ.) პირობითი მსჯავრის გამოყენება;

გ.) დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მინიმალურ ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა;

დ.) ნაკლებად მკაცრ სასჯელზე გადასვლა;

ე.) საპროცესო იძულების ღონისძიების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება;

ვ.) საპროცესო იძულების ღონისძიების შემდგომი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება.

გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი. გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში საკითხები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული როგორც ესაა მოცემული საპროცესო კოდექსის 274-ე მუხლში.

გამამტყუნებელი განაჩენი სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება:

ა) ბრალდებულის სახელი და გვარი;

ბ) გადაწყვეტილება დანაშაულის ჩადენაში ბრალდე-ბულის დამნაშავედ ცნობის შესახებ;

გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი (ნაწილი, ქვეპუნქტი), რომლის მიხედვითაც ბრალდებული მიჩნეულია დამნაშავედ;

დ) იმ სასჯელის სახე და ზომა რომელიც ბრალდებულს დაენიშნა თითოეული დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის საბოლოო ზომა;

ე) გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა თუ გამოყენებულია პირობითი მსჯავრი;

ვ) გადაწყვეტილება სასჯელის ვადაში დაკავების, პატიმრობისა და სამედიცინო დანესებულებაში ექსპერტიზისათვის ყოფნის ვადის ჩათვლის შესახებ;

ზ) მსჯავრდებულისათვის განაჩენის აღსრულების გადავადების ხანგრძლივობა და მისთვის დაკისრებული მოვალეობები;

თ) ნივთიერი მტკიცებულების საკითხის გადაწყვეტა;

ი) ქონების ჩამორთმევის და საპროცესო კონფისკაციის საკითხის გადაწყვეტა;

კ) გადაწყვეტილება სახელმწიფო ჯილდოს, სამხედრო, საპატიო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ;

მ) განაჩენის გასაჩივრების უფლება, რა ვადაში და სად შეიძლება გასაჩივრდეს ის.

თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით ჰქონდა წაყენებული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა მიეთითოს, რომელ ბრალდებაში გაამართლეს იგი და რომელში დასდეს მსჯავრი.

სასჯელის მოხდისგან ბრალდებულის გათავისუფლების შემთხვევაში ეს უნდა აღინიშნოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში.

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ განაჩენის აღსრულებისას სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ ეჭვი არ წარმოიშვას.

გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი. გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება: წარდგენილი ბრალდების არსი, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს სასამართლოს დასკვნას ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ; მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიაჩნია სასამართლოს არასარწმუნოდ ან არასაკმარისად მტკიცებულება, რომელსაც ემყარებოდა წარდგენილი ბრალდება, ან/და რატომ მიაჩნია სასამართლოს რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა ან რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული.

გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი. გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება:

ა) ბრალდებულის სახელი და გვარი;

ბ) გადაწყვეტილება ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების შესახებ;

გ) ბრალდებულისათვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ, ხოლო თუ იგი პატიმარია – აგრეთვე მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლების შესახებ;

დ) გადაწყვეტილება საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ;

ე) გამართლებულის უფლება, აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი;

ვ) განაჩენის გასაჩივრების უფლება, რა ვადაში და სად შეიძლება გასაჩივრდეს ის.

განაჩენი დგინდება სასამართლოს სხდომის დარბაზში ან სათათბირო ოთახში რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარე სხდომის დარბაზში საჯაროდ აცხადებს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილს.

თუ ბრალდებულმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, განაჩენი გამოცხადებისთანავე ან სინქრონულად უნდა ეთარგმნოს ბრალდებულს მშობლიურ ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე.

სხდომის თავმჯდომარე მხარეებს განუმარტავს განაჩენის გასაჩივრების წესსა და ვადებს. მსჯავრდებულს განემარტება შეწყალების შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლებაც.

იმისათვის რომ მხარეებმა დროულად და ხარისხიანად დაიცვან საკუთარი ინტერესები აუცილებელია მათ ჩაბარდეს განაჩენის და განსხვავებული აზრის ასლი, რა თქმა უნდა თუ ასეთი არსებობს. განაჩენის და განსხვავებული აზრის ასლი სავალდებულოა ჩაბარდეს მხოლოდ ბრალმდებელს და მსჯავრდებულს ან გამართლებულს. განაჩენის და განსხვავებული აზრის ასლი ზემოთ დასახელებულ პირებს უნდა ჩაბარდეთ განაჩენის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა, ხოლო რთულ მრავალტომიან ან მრავალი პირის ბრალდების საქმეზე – არაუგვიანეს 14 დღისა. კანონის ეს მოთხოვნა იმპერატიული ხასიათისაა და განაჩენის ასლი უნდა ჩაბარდეს ზემოთდასახელებულ პრიცესის მონაწილეებს მიუხედავად იმისა მოითხოვენ თუ არა ისინი მის გადაცემას. პროცესის სხვა მონაწილეს განაჩენის ასლი მისი მოთხოვნით იმავე ვადაში გადაეცემა.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები როდესაც განაჩენის ასლი დროულად არ ბარდება პროცესის მონაწილეებს, ასეთი შემთხვევები არ ფიქსირდება და არ აისახება სათანადო დოკუმენტში. ამით ირღვევა პროცესის მონაწილეთა უფლებები და შესაბამისად დინებას იწყებს გასაჩივრების ვადა. ამავე დროს განაჩენის ასლის არადროული გადაცემა დაინტერესებული პირისათვის შეიძლება გახდეს მოსამართლის დისციპლინური დევნის საფუძველი. ამიტომ გამართლებული იქნება განაჩენის ასლის გადაცემისას თუ მსჯავრდებულს ან გამართლებულს და ბრალმდებელს ჩამოერთმევა ხელწერილი, რომლის ასლი გადაეცემა მათ, ხოლო დედანი დაერთვება სისხლის სამართლის საქმეს. ამ მოთხოვნამ ასახვა უნდა ჰპოვოს საპროცესო კანონმდებლობაში.

განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

განაჩენის გამოცხადებასთან ერთად უნდა გადაწყდეს პატიმრობაში ყოფნის ან პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხი. საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლში ჩამოყალიბებულია ის საფუძვლები, რომლის დროსაც უნდა განთავისუფლდეს მსჯავრდებული პატიმრობიდან. ამ მუხლის თანახმად, განაჩენის გამოცხადებისთანავე პატიმრობიდან თავისუფლდება:

ა) გამართლებული;

ბ) მსჯავრდებული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებით;

დ) მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა იმ ვადით, რომელიც არ აღემატება მისი დაკავების, პატიმრობისა და სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის ყოფნის ვადას;

ე) მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა პირობით ან განაჩენის აღსრულების გადავადებით;

ვ) მსჯავრდებული რომელსაც დაენიშნა ისეთი სასჯელი რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლი აწესრიგებს განაჩენის, განჩინების, დადგენილების აღსასრულებლად მიქცევის წესს. სასამართლო მას შემდეგ რაც გამოიტანს განაჩენს ან განჩინებას, ვალდებულია მიაქციოს აღსასრულებლად.

განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას სასამართლო განაჩენის ასლთან ერთად უგზავნის იმ ორგანოს, რომელსაც ევალება მისი აღსრულება.

განაჩენის აღმსრულებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს განაჩენის დამდგენ სასამართლოს მისი აღსრულების შესახებ.

თუ განაჩენი ითვალისწინებს მსჯავრდებულისათვის სახელმწიფო ჯილდოს ან სამხედრო, საპატიო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევას, სასამართლო განაჩენის ასლს უგზავნის იმ ორგანოს, რომელმაც დააჯილდოვა მსჯავრდებული ან მიანიჭა მას სამხედრო, საპატიო ან სპეციალური წოდება.

დაჯარიმებისა და სხვა ქონებრივი სახდელის ნაწილში განაჩენის აღსასრულებლად მოსამართლე წერს სააღსრულებო ფურცელს.

თუ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის არასრულწლოვანი შვილი, აგრეთვე მის კმაყოფაზე მყოფი სხვა პირი მზრუნველობისათვის გადასცეს ნათესავს, სხვა პირს ან შესაბამის დაწესებულებას, იგი ამას აცნობებს ბავშვის ადგილ-სამყოფელის მიხედვით სამეურვეო ორგანოს, ასევე მსჯავრდებულს.

პროკურორის დადგენილება ან სასამართლოს განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს იმ ნაწილში, რომელიც ეხება ბრალდებულის პატიმრობიდან გათავისუფლებას.

საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის ოჯახს შეატყობინოს, სად გაიგზავნა იგი სასჯელის მოსახდელად, ასევე აცნობოს მას სასჯელის მოხდის ადგილის შეცვლა.

21.7 მსჯავრდებულის ძებნა

თუ განაჩენის გამომტან სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს ან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსი მიმალვაში მყოფი მსჯავრდებულის მიმართ ძებნის გამოცხადების თაობაზე. მას გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მსჯავრდებულის ძებნის შესახებ.

მსჯავრდებულის ძებნის პროცესში საპრობაციო ვადის ათვლა ჩერდება.

თუ გატარებული ღონისძიებების შედეგად მსჯავრდებულს წარმოადგენენ სასამართლოში, მის მიმართ სასამართლო წყვეტს საკითხს დაკისრებული სასჯელის უფრო მკაცრი სასჯელით შეცვლის შესახებ.

პირობითი მსჯავრდებულის მიმართ სასამართლო წყვეტს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხს და შეუძლია დაადგინოს, რომ აღსრულდეს განაჩენით დადგენილი სასჯელი.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში სასამართლო წყვეტს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმების საკითხს და შეუძლია დაადგინოს, რომ აღსრულდეს სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

სასჯელის მოხდის გადავადების შემთხვევაში სასამართლო წყვეტს სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმების საკითხს და შეუძლია დაადგინოს, რომ მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად გაიგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას.

მსჯავრდებულის მიერ პირობითი მსჯავრის პირობების დარღვევის შემთხვევაში, თუ მისი ადგილ-სამყოფელის დადგენა შეუძლებელია, პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხის განხილვა სასამართლოში წარმოებს მსჯავრდებულის მონაწილეობის გარეშე.

21.8 განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა

განაჩენის აღსრულების გადავადება. საპროცესო კოდექსის 283-ე მუხლი ითვალისწინებს განაჩენის აღსრულების გადავადებას. განაჩენის აღსრულება გადაუვადდება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს. განაჩენის გადავადების უფლება აქვს მხოლოდ განაჩენის გამომტან სასამართლოს. განაჩენის გადავადების საფუძველია სახელმწიფო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. განაჩენის აღსრულების გადავადება შეიძლება ან იმავე განაჩენით, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, ან განაჩენის გამოტანის შემდეგ – ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით.

განაჩენის აღსრულების გადავადება უნდა მოხდეს თუ:

ა) მსჯავრდებული დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას;

ბ) მსჯავრდებული განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ორსულადაა;

პირველ შემთხვევაში, განაჩენის აღსრულება გადავადდება მსჯავრდებულის სრულ გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე.

ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია განაჩენის გამოტანის შემდეგ მისი აღსრულება გადაავადოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

ხოლო თუ მსჯავრდებული სასჯელს რეალურად იხდის განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხს სასამართლო განიხილავს მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის, კანონიერი წარმომადგენლის ან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობით.

მძიმე ავადმყოფის მიმართ სასამართლო გადაავადებს რა განაჩენის აღსრულებას, იმავე განაჩენით (განჩინებით) დაადგენს ექსპერტიზა ჩატარდეს ნელიწადში ერთხელ მაინც მისი ხარჯით და დასკვნა წარადგინოს პერიოდულად. თუ მსჯავრდებული გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შესაბამისი პროცედურით არ წარუდგენს ექსპერტიზის დასკვნას, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.

როდესაც მსჯავრდებული წარადგენს ექსპერტიზის დასკვნას განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით მიიღებს ორიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

1) განაჩენის აღსრულების გადავადების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ ან

2) სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.

მშობიარობის შემდეგ თუ მსჯავრდებული უარს ამბობს შვილზე ან თავს არიდებს შვილის აღზრდას, მას გააფრთხილებს პრობაციის ბიურო და ამის შემდეგ თუ კვლავ გააგრძელებს მსჯავრდებული ასეთ საქციელს, განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით, პრობაციის ბიუროს წარდგინებით გააუქმოს სასჯელის მოხდის გადავადება და მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად გაგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას.

როდესაც მსჯავრდებულის შვილი 1 წლის ასაკს მიაღწევს, განაჩენის აღსრულების გადავადების გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით მიიღებს სამიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

1) სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ;

2) სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის შესახებ;

3) სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.

განაჩენის აღსრულების გადავადებასთან დაკავშირებით არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო მოქმედებს "არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოში ექსტრადირებული მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა. საქართველოში ექსტრადირებული მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილი საკითხები უნდა გადაწყდეს საპროცესო კოდექსის 283[1]-ე მუხლით.

თუ უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის აღსრულების მიზნით მსჯავრდებულის საქართველოში ექსტრადირების შესახებ შუამდგომლობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, ეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განაჩენის გამომტან შესაბამის სასამართლოს.

განაჩენის მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლის ასლიც ეგზავნება მსჯავრდებულს და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს. განჩინება განაჩენის ნაწილობრივ ან მთლიანად გადავადების შესახებ სხვა მონაცემთან ერთად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, თუ განაჩენის რომელი ნაწილი ექვემდებარება აღსრულებას და მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადებას.

თუ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის აღსრულების მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადების შესახებ და მსჯავრდებულს აქვს განაჩენის გასაჩივრების უფლება, მისთვის გასაჩივრების ვადა აითვლება იმ დროიდან, როდესაც აღარ იარსებებს დამაბრკოლებელი გარემოება.

მთლიანად ან ნაწილობრივ გადავადებული განაჩენი ექვემდებარება დაუყოვნებლივ ასრულებას დამაბრკოლებელი გარემოების აღმოფხვრის შემდეგ. პირის მიმალვის შემთხვევაში განაჩენის გამომტან სასამართლოს ერთპიროვნულად გამოაქვს განჩინება მსჯავრდებულის პოლიციის ორგანოების მეშვეობით ძებნის შესახებ.

ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლება. ავადმყოფობის ან ხანდაზმული ასაკის გამო სასჯელის

შემდგომი მოხდისაგან განთავისუფლებას ითვალისწინებს საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლი. ის, ვინც დანაშაულის ჩადენამდე ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაავადდა მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან. სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს:

ა) სასამართლო – არასაპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლების თაობაზე;

ბ) საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისია – თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდების შემთხვევაში.

დასახელებულ ორგანოებს უფლება აქვთ სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი – 65 წლიდან, მამაკაცი – 70 წლიდან), თუ მას მისჯილი არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.

სასამართლოს, სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით, უფლება აქვს მსჯავრდებულის შუამდგომლობის საფუძველზე ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ. ასევე სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე მძიმე ან უკურნებელი სენით დაავადებული მსჯავრდებული.

ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლებისას სასამართლოს უფლება აქვს, იგი დამატებითი სასჯელის მოხდისაგანაც გაათავისუფლოს.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებას და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლას ითვალისწინებს საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლი. ის ვინც სასჯელს იხდის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის ან თავისუფლების შეზღუდვის სახით, შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა. თუ პირი სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის სახით, იგი შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, თუ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო მიიჩნევს რომ მისი გამოსწორებისათვის საჭირო აღარ არის დანიშნული სასჯელის მთლიანად მოხდა, პირი, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლდა ან სასჯელის მოუხდელი ნაწილი ნაკლებად მკაცრი სასჯელით შეცვალა, შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისგან.

სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლო მსჯავრდებულს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე ათავისუფლებს არასაპატიმრო სასჯელთა, აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფროსის წარდგინებით.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების

აღკვეთით მსჯავრდებულს ის სასჯელის მოხდის პერიოდში შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, რა დროსაც ითვალისწინებს მსჯავრდებულის ყოფაქცევას. ამასთანავე, მსჯავრდებული შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა).

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის პერიოდში მისივე თანხმობით შეუცვალოს სასჯელი მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით რომელსაც მსჯავრდებული მოხდის წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე. ამასთანავე, მსჯავრდებული შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან გარდა ქონების ჩამორთმევისა.

საქართველოს სარჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს მისივე თხოვნით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი თავისუფლების შეზღუდვით, რომელსაც მსჯავდებული მოიხდის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში. ამ დროს მსჯავრდებული შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან, გარდა ქონების ჩამორთმევისა.

კანონი საქართველოს სარჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს ანიჭებს უფლებას შეცვალოს სასამართლო განაჩენის დადგენილი სასჯელი, რაც აკნინებს სასამართლოს როლს და მნიშვნელობას სისხლის სამართლის პროცესში. ამიტომ განაჩენით დადგენილი სასჯელის შეცვლის უფლებით უნდა სარგებლობდეს მხოლოდ სასამართლო და არცერთი სხვა სახელმწიფო ორგანო (ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს პარლამენტი რომელიც გამოსცემს ამნისტიის აქტს და პრეზიდენტი რომელიც შეიწყალებს მსჯავრდებულს). ფიქრობთ, კანონში ხარვეზია დაშვებული და იგი დროულად უნდა აღმოიფხვრას. გადაწყვეტილების მიმღები პირველი ინსტანციის სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე მსჯავრდებულის რაიმე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან ათავისუფლებს მსჯავრდებულის შუამდგომლობით.

თუ სასამართლო უარს იტყვის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების და სასჯელის მოუხდელი ნაწილის ნაკლებად მკაცრი სასჯელით შეცვლის წარდგინების ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, იმავე საკითხზე წარდგინების ან შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა არ აღემატება 6 თვეს ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს შემდეგი მოვალეობის შესრულება:

ა) პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი.

ბ) არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში.

გ) არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი.

დ) მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს.

ე) გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი.

განაჩენის აღსრულება სხვა აღუსრულებელი განაჩენის არსებობის დროს. თუ მსჯავრდებულის მიმართ არსებობს რამდენიმე აღუსრულებელი განაჩენი, სასჯელაღსრულების და პრობაციის დეპარტამენტის თავმჯდომარის შუამდგომლობით სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება მსჯავრდებულისათვის სასჯელის ყველა აღნიშნული განაჩენის მიხედვით განსაზღვრის შესახებ.

გადაწყვეტილების აღსრულებისას გამოვლენილი ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრა. გადაწყვეტილებისას გამოვლენილი ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრა გათვალისწინებულია საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლით. გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს უფლება აქვს, ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით აღმოფხვრას გადაწყვეტილებაში არსებული ბუნდოვანება – უზუსტობა, რაც არ გამოიწვევს მის გაუქმებას ან შეცვლას. სახელდობრ:

ა) დააზუსტოს დაკავებისა და დაპატიმრების თარიღები, აგრეთვე ვადა, რომელიც ჩაითვლება სასჯელის დანიშვნისას;

ბ) შეასწოროს პროცესის მონაწილის პერსონალური მონაცემები;

გ) დააზუსტოს და გაანაწილოს საპროცესო ხარჯები;

დ) გადაწყვიტოს მტკიცებულებათა საკითხი;

ე) დააზუსტოს ქონებაზე ყადაღის საკითხი;

ვ) შეიტანოს სხვა დაზუსტება, რომელიც გავლენას არ მოახდენს სასამართლოს დასკვნაზე მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის ღონისძიების შესახებ.

სასამართლოს მიერ ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვა. ნასამართლობა არის სასამართლოს მიერ პირისათვის მსჯავრის დადების სამართლებრივი შედეგი, რომელიც ნასამართლევის უფლებების შეზღუდვით გამოიხატება.

ნასამართლობას ორმაგი შედეგი მოსდევს: ერთი – საერთო სამართლებრივი, ხოლო მეორე – წმინდა სისხლისსამართლებრივი.

ნასამართლევი პირის საერთო სამართლებრივი შედეგი შეიძლება გამოიხატოს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების შეზღუდვაში.

ნასამართლობის წმინდა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და პირის რეციდივისტად ცნობის საკითხის გადაჭრისათვის.

ნასამართლობის მოხსნის საკითხი განიხილება სასჯელმოხდილი პირის შუამდგომლობით. შუამდგომლობის დაყენების უფლება ნასამართლობის მოხსნის თაობაზე შეზღუდული არაა დროში. ასეთი შუამდგომლობის შეტანა სასამართლოში დაიშვება სასჯელის სრული მოხდის მომენტიდან ვიდრე ნასამართლობის გაქარწყლებამდე. ნასამართლობის გაქარწყლების ვადებს ადგენს საქართველოს სსკ-ის 76-ე მუხლი. ამ მუხლის შესაბამისად, ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობითი მსჯავრდებულისა – გამოსაცდელი ვადის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან 6 წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან 8 წლის შემდეგ.

ნასამართლობის მოხსნის თაობაზე შუამდგომლობას განიხილავს გადაწყვეტილების მიმღები პირველი ინსტანციის სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე.

ნასამართლეობის მოხსნაზე უარის თქმის შემთხვევაში შუამდგომლობის ხელახლა დაყენება შეიძლება მხოლოდ 3 თვის შემდეგ.

უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მსჯავრდებული პირის მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდასთან დაკავშირებული პროცედურა. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მსჯავრდებული პირის მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდასთან დაკავშირებულ პროცედურას აწესრიგებს საპროცესო კოდექსის 289-ე მუხლი. ამ მუხლის თანახმად საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდის საკითხს განსჯადობის დაცვით, მსჯავრდებულის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით განიხილავს პირველი ინსტანციის სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების მიღებიდან 1 თვის ვადაში. ამ საკითხის თაობაზე საქართველოს სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს დასახელება და ადგილი, აგრეთვე განაჩენის გამოტანის დრო.

ბ) მონაცემები მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის საქართველოში უკანასკნელი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილებისა და საქმიანობის შესახებ;

გ) იმ ქმედების კვალიფიკაცია, რომლის ჩადენაშიც პირს ბრალი ედება სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე.

დ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის.

ე) სასჯელის სახე და ვადა, რომელიც მსჯავრდებულმა საქართველოში უნდა მოიხადოს, სასჯელის მოხდის დაწყებისა და დამთავრების თარიღებისა და ზიანის ანაზღაურების წესის მითითებით.

უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდა ხდება იმავე წესით და იმავე პირობებში, როგორშიც საქართველოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოხდა საქართველოში ჩადენილი დანაშაულისათვის.

საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ განაჩენის გადასინჯვის, შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ასეთი განაჩენის აღსრულების საკითხი წყდება საპროცესო კოდექსის 289-ე მუხლის შესაბამისად.

უცხო ქვეყნის სასამართლოს განაჩენი რომ ნამდვილად საქართველოში აღსრულდა, ამის შესახებ მიღებული განაჩენის ასლი შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების შემდგომი ინფორმირების მიზნით ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს ან/და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განაჩენით დგება მსჯავრდების ისეთივე სამართლებრივი შედეგები, როგორიც საქართველოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის მიმართ.

საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ გამოიყენება განაჩენის გამომტანი უცხო სახელმწიფოსა და საქართველოს მიერ გამოცემული ამნისტიისა და შეწყალების აქტი, ამ აქტით დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულთან შესაბამისობის დადასტურება. უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამის დადასტურების პროცედურულ წესს აწესრიგებს საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლი. შეიძლება საქართველოს მოქალაქე უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მსჯავრდებული იყოს ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავარ პროკურორს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისი დადასტურების თაობაზე, შუამდგომლობით მიმართვა უნდა მოხდეს გამამტყუნებელი განაჩენის მიღების მომენტიდან 3 თვის განმავლობაში.

შუამდგომლობას 3 თვის ვადაში განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.

განხილვაში სავალდებულოა მონაწილეობდეს პროკურორი, ხოლო განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ მსჯავრდებულს და მის ადვოკატს ან კანონიერ წარმომადგენელს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას.

შუამდგომლობის განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს ორიდან ერთ-ერთი გადაწყვეტილება (განჩინება):

1) უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისობის დადასტურებისა და შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;

2) უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისობის არსებობისა და შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

განჩინებაში უნდა აღინიშნოს უცხო სახელმწიფოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს დასახელება და ადგილი, განაჩენის გამოტანის დრო, მონაცემები მსჯავრდებული საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, სისხლის სამართლის კანონის შესაბამისი მუხლის მითითებით საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა შესაბამისი დანაშაულის ჩადენისათვის.

განჩინება საბოლოოა და კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე. პროკურორი უფლებამოსილია განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის ვადაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით შეიტანოს სარჩელი მსჯავრდებულის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების გასაჩივრება. განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების თაობაზე გამოტანილი განჩინების გასაჩივრების წესი გადმოცემულია საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლში.

ერთჯერადად, 10 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი შემდეგი განჩინება:

1) მსჯავრდებულის ძებნის შესახებ;

2) განაჩენის აღსრულების გადავადების შესახებ;

3) ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ;

4) სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების და სასჯელის მოუხდელი ნაწილის ნაკლებად მკაცრი სასჯელით შეცვლის შესახებ;

5) სხვა აღუსრულებელი განაჩენის არარსებობის დროს განაჩენის აღსრულების შესახებ;

6) გადაწყვეტილების აღსრულებისას გამოვლენილი ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ;

7) სასამართლოს მიერ ნასამართლეობის მოხსნის შესახებ;

8) უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საქართველოში აღსრულების შესახებ.

სააპელაციო საჩივარს 1 თვის ვადაში განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატა:

როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული საკითხების განხილვისას პროკურორი არ მონაწილეობს.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ განაჩენის არსი;

2) რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს განაჩენი?

3) რა მნიშვნელობა გააჩნია სასამართლო განაჩენს?

4) რა თანმიმდევრობითა და რა საკითხებს წყვეტს სასამართლო განაჩენის დადგენისას?

5) როგორ მიიღება ნაფიც მსაჯულტა ვერდიქტი, როგორია მისი ფორმა და როგორ ცხდდება იგი?

6) ჩამოაყალიბეთ განაჩენის დადგენის წესი;

7) ჩამოაყალიბეთ გამამტყუნებელი განაჩენის ცნება, არსი, სახეები და შინაარსი;

8) ჩამოაყალიბეთ გამამართლებელი განაჩენის ცნება, არსი, სახეები და შინაარსი;

9) ჩამოაყალიბეთ განაჩენის სტრუქტურა და შინაარსი;

10) ჩამოაყალიბეთ მსჯავრდებულის ძებნის საფუძველი და შინაარსი;

11) ჩამოაყალიბეთ განაჩენის გადავადების საფუძველი და წესი;

12) როგორ ხდება საქართველოში ექსტრადირებული მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის აღსრულებისას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტა?

13) რა საფუძველზე და როგორ ხდება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლება?

14) რა საფუძველზე და როგორ ხდება სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა

15) რა საფუძველზე და როგორ ხდება სხვა აღსრულებითი განაჩენის არსებობის დროს განაჩენის აღსრულება?

16) რა საფუძველზე და როგორ ხდება გადაწყვეტილების აღსრულებისას გამოვლენილ ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრა?

17) რა საფუძველზე და როგორ ხდება სასამართლოს მიერ ნასამართლობის მოხსნის საკითხის განხილვა?

18) როგორ ხდება უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მსჯავრდებული პირის მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდასთან დაკავშირებული პროცედურის დაწყება?

19) როგორ ხდება უცხო სახელმწიფოს სასამათლოს განაჩენის საქართველოში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან შესაბამისობის დადასტურება?

20) როგორი წესია დადგენილი განაჩენის აღსრულებისას ჭამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრებისა?

თავი 22. აპელაცია სისხლის სამართლის პროცესში

22.1. აპელაციის არსი და ამოცანები, აპელაციის საგანი

აპელაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მიმართვას[47]. იურიდიულ ლიტერატურაში აპელაცია არის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციაში, რომელსაც აქვს უფლება არსებითად გადასინჯოს საქმე და გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება.

სააპელაციო გასაჩივრების საერთო პირობები პირის მიერ გასაჩივრების უფლების რეალურად განხორციელების ფართო შესაძლებლობას იძლევა და შეუზღუდავი, თავისუფალი ხასიათი აქვს, რასაც იურიდიულ ლიტერატურაში გასაჩივრების თავისუფლებას უწოდებენ.

აპელაცია სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სტადიაა. სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითად განხილვა ხდება განმეორებით, სააპელაციო საჩივრის საფუძველზე.

სააპელაციო სამართალწარმოება, როგორც სისხლის სამართლის პროცესის შემადგენელი ნაწილი, სისხლის სამართლის ზოგად საპროცესო პრინციპებს ემყარება, რომელთა სააპელაციო წარმოების სტადიაზე გარკვეულ თავისებურებებს უკავშირდება. მაგალითად, გასაჩივრების უფლების მინიჭება, როგორც ბრალდების ისე დაცვის მხარისათვის, შეჯიბრობითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების განხორციელების თავისებურ ფორმას წარმოადგენს სააპელაციო სამართალწარმოების სტადიაზე; ბრალდებულის გასაჩივრების უფლება უკავშირდება დაცვის უფლების განხორციელებასა და სხვა.

გასაჩივრების თავისუფლება გამოიხატება ამ უფლების პროცესში მონაწილე პირთა ფართო წრისათვის მინიჭებაში.

სააპელაციო გასაჩივრების საგანს წარმოადგენს სასამართლოს ის დოკუმენტი, რაზედაც მიმართულია სააპელაციო საჩივარი, ე.ი. ის დოკუმენტი, რომელიც საჩივრდება.

სააპელაციო გასაჩივრების საგანი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (რაიონული, საქალაქო) განაჩენი, რომელიც აპელანტს უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მიაჩნია.

ამრიგად, სააპელაციო გასაჩივრების საგანი არის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენი, რომელიც აპელანტის აზრით:

ა) უკანონოა;

ბ) დაუსაბუთებელია;

გ) უკანონო და დაუსაბუთებელია.

სააპელაციო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება როგორც გამამართლებელი ისე გამამტყუნებელი განაჩენი. განაჩენი შესაძლებელია გასაჩივრდეს მთლიანად ან ნაწილობრივ. მაგალითად, პირს პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯავრი დასდო ყაჩაღობისა და ქურდობის ჩადენაში. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს როგორც მთლიანად, ისე ყაჩაღობის ან ქურდობის ნაწილში.

სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტთა წრეს ის მონაწილეები შეადგენენ, რომელთაც საქმეში თავისი, გარკვეული საპროცესო ინტერესი გააჩნიათ. მოქ-

[47] Большои Юридический Словарь, под ред. А.Я. Сухареваю, В.Е. Крутских, Москва, 2002, ст. 33.

მედი საპროცესო კოდექსი ამომწურავად ჩამოთვლის სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტთა წრეს. სააპელაციო გასაჩივრების უფლებით სარგებლობენ: ბრალმდებელი, ზემდგომი პროკურორი და მსჯავრდებული, ე.ი. მხარეები. პროცესის მონაწილეთა საპროცესო მდგომარეობისა და ინტერესების მიხედვით ხდება მათი მხარეებად დაყოფა: ბრალდებისა და დაცვის მხარედ.[48]

რაც შეეხება პროცესის დანარჩენ მონაწილეებს, მათი სტატუსიდან გამომდინარე არ გააჩნიათ პირადი საპროცესო ინტერესი, საქმის შედეგთან მიმართებაში, ამიტომ ისინი არ სარგებლობენ სააპელაციო გასაჩივრების უფლებით. სააპელაციო გასაჩივრების უფლების თავისუფლად განხორციელების ერთ-ერთ პირობას ამ უფლებით მოსარგებლე პირთათვის გასაჩივრების უფლების განმარტება წარმოადგენს. ამ უფლებას მოსამართლე განმარტავს განაჩენის გამოცხადებისთანავე და იგი წერილობით აისახება განაჩენში.

ჩვენი აზრით, სააპელაციო გასაჩივრების უფლებით უნდა სარგებლობდეს დაზარალებული. სასამართლო პრაქტიკამ ცხადყო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი დაზარალებულს უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მიაჩნია (ნათელ მაგალითს გირგვლიანის საქმე წარმოადგენს) და მის ინტერესებს უგულებელყოფს სმამართლოც და ბრალდების მხარეც. ამ მოთხოვნამ ასახვა უნდა ჰპოვოს საკანონმდებლო დონეზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დამთავრებისა და განაჩენის გამოცხადებისთანავე პირს განემარტება სააპელაციო გასაჩივრების უფლება, მაგრამ არ მოეთხოვება პასუხის გაცემა-აპირებს თუ არა იგი საჩივრის შეტანას.[49]

სააპელაციო გასაჩივრების უფლებას პირი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს. მას უფლება აქვს ისარგებლოს ან უარი თქვას გასაჩივრების უფლებით სარგებლობაზე. თუ პირი არ წარადგენს სააპელაციო საჩივარს კანონით დადგენილ ვადაში, ჩაითვლება, რომ მან არ ისარგებლა გასაჩივრების უფლებით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ პირმა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლო უფლების დადგენილ ვადაში განხორციელება.

სააპელაციო გასაჩივრების უფლება პირის დამოუკიდებელი უფლებაა. პირს უფლება აქვს წარადგინოს სააპელაციო საჩივარი, იმის მიუხედავად, წარადგინა თუ არა იგი პროცესის სხვა მონაწილემ.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის საფუძველს სააპელაციო საჩივარი წარმოადგენს. მისი არსებობა აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც საქმე არ განიხილება სააპელაციო წესით.

სააპელაციო საჩივრის წარდგენა სააპელაციო სასამართლოს აკისრებს საქმის განხილვის ვალდებულებას.

ბრალმდებელში იგულისხმება პროკურორი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას, ხოლო ზემდგომ პროკურორში იგულისხმება საქმეში მონაწილე ბრალმდებლის ზემდგომი პროკურორი[50].

პროკურორს საქმეში პირადი ინტერესი არ გააჩნია, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა მისი, როგორც პროკურორის პროფესიული მოვალეობაა. სახელ-

---

[48] სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2002 წ., გვ. 45

[49] Боботов В. Правосудия во Франции, Москва. 1994 г. стю 178.

[50] ი.გაბისონია, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში, თბილისი, 2002, გვ.282;

მწიფო ბრალდების მხარდაჭერისას, ისევე როგორც სხვა ფუნქციების განხორციელებისას, პროკურორი სახელმწიფოს სახელით მოქმედებს, საკუთარი პოზიცია უკავია, რასაც იგი თავის შინაგან რწმენაზე დაყრდნობით გამოიმუშავებს.

პროკურორის მიერ განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრება უნდა განვიხილოთ როგორც სახელმწიფო ბრალდების ფუნქციის განხორციელების ერთ-ერთი ხერხი, საშუალება. ისევე, როგორც განსასჯელის ასეთივე მოქმედება განიხილება, როგორც დაცვის უფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა.

სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტია ასევე ადვოკატი. ადვოკატს უფლება აქვს შეიტანოს სააპელაციო საჩივარი მხოლოდ მსჯავრდებულთან თანხმობით. ადვოკატს უფლება აქვს შეიტანოს სააპელაციო საჩივარი შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც მსჯავრდებული არასრულწლოვანია;

ბ) როდესაც მსჯავრდებულს აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.

გ) როდესაც მსჯავრდებულს აქვს ისეთი ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც დამცველი არ მიიჩნევს მიზანშეწონილად საჩივრის შეტანას, ხოლო განსასჯელი მოითხოვს განაჩენის გასაჩივრებას, დამცველი ცდილობს დაარწმუნოს განსასჯელი გასაჩივრების უსაფუძვლობაში, ხოლო, თუ იგი კვლავ მოითხოვს საჩივრის შეტანას, დამცველი მოვალეა გაუწიოს მას იურიდიული დახმარება, რის შედეგაც განსასჯელი თავისი სახელით შეიტანს საჩივარს. პოზიციათა მკვეთრი განსხვავების დროს განსასჯელს უფლება აქვს უარი თქვას დამცველზე და აიყვანოს სხვა დამცველი, ანდა დაცვა დამოუკიდებლად განახორციელოს, თუ არ არსებობს ის გარემოებები, როდესაც დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა.[51]

მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი მის დაუსწრებლად იქნა გამოტანილი, უფლება აქვს, გაასაჩივროს განაჩენი დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან ან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან (თუ მსჯავრდებული ითხოვს სააპელაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე) 1 თვის ვადაში.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილ განაჩენზე სააპელაციო საჩივრის შეტანა დაუშვებელია.

22.2. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა, ფორმა და შინაარსი

სააპელაციო გასაჩივრება განისაზღვრება გარკვეული დროით, რომლის განმავლობაშიც საჩივრის შემტანმა პირმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს სააპელაციო საჩივარი და მასში მოიყვანოს არგუმენტები პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებათა გასაბათილებლად. სააპელაციო გასაჩივრების ვადა არ შეიძლება იყოს იმდენად ხანმოკლე, რომ გასაჩივრების სუბიექტმა ვერ შეძლოს გასაჩივრების უფლების რეალიზაცია. გასაჩივრების უფლება დრო არ უნდა იყოს იმდენად ხანგრძლივი, რომ ხელი შეეშალოს ან გააჭიანუროს სასამართლო შეცდომის გამოსწორების პროცესი, მაგრამ არც იმდენად ხანმოკლე,

[51] ა. ფალიაშვილი, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ზოგიერთი საკითხი. ჟურნალი "სახელმწიფო და სასამართლო", 1990, 73, გვ. 27-28

რომ გასაჩივრების საუბიექტმა ვერ შეძლოს აღნიშნული უფლების რეალიზება. მათ შესაძლებლობა უნდა მიეცეთ გაეცნონ განაჩენის შინაარს, უნდა დარჩეთ მოსაფიქრებელი დრო შეიტანონ თუ არა სააპელაციო საჩივარი, შეათანხმონ თავიანთი პოზიცია ადვოკატთან და, პირიქით, დასაცავ პირებთან, ჩამოაყალიბონ გასაჩივრებული დებულებანი, მათი მცდარობა და საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი.

საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში. სააპელაციო საჩივარი თუ რა ფორმით უნდა დამზადდეს მითითებული არ არის საპროცესო კოდექსში. ჩვენი აზრით, იგი შეიძლება დაიწეროს ხელით ან დამზადდეს ტექნიკური საშუალებით. მოცემული მოთხოვნა უნდა აისახოს საპროცესო კანონმდებლობაში.

სააპელაციო საჩივარში აღინიშნება:

ა) იმ სასამართლოს დასახელება, სადაც იგზავნება საჩივარი;

ბ) საჩივრის შემტანი პირის სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საპროცესო მდგომარეობა;

გ) გასაჩივრებული განაჩენის გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი;

დ) განაჩენის გასაჩივრებული დებულებანი;

ე) გასაჩივრებულ დებულებათა უკანონობის ან/და დაუსაბუთებლობის არსი;

ვ) მომჩივანის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცე-ბულებანი;

ზ) მტკიცებულება, მათ შორის, ახალი, რომელიც უნდა გამოიკვლიოს სააპელაციო სასამართლომ;

თ) დამატებით წარმოდგენილი მასალები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დაგვიანებით შეტანილი სააპელაციო საჩივარი არ წარმოადგენს სასამართლოში საქმის სააპელაციო წესით განხილვის საფუძველს. პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე, თუ იგი საპატიო მიზეზით იქნა გაცდენილი.

საპატიო მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს, ერთი მხრივ, გარემოებანი, რომლებმაც ხელი შეუშალეს პროცესის მონაწილეს დროულად გაესაჩივრებინა განაჩენი თუ სხვა გადაწყვეტილება (მაგალითად ავადმყოფობა, ახლო ნათესავის დაღუპვიდან სხვა ტრაგიკული შემთხვევა, სტიქიური უბედურება), ხოლო მეორე მხრივ, კანონის დარღვევა, რითაც შეზღუდულ იქნა პირის მიერ თავისი კანონიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა (მაგალითად, სასამართლო სხდომის ოქმის დაგვიანებით მამზადება და სხვა).[52]

გასაჩივრების ვადის აღდგენის საკითხს განიხილავს საქმის განხილველი სასამართლო, რომელიც განჩინების გამოტანის გზით აღადგენს საპატიო მიზეზით გაცდენილ გასაჩივრების ვადას ან უარს იტყვის ვადის აღდგენაზე.

სააპელაციო საჩივრის შეტანა არ აჩერებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულებას.

სააპელაციო საჩივარში მიეთითება, თუ რა ნაწილში საჩივრდება განაჩენი, და საჩივრის დამადასტურებელი დოკუმენტები.

---

[52] Комментарий к уголовно-просесуальному кодексу Российской Федерации. Москва 2002 г. Ст. 755

განაჩენის გამომტან სასამართლოში სააპელაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი შეიტანება, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ იგი ამ სასამართლომ გადასცეს პროცესის იმ მონაწილეს, რომელსაც მხარის საპროცესო მდგომარეობა უკავია. სააპელაციო საჩივარი შეტანილად ჩაითვლება განაჩენის გამომტან სასამართლოს კანცელარიაში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

სააპელაციო საჩივარი არ შემოიფარგლება მხოლოდ ძირითადი საჩივრის შედგენით. კანონი ითვალისწინებს აგრეთვე შესაგებელ სააპელაციო საჩივარს.

სასამართლო სააპელაციო საჩივრის ასლს არაუგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნის მეორე მხარეს, რათა მან წარადგინოს საჩივრის შესაგებელი. მეორე მხარემ სასამართლოს შესაგებელი უნდა წარუდგინოს საჩივრის ასლის მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

შესაგებელი შინაარსობრივად უნდა პასუხობდეს იმ სააპელაციო საჩივარს, რომელზედაც იგი წარდგენილ იქნა.

სააპელაციო საჩივრის გამოთხოვის შემთხვევაში ამ საჩივარზე შეტანილი შესაგებელი ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან აღარ არსებობს საფუძველი, რასაც იგი ემყარება.

შესაგებლის შეტანით სასამართლოსათვის ცნობილი ხდება მხარეთა პოზიცია, რაც ხელს უწყობს საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

აპელანტს უფლება აქვს, სასამართლოდან მიიღოს სააპელაციო საჩივრის შესაგებელის ასლი.

22.3 სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა

სისხლის სამართლის საქმე, სააპელაციო საჩივარი და მისი შესაგებელი პირველი ინსტანციის სასამართლოდან იგზავნება სააპელაციო სასამართლოში.

საპროცესო კანონმდებლობა არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ პირის მიერ სააპელაციო საჩივრის უშუალოდ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში.

იურიდიულ მეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ ,,ეს გარემოება არ წარმოადგენს საჩივრის განხილვის ხელისშემშლელ გარემოებას, ე.ი. განხილვაზე უარის თქმის საფუძველს, რადგან იგი გამოიწვევს გაჭიანურებას.[53]

ჩვენი აზრით, სააპელაციო საჩივრის უშუალოდ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარდგენა გარკვეულ სირთულეებს წარმოშობს პროცესის მონაწილეთა და თვითონ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოსათვის კანონოთ განსაზღვრულ უნდა იქნეს სააპელაციო საჩივრის მხოლოდ განაჩენის გამომტან სასამართლოში შეტანა, როგორც ამას მომქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, ხოლო, საჩივრის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში, აპელანტს უნდა განემარტოს საჩივრის შეტანის კანონით გათვალისწინებული ადგილი ანდა საჩივარი გადაეგზავნოს განაჩენის გამომტან სასამართლოს, როგორც გამონაკლისი.

სააპელაციო სასამართლომ საქმისა და საჩივრის მიღებიდან 10 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე უნდა გადაწყვიტოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.

---

[53] ი. გაბისონია, სისხლის სამართლის საქმის განხილვა სასამართლოში. თბილისი, 2002წ. გვ. 288-289

თუ სააპელაციო საჩივარი არ შეესაბამება საპროცესო კოდექსის 293-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, რომელშიც მოცემულია სააპელაციო საჩივრის ფორმა, სააპელაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით აპელანტს უგზავნის საჩივარს და აძლევს 5 დღის ვადას საჩივრის ხარვეზის შესავსებად. თუ აპელანტი შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, ე.ი. შეავსებს საჩივრის ხარვეზს, სააპელაციო სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება, საჩივრის დასაშვებად ცნობის თაობაზე და ნიშნავს სააპელაციო სხდომის თარიღს. სააპელაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში.

სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს მხარის საჩივარი:

1) ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე;

2) მხოლოდ სასჯელის შემცირების თაობაზე.

ასეთ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია დანიშნული სასჯელი ზეპირი მოსმენის გარეშე შეამციროს არა უმეტეს ერთი მეოთხედით.

აპელანტს უფლება აქვს, ვიდრე სააპელაციო სასამართლო გამოიტანს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სააპელაციო საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელი.

22.4 საქმის განხილვა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში

მსჯავრდებულს, რომელიც პატიმრობაში იმყოფება, უფლება აქვს სააპელაციო საჩივრით მოითხოვოს საჩივრის განხილვაში უშუალოდ მონაწილეობა. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო.

თუ სააპელაციო სხდომაზე აპელანტი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება, სააპელაციო სასამართლო განჩინებით მის სააპელაციო საჩივარს განუხილველად ტოვებს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში სააპელაციო საჩივარი განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად, შემდეგი ცვლილებებით:

ა) მხარეთა შესავალი სიტყვებისას, შესავალი სიტყვით პირველად გამოდის აპელანტი. თუ აპელანტი ბრალდების მხარეა, წარადგენს ბრალდების შესავალ სიტყვას, ხოლო თუ დაცვის მხარეა – დაცვის შესავალ სიტყვას. ამის შემდეგ შესავალი სიტყვით გამოდის აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე. თუ აპელანტის მოწინააღმდეგე დაცვის მხარეა – წარადგენს დაცვის შესავალ სიტყვას, ხოლო თუ ბრალდების მხარეა – ბრალდების შესავალ სიტყვას. ასეთივე წესით უნდა წარადგინონ მხარეებმა დასკვნითი სიტყვები;

ბ) სააპელაციო სხდომაზე აპელანტს აკისრია:

1) განაჩენის უკანონობის მტკიცების ტვირთი;

2) განაჩენის დაუსაბუთებლობის მტკიცების ტვირთი;

3) განაჩენის უკანონობისა და დაუსაბუთებლობის მტკიცების ტვირთი.

გ) სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებების გამოკვლევა. სააპელაციო სასამართლოში გამოკვლეულად მიიჩნევა ყველა ის მტკიცებულება, რომელთა გამოკვლევაც მოხდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულება გამოკვლეულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით და მხარე აყენებს შუამდგომლობას ამგვარი მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევის თაობაზე;

დ) მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი მტკიცებულება შესაძლოა გამოკვლეულ იქნეს სააპელაციო სასამართლოში, თუ შუამდგომლობის ავტორი დაასაბუთებს, რომ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასასაბუთებლად და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მისი წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო;

ე) მტკიცებულებების გამოკვლევა არ უნდა გასცდეს სააპელაციო საჩივრისა და შესაგებლის ფარგლებს;

ვ) მტკიცებულებათა გამოკვლევის ზემოთ მოყვანილი წესი არ ვრცელდება სისხლის სამართლის იმ საქმეებზე, რომლებზედაც პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი ბრალდებულის დაუსწრებლად გამოიტანა. გარდა იმ შემთხვევისა როცა მსჯავრდებულის მოთხოვნის შესაბამისად, სააპელაციო წესით საქმე მისი მონაწილეობის გარეშე იხილება;

ზ) სააპელაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში.

22.5 სააპელაციო განაჩენი და შებრუნება საუარესოდ

საპროცესო კოდექსის 536-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო განჩინებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) აუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს. გამამართლებელი განაჩენის საფუძველია ბრალდებულისათვის წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობა. სახელდობრ:

1) თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

2) თუ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო;

3) თუ ქმედება ჩადენილია ბრალის გამომრიცხველი გარემოებებში (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე–37-ე მუხლები).

ბ) აუქმებს პირველი ინსტანციის გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა დადგინდეს მხოლოდ მაშინ, თუ სააპელაციო განხილვის დროს დამტკიცდება პირის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე;

გ) ცვლილება შეაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში; ეს იმას ნიშნავს, პირველი და სააპელაციო სასამართლოების დადგენილია ან გამამართლებელი, ან გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ არ შეიძლება ისინი იყვნენ იდენტურები, ე.ი. ცვლილება უნდა განიცადოს პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილმა განაჩენმა სააპელაციო სასამართლოს დადგენილი ახალი განაჩენით;

დ) უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე; ასეთ შემთხვევაში, მართალია უქმდება პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილი განაჩენი, მაგრამ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენში აისახება პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილი განაჩენის დებულებები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ყველა შემთხვევაში უნდა შეიცვალოს სააპელაციო სასამართლოს განაჩენით.

სააპელაციო სამართალწარმოების ერთ-ერთ თავისებურებას საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი წარმოადგენს.[54] ეს იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს დაადგინოს განაჩენი, რომელიც ბრალდებულის მდგომარეობას დაამძიმებს.

საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს დაადგინოს განაჩენი, რომელიც განსასჯელის მდგომარეობას აუარესებს. მდგომარეობის საუარესოდ შებრუნებაში უნდა ვიგულისხმოთ მდგომარეობა, რომელშიც განსასჯელი აღმოჩნდება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და განაჩენის დადგენის შემდეგ და რომელიც უარესია, ვიდრე მდგომარეობა, რომელშიც იგი განაჩენის (სხვა გადაწყვეტილების) გასაჩივრებამდე იმყოფებოდა.

თუ საქმის სააპელაციო წესით განხილვა ხდება მსჯავრდებულის ან მისი ადვოკატის საჩივრის საფუძველზე და საჩივარი არ შეუტანია ბრალდების მხარეს, სააპელაციო სასამართლოს უფლება არა აქვს:

ა) გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს.

ბ) გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი.

გ) დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი.

დ) მიიღოს მსჯავრდებულისათვის არასასიკეთო სხვა გადაწყვეტილება.

საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესის მიზანსა და ძირითად დანიშნულებას განსასჯელისათვის გასაჩივრების თავისუფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული წესის მიხედვით, განსასჯელი, რომელიც არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ განაჩენს, დაზღვეულია, რომ განაჩენის (სხვა გადაწყვეტილების) გასაჩივრების შემთხვევაში, მისი მდგომარეობა არ გაუარესდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საშიშროების წინაშე დადგებოდა, რომ შესაძლებელია განაჩენის გასაჩივრებას მოჰყვეს დანიშნული სასჯელის გამკაცრება ან მდგომარეობის სხვაგვარი გაუარესება, რის გამოც იგი თავს შეიკავებდა განაჩენის გასაჩივრებისაგან, თუნდაც, მისი აზრით, განაჩენი აშკარად მცდარი, უკანონო და არასამართლიანი ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში კი, პირის უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან ერთად ირღვევა მართლმსაჯულების ამოცანები.[55]

---

[54] М. Строгович, Проверка законости и обостованости судебних приговоров. Москва, 1956 г. Ст. 230

[55] Кореновский Ю. Как обжаловать приговор суда. Москва, 1998 г. Ст.155

საუარეოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი, როგორც განსასჯელისათვის გასაჩივრების თავისუფლების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება, მხოლოდ მის მიმართ მოქმედებს და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი საჩივარი. ამრიგად, საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი მოქმედებს განსასჯელის ადვოკატის მიერ განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში, ვინაიდან ეს უკანასკნელი სასამართლოში სწორედ განსასჯელის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს იცავენ და წარმოადგენენ.

თუ ბრალდების მხარემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარების მოთხოვნით და თუ მათ ასეთი პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს:

ა) გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს.

ბ) გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი.

გ) დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი.

დ) სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა.

22.6. სააპელაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობაში სარევიზიო საწყისს აწესრიგებს საპროცესო კოდექსის 299-ე მუხლი. რევიზია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გადასინჯვას.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობაში სარევიზიო საწყისები გამოიხატება შემდეგ დებულებაში: "თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია მსჯავრდებულის მიერ და სასამართლომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს, სააპელაციო სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს განაჩენით ამ საქმეში მსჯავრდებული სხვა პირის მიმართაც, რომელსაც სააპელაციო საჩივარი არ შეუტანია".

სარევიზიო საწყისი სააპელაციო სამართალწარმოებაში, პერსონალური განუსაზღვრელობის თვალსაზრისით, გულისხმობს საქმის შემოწმებას იმ მსჯავრდებულთა მიმართაც, რომლებსაც სააპელაციო საჩივარი არ შეუტანიათ.

სარევიზიო საწყისი არ უნდა განვიხილოთ როგორც საქმის განხილვის განსხვავებული, დამოიკიდებელი წესი და არ უნდა გამოვყოთ და შევადაროთ სააპელაციო წესს. იგი სააპელაციო სამართალწარმოების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს, მისი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. სააპელაციო სამართალწარმოებაში სარევიზიო საწყისის განხორციელებისას დგება ერთიანი სასამართლო სხდომის ოქმი და საერთო განაჩენი.

სააპელაციო სამართალწაროება არ ჩაითვლება სრულყოფილად, თუ გათვალისწინებული არ იყო სარევიზიო საწყისი, როდესაც ამის საფუძველი არსებობდა. სარევიზიო საწყისი საქმის სასამართლოში განხილვის ცალკე, დამოუკიდებელ სახეს არ წარმოადგენს, არამედ თან სდევს სააპელაციო სამართალწარმოებას. სარევიზიო საწყისი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობაში უზრუნველყოფს განაჩენის დასაბუთებულობისა და კანონიერების უფრო სრულ და ობიექტურ შემოწმებას და სააპელაციო სამართალწარმოების წინაშე მდგარ ამოცანებს ემსახურება.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ აპელაციის არსი;
2) რა არის სააპელაციო გასაჩივრების საგანი?
3) ვინ არიან სააპელაციო გასაჩივრების სუბიექტები?
4) რა ვადაში შეიტანება სააპელაციო საჩივარი?
5) რა აღინიშნება სააპელაციო საჩივარში?
6) როგორ წყდება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი?
7) როგორი წესით მიმდინარეობს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა?
8) რა გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო სასამართლო საქმის განხილვის დასრულების შემდეგ?
9) რაში მდგომარეობს სააპელაციო წარმოებაში საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი?
10) რა შემთხვევაშია დასაშვები სააპელაციო წარმოებისას საუარესოდ შებრუნება?
11) რას ნიშნავს სააპელაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი?

თავი 23. კასაცია სისხლის სამართლის პროცესში

23.1 კასაციის არსი, პრინციპი და საგანი

კასაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გაუქმებას. იურიდიულ ლიტერატურაში კასაცია არის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება და გადასინჯვა ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში[56].

კასაცია სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სტადიაა. საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვა ხდება ან ზეპირი მოსმენით, ან ზეპირი მოსმენის გარეშე, საკასაციო საჩივრის საფუძველზე.

საკასაციო გასაჩივრების საგანს წარმოადგენს სასამართლოს ის დოკუმენტი, რომელიც საჩივრდება.

საკასაციო გასაჩივრების საგანი არის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა.

საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლის თანახმად, განაჩენი უკანონოა თუ:

ა) არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რაც არ გამოუვლენია პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოს ან რაც მან დაუშვა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს;

ბ) მსჯავრდებულის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიეცა;

გ) გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე ან ზომა რომელიც აშკარად არ შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებას.

საკასაციო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი განაჩენი. განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს მთლიანად ან ნაწილობრივ.

საკასაციო გასაჩივრების სუბიექტთა წრეს უნდა შეადგენდნენ მხოლოდ ის პირები, რომელთა უფლებები და კანონიერი ინტერესებიც დაირღვა სააპელაციო სასამართლოს უკანონო განაჩენით.

სწორედ კარაციის ძირითადი დანიშნულება, მისი მიზანი განაპირობებს, რომ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს უკანონო განაჩენი, თუ დარღვეულია მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები.

საკასაციო გასაჩივრების სუბიექტებია: ბრალმდებელი, ზემდგომი პროკურორი, მსჯავრდებული. სახელმწიფო ბრალმდებელს უფლება აქვს გამოითხოვოს მის მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივარი, თუ დარწმუნდება, რომ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მისი წარდგენა უსაფუძვლო და არასწორი იყო. საკასაციო გასაჩივრების სუბიექტია ასევე ადვოკატი. საკასაციო გასაჩივრების უფლების თავისუფლად განხორციელების ერთ-ერთ პირობას ამ უფლებით მოსარგებლე პირთათვის გასაჩივრების უფლების განმარტება წარმოადგენს. ამ უფლებას მოსამართლე განმარტავს განაჩენის გამოცხადებისთანავე და იგი წერილობით აისახება განაჩენში.[57] ადვოკატს უფლება აქვს შეიტანოს საკასაციო საჩივარი მხოლოდ მაშინ, როდესაც ამის თანახმაა მსჯავრდებული. ადვოკატს უფლება აქვს შეიტანოს საკასაციო საჩივარი მსჯავრდებულის თანხმობის გარეშე:

---

[56] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი მ. ჭაბაშვილი, თბილისი, 1973, გვ. 194.

[57] Хисматуллин Р.С. Апелационное производство по делам о несовершенолетних, Уфа6, 2001, ст. 92.

ა) როდესაც მსჯავრდებული არასრულწლოვანია.

ბ) როდესაც მსჯავრდებულს აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.

გ) როდესაც მსჯავრდებულს აქვს ისეთი ფსიქიკური ნაკლი რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.

მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი მის დაუსწრებლად იქნა გამოტანილი, უფლება აქვს, გაასაჩივროს განაჩენი დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან ან სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

საკასაციო გასაჩივრება დაუშვებელია თუ სისხლის სამართლის საქმემ არ გაიარა სააპელაციო წარმოება.

მოქმედი კანონმდებლობლობის შესაბამისად, პირს საშუალება ეძლევა წარადგინოს საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, თუ რა სახის დანაშაულზე იქნა გამოტანილი განაჩენი, სასჯელის რა ზომას ითვალისწინებს იგი, გამოტანილია გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენი.[58]

საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის საფუძველს საკასაციო საჩივარი წარმოადგენს. მისი არსებობა აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც საქმე არ განიხილება საკასაციო წესით.

23.2 საკასაციო საჩივრის ფორმა, შინაარსი და ვადა

საკასაციო საჩივარში კასატორმა უნდა განმარტოს, რა მოცულობით ასაჩივრებს განაჩენს და მის რა მოცულობით გაუქმებას ან შეცვლას ითხოვს, ასევე უნდა დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა.

საკასაციო საჩივარი თუ რა ფორმით უნდა დამზადდეს მითითებული არ არის საპროცესო კოდექსში. ჩვენი აზრით იგი შეიძლება დაიწეროს ხელით ან დამზადდეს ტექნიკური საშუალებით. მოცემული მოთხოვნა უნდა აისახოს საპროცესო კანონმდებლობაში.

საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარში აღინიშნება:

ა) იმ სასამართლოს დასახელება, სადაც შეიტანება საჩივარი;

ბ) მონაცემები იმ პირის შესახებ, რომელსაც შეაქვს საჩივარი (სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საპროცესო მდგომარეობა);

გ) გასაჩივრებული განაჩენი, მისი გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი;

დ) მომჩივანის აზრით, რომელი სამართლებრივი საკითხი გადაწყდა უკანონოდ და რა ადასტურებს ამას.

ე) დამატებით წარმოდგენილი მასალები.

საკასაციო გასაჩივრება განისაზღვრება გარკვეული დროით, რომლის განმავლობაშიც საჩივრის შემტანმა პირმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს საკასაციო საჩივარი და მასში მოყვანილი არგუმენტები სააპელაციო სასამართლოს დადგენილ დებულებათა გასაბათილებლად. საკასაციო გასაჩივრების ვადა არ შეიძლება იყოს იმდენად ხანმოკლე, რომ გასაჩივრების სუბიექტმა ვერ შეძლოს

[58] Уолкер Р. Английская судебная системаю Москва, 1980 г.

გასაჩივრების უფლების რეალიზაცია. მათ შესაძლებლობა უნდა მიეცეთ გაეცნონ განაჩენის შინაარს, უნდა დარჩეთ მოსაფიქრებელი დრო - შეიტანონ თუ არა საკასაციო საჩივარი, შეათანხმონ თავიანთი პოზიცია ადვოკატთან და, პირიქით, დასაცავ პირთან, ჩამოაყალიბონ გასაჩივრებული დებულებანი, მათი მცდარობა და საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი.

საპროცესო კოდექსის 302-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში. ე.ი. გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება განაჩენის გამოცხადებიდან.

განაჩენის გამომტან სასამართლოში საკასაციო საჩივრის იმდენი ეგზემპლარი შეიტანება, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ იგი ამ სასამართლომ გადასცეს მხარეს.

სასამართლო საკასაციო საჩივრის ასლს არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნის მეორე მხარეს, რათა მან წარადგინოს საკასაციო საჩივრის შესაგებელი. მეორე მხარემ სასამართლოს შესაგებელი უნდა წარუდგინოს საჩივრის ასლის მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. ი. კორენევსკი მიუთითებს, რომ დამატებითი საკასაციო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს გასაჩივრების კანონით დადგენილ ვადაში, რაც უზრუნველყოფს დამატებითი საკასაციო საჩივრის პირდაპირი დანიშნულების შესაბამისად გამოყენებას და თავიდან აგვარიდებს საკასაციო გასაჩივრების ვადაში „ბლანკეტური" საჩივრის წარდგენას, ხოლო დამატებითი საჩივრის სახით კი ძირითადი საჩივრის შეტანას.

სიტყვა დამატებითი ნიშნავს იმას, რაც უკვე არსებულს ემატება, ხოლო ძირითადი არის ის, რასაც დანარჩენი ემყარება. დამატებითი საკასაციო საჩივრის შეტანა ხდება არა დამოუკიდებლად, არამედ მას შემდეგ, რაც უკვე შეტანილია ძირითადი და იგი კი არ უცვლის, არამედ ავსებს ძირითადის შინაარს.

საკასაციო საჩივრის შემტანს უფლება აქვს, სააპელაციო სასამართლოსაგან მიიღოს საჩივრის შესაგებლის ასლი.

23.3 საკასაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა

სისხლის სამართლის საქმე, საჩივარი და მისი შესაგებელი სააპელაციო სასამართლოდან იგზავნება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

თუ საკასაციო საჩივარი არ შეესაბამება საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, რომელშიც მოცემულია საკასაციო საჩივრის ფორმა, საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით კასატორს აძლევს 5 დღის ვადას, რომელიც საჭიროა საჩივრის ხარვეზის შესავსებად. თუ კასატორი არ შეასრულებს აღნიშნულ მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით საჩივარს განუხილველად ტოვებს. მოცემულ საკითხზე მიღებული განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ვფიქრობთ, კანონმდებელმა სწორად გადაწყვიტა საკიტხი საკასაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ განჩინების თაობაზე. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი ეს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება, რითაც, ვფიქრობთ, არ უნდა ირღვეოდეს პირის უფლებები და კანონიერი ინტერესები. ვინაიდან კანონი ითვალისწინებს ხარვეზის გამოსწორების მექანიზმს და საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გამოაქვს საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ განჩინება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კასატორს

მიეცა რეალური შესაძლებლობა ხარვეზის გამოსწორებისა და მან ამ შესაძლებლობით არ ისარგებლა.

საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმოს საკასაციო საჩივრის დასაშვებობა.

საკასაციო საჩივარი დასაშვებია თუ:

ა) საქმე სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

გ) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სასამართლო საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე განჩინების გამოტანიდან 5 დღის ვადაში წერილობით ატყობინებს მხარეებს, ხოლო თუ დაუშვებლად ცნობილია პროკურორის საკასაციო საჩივარი მხარეების გარდა ამის შესახებ აგრეთვე ეცნობება ზემდგომ პროკურორს.

თუ საკასაციო სასამართლო განჩინებით საჩივარს დასაშვებად მიიჩნევს, იგი ნიშნავს საკასაციო სხდომის თარიღს. საკასაციო სხდომა უნდა გაიმართოს საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში.

კასატორს უფლება აქვს, ვიდრე საკასაციო სასამართლო გამოიტანს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას უკან გაითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელიც საბოლოოა და არ გასაჩივრდება. საკასაციო საჩივრის განმეორებით შეტანა დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღება საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის საქმის განმხილველ შემადგენლობას შეუძლია განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს დიდ პალატას თუ:

ა) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;

ბ) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.

საკასაციო სასამართლო სარგებლობს უფლებით მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიიღოს საკონსულტაციო დასკვნა. საპროცესო კოდექსის 304[1] მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს, საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლის შემდეგ საქმესთან დაკავშირებულ იმ პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით ან მისი ოქმებიტ გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების განმარტებას ან გამოყენებას შეეხება, საკონსულტაციო დასკვნისათვის ადამიანის უფლებათა

ევროპულ სასამართლოს მიმართოს. მომართვის მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული და ადამიანის უფლებატა ევროპულ სასამართლოს საქმესთან დაკავშირებული სათანადო სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები უნდა წარედგინოს. მიმართვის შესახებ საკასაციო სასამართლო აცნობებს მხარეებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის შესრულება სავალდებულო არაა.

საკასაციო სასამართლოში საქმის შესვლიდან შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე დაწესებული 6 თვიანი ვადა ჩერდება საკასაციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნისათვის მიმართვიდან საკონსულტაციო დასკვნის მიღებამდე. დასკვნის მიღების შემდეგ ვადის დინება კვლავ გრძელდება.

23.4 საქმის განხილვა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში

მსჯავრდებულს, რომელიც პატიმრობაში იმყოფება, უფლება აქვს საკასაციო საჩივრით მოითხოვოს საკასაციო განხილვაში უშუალოდ მონაწილეობა. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკასაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო.

თუ საკასაციო სხდომაზე კასატორი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება, საკასაციო სასამართლო განჩინებით მის საკასაციო საჩივარს განუხილველს ტოვებს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლით თავმჯდომარე ადგენს გამოცხადდნენ თუ არა სხდომაზე მხარეები.

შემდეგ სიტყვით გამოდიან მხარეები. თავდაპირველად სიტყვა ეძლევა იმ პირს, ვინც საკასაციო საჩივარი შეიტანა, ხოლო შემდეგ სიტყვით გამოდის მეორე მხარე.

განაჩენის უკანონობის მტკიცების ტვირთი აკისრია კასატორს.

საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში.

მხარეთა სიტყვით გამოსვლის შემდეგ მხარეებს აქვთ რეპლიკის უფლება. რეპლიკის უფლებით სარგებლობს, ჯერ კასატორი, ხოლო შემდეგ – მოწინააღმდეგე მხარე.

თუ საკასაციო სხდომაში მონაწილეობას იღებს მსჯავრდებული (გამართლებული), მას უფლება აქვს თქვას საბოლოო სიტყვა.

სხდომის თავმჯდომარე მხარეს სიტყვის წარსადგენად და რეპლიკისათვის განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ ამავე დროს მას არა აქვს უფლება, დაადგინოს მხარის საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა. სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას შეაჩეროს პირი, თუ ის ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან.

22.5. საკასაციო განაჩენი და შეგრუნება საუარესოდ

საკასაციო სასამართლო შემაჯამებელ გადაწყვეტილებას იღებს განაჩენით.

საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო განაჩენით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს;

ბ) აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს;

გ) ცვლილება შეაქვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში;

დ) უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ყველა შემთხვევაში უნდა შეიცვალოს საკასაციო სასამართლოს განაჩენით.

საკასაციო სამართალწარმოების თავისებურებას საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა წარმოადგენს, ეს იმას ნიშნავს, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს დაადგინოს განაჩენი რომელიც მსჯავრდებულის მდგომარეობას დაამძიმებს.

საკასაციო სამართალწარმოების ერთ-ერთ თავისებურებას საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი წარმოადგენს.

საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესის თანახმად, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც მსჯავრდებულის მდგომარეობას აუარესებს. მდგომარეობის საუარესოდ შებრუნებაში უნდა ვიგულისხმოთ მდგომარეობა, რომელშიც განსასჯელი აღმოჩნდება საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და რომელიც უარესია, ვიდრე მდგომარეობა, რომელშიც იგი განაჩენის გასაჩივრებამდე იმყოფებოდა.

საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესის მიზანსა და ძირითად დანიშნულებას განსასჯელისათვის გასაჩივრების თავისუფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული წესის მიხედვით, მსჯავრდებული, რომელიც არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ განაჩენს, დაზღვეულია, რომ განაჩენის (სხვა გადაწყვეტილების) გასაჩივრების შემთხვევაში, მისი მდგომარეობა არ გაუარესდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საშიშროების წინაშე დადგებოდა, რომ განაჩენის გასაჩივრებას მოჰყვეს დანიშნული სასჯელის გამკაცრება ან მდგომარეობის სხვაგვარი გაუარესება, რის გამოც იგი თავს შეიკავებდა განაჩენის გასაჩივრებისაგან, თუნდაც, მისი აზრით, განაჩენი აშკარა მცადი, უკანონო და არასამართლიანი ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში კი, პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებთან ერთად ირღვევა მართლმსაჯულების ამოცანები.[59]

თუ საქმე განიხილება მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის საჩივრის საფუძველზე და ბრალდების მხარეს საჩივარი არ შეუტანია, საკასაციო სასამართლოს უფლება არა აქვს:

ა) გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს;

ბ) გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი;

გ) დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი;

დ) მიიღოს მსჯავრდებულისათვის არასასიკეთო სხვა გადაწყვეტილება.

მსჯავრდებულის არასასიკეთო გადაწყვეტილებაში იგულისხმება, მაგალითად: პირობითი სასჯელის უპირობო სასჯელით შეცვლა; ძირითად სასჯელთან ერთად დამატებითი სასჯელის დანიშვნა; ამნისტიის აქტის გამოყენების შესახებ მინიშნების ამოღება განაჩენიდან და სხვა.[60]

[59] Кореневский Ю.В. Как обжаловать приговор суда. Москва, 1998, ст. 155.

[60] Коментарий К УПК РСФСР. Москва, 1997, ст. 340.

ბრალდების მოცულობის გაფართოებაში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა ბრალდების მოცულობა უფრო იზრდება იმასთან შედარებით ამას ადგილი ჰქონდა საკასაციო გასაჩივრებამდე. მაგალითად, პირს ბრალად ედება ძარცვის ჩადენა და დადგინდება, რომ ჩაუდენია ძარცვა არაერთგზის.

სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლის გამოყენებასთან უნდა იქნეს გაიგივებული შემთხვევა, როდესაც სააპელაციო სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაციას დაემატება იმავე მუხლის სხვა პუნქტი ან შეიცვლება სხვა, უფრო მძიმე პუნქტით, აგრეთვე შემთხვევა, როდესაც ქმედების ადრინდელი კვალიფიკაციიდან ამოირიცხება მცდელობის მუხლი. დანიშნული სასჯელის ზომის გაზრდა, ცხადია, სასჯელის გამკაცრებას იწვევს. უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნად ჩაითვლება აგრეთვე საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის სახის შეცვლა უფრო მკაცრი სახის სასჯელით.

ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილებების მიღების უფლება არა აქვს საკასაციო სასამართლოს.

თუ ბრალდების მხარემ შეიტანა საკასაციო საჩივარი მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოთხოვნით და მათ ასეთი პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებში, საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს:

ა) გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს;

ბ) გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი;

გ) დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი;

დ) სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულს მდგომარეობა.

ამრიგად თუ საკასაციო საჩივარი შეტანილია დაცვის მხარის მიერ და საჩივარი არ შეუტანია ბრალდების მხარეს, საკასაციო სასამართლოს უფლება არა აქვს მსჯავრდებულის მიმართ საქმე შეაბრუნოს საუარესოდ, ხოლო თუ საკასაციო საჩივარი შეტანილია ბრალდების მხარის მიერ მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოთხოვნით და მათ ასეთი პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებში, საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს მსჯავრდებულის მიმართ საქმე შეაბრუნოს საუარესოდ.

23.6 საკასაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი

საკასაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობაში სარევიზიო საწყისები გამოიხატება შემდეგ დებულებაში: "თუ საკასაციო სასამართლო მსჯავრდებულის საჩივრის საფუძველზე მის სასარგებლოდ აუქმებს ან ცვლის განაჩენს იმ საფუძვლით, რომ სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისას დაირღვა კანონი და ეს სამართლებრივი შეცდომა განაჩენით ამ საქმეში მსჯავრდებულ სხვა პირსაც ეხება, რომელსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანია, საკასაციო სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს ამ მსჯავრდებულებზე.

სარევიზიო საწყისი არ უნდა განვიხილოთ როგორც საქმის განხილვის განსხვავებული, დამოუკიდებელი წესი და არ უნდა გამოვყოთ და შევადაროთ საკასაციო წესს. იგი საკასაციო სამართალწარმოების ერთ-ერთ თავისებურე-

ბას წარმოადგენს, მისი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. საკასაციო სამართალ- წარმოებაში სარევიზიო საწყისის განხორციელებისას დგება ერთიანი სასამართლო სხდომის ოქმი და საერთო განჩინება.

საკასაციო სამართალწარმოება არ ჩაითვლება სრულყოფილად, თუ გათვალისწინებული არ იყო სარევიზიო საწყისი, როდესაც ამისი საფუძველი არსებობდა. სარევიზიო საწყისი საქმის სასამართლოში განხილვის ცალკე, დამოუკიდებელ სახეს არ წარმოადგენს, არამედ თან სდევს საკასაციო სამართალწარმოებას. სარევიზიო საწყისი საკასაციო ინსტანციის სასამართლოს საქმიანობაში უზრუნველყოფს განაჩენის კანონიერების უფრო სრულ და ობიექტურ შემოწმებას და საკასაციო სამართალწარმოების წინაშე მდგარ ამოცანებს ემსახურება.

საკონტროლო კითხვები:

1) ჩამოაყალიბეთ კასაციის არსი;

2) რა არის საკასაციო გასაჩივრების საგანი?

3) ვინ არიან საკასაციო გასაჩივრების სუბიექტები?

4) რა ვადაში შეიტანება საკასაციო საჩივარი?

5) რა აღინიშნება საკასაციო საჩივარში?

6) როგორ წყდება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი?

7) როგორი წესით მიმდინარეობს საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვა?

8) რა გადაწყვეტილებას იღებს საკასაციო სასამართლო საქმის განხილვის დასრულების შემდეგ?

9) რაში მდგომარეობს საკასაციო წარმოებაში საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი?

10) რა შემთხვევაშია დასაშვები საკასაციო წარმოებისას საუარესოდ შებრუნება?

11) რას ნიშნავს საკასაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი?

12) რა შემთხვევაში აქვს უფლება საკასაციო სასამართლოს მომართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მისაღებად?

თავი 24. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესი

24.1. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის არსი და საფუძვლები

სისხლის სამართლის პროცესი ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის წესს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვასთავისუფალი ხასიათი აქვს. იგი სისხლის სამართლის პროცესის დამოუკიდებელი სტადიაა. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა ხდება განმეორებით, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის საფუძველზე. ასეთ დროს სამართალწარმოება, როგორც სისხლის სამართლის პროცესის შემადგენელი ნაწილი, სისხლის სამართლის პროცესის ზოგად პრინციპებს ემყარება.

განაჩენის გადასინჯვა დასაშვებია, თუ რაიმე ახალი გარემოება გამოვლინდა. საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოყალიბებულია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამოვლენის გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები. ამ მუხლის შესაბამისად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ აღნიშნულ საქმეზე არ არის მიღებული დასკვნითი რეზოლუცია და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენისას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის

ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

ახლად გამოვლენილი გარემოებები ამომწურავადაა ჩამოთვლილი საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში და მისი ხელოვნურად გაზრდა-გაფართოება დაუშვებელია.

როგორც კანონშია აღნიშნული, ჩამოთვლილი ახალი გარემოებანი შეიძლება საქმის განახლების საფუძველი გახდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

ამრიგად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვას ექვემდებარება როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი განაჩენი.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადა შეუზღუდავია, ე.ი. მისი გადასინჯვა დასაშვებია ნებისმიერ დროს, მიუხედავად იმისა რა ვადაც არ უნდა იყოს გასული განაჩენის გამოტანიდან. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ იმ განაჩენის გადასინჯვა, რომელზეც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება (განჩინება). ასეთ შემთხვევაში განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოში შუამდგომლობის დაყენება შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 წლის ვადაში. კანონი უშვებს როგორც გამამართლებელი, ისე გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას. ბრალდებულის ან ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე განაჩენი შეიძლება გადაისინჯოს:

ა) სასჯელის მოხდის პერიოდში;

ბ) სასჯელის მოხდის შემდეგ;

გ) ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების შემდეგ.

24.2 ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაყენება

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობა შეაქვთ მხოლოდ წერილობითი ფორმით. მისი ზეპირი ფორმით დაყენება დაუშვებელია. შუამდგომლობა შეაქვთ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენსა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივარს.

შუამდგომლობის შეტანის უფლების მქონე სუბიექტთა წრეს ის მონაწილეები შეადგენენ, რომელთაც საქმეში თავისი, გარკვეული საპროცესო ინტერესი გააჩნიათ. საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამომწურავად

ჩამოთვლის შუამდგომლობის შეტანის უფლებით აღჭურვილ პირთა წრეს. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის დაყენების სუბიექტებია:

ა) პროკურორი;

ბ)მსჯავრდებული;

გ) მსჯავრდებულის ადვოკატი;

დ) მსჯავრდებული და მისი ადვოკატი.

ხოლო თუ მსჯავრდებული გარდაცვლილია, შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვს:

ა) მსჯავრდებულის კანონიერ წარმომადგენელს;

ბ) მსჯავრდებულის ადვოკატს;

გ) მსჯავრდებულის კანონიერ წარმომადგენელსა და მის ადვოკატს.

შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს განაჩენის გადასინჯვის საფუძველი და მტკიცებულებები, ე.ი. საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში ჩამოთვლილი ერთ-ერთი გარემოება მაინც და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ განაჩენის გადასინჯვის საფუძველს.

შუამდგომლობის დაყენება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე არ გახდება საფუძველი განაჩენის აღსრულების შეჩერებისა.

24.3 შუამდგომლობის დასაშვებობისა და დასაბუთებულობის შემოწმება

შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შეიტანება სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის საფუძველს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობა წარმოადგენს. მისი არსებობა აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც საქმე არ განიხილება სააპელაციო წესით.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის წარდგენა სააპელაციო სასამართლოს აკისრებს საქმის განხილვის ვალდებულებას.

სააპელაციო სასამართლო შუამდგომლობის შეტანიდან 2 კვირის ვადაში ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს:

ა) დაყენებულია თუ არა შუამდგომლობა საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

ბ) რამდენად არის შუამდგომლობა დასაბუთებული.

თუ შუამდგომლობა საპროცესო კოდექსის შესაბამისად არ არის დაყენებული ან დაუსაბუთებელია, სასამართლო მას დაუშვებლად ცნობს, რაზედაც გამოიტანს განჩინებას. განჩინება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით მისი გამოტანიდან 2 კვირის ვადაში.

საკასაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, ისე, რომ არ ამოწმებს მის დასაშვებობას. მოცემული საკითხის განხილვის შემდეგ საკასაციო სასამართლო იღებს ორიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

1) ძალაში ტოვებს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას.

2) აუქმებს სააპელაციო სასამართლოს განჩინებას და მიუთითებს მას, რომ მან დაუშვას შუამდგომლობა.

თუ შუამდგომლობა საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად არის დაყენებული და დასაბუთებულია, სააპელაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით დაუშვებს მას, ნიშნავს საქმის არსებითი განხილვის თარიღს და მხარეებს აძლევს გონივრულ ვადას საქმის არსებითი განხილვისათვის მოსამზადებლად.

24.4 სასამართლო სხდომა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. განაჩენი.

სააპელაციო სასამართლო საქმეს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე ან არსებითად. საქმის არსებითი განხილვა ტარდება სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად.

მსჯავრდებულს, რომელიც პატიმრობაში იმყოფება, უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლო განხილვაში უშუალოდ მონაწილეობა. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

სააპელაციო სასამართლოში მხარეები გამოდიან შესავალი სიტყვებიტ. შესავალი სიტყვით პირველად გამოდის პირი, რომელმაც მიმართა სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობითახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე. ამის შემდეგ შესავალი სიტყვით გამოდის მოწინააღმდეგე მხარე. ასეთივე წესით უნდა წარადგინონ მხარეებმა დასკვნითი სიტყვები.

სააპელაციო სხდომაზე შუამდგომლობის შემტან სუბიექტს, რომელიც ითხოვს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვას, აკისრია:

ა) განაჩენის უკანონობის მტკიცების ტვირთი;

ბ) განაჩენის დაუსაბუთებლობის მტკიცების ტვირთი;

გ) განაჩენის უკანონობისა და დაუსაბუთებლობის მტკიცების ტვირთი.

სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებების გამოკვლევა. სააპელაციო სასამართლოში გამოკვლეულად მიიჩნევა ყველა ის მტკიცებულება, რომელთა გამოკვლევა მოხდა საქართველოს საერთო სასამართლოებში. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლოში მტკიცებულება გამოკვლეულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით და მხარე აყენებს შუამდგომლობას ამგვარი მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევის თაობაზე.

მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი მტკიცებულება შესაძლოა გამოკვლეულ იქნეს სააპელაციო სასამართლოში, თუ შუამდგომლობის ავტორი დაასაბუთებს, რომ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასასაბუთებლად და სასამართლოში საქმის განხილვისას მისი წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო.

მტკიცებულებების გამოკვლევა არ უნდა გასცდეს შუამდგომლობის ფარგლებს.

საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვის შემდეგ სასამართლო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) უცვლელად ტოვებს განაჩენს;

ბ) ცვლის განაჩენს;

გ) აუქმებს განაჩენს და ადგენს ახალ განაჩენს.

განაჩენი, რომლის გადასინჯვის თაობაზეც შევიდა შუამდგომლობა, ყველა შემთხვევაში უნდა შეიცვალოს სააპელაციო სასამართლოს განაჩენით.

სააპელაციო სამართალწარმოების ერთ-ერთ თავისებურებას საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი წარმოადგენს.[61] ეს იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს დაადგინოს განაჩენი, რომელიც ბრალდებულის მდგომარეობას დაამძიმებს.

საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს დაადგინოს განაჩენი, რომელიც განსასჯელის მდგომარეობას აუარესებს. მდგომარეობის საუარესოდ შებრუნებაში უნდა ვიგულისხმოდ მდგომარეობა, რომელსიც განსასჯელი აღმოჩნდება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და განაჩენის დადგენის შემდეგ და რომელიც უარესია, ვიდრე მდგომარეობა, რომელსიც იგი განაჩენის გასაჩივრებამდე იმყოფებოდა.

თუ საქმის სააპელაციო წესით განხილვა ხდება მსჯავრდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე და შუამდგომლობა არ შეუტანია პროკურორს, სააპელაციო სასამართლოს უფლება არა აქვს:

ა) გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს;

ბ) გამოიყენის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი;

გ) დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი;

დ) მიიღოს მსჯავრდებულისათვის არასასიკეთო სხვა გადაწყვეტილება.

თუ პროკურორმა შეიტანა შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოთხოვნით და თუ მას ასეთი პოზიცია ეკავა პირველი ინსტანციის სასამართლოში, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს:

ა) გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს;

ბ) გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი;

გ) დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი;

დ) სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა.

საქმის არსებითი განხილვის შემდეგ სააპელაციო სასამართლო იღებს შემდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) უცვლელად ტოვებს განაჩენს;

ბ) ცვლის განაჩენს;

გ) აუქმებს განაჩენს და ადგენს ახალ განაჩენს.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენზე შეიტანება საკასაციო საჩივარი, რომელსაც განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ისე, რომ არ ამოწმებს მისი დასაშვებობის საკითხს.

---

[61] М. Строгович, Проверка законости и обостованости судебних приговоров. Москва, 1956г. Ст.230

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვა ხდება ან ზეპირი მოსმენიტ, ან ზეპირი მოსმენის გარეშე, საკასაციო საჩივრის საფუზველზე. ასეთ შემთხვევაში საკასაციო გასაჩივრების საგნად გვევლინება სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, რომელიც საჩივრდება.

საკასაციო საჩივარში აღინიშნება:

ა) იმ სასამართლოს დასახელება, სადაც შეიტანება საჩივარი;

ბ) მონაცემები იმ პირის შესახებ, რომელსაც შეაქვს საჩივარი (სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საპროცესო მდგომარეობა);

გ) გასაჩივრებული განაჩენი, მისი გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი;

დ) მომჩივნის აზრით, რომელი სამართლებრივი საკითხი გადაწყდა უკანონოდ და რა ადასტურებს მას;

ე) დამატებით წარმოდგენილი მასალები.

საკასაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში.

საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღება საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

მსჯავრდებულს, რომელიც პატიმრობაში იმყოფება, უფლება აქვს საკასაციო საჩივრით მოითხოვოს საკასაციო განხილვაში უსუალოდ მონაწილეობა. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკასაციო საჩივრის განმხილველი სასამართლო.

თუ საკასაციო სხდომაზე კასატორი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება, საკასაციო სასამართლო განჩინებით მის საკასაციო საჩივარს განუხილველად ტოვებს. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკასაციო საჩივრის საფუძველზე საქმის განხილვისას სხდომის თავმჯდომარე ადგენს გამოცხადდნენ თუ არა სხდომაზე მხარეები.

შემდეგ სიტყვებით გამოდიან მხარეები. თავდაპირველად სიტყვით გამოდის ის პირი, ვინც საკასაციო საჩივარი შეიტანა, ხოლო შემდეგ სიტყვიტ გამოდის მეორე მხარე.

განაჩენის უკანონობის ტვირთი აკისრია კასატორს.

საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში.

მხარეთა სიტყვიტ გამოსვლის შემდეგ მხარეებს აქვთ რეპლიკის უფლება. რეპლიკის უფლებით სარგებლობს, ჯერ კასატორი, ხოლო შემდეგ-მონინააღმდეგე მხარე.

თუ საკასაციო სხდომაში მონაწილეობას იღებს მსჯავრდებული (გამართლებული), მას უფლება აქვს თქვას საბოლოო სიტყვა.

სხდომის თავმჯდომარე მხარეს საბოლოო სიტყვისა და რეპლიკისათვის განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ ამავე დროს მას არა აქვს უფლება, დაადგინოს მხარის საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა. სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას შეაჩეროს პირი, თუ ის ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან.

საკასაციო სასამართლო განაჩენით იღებს ერთ-ერთ შემდეგ შემაჯამებელ გადაწყვეტილებას:

ა) აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამართლებელ განაჩენს;

ბ) აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს და მის ნაცვლად ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს;

გ) ცვლილება შეაქვს სააპელაციო სასამართლოს განაჩენში;

დ) უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს განაჩენს და უარს ამბობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენს ყველა შემთხვევაში ცვლის საკასაციო სასამართლოს განაჩენი.

საკასაციო სამართალწარმოების ერთ-ერთ თავისებურებას საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი წარმოადგენს.

საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესის თანახმად, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც მსჯავრდებულის მდგომარეობას აუარესებს. მდგომარეობის საუარესოდ შებრუნებაში უნდა ვიგულისხმოთ მდგომარეობა, რომელშიც განსასჯელი აღმოჩნდება საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და რომელიც უარესია, ვიდრე მდგომარეობა, რომელშიც იგი განაჩენის გასაჩივრებამდე იმყოფებოდა.

საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესის მიზანსა და ძირითად დანიშნულებას განსასჯელისათვის გასაჩივრების თავისუფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნული წესის მიხედვით, მსჯავრდებული, რომელიც არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ განაჩენს, დაზღვეულია, რომ განაჩენის (სხვა გადაწყვეტილების) გასაჩივრების შემთხვევაში, მისი მდგომარეობა არ გაუარესდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საშიშროების წინაშე დადგებოდა, რომ განაჩენის გასაჩივრებას მოჰყვეს დანიშნული სასჯელის გამკაცრება ან მდგომარეობის სხვაგვარი გაუარესება, რის გამოც იგი თავს შეიკავებდა განაჩენის გასაჩივრებისაგან, თუნდაც, მისი აზრით, განაჩენი აშკარა მცადი, უკანონო და არასამართლიანი ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში კი, პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებთან ერთად ირღვევა მართლმსაჯულების ამოცანები.[62]

თუ საქმე განიხილება მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის საჩივრის საფუძველზე და ბრალდების მხარეს საჩივარი არ შეუტანია, საკასაციო სასამართლოს უფლება არა აქვს:

ა) გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს;

ბ) გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი;

გ) დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი;

დ) მიიღოს მსჯავრდებულისათვის არასასიკეთო სხვა გადაწყვეტილება.

მსჯავრდებულის არასასიკეთო გადაწყვეტილებაში იგულისხმება, მაგალითად: პირობითი სასჯელის უპირობო სასჯელით შეცვლა; ძირითად სასჯელთან ერთად დამატებითი სასჯელის დანიშვნა; ამნისტიის აქტის გამოყენების შესახებ მინიშნების ამოღება განაჩენიდან და სხვა.[63]

---

[62] Кореневский Ю.В. Как обжаловать приговор суда. Москва, 1998, ст. 155.

[63] Комментарий К УПК РСФСР. Москва, 1997, ст. 340.

ბრალდების მოცულობის გაფართოებაში იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როცა ბრალდების მოცულობა უფრო იზრდება იმასთან შედარებით ამას ადგილი ჰქონდა საკასაციო გასაჩივრებამდე. მაგალითად, პირს ბრალად ედება ძარცვის ჩადენა და დადგინდება, რომ ჩაუდენია ძარცვა არაერთგზის.

სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლის გამოყენებასთან უნდა იქნეს გაიგივებული შემთხვევა, როდესაც სააპელაციო სასამართლოს განაჩენით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაციას დაემატება იმავე მუხლის სხვა პუნქტი ან შეიცვლება სხვა, უფრო მძიმე პუნქტით, აგრეთვე შემთხვევა, როდესაც ქმედების ადრინდელი კვალიფიკაციიდან ამოირიცხება მცდელობის მუხლი. დანიშნული სასჯელის ზომის გაზრდა, ცხადია, სასჯელის გამკაცრებას ივვეს. უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნად ჩაითვლება აგრეთვე საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ სასჯელის სახის შეცვლა უფრო მკაცრი სახის სასჯელით.

ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილებების მიღების უფლება არა აქვს საკასაციო სასამართლოს.

თუ ბრალდების მხარემ შეიტანა საკასაციო საჩივარი მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოთხოვნით და მათ ასეთი პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებში, საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს:

ა) გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს;

ბ) გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი;

გ) დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი;

დ) სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულს მდგომარეობა.

ამრიგად თუ საკასაციო საჩივარი შეტანილია დაცვის მხარის მიერ და საჩივარი არ შეუტანია ბრალდების მხარეს, საკასაციო სასამართლოს უფლება არა აქვს მსჯავრდებულის მიმართ საქმე შეაბრუნოს საუარესოდ, ხოლო თუ საკასაციო საჩივარი შეტანილია ბრალდების მხარის მიერ მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოთხოვნით და მათ ასეთი პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებში, საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს მსჯავრდებულის მიმართ საქმე შეაბრუნოს საუარესოდ.

საკონტროლო კითხვები:

1) რა ითვლება ახლად გამოვლენილ გარემოებად?

2) რომელი ინსტანციის სასამართლო განიხილავს საჩივარს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე?

3) ვინ შეიძლება იყოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გასაჩივრების სუბიექტი?

4) ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის შესვლიდან რა ვადაში და რას ამოწმებს სასამართლო?

5) რა ვადაში და სად საჩივრდება განჩინება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ?

6) როგორ მიმდინარეობს სააპელაციო სასამართლოში ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის საფუძველზე საქმის განხილვა?

7) ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასამართლო განაჩენის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის საფუძველზე საქმის განხილვის შემდეგ, რა გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო სასამართლო?

8) ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის საფუზველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება რა ვადაში და სად საჩივრდება?

9) რა გადაწყვეტილებას იღებს საკასაციო სასამართლო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე?

თავი 25. ცალკეული კატეგორიის საქმეთა წარმოება

25.1. პროცესი იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს

იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სისხლის სამართლის პროცესი მიმდინარეობს საპროცესო კოდექსის როგორც საერთო წესით, ისე სპეციალური წესით, რომელიც აფართოებს საერთო წესს. პროცესს იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების დროს აწესრიგებს საპროცესო კოდექსის 325-ე-328-ე მუხლები.

იურიდიული პირის ცნებაში, რომელზეც ვრცელდება სისხლის სამართლის პროცესი, იგულისხმება ან სამეწარმეო (კომერციული) ან არასამეწარმეო (არაკომეციული) იურიდიული პირი (მისი უფლებამონაცვლე).

დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო, ან რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება მის მიმართ:

1) ან სისხლის სამართლის პროცესის დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;

2) ან სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე.

იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საქმის სასამართლოში გაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ პროკურორი აცნობებს იურიდიული პირის ადვოკატს და განმარტავს მის უფლებას, გაეცნოს საქმის მასალებს.

თუ სასამართლო იურიდიული პირის მიმართ გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს, იგი უნდა გამოქვეყნდეს მსჯავრდებული იურიდიული პირის ხარჯებით. სასამართლოს უფლება აქვს განსაზღვროს, თუ რა ფორმით უნდა გამოქვეყნდეს განაჩენი. განაჩენის გამოქვეყნების დროს დაზარალებულის ვინაობის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით.

25.2. პროცესი არასრულწლოვანთა საქმეებზე

25.2.1. ზოგადი დებულებანი

არასრულწლოვანთა სისხლის სამართალწარმოების თავისებურებებზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის 2015 წლის 12 ივნისს მიღებულ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“. ეს კოდექსი ადგენს არასრულწლოვანთა სამართალწარმოების თავისებურებებს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე. ჩვენ ამ შემთხვევაში ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების თავისებურებებზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ადგენს:

ა.) არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს;

ბ.) არასრულწლოვნის მონაწილეობით სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს;

გ.) არასრულწლოვნის მიმართ სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზანია:

ა.) მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა;

ბ.) კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია;

გ.) არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა;

დ.) არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება;

ე.) ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.

არასრულწლოვნის საკუთესესო ინტერესებში იგულისხმევა არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებისა არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი არის 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული ან გამოტანილია გამამტყუნებელი განჩენი.

მეორეული ვიქტიმიზაცია არის არასრულწლოვანი დაზარალებულისათვის (არასრულწლოვანი მოწმისათვის) შესაძლო ზიანის მიყენება მისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შედეგად.

ხელახალი ვიქტიმიზაცია არის არასრულწლოვანი დაზარალებულისათვის ზიანის მიყენება ახალი დანაშაულის შედეგად.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, ბავშვის უფლებათა კონვენციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გამოიყენება მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი ან კონფლიქტში იმყოფება კანონთან, ან არის მოწმე, ან დაზარალებული და მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში. ამ კოდექსით უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობს 18-დან 21 წლამდე ბრალდებული პირები. 18-დან 21 წლამდე არსებული პირი სარგებლობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი მედიაციისა და განრიდების უფლებით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ,რომ მან ჩაიდინა ნაკლებათ მძიმე ან მძიმე დანაშაული. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებებიც, თუ ისინი:

ა) არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს;

ბ) არასრულწლოვნისთვის შეღავათს ითვალისწინებს;

გ) არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვანთა კოდექსს და არასრულწლოვნებისთვის შეღავათს ითვალისწინებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს არასრულწლოვანთა საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს.

ზოგადად კანონის ანალოგიის გამოყენება აკრძალულია. მისი გამოყენება დასაშვებია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ხარვეზის არსებობისას, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და თუ ეს არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

არსრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გამოიყენება საქართველოს დროშით ან ამოსაცნობი ნიშნით საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ საჰაერო ან საზღვაო ხომალდზე ჩადენილი დანაშაულის მიმართ, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თუ ამას ითვალისწინებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები ან შეთანხმებები, არასრულწლოვანტა მართლმსაჯულების კოდექსი შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა სახელწიფოს ტერიტორიაზეც. არასრულწლოვანტა მართლმსაჯულების პროცესში საპროცესო მოქმედების ცატარების შესახებ სხვა სახელმწიფოს სასამართლოს ან საგამოძიებო ორგანოს შუამდგომლობის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისას დასაშვებია შუამდგომლობის წარმომდგენი სახელმწიფოს კანონმდებლობის გამოყენებაც, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით და შეესაბამება არასრულწლოვნოის საუკეთესო ინტერესებს.

25.2.2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მოქმედებს სპეციალური პრინციპები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირველეს ყოვლისა გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.

აკრძალულია არაასრულწლოვნის აგრეთვე მისი კანონიერი წარმომადგენლის პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია, მათი რასის კანის ფერის, ენის სქესის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის , გენდერული იდენტობისა ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, არასრულწლოვანს აქვს ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლება.

კანონით კომფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა, ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას ,ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა სისხლის სამართლის კოდექსის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, პატიმრობის კოდექსისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნების მიღწევის ყველაზე მსუბუქ საშუალებას ენიჭება.

არასრულწლოვნის მიმართ პირველ რიგში განიხილება განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა განრიდება ან ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია- რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ნებისმიერი ზომა რომელიც არასრულწლოვნის მიმართ საქმის სასამართლოში განხილვის ნაცვლად გამოიყენება, არასრულწლოვნის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვას უნდა ემსახურებოდეს.

დაუშვებელია არასრულწლოვნებისთვის თავისუფლების შეზღუდვა თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი.

არასრულწლოვნის დაკავება და დაპატიმრება, მისთვის თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეტა დასაშვებია მხოლოდ, როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით საგულდაგულო გადასინჯვის პირობიტ უნდა იქნეს გამოყენებული.

კანონთან კომფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ ან/და კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის უფლება. მას აქვს აგრეთვე უფლება მოუსმინონ და გაითვალისწინონ მისი მოსაზრებები ასაკისა და განვიტარების დონის შესაბამისად.

არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი არის არასრულწლოვნის ახლო ნათესავი, მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს და სარგებლობს არასრულწლოვნის უფლებებით, გარდა იმ უფლებებისა, რომლებიც თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანმა ისარგებლოს.

კანონის კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ადვოკატს უფლება აქვს, არასრულწლოვნის არსრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით, არასრულწლოვნის ნებისგან დამოუკიდებლად შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე, თუ ეს შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

თუ არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგება უპირატესობა იმ მოთხოვნას ენიჭება რომელიც მეტად შეესაბარასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არსრულწლოვნის მონაწილეობით განხორციელებული ქმედება უნდა შეესაბამებოდეს მისი აღქმისა და გაგების უნარებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპი ყოველგვარი გაუმართლებელი გაღიანურების გარეშე უნდა მიმდინარეობდეს. სასამართლო ვალდებულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე პრიეროტიტულად განიხილოს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით,არასრულწლოვანთა ნასამართლეობის გაქარწყლების სპეციალური წესებია გათვალისწინებული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით. დასახელებული კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად არასრულწლოვანს ნასამართლეობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავ-

რდებისას- გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. ასეთი შეღავათი არ მოქმედებს თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს.ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლეობა გაუქარწყლდება:

ა) პირობითი მსჯავრდებისას- გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას - სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთითმსჯავრდებისას- სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას - სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ.

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას- სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცული უნდა იყოს არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრება.არასრულწლოვნის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაცია საჯარო არ არის.დაუშვებელია არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და გამოქვეყნება, გარდა „პერსონალურ მონაცემტა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

არასრულწლოვნის მიმართ უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური მიდგომა. არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვიტარება და სხვა გარემოებები, რომელიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, პროცესის მწარმოებელი პირიარასრულწლოვანს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანი ბრალდებული (მსჯავრდებული), გამართლებული და დაზარალებული, სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით, ხოლო არასრულწლოვან მონმეს ამ უფლებით შეუძლია ისარგებლოს თუ იგი გადახდისუუნაროა.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი სარგებლობს აგრეთვე შემდეგი უფლებებით:

ა) მიიღოს ინფორმაცია მისი განვითარების შესატყვისი ფორმით;

ბ) საჭიროების შემთხვევაში მიიღოს თარჯიმნის მომსახურება უფასოდ.

გ) იყოლიოს კანონიერი წარმომადგენელი ან საპროცესო ნარმომადგენელი;

დ) ისარგებლოს საკონსულო დახმარებით;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

25.2.3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი და ამ პროცესის მონაწილე პირები

არსრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი არის არასრულწლოვნის მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმის წარმოება მათ შორის დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა,საქმის სასამართლოში

განხილვა, დანიშნული სასჯელის ან სხვა ზომის აღსრულება და რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირი (მონაწილე პირი), არის მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, პოლიციელი, ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციაო დაწესებულების პერსონალი, შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების პერსონალი, რომელიც მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მომზადებაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს აწარმოებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი შემთხვევები,,როდესაც დაკავებულ პირს უტარდება პირადი ჩხრეკა (სსკ-ის 120-ე მ. ნაწ. 8 და 121 მ. ნაწ 2), და პირს დააკავებენ სასამართლო განჩინების გარეშე. თუ არასრულწლოვანის მიმართ საპროცესო მოქმედება არასპეციალიზებულმა პირმაგანახორციელა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოსარასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პირს, რომელმაც უნდა განაგრძოს პროცესი,ხოლო არასპეციალიზებული პირიდაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელს და ამ პროცესის მონაწილე პირებს გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური სწავლება არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხებში. ამ პირების სპეციალიზაციის სტანდარტი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ხოლო მოსამართლის შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა. რაიონულ საქალაქო სასამართლოში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის საქმეს განიხილავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლე, ხოლო თუ საქმე კოლეგიურად განიხილება- სასამართლო კოლეგია, რომლის სულ მცირე ორი წევრი, მათ შორის, კოლეგიის თავმჯდომარე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლეა.

სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეს განიხილავს სასამართლო პალატა, რომლის სულ მცირე ორი წევრი, მათ შორის პოლიციის თავმჯდომარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლეა.

თუ დაზარალებული არასრულწლოვანია, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიაში საქმის კოლეგიურად განხილვისას აგრეთვე სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას კოლეგიის (პალატის) შემადგენლობაშია არასრულოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ერთი მოსამართლე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული გამომძიებელი და პროკურორი. არასრულწლოვანთა საქმეს იძიებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული გამომძიებელი, ხოლო საპროკურორო საქმიანობას ახლორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პროკურორი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პოლიციელი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სისტემაში არასრულწლოვნის საქმეს აწარმოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პოლიციელი.

არასრულწლოვანთა მიმართ „პოლიციის შესახებ“საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებებს ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი. არასრულწლოვნის საქმეს აწარმოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი,რომელიც ვალდებულია კანონით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად წარმოადგინოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი.

იურიდიული დახმარების სამსახურში ფუნქციონირება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატთა მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არასრულწლოვანთა პირველი მოთხოვნისთანავე უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს იურიდიული დახმარებით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული სხვა პირები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალი და შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების პერსონალი.

25.2.4. არასრულწლოვანი მოწმე და არასრულწლოვანი დაზარალებული

არასრულწლოვანი დაზარალებული არის არასრულწლოვანი, რომელსაც მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად, ხოლო არასრულწლოვანი მოწმე არის არასრულწლოვანი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. არასრულწლოვან დაზარალებულს ენიჭება არასრულწლოვანი მოწმისათვის მინიჭებული ყველა უფლება და ეკისრება მისთვის დაკისრებული ყველა მოვალეობა.

მეორეული ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი მოწმე მონაწილეობს მისი კანონიერი წარმომადგენელი ესწრება. არასრულწლოვან მოწმეს უფლება აქვს, საპროცესო მოქმედების ჩატარებისას ჰყავდეს ადვოკატი. თუ არასრულწლოვანი მოწმე გადახდისუუნაროა, მას უფლება აქვს ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. საჭიროებისამებრ უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც, რის თაობაზედაც გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

სამართლაწარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი მოწმის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს:

ა) იცოდეს ბრალდებულისათვის წაყენებული ბრალდების არსი.

ბ) იცოდეს არასრულწლოვან მოწმესა და ბრალდებულს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ

გ) მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების თაობაზე და ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიერ პატიმრობის დაწესებულების (თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების) დატოვების შესახებ,თუ ამით ბრალდებულს (მსჯავრდებულს) რეალური საფრთხე არ ემუქრება.

საქმის სასამართლოში განხილვისას მოსამართლე, ხოლო გამოძიების სტადიაზე პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვნის მოწმის კანონიერ წარმომადგენელს აუკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს. კანონი ითვალისწინებს არასრულწლოვანი მოწმის დაცვის ღონისძიებების გამოყენებას. არასრულწლოვანი მოწმის საუკეთესო ინტერესების დასაცავად მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით არასრულწლოვანი მოწმის, მისი კანონიერი წარმომადგენის, ადვოკატის ან პროკურორის შემადგენლობით გამოიტანოს განჩინება:

ა) არასრულწლოვანი მოწმის გამოსახულების ან/და ხმის შემცველი მოწყობილობების გამოყენებით, გაუმჭვირვალი ეკრანის მიღმა ან დასტანციური დაკითხვის შესახებ;

ბ) სასამართლო სხდომამდე ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობით არასრულწლოვანი მოწმისდაკითხვის და ვიდეოგადაღების შესახებ;

გ) სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ;

დ) ბრალდებულის დროებით სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ თუ არასრულწლოვანი მოწმე უარს ამბობს ბრალდებულის თანდასწრებით ჩვენების მიცემაზე, ან თუ არსებული გარემოებები ცდყოფს, რომ შეიძლება არასრულწლოვანმა მოწმემ ბრალდებულის თანდასწრებით არ თქვას სიმართლე ან მოხდეს მეორეული ვიქტიმიზაცია.

ამ შემთხვევაში სავალდებულოა საქმის სასამართლოში განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა.

განაჩენის გამოცხადების შემდეგ სასამართლო არასრულწლოვან დაზარალებულს და მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობებს საქმის სასამართლოში განხილვის შედეგებს და განუმარტავს მათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურებისა და კონპენსაციის მოთხოვნის უფლება.

25.2.5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ზოგადი წესები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში შეიძლება გაჩნდეს ეჭვი პირის სრულწლოვანების თაობაზე. თუ პირის სრულწლოვანების საკითხთან დაკავშირებით ბუნდოვანება არსებობს, გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დაუყოვნებლივ გამოაქვს დადგენილება/ განჩინება არასრულწლოვნობის დადგენის შესახებ.

პირის ასაკი დგინდება ნებისმიერი ხელმისაწვდომი მტკიცებულების საფუძველზე, მათ შორის:

ა) ოფიციალური დოკუმენტით;

ბ) სამედიცინო ან სოციალური შემოწმების შედეგად მომზადებული დასკვნით;

გ) მშობლისგან ან სხვა პირისგან მიღებული ცნობით ან სხვა ინფორმაციით.

თუ გაირკვა რომ პირი არასრულწლოვანია,მაგრამ მისი სავარაუდო ან ზუსტი ასაკი ვერ დადგინდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ პირს არ შესრულებია 14 წელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისთვის, ვიდრე საპირისპირო არ დამტკიცდება, მაგალითად, დადგინდა, რომ ან-ი არის არასრულწლოვანი, მაგრამ ვერ დადგინდა მისი სავარაუდო ან ზუსტი ასაკი. ასეთ შემთხვევაში ვივარაუდოთ, რომ ან-ს არ შესრულებია 14 წელი. თუ არასრულწლოვნის სავარაუდო ასაკი დადგინდა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იქნას მისი სავარაუდო მინიმალური ასაკის ზღვარი. მაგალითად, თუ დადგინდა,რომ ან-ი სავარაუდოდ არის 14-დან 17 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იქნას 14 წელი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში „ინდივიდუალური მახასიათებლები“ გაითვალისწინება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე.

პრობაციის ეროვნული სააგენტო ინდივიდუალური შეფასების პროცესში შეისწავლის არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის ჩადენის რისკი და შესაბამისად არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ სტადიებზე:

ა) განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას;

ბ) სასჯელის დანიშვნისას;

გ) საპატიმრო სასჯელის ინდივიდულაური დაგეგმვისას;

დ) არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას;

ე) პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

პროკურორის დადგენილებით ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლებელია მომზადდეს და გათვალისწინებული იქნეს სხვა დისკრეტიული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სტადიაზედაც, თუ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობა და ვადები ამის შესაძლებლობას იძლევა.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის ჩადენის რისი და შესაბამისად არასრულწლოვანის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის ღონისძიებები.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ სტადიებზე:

ა) განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას;
ბ) სასჯელის დანიშვნისას;
გ) საპატიმრო სასჯელის ინდივიდულაური დაგეგმვისას;
დ) არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას;
ე) პირობით ვადამდე განთავისუფლების საკითხის განხილვისას.

პრობაციის ეროვნული სააგენტო ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას, სასჯელის დანიშვნისას და არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას, ხოლო პენიტენციური დეპარტამენტი- საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგემვისას და პირბით ვადამდე გათავისუფლების სასჯელის განხილვისას.

„ინდივიდუალური შეფასების ანგარიში"-ს მომზადების მეთოდოლოგია წესი და სტანდარტი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით.

საჭიროების შემთხვევაში, „ინდივიდუალური შეფასების ანგარიში" გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. სისხლის სამართლის პროცესის ყოველ მომდევნო სტადიაზე „ინდივიდუალური შეფასების ანგარიში"-ს მომზადებისას მხედველობაში მიიღება წინა „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში" არსებული ინფორმაცია.

სასჯელის დანიშვნის სტადიაზე, ინდივიდუალური შეფასება პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირი ახორციელებს შესაბამისი მოსამართლის მიმართვის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელს უფლება აქვს დაუბრკოლებლად შეხვდეს არასრულწლოვან ბრალდებულს და ინდივიდუალური შეფასებისათვის საჭირო ინფორმაცია მიიღოს ყველა ფიზიკური პირისგან სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებისგან.

კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებთ დამოუკიდებლად შეარჩიოს და მოიწვიოს ადვოკატი.

თუ არასრულწლოვან აბრალდებულს (მსჯავრდებულს,გამართლებულს) ადვოკატი არ ჰყავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირი დაუყოვნებლივ მიართავს იურიდიული დახმარების სამსახურს მისთვის ადვოკატის დაუყოვნებლივ დანიშვნის მოთხოვნით.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება.

არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებას ესწრება მისი კანონიერი წარმომადგენეი, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგი, ხოლო „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით" დადგენილ შემთხვევებში - აგრეთვე არასრულწლოვნის ადვოკატი. ადვოკატი, კანონიერი წარმომადგენელი, ან ფსიქოლოგი ვერ მიიღებს მონაწილეობას ისეთი სახის საპროცესო მოქმედებაში, როგორიცაა ჩხრეკა, გადაუდებელი აუცილებლობისას (სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილი), არასრულწლოვანი დაკავებულის ჩხრეკისას (სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და სასამართლოს განჩინების გარეშე არასრულწლოვნის დაკავებისას (სსსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვისას მოსამართლე, ხოლო გამოძახების სტადიაზე პროკურორი, უფლებამოსილია არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს აუკრძალოს

საპროცესო მოქმედებაზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს.

არასრულწლოვანი უფასოდ სარგებლობს თარჯიმნის მომსახურებით, თუ მან არ იცისან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა ან/და მას არ შეუძლია ილაპარაკოს ამ ენაზე, გარდა იმ შემთხვევისა როგორიცაა, ჩხრეკა გადაუდებელი აუცილებლობსა (სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილი), არასრულწლოვანი დაკავებულის ჩხრეკისას (სსსკ-ის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ან სასამართლოს განჩინების გარეშე არასრულწლოვნის დაკავებისას (სსსკ-ს 171-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევაში თარჯიმანი ნებისმიერ საპროცესო მოქმედებას ესწრება.

არასრულწლოვანს უფლება აქვს სასასამართლო სხდომამდე ან საპროცესო მოქმედებამდე შეხვდეს თარიმანს, რათა დადგინდეს ესმით თუ არა მათ ერთმანეთის.

თუ არასრულწლოვანი შშ-ს მქონეა, უფასოდ სარგებლობს აგრეთვე ყველა იმ მომსახურებით, რომლებიც მას საქმის გასაცნობათ და სამართლანარმოებაში მონაწილეობისათვის ესაჭიროება.

საკონსულო დახმარების მიღების უფლება. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა,უფლება აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე იარგებლოს თავისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენლის დახმარებით.

თუ დაკავებული ან დაპატიმრებული არასრულწლოვანი უცხო ქვეყნის მოქალაქეა მისი დაკავების ან დაპატიმრების შესახებუმოკლეს ვადაში და ნებისმიერ შემთხვევაში არასრულწლოვნის დაკითხვამდე უნდა ეცნობოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც დაუყოვნებლივს ატყობინებს შესაბამისი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

თუ არასრულწლოვანი იმ ქვეყნის მოქალაქეა,რომელსაც საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება არ აქვს, ან თუ იგი ლტოლვილის სტატუსის მქონე, ან მოქალაქეობის არმქონე პირია, მას საშუალება უნდა მიეცეს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით დაუკავშირდეს იმ ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობას, რომელიც მის ინტერესებს იცავს, ან ნებისმიერ ადგილობრივ ან საეთაშორისო ორგანიზაციას, რომლის ამოცანაც არის ასეთი არასრულწლოვნის დაცვა.

თუ არასრულწლოვანს ბრალი ედება იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელიც სრულწლოვანიც იმხილება,არასრულწლოვნის საქე შეძლებისდაგვარად ცალკე გამოიყოფა და ის სრულწლოვნისაგან განცალკევებით გასამართლდება, თუ ამით საქმის გარემოებების ყოველმხრივ სრულ და ობიექტურ გამოკვლევას არსებითი დაბრკოლება არ შეექმნება.

არასრულწლოვანი ბრალდებული გამოძახებული უნდა იქნეს მისი კანონიერი წამომადგენლის ან იმ დაწესებულების ხელმძღვანელის მეშვეობით, რომელშიც მოთავსებულია არასრულწლოვანი, ხოლო არასრულწლოვანი მოწმე ან დაზარალებული მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

არასრულწლოვანი ბრალდებულის ადვოკატთან კანონიერ წარმომადგენელს გადაეცემა ან ეგზავნება არასრულწლოვანი ბრალდებუილის უწყების ასლი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროსესი საქმის სასამართლოში განხილვამდე. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა პირველ რიგში განიხილება განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

პროკურორს უფლება აქვს მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და განრიდების შესახებ. დევნა ნიშნავს რომ გამოტანილია გადაწყვეტილება ბრალდების შესახებ.

განრიდება გამოიყენება გამოძიების ან სასამართლოს განხილვის პროცესში. განრიდების გამოყენების უფლება გამოძიების პროცესში აქვს პროკურორს ხოლო საქმის სასამართლოში განხილვისას- სასამართლოს საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანი, სისხლის სამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, დანაშაულის შემდგომი ქცევა, არასრულწლოვნის მიერ წრსულში ჩადენილი დანაშაული და „ინდივიდუალური შეფასების ანგარიში".

წინა სასამართლო სხდომამდე განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკური.

განრიდება შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ. სასამართლო უფლებამოსილია განრიდების გამოსყენებლად საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებუს განრიდებას შესთავაზებს და მისი თანხმობის შემთხვევაში მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესაებ.

ვიდრე სასამართლო საქმეს დაუბრუნებს პროკურორს იგი მეორე მხარის პოზიციასაც ისმენს. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ორიდან ერთ-ერთი ხელშეკრულება:

1) განრიდების შესახებ

2) განრიდებისა და მედიაციის შესახებ არასრულწლოვნის მიმართ განრიდებისა და განრიდება-მედიაციის პროგრამის გამოყენების წესი ,აგრეთვე მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ამ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადა 1 წელია.

არასრულწლოვნისთვის განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში დგება გასაუბრების ოქმი, რომელშიც აღინიშნება განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი. ამ ოქმს ხელს აწერენ პროკურორი და არასრულწლოვანი, ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი.

თუ პროკურორი უარს იტყვის განრიდებაზე, ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ადვოკატს უფლება აქვს, განრიდების მოთხოვნით ზემდგომ პროკურორს მიმართოს. განრიდება გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ ერთობლივად არსებობს შემდეგი გარემოებები:

ა) საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებულივარაუდისათვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა.

ბ) არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის;

გ) არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა;

დ) არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს;

ე) პროკურორის/ სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინეით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საჭირო ინტერესი არ არსებობს;

ვ) არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების გამოყენებაზე წერილობით თანხმობას გამოხატავენ.

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და ადვოკატს უნდა მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია განრიდების არსის, ხანგრძლივობის, შესაძლო პირობებისა და განრდების ღონისიებების შეუსრულებლობის შესეგების შესახებ.

არასრულწლოვანს ზეპირად და წერილობით განემარტება, რომ განრიდებაზე თანხმობა ნებაყოფლობითია და მას უფლება აქვს ნებისმიერ სტადიაზე უარი თქვას განრიდებაზე.

განრიდების პროცესში არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის აღიარება და ის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია არ შეიძლება სასამართლოში მის წინააღმდეგ იქნას გამოყენებული.

განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება;

ბ) აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა;

გ) მიყენებული ზიანის სრულიად ან ნაწილობრივ ანაზღაურება;

დ) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა;

ე) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა;

ვ) არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება;

ზ) არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება.

არასრულწლოვნის მიმართ ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს განრიდების რამდენიმე ღონისძიება. განრიდების ღონისძიებები განისაზღვრება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

განრიდების ღონისძიება გონივრული და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი უნდა იყოს. განრიდების პროცესში დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც :

ა) იწვევს მისი ღირდებისა და პატივის შენახვას;

ბ) ნორმალური სასწავლო პროცესისა და ძირითადი სამუშაოსაგან მის მოწყვეტას;

გ) ზიანს აყენებს მის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

დაუშვებელია ჩადენილი ქმედებისათვის კანონით გათვალისწინებულ ყველაზე მსუბუქი სანქციის მინიმალურ ზღვარზე უფრო მკაცრი განრიდების

ღონისძიების გამოყენება. არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება ნიშნავს მისთვის იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მისმ ქმედებამ და რა შედეგი მოყვება დანაშაულის განმეორეით ჩადენას.

არასრულწლოვნის მიმართ შესაძლებელია გატარდეს აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-3 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, არის ღონისძიება, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს საშუალებას აძლევს გააცნობიეროს ჩადენილი ქმედებისათვის საკუთარი პასუხისმგებლობა, გამოასწოროს დანაშაულის შედეგები, აანაზღაუროს ზიანი ან/და შეურიგდეს დაზარალებულს.

აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება შეიძლება მოიცავდეს არასრულწლოვნის განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვას, მის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულებას ან/და სხვა პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგების გამოსწორებას.

არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს:

ა) განსაზღვრული ადგილის ან/და პირის/არსების მონახულება;

ბ) ბინადრობის ადგილის შეცვლა;

გ) დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა;

დ) ნებართვის გარეშე ქვეყნის ან შესაბამისი ადმინისტრაციული ერტეულის დატოვება;

ე) სხვა ისეთი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის მის რესოციალიზაციარეაბილიტაციას.

არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს:

ა) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყება ან განახლება

ბ) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით სამუშაოს დაწყება;

გ) საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი ან/და სამკურნალო პროგრამის გავლა;

დ) თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება;

ე) სხვა ისეთი მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ჩამოთვლილი ღონისძიებების კონტროლს უზრუნველყოფს პრობაციის ეროვნული სააგენტო. არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება ნიშნავს განსაზღვრუი დროით არასრულწლოვნის მიმღები ოჯახისთვის გადაცემას, სახლიდან მოშორებით და მშობლებისგან განცალკევებით, თუ არასრულწლოვნის სახლში და მშობლების გარემოცვაში დატოვება მის მიერ ახალი დანაშაულის რისკს შეიცავს.

ამ პროცესში შესაძლებელია არასრულწლოვნის მშობლების ჩართვაც, თუ ეს არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. თუ არასრულწლოვანი შეასრულებს განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის თაობაზე.

ამრიგად, განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორს გამოაქვს დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის არადაწყების ან დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და განრიდების შესახებ, ხოლო თუ არასრულწლოვანი შეასრულებს განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებბეშეკრულებით მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს პროკურორი გამოიტანს დადგენილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

განრიდების ღონისძიების შესრულებას ზედამხედველობს პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი.

თუ არასრულწლოვანი განრიდების ღონისძიებას განზრახ არ ასრულებს, ამის შესახებ სოციალური მუშაკი აცნობებს პროკურორს, რომელიც აღნიშნულისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლის და სოციალური მუშაკის მოსაზრებების მოსმენის შემდეგ აუქმებს ან ძალაში ტოვებს განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას, ცვლის განრიდების ღონისძიებას ან/და აგრძელებს განრიდების ხელშეკრულების ვადას.

თუ პროკურორი გააუქმებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ, მას უფლება აქვს დააბუთებული დადგენილებით:

ა) გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ და დაიწყოს სისლის სამართლის დევნა;

ბ) გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და განაახლოს სს დევნა.

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში არასრულწლოვნის მიერ განრიდების ღონისძიების შესასრულებლად განხორციელებული მოქმედებები სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინება.

25.2.6. არასრულწლოვნის დაკავება, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა

არასრულწლოვნის დამკავებელი პირი, გამომძიებელი, პროკურორი, მისი დაკავებისთანავე იღებს ყველა საჭირო ზომას რათა არასრულწლოვნის მშობელს, ხოლო თუ ეს შეუძლებელია-სხვა ახლო ნათესავს ან/და არასრულწლოვნის მიერ მითითებულ სხვა პირს დაუყოვნებივ დაუკავშირდეს.

არასრულწლოვნის მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, არასრულწლოვნის ახლო ნათესავად ითვლება არასრულწლოვნის მშობელი, მშვილებელი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, და, ძმა, მეუღლე, (მათ შორის განქორწინებული).

არასრულწლოვნის დამკავებელი პირი, გამომძიებელი,პროკურორი არასრულწლოვნის დაკავების შესახებ და მისი ადგილსამყოფელის განუმარტავს არასრულწლოვნის დაკავების მიზეზს და უფლებას ადვოკატზე,დუმილისა და კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავის შეკავების უფლებას, უფლებას, არ დაიბრალოს დანაშაული,რომ ყველაფერი რასაც იგი იტყვის შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული და უფლებას, დაკავებისას- მისი მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამის დაწესებულებაში მიყვანისთანავე მიიღოს უფასო სამედიცინო შემოწმება.

თუ არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელთან დაკავშირება ვერ ხერხდება, პოლიციის დაწესებულების, ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს შესაბამისი თანამშრომელი ამის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება მონაწილეობას იღებდეს საპროცესო წარმომადგენელი. საპროცესო წარმომადგენლად უნდა დაასახელოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ ტავისი თანამშრომლის კანდიდატურა, თუ მათ მიმართავს გამომძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ არასრულწლოვნის საპროცესო წარმომადგენელია მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის მიერ დანიშნული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი ან სხვა სანდო პირი, რომელიც კანონით გაუთვალისწინებელ შემთხვევაში ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას არასრულწლოვნის სახელით და მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად. საპროცესო წარმომადგენელი სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლითაც კანონიერი წარმომადგენელი.

გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე საპროცესო წარმომადგენლად ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ წარმოდგენილ კანდიდატს ან სხვა სანდო პირს, თუ:

ა) პროცესში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან 1 საათის განმავლობაში შეუძლებელია;

ბ) არასრულწლოვანი არ ცხოვრობს კანონიერ წარმომადგენელთან ან/და უარს აცხადებს მასთან დაკავშირებაზე, ან პროცესში მის მონაწილეობაზე;

გ) კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს;

დ) არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლია ან თვითმხილველია;

ე) კანონიერი წარმომადგენელი იმავე დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული;

ვ) კანონიერი წარმომადგენელი ხელმიუწვდომელია.

დაუშვებელია ოჯახის დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა, მიკერძოებულობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში.

აგრეთვე მისთვის/მათთვის არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების /გამოკითხვის ოქმი, ახსნა-განმარტება, გაცნობა და გადაცემა.

სხვა სანდო პირი საპროცესო წარმომადგენლად ინიშნება არასრულწლოვნის მოსაზრების გათვალისწინებით.

საპროცესო წარმომადგენელი უფლებამოსილია:

ა) პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირთან გამოთქვას მოსაზრება არასრულწლოვნის საჭიროებების შესახებ;

ბ) ურთიერთობა ჰქონდეს არასრულწლოვნის ახლო ნათესავთან, ადვოკატთან და მეგობართან;

გ) არასრულწლოვანს აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის, ფსიქოლოგიური ან სოციალური მომსახურებისა და მისი მიღების ხელმისაწვდომი საშუალებების შესახებ;

დ) არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მისისაპროცესო სტატუსის, მის მიერ ჩვენების მიცემის მნიშვნელობის, ხანგრძლივობისა და ფორმის, აგრეთვე დაკითხვის ჩატარების წესის შესახებ;

ე) არასრულწლოვანს აცნობოს სასამართლო მოსმენის დრო და ადგილი, აგრეთვე სხვა შესაბამისი მოქმედებების ჩატარებისა და დაცვის ხელმისაწვდომი ღონისძიებების შესახებ;

ვ) არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიმართ გამოტანილი საპროცესო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ;

ზ) არასრულწლოვნის დასახმარებლად განახორციელოს სხვა მოქმეებები.

დაკავებული არასრულწლოვანი დროებითი მოთავსების იზოლატორში სრულწლოვანთაგან განცალკევებით თავსდება. ასევე განცალკევებით თავსდებიან მდედრობითი სქესისა და მამრობით სქესის არასრულწლოვნები.

არასრულწლოვნის გამოკითხვისას და დაკითხვისას მოქმედებს საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამ დროს გამოძიების პროცესში მაგისტრანტი მოსამართლის წინაშე ჩვენების მიცემა სავალდებულო არ არის და ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ვერ გამოიწვევს არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. არასრულწლოვნის დაკითხვას ესწრება მეორე მხარე.

არასრულწლოვანი სეიძლება დაიკითხოს, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია.

არასრულწლოვნის დაკითხვა მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით ტარდება. საჭიროებისამებრ უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც. თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა სექსუალური ძალადობის მოწმეა, ან მსხვერპლია მისი დაკითხვისას შეიძლება განხორციელდეს აუდიო ან ვიდეო ჩაწერა, მოსმენა/დემონსტრირება.

14 წლამდეასკის პირის დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის ტანხმობიტა და თანდასწრებით. კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს გამოთქვას თავისი მოსაზრება და სასამართლოს ნებართვით დააზუსტოს 14 წლამდე ასაკის პირისათვის დასმული შეკითხვა. 14 წლამდე ასაკის მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

არასრულწლოვნის დაკითხვა შეიძლება მიმდინარეობდეს გარკვეული ინტერვალებით, რომლის დროსაც მოსამართლე ითვალისწინებს არასრულწლოვნის ასაკს, განვითარების დონეს და სხვა გარემოებებს. თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლია, დაკითხვათა რაოდენობა შეძლებისდაგვარად შეზღუდული უნა იყოს და სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მიღწევის აუცილებლობიტ უნდა იყოს განპირობებული.

აკრძალულია არასრულწლოვნის დაკითხვა 20:00 დაათიდან 08:00 საათამდე.

არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაფერისი საკვებითა და სასმელი წყლით, არანაკლებ ყოველ 4 საათში ერთხელ, 08:00 საათიდან 22:00 საათამდე, აგრეთვე საპირფარეშოთი შეუზღუდავად სარგებლობის უფლებით.

თუ საპროცესო მოქმედებაში არასრულწლოვანი დაზარალებული მონაწილეობსმისიკანონიერი წარმომადგენელი და ადვოკატი ესწრებიან. არასრულწლოვან მოწმეს უფლება აქვს, საპროცესო მოქმედების ჩატარებისას ჰყავდეს ადვოკატი, ხოლო თუ ის გადახდისუუნაროა, მას უფლება აქვს ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც.

საქმეს სასამართლოში განხილვისას მოსამართლე, ხოლო გამოძიების სტადიაზე- პროკურორი, უფლებამოსილია არასრულწლოვანი მოწმის (დაზარალებულის) კანონიერ წარმომადგენელს განჩინებით (დადგენილებით) აუკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს. მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით აკრძალულია არასრულწლოვანი მოწმის (დაზარალებულის) დაკითხვა თუ საქმე ეხება ოჯახური დანაშაულის, აგრეთვე დაუშვებელია არასრულწლოვანისაგან ახსნა-განმარტების მიღება, მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით, თუ იგი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია.

ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც არასრულწლოვნის სხეულის შიგნით შემოწმებას ან მისი სხეულიდან ნივთის ამოღებას გულისხმობს, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვნის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გადაუდებელი აუცილებლობისას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესი.

არასრულწლოვნის სხეულიდან ნივთის ამოღება უნდა განხორციელდეს სამედიცინო საქმიანობის, ლიცენზიის (ნებართვის) მქონე დაწესებულებაში სერთიფიცირებული, ამავე სქესის ექიმის ან ექთანის მონაწილეობით და არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის, ხოლო არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში აგრეთვე ადვოკატის თანდასწრებით.

ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც არასრულწლოვანის ნაწილობრივ ან მთლიან გაშიშვლებას გულისხმობს, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით, არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის, ხოლო სურვილის შემთხვევაში - აგრეთვე ადვოკატის თანდასწრებით , გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა .

ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვნის გაშიშვლებასთან უნდა ჩაატროს იმავე სქესის არასრულწლოვანმა, რომელი სქესისაც არის არასრულწლოვანი.

მოსამართლემ არასრულწლოვნის ჩხრეკა ან სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარება ნებართვის გაცემისთვის, რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვნის გაშიშვლებასთან, გადაწყვეტილება უნდა მიიღოს შესაბამისი შუამდგომლობის შეტანიდან არაუგვიანეს 12 საათისა.

მოსამართლის განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) მისი შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) სასამართლოს დასახელება, მოსამართლის სახელი და გვარი;

გ) პირი რომელმაც სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მიმართა;

დ) არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს;

ე) სავარაუდო დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებანი;

ვ) საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობის დასაბუთება;

ზ) ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები სავარაუდო საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი და მისი გვარეობითი ნიშნები;

თ) წინააღმდეგობის გაწევისას იძულების პროპორციული ზომის გამოყენების უფლება;

ი) განჩინების მოქმედების ვადა;

კ) პირი ან ორგანო, რომელმაც განჩინება უნდა მიიღოს;

ლ) მოსამართლის ხელმოწერა (მათ შორის ელექტრონული).

თუ არასრულწლოვანი თანახმა არ არის, რომ მის მიმართ ჩატარებულ ჩხრეკას, ამორებას ან სხვა საგამოძიებო მოქმედებას დაესწროს მისი კანონიერი წარმომადგენელი, ან თუ მისი დასწრება შეუძლებელია, საგამოძიებო მოქმედებებს ესწრება შესაბამისი სქესის საპროცესო წარმომადგენელი.

25.2.7. არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა და აღკვეთის ღონისძიებები

25.2.7.1. არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა

არასრულწლოვნის დაკავების შემდეგ შეძლებისდაგვარად მალე, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრანტ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე არასრულწლოვანი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არაუმეტეს 6 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო ახალი ბრალდება არ წაუყენებიათ. ამ ვადის გასვლის შემდეგ სისხლისსამართლებრივი უნდა შეწყდეს არასრულწლოვნის მიმართ.

შეკვეცილი ვადებია დაწესებული არასრულწლოვანთა საქმეებზე სააპელაცო და საკასაციო წარმოების დროს.

თუ ზოგადად სააპელაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში, არასრულწლოვნის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში.

თუ ზოგადად სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში, არასრულწლოვნის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს ზეპირი მოსმენიტ, სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში.

შემცირებული ვადებია დაწესებული საკასაციო წარმოების დროს.

თუ ზოგადად საკასაციო სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში, არასრულწლოვნის საქმეზე საკასაციო სასამართლოს სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში.

თუ საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღება საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა, ხოლო არასრულწლოვნის საქმეზე საკასაციო სასამართლოს საკასაციო საცივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება გამოაქვს საკასაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 3 თვის ვადაში.

სასამართლო ხელს უწყობს არასრულწლოვანთა საქმის განხილვას. ამ მიზნით სასამართლო:

1. უზრუნველყოფს, რომ საქმის სასამართლოში განხილვა არასრულწლოვნის აღქმისა და გაგების უნარების შესაბამისად მიმდინარეოდეს.

2. სხდომებს შორის გონივრული ინტერვალითაცხადებს შესვენებას არასრულწლოვნის ასაკის, ჯანმრთელობის, განვიტარებისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

დაუშვებელია არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა მის დაუსწრებლად, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ის თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას და სხდომის გადადაება საქმის გონივრულ ვადაში განხილვას შეუძლებელს გახდის.

არასრულწლოვნის მიერ ბრალის აღიარების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო სხვა შესაბამის გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს არასრულწლოვნის აღქმისა და გაგების უნარებს, დაკითხვის ხანგრძლივობას , გაურკვეველობის ან შესაძლო დაპატიმრების შიშს.

მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესზე არასრულწლოვანს შეიძლება შეეზღუდოს დასწრების უფლება. სასამართლოს უფლება აქვს მხარის შუამდგომლობიტ ანსაკუტარი ინიციატივით გამოიტანოს განჩინება არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ, თუ ეს გადაწყვეტილება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება. არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე დაუსწრებლობის ხანგრძლოვობა შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით უნდა განისაზღვროს.

არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ განჩინების გამოტანისთანავე მოსამართლე განუმარტავს მხარეებს იმავე სასამართლო სხდომაზე, მისი გასაჩივრების უფლებას, რომელიც იწვევს მტკიცებულებატა გამოკვლევის პროცესის შეჩერებას.

არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის დარბაზში დაბრუნების შედეგად სასამართლო შესაბამისი ფორმითა და მოცულობით განუმარტავს არასრულწლოვანს მისი არყოფნისას გამოკვლეული მტკიცებულებების შინაარსს.

მოსამართლის მიერ არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ განჩინების გამოტანის მიუხედავად, არასრულწლოვანი ბრალდებულის ადვოკატი და კანონიერი წარმომადგენელი სასამართლო სხდომას ყოველთვის ესწრებიან.

არასრულწლოვნის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში სასამართლო აცხადებს , რომ არასრულწლოვანი დამნაშავედ იქნა ცნობილი , მას განაჩენში შეაქვს განაჩენის შესავალი ნაწილი, გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობიტ სამოტივაციო ნაწილი და გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან შემდეგი საკითხები:

1. ბრალდებულის სახელი და გვარი;

2. გადაწყვეტილება დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ;

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლის მიხედვითაც ბრალდებული მიჩნეულია დამნაშავედ;

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით ბრალდების შემთხვევაში, რომელ ბრალდებაში გაამართლეს იგი და რომელში დასდეს ბრალი.

გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებისთანავე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომის ტარიღს. სასჯელის დანიშვნის სხდომა უნდა გაიმართოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 7 დღისა.

სასაჯელის დანიშვნის სხდომაზე მოსამართლეს გამოაქვს სამიდან ერთერთი გადაწყვეტილება:

1. გამამტყუნებელი განაჩენი მოსახდელი სასჯელის დანიშვნით;

2. გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით;

3. გამამტყუნებელი განაჩენი დაუნიშნავად.

ამის შემდეგ მოსამართლეს გამამტყუნებელ განაჩენში შეაქვს სასჯელის სახისა და ზომის დასაბუთება, პირობითი მსჯავრის გამოყენება, ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გატვალისწინებული მინიმალურ ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა და ნაკლებად მკაცრ სასჯელზე გადასვლა, საპროცესო იძულების ღონისძიების გაუქმების ან შემდგომი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება.

გარდა ამისა გამამტყუნებელი განაჩენის არეზოლუციო ნაწილში უნდა აღინიშნოს:

ა) იმ სასჯელის სახე და ზომა, რომელიც ბრალდებულს დაენიშნა, თითოეული დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის საბოლოო ზომა;

ბ) გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა, თუ გამოყენებულია პირობითი მსჯავრი;

გ) გადაწყვეტილება სასჯელის ვადაში დაკავების, პატიმრობისა და სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის ყოფნის ვადის ჩატვლის შესახებ;

დ) მსჯავრდებულისათვის განჩენის აღსრულების გადავადების ხანგრძლივობა და მისთვის დაკისრებული მოვალეობები;

ე)ნივთიერი მტკიცებულებების საკითხის გადაწყვეტა;

ვ) ქონების ჩამორთმევისა და საპროცესო კონფისკაციის საკითხის გადაწყვეტა;

ზ) გადაწყვეტილება სახელმწიფო ჯილდოს, სამხედრო, საპატიო ან სოციალური წოდების ჩამორთმევის შესახებ;

თ) განჩენის გასაჩივრების უფლება, რა ვადაში და სად შეიძლება გასაჩივრდეს ის.

არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით არ განიხილება.

25.2.7.2. აღკვეთის ღონისძიებები

არასრულწლოვანი ბრალდების მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი სახის ერთ-ერთი აღკვეთის ღონისძიება, იქნას გამოყენება: მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, გირაო, პატიმრობა.

მეთვალყურეობაში გადაცემა ნიშნავს, რომ არასრულწლოვნის მშობელი, სხვა ახლო ნათესავი, მეურვე, ან სხვა სპეციალური საბავშვო დაწესებულებისადმინისტრაცია იღებს ვალდებულებას არასრულწლოვნის გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებაზე და სატანადო ქცევის შესახებ.

ამ აღკვეთის ღონისძიების მიზანია, რომ არასრულწლოვანი ბრალდებული დროულად გამოცხადდეს გამომძიებელთან, პროკურორთან ან სასამართლოში და სათანადოდ მოიქცეს. ვალდებულება გამოცხადებისა და სათანადო ქცევის შესახებ ფორმდება წერილობით.

მეთვალყურეობაში გადაცემა შეიძლება მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით, ე.ი ამის თაობაზე თანხმობა უნდა განაცხადოს როგორც არასრულწლოვანმა ბრალდებულმა, ისე მეთვალყურემ. მეთვალყურეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი თქვას არასრულწლოვნის მეთვალყურეობაზე, თუ მიიჩნევს რომ ვერ უზრუნველყოფს მის სატაადო ქცევას.

მეთვალყურეს წერილობითი ვალდებულების ჩამორთმევისას უნდა გააცნონ არასრულწლოვნისათვის წაყენებული ბრალდებისათვის მოსალოდნელი სასჯელის სახე და ზომა და პასუხისმგებლობა, რომელიც მას დაეკისრება, თუ არასრულწლოვანი, რომელსაც ის მეთვალყურეობს, არ სეასრულებს სათანადო ქცევის ვალდებულებას.

არასრულწლოვანის მეთვალყურეობის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს, მხარის შემადგომლობით პირი, რომელიც არასრულწლოვანს მეთვალყურეობდა, დააჯარიმოს 100-დან 500 ლარამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობის ობიექტური მიზეზი ჰქონდა.

თუ არასრულწლოვანს ბრალად ედება ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩადენა მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება.

თუ არასრულწლოვან ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით ეფარდება გირაო მხედველობაში მიიღება ორი გარემოება:

ა) მის მიერ ცადენილი დანშაულის სიმძიმე;

ბ) მისი ქონებრივი შესაძლებლობა. გირაოს თანხა შეიძლება ნებისმიერი შესაძლებლობით განისაზღვროს.

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობა გამოიყენება, როგორც უკიდურესი ღონისძიება. მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას:

ა) პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნას აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;

ბ) მიზანი, რომელიც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობას ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.

თუ არასრულწლოვანს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მისი პატიმრობის ვადა აითვლება დაკავებიდან წინასასამართლო სხდომამდე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 40 დღეს.

ამ ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვანი უნდა განთავისუფლდეს პატიმრობიდან. თუ აღნიშნულ ვადაში წინასასამართლო სხდომა ვერ ჩატარდა, ის თარდება საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

თუ არასრულწლოვან ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავათ იმისა დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის

შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია თავისი ინიციატივით ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. პატიმრობის გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება. არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

25.2.7.3. არასრულწლოვნის სასჯელის დანიშვნა

არასრულწლოვნის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე პირველ რიგში ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.

თუ სასამართლო არასრულწლოვანს დაუნიშნავს არასაპატიმრო სასჯელს, მოსამართლეს უფლება აქვს მასთან ერთად დანიშნოს ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე მოვალეობა:

ა) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყება ან განახლება;

ბ) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება;

გ) საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი ან/და სამკურნალო პროგრამის გავლა;

დ) თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება;

ე) სხვა ისეთი მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

დაუშვებელია არასრულწლვანისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც დიდი ალბათობით არ შესრულდება, ან რომლის შესრულებაც არასრულწლოვნის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატება.

არასაპატიმრო სასჯელის აღსაასრულებლად, არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრონული ზედამხედველობა 1 წლამდე ვადით. ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებების გამოყენების წესი და მეთოდოლოგია განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით.

მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რის გამოც მიზანშეწონილია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა.

საკონტროლო კითხვები:

1) როგორ ხდება იურიდიული პირის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებისა და სხვაგვარი შეზღუდვების გამოყენება?

2) ჩამოაყალიბეთ იურიდიული პირის მიმართ გამოტანილი სასამართლოს განაჩენის გამოქვეყნების წესი.

სისხლის სამართლის პროცესის კერძო ნაწილის ტესტები

1. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ სასამართლოს განჩინებაში უნდა იყოს:

ა. მხოლოდ მოსამართლის სახელი და გვარი;

ბ. მოსამართლის ხელმოწერა, დამოწმებული სასამართლოს ბეჭდით;

გ. მოსამართლის ხელმოწერა (მათ შორის ელექტრონული); (მუხლი 112, ნაწ. 2)

დ. მოსამართლის ხელმოწერა, მათ შორის ელექტრონული დამოწმებული სასამართლოს ბეჭდით;

2. საექსპერტო კვლევის ობიექტი ინახებოდა ბრალდების მხარესთან. დაცვის მხარემ მოითხოვა ობიექტის გადაცემა ესპერტიზის ჩატარებისათვის და ბრალდების მხარემ ნებაყოფლობით გადასცა ობიექტი დაცვის მხარეს. დაირღვა თუ არა საპროცესო კანონმდებლობა?

ა. არა, რადგან ბრალდების მხარე ვალდებული იყო ნებაყოფლობით გადაეცა ობიექტი დაცვის მხარისათვის;

ბ. დიახ, კვლევის ობიექტი ბრალდების მხარეს უდა გადაეცა ექსპერტიზის ინიციატორი დაცვის მხარისათვის;

გ. დიახ, კვლევის ობიექტი ბრალდების მხარეს უდა გადაეცა ექსპერტიზის ინიციატორი დაცვის მხარის ექსპერტისათვის. (მუხლი 144, ნაწ.3)

დ. არა, რადგან ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით.

3. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ხდება სასამართლოს მიერ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე

ბ. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების განჩინების გამოტანა სასამართლოს, ხოლო დევნის განხორციელება პროკურორის უფლებამოსილებაა

გ. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება მხოლოდ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა (მუხლი 166)

დ. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ხდება გამომძიებლის მიერ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული სასამართლოს განჩინებით

4. პროკურორის მიერ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანიდან პირის მიმართ ბრალი წაყენებული უნდა იქნეს:

ა. დადგენილების გამოტანიდან არაუგვიანეს 12 საათისა;

ბ. დადგენილების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა; (მუხლი 169, ნაწ. 2)

გ. დადგენილების გამოტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა;

დ. დადგენილების გამოტანისთანავე.

5. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ეჭვმიტანილად;

ბ. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად; (მუხლი 170, ნაწ. 2)

გ. დაკავების მომენტიდან პირს არ გააჩნია სტატუსი;

დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

6. მოცემული მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. სასამართლო სხდომაზე 16 წელს მიღწეული პირი არ დაიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის პროცესის მონაწილეა;

ბ. სასამართლო სხდომაზე 18 წელს მიღწეული პირი არ დაიშვება, გარდა იმ შემთხვევისა თუ ის პროცესის მონაწილეა;

გ. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება;

დ. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია არ დაუშვას სასამართლო სხდომაზე პირი, რომელიც შეუფერებელ ფორმაში ან მდგომარეობაში გამოცხადდა. (მუხლი 182, ნაწ.10)

7. ძველი თბილისის რაიონის პროკურატურამ ი. ბერიძეს წარუდგინა ბრალდება ქურდობის მცდელობისათვის და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნოთ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. მოსამართლემ განიხილა მხარეთა მონაწილეობით პროკურორის შუამდგომლობა და უარი უთხრა მის დაკმაყოფილებაზე, გაანთავისუფლა სხდომის დარბაზიდან ბრალდებული, რადგან პროკურორის მიერ დარღვეული იყო აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისათვის სასამართლოსადმი მიმართვის 72 საათი. კანონიერია თუ არა საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილება?

ა. უკანონოა, რადგან პროკურორის შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს დაკავებიდან 72 საათში;

ბ. უკანონოა, რადგან პროკურორის შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს პირის მიმართ ბრალდების წაყენებიდან 24 საათში;

გ. კანონიერია, რადგან პროკურორის შუამდგომლობა სასამართლოს უნდა წარედგინოს დაკავებიდან 48 საათში; (მუხლი 196, ნაწ 1)

დ. კანონიერია, რადგან მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა დაკავებულის გათავისუფლება.

8. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს:

ა. 2000 ლარზე ნაკლები;

ბ. 1000 ლარზე ნაკლები; (მუხლი 200, ნაწ. 2)

გ. 500 ლარზე ნაკლები;

დ. 1500 ლარზე ნაკლები;

9. იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის, საქმეს ნაფიც მსაჯულთა მაგივრად განიხილავს მოსამართლე თუ:

ა. მხარეები ერთობლივად აცხადებენ უარს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე; (მუხლი 219, ნაწ. 3)

ბ. ერთ ერთ მხარე უარს აცხადებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე;

გ. ბრალდებული უარს აცხადებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე;

დ. მოსამართლე წინასასამართლო სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას რომ საქმე განსახილველად არ გადაეცეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

10. ექსპერტიზის ინიციატორმა ბრალდების მხარის ექსპერტმა ვერ უზრუნველყო საექსპერტო კვლევის ობიექტის დაცვა, დაცვის მხარემ რომელთანაც მანმადე ინახებოდა კვლევის ობიექტი მოითხოვა ექსპერტის დასკვნის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა. აღნიშნულ საკითხზე ბრალდების მხარემ მოითხოვა ექსპერტის მოწმედ დაკითხვა. როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო?

ა. სასამართლომ ექსპერტის მოწმედ დაკითხვის შუამდგომლობა არ უნდა დააკმაყოფილოს;

ბ. სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნა დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ცნოს;

გ. სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნა დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ცნოს და ექსპერტის მოწმედ დაკითხვის შუამდგომლობა არ უნდა დააკმაყოფილოს; (მუხლი 144, ნაწ 31)

დ. სასამართლომ ბრალდების მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა უნდა დააკმაყოფილოს, დაკითხოს მოწმის სახით ექსპერტი და გაარკვიოს ექსპერტმა ვერ თუ არ უზრუნველყო საექსპერტო კვლევის ობიექტის დაცვა.

11. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შემთხვევაში შუამდგომლობის ხელახლა დაყენება შეიძლება:

ა. ერთი თვის ვადაში

ბ. სამი თვის ვადაში (მუხლი 288, ნაწ.2)

გ. ერთი წლის ვადაში

დ. ნასამართლობის მოხსნაზე უარის თქმის შემთხვევაში შუამდგომლობის ხელახლა დაყენება დაუშვებელია.

12. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. გამოსაკითხ პირს უფლება არა აქვს საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით

ბ. გამოსაკითხ პირს უფლება არა აქვს თავის წინააღმდეგ არ გასცეს ინფორმაცია

გ. გამოსაკითხ პირს აქვს მხოლოდ ის უფლება, რომ თავის წინააღმდეგ არ გასცეს ინფორმაცია და აღნიშნული უფლების შესახებ განმარტება მიიღოს გამოკითხვის დაწყებამდე

დ. გამოსაკითხ პირს უფლება აქვს საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, თავის წინააღმდეგ არ გასცეს ინფორმაცია და აღნიშნული უფლებების შესახებ განმარტება მიიღოს გამოკითხვის დაწყებამდე (მუხლი 113, ნაწ.2)

13. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლება არა აქვს დაცვის მხარეს:

ა. შემთხვევის ადგილის დათვალიერების;

ბ. გამოკითხვის;

გ. ჩხრეკის; (მუხლი 111)

დ. საგამოძიებო ექსპერიმენტის.

14. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია არასწორი:

გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ან უნდა შეწყდეს თუ:

ა. ვითარება შეიცვალა;

ბ. ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას;

გ. კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის გამოცხადებული;

დ. დაზარალებული შეურიგდა ბრალდებულს კერძო სისხლის სამართალწარმოებისას. (მუხლი 105, ნაწ. 1)

15. ბრალდების მხარემ წინასწარ მიმართა დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლოს სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის (დადგენილ ვადაზე ადრე) შეცვლის თაობაზე. სასამართლომ შუამდგომლობა განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და დააკმაყოფილა. სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება.

ა. არ არის სწორი, რადგან ბრალდების მხარეს შეთანხმება უნდა ეცნობებია დაცვის მხარესთვის; (მუხლი 208, ნაწ. 3)

ბ. სწორია, რადგან მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა დასაბუთებული იყო;

გ. არ არის სწორი, რადგან ამ შემთხვევაში ბრალდების მხარეს შეიძლება ზეწოლა მოეხდინა დაცვის მხარეზე ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად;

დ. სწორია, რადგან საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის შეცვლის (დადგენილ თარიღზე ადრე ან გვიან დანიშვნის) შესაძლებლობას.

16. გამოძიების სტადიაზე პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა მაგისტრატ მოსამართლეს, რათა დაეკითხა მოწმე ნ. კალატოზიშვილი, რომელიც 5 წლით სასწავლებლად მიემგზავრებოდა გერმანიაში. მაგისტრატმა მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და სასამართლო უწყებით

გამოიძახა დასაკითხი პირი. გაფრთხილების მიუხედავად დაცვის მხარე არ გამოცხადდა.

ასეთ შემთხვევაში უნდა დაიკითხოს თუ არა მოწმე ნ. კალატოზიშვილი?

ა. მოწმე არ უნდა დაიკითხოს, რადგან კანონის თანახმად დაკითხვა მიმდინარეობს მხარეთა მონაწილეობით;

ბ. მოწმე არ უნდა დაიკითხოს და დაკითხვა უნდა გადაიდოს გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა;

გ. მოწმე უნდა დაიკითხოს, რადგან მეორე მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს დაკითხის წარმოებას; (მუხლი 114, ნაწ. 3)

დ. მოწმე უნდა დაიკითხოს, რადგან მხარის გამოუცხადებლობა არ იყო საპატიო.

17. მოცემულ მსჯელობათაგნ რომელია სწორი?

ა. ამოუცნობი გვამის დამარხვა ან კრემაცია სასამართლოს ნებართვის გარეშე დაუშვებელია;

ბ. მხარის შუამდგომლობით გადაუდებელ შემთხვევაში დასაშვებია ამოუცნობი გვამის დაქტილოსკოპირება ან საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშის აღება;

გ. გვამის გარეგნულ დათვალიერებას მხარე ატარებს ექსპერტის მონაწილეობით; (მუხლი 128, ნაწ. 1)

დ. ამოუცნობი გვამის დამარხვა და კრემაცია სასამართლოს ნებართვის გარეშე დაუშვებელია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.

18. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ეჭვმიტანილად;

ბ. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად; (მუხლი 170, ნაწ. 2)

გ. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება მსჯავრდებულად;

დ. არც ერთი მსჯელობა არ არის სწორი.

19. ბრალდებულის საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას სხდომის თავმჯდომარეს:

ა. უფლება არ აქვს, დაადგინოს ბრალდებულის საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა, მაგრამ მას შეუძლია შეაჩეროს ბრალდებული, თუ ის ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან ან რომელიც არ გამოკვლეულა პროცესის განმავლობაში; (მუხლი 253, ნაწ. 2)

ბ. უფლება არ აქვს , დაადგინოს ბრალდებულის საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა, მაგრამ მას შეუძლია შეაჩეროს ბრალდებული, თუ ის ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან;

გ. უფლება აქვს, დაადგინოს ბრალდებულის საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა, მაგრამ მას შეუძლია შეაჩეროს ბრალდებული, თუ ის ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან;

დ. უფლება აქვს, დაადგინოს ბრალდებულის საბოლოო სიტყვის ხანგრძლივობა, მაგრამ მას შეუძლია შეაჩეროს ბრალდებული, თუ ის ეხება გარემოე-

ბას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან ან რომელიც არ გამოკვლეულა პროცესის განმავლობაში;

20. ქ. თბილისის პროკურატურამ ბრალდებულ ა. ზეიკიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შერჩევისათვის შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. განხილვისას, პროკურორის შემდგომ თავისი პოზიცია გამოხატა დაცვის მხარემაც, რომელიც არ დაეთანხმა ა. ზეიკიძის დაპატიმრებას და სასამართლოს შესთავაზა გირაოს სახით 500 ლარი. კანონშესაბამისია თუ არა ადვოკატის შეთავაზება?

ა. არა, რადგან პროკურორი პატიმრობას ითხოვდა და ადვოკატს არ ჰქონდა ამ დროს გირაოს შეთავაზების უფლება;

ბ. არა, რადგან კანონით გირაოს მინიმალური ოდენობაა 1000 ლარი; (მუხლი 200, ნაწ.2)

გ. დიახ, რადგან დაცვის მხარეს უფლება ჰქონდა ნებისმიერი თანხის ან ქონების გირაოს სახით შეთავაზებისა;

დ. დიახ, რადგან პროკურორი ა. ზეიკიძის დაპატიმრებას ითხოვდა.

21. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი პატიმრობის საერთო ვადის (9 თვე) გაგრძელება დაიშვება იმ შემთხვევაში თუ:

ა. ამას განსაზღვრავს ბრალდების მხარე;

ბ. არ დაიშვება; (მუხლი 205, ნაწ. 2)

გ. პროკურორის შუამდგომლობით, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე გასცემს ვადის გაგრძელების ბრძანებას;

დ. მთავარი პროკურორის შუამდგომლობით, უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე გასცემს ვადის გაგრძელების ბრძანება.

22. ბრალდებული შეიძლება სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსდეს არა უმეტეს 20 დღის ვადით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ექიმთა დასკვნის საფუძველზე სამედიცინო დაწესებულებაში პირის ყოფნის ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 10 დღის ვადით, რისთვისაც აუცილებელია:

ა. მოსამართლის ბრძანება;

ბ. სასამართლოს განჩინება (დადგენილება) ან მოსამართლის ბრძანება;

გ. სასამართლოს განჩინება; (მუხლი 181, ნაწ. 2)

დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

23. ბრალდებულის საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას ის შეეხო ისეთ გარემოებას, რომელიც არ გამოკვლეულა პროცესის განმავლობაში, როგორ უნდა მოიქცეს სხდომის თავმჯდომარე?

ა. ის ვალდებულია შეაჩეროს ბრალდებული;

ბ. მას შეუძლია შეაჩეროს ბრალდებული; (მუხლი 253, ნაწ.2)

გ. მას არ აქვს უფლება შეაჩეროს ბრალდებული;

დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

24. ბრალდებულის მიერ საბოლოო სიტყვის წარმოთქმისას შესაძლებელია მისი შეჩერება თუ:

ა. ბრალდებული, იყენებდა დუმილის უფლებას და იყენებს სიტყვით გამოსვლის უფლებას;

ბ. ეჭვმიტანილი, ბრალდებული, განსასჯელი ეხება ფაქტებს, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან;

გ. ბრალდებული, ეხება გარემოებას, რომელიც არ გამოკვლეულა პროცესის განმავლობაში;

დ. ბრალდებული, ეხება გარემოებას, რომელსაც კავშირი არა აქვს განსახილველ საქმესთან ან რომელიც არ გამოკვლეულა პროცესის განმავლობაში. (მუხლი 253, ნაწ.2)

25. თელავის პოლიციის განყოფილებაში დაკითხვის მიზნით გამოძახებული იქნა 16 წლის ვ. იესაშვილი, რომელიც გამომძიებელთან გამოცხადდა მარტო. გამომძიებელმა დაკითხვაში მონაწილეობისათვის მოიწვია ფსიქოლოგი და მასთან ერთად დაკითხა ვ. იესაშვილი. კანონიერია თუ არა გამომძიებელის მიერ ჩატარებული დაკითხვა?

ა. კანონიერია, რადგან არასრულწლოვანის დაკითვა ტარდება ფსიქოლოგის მონაწილეობით;

ბ. კანონიერია, რადგან არასრლუწლოვანის დაკითხვა ტარდება კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის მონაწილეობით; (მუხლი 116,ნაწ.2)

გ. უკანონოა, რადგან არასრულწლოვანის დაკითხვა ტარდება კანონიერი წარმომადგენლის და პედაგოგის დასწრებით;

დ. უკანონოა, რადგან არასრულწლოვანის დაკითხვა ტარდება კანონიერი წარმომადგენლის ან პედაგოგის დასწრებით.

26. ქუთაისის სასამართლოში მიმდინარე პროცესის მსვლელობისას სხდომის თავმჯდომარემ პროკურორს, მის მიერ გამოძახებული მოწმის დაკითხვის ხანგრძლივობის სახით მისცა გონივრული ვადა — 2 საათი, ხოლო ადვოკატს კი მის მიერ გამოძახებული მოწმის დაკითხვის ხანგრძლივობად განუსაზღვრა გონივრულ ვადად 2 საათი 15 წუთი. დაარღვია თუ არა მოსამართლემ დაკითხვის კანონით დადგენილი ხანგრძლივობის წესი?

ა. დაარღვია, რადგან დაკითხვა 2 საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს და სხდომის თავმჯდომარე ვერ განუსაზღვრავს მხარეს ვადას;

ბ. დაარღვია რადგან მხარეების მიერ დაკითხვა 4 საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს;

გ. არ დაურღვევია, რადგან დაკითხვის საერთო ხანგრძლივობა დღის განმავლობაში 8 საათს არ უნდა აღემატებოდეს, დაშვებულია დღის განმავლობაში პირის რამდენჯერმე დაკითხვა დასასვენებლად არანაკლებ ერთსაათიანი პაუზებით;

დ. არ დაურღვევია, რადგან სხდომის თავმჯდომარე მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. (მუხლი 244, ნაწ. 3)

27. სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის დადგენილ თარიღზე ადრე დანიშვნის შესახებ მიმართვის შესაძლებლობა მხარეებს აქვთ:

ა. მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ დაყენებული დასაბუთებული შუამდგომლობით;

ბ. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

გ. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ერთობლივად, წინასწარ; (მუხლი 208, ნაწ.3)

დ. მხოლოდ დაცვის მხარის მიერ დაყენებული დასაბუთებული შუამდგომლობით;

28. სასამართლო განხილვის სხდომის თარიღის დადგენილ თარიღზე ადრე ან გვიან დანიშვნის შესახებ შუამდგომლობას სასამართლო განიხილავს:

ა. მხოლოდ წინასასამართლო სხდომაზე და საჩივრდება ერთჯერადად სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში;

ბ. ზეპირი მოსმენის გარეშე და მიღებული გადაწყვეტილება მხარის მიერ საჩივრდება ერთჯერადად სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში;

გ. მხოლოდ წინასასამართლო სხდომაზე და არ საჩივრდება;

დ. ზეპირი მოსმენის გარეშე და მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება; (მუხლი 185, ნაწ.5)

29. სასამართლო განიხილავდა პროკურორის შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. სასამართლოზე ბრალდებულმა უარი თქვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე ბრალის აღიარების შესახებ, ამავდროულად სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობს ბრალის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

ა. სასამართლო უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით საქმის არსებითი განხილვის თაობაზე;

ბ. სასამართლომ საქმე უნდა დაუბრუნოს პროკურორს; (მუხლი 213, ნაწ. 5)

გ. სასამართლომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენი უნდა გამოიტანოს;

დ. საპროცესო კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის.

30. როდის და რა შემთხვევაშია შესაძლებელი წინასასამართლო სხდომის ჩატარებამდე საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვა?

ა. ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე და შემდგომ ნებისმიერ დროს;

ბ. ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე;

გ. წინასასამართლო სხდომის ჩატარებამდე ნებისმიერ დროს;

დ. შეუძლებელია.

31. ის, ვისაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა ან თავისუფლების შეზღუდვა, რა წესით შეიძლება გათავისუფლდნენ პირობით ვადამდე სასჯელის მოხდისაგან?

ა. სასამართლოს გადაწყვეტილებით; (მუხლი 285, ნაწ.1)

ბ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით;

გ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს შუამდგომლობითა და სასამართლოს გადაწყვეტილებით;

დ. საპროცესო კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის.

32. სასამართლო განხილვისას მოწმე კ. დობორჯგინიძის დაკითხვის წინ მოსამართლემ განუმარტა, რომ ის ვალდებულია ისაუბროს ყველა იმ ფაქტებზე რომელსაც იგი შეესწრო ან იცის, მათ შორის მისი ნათესავის ე. ტაბაღუას მოქმედებების შესახებ, რომლის ბრალდებაც იხილებოდა სასამართლო პროცესზე. კანონიერია თუ არა მოსამართლის განმარტება?

ა. კანონიერია, რადგან მოწმე ვალდებულია ისაუბროს ყველა იმ ფაქტებზე, რომელსაც იგი შეესწრო ან იცის;

ბ. კანონიერია, რადგან მოწმე ვალდებულია ისაუბროს ყველა იმ ფაქტებზე, რომელსაც შეესწრო ან იცის, მათ შორის მისი ნათესავისა თუ ახლობელის შესახებაც;

გ. უკანონოა, რადგან მოწმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მის ახლო ნათესავს;

დ. უკანონოა, რადგან მოწმეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს.(მუხლი 115, ნაწ.1)

33. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით:

ა. პროკურორს უფლება აქვს დაზარალებულს შეატყობინოს საპროცესო შეთანხმების დადება;

ბ. პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს შეატყობინოს საპროცესო შეთანხმების დადება; (მუხლი 217, ნაწ.1)

გ. პროკურორი ვალდებულია დაზარალებულს შეატყობინოს საპროცესო შეთანხმების დადება და გააცნოს მისი პირობები;

დ. პროკურორი არ არის ვალდებული დაზარალებულს შეატყობინოს საპროცესო შეთანხმების დადება;

34. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

ა. ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას;

ბ. ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ ინფორმაციის წყაროს მითითებით;

გ. სასამართლო განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებათა ერთობლიობას; (მუხლი 259)

დ. სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა მტკიცებულებით.

35. თუ პირს სასჯელის სახედ დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთა, იგი შეიძლება პირობით ვადამდე გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან:

ა. სასამართლოს გადაწყვეტილებით;

ბ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებით; (მუხლი 285, ნაწ.1)

გ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს შუამდგომლობითა და სასამართლოს გადაწყვეტილებით;

დ. საპროცესო კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის.

36. ბრალდებულის დამცველმა გამომძიებელს მიმართა შუამდგომლობით, რომლითაც მოითხოვა საგამოძიებო მოქმედების – ბრალდებულის დაზარალებულთან დაპირისპირების – ჩატარებას იმის გამო, რომ მათი ჩვენებები ურთიერთგამომრიცხავი იყო. კერძოდ, დაზარალებული ამხელდა ბრალდებულს მის გაძარცვაში, ბრალდებული კი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული დანაშაული მას არ ჩაუდენია და დაზარალებული ცდება. რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს გამომძიებელმა?

ა. შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ბრალდებულს უფლება აქვს დაუპირისპირდეს იმ პირს, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში.

ბ. ამგვარი შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ ორივე პირი – ბრალდებული და დაზარალებული – უკვე დაკითხულნი არიან ამ დანაშაულის ირგვლივ.

გ. დაპირისპირებას გამომძიებელი ვერ ჩაატარებს, რადგან ასეთ საგამოძიებო მოქმედებას კანონი არ ითვალისწინებს. (იხ.თავიმე-15)

დ. ვინაიდან ბრალდებული შერაცხულ დანაშაულს არ აღიარებს, დაპირისპირება უნდა ჩატარდეს პროკურორის მონაწილეობით.

37. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

ა. გამომძიებელი ვალდებულია გამოძიების დაწყების შესახებ განმცხადებელს წერილობით აცნობოს 3 დღის ვადაში;

ბ. გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან გამოძიების დაწყების შესახებ განმცხადებელს წერილობით აცნობონ 10 დღის ვადაში;

გ. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს; (მუხლი 100)

დ. გამოძიების დაწყების შესახებ განმცხადებელის შეტყობინებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

38. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

ა. გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა; (მუხლი 103)

ბ. გამოძიების მიმდინარეობის ვადაა 24 თვე;

გ. გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში იმ გარემოებამდე, როდესაც დადგინდება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირი;

დ. გამოძიების მიმდინარეობის ვადაა 12 თვე.

39. სხვისი მოძრავი ნივთის განზრახ დაზიანების ბრალდებით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა პროკურორმა ბრალდებულის დაზარალებულთან შერიგების გამო. კანონიერია თუ არა პროკურორის გადაწყვეტილება?

ა. კანონიერია, რადგან ბრალდებულის დაზარალებულთან შერიგება საფუძველია სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა;

ბ. კანონიერია რადგან პროკურორს უფლება აქვს შეწყვიტოს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და თავად განსაზღვროს არის თუ არა საამისო საფუძველი;

გ. უკანონოა, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ასეთ საფუძველს სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს; (მუხლი 105, ნაწ.1)

დ. უკანონოა, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეიძლება ასეთ ბრალდებაზე შეწყდეს თუ დამატებით არ არის ზიანი ანაზღაურებული.

40. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ:

ა. პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა;

ბ. პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით;

გ. ბრალდებული გარდაიცვალა;

დ. დაზარალებული გარდაიცვალა. (მუხლი 105,ნაწ2)

41. ვაკე-საბურთალოს რ-ნის პროკურორმა დადგენილებით შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა ი. ფირცხალავას მიმართ, რომლის ადვოკატმაც ერთჯერადად გაასაჩივრა აღნიშნული დადგენილება თბილისის პროკურორთან. კანონშესაბამისია თუ არა ადვოკატის მოქმედება?

ა. არა, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან დაზარალებულმა; (მუხლი 106, ნაწ.1)

ბ. არა, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება არ საჩივრდება;

გ. დიახ, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს დაცვის მხარემ ზემდგომ პროკურორთან;

დ. დიახ, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარის მიერ როგორც ზემდგომ პროკურორთან ასევე სასამართლოში.

42. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ეცნობება:

ა. ბრალდებულს;

ბ. ბრალდებულს და მის ადვოკატს;

გ. დაზარალებულს;

დ. ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს. (მუხლი 106, ნაწ.2)

43. სასამართლომ პირის მიმართ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა, რაც გაასაჩივრა პროკურორმა ზემდგომ სასამართლოში. ზემდგომმა მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჩივარი და უარი უთხრა პროკურორს მის დაკმაყოფილებაზე და განჩინების გაუქმებაზე. კანონიერია თუ არა ზემდგომი მოსამართლის მოქმედება?

ა. უკანონოა, რადგან მას არ ჰქონდა უფლება პროკურორის საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა;

ბ. უკანონოა, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინების გასაჩივრებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს;

გ. კანონიერია, რადგან ზემდგომ მოსამართლეს უფლება აქვს ასეთი საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშეც; (მუხლი 107, ნაწ.2)

დ. კანონიერი, რადგან პროკურორის საჩივარი უსაფუძვლო იყო.

44. სასამართლომ პირის მიმართ შეწყვიტა სისხლის სამართლებრივი დევნა, რაც გაასაჩივრა პროკურორმა ზემდგომ სასამართლოში. ზემდგომმა მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჩივარი და გააუქმა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინება, რის თანახმადაც პროკურორმა განაახლა სისხლისსამართლებრივი დევნა. კანონიერია თუ არა პროკურორის მოქმედება?

ა. კანონიერია, რადგან პროკურორი უფლებამოსილია განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ბ. კანონიერია, რადგან თუ არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს;(მუხლი 108, ნაწ. 1-ლი)

გ.უკანონოა, რადგან პროკურორს უნდა ჰქონოდა ზემდგომი პროკურორის თანხმობა;

დ. უკანონოა, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განაახლოს გამომძიებელმა პროკურორის თანხმობით.

45. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელი არის არასწორი?

დაცვის მხარე არ არის უფლებამოსილი, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით შემდეგი საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად:

ა. შემთხვევის ადგილის დათვალიერება;

ბ. ექსპერტიზის ჩატარებაზე (იხ. თავი 15)

გ. ჩხრეკა;

დ. ამოღება.

46. გამომძიებელმა ა. ზედგინიძის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დაწყების წინ მესაკუთრეს არ წარუდგინა სასამართლოს განჩინება ჩხრეკის წარმოების შესახებ. მიუხედავად ამისა მესაკუთრემ დართო ნება გამომძიებელს ჩაეტარებინა ჩხრეკა და შედეგად ამოეღო ა. ზედგინიძის საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. გამომძიებელმა ჩაატარა ეს საგამოძიებო მოქმედება. კანონიერია თუ არა გამომძიებელის მოქმედება?

ა. კანონიერია, რადგან გამომძიებელს ჰქონდა დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკის ჩატარების შესახებ;

ბ. კანონიერია, რადგან თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად;

გ. უკანონოა, რადგან გამომძიებელს უნდა წარედგინა სასამართლოს განჩინება;

დ. უკანონოა, რადგან გამომძიებელს უნდა წარედგინა სასამართლოს განჩინება ჩხრეკის ჩატარების შესახებ და მისი გაცნობა დადასტურებული უნდა იყოს ხელმოწერით; (მუხლი 120, ნაწ.2)

47. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ მასალების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება:

ა. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ; (მუხლი 112, ნაწ. 6)

ბ. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის შესახებ;

გ. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ მიჩნევისა და საქმიდან ამოღების შესახებ;

დ. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ნაწილობრივ უკანონოდ ცნობის შესახებ.

48. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ გამომძიებელმა დაიწყო მახლობლად მცხოვრებ პირთა გამოკითხვა, რა დროსაც გამოსაკით პირებს უმარტავდა მათ ვალდებულებას ყველა შემთხვევაში მიეცათ გამოძიებისათვის ინფორმაცია და აფრთხილებდა ინფორმაციის არ მიცემაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. გამომძიებელმა გამოკითხა 2 პირი და

მიიღო ინფორმაცია დანაშაულის შესაძლო ჩამდენ პირების აღნაგობაზე, ჩაცმულობაზე და თმის ფერზე. კანონიერი იყო თუ არა გამომძიებლის მოქმედება გამოკითხის დროს?

ა. კანონიერია რადგან გამომძიებელს უფლება აქვს გააფრთხილოს გამოსაკითხი პირი საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემის ვალდებულების შესახებ და წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ;

ბ. კანონიერია, რადგან დანაშაულის შემსწრე ან სხვაგვარი ინფორმაციის მქონე პირი ვალდებულია გამოკითხვისას გადასცეს ინფორმაცია გამომძიებას;

გ. უკანონოა, რადგან გამომძიებელს უნდა ჰქონოდა პროკურორის მითითება გამოეკითხა შემთხვევის ადგილის მახლობლად მაცხოვრებელი ან მყოფი პირები;

დ. უკანონოა, რადგან პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხულ იქნეს მხარეთა მიერ. დაუშვებელია გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია. (მუხლი 113, ნაწ. 1)

49. სასამართლოში გამოძახებული მოწმის დაკითხვის დაწყებამდე მოსამართლემ გაარკვია მოწმის ვინაობა, რის შემდეგაც დაუსვა მას შეკითხვა ნასამართლობის შესახებ. კანონშესაბამისია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. კანონშესაბამისია, რადგან მოწმედ გამოძახებული პირის დაკითხვამდე სასამართლო არკვევს მის ვინაობას და ნასამართლობასაც;

ბ. კანონშესაბამისია, რადგან მოსამართლეს აქვს დაუსვას მოწმეს ნებისმიერი შეკითხვა რომელიც კავშირშია განსახილველ საქმესთან;

გ. უკანონოა, რადგან არ შექმნილა საფუძველი მოწმის სანდოობის დადგენის შემოწმებისა; (მუხლი 115, ნაწ. 4)

დ. უკანონოა, რადგან ამ შეკითხვის დასმის უფლება არ გააჩნია მოსამართლეს შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე.

50. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით გამოძახებული იქნა 13 წლის დ. ფხაკაძე, რომლის დაკითხვას ესწრებოდა ფსიქოლოგი და მისგანვე ჰქონდა მიღებული სასამართლოს თანხმობა დ. ფხაკაძის დაკითხვისა. მოსამართლემ დართო ნება მხარეებს დაეკითხათ დ. ფხაკაძე ფსიქოლოგის მონაწილეობით. კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. კანონიერია, რადგან არასრულწლოვანის დაკითხვას ესწრება ფსიქოლოგი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი;

ბ. კანონიერია, რადგან არსებობდა ფსიქოლოგის წერილობითი ნებართვა 13 წლის მოწმის დაკითხვის თაობაზე;

გ. უკანონოა, რადგან 14 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა უნდა აწარმოოს თავად მოსამართლემ;

დ. უკანონოა, რადგან 14 წლამდე პირის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და დასწრებით. (მუხლი 119, ნაწ.30)

51. საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის დროს პროკურორმა იშუამდგომლა სხდომაზე მოწმის წინასასამართლო (დეპონირებული) ჩვენების გამოკვლევის შესახებ, იმ მოტივით რომ ამოწურულია მისი სასამართლოში წარდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა. კანონშესაბამისია თუ არა პროკურორის შუამდგომლობა?

ა. კანონშესაბამისია, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით სასამართლო სხდომაზე არსებითი განხილვისას შესაძლებელია მოწმის წინასასამართლო ჩვენების საჯარო ნაკითხვა. (მუხლი 243, ნაწ.1)

ბ. კანონშესაბამისია, რადგან სასამართლო არსებითი განხილვისას მხარეებს აქვთ უფლება მოწმის თანხმობით მოითხოვონ მისი როგორც გამოკითხვის ოქმის ასევე წინასასამრთლო ჩვენების გამოქვეყნება;

გ. არ არის კანონშესაბამისი, რადგან საქმის არსებითი განხილვისას მხარეებს აღარ გააჩნიათ უფლება დააყენონ შუამდგომლობები მოწმეთა ჩვენებების გამოქვეყნების შესახებ;

დ. არ არის კანონშესაბამისი, რადგან ასეთ პროცედურას სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს.

52. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, ბრალდებულ ი. პეტრიაშვილის დის მოწმის სახით დაკითხვისას მოსამართლემ ჩვენების მიცემის წინ გააფრთხილა იგი მხოლოდ ცრუ ჩვენებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, პეტრიაშვილის დამ მაინც ცრუ ჩვენება მისცა სასამართლოს. რის შემდგომაც მოსამართლემ გამოიტანა განჩინება, ხოლო პროკურორმა დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ი. პეტრიაშვილის დის მიმართ. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. მოსამართლის მოქმედება კანონიერია, რადგან ამ შემთხვევაში მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში, მოსამართლეს უფლება აქვს გამოიტანოს განჩინება, სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის გადასაწყვეტად.

ბ. მოსამართლის მოქმედება კანონიერია, რადგან ამ შემთხვევაში მოსამართლემ მოწმეს, ჩვენების მიცემის წინ, განუმარტა მისი მოვალეობა თქვას სრული სიმართლე, რაც მისთვის ცნობილია.

გ. მოსამართლის მოქმედება უკანონოა, რადგან მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისას, მისი პასუხისმგებლობის შესახებ მსჯელობის უფლება, აქვს მხოლოდ პროკურორს.

დ. მოსამართლის მოქმედება უკანონოა, რადგან მოწმე იყო ბრალდებულის და. ამასთან, მოსამართლე ვალდებული იყო, განემარტა მისთვის უფლება, უარი ეთქვა გამოსულიყო მოწმედ თავისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ, თუ მოწმე დათანხმდებოდა ჩვენების მიცემაზე, მხოლოდ ამის შემდგომ შეეძლო მოსამართლეს, გაეფრთხილებინა იგი ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. (მუხლი 115, ნაწ.1)

53. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ჩხრეკის ჩატარება შეიძლება:
ა. მხოლოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის აღმოსაჩენად;
ბ. მხოლოდ დანაშაულის იარაღის ან საგნის აღმოსაჩენად;

გ. აგრეთვე ძებნილისა და გვამის აღმოსაჩენად; (მუხლი 119, ნაწ. 2)
დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი;

54. გამომძიებელმა პირის დაკავებისას შეამჩნია რომ დაკავებული ცდილობდა თავიდან მოეშორებინა საბრძოლო ვაზნები. გამომძიებელმა დაუყონებლივ დაიწყო პირადი ჩხრეკის ჩატარება ისე რომ არ გამოუტანია დადგენილება. კანონიერია თუ დამკავებელი პოლიციის მუშაკის მოქმედება?

ა. კანონიერია, რადგან თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდო, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულებები, დამკავებელ თანამდებობის პირს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებული წესით ჩაატაროს ჩხრეკა სასამართლოს განჩინების გარეშე; (მუხლი 121, ნაწ. 2)

ბ. კანონიერია, რადგან შესაძლოა განხორციელებულიყო დაკავებულის თავდასხმა;

გ. უკანონოა, რადგან გამომძიებელს უნდა გამოეტანა დადგენილება პირადი ჩხრეკის ჩატარების შესახებ;

დ. უკანონოა, რადგან გამომძიებელს უნდა გამოეტანა დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობით პირადი ჩხრეკის ჩატარების შესახებ.

55. გამოძიების მსვლელობისას კანონით დადგენილი წესით ჩატარებული ამოღების შედეგად გამოძიებამ ბრალდებულისგან მოიპოვა საბუღალტრო ჩანაწერები, რომელიც საქმის სასამართლოში წარმართვისას პროკურორმა არ დაურთო მტკიცებულებებს ანუ არ გამოიყენა იგი. პროკურორმა აღნიშნული ჩანაწერები გაანადგურა. კანონიერია თუ არა პროკურორის მოქმედება?

ა. კანონიერია, რადგან ამოღებული დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი თუ მხარემ სასამართლოში მტკიცებულებად არ წარადგინა, როგორც წესი ნადგურდება;

ბ. კანონიერია, რადგან პროკურორს უფლება აქვს გაანადგუროს დანაშაულის საგანი ან იარაღი;

გ. უკანონოა, რადგან თუ ამოღებული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი მხარემ სასამართლოში მტკიცებულებად არ წარადგინა, იგი როგორც წესი უბრუნდება იმ პირს, რომლისგანაც იქნა ამოღებული; (მუხლი 124, ნაწ. 1)

დ. უკანონოა, რადგან თუ ამოღებული საგანი არ არის ღირებულების მქონე მხოლოდ მაშინ ნადგურდება, სხვა შემთხვევაში იგი გადაეცემა სახელმწიფოს.

56. ადვოკატმა დააპირა შემთხვევის ადგილის დათვალიერება (საცხოვრებელი ბინა), სადაც მისვლისას შეიტყო, რომ მესაკუთრე თანახმაა რომ ადვოკატმა განახორციელოს ეს საგამოძიებო მოქმედება, რაც გაფორმდა კიდეც წერილობით. შესაბამისად ადვოკატმა აღარ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით შემთხვევის ადგილის (საცხოვრებელი ბინის) დათვალიერების ნებართვის მიღებისათვის და დაათვალიერა იგი. კანონშესაბამისია თუ არა ადვოკატის მოქმედება?

ა. კანონშესაბამისია, რადგან სასამართლოს განჩინება არ არის აუცილებელი, როდესაც მხარე დათვალიერებას ატარებს გადაუდებელი აუცილე-

ბლობის შემთხვევაში ან მესაკუთრე წერილობით გამოხატავს თანხმობას; (მუხლი 125, ნაწ.2)

ბ. კანონშესაბამისია, რადგან ადვოკატს მესაკუთრისგან (საცხოვრებელი ბინიდან) არანაირი ნივთი ან დოკუმენტი არ წამოუღია;

გ. არ არის კანონშესაბამისი, რადგან ადვოკატს შესაბამისი წესით უნდა მოეპოვებინა სასამართლოს განჩინება შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ, რის შედეგადაც ჰქონდა უფლება ჩაეტარებინა ეს საგამოძიებო მოქმედება;

დ. არ არის კანონიერი, რადგან ადვოკატს შუამდგომლობით უნდა მიემართა სასამართლოსთვის და განჩინების გამოტანის შემდგომ გაეცნო იგი მესაკუთრისათვის, რის შემდეგაც მას ექნებოდა უფლება დაეთვალიერებინა შემთხვევის ადგილი (საცხოვრებელი ბინა).

57. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. ამოუცნობი გვამის დამარხვა პროკურორის ნებართვის გარეშე დაუშვებელია;

ბ. ამოუცნობი გვამის დამარხვა ან კრემაცია პროკურორის ნებართვის გარეშე დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საფრთხე ექმნება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; (მუხლი 128, ნაწ. 3)

გ. ამოუცნობი გვამის დამარხვა ან კრემაცია სასამართლოს განჩინების გარეშე დაუშვებელია;

დ. ამოუცნობი გვამის დამარხვა ან კრემაცია პროკურორის ნებართვით ან სასამართლოს განჩინებით დაუშვებელია;

58. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მიზანია:

ა. მომხდარი ფაქტის შემოწმება;

ბ. ქმედების/ვითარების აღდგენის შესაძლებლობა;

გ. მიღებული ინფორმაციის და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიის შემოწმება; (მუხლი 129)

დ. ვიზუალური, რეალური წარმოდგენის შექმნა ვერსიის/ვერსიების შემოწმების მიზნით.

59. გამომძიებელმა ამომცნობს ამოსაცნობად წარუდგინა ამოსაცნობი და 2 მსგავსი აღნაგობისა და ჩაცმულობის პირი, რა დროსაც ამომცნობმა ამოცნობაზე უარი განაცხადა. გამომძიებელმა განუმარტა ამომცნობს რომ იგი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა ამ საგამოძიებო მოქმედებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებდა პროკურორის წინაშე. კანონიერია თუ არა გამომძიებელის მოქმედება?

ა. უკანონოა, რადგან გამოძიების დროს ამოსაცნობად წარდგენა ტარდება ამომცნობის თანხმობით; (მუხლი 131, ნაწ. 1)

ბ. უკანონოა, რადგან გამომძიებელს არა აქვს უფლება ამომცნობის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს პროკურორის წინაშე. აღნიშნული მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა;

გ. კანონიერია, რადგან ამომცნობი ვალდებული იყო მიეღო მონაწილეობა;

დ. კანონიერია, რადგან ამომცნობი ამოცნობის ჩატარებამდე დაიკითხა და ვალდებული იყო მიეღო მონაწილეობა ამ საგამოძიებო მოქმედებაში.

60. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. ექსპერტიზა ტარდება სასამართლოს ინიციატივით და შესაბამისი განჩინებით;

ბ. ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით;(მუხლი 144, ნაწ. 2)

გ. სასამართლო თავმჯდომარის დავალებით;

დ. საექსპერტო დაწესებულების ინიციატივით.

61. რომელ ორგანოს შეუძლია შეცვალოს ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისთვის მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით და ამასთანავე მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან (გარდა ქონების ჩამორთმევისა)?

ა. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს; (მუხლი 285, ნაწ. 3)

ბ. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს;

გ. სასამართლოს და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს;

დ. სასამართლოს;

62. დაასრულეთ მსჯელობა:

ძებნილი ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალურისამგზავრო დოკუმენტის მოქმედება შეჩერდება:

ა. წინასასამართლო სხდომამდე;

ბ. განაჩენის აღსრულებისთანავე;

გ. განაჩენის აღსრულებამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე; (მუხლი 165, ნაწ. 1)

დ. სასამართლო არსებითი განხილვის დასრულებისთანავე.

63. დაასრულეთ მსჯელობა:

სასამართლოში მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას მას სასამართლო აკისრებს ჯარიმას, რაც პროცესის მონაწილეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებებისაგან. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა:

ა. 500 ლარი;

ბ. 2000 ლარი

გ. 100 ლარი; (მუხლი 240, ნაწ. 1)

დ. 5000 ლარი.

64. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. პირს უფლება აქვს, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება; (მუხი 92, ნაწ. 1)

ბ. პირს უფლება აქვს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

გ. პირს უფლება აქვს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

დ. არც ერთი არ არის სწორი.

65. სასამართლოში საქმის განხილვისას პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა, რომლის მოსმენის შემდგომ სასამართლომ (მოსამართლემ) შეკითხვით მიმართა დაცვის მხარეს ხომ არ სურდა პოზიციის გამოსახატავად მოსაფიქრებელი ვადის განსაზღვრა. კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. კანონიერია, რადგან საქმის განხილვისას დაყენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით პოზიციის გამოსახატავად სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას; (მუხლი 93, ნაწ. 7)

ბ. კანონიერი, რადგან საქმის განხილვისას დაყენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით პოზიციის გამოსახატავად სასამართლო მხარეს განუსაზღვრავს 2 დღიან ვადას;

გ. უკანონოა, რადგან მხარის მიერ აღძრულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით პოზიციის გამოსახატავად მოსაფიქრებელი ვადის უფლებას კანონო არ ითვალისწინებს;

დ. უკანონოა, რადგან საქმის განხილვისას დაყენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით პოზიციის გამოსახატავად რაიმე ვადის განსაზღვრა იწვევს პროცესოს გაჭიანურებას;

66. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის სწორი?

კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებებია:

ა. დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა;

ბ. ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება;

გ. შინაარსობლივი მონაცემების მოპოვება;

დ. დანაშაულებრივი ჯგუფის განეიტრალება, მასთან კონსპირაციული თანამშრომლობის საშუალებით. (მუხლი 136)

67. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებაა:

ა. კომპიუტერულ სისტემაში სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვა;

ბ. ტექნიკური საშაულებით განხორციელებული კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა, კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია; კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით განხორციელებული გზავნილის კონტროლი, დაყადაღება და ამოღება; კორესპონდენციის ცენზურა;

გ. კონსპირაციული ორგანიზაციის შექმნა — საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ორგანიზაციის შექმნა დანაშაულებრივ დაჯგუფებაში შესაღწევად და ინფორმაციის მისაღებად;

დ. კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებიდან სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვა; (მუხლი 136, ნაწ. 1)

68. პოლიტიკური პარტია "ქართველები და დემოკრატია" — ის მიმართ დაწყებული გამოძიებისას გამომძიებელმა გამოძიების ადგილის მიხედვით მიმართა სასამართლოს შუამდომლობით შინაარსობლივ მონაცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კონკრეტულ კომუნიკაციებთან. კანონიერია თუ არა საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის მოქმედება?

ა. არ არის კანონიერი, შინაარსობლივ მონაცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შუამდგომლობით გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს პროკურორს. (მუხლი 138, ნაწ. 1)

ბ. არ არის კანონიერი, რადგან საგამოძიებო სამსახურის მიერ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე შუამდგომლობის დაყენება დაუშვებელია პოლიტიკური პარტიებისა და მასმედიის მიმართ;

გ. კანონიერია, რადგან საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელს უფლება აქვს დანაშაულებრივი ქმედების გამოსავლენად ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება პოლიტიკური პარტიებისა და მასმედიის მიმართ;

დ. კანონიერია, რადგან საპროცესო კანონმდებლობა კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებულ-შინაარსობლივი მონაცემების მოპოვებას ითვალისწინებს.

69. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

შინაარსობლივ მონაცემთა მიმდინარე შეგროვებისა და ჩაწერის ვადა არ უნდა აღემატებოდეს :

ა. სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მოპოვებისათვის დადგენილ 10 დღიან ვადას;

ბ. 20 დღემდე ვადით;

გ. სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მოპოვებისათვის აუცილებელ ვადას; (მუხლი 138, ნაწ. 2)

დ. 40 დღემდე ვადით.

70. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაცია არის:

ა. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მომსახურების მიმწოდებელი ინახავს კომპიუტერული მონაცემების ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელიც დაკავშირებულია მისი მომსახურების მომხმარებელთან, განსხვავდება ინტერნეტტრაფიკისა და შინაარსობლივი მონაცემებისაგან; (მუხლი 136, ნან.3)

ბ. კომპიუტერული მონაცემების ან ნებისმიერი სხვა ფორმით შენახული ინფორმაცია;

გ. ნებისმიერი ინფორმაცია;

დ. კომპიუტერულ სისტემებში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია;

71. **კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული** საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად:

ა. უნდა არსებობდეს გონივრული ეჭვი და გადაუდებელი აუცილებლობა;

ბ. უნდა არსებობდეს გადაუდებელი აუცილებლობა;

გ. უნდა არსებობდეს გონივრული ეჭვი;

დ. უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი; (იხ. 136, 137, 138 მუხლები, ნან. 1)

72. სხვა საპროცესო მოქმედებებია:

ა. ბრალდებულისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერება;

ბ. ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება;

გ. ექსპერტიზა, ნიმუშის აღება, მიყვანა, ყადაღა; ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება, ბრალდებულისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების შეჩერება; (თავი 17)

დ. დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვა და ნიმუშის აღება.

73. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ განჩინება მოსამართლის მიერ გამოიტანილ იქნება:

ა. ბრალდებულის მიერ ზიანის ანაზღაურებამდე;

ბ. საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის;

გ. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;

დ. სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე. (მუხლი 161, ნან. 1)

74. კ. ახალაძის მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამრთლებელი განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა მისი გაუქმების მიზნით, იმ მოტივით რომ საქმეზე იყო საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა კ. ახალაძის ბრალეულობაში. საკასაციო სასამართლომ განიხილა პროკურორის საჩივარი და უარი

უთხრა მის დაკმაყოფილებაზე, რისთვისაც გამოიტანა შესაბამისი განჩინება. სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. არ მოიქცა სწორად, რადგან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს განაჩენით, ხოლო განჩინება კი განაჩენის და განკარგულების გარდა ნებისმიერ საკითხზე. (მუხლი 307)

ბ. დიახ სწორად მოიქცა რადგან საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება;

გ. დიახ სწორად მოიქცა რადგან საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება ან დადგენილება;

დ. არ მოიქცა სწორად რადგან საკასაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა "გონივრულ ეჭვს მიღმა" სტანდარტით, დაეკმაყოფილებინა პროკურორის საჩივარი და გამოეტანა განჩინება საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების შესახებ.

75. ქ. თელავის სასამართლომ ბრალდებულ ი. ბოხაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე იხელმძღვანელა „დასაბუთებული ვარაუდით" - ინფორმაციის ერთობლიობით, რომელიც ბრალდების მხარის მიერ იყო წარდგენილი და რომელიც სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს რათა დაესკვნა ბუაძეს მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა და ბრალდებული დააპატიმრა 2 თვით. სწორად იხელმძღვანელა თუ არა მოსამართლემ?

ა. სწორად იხელმძღვანელა, რადგან ი. ბოხაშვილის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ დასკვნა საკმარისია მისი დაპატიმრებისათვის;

ბ. სწორად იხელმძღვანელა, რადგან „დასაბუთებული ვარაუდი" არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებათა სტანდარტი; (მუხლი 3, ნაწ. 11)

გ. არასწორად იხელმძღვანელა, რადგან „დასაბუთებული ვარაუდი" არის სისიებო მოქმედების ჩატარებისათვის განსაზღვრული მტკიცებულებათა სტანდარტი;

დ. არასწორად იხელმძღვანელა, რადგან „დასაბუთებული ვარაუდი" არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული პირის მიმართ ბრალდების წაყენების სტანდარტი.

76. ამ მსჯელობებიდან რომელია სწორი:

ა. სისხლის სამართლის პროცესის დროს იძულების გამოყენება დაუშვებელია.

ბ. სისხლის სამართლის პროცესის დროს იძულება დაშვებულია თუ ამით დგინდება, რომ პირის კანონიერ ინტერესს ნაკლები საფრთხე ადგება საჯარო ინტერესთან შედარებით.

გ. სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში იძულება შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.(მუხლი 4, ნაწ. 3)

დ. არც ერთ არ არის სწორი.

77. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

ბ. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ უტყუარ და კანონიერ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

გ. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას. (მუხი 13, ნაწ. 2)

დ. არც ერთ არ არის სწორი.

78. დაასრულეთ ეს მსჯელობა

არავინ არ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს:

ა. საკუთარი თავისა და ახლობლის წინააღმდეგ.

ბ. საკუთარი თავის, ახლობლის ან სხვა პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება ამ კოდექსით.

გ. საკუთარი თავის ან სხვა პირთა წინააღნდეგ, რომელთა წრეც განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. (მუხლი 15)

დ. საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების წინააღმდეგ.

79. სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორმა იხელმძრვანელა დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარე და ზარალებულთან დამნაშავის შერიგების გამო გამოიყენა კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლება დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა პროკურორი?

ა. არა, რადგან უნდა ეხელმძღვანელა საჯარო ინტერესით. (მუხლი 16)

ბ. დიახ, რადგან იგი სახელმწიფო ბრალმდებელია.

გ. დიახ, რადგან სახელმწიფოს ინტერესია გამოავლინოს დამნაშავე და აღკვეთოს დანაშაული, რისთვისაც საჭიროა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება.

დ. არა, რადგან უნდა ეხელმძღვანელა ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებების პრინციპებით.

80. გამომძიებელმა დ. კეჟერაშვილმა შეადგინა მ. ვეკუას მიმართ ბრალდება ყაჩაღობისათვის. დაადასტურა ხელმოწერით და გამოცხადდა დაკავებულ მ. ვეკუასთან ბრალდების ნაყენების მიზნით. მ. ვეკუამ უარი განაცხადა ბრალდების აღიარებაზე და მის გაცნობაზეც, იმ მოტივით რომ ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. სწორად მოიქცა თუ არა გამომძიებელი დ. კეჟერაშვილი?

ა. დიახ, რადგან პირის ბრალდება მისი უფლებამოსილებაა.

ბ. დიახ, რადგან პირის ბრალდება, როგორც პროკურორის ასევე გამომძიებელის უფლებამოსილებაც არის.

გ. არა, რადგან პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. (მუხლი 17, ნაწ.2)

დ. არა, რადგან გამომძიებელის მიერ შედგენილი ბრალდება გაცნობის მიზნით პროკურორს უნდა წარედგინა მ. ვეკუასათავის.

81. აბაშიძემ მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის მიზნით, რომლის მოტივაცია იყო ახლად გამოვლენილი გარემოება საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატას. კანონშესაბამისია თუ არა აბაშიძის მოქმედება?

ა. არა. რადგან უნდა მიემართა პროკურატურისათვის, რომლის დასკვნის შემდგომ გადაწყდებოდა იყო თუ არა საკასაციო პალატის მიერ საჩივრის განხილვის საფუძველი;

ბ. არა, რადგან უნდა მიემართა სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატისათვის, რომელიც კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივარს; (მუხლი 20, ნაწ.6)

გ. დიახ, რადგან უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივარს;

დ. დიახ, რადგან უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განიხილავს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ საჩივრებს.

82. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევებში დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად;

ბ. მოსამართლე უფლებამოსილია დასვას დამაზუსთებელი კითხვა, მას შემდგეგ რაც მხარეები დაასრულებენ კითხვებს;

გ. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევებში დასვას დამაზუსტებელი კითხვა;

დ. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევებში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად. (მუხლი 25, ნაწ. 2)

83. დაასრულეთ მსჯელობა:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემადგენლობაში არ უნდა იყოს:

ა. რვაზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები — მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, თორმეტზე ნაკლები — განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

ბ. ათზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, თორმეტზე ნაკლები — მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, თოთხმეტზე ნაკლები — განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

გ. ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები — მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები — განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე. (მუხლი 27, ნაწ. 2)

დ. თორმეტ მსაჯულზე ნაკლები ყველა კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

84. გ.კიკნაძემ ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (სსკ-ის 177-ე მუხ. II ნაწ.). გ.კიკნაძის ადვოკატმა ურჩია მას დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რათა შექმნილიყო წინაპირობა პროკურორის მიერ განრიდების გამოსაყენებლად. გ.კიკნაძემ ზიანი სრულად აანაზღაურა და იმედოვნებდა, რომ პროკურორი დაზარალებულთან კონსულტაციის შემდეგ, შეწყვეტდა სისხლისამართლებრივ დევნას, ვინაიდან გ.კიკნაძეს შესრულებული ჰქონდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განრიდების სუბიექტისთვის გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა. პროკურორმა დაწყებული სისხლისამართლებრივი დევნა არ შეწყვიტა და გადაწყვეტილება დაასაბუთა, რომ იხელმძღვანელა საპროცესო კოდექსითა და სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით. დაგეგმილება გამოძიებისა და სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გ.კიკნაძემ გაასაჩივრა ზემდგომ პროკურორთან. რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ზემდგომმა პროკურორმა?

ა. ზემდგომმა პროკურმა საჩივარი უნდა განიხილოს და დაასაბუთოს, თუ რატომ არ გამოიყენა განრიდება.

ბ. ზემდგომი პროკურორი გააუქმებს პროკურორის გადაწყვეტილებას და დაუბრუნებს საქმის მასალებს პროკურორს დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.

გ. ზემდგომი პროკურორი არ განიხილავს საჩივარს, ვინაიდან დადგენილების გასაჩივრება შეუძლია მხოლოდ დაზარალებულს. (მუხლი 106, ნაწ.1)

დ. გადაწყვეტილება დატოვებს ძალაში საჩივარს არ დააკმაყოფილებს.

85. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარდა, რომელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ადგენს განრიდების პირობებსა და წესს:

ა. ასეთი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ არსებობს;

ბ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება "სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების " შესახებ

გ. სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები; (მუხლი 1682, ნაწ. 6)

დ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება " განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ძირითადი პირობების დამტკიცების" შესახებ

86. პროკურორის მიერ პირის ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანიდან პირის მიმართ ბრალი წაყენებული უნდა იქნეს:

ა. დადგენილების გამოტანიდან არაუგვიანეს 8 საათისა;

ბ. დადგენილების გამოტანიდან არაუგვიანეს 12 საათისა;

გ. დადგენილების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა; (მუხლი 169, ნაწ. 2)

დ. დადგენილების გამოტანისთანავე.

87. მოცემული მსჯელობათაგან რომელია არასწორი:

გამოძიების შეწყვეტის საფუძველია:

ა. ვითარების შეცვლა;

ბ. ახალი კანონის მიერ ქმედების დანაშაულებრიობის გაუქმება;

გ. დაზარალებულის უარი სამოქალაქო სარჩელზე; (მუხლი 105, ნაწ. 1)

დ. კანონის, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად ცნობა.

88. საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველია:

ა. მოსამართლის ბრძანება;

ბ. გამომძიებლის დადგენილება ან სასამართლოს განჩინება; (თავი მე-15)

გ. პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული მოსამართლის ბრძანება;

დ. პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული მოსამართლის ბრძანება.

89. გამოძიების სტადიაზე პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა მაგისტრატ მოსამართლეს, რათა დაეკითხა მოწმე თ. ხოფერია, რომელიც 3 წლით სასწავლებლად მიემგზავრებოდა ესპანეთში. მაგისტრატმა მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და სასამართლო უწყებით გამოიძახა დასაკითხი პირი. მიუხედავად შეტყობინებისა დაცვის მხარე არ გამოცხადდა.

ასეთ შემთხვევაში უნდა დაიკითხოს თუ არა მოწმე თ. ხოფერია?

ა. მოწმე არ უნდა დაიკითხოს რადგან კანონის თანახმად დაკითხვა მიმდინარეობს მხარეთა მონაწილეობით და მას უნდა დასწრებოდა ადვოკატი;

ბ. მოწმე არ უნდა დაიკითხოს და დაკითხვა უნდა გადაიდოს გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა;

გ. მოწმე უნდა დაიკითხოს, რადგან მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს დაკითხის წარმოებას; (მუხლი 114, ნაწ. 3)

დ. მოწმე უნდა დაიკითხოს, რადგან მხარის გამოუცხადებლობა არ იყო საპატიო.

90. ბრალდებული შეიძლება სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსდეს არა უმეტეს 20 დღის ვადით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ექიმთა დასკვნის საფუძველზე სამედიცინო დაწესებულებაში პირის ყოფნის ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 10 დღის ვადით, რისთვისაც აუცილებელია:

ა. პროკურორის დადგენილება;

ბ. სასამართლოს განჩინება (დადგენილება) ან მოსამართლის ბრძანება;

გ. სასამართლოს განჩინება; (მუხლი 181, ნაწ. 2)

დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

91. ბრალდებულისათვის (მსჯავრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქის პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების საფუძველია:

ა. გონივრული ეჭვი, რომ პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გამოყენებით იგი შეძლებს საქართველოს დატოვებას;

ბ. ეჭვი, რომ პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გამოყენებით იგი შეძლებს საქართველოს დატოვებას;

გ. დასაბუთებული ვარაუდი, რომ პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გამოყენებით იგი შეძლებს საქართველოდან გასვლას ან საზღვარგარეთ გადაადგილებას; (მუხლი 163)

დ. დასაბუთებული ვარაუდი, რომ პასპორტის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გამოყენებით იგი შეძლებს საქართველოდან გასვლას.

92. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ეჭვმიტანილად;

ბ. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება განსასჯელადად;

გ. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად; (მუხლი 170, ნაწ. 2)

დ. არც ერთი მსჯელობა არ არის სწორი.

93. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი ? გირაო არის:

ა. ფულადი თანხა;

ბ. ფულადი თანხა ან უძრავი ქონება; (მუხლი 200, ნაწ. 1)

გ. უძრავი ქონება;

დ. ბრალდებულის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება.

94. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანია რომ:

ა. ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას და არ გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია;

ბ. ბრალდებულმა არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული;

გ. ბრალდებული არ მიმალოს, გამოცხადდეს სასამართლოში და არ გააანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია;

დ. ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილი იქნეს განაჩენის აღსრულება. (მუხლი 198, ნაწ. 1)

95. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია:

ა. დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის მიიმალება, არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციას ანჩაიდენს ახალ დანაშაულს; (მუხლი 198, ნაწ. 2)

ბ. ის რომ არ მიიმალება, არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციას;

გ. ის, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა,

დ. რომ უზრუნველყოფილი იქნეს განაჩენის აღსრულება;

96. ამ მსჯელობათაგან რომელია არ არის სწორი?

პირს უფლება აქვს უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე:

ა. თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული

ბ. თუ ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს

გ. თუ ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ

დ. ოჯახური პირობების გამო. (მუხლი 31)

97. ამ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენებისას სასამართლო ითვალისწინებს:

ა. ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრის მდგომარეობას;

ბ. ბრალდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულს და სხვა გარემოებებს; (მუხლი 198, ნაწ. 5)

გ. ბრალდებულის მიერ მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას;

დ. ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხა გარემოებებს.

99. დაასრულეთ მსჯელობა:

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვისას:

ა. უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას; (მუხლი 6, ნაწ. 3)

ბ. უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ადექვატურ ფორმას;

გ. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვისას არ ხდება რაიმე უპირატესობით ხელმძღვანელობა;

დ. უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ისეთ ფორმას რომელიც გამომდინარეობს უფლებაშეზღუდულის კანონიერი ინტერესებიდან.

100. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად:

ა. საპროცესო მოქმედების ჩამტარებელმა არ უნდა გაამჟღავნის ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია გარდა იმ შემთხვევისა თუ მისი გამჟღავნება გამოწვეულია გადაუდებელი აუცილებლობით;

ბ. საპროცესო მოქმედების ჩამტარებელმა არ უნდა გაამჟღავნის ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია: (მუხლი 7, ნაწ. 2)

გ. საპროცესო მოქმედების ჩამტარებელს უფლება აქვს გაამჟღავნოს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია თუ აღნიშნულის აუცილებლობა გამოწვეულია საჯარო ინტერესით;

დ. საპროცესო მოქმედების ჩამტარებელმა არ უნდა გაამჟღავნის ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საამისო პოლიტიკური ნება.

101. პროკურორმა პირის მიმართ ბრალდების წაყენებისას იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული "ალბათობის მაღალი ხარისხით" (სტანდარტი). სწორად მოიქცა თუ არა პროკურორი?

ა. სწორად მოიქცა, რადგან პირს ბრალი წაეყენება თუ არსებობს ალბათობის მაღალი ხარისხი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული;

ბ. სწორად მოიქცა, რადგან პირს ბრალი წაეყენება თუ არსებობს შესაბამისი საფუძველი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული;

გ. სწორად მოიქცა, რადგან პირს ბრალი წაეყენება თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული; (მუხლი 169, ნაწ. 1)

დ. სწორად მოიქცა, რადგან პირს ბრალი წაეყენება თუ არსებობს გინერული ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული;

102. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. ამოუცნობი გვამის დაქტილოსკოპირება არ შეიძლება ;

ბ. ამოუცნობი გვამის დაქტილოსკოპირება და საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშის აღება სავალდებულოა; (მუხლი 128, ნაწ. 2)

გ. ამოუცნობი გვამის დაქტილოსკოპირებისა და საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშის აღების საკითხს საპროცესო კანონმდებლობა არ არეგულირებს;

დ. ამოუცნობი გვამის საექსპერტო კვლევისათვის ნიმუშის აღება დაუშვებელია;

103. საქალაქო სასამართლომ პირის მიმართ შეწყვიტა სისხლის სამართლებრივი დევნა, რაც გაასაჩივრა პროკურორმა ზემდგომ სასამართლოში. ზემდგომმა მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჩივარი და გააუქმა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ განჩინება, რის თანახმადაც პროკურორმა განაახლა სისხლისსამართლებრივი დევნა. კანონიერია თუ არა პროკურორის მოქმედება?

ა. კანონიერია, რადგან პროკურორი უფლებამოსილია განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ბ. კანონიერია, რადგან თუ არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განახლდეს; (მუხლი 108, ნაწ. 1)

გ. უკანონოა, რადგან პროკურორს უნდა ჰქონოდა ზემდგომი პროკურორის თანხმობა;

დ. უკანონოა, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განაახლოს გამომძიებელმა პროკურორის თანხმობით.

104. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ:

ა. პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა;

ბ. პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით;

გ. ბრალდებული გარდაიცვალა;

დ. მოწმე გარდაიცვალა. (მუხლი 105, ნაწ. 2)

105. სასამართლოში გამოძახებული მოწმის დაკითხვის დაწყებამდე მოსამართლემ გაარკვია მოწმის ვინაობა, რის შემდეგაც დაუსვა მას შეკითხვა ნასამართლობის შესახებ. კანონშესაბამისია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. კანონშესაბამისია, რადგან მოწმედ გამოძახებული პირის დაკითხვამდე სასამართლო არკვევს მის ვინაობას და ნასამართლობასაც;

ბ. კანონშესაბამისია, რადგან მოსამართლეს აქვს უფლება შეისწავლოს პიროვნება;

გ. უკანონოა, რადგან არ შექმნილა საფუძველი მოწმის სანდოობის დადგენის შემოწმებისა; (მუხლი 115, ნაწ. 4)

დ. უკანონოა, რადგან ამ შეკითხვის დასმის უფლება არ გააჩნია მოსამართლეს შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე.

106. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით გამოძახებული იქნა 17 წლის ე. ამაშუკელი რომლის დაკითხვას ესწრებოდა ფსიქოლოგი და მისგანვე ჰქონდა მიღებული სასამართლოს თანხმობა დაკითხვისა. მოსამართლემ დართო ნება მხარეებს დაეკითხათ ე. ამაშუკელი ფსიქოლოგის დასწრებით. კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. უკანონოა, რადგან 14 წლამდე პირის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და დასწრებით.

ბ. კანონიერია, რადგან არსებობდა ფსიქოლოგის წერილობითი თანხმობა 12 წლის მოწმის დაკითხვის თაობაზე;

გ. უკანონოა, რადგან 14 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა უნდა აწარმოოს თავად მოსამართლემ;

დ. კანონიერია, რადგან არასრულწლოვანის დაკითხვას ესწრება ფსიქოლოგი; (მუხლი 116, ნაწ. 1)

107. გამოძიების სტადიაზე პროკურორმა ი. გილიგაშვილმა იშუამდგომლა მოწმის ა. ცაცუას დაკითხვა მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით მაგისტრი მოსამართლის წინაშე, იმ მოტივით რომ არსებობს ამ მოწმის სიცოცხლის მოსპობის საფრთხე. კანონშესაბამისია თუ არა პროკურორის შუამდგომლობა?

ა. კანონშესაბამისია, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით მოწმის დაკითხვა შეიძლება, თუ არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის რეალური გაუარესების საფრთხე; (მუხლი 114, ნაწ.1, ქვ.პ. ა)

ბ. კანონშესაბამისია, რადგან სასამართლო არსებითი განხილვისას მხარეებს აქვთ უფლება მოწმის თანხმობით მოითხოვონ მისი როგორც გამოკითხვის ოქმის ასევე წინასასამრთლო ჩვენების გამოქვეყნება;

გ. არ არის კანონშესაბამისი, რადგან საქმის არსებითი განხილვისას მხარეებს აღარ გააჩნიათ უფლება დააყენონ შუამდგომლობები მოწმეთა ჩვენებების გამოქვეყნების შესახებ;

დ. არ არის კანონშესაბამისი, რადგან ასეთ პროცედურას სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს.

108. გამომძიებელმა საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის დაწყების წინ მფლობელს არ წარუდგინა სასამართლოს განჩინება ჩხრეკის წარმოების შესახებ. მიუხედავად ამისა მფლობელმა დართო ნება გამომძიებელს ჩაეტარებინა ჩხრეკა და შედეგად ამოეღო დოკუმენტი. გამომძიებელმა ჩაატარა ეს საგამოძიებო მოქმედება. კანონიერია თუ არა გამომძიებელის მოქმედება?

ა. კანონიერია, რადგან გამომძიებელს ჰქონდა დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკის ჩატარების შესახებ;

ბ. კანონიერია, რადგან თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად; (მუხლი 112, ნაწ. 1)

გ. უკანონოა, რადგან გამომძიებელს უნდა წარედგინა სასამართლოს განჩინება;

დ. უკანონოა, რადგან გამომძიებელს უნდა წარედგინა სასამართლოს განჩინება ჩხრეკის ჩატარების შესახებ, მიუხედავად იმისა იყო თუ არა მფლობელის თანხმობა;

109. ქვემოთ მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შესახებ მასალების განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება:

ა. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ; (მუხლი 112, ნაწ. 6)

ბ. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობის შესახებ;

გ. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ მიჩნევისა და მისი ოქმის საქმიდან ამოღების შესახებ;

დ. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ნაწილობრივ უკანონოდ ცნობის შესახებ.

110. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაკითხულ იქნეს პირი, თუ:

ა. იგი არ ცხადდება გამომძიებელთან ჩვენების მიცემისათვის; (მუხლი 114, ნაწ. 1)

ბ. იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას;

გ. გონივრული ძალისხმევის მიუხედავად, საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროებიდან მოპოვება შეუძლებელია;

დ. ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

111. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელი არ არის სწორი?

სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ:

ა. პირს არ მიუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა;

ბ. პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, რაც დადასტურებულია სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით;

გ. ბრალდებული გარდაიცვალა;

დ. დაზარალებულმა უარი თქვა ბრალდებაზე. (მუხლი 105, ნაწ. 2)

112. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი?

ა. გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდე-

ქსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა; (მუხლი 103)

ბ. გამოძიების მიმდინარეობას ვადა არ გააჩნია;

გ. გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში იმ გარემოებამდე, როდესაც დადგინდება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი ან/და დასაკავებელი პირი;

დ. გამოძიების მიმდინარეობის ვადაა 12 თვე.

113. საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების მიზანია:

ა. მომხდარი ფაქტის შემოწმება;

ბ. ვითარების აღდგენის შესაძლებლობა;

გ. მიღებული ინფორმაციის და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიის შემოწმება; (მუხლი 129)

დ. რეალური წარმოდგენის შექმნა ვერსიის/ვერსიების შემოწმების მიზნით.

114. გამომძიებელმა ამომცნობს ამოსაცნობად წარუდგინა ამოსაცნობი და 2 მსგავსი აღნაგობისა და ჩაცმულობის პირი, რა დროსაც ამომცნობმა ამოცნობაზე უარი განაცხადა. გამომძიებელმა განუმარტა ამომცნობს რომ იგი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა ამ საგამოძიებო მოქმედებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მის პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებდა პროკურორის წინაშე. კანონიერია თუ არა გამომძიებელის მოქმედება?

ა. უკანონოა, რადგან გამოძიების დროს ამოსაცნობად წარდგენა ტარდება ამომცნობის თანხმობით; (მუხლი 131, ნაწ. 1)

ბ. უკანონოა, რადგან გამომძიებელს არა აქვს უფლება ამომცნობის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს პროკურორის წინაშე. აღნიშნული მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა;

გ. კანონიერია, რადგან ამომცნობი ვალდებული იყო მიეღო მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგებოდა მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი;

დ. კანონიერია, რადგან ამომცნობი ამოცნობის ჩატარებამდე დაიკითხა და ვალდებული იყო მიეღო მონაწილეობა ამ საგამოძიებო მოქმედებაში.

115. ქვემოთ მოყვანილ მსჯელობათაგან რომელია სწორი ?

ა. ექსპერტიზა ტარდება სასამართლოს ინიციატივით ;

ბ. ექსპერტიზა ტარდება სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით ;

გ. ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით ; (მუხლი 144, ნაწ. 2)

დ. საექსპერტო დაწესებულების მოთხოვნით.

116. დაასრულეთ მსჯელობა:

სასამართლოში პროცესის მონაწილის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას მას სასამართლო აკისრებს ჯარიმას, რაც პროცესის მონაწილეს

არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებებისაგან. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა:

ა. 200 ლარი;

ბ. 100 ლარი (მუხლი 240, ნაწ. 1)

გ. 1500 ლარი;

დ. 2000 ლარი.

117. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ეცნობება:

ა. ბრალდებულს;

ბ. ბრალდებულს და მის ადვოკატს;

გ. დაზარალებულს და სამოქალაქო მოსარჩელეს;

დ. ბრალდებულს, მის ადვოკატს და დაზარალებულს. (მუხლი 106, ნაწ.2)

118. სისხლისამართლებრივ დევნას იწყებს და ახორციელებს:

ა) პროკურატურა და სასამართლო;

ბ) პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი;

გ) სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ორგანოები;

დ) მხოლოდ პროკურორი; (მუხლი 166)

119. სისხლისამართლებრივი დევნა იწყება:

ა) პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ); (მუხლი 167, ნაწ 1)

ბ) პირის დაკავებისთანავე;

გ) პირის ბრალდებულად ცნობისთანავე;

დ) აღკვეთის ღონისიების შერჩევისთანავე;

120. სისხლისამართლებრივი დევნის არდაწყებისა ან/და შეჩერების საფუძველია:

ა) უცხოელისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის საკითხის დასმა —საკითხის დასმის დღიდან მის ოფიციალურად გადაწყვეტამდე; (მუხლი 167, ნაწ.2 ქვ.პ. ბ)

ბ) თუ ბრალდებული მძიმე ავადმყოფობით დაავადდა - ამ ფაქტის დადგენიდან ბრალდებულის გამოჯანმრთელებამდე;

გ) თუ არსებობს სასამართლოს ან პროკურორის დადგენილება სისხლისამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ;

დ) თუ ვითარების შეცვლის შედეგად ქმედება აღარ არის საშიში;

121. პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია:

ა) იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა; (მუხლი 169, ნაწ. 1)

ბ) ეჭვი, რომ ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული;

გ) საკმაო მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ალბათობის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა;

დ) საკმაო მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ვარაუდის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა;

122. ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი:

ა) ვალდებულია გამოიტანოს დადგენილება ბრალდების შესახებ;

ბ) ვალდებულია გამოიტანოს დადგენილება ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ;

გ) უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს პირის ბრალდების შესხებ;

დ) უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ; (მუხლი 169, ნაწ. 2)

123. ბრალდების შესახებ დადგენილება უნდა შეიცავდეს გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებებს, რომლებიც:

ა) ალბათობის მაღალი ხარისხით დამაკმაყოფილებელია მოსამართლისათვის, რათა ვარაუდის მაღალი ხარისხით იქნეს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი;

ბ) საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა; (მუხლი 169, ნაწ. 3, ქვ.პ. გ)

გ) გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობაა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში;

დ) საპროცესო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.

124. ბრალდებულმა გეგიძემ ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში საჩივრით მიმართა რაიონულ სასამართლოს სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურების თაობაზე და მოითხოვა მისი მონაწილეობით, ზეპირი მოსმენით საჩივრის განხილვა. სასამართლომ საჩივარი განიხილა შესვლიდან მე-3 დღეს ზეპირი მოსმენის გარეშე და საჩივრის მოთხოვნა —ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ, რომელიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს, მას შემდეგ რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი - არ დააკმაყოფილა.

აქვს თუ არა გეგიძეს და სად სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება?

ა) დიახ, ბრალდებულ გეგიძეს უფლება აქვს სასამართლოს უარი საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე გასაჩივროს ერთჯერადად სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში მისი გამოტანიდან 48 საათის ვადაში. (მუხლი 207, ნაწ. 1)

ბ) არა, სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დ) დიახ, ბრალდებულ გეგიძეს უფლება აქვს რაიონული სასამართლოს უარი საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლოში;

დ) არა, ვინაიდან ბრალდებულ გეგიძეს საჩივარი სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურების თაობაზე - უნდა შეეტანა ზემდგომ პროკურორთან;

125. ბრალდებულის უფლება – ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან, კანონით დადგენილ ვადაში, გაასაჩივროს სასამართლოში: სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურება და მოითხოვოს ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა, რომელიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს, მას შემდეგ რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი — ეწინააღმდეგება თუ არა პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას, სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების შესახებ?

ა) არა, ვინაიდან პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ეხება მხოლოდ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებას;

ბ) დიახ, ვინაიდან პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ეხება როგორც სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებას ასევე, მის განხორციელებას.

გ) არა, ვინაიდან ბრალდებულის უფლება –სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურების შემთხვევაში, მოითხოვოს საკუთარ ბრალდებასთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა, რომელიც მოპოვებულ იქნა გამოძიების დროს მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი ბრალდებულის უფლებაა და პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილება ვერ გადაფარავს; (მუხლი 169, ნაწ. 9)

დ) დიახ, ვინაიდან პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებასა და განხორციელებაზე ანიჭებს მას უფლებას გააჭიანუროს სისხლისამართლებრივი დევნის დაწყება.

126. პირი ბრალდებულად ითვლება:

ა) დაკავების მომენტიდან; (მუხლი 170, ნაწ. 2)

ბ) დაპატიმრების მომენტიდან;

გ) თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან;

დ) შეჩერების მომენტიდან;

127. დაკავება არის:

ა) დაპატიმრება,

ბ) შეჩერება;

გ) თავისუფლების შეზღუდვა;

დ) თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა; (მუხლი 170, ნაწ. 1)

128. დაკავების საფუძველია:

ა) დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, ამასთანავე პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს; (მუხლი 171, ნაწ. 1)

ბ) დაზარალებული პირდაპირ მიუთითებს პირზე, როგორც დანაშაულის ჩამდენზე;

გ) თუ არსებობს მონაცემები, რომლებიც საფუძველს იძლევა დანაშაულის ჩადენის ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე, როცა იგი გაქცევას ცდილობდა ან არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან არ არის დადგენილი მისი ვინაობა.

დ) თუ არსებობს ვარაუდი, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა;

129. რა შემთხვევაშია შესაძლებელი პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე:

ა) თუ პირი დამნაშავეა;

ბ) თუ პირი ძებნილია; (მუხლი 171, ნაწ. 2, ქვ.პ. ვ)

გ) თუ პირი ეჭვმიტანილია;

დ) ჩაიდენს ახალ დანაშაულს;

130. დაკავებული პირი ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად:

ა) დაკავების ადგილას მიყვანისთანავე, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, მონმდება ექიმის მიერ; (მუხლი 174, ნაწ. 4)

ბ) დაკავების ადგილას მიყვანისთანავე არ არის სავალდებულო საექიმო შემოწმება;

გ) დაკავების ადგილას მიყვანისთანავე გადის საექიმო შემოწმებას;

დ) დაკავების ადგილას მიყვანისთანავე გადის სამედიცინო შემოწმებას, დაკავებულის ოჯახის წევრის მოთთოვნის საფუძველზე;

131. რა შემთხვევაში ტარდება პირადი ჩხრეკა დაკავებისას?

ა) თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ეჭვისათვის, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან/და აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი მტკიცებულებები;

ბ) თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ეჭვისათვის, რომ დაკავებული აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი მტკიცებულებები;

გ) თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ეჭვისათვის, რომ დაკავებული ცდილობდა გაქცევას;

დ) თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან/და აპირებს თავიდან მოიშოროს, დააზიანოს ან გაანადგუროს მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საგანი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი; (მუხლი 174, ნაწ. 3)

132. ბრალდებულის სტაციონალურ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადა ითვლება თუ არა პატიმრობის ვადაში?

ა) დიახ, გარდა მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ სტაციონალურ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადისა; (მუხლი 181, ნაწ. 5)

ბ) არა, ბრალდებულის სტაციონალურ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადა არ ითვლება პატიმრობის საერთო ვადაში;

გ) დიახ, მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ სტაციონალურ ექსპერტიზაზე ყოფნის ვადის ჩათვლით;

დ) არა, რადგან ბრალდებული სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისასთვის თავსდება არა უმეტეს 20 დღისა.

133. რა შემთხვევაშია მოსამართლე უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით დახუროს სასამართლო სხდომა სრულად ან ნაწილობრივ?

ა) ნესრიგის დაცვის მიზნით; (მუხლი 182, ნაწ. 4)

ბ) საომარი მდგომარეობის დროს;

გ) საგანგებო მდგომარეობის დროს;

დ) საქმის გონივრულ ვადაში განხილვის მიზნით;

134. სასამართლოში საქმის განხილვისას ნაფიცი მსაჯულის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო, დაცვის მხარემ მოითხოვა საქმის განხილვის გადადება. სასამართლოს განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და მოსამართლემ საქმის განხილვის გადადების პერიოდში განიხილა სხვა სისხლის სამართლის საქმე.

დაარღვია თუ არა სასამართლომ საპროცესო კანონმდებლობა?

ა) არა, სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს სხვა სისხლის სამართლის საქმე (შუამდგომლობა, საჩივარი); (მუხლი 185, ნაწ. 2)

ბ) დიახ, სასამართლო განხილვის უწყვეტობა არ უშვებს საქმის გადადების პერიოდში სხვა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის შესაძლებლობას;

გ) არა, სასამართლო განხილვის უწყვეტობა საქმის გადადების პერიოდში უშვებს მხოლოდ საჩივრების განხილვის შესაძლებლობას;

დ) დიახ, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს სასამართლო განხილვის უწყვეტობას;

135. ბრალდებულის დაუსწრებლად სასამართლოში საქმის განხილვა:

ა) დაუშვებელია;

ბ) დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი ბრალდებულის მიმართ;

გ) დაუშვებელია, რადგან უგულვებელყოფილია დაცვის უფლება;

დ) დასაშვებია; (მუხლი 189, ნაწ.1)

136. პროკურორის შუამდგომლობა დაკავებული ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განიხილება ბრალდებულის პირველი წარდგენისას სასამართლოში:

ა) მოსამართლის მიერ;

ბ) ნაფიც მსაჯულების მიერ;

გ) სასამართლოს თავმჯდომარის მიერ;

დ) მაგისტრატი მოსამართლის მიერ; (მუხლი 197, ნაწ. 1, ქვ.პ. ვ)

137. მაგისტრატი მოსამართლე ბრალდებულის პირველი წარდგენისას სასამართლოში არკვევს:

ა) საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას (მუხლი 197, ნაწ. 1, ქვ.პ. ე)

ბ) ბრალდებულის სასამართლოში შემდგომი გამოცხადების შესაძლებლობას;

გ) დაკავებული ბრალდებულის შერაცხადობის საკითხს;

დ) ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ რა მოცულობით.

138. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნის მისაღწევად ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) მხოლოდ საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ღონისძიებები;

ბ) ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნის მისაღწევად; (მუხლი 199, ნაწ. 2)

გ) მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

დ) აღკვეთის ღონისძიების მიზნის მისაღწევად სხვა დამატებითი ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია;

139. ბრალდებულ ბირკაძის მიმართ სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა გირაო. გირაოს თანხად სასამართლომ განისაზღვრა 30 000 ლარი. ბრალდებული ბირკაძე კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს და გირაოს შეფარდებიდან ერთი თვის თავზე პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით გირაოს თანხის შემცირების შესახებ. სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობა მისი წარმოდგენიდან 24 საათში განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და გირაოს თანხა - 30 000 ლარი გაანახევრა. სწორია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

ა) არა, საპროცესო კოდექსით აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შემთხვევაში სასამართლოს მიერ განსაზღვრული გირაოს თანხის შემცირება გათვალისწინებული არ არის;

ბ) დიახ, საპროცესო კოდექსის მიხედვით თუ ბრალდებული კეთილსინდისიერად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს პროკურორის შუამდგომლობით გირაოს თანხის შემცირება სასამართლოს შეუძლია; (მუხლი 200, ნაწ. 11)

გ) დიახ, თუ ბრალდებული კეთილსინდისიერად ასრულებს ნაკისრ ვალდე-

ბულებებს მისი შუამდგომლობით გირაოს თანხის დაბრუნება სასამართლოს შეუძლია;

დ) არა, აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შემთხვევაში სასამართლოს მიერ განსაზღვრული გირაოს თანხის შემცირების მოთხოვნის უფლებით მხოლოდ ბრალდებული სარგებლობს;

140. აღკვეთის ღონისძიების სახეებია:

ა) ელექტრონული მონიტორინგი;

ბ) გარკვეული საქმიანობისა თუ პროფესიის განხორციელების აკრძალვა;

გ) სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა;

დ) ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ; (მუხლი 199, ნაწ. 1)

141. სასამართლოს მიერ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად აღკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად სხვა ღონისძიების გამოყენება:

ა) სავალდებულოა;

ბ) არ არის სავალდებულო; (მუხლი 199, ნაწ. 2)

გ) პროკურორის შუამდგომლობითაა განპირობებული;

დ) ბრალდებულის მოთხოვნითაა განპირობებული;

142. გირაოს თანხის მინიმალური ოდენობა არ შეიძლება იყოს:

ა) 2 000 ლარზე ნაკლები;

ბ) მინიმალური ოდენობა საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის;

გ) 1 000 ლარზე ნაკლები; (მუხლი 200, ნაწ.2)

დ) გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით;

143. ბრალდებულ თ.ჭელიძის სახელით გირაოს სახით ფულადი თანხის შემტანმა ე.ენდელაძემ, სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს წერილობით მიმართა სასამართლოს, რომ იგი ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულ თ.ჭელიძის სათანადო ქცევას და დროულად გამოცხადებას. რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

ა) სასამართლომ გირაოს შემტან ე.ენდელაძეს ერთი თვის ვადაში სრულად უნდა დაუბრუნოს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა, ხოლო ბრალდებულ თ.ჭელიძეს აღკვეთის ღონისძიება შეიძლება გაუმკაცროს; (მუხლი 200, ნაწ.9)

ბ) სასამართლომ გირაოს შემტან ე.ენდელაძეს ერთი თვის ვადაში სრულად უნდა დაუბრუნოს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა და ბრალდებულ თ.ჭელიძეს აღკვეთის ღონისძიება უნდა გაუმკაცროს;

გ) სასამართლომ გირაოს შემტან ე.ენდელაძეს ერთი თვის ვადაში სრუ-

ლად უნდა დაუბრუნოს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა და ბრალდებულ თ.ჭელიძეს აღკვეთის ღონისძიება არ უნდა გაუმკაცროს;

დ) სასამართლომ გირაოს შემტან ე.ენდელაძეს ერთი თვის ვადაში სრულად უნდა დაუბრუნოს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა და ბრალდებულ თ.ჭელიძეს აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად განუსაზღვროს სხვა ღონისძიება გირაოს გამოყენების მიზნების მისაღწევად;

144. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეებზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს :

ა) თავისუფლების აღკვეთას 2 წელზე მეტი ვადით;

ბ) თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით; (მუხლი 202)

გ) თავისუფლების აღკვეთას;

დ) უვადო თავისუფლების აღკვეთას;

145. პირადი თავდებობისას თავდებთა რაოდენობა:

ა) განისაზღვრება სასამართლოს მიერ; (მუხლი 203, ნაწ. 2)

ბ) განისაზღვრება ორგანოს მიერ, რომელიც აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეს.

გ) გამონაკლის შემთხვევაში თავდები შეიძლება იყოს ერთი განსაკუთრებით სანდო პირი.

დ) თავდები შეიძლება იყოს ორი განსაკუთრებით სანდო პირი.

146. ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადაა:

ა) 12 თვე;

ბ) 60 დღე;

გ) გონივრული ვადა;

დ) 9 თვე. (მუხლი 205, ნაწ. 2)

147. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობობის ვადა აითვლება:

ა) ბრალდებულის დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა პატიმრობის შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე. (მუხლი 205, ნაწ. 2)

ბ) პირის დაკავების მომენტიდან, საქმის განმხილველი სააკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

გ) ბრალდებულის დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა პატიმრობის შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე.

დ) ბრალდებულისათვის პატიმრობის შერჩევის შესახებ სასამართლოს ბრძანების აღსრულების მომენტიდან საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე

148. წინასასამართლო სხდომამდე ბრალდებულის პატიმრობის ვადაა:
ა) 90 დღე;
ბ) 12 თვე;
გ) 60 დღე; (მუხლი 205, ნაწ. 3)
დ) გონივრული დრო;

149. ბრალდებულ ნ.გეგენავას ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესებიდან გამომდინარე დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს წინასასამართლო სხდომის ვადის ერთი თვით გაგრძელების შესახებ. რის თაობაზეც აცნობა ბრალდების მხარეს. რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?
ა) წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან არა უგვიანეს 60 დღისა. ამდენად, სასამართლომ ადვოკატის მოთხოვნა ვადის გაგრძელებაზე არ უნდა დააკმაყოფილოს:
ბ) წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან (თუ ის არ დაუკავებიათ) არა უგვიანეს 60 დღისა. დაცვის მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელება. ამდენად, სასამართლომ ადვოკატის დასაბუთებული მოთხოვნა ვადის გაგრძელებაზე უნდა დააკმაყოფილოს; (მუხლი 208, ნაწ. 3)
გ) წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან არა უგვიანეს 60 დღისა. მაგრამ ბრალდების მხარე უფლებამოსილია ერთჯერადად მოითხოვოს ვადის გაგრძელება. ამდენად, სასამართლომ ადვოკატის მოთხოვნა ვადის გაგრძელებაზე არ უნდა დააკმაყოფილოს:
დ) წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს პირის დაკავებიდან ან ბრალდებულად ცნობიდან არა უგვიანეს 60 დღისა. დავცის მხარეს უფლებამოსილია მოითხოვოს ვადის გაგრძელება, თუ პროკურორი თანახმაა.

150. წინასასამართლო სხდომის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს წარმართავს:
ა) მოსამართლე;
ბ) მაგისტრატი მოსამართლე; (მუხლი 208, ნაწ. 1)
გ) ნაფიცი მსაჯულები;
დ) პროკურორი;

151. აღკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე ამოწმებს:
ა) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალურ (საპროცესო), ისე ფაქტობრივ საფუძვლებს; (მუხლი 206, ნაწ.5)
ბ) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მხოლოდ ფორმალურ (საპროცესო) საფუძვლებს;
გ) პირის ბრალეულობის საკითხს;
დ) პირის ბრალეულობის საკითხს და არკვევს დაცული იყო თუ არა სსს კოდექსით დადგენილი მოთხოვნები მტკიცებულებათა მოპოვებისა და საპროცესო დამაგრების დროს;

152. აღკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის განხილვის შედეგად მოსამართლეს გამოაქვს:

ა) ბრძანება;

ბ) განჩინება; (მუხლი 206, ნაწ.5)

გ) განაჩენი;

დ) დადგენილება;

153. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობას მოსამართლე განიხილავს მისი წარდგენიდან არაუგვიანეს:

ა) დაუყონებლივ;

ბ) 48 საათისა;

გ) 12 საათისა;

დ) 24 საათისა; (მუხლი 206, ნაწ. 3)

154. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში მოსამართლის მიერ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება :

ა) საჩივრის დასაშვებობის საკითხი; (მუხლი 207, ნაწ. 4)

ბ) საჩივრი;

გ) აღკეთის ღონისძიების შესახებ განჩინებაში შერჩეული ღონისძიების მართლზომიერება;

დ) მომჩივნის პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებანი (მასალები);

155. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის თაობაზე გამოაქვს:

ა) ბრძანება;

ბ) განჩინება; (მუხლი 207, ნაწ. 4)

გ) განაჩენი;

დ) დადგენილება;

156. წინასასამართლო სხდომას ატარებს:

ა) მაგისტრატი მოსამართლე;

ბ) ნაფიცი მსაჯულები;

გ) პროკურორი;

დ) მოსამართლე; (მუხლი 219)

157. ბრალდებულ გ.აბაშიძეს მაგისტრატ მოსამართლესთან პირველი წარდგენის შემდეგ პროკურორმა ნ.დიასამიძემ დაუმძიმა ბრალდება და გააცნო ბრალდების შესახებ ახალი დადგენილება. ბრალდებულ გ.აბაშიძეს წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლის მიერ აღარ განემარტა შეცვლილი ბრალდების არსი და ახალი ბრალდებით გათვა¬ლისწი¬ნე¬ბული სასჯელის ზომა. თუმცა, მოსამართლემ განუმარტა საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა. დაირღვა თუ არა ბრალდებულ გ.აბაშიძის უფლება?

ა) დიახ, ვინაიდან საპროცესო კანონმდებლობა წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლეს ავალდებულებს მაგისტრატ მოსამართლესთან პირველი წარდგენის შემდეგ ბრალდების შეცვლისას ბრალდებულს განუმარტოს ბრალდების არსი და ამ ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა; (მუხლი 219, ნაწ. 1)

ბ) დიახ, ვინაიდან საპროცესო მაგისტრატ მოსამართლეს ავალდებულებს წინასასამართლო სხდომაზე წარდგენისას ბრალდების შეცვლის შემთხვევაში ბრალდებულს განუმარტოს ბრალდების არსი და ამ ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა;

გ) არა, ვინაიდან საპროცესო კანონმდებლობა წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლეს არ ავალდებულებს მაგისტრატ მოსამართლესთან პირველი წარდგენის შემდეგ ბრალდების შეცვლისას ბრალდებულს განუმარტოს ბრალდების არსი და ამ ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა;

დ) არა, ვინაიდან საპროცესო კანონმდებლობა მაგისტრატ მოსამართლეს არ ავალდებულებს წინასასამართლო სხდომაზე წარდგენისას ბრალდების შეცვლის შემთხვევაში ბრალდებულს განუმარტოს ბრალდების არსი და ამ ბრალდებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა;

158. ბრალდებულ ე.ავსაჯანიშვილს წაყენებული ჰქონდა ბრალდება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის. წინასასამართლო სხომაზე მოსამართლემ განუმარტა მხარეებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები და უფლებები. ბრალმდებელმა მოითხოვა საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამარღლოზე განხილვა. ბრალდებულმა ე.ავსაჯანიშვილმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარი განაცხადა. სასამართლომ მიუხედავად ბრალდებულ ე.ავსაჯანიშვილის უარისა დანიშნა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღი. დაარღვია თუ არა სასამართლომ ბრალდებულის უფლება?

ა) დიახ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება ბრალდებულის უფლებაა და ბრალდების მხარის თანხმობა მოსამართლეს არ აძლევდა უფლებას დაენიშნა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღი.

ბ)არა, მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღს მხარეთა შეთანხმების გარეშე წყვეტს.

გ) დიახ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს სსკ-ის 109-ე მუხლით (დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი გაზრახი მკვლელობის) დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებს.

დ) არა, თუ მხარეები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარს ერთობლივად არ განაცხადებენ, მოსამართლე ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღს; (მუხლი 219, ნაწ. 3)

159. ვინ წყვეტს არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემის საკითხს:
ა) წინასასამართლო სხდომის მოსამართლე; (მუხლი 219, ნაწ. 4, ქვ.პ. ე)
ბ) მაგისტრატი მოსამართლე;
გ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
დ) ბრალდებულის პირველი წარდგენისას სასამართლო მაგისტრარი მოსამართლის მეშვეობით;

160. წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ არსებითი განხილვისათვის საქმის გადაცემა დასაშვებია თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ:
ა) ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვის მიღმა წარმოადგენს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში;
ბ) ბრალდების მხარის მიერ წარდგენილია, მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა;
გ) ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა; (მუხლი 219, ნაწ. 5)
დ) ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისათვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი;

161. რა შემთხვევაშია შესაძლებელი წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტა?
ა) თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა; (მუხლი 219, ნაწ. 6)
ბ) ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ წარმოადგენს გონივრულ ეჭვის მიღმა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში;
გ) ბრალდების მხარის მიერ წარდგენილია, მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც საქმის გარემოებათა ერთობლიობით არ დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა;
დ) ბრალდების მხარის მიერ არ ყოფილა წარდგენილი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისათვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი;

162. წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინება სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ სად და რა ვადაში საჩივრდება?
ა) განჩინება მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს პალატაში;

ბ) განჩინება მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში; (მუხლი 219, ნაწ. 6)

გ) განჩინება არ საჩივრდება;

დ) წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს უფლება არ აქვს შეწყვიტოს სისხლისამართლებრივი დევნა;

163. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა ხდება:

ა) 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან; (მუხლი 221, ნაწ. 1)

ბ) ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან;

გ) იუსტიციის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სიიდან;

დ) ადგილობრივი თვითმართველობის მიერ დამტკიცებული სიიდან;

164. ნაფიცი მსაჯულობის შესარჩევად ამომრჩეველთა ერთიან სიას შესაბამის სასამართლოს უგზავნის:

ა) 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიან სიას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ყოველწლიურად არა უგვიანეს 1 ივლისისა; (მუხლი 221, ნაწ. 2)

ბ) შესაბამისი საარჩევნო ადმინისტრაცია ყოველწლიურად;

გ) ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაცია ყოველწლიურად არა უგვიანეს 1ივლისისა;

დ) ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაცია;

165. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განრიდების გამოყენება შესაძლებელია:

ა. პროცესის ნებისმიერ სტადიაზე;

ბ. ბრალდებულის პირველი წარდგენისას სასამართლოში;

გ. წინასასამართლო სხდომის გამართვამდე; (მუხლი 1682 ,ნაწ. 4)

დ. სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე.

166. განრიდება არ გამოიყენება იმ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც:

ა. აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს ყადაღა;

ბ. აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა; (მუხლი 1682, ნაწ. 5)

გ. აღკვეთის ღონისძიება არ შეფარდებია;

დ. აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად შეეფარდა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად.

167. განრიდების სუბიექტისთვის განრიდების პირობების შესრულება:

ა. ნებაყოფლობითია; (მუხლი 1682 ,ნაწ. 2)

ბ. სასურველია;

გ. სავალდებულოა;

დ.დაზარალებულის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

168. ნაფიც მსაჯულთა შერჩევისას მსაჯულობის კანდიდატი სარგებლობს თვითაცილების უფლებით?

ა) არა;

ბ) დიახ; (მუხლი 223, ნაწ. 7)

გ) საკითხი საპროცესო კანონმდებლობით გადაწყვეტილი არ არის;

დ) სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში;

169. ნაფიც მსაჯულთა შერჩევისას მსაჯულობის კანდიდატის მიმართ გამოიყენება:

ა) დასაბუთებული აცილება;

ბ) დაუსაბუთებელი აცილება;

გ) დასაბუთებული და დაუსაბუთებელი აცილება; (მუხლი 223)

დ) საკითხი საპროცესო კანონმდებლობით გადაწყვეტილი არ არის;

170. ნაფიც მსაჯულთა შერჩევისას მსაჯულობის კანდიდატის თვითაცილებისა და აცილების შემდეგ მსაჯულობის კანდიდატთა რაოდენობა სიაში თუ 14-ზე ნაკლებია მოსამართლე:

ა) დამატებით მოიწვევს არა უმეტეს 30 კანდიდატს; (მუხლი 223, ნაწ. 9)

ბ) დამატებით მოიწვევს რა უმეტეს 40 კანდიდატს;

გ) თავიდან ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომას;

დ) საქმის არსებით განხილვას ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე;

171. წარდგენილი ბრალდებით უვადო თავისუფლების აღკვეთის გათვალისწინების შემთხვევაში მხარეს:

ა) აქვს 10 დაუსაბუთებელი აცილების უფლება;

ბ) არა აქვს დაუსაბუთებელი აცილების უფლება;

გ) აქვს მხოლოდ დასაბუთებული აცილების უფლება;

დ) აქვს 12 დაუსაბუთებელი აცილების უფლება; (მუხლი 223, ნაწ. 10)

172. თუ წარდგენილი ბრალდება უვადო თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს მხარეს:

ა) აქვს 6 დაუსაბუთებელი აცილების უფლება; (მუხლი 223, ნაწ. 10)

ბ) აქვს 12 დაუსაბუთებელი აცილების უფლება;

გ) არა აქვს დაუსაბუთებელი აცილების უფლება;

დ) აქვს მხოლოდ დასაბუთებული აცილების უფლება;

173. თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებულია თითოეულ მათგანს დამატებით:

ა) აქვს 2 კანდიდატის დაუსაბუთებელი აცილების უფლება;

ბ) აქვს 3 კანდიდატის დაუსაბუთებელი აცილების უფლება; (მუხლი 223, ნაწ.11)

გ) არა აქვს დაუსაბუთებელი აცილების უფლება;
დ) აქვს მხოლოდ დასაბუთებული აცილების უფლება;

174. აცილების შემდეგ დარჩენილი მსაჯულობის კანდიდატებიდან სასამართლო სხდომის ოქმში შეიტანება და ინიშნება :
ა) პირველი თოთხმეტი (ანბანურად) ნაფიც მსაჯულად, ორი-სათადარიგო მსაჯულად;
ბ) თორმეტი ნაფიც მსაჯულად, ორი-სათადარიგო მსაჯულად; (მუხლი 224, ნაწ. 1)
გ) ყველა (ანბანურად) ნაფიც მსაჯულად:
დ) ყველა სათადარიგო მსაჯულად;

175. სათადარიგო ნაფიცი მსაჯული:
ა) ესწრება სასამართლო სხდომას და სასამართლოს თათბირს, მაგრამ მონაწილეობას არ იღებს კენჭისყრაში. (მუხლი 224, ნაწ. 2)
ბ) ესწრება მხოლოდ სასამართლოს სხდომას, მაგრამ მონაწილეობას არ იღებს კენჭისყრაში.
გ) ესწრება სასამართლოს თათბირს, მაგრამ მონაწილეობას არ იღებს კენჭისყრაში.
დ) ესწრება სასამართლო სხდომას, სასამართლოს თათბირს და მონაწილეობს კენჭისყრაში.

176. სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს საქმის განხილვის დღეს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურის დასრულებიდან:
ა) არა უგვიანეს ერთი კვირისა;
ბ) არა უგვიანეს მეორე დღისა;
გ) ვადა საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის;
დ) არა უგვიანეს მესამე დღისა; (მუხლი 224, ნაწ. 3)

177. სისხლის სამართლის საქმის სირთულიდან გამომდინარე სხდომის თავმჯდომარე - მოსამართლე:
ა) უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ორზე მეტი სათადარიგო მსაჯულის დამტკიცების შესახებ; (მუხლი 224, ნაწ. 1)
ბ) არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება ორზე მეტი სათადარიგო მსაჯულის დამტკიცების შესახებ;
გ) უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სათადარიგო მსაჯულის დამტკიცების შესახებ;
დ) საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის;

178. ბრალდებულ მ.მსხალაძის მიმართ მძიმე დანაშაულში წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას და ექვემდებარებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე განხილვას. ბრალდების მხარემ დააყენა შუამდგომლობა და დაასაბუთა, რომ საფრთხე ექმნებოდა ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რის გამოც საქმე უნდა განეხილა მოსამართლეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. ბრალებულმა მ.მსხალაძემ და მისმა ადვოკატმა მხარი არ დაუჭირეს დაყენებულ შუამდგომლობას და მიუთითეს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება ბრალდებულის უფლებაა, რომელიც არ შეიძლება უგულვებელყოს ბრალდების მხარემ. საქმის განმხილველმა სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და საქმე განსახილველად გადასცა მოსამართლეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. შეაფასეთ სასამართლოს გადაწყვეტილება.

ა) დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი საფრთხის გამო, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ საჭიროა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობა; (მუხლი 226, ნაწ. 1)

ბ) დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი საფრთხის გამო, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე;

გ) დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი საფრთხის გამო, მხოლოდ ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს არ აქვს საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება;

დ) დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი საფრთხის გამო, მხოლოდ ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე, არ აქვს საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება;

179. თუ შეუძლებელია საქმის სამართლიანად და ობიექტურად განხილვის უზრუნველყოფა მასმედიით მისი ინტენსიური გაშუქების ან საქმისადმი კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულების გათვალისწინებით, საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია:

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით დაადგინოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა;

ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით დაადგინოს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვა ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში;

გ) სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით დაადგინოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატანა ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში;

დ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით დაადგინოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატანა ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში. (მუხლი 226, ნაწ. 3)

180. უფროსი ნაფიცი მსაჯული:

ა) წარმართავს სასამართლო სხდომას; ხელს აწერს და აცხადებს განაჩენს;

ბ) თავმჯდომარეობს ნაფიც მსაჯულთა თათბირს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სახელით წერილობითი შეკითხვით მიმართავს სხდომის თავმჯდომარეს, აჯამებს კენჭისყრის შედეგებს, ადგენს შესაბამის დოკუმენტებს, ხელს აწერს ვერდიქტს და სასამართლო სდომაზე აცხადებს მას; (მუხლი 233, ნაწ. 2)

გ) თავმჯდომარეობს ნაფიც მსაჯულთა თათბირს, აჯამებს კენჭისყრის შედეგებს, ადგენს შესაბამის დოკუმენტებს, ხელს აწერს ვერდიქტს და სასამართლო სდომაზე აცხადებს მას;

დ) კითხულობს ნაფიც მსაჯულთაა ფიცის ტექსტს და ადებინებს ფიცს ნაფიც მსაჯულებს, თავმჯდომარეობს ნაფიც მსაჯულთა თათბირს, აჯამებს კენჭისყრის შედეგებს, ადგენს შესაბამის დოკუმენტებს, ხელს აწერს ვერდიქტს და სასამართლო სდომაზე აცხადებს მას;

181. საქმის არსებითი განხილვისას სასამართლოში:

ა) სასამართლო უზრუნველყოფს მოწმეების გამოცხადებას;

ბ) მხარე უზრუნველყოფს საკუთარი მოწმეების გამოცხადებას; (მუხლი 228, ნაწ.1)

გ) ბრალდების მხარე უზრუნველყოფს მოწმეების გამოცხადებას;

დ) სასამართლო საკუთარი ინიციატივით იძახებს მოწმეებს;

182. ნაფიც მსაჯულებს სასამართლო სხდომის გახსნისას სათათბირო ოთახში გასვლამდე სხდომის თავმჯდომარე:

ა) აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე;

ბ) არ აძლევს წერილობით განმარტებებს;

გ) არ აძლევს განმარტებებს;

დ) აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე; (მუხლი 231, ნაწ. 1)

183. სხდომის თავმჯდომარის მიერ ნაფიც მსაჯულთათვის მიცემული წერილობითი განმარტებები:

ა) არ უნდა გადაეცეთ პროცესის მხარეებს;

ბ) უნდა გადაეცეთ პროცესის მხარეებს; (მუხლი 231, ნაწ. 2)

გ) საპროცესო კოდექსით დარეგულირებული არ არის;

დ) სხდომის თავმჯდომარის მიხედულობით უნდა გადაწყდეს გადაეცმის მიზანშეწონილება;

184. სასამართლო პროცესის მხარეებს:

ა) უფლება აქვთ ხსდომის თავმჯდომარეს მიმართონ ნაფიც მსაჯულთათვის მიცემულ განმარტებებში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ შუამდგომლობით; (მუხლი 231, ნაწ. 2)

ბ) ევალებათ სხდომის თავმჯდომარეს მიმართონ ნაფიც მსაჯულთათვის მიცემულ განმარტებებში ცვლილებების შეტანის შესახებ შუამდგომლობით;

გ)უფლება აქვთ სხდომის თავმჯდომარეს გადასცენ საკუთარი განმარტებები ნაფიც მსაჯულთათვის;

დ) ევალებათ სხდომის თავმჯდომარეს გადასცენ საკუთარი განმარტებები ნაფიც მსაჯულთათვის;

185. ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის გამოსატანად:

ა) კენჭი უნდა უყარონ ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს, თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანმიმდევრობით; (მუხლი 256, ნაწ. 3)

ბ) კენჭისყრა ხდება ბრალდების სიმძიმის მზარდი თანმიმდევრობით;

გ) ჯერ კენჭი ეყრება გამამართლებელ, შემდეგ - გამამტყუნებელ ვერდიქტს;

დ) კენჭისყრა არ ტარდება;

186. როდის დებენ ნაფიცი მსაჯულები ფიცს:

ა) ნაფიც მსაჯულთა შერჩევის შემდეგ;

ბ) ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე;

გ) უფროსი მსაჯულის დანიშვნის (არჩევის) შემდეგ; (მუხლი 234, ნაწ. 1)

დ) ნაფიც მსაჯულობის კანდიდათა სიაში მოხდედრის შემდეგ;

187. სასამართლო სხდომის ოქმზე მხარის მიერ გაკეთებული შენიშვნის განხილვა ხდება:

ა) ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ; (მუხლი 195, ნაწ. 4)

ბ) მხარეთა მონაწილეობით საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ;

გ) საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ;

დ) სასამართლოს თავმჯდომარის მიერ;

188. უფროსი ნაფიცი მსაჯული:

ა) აირჩევა ნაფიც მსაჯულთა მიერ;

ბ) ინიშნება სხდომის თავმჯდომარის მიერ წილისყრის საფუძველზე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან; (მუხლი 233, ნაწ. 1)

გ) ინიშნება ნაფიც მსაჯულთა მიერ მათივე შემადგენლობიდან;

დ) ინიშნება ან აირჩევა წილისყრის საფუძველზე ნაფიც მსაჯულთა მიერ;

189. თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია ერთი მსჯავრდებულის მიერ, სასამართლო ვალდებულია ამ საქმეში მსჯავრდებული სხვა პირის მიმართაც, რომელსაც განაჩენი არ გაუსაჩივრებია:

ა) იმსჯელოს საჩივრის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში; (მუხლი 299)

ბ) იმსჯელოს საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში;

გ) იმსჯელოს საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაშიც;

დ) აპელანტის საჩივრის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში აღუდგინოს სხვა პირებსაც სააპელაციო გასაჩივრების უფლება;

190. იმ შემთხვევაში, როცა საკასაციო სასამართლო მსჯავრდებულის საჩივრის საფუძველზე მის სასარგებლოდ აუქმებს ან ცვლის განაჩენს, რადგან სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისას დაირღვა კანონი და ეს სამართლებრივი შეცდომა განაჩენით ამ საქმეში მსჯავრდებულ სხვა პირსაც ეხება, რომელსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანია:

ა) მსჯელობს ამ მსჯავრდებულის მიმართაც; (მუხლი 309)

ბ) აღუდგენს ამ მსჯავრდებულს საკასაციო გასაჩივრების უფლებას და დასაშვებად ცნობს მის საკასაციო საჩივარს;

გ) განუმარტავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მიმართოს სააპელაციო სასამართლოს;

დ) ნაწილობრივ ცვლის განაჩენს მის სასიკეთოდ:

191. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადა:

ა) შეუზღუდავია - მსჯავრდებულის სასარგებლოდ, ერთი წელია მსჯავრდებულის საზიანოდ იმ მომენტიდან, როდესაც გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობა დააყენეს სააპელაციო სასამართლოში:

ბ) ერთი წელია, გამამართლებელი განაჩენის მსჯავრდებულის საზიანოდ გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის დაყენებიდან;

გ) შეუზღუდავია; (მუხლი 311)

დ) გონივრული უნდა იყოს;

192. არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე პროცესს ახორციელებენ მხოლოდ:

ა) ის მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები და პოლიციელები, რომლებმაც პედაგოგიკაში სპეციალური მომზადება გაიარეს;

ბ) ის მოსამართლეები და პროკურორები, რომლებმაც პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში სპეციალური მომზადება გაიარეს;

გ) ის გამომძიებლები, რომლებმაც ფსიქოლოგიაში სპეციალური მომზადება გაიარეს;

დ) ის მოსამართლეები, პროკურორები და გამომძიებლები, რომლებმაც პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში სპეციალური მომზადება გაიარეს; (მუხლი 319)

193. ბრალდებულის ნასამართლობის ან ადმინისტრავიულ პასუხისგებაში ყოფნის შესახებ ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს :

ა) უნდა ეცნობოთ;

ბ) საპროცესო კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის;

გ) არ უნდა ეცნობოთ; (მუხლი 238)

დ) არ უნდა ეცნობოთ, თუ ბრალდებულის ადვოკატის თანხმობა არ არსებობს.

194.ქვემოთ ჩამოთვლილ საპროცესო მოქმედებათაგან, რომელია დაშვებული დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის ოჯახის წევრის მიმართ, ოღონდ მისი თხოვნით ან თანხმობით:

ა. მოყვანა

ბ. ჩხრეკა (სსსკ-ის 122-ე მუხლი)

გ. დაკავება

დ. დაპატიმრება

195.მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შესაძლებელია:

ა.ერთ-ერთი მხარის შუამდგომლობითა და მოსამართლის გადაწყვეტილებით (სსსკ-ის 243-ე მუხლი ნაწ.3)

ბ. მხოლოდ პროკურორის საჟალდებულო შუამდგომლობითა და მოსამართლის შესაბამისი გადაწყვეტილებით

გ. ორივე მხარის შუამდგომლობითა და მოსამართლის გადაწყვეტილებით

დ. მხოლოდ დაზარალებულის სავალდებულო შუამდგომლობითა და მოსამართლის შესაბამისი გადაწყვეტილებით

196 .მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით ხდება:

ა. სხვა სასამართლოდან

ბ. იმავე სასამართლოდან

გ. იმავე ან სხვა სასამართლოდან ან სხვა ადგილიდან (სსსკ-ის 243-ე მუხლის ნაწ.3)

დ. სხვა უწყებიდან

197. სასამართლო განჩინებით ბრალდებულის ქონებას ყადაღა დაედო. ადვოკატმა არამართებულად მიიჩნია სასამართლო განჩინება და 48 საათის შემდეგ გაასაჩივრა. სწორია თუ არა ადვოკატის მოქმედება?

ა. სწორია, რადგან გასაჩივრება შეიძლება 72 საათის ვადაში

ბ. არ არის სწორი, რადგან გასაჩივრება შეიძლება 24 საათის ვადაში

გ. არ არის სწორი, რადგან გასაჩივრება შეიძლება 48 საათის ვადაში (სსსკ-ის 156-ე მ)

დ.არ არის სწორი, რადგან გასაჩივრება შეიძლება 12 საათის ვადაში

198. გამოძიებისას გამომძიებელმა ჩაატარა ამოცნობა, რა დროსაც ამოსაცნობი პირი დაზარალებულს წარუდგინა ორ პირთან ერთად. სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. არ არის სწორი, რადგან ამოსაცნობი პირი წარდგენილი უნდა იყოს სამ პირთან ერთად

ბ. სწორია, რადგან ამოსაცნობი პირი წარდგენილი უნდა იყოს ორ პირთან ერთად (სსსკ-ის 131-ე მუხლის ნაწ.3)

გ. არ არის სწორი, რადგან ამოსაცნობი პირი წარდგენილი უნდა იყოს ხუთ პირთან ერთად

დ. არ არის სწორი, რადგან ამოსაცნობი პირი წარდგენილი უნდა იყოს ოთხ პირთან ერთად

199. მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ, მისმა ადვოკატმა სასამართლოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა ნასამართლობის მოხსნის შესახებ, რაზეც მოსამართლემ უარი უთხრა. 5 თვის შემდეგ იმავე ადვოკატმა ხელახლა აღძრა შუამდგომლობა მსჯავრდებულისათვის ნასამართლობის მოხსნის შესახებ. მოსამართლემ კვლავ უარი თქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ იგი არ იყო დაყენებული კანონით დადგენილ ვადაში. სწორია თუ არა მოსამართლის გადაწყვეტილება?

ა. არ არის სწორი, რადგან, უარის თქმის შემთხვევაში, შეიძლება 3 თვის შემდეგ დადგეს იგივე შუამდგომლობა

ბ. არ არის სწორი, რადგან, უარის თქმის შემთხვევაში, შეიძლება 5 თვის შემდეგ დადგეს იგივე შუამდგომლობა

გ. არ არის სწორი, რადგან, უარის თქმის შემთხვევაში, შეიძლება 6 თვის შემდეგ დადგეს იგივე შუამდგომლობა (სსსკ-ის 288-ე მუხლის ნაწ.2)

დ. არ არის სწორი, რადგან, უარის თქმის შემთხვევაში, შეიძლება 3 დადგეს იგივე შუამდგომლობა ნებისმიერ დროს

200. მიქაბერიძეს გამომძიებელმა წარუდგინა ბრალი და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა პროკურორს. სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. დიახ, რადგან გამომძიებელმა დაუყოვნებლივ აცნობა პროკურორს

ბ. დიახ, რადგან გამომძიებელმა საკმარისი მტკიცებულებები შეკრიბა

გ. არა, რადგან გამომძიებელს პროკურორის დავალებით ან პროკურორს უნდა წარედგინა ბრალი მიქაბერიძისათვის (სსსკ-ის 169-ე მუხლის ნაწ.5)

დ. არა რადგან გამომძიებელს არ უნდა ეცნობებინა პროკურორისათვის

201. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. 18 წელს მიუღწეველი პირი სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება

ბ. 14 წელს მიუღწეველი პირი სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება (სსსკ-ის 182-ე მუხლის ნაწ. 8)

გ. 16 წელს მიუღწეველი პირი სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება

დ. სასამართლო სხდომის დარბაზში ნებისმიერი პირი დაიშვება

202. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
აღკვეთის ღონისძიებებს მიეკუთვნება:
ა. დაპატიმრება (სსსკ-ის 199-ე მუხლის ნაწ.1)
ბ. დაკავება
გ. მოყვანა
დ. პირობითი მსჯავრი

203. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
საპროცესო შეთანხმების თაობაზე სასამართლოს გამოაქვს განაჩენი პროკურორის მიერ შუამდგომლობის წარდგენიდან:
ა. 10 დღის ვადაში
ბ. 5 დღის ვადაში
გ. 1 დღის ვადაში
დ. 15 დღის ვადაში (სსს-კის 213-ე მუხლის ნაწ.4)

204.ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
საპროცესო შეთანხმების შეთავაზება შეუძლია:
ა. პროკურორს
ბ. ბრალდებულს
გ. სასამართლოს
დ. როგორც ბრალდებულს, ისე პროკურორს (სსსკ-ის 209-ე მუხლის ნაწ.2)

205. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
საპროცესო შეთანხმება იდება წინასწარი წერილობითი შეთანხმებით:
ა. მთავარ პროკურორთან
ბ. მთავარი პროკურორის მოადგილესთან
გ. ზემდგომ პროკურორთან (სსსკ-ის 210-ე მუხლის ნაწ.1)
დ. დამოუკიდებლად წყვეტს გამოზიებაზე საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორი

206. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ოქმი უნდა მომზადდეს მას ხელი უნდა მოაწერონ სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ და მდივანმა სასამართლო სხდომის დამთავრებიდან არა უგვიანეს:
ა. 10 დღე-ღამისა
ბ. 5 დღისა (სსსკ-ის 195-ე მუხლის ნაწ. 2)
გ. 7 დღე-ღამისა
დ. 3 დღე-ღამისა

207. პირი ბრალდებულად სს პასუხისგებაში შეიძლება მიცემული იყოს არაუმეტეს:
ა. 24 თვისა

გ. 9 თვისა (სსსკ-ის 169-ე მუხლის ნაწ. 8)
გ. 12 თვისა
დ. 3 თვისა

208. თუ ბრალდებული თანამდებობის პირი, რეკეტირი ან ქურდული სამყაროს წევრია და იგი თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მისი ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება უნდა გაეცნოს:
ა. ბრალდებულის ოჯახის წევრს
ბ. შესაბამის პროკურორს
გ. ბრალდებულის ადვოკატს (სსსკ-ის 169-ე მუხლის ნაწ. 6)
დ. ოჯახის ყველაზე ასაკოვან წევრს

209. ბრალდების წაყენების საფუძველია:
ა. ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება
ბ. იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ კონკრეტულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული (სსსკ-ის 169-ე მუხლის ნაწ. 1)
გ. მტკიცებულებათა ერთობლიობა რომელიც საკმარისია პირის მსჯავრდებისათვის
დ. მოწმეების მამხილებელი ჩვენება

210. რა ვადაშია ვალდებული საკასაციო ინსტანციის სასამართლომ განიხილოს საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლოში საქმისა და საჩივრის შესვლიდან ?
ა. 5 დღიან ვადაში
ბ. 2 თვიან ვადაში
გ.არა უგვიანეს 6 თვისა (სსსკ-ის 303-ე მუხლის ნაწ. 8)
დ. 12 თვეში

211. განაჩენის ასლი მრავალტომიან, რთულ ან მრავალი პირის საქმეზე მსჯავრდებულს ან გამართლებულს უნდა ჩაბარდეს მისი გამოცხადებიდან არაუგვიანეს:
ა. 5 დღე-ღამისა
ბ.14 დღე-ღამისა (სსსკ-ის 278-ე მუხლი)
გ. 10 დღე-ღამისა
დ. 1 თვისა

212. მხარეს უფლება აქვს სასამართლოს წარუდგინოს შესაგებელი სააპელაციო საჩივრის ასლის მიღებიდან არაუგვიანეს:
ა. 3 დღეში
ბ. 10 დღეში

გ. 7 დღეში
დ. 5 დღისა (სსსკ-ის 294-ე მუხლის ნაწ.2)

213. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
ცრუ დასმენისათვის აფრთხილებენ პასუხისმგებლობის შესახებ ხელწერილის ჩამორთმევით:
ა. 16 წლის განმცხადებელს
ბ. 14 წელს მიღწეულ განმცხადებელს (სსსკ-ის 104-ე მუხლის ნაწ.4)
გ. 18 წლის განმცხადებელს
დ. 12 წლის განმცხადებელს

214. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი პატიმარი ბრალდებული პატიმრობიდან თავისუფლდება:
ა. დაუყოვნებლივ სასამართლო დარბაზში (სსსკ-ის 279-ე მუხლის ნაწ.2 უნქტი „ა“)
ბ. როდესაც ჩაბარდება მას განაჩენი
გ. განაჩენის გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ
დ. პატიმრობის ადმინისტრაციას როდესაც ჩაბარდება განაჩენის ასლი

215. მძიმე ავადმყოფი მოწმის დაკითხვა ტარდება?
ა. ექსპერტის თანდასწრებით
ბ. თუ ამას აუცილებლად მიიჩნევს და მოითხოვს მძიმე ავადმყოფი ან/და მისი დამცველი
გ. თუ ამას აუცილებლად მიიჩნევს პროკურორი
დ. ექიმის ნებართვით და საჭიროების შემთხვევაში მისი დასწრებით (სსსკ-ის 117-ე მუხლის ნაწ. 2)

216. ბრალდებულთან მიმდინარეობს პროკურორის მხრიდან მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე. ბრალდებულმა განაცხადა, რომ არ სურს ვინმე ჩაერიოს ამ მოლაპარაკებაში და უარი განაცხადა დამცველის დანიშვნაზე. პროკურორმა დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა და საპროცესო შეთანხმება გააფორმა ადვოკატის გარეშე. სწორეა თუ არა პროკურორის მოქმედება?
ა. არ არის სწორი, ასეთ შემთხვევაში ბრალდებულის უარი არ მიიღება (სსსკ-ის 210-ე მუხლი ნაწ. 4)
ბ. სწორეა, ბრალდებულს სურდა კონფიდენციალობის დაცვა
გ. სწორეა, ბრალდებულის ნების გარეშე ადვიკატი არ ინიშნება
დ. არ არის სწორი, სასამართლოდან უნდა მიეღო ბრალდებულს უარძე თანხმობა

217. რაიონული სასამართლოს განჩინება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების გამოყენების შესახებ, ბრალდებულის ადვოკატის მიერ გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. რა ვადაში უნდა განიხილოს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ დამცველის საჩივარი?

ა. მიღებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 12 საათისა

ბ. საჩივრისა და საქმის მასალების მიღებიდან 24 საათში

გ. საჩივრისა და საქმის მასალების მიღებიდან 48 საათში

დ. საჩივრისა შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა (სსსკ-ის 207-ე მუხლის ნაწ. 4)

218. სასამართლოს განჩინების გარეშე არ შეიძლება ჩატარდეს:

ა. ექსპერტიზა

ბ. ექსპერიმენტი

გ. დათვალიერება

დ. ექსჰუმაცია (სსსკ-ის 133-ე მუხლი)

219. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

თუ სასამართლო უარს იტყვის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე, იმავე საკითხზე შუამდგომლობის დაყენება შეიძლება მოხდეს:

ა. 3 თვის შემდეგ

ბ. 1 თვის შემდეგ

გ. 1 წლის შემდეგ

დ. 6 თვის შემდეგ (სსსკ-ის 285-ე მუხლის ნაწ. 5)

220. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ბრალდებული შეიძლება სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსდეს არა უმეტეს:

ა. 1 თვის ვადით

ბ. 15 დღის ვადიტ

გ. 20 დღის ვადით (სსსკ-ის 181-ე მუხლი ნაწ. 1)

დ. 3 თვის ვადით

221. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

სააპელაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან:

ა. 20 დღის ვადაში

ბ. 1 თვის ვადაში (სსსკ-ის 293-ე მუხლის ნაწ.1)

გ. 15 დღის ვადაში

დ) 14 დღის ვადაში

222. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, დაკავებისასსრული (შეუზღუდავი) იმუნიტეტით არ სარგებლობს:

ა. საქართველოს პრეზიდენტი

ბ. დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირი

გ. საქართველოს პარლამენტის წევრი (სსსკ-ის 173-ე მუხლი)

დ. დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის ოჯახის წევრები

223. სასამართლო სხდომის დარბაზში შეიარაღებული პირი დაიშვება:

ა. არცერთ შემთხვევაში

ბ. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვით (სსსკ-ის 182-ე მუხლის ნაწ.9)

გ. თუ ის ბრალმდებელია

დ. თუ ის დაზარალებულია

224. გამამართლებელი განაჩენის საფუძველია:

ა. ამნისტიის აქტი

ბ. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

გ. ქმედითი მონანიება

დ. ბრალდებულისათვის წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობა (სსსკ-ის 270-ე მუხლის ნაწ.1)

225. ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება მართებულია მაშინ, როცა არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ თანამდებობაზე დარჩენით იგი:

ა. ხელს შეუშლის ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას

ბ. ხელს შეუშლის საქმის ყოველმხრივ გამოძიებას

გ. ხელს შეუშლის გამოძიებას (სსსკ-ის 159-ე მუხლი)

დ. ხელს შეუშლის მტკიცებულებათა მოპოვებას

226. 14 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვას ესწრება:

ა. პროკურორი

ბ. ფსიქოლოგი

გ. პედაგოგი

დ. მისი კანონიერი წარმომადგენელი(სსსკ-ის 116-ე მუხლის ნაწ.3)

227. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

სასამართლო საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე პროკურორის შუამდგომლობას განიხილავს და განაჩენი გამოაქვს შუამდგომლობის წარდგენიდან:

ა. 10 დღეში

ბ. 20 დღეში

გ. 30 დღეში

დ. 15 დღეში (სსსკ-ის 213-ე მუხლის ნაწ. 4)

228. ჩამოთვლილთაგან, დაკავებისას იმუნიტეტით სარგებლობს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე წასწრების შემთხვევაში:

ა. დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის ოჯახის წევრები (სსსკ-ის 173-ე მუხლი)

ბ.პარლამენტის თავმჯდომარე

გ. სახალხო დამცველი

დ. მოსამართლე

229. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს:

ა. 1000 ლარზე ნაკლები (სსსკ-ის მე-200 მუხლის ნაწ. 2)

ბ. 2000 ლარზე ნაკლები

გ. 3000 ლარზე ნაკლები

დ. 5000 ლარზე ნაკლები

230. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

მხარეს, რომელმაც მიიღო სააპელაციო საჩივრის ასლი, უფლება აქვს შესაგებელი წარადგინოს საჩივრის ასლის მიღებიდან:

ა. არა უგვიანეს 10 დღისა

ბ. არა უგვიანეს 5 დღისა (სსსკ-ის 294-ე მუხლის ნაწ. 2)

გ. არა უგვიანეს 7 დღისა
დ. არა უგვიანეს 30 დღისა

231. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
პროკურორი ან მისი დავალებით გამომძიებელი, მას შემდეგ, რაც გამოიყენეს პირის მიმართ დაკავება, დაპატიმრება ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება, ვალდებულია შეატყობინოს ეს მისი ოჯახის რომელიმე წევრს არა უგვიანეს:
ა. 3 საათისა (სსსკ-ის 177-ე მუხლის ნაწ. 1)
ბ.5 საათისა
გ.12 საათისა
დ.24 საათისა

232. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
სასამართლოს უარი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე მხარეს შეუძლია გაასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში:
ა.10 დღის ვადაში
ბ. 7 დღის ვადაში
გ. 15 დღის ვადაში (სსსკ-ის 215-ე მუხლის ნაწ. 2)
დ. არ საჩივრდება

233. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
პროკურორი საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ:
ა. ვალდებულია შეუთანხმდეს დაზარალებულს
ბ. ვალდებულია შეატყობინოს დაზარალებულს (სსსკ-ის 217-ე მუხლის ნაწ. 1)
გ.ვალდებულია შეუთანხმდეს სასამართლოს
დ.ვალდებულია შეუთანხმდეს ადვოკატს

234. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
პროკურორის გამოუცხადებლობისას სასამართლო:
ა. გადადებს საქმის განხილვას არა უმეტეს 10 დღისა და ამის შესახებ აცნობებს მთავარ პროკურატურასა და ზემდგომ პროკურორს (სსსკ-ის 190-ე მუხლის ნაწ. 3)
ბ. გადადებს საქმის განხილვას არა უმეტეს 10 დღისა და ამის შესახებ აცნობებს მთავარ პროკურატურას
გ. გადადებს საქმის განხილვას არა უმეტეს 10 დღისა და ამის შესახებ აცნობებს ზემდგომ პროკურორს
დ. გადადებს საქმის განხილვას არა უმეტეს 10 დღისა და ამის შესახებ აცნობებს იმავე პროკურორს

235. მიუთითეთ თუ რომელია ქვემოთ ჩამოთვლილ მსჯელობათაგან სწორი:

ა. თუ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის გამართლება მოითხოვა ერთმა მოსამართლემ, ხოლო ორ სხვა მოსამართლეს სხვადასხვა აზრი აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ მოსამართლის ხმა ბრალდებულის გასამართლებლად, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უერთდება იმ მოსამართლის ხმას, რომლის გადაწყვეტილებაც განსასჯელისათვის ყველაზე სასიკეთოა. (სსსკ-ის 267-ე მუხლის ნაწ. 3)

ბ. თუ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის გამართლება მოითხოვა ერთმა მოსამართლემ, ხოლო ორ სხვა მოსამართლეს, სხვადასხვა აზრი აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ, გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა მოსამართლე წერს განსხვავებულ აზრს.

გ. თუ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის გამართლება მოითხოვა ერთმა მოსამართლემ, ხოლო ორ სხვა მოსამართლეს სხვადასხვა აზრი აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ, აღნიშნულ მოსამართლეთა კოლეგია ვალდებულია, სათათბიროს ოთახში გამოიტანოს თვითაცილების განჩინება.

დ. თუ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის გამართლება მოითხოვა ერთმა მოსამართლემ, ხოლო ორ სხვა მოსამართლეს სხვადასხვა აზრი აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ, სასამართლო კოლეგია ხელახლა ხსნის სასამართლო გამოძიებას და საქმის განხილვას და შესაბამისად მტკიცებულებათა გამოკვლევას იწყევს თავიდან.

236. წაყენებული ბრალდების ამა თუ იმ ნაწილში სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანის უფლება აქვს:

ა. მხოლოდ პროკურორს. (სსსკ-ის 33-ე მუხლი პუნქტი „ზ")

ბ. პროკურორს ან პროკურორის თანხმობით – გამომძიებელს.

გ. მხოლოდ გამომძიებელს.

დ. მხოლოდ გამომძიებელს – საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელის თანხმობით.

237. ბრალდებულმა გიორგაძემ ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან 14 დღეში შეიტანა საჩივარი ზემდგომ პროკურორთან სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე და მოითხოვა ყველა იმ მტკიცებუ-ლების დაუშვებლად ცნობა, რომელიც მოპოვებული იქნა გამოძიების დროს მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი.

ჰქონდა თუ არა ამის უფლება ბრალდებულ გიორგაძეს?

ა. არა, მას არ ჰქონდა ასეთი საჩივრის შეტანის უფლება.

ბ. არა, მას ეს უნდა გაესაჩივრებინა 7 დღეში.

გ. დიახ, მან ვადის დაცვით გაასაჩივრა გამოძიების მოქმედება.

დ. არა, მას უნდა გაესაჩივრებინა დადგენილების მიღებიდან 10 დღის ვადაში. (სსსკ-ის 169-ე მუხლის ნაწ. 9)

238. სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას, ადვოკატმა, საკუთარი ინიციატივითა და თავის ხარჯზე, გადაწყვიტა ჩაეტარებინა ექსპერტიზა, რისთვისაც გამომძიებელს მოსთხოვა მისთვის წარედგინა ნივთიერი მტკიცებულებანი, გამოკვლევის სხვა ობიექტები. გამომძიებელმა უარი უთხრა იმ მოტივით, რომ ადვოკატის მიერ მოთხოვნილი მასალები თვითონ უნდა გადაეგზავნა თავის მიერ დანიშნული ექსპერტისათვის.

სწორია თუ არა გამომძიებლის უარი?

ა. არ არის სწორი, რადგან ექსპერტის დასკვნის მოპოვების უფლება აქვს მხარესაც, და ორგანომ, რომელიც პროცესს აწარმოებს, ყველა შემთხვევაში მხარეს უნდა წარუდგინოს ნივთიერი მტკიცებულებანი და საექსპერტო გამოკვლევის სხვა ობიექტები. (სსსკ-ის 144-ე მუხლის ნაწ. 3)

ბ. სწორია, რადგანაც ორგანომ, რომელიც პროცესს აწარმოებს, მხარეს უნდა წარუდგინოს ნივთიერი მტკიცებულებანი და საექსპერტო გამოკვლევის სხვა ობიექტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი უნდა გადაეცეს გამომძიებლის მიერ დანიშნულ ექსპერტს.

გ. არ არის სწორი, რადგანაც ამ შემთხვევაში გამომძიებელმა ნივთიერ მტკიცებულებათა და საექსპერტო გამოკვლევის სხვა ობიექტების წარუდგენლობით, შეზღუდა მხარის უფლება ექსპერტიზის დასკვნის მოპოვებაზე.

დ. სწორია, რადგანაც მხარეს არა აქვს უფლება, გამოძიების პროცესში მოიპოვოს ექსპერტიზის დასკვნა. ამის უფლება მას აქვს მხოლოდ სასამართლო პროცესზე.

239. ბრალდებულ მანაგაძეს, რაიონული სასამართლოს მიერ, მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი მოითხოვდა მის მიმართ 4 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. განაჩენი ბრალდებულის ადვოკატის მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ განხილულ იქნა სააპელაციო საჩივარი, ჩატარდა სასამართლო განზხილვა და ბრალდებულ მანაგაძეს განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. კანონიერია თუ არა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი?

ა. დიახ, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, შესაძლებელია ბრალდებულს ყველა შემთხვევაში განესაზღვროს იმაზე მკაცრი სასჯელი, ვიდრე ის რაიონული სასამართლოს მიერ იყო დადგენილი.

ბ. დიახ, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში პროკურორი ითხოვდა ბრალდებულისათვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას.

გ. არა, სააპელაციო ინსტანციას უფლება არ აქვს ბრალდებულის მდგომარეობა შეაბრუნოს საუარესოდ, თუ საქმის გადასინჯვა ხდება მხოლოდ დაცვის მხარის საჩივრის საფუძველზე. (სსსკ-ის 298-ე მუხლის ნაწ. 3)

დ. არა, შებრუნება საუარესოდ დასაშვებია დაცვის მხარის საჩივრის საფუძველზეც.

240. მრავალბრალდებულიან საქმეზე მიმდინარე სასამართლო განხილვისას არ გამოცხადდა ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატი. აღნიშნულის მიუხე-

დავად, სასამართლომ განაგრძო საქმის განხილვა იმ ბრალდებულთა მიმართ, რომლებსაც ადვოკატები ჰყავდათ სხდომაზე.

შეუძლია თუ არა სასამართლოს საქმის განხილვის გაგრძელება ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში?

ა. დიახ, თუ ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატი არ გამოცხადდება სასამართლო განხილვის სტადიაზე, თუ ამით არ ილახება ბრალდებულის ინტერესები და გავლენას არ მოახდენს სასამართლო განხილვის სისრულესა და ობიექტურობაზე, სასამართლოს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა სხვა ბრალდებულთა მიმართ. (სსსკ-ის 190-ე მუხლის ნაწ. 2)

ბ. არა, თუ ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატი არ გამოცხადდება სასამართლო განხილვის სტადიაზე, საქმის განხილვის გაგრძელება არ დაიშვება და სხდომა უნდა გადაიდოს უადვოკატო ბრალდებულის ადვოკატით უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტამდე.

გ. დიახ, თუ ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატი არ გამოცხადდება საქმის სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, თუ ამით არ ილახება ბრალდებულის ინტერესები და გავლენას არ მოახდენს სასამართლო განხილვის სისრულესა და ობიექტურობაზე, სასამართლოს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა სხვათა მიმართ.

დ. არა, სასამართლოს უფლება არ აქვს გააგრძელოს სასამართლო განხილვა.

241. სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი დაცვის მხარის მიერ გასაჩივრებულ იქნა საკასაციო წესით. საჩივრის ძირითადი არსი გამოიხატებოდა განაჩენის გაუქმების მოთხოვნაში იმ მოტივით, რომ ბრალდებულს არ მიეცა შესაძლებლობა წარმოეთქვა საბოლოო სიტყვა. საკასაციო სასამართლომ, თავისი განჩინებით, იმ საფუძვლით, რომ საქმეში არსებული კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებებითა და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებებით უტყუარად დადასტურებული იყო ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, უარი განაცხადა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. კანონიერია თუ არა საკასაციო სასამართლოს განჩინება?

ა. კანონიერია, რადგან სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შედეგად საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადასტურებულ იქნა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

ბ. კანონიერია, რადგან, თუ კანონით დადგენილი წესით მოპოვებული მტკიცებულებები და საქმის განხილვის შედეგად დადასტურებული გარემოებანი ადასტურებენ მსჯავრდებულის ბრალეულობას დანაშაულის ჩადენაში, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის დარღვევა კი არ იწვევს განაჩენის გაუქმებას.

გ. უკანონოა, რადგან განაჩენი გასაუქმებელია ყველა შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს არ მისცეს საბოლოო სიტყვა. (სსსკ-ის 253-ე მუხლი)

დ. უკანონოა, მაგრამ განაჩენი კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ შეიცვალოს ბრალდებულის სასარგებლოდ.

242. ქვემოთ მითითებულ პასუხთაგან, რომელია არასწორი?

ძებნილი ან ბრალდებული პირის მიმართ საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების ვადა შეჩერდება:

ა. გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულებამდე.

ბ. გამამართლებელი განაჩენის გამოტანამდე.

გ. გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლამდე. (სსსკ-ის 165-ე მუხლის ნაწ.)

დ.სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე.

243. საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებულმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ იგი (შეთანხმება) გაეფორმებინათ მისი დამცველის მონაწილეობის გარეშე. პროკურორმა და მოსამართლემ მოთხოვნა გაიზიარეს და საპროცესო შეთანხმება გააფორმეს დამცველის მონაწილეობის გარეშე. სწორია თუ არა პროკურორისა და მოსამართლის მოქმედება?

ა. სწორია, ბრალდებულის ნება ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტია.

ბ. არ არის სწორი, დამცველის მონაწილეობა ასეთ შემთხვევაში სავალდებულო იყო. (სსსკ-ის 210-ე მუხლის ნაწ. 4)

გ. სწორია, დამცველის მონაწილეობა ასეთ შემთხვევაში სავალდებულო არ იყო.

დ. არ არის სწორი, დამცველისათვის აზრი წინასწარ უნდა ეკითხათ, მისი მონაწილეობის საკითხის მართებულად გადასაწყვეტად

244. პირის დაკავების საფუძველს, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, არ წარმოადგენს:

ა. პირის ტანსაცმელზე აღმოჩნდა ჩადენილი დანაშაულის აშკარა კვალი.

ბ. პირი მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მაგრამ შემდგომ იგი ამოიცნო ფოტო რობოტით დამზადებული სურათით გამომძიებელმა. (სსსკ-ის 171-ე მუხლის ნაწ. 2)

გ. პირს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისთანავე.

დ. პირი შესაძლოა მიიმალოს.

245. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში არ დაიშვება.

ბ. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვით.

გ. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება მხოლოდ სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ნებართვით. (სსსკ-ის 182-ე მუხლი ნაწ. 9)

დ. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება მხოლოდ მანდატურის ნებართვით.

246. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა განაჩენის დამდგენ სასამართლოს მიმართა განცხადებით, მის მიმართ უკვე გამოტანილი განაჩენის აღსრულების გადავადების შესახებ იმის გამო, რომ იგი (მსჯავრდებული) დაავადდა მძიმე ავადმყოფობით, რაც, თანახმად თანადართული სამედიცინო ცნობისა, ხელს უშლის სასჯელის მოხდას.

როგორი გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს ამ შემთხვევაში სასამართლოს?

ა. განაჩენის აღსრულება არ შეიძლება გადავადებულ იქნეს.

ბ. განაჩენის აღსრულება შეიძლება გადავადებულ იქნეს ბრალდებულის სრულ გამოჯანმრთელებამდე.

გ. განაჩენის აღსრულება შეიძლება გადავადებულ იქნეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

დ. განაჩენის აღსრულება შეიძლება გადავადებულ იქნეს მსჯავრდებულის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე. (სსსკ-ის 283-ე მუხლის ნაწ. 1)

247. საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გასცა საფუძვლიანი ნებართვა ერთ- ერთი უცხო სახელმწიფოს კონსულის ვაჟის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკაზე ისე, რომ მისი თანხმობა არ მიუღია. კანონიერია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. დიახ, რადგან უცხო სახელმწიფოს კონსულის ოჯახის წევრებზე დიპლომატიური იმუნიტეტი არ ვრცელდება.

ბ. არა, რადგან დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირთა ოჯახის წევრების ბინის ჩხრეკა საერთოდ დაუშვებელია.

გ. არა, რადგან დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე მისი ოჯახის წევრების მიმართ საპროცესო მოქმედება ტარდება მხოლოდ მათი თხოვნით ან თანხმობით (სსსკ-ის 122-ე მუხლის ნაწ. 1)

დ. დიახ, რადგან მოსამართლის მიერ გაცემული ნებართვა იყო საფუძვლიანი.

248. ბრალდებულ კვატაშიძეს, აღკვეთის ღონისძიების სახით, შერჩეული ჰქონდა პირადი თავდებობა. საქმის სასამართლოზე განხილვისას, კვატაშიძე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ პირადი თავმდებობა ვერ უზრუნველყოფდა სასამართლოში მის გამოცხადებას და, თავისი ინიციატივით, გამოიტანა დასაბუთებული განჩინება კვატაშიძის დაპატიმრების შესახებ. კანონიერია თუ არა სასამართლოს განჩინება?

ა. არა, რადგან სასამართლოს (მოსამართლეს) საერთოდ არა აქვს უფრო მკაცრი აღკვეთი ღონისძიების გამოყენების უფლება.

ბ. არა, რადგან საქმის სასამართლო განხილვისას აღკვეთის ღონისძიების ერთი სახის შეცვლა, უფრო მკაცრი სახით, დაიშვება მხოლოდ პროკურორის მოთხოვნით. (სსსკ-ის 206-ე მუხლი)

გ. დიახ, რადგან სასამართლომ გამოიტანა დასაბუთებული განჩინება მისი კომპეტენციის ფარგლებში.

დ. დიახ, რადგან განსასჯელმა, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობით დაარღვია მისთვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნა.

249. მსჯავრდებულმა მეფარიძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს განაჩენი. მეფარიძე არ უარყოფდა, რომ მის მიმართ დადგენილი განაჩენით საქმის ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულია, მაგრამ სადავოდ მიიჩნევდა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის სისწორეს. სააპელაციო სასამართლომ იმ მოტივით, რომ მეფარიძე განაჩენს დასაბუთებულად მიიჩნევდა, სააპელაციო საჩივარი არ განიხილა. კანონიერია თუ არა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება?

ა. დიახ, რადგან სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მხოლოდ ის განაჩენი, რომელიც აპელანტის აზრით, დაუსაბუთებელია.

ბ. არა, რადგან სააპელაციო საჩივარი შეიძლება შეტანილი იქნეს და იგი უნდა განიხილოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ, თუ სადავო ხდება განაჩენის დასაბუთებულობა ანდა კანონიერება. (სსსკ-ის 292-ე მუხლი)

გ. დიახ, რადგან ქმედების კვალიფიკაცია სააპელაციო საჩივრის საგანი არ იქნება.

დ. არა, რადგან სააპელაციო სასამართლოს საჩივარი უნდა მიეღო, მაგრამ უნდა ემსჯელა მხოლოდ სასჯელის ნაწილში.

250. ჩამოთვლილთაგან რომელია საკასაციო წესით განაჩენის გაუქმების უდავო საფუძველი?

ა. გამოძიებისა და სასამართლო განხილვის არასრულობა და ცალმხრივობა.

ბ. სააპელაციო ინსტანციის მიერ კერძო სააპელაციო საჩივრის უარყოფა.

გ. სასამართლო დასკვნების შეუსაბამობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, თუ შეუძლებელია დამატებითი მტკიცებულების შეგროვება ხელახლა განხილვისას.

დ. განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს. (სსსკ-ის მე-300 მუხლი)

251. გამომძიებელმა ხავთასმა საგამოძიებო მოქმედებაში ჩაბმულ მონაწილეებს განუმარტა მათი უფლებები და მოვალეობები, რის შემდეგაც დაიწყო ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება.

სწორად მოიქცა თუ არა გამომძიებელი?

ა. დიახ, რადგან საგამოძიებო მოქმედების მონაწილეებისათვის მათი უფლებებისა და მოვალეობების განმარტება საკმარისი იყო.

ბ. არა, რადგან გამომძიებელს ყველა მათგანისათვის უნდა გადაეცა აგრეთვე მათი უფლება–მოვალეობების წერილობითი ნუსხა.

გ. არა, რადგან გამომძიებელს მათთვის უნდა განემარტა აგრეთვე ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესები. (სსსკ-ის 111-ე მუხლის ნაწ. 3)

დ. არა, რადგან საერთოდ ზედმეტი იყო ამ ეტაპზე მათი უფლება-მოვალეობების განმარტება.

252. სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, ბრალდებულ პეტრიაშვილის დის მოწმის სახით დაკითხვისას მოსამართლემ ჩვენების მიცემის წინ გააფრთხილა იგი მხოლოდ ცრუ ჩვენებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, პეტრიაშვილის დამ მაინც ცრუ ჩვენება მისცა სასამართლოს, რაზეც მოსამართლემ გამოიტანა განჩინება, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის გადაწყვეტის თაობაზე და იგი რეაგირებისათვის გადაუგზავნა პროკურორს.

სწორად მოიქცა თუ არა მოსამართლე?

ა. მოსამართლის მოქმედება კანონიერია, რადგან ამ შემთხვევაში მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემის შემთხვევაში, მოსამართლეს უფლება აქვს გამოიტანოს განჩინება, სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხის გადასაწყვეტად.

ბ. მოსამართლის მოქმედება კანონიერია, რადგან ამ შემთხვევაში მოსამართლემ მოწმეს, ჩვენების მიცემის წინ, განუმარტა მისი მოვალეობა თქვას სრული სიმართლე, რაც მისთვის ცნობილია.

გ. მოსამართლის მოქმედება უკანონოა, რადგან მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისას, მისი პასუხისმგებლობის შესახებ მსჯელობის უფლება, აქვს მხოლოდ პროკურორს.

დ. მოსამართლის მოქმედება უკანონოა, რადგან მოწმე იყო ბრალდებულის და, და მოსამართლე ვალდებული იყო, განემარტა მისთვის უფლება, უარი ეთქვა გამოსულიყო მოწმედ თავისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ, თუ მოწმე დათანხმდებოდა ჩვენების მიცემაზე, მხოლოდ ამის შემდგომ შეეძლო მოსამართლეს, გაეფრთხილებინა იგი ცრუ ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. (სსსკ-ის 151-ე მუხლის ნაწ. 1)

253. გამომძიებელმა არაბულმა, გადაუდებელი აუცილებლობის გამო, თავისი დადგენილებით, მოსამართლის განჩინების გარეშე, საგამოძიებო მოქმედება – ჩხრეკა მოქალაქე გიგინეიშვილის ბინაში ჩაატარა ღამის 03 საათზე. კანონიერია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. არა, რადგან საგამოძიებო მოქმედების ჩატარება ღამით დაუშვებელია.

ბ. არა, რადგან მოსამართლის ბრძანების გარეშე და თანაც ღამით, მოქალაქის ბინაში ჩხრეკის ჩატარება უკანონოა.

გ. დიახ, რადგან გამომძიებელს, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, თავისი დადგენილებით შეუძლია საგამოძიებო მოქმედება – ჩხრეკა ჩაატაროს მოსამართლის განჩინების გარეშე, მათ შორის ღამითაც. (სსსკ-ის 111-ე მუხლის ნაწ. 5)

დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი, რადგან ჩხრეკის ღამით ჩატარება შეიძლება მხოლოდ პროკურორის თანხმობით.

254. მოწმე ქებაძის დაკითხვისას, გამომძიებელმა ბურდულმა მას თავისუფალი თხრობა შეაწყვეტინა და გააფრთხილა, რომ ტყუილების თქმა შეეწყვიტა და გამომძიებისთვის მოეთხრო სიმართლე.

კანონიერია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. დიახ, რადგან მოწმე ვალდებულია ილაპარაკოს სიმართლე, ხოლო გამომძიებელს უფლებაც აქვს და ვალდებულიცაა განუმარტოს მოწმეს აღნიშნულის თაობაზე, ნებისმიერ დროს.

ბ. დიახ, რადგან მოწმის დაკითხვის წესს მთლიანად განსაზღვრავს გამომძიებელი.

გ. საერთოდ დაუშვებელია.

დ. არა, რადგან მოწმის თავისუფალი თხრობის შეყვეტა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ლაპარაკობს გარემოებებზე, რომლებიც აშკარად არ ეხება საქმეს. (სსსკ-ის 115-ე მუხლის ნაწ. 2)

255. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და უარი თქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. შეაფასეთ სასამართლოს გადაწყვეტილება.

ა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია, რადგან სააპელაციო სასამართლოს თავისი განაჩენით, უფლება აქვს უცვლელად დატოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და უარი თქვას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. (სსსკ-ის 298-ე მუხლის ნაწ. 1, პუნქტი "დ")

ბ. გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეტანა განჩინება, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის ძალაში დატოვებაზე და არა განაჩენი.

გ. გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ I ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი.

დ. გადაწყვეტილება კანონიერია, რადგან სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საბოლოოა და გადასინჯვას აღარ ექვემდებარება.

256. განაჩენის დადგენის წინ, მოსამართლეთა თათბირის დროს, ერთმა მოსამართლემ ხმა მისცა ბრალდებულის გამართლებას, მეორემ მოითხოვა 3 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, ხოლო მესამემ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

როგორ უნდა მოხდეს სასჯელის განსაზღვრა?

ა. ბრალდებული უნდა გამართლდეს, რადგან განსასჯელისათვის იგი ყველაზე სასიკეთოა.

ბ. ბრალდებულს უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლით, რადგან მოსამართლის ხმა განსასჯელის გასამართლებლად, სასჯელის ზომის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უერთდება იმ მოსამართლის ხმას, რომლის გადაწყვეტილებაც განსასჯელისათვის ყველაზე სასიკეთოა. (სსსკ-ის 267-ე მუხლის ნაწ. 3)

გ. უნდა განისაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, რადგან მოსამართლეთა ხმები სასჯელთან დაკავშირებით, უნდა შეიკრიბოს და გაიყოს ორზე თანაბრად ((3+5):2=4).

დ. საქმეზე უნდა განახლდეს სასამართლო გამოძიება, რადგან მოსამართლეთა შორის ვერ მოხერხდა შეთანხმება სასჯელის ზომაზე.

257. საკასაციო ინსტანციის სასამართლომ კასატორს მისცა 5 დღე ხარვეზის შესავსებად. რადგან საჩივარი არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს. კასატორმა არ შეასრულა აღნიშნული მოთხოვნა, რის გამოც სასამართლომ საკასაციო საჩივარი არ განიხილა და გამოიტანა განჩინება საკასაციო საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. კანონიერია თუ არა სასამართლოს მოქმედება?

ა. არა, სასამართლოს საკსასაციო საჩივარი ყველა შემთხვევაში უნდა განეხილა.

ბ. არა, საკასაციო საჩივრის ხარვეზებისათვის ვადა არ ინიშნება.

გ. დიახ, სასამართლოს მოქმედება სწორია. (სსსკ-ის 303-ე მუხლის ნაწ.1)

დ. სასამართლოს უნდა მიეცა 5 დღის ვადა.

258. თუ საქმეზე რამდენიმე ბრალდებულია და განაჩენი თუნდაც ერთი მათგანის მიერ ან მიმართ არის გასაჩივრებული, განაჩენი კანონიერ ძალაში არ შედის არცერთი მსჯავრდებულის მიმართ, სანამ საქმეს არ განიხილავს ზემდგომი სასამართლო. სწორია თუ არა აღნიშნული მსჯელობა?

ა. არ არის სწორი, განაჩენი ძალაში შედის იმ პირთა მიმართ, ვისა ცარ გაუსაჩივრებია.

ბ. არ არის სწორი, განაჩენი ძალაში შედის ინდივიდუალურად.

გ. სწორია, რადგან საქმეზე რამდენიმე მსჯავრდებულია და განაჩენის გასაჩივრება ერთი პირის მიერ ნიშნავს, რომ იგი კანონიერ ძალში ვერ შევა ვერცერთის მიმართ.

დ. არ არის სწორი, ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ძალაში შედის გამოცხადებისთანავე. (სსსკ-ის 279-ე მუხლის ნაწ. 1)

259. აბულაძემ საკასაციო წესით გაასაჩივრა მის მიმართ გამოტანილი განაჩენი და მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება. საქმის განხილვის დროს მან უკან გაითხოვა თავისი საჩივარი, რის შესახებაც სასამართლომ გამოიტანა განჩინება. ამის შემდეგ კასატორი დაარწმუნეს, რომ საკითხი მის სასარგებლოდ გადაწყდებოდა და მანაც განმეორებით საჩივრით მიმართა სასამართლოს, განეხილათ მისი საკასაციო საჩივარი, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული. კანონიერია თუ არა საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება?

ა. არ არის კანონიერი, რადგან სასამართლო ვალდებული იყო განეხილა საკასაციო საჩივარი და მიეღო მასზე არსებითი გადაწყვეტილება.

ბ. არ არის კანონიერი, რადგან განმეორებით საჩივრის განხილვაზე უარის თქმით, სასამართლომ ფაქტობრივად უარი თქვა მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

გ. კანონიერია, რადგან კასატორს უფლება აქვს, სათათბირო ოთახში შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოსატანად სასამართლოს გასვლამდე, უკან გამოითხოვოს თავისი საჩივარი. ასეთ შემთხვევაში საჩივრის განმეორებით შეტანა არ დაიშვება. (სსსკ-ის 303-ე მუხლის ნაწ. 7)

დ. კანონიერია, რადგან მსჯავრდებულმა განმეორებით საჩივარში მიუთითა ისეთ გარემოებებზე, რაც საკასაციო საჩივრებში მითითებული არ იყო და ამიტომ სასამართლომ მას უარი უთხრა საკასაციო საჩივრის განხილვაზე.

260. საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინება გელაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ პროკურორმა გაასაჩივრა გამოცემიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. სწორია თუ არა პროკურორის მოქმედება?

ა. არ არის სწორი, განჩინება არ საჩივრდება.

ბ. არ არის სწორი, უნდა გაესაჩივრებინა სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. (სსსკ-ის 207-ე მუხლის ნაწ. 1)

გ. სწორია.

დ. სწორია, მოსამართლის ყველა ბრძანება საჩივრდება.

261. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

პირისათვის, რომელიც დაკავებულია, ბრალდება წაყენებული უნდა იქნეს შესაბამისი დადგენილების გამოტანიდან არა უგვიანეს

ა. 24 საათისა. (სსსკ-ის 169-ე მუხლის ნაწ. 2)

ბ. 48 საათისა.

გ. 72 საათისა.

დ.12 საათისა.

262. ჩხრეკის ჩატარების დროს ბინაში იმყოფებოდნენ ოჯახის წევრები. გამომძიებელმა შენიშნა, რომ ერთ-ერთმა წევრმა ხელჩანთაში დამალა შეკრული ფუთა. გამომძიებელმა მიიჩნია (ივარაუდა), რომ ამ პირმა დამალა სწორედ ის საგანი, რასაც ეძებდა და გაჩხრიკა პირის ხელჩანთა. ჩხრეკის ჩატარების შედეგად, ხელჩანთიდან მოსაძებნი საგანი ვერ იქნა მოპოვებული. ჰქონდა თუ არა გამომძიებელს უფლება სხვა პირის ჩანთა გაეჩხრიკა?

ა. დიახ, მოცემულ ვითარებაში ჰქონდა. (სსსკ-ის 120-ე მუხლის ნაწ. 2)

ბ. არა, არ ჰქონდა.

გ. გამომძიებელი უნდა წასულიყო სასამართლო განჩინების ასაღებად.

დ. დიახ, გამომძიებელს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეეძლო ნებისმიერი პირი გაეჩხრიკა.

263. ჩხრეკის დაწყების წინ ოჯახის მფლობელმა სართანიამ მოთხოვა გამომძიებელს, გაეცნო მისთვის სასამართლოს განჩინება, რათა დაედასტურებინა ხელმოწერით. გამომძიებელმა განაცხადა, რომ ეს იყო გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ჩხრეკა და შესაბამის დოკუმენტს წარუდგენდა ჩხრეკის დამთავრების შემდეგ. სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. დიახ, სწორია.

ბ. არ არის სწორი, გამომძიებელს დადგენილება იქვე უნდა შეედგინა.

გ. სწორია, ჩხრეკა იყო გადაუდებელი.

დ. არ არის სწორი, გამომძიებელს ჩხრეკის დაწყებისას ხელმოწერით უნდა გაეცნო სართანიასათვის შესაბამისი დოკუმენტი ჩხრეკის ჩატარების თაობაზე. (სსსკ-ის 120-ე მუხლის ნაწ. 2)

264. ჩრეკის დაწყების წინ გამომძიებელმა ავტომანქანის მფლობელ ქვარცხავას შესთავაზა ნებაყოფლობით გადაეცა ა/მანქანაში არსებული საგანი, რომელიც კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია.ქვარცხავამ გადასცა საგანი, რის შემდეგ გამომძიებელმა შეადგინა არა ჩხრეკის, არამედ ამოღების ოქმი. სწორია გამომძიებლის მოქმედება?

ა. არ არის სწორი, უნდა შეედგინა ჩხრეკის ოქმი.

ბ. სწორია. (სსსკ-ის 120-ე მუხლის ნაწ. 4)

გ. არ არის სწორი, ორივე ოქმი უნდა შეედგინა.

დ. არ ჰქონდა მნიშვნელობა რას დ¬არქმევდა სახელად.

265. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ, მსჯავრდებულ ლომიძის სააპელაციო საჩივრის გამო, განიხილა სისხლის სამართლის საქმე ლომიძისა და სხვათა მიმართ. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ლომიძის მიმართ უცვლელად დატოვა, ხოლო მსჯავრდებულ კილანავას მიმართ – შეცვალა მის სასარგებლოდ. კანონიერია თუ არა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება?

ა. კანონიერია, რადგან სააპელაციო ინსტანციის სასამართლო არის უმაღლესი ინსტანციის სასამართლო, რომელსაც შეუძლია ნებისმიერი წესით, ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის განხილვა.

ბ. კანონიერია, რადგან სააპელაციო ინსტანციის სასამართლო არ იზღუდება საჩივრებში მოყვანილი დასკვნებით და ვალდებულია საქმე შეამოწმოს სრული მოცულობით, მათ შორის, იმ ბრალდებულთა მიმართაც, რომლებსაც არ შეუტანიათ საჩივრები. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს განსასჯელთა სასარგებლოდ, მაგრამ მათი მდგომარეობის გაუარესების უფლება არა აქვს, თუ ამას არ ითხოვს საჩივარში ბრალდების მხარე (სსსკ-ის 299-ე მუხლი)

გ. უკანონოა, რადგან ყველა შემთხვევაში, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო მკაცრად არის შეზღუდული საჩივარში მოყვანილი ფაქტებით.

დ. უკანონოა, რადგან ყველა შემთხვევაში, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს საქმე შეამოწმოს სრული მოცულობით, თუ ამის თაობაზე თანხმობას განაცხადებს ბრალდების მხარე.

266. ვანის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა დაზარალებულ დათუაძეს, ფოტოსურათით ამოცნობის შემდეგ, ბრალდებული გილაძე ამოსაცნობად წარუდგინა იმავე სქესის ორ პირთან ერთად. სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედებები?

ა. სწორია, რადგან ამომცნობს ამოსაცნობი პირი უნდა წარუდგინონ იმავე სქესის არანაკლებ ორ პირთან ერთად. (სსსკ-ის 131-ე მუხლის ნაწ. 3)

ბ. სწორია, რადგან ამომცნობს ამოსაცნობი პირი შეიძლება წარუდგინონ სხვა წარსადგენ პირთა გარეშეც.

გ. არ არის სწორი, რადგან ამომცნობს ამოსაცნობი პირი უნდა წარუდგინონ იმავე სქესის არანაკლებ სამ პირთან ერთად.

დ. არ არის სწორი, რადგან ფოტოსურათით ამოცნობის ჩატარების შემდეგ, დაუშვებელია იმავე ამომცნობისათვის, ფოტოსურათით ამოცნობილი პირის ამოსაცნობად წარდგენა.

267. ბრალდებულმა, პროკურორთან დადებული საპროცესო შეთანხმების სასამართლოში დამტკიცებამდე, უარი თქვა საპროცესო შეთანხმებაზე. მოსამართლემ მას განუმარტა, რომ ბრალდებულს სასამართლოში აღარ ჰქონდა უფლება, უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმებაზე. სწორია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. სწორია, სასამართლოში უკვე იხილებოდა შეთანხმების პირობები.

ბ. არ არის სწორი, განსასჯელს ჰქონდა ამის უფლება. (სსსკ-ის 213-ე მუხლის ნაწ.7)

გ. სწორია, შეთანხმებაზე უარი დაუშვებელია.

დ. საპროცესო შეთანხმების გაფორმება მხარეებს შორის სასამართლო განხილვას არ საჭიროებს.

268. რაიონულმა სასამართლომ, გამამტყუნებელი განაჩენით, ბრალდებული მეტონიძე, რომელმაც აღიარა ჩადენილი დანაშაული, სცნო დამნაშავედ და, ამასთან, გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა სასჯელის დაუნიშნავად იმ საფუძვლით, რომ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გამოცემული იყო აქტი ამნისტიის შესახებ, რომელიც ათავისუფლებდა მეტონიძეს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

კანონიერია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

ა. კანონიერია, რადგან ამ შემთხვევაში სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად.

ბ. უკანონოა, რადგან ამ შემთხვევაში სასამართლო ადგენს გამამართლებელ განაჩენს.

გ. უკანონოა, რადგან ამ შემთხვევაში სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით. (სსსკ-ის 269-ე მუხლის ნაწ. 5, პუნქტი "ა")

დ. კანონიერია, რადგან ამ შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენის სასჯელის დაუნიშნავად დასადგენად აუცილებელია, რომ განსასჯელი აღიარებდეს დანაშაულის ჩადენას.

269. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ, უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის აღსრულების თაობაზე საქართველოს სასამართლოს განჩინების (დადგენილების) ასლი, შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების შემდგომი ინფორმირების მიზნით, ეგზავნება:

ა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. (სსსკ-ის 289-ე მუხლის ნაწ. 7)

ბ. საქართველოს მთავარ პროკურატურას.

გ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

დ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.

270. რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე და დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი, თუმცა ერთ-ერთმა მოსამართლემ განაჩენს ხელი არ მოაწერა და წერილობით ჩამოაყალიბა განსხვავებული აზრი. სწორია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. არ არის სწორი, რადგან მოსამართლემ, განსხვავებული აზრის მიუხედავად, მაინც უნდა მოაწეროს ხელი განაჩენს.

ბ. არ არის სწორი, რადგან მოსამართლემ, განსხვავებული აზრის შემთხვევაში, უნდა განაცხადოს თვითაცილება.

გ. სწორია, რადგან განაჩენს ხელს არ აწერს ის მოსამართლე, ვისაც განსხვავებული აზრი აქვს. (სსსკ-ის 271-ე მუხლის ნაწ. 2)

დ. სწორია, რადგან მოსამართლე განაჩენს ხელს არ აწერს.

271. საპროცესო შეთანხმება დაზარალებულმა მიქელთაძემ გაასაჩივრა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში იმ მოტივით, რომ ბრალდებულისთვის გამოტანილი სასჯელი ლმობიერად მიიჩნია. ზემდგომმა სასამართლომ განიხილა საჩივარი და გააუქმა საპროცესო შეთანხმების თაობაზე გამოტანილი განაჩენი. სწორია თუ არა ზემდგომი სასამართლოს მოქმედება?

ა. სწორია.

ბ. არა, დაზარალებულს უფლება არა აქვს გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. (სსსკ-ის 215-ე მუხლის ნაწ. 3)

გ. სწორია, სასამართლო ვალდებული იყო დაზარალებულის საჩივარი დაეკმაყოფილებინა.

დ. არა, ზემდგომ სასამართლოს საჩივარი უნდა გადაეგზავნა პროკურატურისათვის.

272. 15 წლის ზაზა დოლიძემ გამომძიებელს ზეპირად აცნობა ჩ.-ს მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ. გამომძიებელმა ზეპირი ცნობის შესახებ შეადგინა ოქმი, რომელსაც ხელი მოაწერეს განმცხადებელმა და გამომძიებელმა. ამასთან, გამომძიებელმა, დოლიძის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, ხელწერილის ჩამორთმევით გააფრთხილა იგი ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედებები?

ა. არ არის სწორი, რადგან გაფრთხილება ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ დაუშვებელია, თუ ამის წინააღმდეგია განმცხადებელი.

ბ. სწორია, რადგან 14 წელს მიღწეულ განმცხადებელს ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებენ ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. (სსსკ-ის 101-ე მუხლის ნაწ. 3, 4)

გ. არ არის სწორი, რადგან 16 წელს მიღწეულ განმცხადებელს ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებენ ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

დ. სწორია, რადგან განმცხადებელს, ასაკის მიუხედავად, ხელწერილის ჩამორთმევით აფრთხილებენ ცრუ დასმენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

273. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?
გვამის ექსჰუმაცია უნდა მოხდეს მხოლოდ:
ა. დაზარალებულის თანხმობით.
ბ. მოსამართლის განჩინებით. (სსსკ-ის 133-ე მუხლის ნაწ. 1)
გ. პროკურორის დადგენილებით.
დ. გამომძიებლის დადგენილებით.

274. სოსელიამ, რომელიც გვალიასა და უბირიასთან ერთად, იმხილებოდა სხვისი ქონების გატაცებაში, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა საკასაციო ინსტანციაში. გვალიას და უბირიას განაჩენი არ გაუსაჩივრებიათ. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამთავე მსჯავრდებული დასჯილი იყო მკაცრად და ყველა მათგანს შეუმცირა სასჯელი. სწორია თუ არა საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება?
ა. არ არის სწორი, რადგან გვალიას და უბირიას განაჩენი არ გაუსაჩივრებიათ და საკასაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, გასცდენოდა საჩივრის განხილვის ფარგლებს.
ბ. არ არის სწორი, რადგან საკასაციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება საქმე სრული მოცულობით შეემოწმებინა და განესაჯა გვალიასა და უბირიას ქმედებები.
გ. სწორია, რადგან საკასაციო ინსტანციის სასამართლო, არ იზღუდება საჩივარში ჩამოყალიბებული დასკვნით და ვალდებულია საქმე სრული მოცულობით შეამოწმოს, მათ შორის იმ განსასჯელთა მიმართაც, რომლებსაც საჩივარი არ შეუტანიათ (სსსკ-ის 309-ე მუხლის ნაწ. 1)
დ. სწორია, როცა სასამართლომ საქმე სრული მოცულობით შეამოწმა, მაგრამ ამ გარემოებების გამო, საქმე აუცილებლად უნდა დაებრუნებინა ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.

275. სად შეაქვთ საჩივარი, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის, ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ?
ა. საქართველოს გენერალურ პროკურორთან.
ბ. უშუალოდ იმ სასამართლოებში, რომლებმაც ეს განაჩენი ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება გამოიტანეს.
გ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.
დ. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. (სსსკ-ის 312-ე მუხლის ნაწ.1)

276. საქალაქო სასამართლოში, სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, ბრალდებულმა სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, რომლითაც ბრალდებული ითხოვდა, რომ დახურულ სასამართლო სხდომაზე მომხდარიყო მისი პირადი სატელეგრაფო შეტყობინების გამოქვეყნება. მოსამართლემ განჩინებით დააკმაყოფილა ბრალდებულის შუამდგომლობა და პირადი სატელეგრაფო შეტყობინება გამოაქვეყნა დახურულ სასამართლო სხდომაზე. კანონიერია თუ არა მოსამართლის განჩინება?

ა. კანონიერია, რადგან პირადი სატელეგრაფო შეტყობინება ყველა შემთხვევაში უნდა გამოქვეყნდეს დახურულ სასამართლო სხდომაზე.

ბ. უკანონოა, რადგან პირადი სატელეგრაფო შეტყობინების დახურულ სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნება დაუშვებელია.

გ. უკანონოა, რადგან ნაწილობრივ დახურული სასამართლო სხდომის ჩატარების შესაძლებლობას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

დ. კანონიერია, რადგან პირადი სატელეგრაფო შეტყობინება შეიძლება გამოქვეყნდეს ღია სასამართლო სხდომაზე მხოლოდ იმ პირის თანხმობით, რომელსაც იგი ეხება. თუ ასეთი თანხმობა არ არის, ის ქვეყნდება დახურულ სასამართლო სხდომაზე. (სსსკ-ის182-ე მუხლის ნაწ. 3, პუნქტი "ე")

277. სად შეაქვთ საჩივარი, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის, ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ?

ა. საქართველოს გენერალურ პროკურორთან.

ბ. უშუალოდ იმ სასამართლოებში, რომლებმაც ეს განაჩენი ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილება გამოიტანეს.

გ. საქართველოს უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

დ. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. (სსსკ-ის 312-ე მუხლის ნაწ.1)

278. არასრულწლოვანი პირის დაკავებისას, გამომძიებელი და პროკურორი ვალდებულნი არიან, შეატყობინონ დაკავების შესახებ მისი ოჯახის რომელიმე წევრს ან ახლობელს არა უგვიანეს

ა. 3 საათისა. (სსსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)

ბ. 24 საათისა.

გ. 5 საათისა.

დ. დაკავებისთანავე.

279. მოსამართლის განჩინების გარეშე არ შეიძლება ჩატარდეს:

ა. საგამოძიებო ექსპერიმენტი.

ბ. ჩვენების ადგილზე შემოწმება.

გ. შემოწმება.

დ. გვამის ექსჰუმაცია. (სსსკ-ის 132-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

280. გამოძიების ეტაპზე, სასამართლოს მიმართა დაზარალებულმა ბუცხრიკიძემ და მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების გირაოს შეცვლა პატიმრობით ბრალდებულ საჯაიასთვის. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ დაზარალებულს არ ჰქონდა აღნიშნული შუამდგომლობის განცხადების უფლება. შეაფასეთ მოსამართლის მოქმედება:

ა. არ არის სწორი, დაზარალებულის მოთხოვნით შეიძლება აღკვეთის ღონისძიების შეცვლა უფრო მკაცრი ღონისძიებით.

ბ. სწორია, ასეთი შუამდგომლობის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს. (სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-2 ნაწილი)

გ. არ არის სწორი, დაზარალებულს ყველა მოთხოვნის უფლება აქვს.

დ. სწორია, მოსამართლე ხელმძღვანელობს შინაგანი რწმენით.

281. გამომძიებელმა 13 წლის მოწმე ნ. მიქელაძე დაკითხა პედაგოგის დასწრებით ისე, რომ არ მიუღია მეურვის თანხმობა. ადვოკატმა გაასაჩივრა გამომძიებლის მოქმედება იმ მოტივით, რომ მოწმეს არ ჰყავდა მშობლები და გამომძიებელს იგი უნდა დაეკითხა, მხოლოდ მეურვის თანხმობის შემდეგ. სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედება?

ა. გამომძიებლის მოქმედება სწორია, რადგან 14 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვა ხდება, მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით.

ბ. არ არის სწორი, რადგანაც 14 წლამდე ასაკის მოწმე საერთოდ არ შეიძლება დაიკითხოს.

გ. სწორია, რადგანაც მცირეწლოვანი მოწმეების დაკითხვა ხდება, მხოლოდ პედაგოგის თანდასწრებით.

დ. არ არის სწორი, რადგანაც 14 წლმდე ასაკის მოწმის დაკითხვა შეიძლება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და დასწრებით. (სსსკ-ის 116-ე მუხლის მე-3 ნაწილი)

282. სათათბირო ოთახში, განაჩენის შედგენისას, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის ერთმა მოსამართლემ, განაჩენს ხელი არ მოაწერა იმ საფუძვლით, რომ მას განსხვავებული აზრი ჰქონდა. სწორია თუ არა მოსამართლის მოქმედება?

ა. არ არის სწორი, რადგან ყველა შემთხვევაში განაჩენს ხელს აწერს ყველა მოსამართლე.

ბ. არ არის სწორი, რადგან განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე განაჩენს ხელს აწერს.

გ. სწორია, რადგან განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლე განაჩენს ხელს არ აწერს. (სსსკ-ის 271-ე მუხლის ნაწ. 2)

დ. სწორია, რადგან განაჩენს ხელს აწერს მხოლოდ სასამართლო სხდომის თავმჯდომარე.

283. სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყო ბრალდებულის გარეშე, რომელიც საქართველოს ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა და თავს არიდებდა გამოცხადებას. ჰქონდა თუ არა ამის უფლება სასამართლოს?

ა. არა, არ ჰქონდა.

ბ. დიახ, ჰქონდა. (სსსკ-ის 189-ე მუხლის ნაწ.1)

გ. ჰქონდა პროკურორის თანხმობით.

დ. არა, ბრალდებულის გარეშე სხდომა არ ტარდება.

284. სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას, გამომძიებლის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლემ გასცა განჩინება გვამის ექსჰუმაციის შესახებ. აღნიშნული განჩინების საფუძველზე, გამომძიებელმა ჩაატარა გვამის ექსჰუმაცია, დასაფლავების ადგილის ადმინისტრაციის წარმომადგენლისა და დამსწრეთა მონაწილეობით. სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედებები?

ა. არ არის სწორი, რადგან გამომძიებელს მოსამართლისათვის გვამის ექსჰუმაციის შესახებ მოტივირებული შუამდგომლობის წარდგენის უფლება არ აქვს. (სსსკ-ის 133-ე მუხლის ნაწ. 1)

ბ. არ არის სწორი, რადგან გვამის ექსჰუმაციის ჩატარებაში მონაწილეობს სასამართლო ექსპერტი.

გ. არ არის სწორი, რადგან გვამის ექსჰუმაცია დაუშვებელია.

დ. არ არის სწორი, რადგან გამოძიებისას გვამის ექსჰუმაცია დაუშვებელია.

285. სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას დაკავებულ იქნა საქართველოს მოქალაქე გორგილაძე. თუმცა იმ საფუძვლით, რომ დაკავებისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, გორგილაძე გაათავისუფლეს. გათავისუფლებისას გორგილაძეს მიეცა ცნობა. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე გამოძიების სტადიაზე შეწყდა. ამასთან, გორგილაძემ მოითხოვა უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საფუძვლიანია თუ არა გორგილაძის მოთხოვნა?

ა. უსაფუძვლოა, რადგან უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ. საფუძვლიანია, რადგან უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი, სრული მოცულობით, ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული მსჯავრდადებული არ იქნა.

გ. უსაფუძვლოა, რადგან უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი, სრული მოცულობით, ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული მსჯავრდადებული იქნა.

დ. საფუძვლიანია, რადგან უკანონო და დაუსაბუთებელი დაკავების შედეგად მიყენებული ზიანი, სრული მოცულობით, ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იმის მიუხედავად, იქნება თუ არა დაკავებული მსჯავრდებული. (სსსკ-ის 176-ე მუხლის ნაწ. 5)

286. სასამართლომ განსასჯელ მიქაბერიძეს სასჯელის სახით შეუფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა. სამი მოსამართლიდან ერთმა საწინააღმდეგო პოზიცია გამოხატა და განსხვავებული აზრი დაურთო განაჩენს. სწორია თუ არა გამოტანილი განაჩენი?

ა. არ არის სწორი, სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის დროს მოსამართლეებმა ხმა უნდა მისცენ მხოლოდ ერთხმად. (სსსკ-ის 193-ე მუხლის ნაწ. 5)

ბ. სწორია, სასჯელის დანიშვნა ხმათა უმრავლესობით გადაწყდა.

გ. არ არის სწორი, უვადო თავისუფლების აღკვეთა — როგორც სასჯელის სახე, გაუქმებულია.

დ. სწორია, განაჩენს განსხვავებული პოზიცია ერთვოდა.

287. სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი კილურაძის მიმართ სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით, რადგან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის განსასჯელი იყო გარდაცვლილი. სწორია თუ არა სასამართლოს მოქმედება?

ა. არა, სასამართლოს სასჯელის დაუნიშნავად უნდა გამოეტანა გამამტყუნებელი განაჩენი. (სსსკ-ის 269-ე მუხლის ნაწ. 6)

ბ. დიახ, სწორია.

გ. სწორია, რადგან გარდაცვალების შემთხვევაში განაჩენის ფორმას არა აქვს მნიშვნელობა.

დ. არა, სასამართლოს უნდა გამოეტანა გამამართლებელი განაჩენი.

288. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. სისხლის სამართლის საქმის მონაცემების გაუმჟღავნებლობის ვალდებულება არ შეიძლება დაეკისროს დამსწრეს.

ბ. სისხლის სამართლის საქმის მონაცემების გაუმჟღავნებლობის ვალდებულება არ შეიძლება დაეკისროს ბრალდებულს. (სსსკ-ის 104-ე მუხლი)

გ. სისხლის სამართლის საქმის მონაცემების გაუმჟღავნებლობის ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

დ. სისხლის სამართლის საქმის მონაცემების გაუმჟღავნებლობის ვალდებულება არ შეიძლება დაეკისროთ ექსპერტსა და სპეციალისტს.

289. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. პროკურორი უფლებამოსილი არ არის უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუნდაც შეკრებილი მტკიცებულებანი არ ადასტურებდნენ ბრალდებას.

ბ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს პროკურორის მიერ ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესაძლებლობას.

გ. პროკურორი ვალდებულია დასაბუთებულად უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულებანი არ ადასტურებენ ბრალდებას.

დ. პროკურორი, ზემდგომი პროკურორის თანხმობით, უფლებამოსილია უარი თქვას ბრალდებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ შეკრებილი მტკიცებულებანი არ ადასტურებენ ბრალდებას. (სსსკ-ის 250-ე მუხლის ნაწ. 1)

290. განაჩენი გამოცხადდა იმ ენაზე, რომელიც განსასჯელმა სარქისიანმა არ იცოდა. მან მოითხოვა განაჩენის გამოცხადებისთანავე, ე.ი მიმდინარეობის დროს, სინქრონულად წაეკითხა თარჯიმანს მის მშობლიურ ენაზე. სასამართლომ განუმარტა განსასჯელს, რომ ამის უფლება არ ჰქონდა და განაჩენის თარგმანი მისთვის ცნობილ ენაზე ჩაბარდებოდა 5 დღეში.

სწორია თუ არა სასამართლოს მოქმედება?

ა. არ არის სწორი, სარქისიანის მოთხოვნისთანავე, თარჯიმანს განაჩენი უნდა ეთარგმნა სინქრონულად. (სსსკ-ის 277-ე მუხლის ნაწ. 2)

ბ. სწორია.

გ. განაჩენის თარგმნა პროცესზე არ შეიძლება.

დ. არ არის სწორი, განაჩენი უნდა გამოეტანათ სარქისიანის მშობლიურ ენაზე.

291. სასამართლომ დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად, რადგან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გამოცემული იყო ამნისტიის აქტი, რომელიც ათავისუფლებდა პირს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან. სწორია თუ არა სასამართლოს მოქმედება?

ა. არ არის სწორი, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით უნდა გამოეტანა. (სსსკ-ის 269-ე მუხლის ნაწ. 6, პუნქტი "ა")

ბ. არ არის სწორი, სასამართლოს უნდა შეეწყვიტა საქმე.

გ. სწორია.

დ. სწორია, რადგან ამნისტიის აქტის დროს სულერთია სასჯელი დაინიშნება თუ არა.

292. ამ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის საქმეზე განაჩენის ასლი უნდა გადაეცეს მსჯავრდებულს ან გამართლებულს განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს:

ა. 10 დღე-ღამისა.

ბ.15 დღე-ღამისა.

გ. 7 დღე-ღამისა.

დ.14 დღე-ღამისა. (სსსკ-ის 278-ე მუხლი)

293. სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას, გამომძიებელმა, ბრალდების წასაყენებლად გამოძახებულ პირსა და მის დამცველს გააცნო პროკურორის გამოტანილი დადგენილება პირის, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. გამოძახებულმა პირმა და დამცველმა წერილობით დაადასტურეს, რომ ისინი გაეცნენ დადგენილებას. გამომძიებელმა მათ არ გადასცა დადგენილების ასლი ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხით, თუმცა, დამცველის მონაწილეობით, ბრალდებულს განუმარტა მისი უფლება-მოვალეობები.

სწორია თუ არა გამომძიებლის მოქმედებები?

ა. არ არის სწორი, რადგან პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამძიებელი მხოლოდ აცნობებს პროკურორს.

ბ. არ არის სწორი, რადგან გამომძიებელს არ აქვს პირისათვის ბრალდების ამგვარად წაყენების უფლება.

გ. სწორია, რადგან ბრალდების წაყენების შემდეგ, პირველ დაკითხვამდე, ბრალდებულს არ აქვს ზემოხსენებული ნუსხის მოთხოვნის უფლება.

დ. არ არის სწორი, რადგან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების ასლს ბრალდებულის უფლებებისა და მოვალეობების ნუსხით, გამომძიებელი სავალდებულო წესით გადასცემს ბრალდებულსა და დამცველს. (სსსკ-ის 169-ე მუხლის ნაწ. 5)

294. სათათბირო ოთახში გასულმა სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ შეადგინა განაჩენი, რომელსაც ხელი მოაწერა სამივე მოსამართლემ. განაჩენის ხელმოწერის შემდეგ, სასამართლო დაბრუნდა სასამართლო სხდომის დარბაზში და სასამართლო სხდომის თავმჯდომარის დავალებით, სასამართლო სხდომის მდივანმა გამოაცხადა განაჩენი.

კანონიერია თუ არა სასამართლო სხდომის თავმჯდომარის დავალება?

ა. კანონიერია, რადგან განაჩენს აცხადებს სასამართლო სხდომის თავმჯდომარე, რომელიმე მოსამართლე ან სასამართლო სხდომის მდივანი.

ბ. კანონიერია, რადგან სასამართლო სხდომის თავმჯდომარის დავალებით განაჩენს აცხადებს სასამართლო სხდომის მდივანი.

გ. უკანონოა, რადგან განაჩენს აცხადებს სასამართლო სხდომის თავმჯდომარის თანაშემწე.

დ. უკანონოა, რადგან განაჩენს აცხადებს სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ან რომელიმე მოსამართლე.(სსსკ-ის 277-ე მუხლის ნაწ.1)

295. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. მოსამართლეთა თათბირის დროს კენჭისყრისას სასამართლო სხდომის თავმჯდომარე პირველი აძლევს ხმას

ბ. მოსამართლეთა თათბირის დროს, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე, კენჭისყრაში არ მონაწილეობს.

გ. მოსამართლეთა თათბირის დროს, კენჭისყრისას, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს. (სსსკ-ის 193-ე მუხლის ნაწ. 6)

დ. მოსამართლეთა თათბირის დროს, კენჭისყრისას, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე მეორე აძლევს ხმას.

296. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გამოცემულია აქტი ამნისტიის შესახებ, რომელიც ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან. (სსსკ-ის 269-ე მუხლის ნაწ. 5, პუნქტი "ა")

ბ. ყველა შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენის სასჯელის დაუნიშნავად გამოტანა დაუშვებელია.

გ. სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად, თუ მისი გამოტანის მომენტისათვის ამოიწურა ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა.

დ. გამამტყუნებელი განაჩენის სასჯელის დაუნიშნავად გამოტანა დაიშვება მხოლოდ კასაციის დროს.

297. სათათბირო ოთახში განაჩენის დადგენისას, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ, ნივთიერ მტკიცებულებათა ბედის საკითხის გადაწყვეტისას, თავი შეიკავა კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. სწორია თუ არა სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მოქმედება?

ა. არ არის სწორი, რადგან არც ერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან.(სსსკ-ის 193-ე მუხლის ნაწ.6)

ბ. სწორია, რადგან სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავის შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან.

გ. არ არის სწორი, რადგან მოსამართლეს, მხოლოდ სასჯელის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას, უფლება აქვს თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან.

დ. სწორია, რადგან მოსამართლეს, ნივთიერ მტკიცებულებათა ბედის საკითხის გადაწყვეტისას, უფლება აქვს თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან.

298. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 15 დღე-ღამისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის საქმეზე – არა უგვიანეს 30 დღე-ღამისა, განაჩენის ასლი უნდა გადაეცეს მსჯავრდებულს ან გამართლებულს.

ბ. განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 15 დღე-ღამისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის საქმეზე – არა უგვიანეს 30 დღე-ღამისა, განაჩენის ასლი უნდა გადაეცეს მსჯავრდებულს ან გამართლებულს, მხოლოდ მათი მოთხოვნის შემთხვევაში.

გ. განაჩენის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 დღე-ღამისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის საქმეზე – არა უგვიანეს 14 დღე-ღამისა, განაჩენის ასლი უნდა გადაეცეს მსჯავრდებულს ან გამართლებულს. (სსსკ-ის 278-ე მუხლი)

დ. განაჩენის ასლის მსჯავრდებულის ან გამართლებულისათვის გადაცემა დაუშვებელია.

299. განსასჯელის საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია გავიდა სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად. ამასთან, სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილების შესაბამისად, სათათბირო ოთახში, საქმის გან-

მხილველ მოსამართლეთა გარდა, ჩანაწერის გასაკეთებლად იმყოფებოდა ტექნიკური თანამშრომელი.

კანონიერია თუ არა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება?

ა. კანონიერია, რადგან სათათბირო ოთახში შეიძლება იყვნენ მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლენი, მოსამართლეთა თანაშემწეები და ტექნიკური თანამშრომელი, რომელიც აკეთებს ჩანაწერს.

ბ. კანონიერია, რადგან სათათბირო ოთახში შეიძლება იყვნენ მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლენი და ტექნიკური თანამშრომელი, რომელიც აკეთებს ჩანაწერს.

გ. უკანონოა, რადგან სათათბირო ოთახში შეიძლება იყვნენ მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლენი. (სსსკ-ის 193-ე მუხლის ნაწ. 3)

დ. უკანონოა, რადგან სათათბირო ოთახში ჩანაწერის გასაკეთებლად ტექნიკური თანამშრომლის ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს საქართველოს გენერალური პროკურორი.


300. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება აქვს სხვა საქმე განიხილოს მოცემული საქმის წარმოების შეჩერების ან საქმის განხილვის 1 დღეზე მეტი ვადით გადადების შემთხვევაში.

ბ. სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება არა აქვს სხვა საქმე განიხილოს მოცემული საქმის წარმოების შეჩერების შემთხვევაში.

გ. სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება აქვს სხვა საქმე განიხილოს მოცემული საქმის განხილვის გადადების შემთხვევაში.(სსსკ-ის 185-ე მუხლის ნაწ.2)

დ. სასამართლოს (მოსამართლეს) უფლება არა აქვს სხვა საქმე განიხილოს მოცემული საქმის განხილვის 2 დღეზე მეტი ვადით გადადების შემთხვევაში.



მალხაზ ლომსაძე

დაიბადა 1972 წლის 1 აგვისტოს ხაშურის რაიონის დაბა სურამში. იურისტი.

2002 წლის 17 მაისს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

2002 წელის გაიარა სამართალდამცავთა საერთაშორისო აკადემიის სრული კურსი ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი);

არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი. იკვლევს მატერიალურ და პროცესუალურ სისხლის სამართლის პრობლემებს. არის სასწავლო სახელძღვანელოების, პრაქტიკული სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების, 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი.